

საქართველოს ეკონომიკურ მენეჯერებთან აკადემია

ლეო ჩიქავა

დემოლოგია და მისი

კანონთა სისტემა



გამომცემლობა „ანი ვარსიანი“
თბილისი 2008

ლეო ჩიქავა. დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008, 582 გვ.

„მონოგრაფიაში სათანადო მეცნიერული არგუმენტაციით დასაბუთებულია „დემოლოგია“ „დემოლოგიით“ შეცვლის მიზანშეწონილობა.

ჩამოყალიბებული და განხილულ-გაანალიზებულია დემოლოგიურ კანონთა სისტემა, ამ სისტემაში შემავალი საერთო, სპეციფიკური და კერძო დემოლოგიური კანონების არსი, მოქმედების ხასიათი, კლასიფიკაცია, შეცნობისა და გამოყენების პრაგმატული მნიშვნელობა. ნაშრომი განკუთვნილია როგორც მეცნიერების ამ დარგის სპეციალისტთათვის, ისე დემოლოგიის პრობლემემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

მეცნიერ-რედაქტორი – ვაჟა ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი – ანზორ თოთაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

© ლ. ჩიქავა, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

თბილისი, 0179, ი. შავაშავაძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@interteL.ge

ISBN 978-9941-12-360-3

ყაძღვანი
ჩუბი ძუელის -
თაძარ 1999წწქიბის
ნათლ ხსივნას

წ ი ნ ა თ ძ მ ა

წინამდებარე გამოკვლევის სახით მკითხველს ვთავაზობ მოსახლეობის აღწარმოების პრობლემატიკაზე უკანასკნელ პერიოდში ჩემი ნაფიქრალ-ნააზრევის ძირითად შედეგებს. უწინარეს ყოვლისა, შევეცადე, სათანადო არგუმენტების მოშველიებით, დამესაბუთებინა „დემოგრაფიის“, როგორც მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერული დისციპლინის, ფორმულირების „დემოლოგიით“ ჩანაცვლების მიზანშეწონილობა, რამდენადაც ამ მეცნიერების შინაარსობრივ დატვირთვას ეს უკანასკნელი უფრო სრულად ასახავს, ვინემ პირველი.

ეხელმძღვანელობდი რა იმით, რომ ყოველი მეცნიერული დისციპლინა პირველ რიგში და ძირითადად თავის შესაბამის, სხვებისგან განსხვავებულ, კანონებს სწავლობს, მიზნად დავისახე დემოლოგიურ კანონთა სისტემის საფუძვლიანი განხილვა. ასეთ რთულ ამოცანასთან შეჭიდება არ იყო ადვილი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დემოლოგიური კანონები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სპეციალისტთა მხრივ მეცნიერული მსჯელობის საგანი ჯერჯერობით არ ყოფილა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

როგორც ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) სპეციალისტს, ბევრი მიმუშავია (ნაშრომებიც მაქვს გამოქვეყნებული) ეკონომიკური კანონების რაობის, ფორმულირების, კლასიფიკაციის, მოქმედების ხასიათის, შეცნობისა და გამოყენების პრობლემებზე. ვცადე ამ ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება დემოლოგიაში. ჩამოვაყალიბე 12 დემოლოგიური კანონი. შემდეგ მოვახდინე მათი კლასიფიკა-

ცია საერთო, სპეციფიკურ და კერძო კანონებად, შესაძლებლობის ფარგლებში, განვიხილე თითოეული მათგანის არსი, ძირითადი ნიშნები და მოთხოვნები, წანამძღვრები, მოქმედების ხასიათი, აგრეთვე შეცნობისა და პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა. გამოვყავი ძირითადი დემოლოგიური კანონი, მისთვის დამახასიათებელი არაორდინარული ნიშანთვისებებით. თეორიული მსჯელობის ჭეშმარიტების დასასაბუთებლად გაეანალიზე და განეაზოგადე საკმარის მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც მკითხველს გაუადვილებს ავტორის პოზიციებში გარკვევას.

ცხადია, ვერ ვიქნები ისეთი კატეგორიული, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებული ყველა მოსაზრება აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ვაღიარო. პირიქით, მკითხველს ეთხოვ, წინამდებარე ნაშრომის მეცნიერული სიახლეები, საკითხის დასმად მიიჩნიოს და მათი აუკარგიანობის თაობაზე კრიტიკული შენიშვნები გამოთქვას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჭეშმარიტების დადგენა და ჩემი მთავარი მიზანიც ესაა.

დემოლოგიური კანონების თაობაზე ავტორის შეხედულებათა სრულად აღქმის მიზნით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, დამატებითი ანალიტიკური მასალის სახით, მკითხველისთვის მიმეწოდებინა დემოლოგიის აქტუალურ საკითხებზე ჩემს მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია.

მინდა გულწრფელად ვთქვა, რომ პირუთენელი და კეთილად განწყობილი ოპონენტების ყველა საქმიან შენიშვნას დიდი მადლიერებით მივიღებ და ჩემს შემდგომ მეცნიერულ კვლევა-ძიებით საქმიანობაში მაქსიმალურად გაეითვალისწინებ.

ჩემი კოორდინატებია: თბილისი, ყიფშიძის 7; ტელ: 22-67-16; 8-99-58-67-16.

1.12.2008

செவ்வீரனாரை

சே

வீரனாரை

கவனத்தை

கவனத்தினை

დემოლოგია და მისი კანონები

1.1. „დემოგრაფია“ კი არა, „დემოლოგია“.
რას სწავლობს იგი ?

დემოგრაფიამ, როგორც მეცნიერებამ, დასაბამიდან დღემდე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში თავისი ღირსეული ადგილის დამკვიდრებამდე, ჩამოყალიბების, კვლევის სფეროს შემოფარგელისა და განვითარებასრულყოფის საკმაოდ რთული და ეკლიანი გზა განვლო. იმისთვის, რომ მკითხველს წინამდებარე ნაშრომში დაყენებული საკითხების გააზრება-გაცნობიერება გაეუადვილო, მიზანშეწონილად ჩათვალე ამ მრავალწახნაგოვანი პროცესის თაობაზე მოკლე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

ბევრი მეცნიერებისგან განსხვავებით, ზუსტად სახელდება დემოგრაფიის დაბადების თარიღი, ანუ დასაბამი, საიდანაც იღებს იგი სათავეს. ესაა 1662 წლის იანუარი, როდესაც ლონდონში გამოქვეყნდა ინგლისელი თვითნასწავლი მეცნიერის, ჯორჯ გრაუნტის მოსახლეობის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი გრძელსახელწოდებიანი (როგორც მაშინ იყო მიღებული), მოკრძალებული მოცულობის (90 გვ.), მაგრამ პირველი ფუძემდებლური გამოკვლევა: „მოკვდაობის ბიულეტენების საფუძველზე გაკეთებული და თანდართულ სარჩევში ჩამოთვლილი ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი დასახელებული ქალაქის მართვის, რელიგიის, ვაჭრობის ზრდის, ჰაერის, ავადმყოფობებისა და სხვათა ცვლილებებთან დაკავშირებით ლონდონის მოქალაქე ჯორჯ გრაუნტის თხზულება“.

როგორც ცნობილი რუსი დემოგრაფი პროფესორი ვ. ბორისოვი აღნიშნავს, ჯ. გრაუნტის ნაშრომი ერთდროულად იქცა არა ერთი, არამედ სამი მეცნიერების – დე-

მოგრაფიის, სოციოლოგიისა და სტატისტიკის – ჩასახვის საფუძვლად, რომლებიც შემდგომი სამი საუკუნის განმავლობაში არკვევდნენ ერთმანეთს შორის „ნათესაურ“ კავშირს, ანუ ურთიერთშეხებისა და გადაკვეთის წერტილებს.¹

აღსანიშნავია, რომ ჯ. გრაუნტის ეს ნაშრომი იწერებოდა მაშინ, როდესაც ინგლისში (და არა მარტო ინგლისში) მძვინვარებდა შავი ჭირი და სხვა ეპიდემიური დაავადებანი, რომელთა თაობაზე რეგულარულად ქვეყნდებოდა მასალები ყოველკვირულ ბიულეტენში. აი, ამ მონაცემებზე დაკვირვებით გრაუნტმა პირველმა შეამჩნია მოსახლეობის* განვითარებისთვის დამახასიათებელი რიგი კანონზომიერებებისა (მოკვდაობის მჭიდრო კავშირი ასაკთან, ბიოლოგიურთან ერთად, სოციალური ფაქტორების ზემოქმედება მოკვდაობაზე, მოსახლეობის დინამიკისა და სტრუქტურის შესახებ მონაცემების აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკის ორგანიზაციული მართვისთვის და ა.შ.), რომელთაც არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ნაშრომმა უმოკლეს დროში პოვა საყოველთაო აღიარება და გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ, თვით

¹ ვ. ბორისოვი. დემოგრაფია. ა. სახვაძის ქართული თარგმანი, მეცნიერ-რედაქტორი პროფ. ვ. ლორთქიფანიძე. თბილისი, 1999, გვ. 9.

დემოგრაფიულ (და არა მარტო დემოგრაფიულ) ლიტერატურაში, განსაკუთრებით, მოსახლეობის აღწარმოების კანონებზე მსჯელობისას, იყენებენ ტერმინს „ხალხთმოსახლეობა“, რაც მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მის სინონიმურ ტერმინს „მოსახლეობა“ ისეთი საყოველთაო მოქალაქეობრივი უფლება აქვს დამკვიდრებული წერილობით თუ მეტყველებით პრაქტიკაში, რომ თითოეული ჩვენთაგანი მასში იმთავითვე ხალხის, ადამიანთა ჯგუფების (და არა ცხოველთა ან ფრინველთა) დასახლებას გულისხმობს. ამიტომ სრულიად ზედმეტად მიმაჩნია მისი ხმარება წინსართთან ერთად. მითუმეტეს, ენობრივი თვალსაზრისით იგი ქართულად ძალიან უხეშად უღერს.

მეფე კარლოს II-ის რეკომენდაციით, მისი ავტორი არჩეულ იქნა ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრად.¹

ჟ. გრაუნტის ნაშრომს მოჰყვა სხვა ანალოგიური ხასიათის ნაშრომებიც, მაგრამ ტერმინი „დემოგრაფია“ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამის შემდეგაც არ ფიგურირებდა მეცნიერულ ბრუნვაში. იგი შემოიღო მეცნიერ-დემოგრაფმა ჟან კლოდ აშილ გიიარმა 1855 წელს, როდესაც გამოქვეყნდა მისი წიგნი სათაურით: „ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია“. მისი განმარტებით, დემოგრაფია ესაა ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოგრაფიის საგანია ადამიანთა პოპულაციის, მათი საერთო მოძრაობის, ასევე ფიზიკური, მოქალაქეობრივი, ინტელექტუალური და მორალური მდგომარეობის მათემატიკური შეცნობა. იგი იკვლევს იმას, თუ როგორ ქორწინდებიან სხვადასხვა სქესის პიროვნებები, რა მასშტაბებით ქორწინდებიან ისინი, როგორ ზრდიან თავიანთ შვილებს, ბოლოს კი, განიხილავს იმას, თუ რა ასაკში და რა მიზეზით კვდებიან ადამიანები.

დემოგრაფიის ინტერესთა წრეს ფართოდ განსაზღვრავდა XIX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, ა. გიიარის შვილიშვილი, ჟაკ ბერტიიონი (სხვა ტრანსკრიპციით – ბერტილიონი). მისი მტკიცებით, დემოგრაფია კოლექტიურ ცხოვრებას სწავლობს².

1877 წელს პ. ლარუსის ფართოდ გახმაურებულ ენციკლოპედიაში პირველად გამოქვეყნდა სტატია სათაურით „დემოგრაფია“, რომელიც ადასტურებდა ახალი მეცნიერების დამკვიდრებისა და მასთან დაკავშირებული

¹ Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 93; პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი, 1973, გვ. 9.

² იხ. Бертильон Ж. Статистика движения населения во Франции. ЦПБ. 1889, с. 1-2.

ტერმინის გაერცვლეების დასაწყისს. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერების „დემოგრაფიის“ სახელწოდებით აღიარებას. მან ეს აღიარება პოვა ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესის ჟენევის სესიაზე 1882 წელს. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 70-იან წლებამდე ამ მეცნიერების არსი რამდენადმე სხვანაირად იყო გაგებული, ვინემ დღეს გვესმის. იგი ძირითადად მოსახლეობის (დემოგრაფიული) სტატისტიკის სინონიმად იხმარებოდა, რაც არ იყო შემთხვევითი.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასასრულს შეედეთსა და აშშ-ში, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ევროპის ბევრ ქვეყანაში დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო აღწერები. მოწესრიგებულ იქნა დაბადებათა, გარდაცვალებათა და ქორწინებათა რეგისტრაცია. ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღრიცხვიანობის სისტემა, რომელიც ძირითადად შენარჩუნებულია დღესაც; მნიშვნელოვნად გაფართოვდა სტატისტიკურ მონაცემთა წრე, რომელსაც მკვლევარები იყენებდნენ დემოგრაფიული პროცესების (შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება და ა.შ.) მეცნიერული შესწავლისთვის. ყოველივე ამან გაზარდა დემოგრაფიული სტატისტიკის პოპულარობა და საკუთრივ დემოგრაფია არსებითად მის შემადგენლობაში მოაქცია. ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში ბევრს კამათობდნენ არა მარტო დემოგრაფიის შესწავლის საგანზე, არამედ იმაზეც, იგი დამოუკიდებელი მეცნიერებაა თუ არა.

რაც შეეხება ნაშრომის დასაწყისში მინიშნებას იმაზე, რომ დემოგრაფიამ მეცნიერებად ჩამოყალიბების რთული და ძნელი გზა განვლო, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, მხედველობაში მქონდა XX საუკუნის 30-იან წლებში სსრ კავშირში (და არა მარტო მის ფარგლებში) მეცნიერების ამ დარგის მიმართ ერთგვარი უარყოფითი

დამოკიდებულება. იმდროინდელმა კომუნისტებმა, დემოგრაფია, რატომღაც თავიანთ იდეოლოგიასთან და იდეალებთან შეუთავსებელ ფენომენად მიიჩნიეს, ხოლო დემოგრაფები ხალხის მტრებად გამოაცხადეს. ამის გამოხატულება იყო ლენინგრადსა (ამჟამად სანქტ-პეტერბურგი) და კიევში ფუნქციონირებადი დემოგრაფიის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების დახურვა, დემოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიების აკრძალვა და ბევრი ცნობილი დემოგრაფის რეპრესირება¹.

სსრ კავშირში, მ.შ. საქართველოშიც, დემოგრაფიული მეცნიერების აღორძინება ამავე საუკუნის 60-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო, როცა აუცილებელი გახდა 1959 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერით მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზი და განზოგადება.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებულ ვითარებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის განვითარების შესახებ მეცნიერული ცოდნის სისტემას მნიშვნელოვანწილად აღწერილობითი ხასიათი ჰქონდა, ამიტომაც მართებულად იწოდებოდა იგი „დემოგრაფიად“, რაც წარმოსდგება ორი ბერძნული სიტყვისგან: demos – ხალხი, grapho – ეწერ და პირდაპირი მნიშვნელობით მოსახლეობის აღწარმოების სფეროში არსებული მდგომარეობის (ვითარების) აღწერა-აღწესხვას ნიშნავს.

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად შეივსო, გაფართოვდა და გაღრმავდა ამ მეცნიერული დისციპლინის კვლევის საკითხთა წრე. ამიერიდან იგი უკვე აღარ კმაყოფილდება შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინების, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის და ანალოგიური ხასიათის სხვა პროცესების

¹ Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с.118.

თაობაზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებითა და არსებული მდგომარეობის აღწერა-წარმოსახვით. მის მთავარ ამოცანებში შედის: მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ღრმა მეცნიერული ანალიზი მაღალ პროფესიონალურ დონეზე მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით და ამის საფუძველზე მეცნიერულ-თეორიული და პრაგმატული მნიშვნელობის მქონე საგულისხმო დასკვნების გაკეთება; დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის რთული მიზეზ-შედეგობრივი როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კორელაციური კავშირების წარმოჩენა; დემოგრაფიული განვითარების ამა თუ იმ ტენდენციის გამომწვევე მიზეზებთან ერთად, იმ ფაქტორთა დადგენა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ შობადობასა და მოკვდაობაზე; მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტიპების თანმიმდევრული მონაცვლეობის კანონზომიერებათა საფუძველიანი ანალიზი; აღწარმოებრივი ქცევისა და ოჯახში ბავშვებზე მოთხოვნის განმსაზღვრელ ფაქტორთა სისტემური ანალიზი; მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების განმსაზღვრელ ფაქტორთა დადგენა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა; გარკვევა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე ქალთა განათლება და დასაქმება, აგრეთვე მოსახლეობის მიგრაცია (განსაკუთრებით საერთაშორისო მიგრაცია), მატერიალური კეთილდღეობა, უმუშევრობა, ლტოლვილის მდგომარეობაში ყოფნა და სხვ.; დემოგრაფიული მოდელირება; დემოგრაფიული პროგნოზირება; რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკრეტული ვითარების შესაბამისი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის საფუძველების შემუშავება და ა.შ.

მოსახლეობის აღწარმოება, მისი რიცხოვნობის განახლებასთან ერთად, სტრუქტურის მუდმივ განახლებასაც გულისხმობს, რომელიც ხორციელდება როგორც მო-

მავალი თაობის ახლით შეცვლის, ისე მოცემული სტრუქტურული ნაწილების სხვაში გადასვლის გზით. ტერმინი „მოსახლეობის აღწარმოება“ თავისთავში მოიცავს მოსახლეობის განახლებასა და სტრუქტურულ ცვლილებებს სქესისა და ასაკის, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების, ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის, ტერიტორიაზე გადაგილებისა და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქი, სოფელი), განათლების, პროფესიულ-კვალიფიციური ნიშნის და მრავალი სხვა პარამეტრის მიხედვით, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობით. დემოგრაფია მოსახლეობაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს სწორედ ასეთ ფართო პლანში განიხილავს და მიღებულ დასკვნებს საზოგადოების სამსახურში აყენებს.

ადამიანთა თაობის განახლებას, ე.ი. შობადობის, მოკვდაობის, აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების პროცესების ურთიერთშემოქმედებასა და მთლიანად მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს, გარდა დემოგრაფიისა, უშუალოდ არცერთი მეცნიერება არ სწავლობს. დემოგრაფია თავიდან წარმოდგენილი იყო როგორც ერთი დამოუკიდებელი მეცნიერება, მაგრამ განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის მოხდა მისი ახალ თვისებრივ საფეხურზე ასვლა, ძირითადი მეცნიერული მიმართულებების მეტნაკლებად დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინების სახით (დემოგრაფიული სტატისტიკა, მათემატიკური დემოგრაფია, ისტორიული დემოგრაფია, რეგიონული დემოგრაფია, გამოყენებითი დემოგრაფია და სხვ.) გამოყოფა, აგრეთვე მონათესავე მეცნიერებათა მიჯნაზე ახალი დემოგრაფიული დისციპლინების (ეკონომიკური დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია, ეთნიკური დემოგრაფია, სამხედრო დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია და ა.შ.) წარმოქმნა და, საბოლოო ანგარიშით, დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემად ჩა-

მოყალიბება. ეს უკანასკნელი დემოგრაფიულ მეცნიერებათა უბრალო არითმეტიკულ ჯამს როდი ნიშნავს. ესაა დემოგრაფიულ დისციპლინათა ისეთი ორგანული ურთიერთკავშირი, რომელშიც თითოეულ მათგანს დემოგრაფიული ქცევის მეცნიერულ შესწავლაში თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს და მხოლოდ ყველა ერთად იძლევა მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში ყველა დისციპლინის როლი და მნიშვნელობა ერთნაირი არაა. დემოგრაფიულ დისციპლინათა მთელ სპექტრში გამორჩეული ადგილი უკავია დემოგრაფიის ზოგად თეორიას, ანუ დემოგრაფიის ზოგადთეორიულ კურსს (რომელიც მეტწილად დემოგრაფიის სახელწოდებით მოიხსენიება). იგი გვევლინება დემოგრაფიულ დისციპლინათა სისტემაწარმომქნელ მეცნიერებად, რომლის ზოგადთეორიულ და მეთოდოლოგიურ დასკვნებს ეფუძნება (დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უფრო ღრმად, საფუძვლიანად და ყოველმხრივ შესწავლის მიზნით) მის ბაზაზე აღმოცენებული ყველა დემოგრაფიული პროფილის მეცნიერება.

იმისთვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია, მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ სისტემაში შემავალი დემოგრაფიული დისციპლინების შესწავლის საგნის მოკლე დახასიათება¹.

¹ იხ. ლ. ჩიქავა. დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და კლასიფიკაცია. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“ (ეკონომიკის სერია). ტომი 1, 1993, №1, გვ. 32-49.

დემოგრაფიის ზოგადი თეორია^{*}. მისი ამოცანაა ისეთი გლობალური თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემების ფუნდამენტური კვლევა, როგორცაა: მოსახლეობის აღწარმოების მამოძრავებელი ძალები; მოსახლეობის აღწარმოების ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და რიგი სხვა ფაქტორით განპირობებულობა; მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმების განვითარების ისტორიული ტენდენციების ახსნა; დემოგრაფიული გადასვლები და მოსახლეობის აღწარმოების ტიპები; სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების ანალიზის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები და სხე.

დემოგრაფიის ზოგადი თეორია, როგორც მეცნიერება, ემყარება არა მარტო საკუთარ თეორიულ საფუძველს, არამედ მთელ რიგ ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და სხვა დისციპლინებში დამკვიდრებულ ცნებებსა და კატეგორიებს, კანონებსა და კანონზომიერებებს, თეორიულ კონცეფციებს. დემოგრაფიის ზოგადი თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ დაგროვილი ცოდნის სისტემატიზაცია და მისი ლოგიკური შეკერა. ამ პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს საერთო თეორიული კონცეფციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების ახსნას, ტენდენციების ანა-

^{*} დ. ვალენტეი და ა.კვაშა მას თეორიულ დემოგრაფიას უწოდებენ (იხ. Д.И. Валентей, А.Я. Кваша. Основы демографии. М., 1989, с. 224-230), რაც თითქოს საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ შინაარსისა და სახელწოდების შესაბამისობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, შევამჩნევთ მის სუსტ მხარეებს. ჯერ ერთი, შინაარსის მიხედვით საკითხი ეხება დემოგრაფიის თეორიულ ასპექტებს, ზოგად (გლობალურ) თეორიულ პრობლემებს და არა მის, როგორც დემოგრაფიული დისციპლინის, თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას; და მეორე, ასეთი სახელწოდება იმაზე მიგვანიშნებს, რომ თეორიული საკითხების კვლევა თითქოს საერთოდ არ შედიოდეს სხვა ზოგად და კონკრეტულ დემოგრაფიულ მეცნიერებათა კვლევის სფეროში. ჩემი აზრით, ამგვარ ხარვეზებს ნაკლებად შეიცავს სახელწოდება „დემოგრაფიის ზოგადი თეორია“.

ლიზს, აგრეთვე დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უახლოეს მომავალსა და შორეულ პერსპექტივაში განვითარების პროგნოზირებას.

დემოგრაფია ფართოდ იყენებს ისეთ სპეციფიკურ ცნებებსა და კატეგორიებს, როგორიცაა შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობა, ეროვნება, ოჯახი, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი, თაობა, კოჰორტა, დემოგრაფიული ქცევა და სხვ. თითოეულ მათგანს თავისი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, რომელიც აადვილებს დემოგრაფიულ მოვლენებს შორის არსებული დაკავშირების მეცნიერულ ანალიზს.

დემოგრაფია სწავლობს მოსახლეობის განვითარების კანონებს, რომლებიც ცალკეული საერთო ნიშნების მიუხედავად, განსხვავდებიან როგორც საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონებისგან, ისე ბუნების განვითარების კანონებისგან. მოსახლეობის აღწარმოების კანონების მოქმედებას გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს სხვადასხვა ქვეყანასა და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი მოვლენებიც, როგორიცაა ომები (განსაკუთრებით მსოფლიო ომები), ეპიდემიები, დემოგრაფიული აფეთქებები და ა.შ.

ზოგადთეორიულ დისციპლინებში შედის დემოგრაფიული მეცნიერების ისტორია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში მეტწილად დემოგრაფიის ისტორიის სახელწოდებით გვხვდება. იგი სწავლობს დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიულ პროცესს როგორც მთლიანად – წარმოშობიდან დღემდე, ისე ცალკეული პერიოდებისა და მოსახლეობის აღწარმოების შესახებ შეხედულებათა ევოლუციის მიხედვით. დემოგრაფიის ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული დემოგრაფიის ზოგად თეორიასთან და, გარკვეული გაგებით, მის ნაწილს წარმოადგენს.

რამდენადაც დემოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვანი კონპონენტი მასობრივი ციფრობრივი მონაცემებია, დემოგრაფიული მეცნიერების ისტორიაში დიდი ადგილი ეთმობა ამ მონაცემების და საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების პროცესების კონკრეტული ანალიზისთვის საჭირო მდიდარი ფაქტობრივი მასალის დამუშავების მეთოდების შესწავლას. ამ საკითხების ახსნისას დემოგრაფიის ისტორიას ახლო შეხების წერტილები აქვს სტატისტიკის ისტორიასთან, სოციოლოგიის ფორმირებასთან, აგრეთვე რიგი სხვა მეცნიერების მეთოდებთან.

დემოგრაფიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დემოგრაფიული ცოდნის დაგროვების პროცესში მიღებული თეორიული დასკვნებისა და განზოგადებათა, ამა თუ იმ დემოგრაფიული პრობლემის შესახებ წარმოყენებულ განსხვავებულ კონცეფციათა ურთიერთშეჯერება და კრიტიკული ანალიზი, რომელიც აადვილებს ჭეშმარიტების დადგენას. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე დემოგრაფიული გამოკვლევებისა და დემოგრაფიული პროგნოზების დამუშავების პრაქტიკის ურთიერთკავშირის, ასევე, სხვა ისტორიულ ეტაპზე დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირებაში მოსახლეობის აღწარმოების შესახებ ცოდნის მნიშვნელობის შესწავლა. დემოგრაფიის ისტორია მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორცაა მეცნიერულ-ორგანიზაციული პრობლემები (დემოგრაფიის დარგში სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის შექმნა, ნაშრომების პუბლიკაცია, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მოწყობა, მეცნიერთა კადრების მომზადება, დემოგრაფიის კავშირი მონათესავე მეცნიერულ დისციპლინებთან). განიხილავს რა დემოგრაფიის წარმოშობასა და ფორმირებას როგორც მთლიანად, მთელი მეცნიერების ისტორიის და განსაკუთრებით მოსახლეობის შესწავლის ისტორიის განუყოფელ ნაწილს, დემოგრაფიის ისტორია მოწო-

დებულება გაითვალისწინოს მეცნიერებათა მთელი კომპლექსის განვითარების გზები.

დემოგრაფიის ისტორია, როგორც წესი, დემოგრაფიულ წყაროებს იყენებს მხოლოდ მეორადი მასალის სახით, რამდენადაც აანალიზებს თეორიული და კონკრეტული დემოგრაფიული ნაშრომების პუბლიკაციების მონაცემებს, სამეცნიერო დაწესებულებების, კონფერენციების, თათბირებისა და სიმპოზიუმების მასალებს, დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ამსახველ სხვა დოკუმენტებს, მათ შორის, ზოგიერთ წყაროს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან, რომლებიც აუცილებელია ამ პროცესის უფრო სრულყოფილი გააზრებისთვის¹.

დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებას საქართველოში შედარებით მოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხებს ფრიად ფასეული ნაშრომები მიუძღვნეს და ამით ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებას ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს აწგანსვენებულმა ცნობილმა მეკლევარებმა ივ. ჯავახიშვილმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, პ. გუგუშვილმა, გ. გამყრელიძემ, ვ. ჯაოშვილმა, კ. ანთაძემ, მ. ბექიაძემ, ა. კაცაძემ.

ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დაარსება 1991 წელს, რომელსაც 16 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ამ სტრიქონების ავტორი. დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე ამჟამად ნაყოფიერად მუშაობენ და ამ დარგში სოლიდური გამოკვლევები გამოაქვეყნეს ა. თოთაძემ, ვ. ლოთქიფანიძემ, გ. წულაძემ, ა. სულაბერიძემ, მ. ხმალაძემ, ე. მენაბდიშვილმა, მ. ტუხაშვილმა, ლ. ჩიქავამ, ო. შურღაიამ, ლ. ბერიძემ, ნ. მაღლაფერიძემ, გ. ფირცხა-

¹ Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 160.

ლავამ, ა. სახვაძემ, გ. მელაძემ, ი. აბაშიძემ, მ. შელიამ და სხვებმა.

დემოგრაფიული მეცნიერების პრობლემატიკაზე მეცნიერულ კვლევას დიდ სამსახურს უწევს სტატისტიკური კრებული – „საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი“ გ. წულაძის, ნ. მაღლაფერიძისა და ა. ვადაჭკორიას ავტორობით, რომელიც უკვე ექვსი წელია, რაც სისტემატურად გამოდის. დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში ასევე სერიოზული წვლილი შეაქვს ვ. ლორთქიფანიძისა და ა. თოთაძის თაოსნობით დაარსებულ სამეცნიერო ჟურნალს – „დემოგრაფია“, რომელიც 1998 წლიდან გამოდის და მსოფლიოს ოც ქვეყანაში ვრცელდება.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკანასკნელ წლებში ფუნქციონირებდა პროფ. ვ. ლორთქიფანიძის თაოსნობით დაარსებული დემოგრაფიის კათედრა, რომელმაც მაგისტრატურის მეშვეობით დემოგრაფთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა.

ისტორიული დემოგრაფია. იგი, როგორც ზოგად-თეორიული დემოგრაფიული მეცნიერება, სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს ადამიანთა ცივილიზაციის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე იკვლევს მთელი მსოფლიოს, კონტინენტების, ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების მოსახლეობის მოძრაობას ისტორიულ ასპექტში, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განპირობებულობაში. რამდენადაც დემოგრაფიული ისტორია მთელი საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის ნაწილია, ისტორიული დემოგრაფია იმავდროულად ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაშიც შედის, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც შესწავლის ობიექტს – დემოგრაფიას ეკუთვნის, რაც წყვეტს კიდევ ამ მეცნიერული დისციპლინის, უწინარეს ყოვლისა, დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემისადმი მიკუთვნების საკითხს.

ისტორიული დემოგრაფიის ძირთადი ამოცანაა მოსახლეობის აღწარმოების, როგორც საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობის, ისტორიულ კანონზომიერებათა ახსნა. მასში გამოყოფენ კონკრეტული კვლევის სამ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას: პირველი – მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ისტორიის, აგრეთვე განსახლების, სიმჭიდროვისა და მიგრაციის შესწავლას იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე; მეორე – ამ პროცესების ისტორიული ევოლუციის ყოველმხრივ ანალიზს მათ სოციალურ განპირობებულობაში, მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპების ცვლილებათა კვლევას, რომელსაც აქვს უშუალო მნიშვნელობა არა მარტო თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების ანალიზისთვის, არამედ აგრეთვე მათი პროგნოზირებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისთვის; მესამე მიმართულება დაკავშირებულია დემოგრაფიული განვითარების ისტორიული განპირობებულობისა და ისტორიაში დემოგრაფიული ფაქტორების როლის დიალექტიკური ერთიანობის ახსნასთან.

საინფორმაციო წყაროების მდგომარეობის შესაბამისად, ისტორიულ დემოგრაფიას, არც თუ იშვიათად, ყოფენ სამ პერიოდად: „დამწერლობამდელი“, „სტატისტიკამდელი“ და „სტატისტიკური“. მათ შორის პირველის გამოკვლევა სწარმოებს პალეოგრაფიის მიერ პალეოანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მონაცემების გამოყენებით. „სტატისტიკამდელი“ პერიოდის შესახებაც წყაროები ძალიან ღარიბია, რაც აპირობებს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების შესწავლას მხოლოდ მრავალმხრივი არაპირდაპირი წყაროების მეშვეობით. ევროპის ქვეყნებისთვის ეს პერიოდი თარიღდება ძირითადად XVIII საუკუნის დასასრულითა და XIX საუკუნის დასაწყისით, ე.ი. მოსახლეობის აღწერების დაწყებით. მე-

სამე პერიოდი კი უკავშირდება მოსახლეობის შესახებ უფრო სარწმუნო სტატისტიკური ინფორმაციის (აღწერები, მიმდინარე აღრიცხვა) მიღებას.

ისტორიული დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ფორმირება დაიწყო მოსახლეობის ისტორიის შესწავლის განსაზღვრულ ეტაპზე, დაახლოებით XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში, როცა დემოგრაფიული მეცნიერების აღმოცენებასთან დაკავშირებით თანდათანობით განისაზღვრა დემოგრაფიული ისტორიის კვლევის სფერო. სწორედ მაშინ (XIX საუკუნის 90-იან წლებში) პირველად იქნა ხმარებული ტერმინი „ისტორიული დემოგრაფია“, თუმცა ფართო გავრცელება მან მხოლოდ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან პოვა.

XX საუკუნის შუა ხანებამდე ისტორიული დემოგრაფიის კვლევა წარიმართებოდა ძირითადად მისი ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან პირველის ფარგლებში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მეცნიერის ძალისხმევით ძირითადად დადგენილ იქნა ისტორიული განვითარების მსვლელობაში მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის პროცესი. დაიწყო დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ევოლუციის, დემოგრაფიული პოლიტიკური ისტორიისა და ზოგიერთი სხვა პრობლემის შესწავლა. ამ პირველადი მონაცემების დაგროვების საფუძველზე ა. ლანდრიმ (1909 და 1934 წლებში) წამოაყენა პიპოთეზა „დემოგრაფიული რევოლუციის“ თაობაზე, რომლის თანახმადაც დემოგრაფიული ისტორია წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ერთიმეორის შემცვლელი ტიპების ერთიანობას.

ისტორიული დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, წინაშე ამჟამად მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის თანამედროვე განვითარების ისტორიული ტენდენციების ანალიზის მეტად რთული ამოცანები დგას. ეს დღის წესრიგში აყენებს ისტორიულ-

დემოგრაფიული ანალიზის მეთოდოლოგიისა და მეთოდო-
კის სრულყოფის აუცილებლობას. ამ მიმართულებით ბევ-
რი კარგი საქმე გააკეთა საქართველოში პირველად 1991
წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-
სტიტუტში ჩამოყალიბებულმა ისტორიული დემოგრაფიის
განყოფილებამ (გამგე პროფ. ა. თოთაძე), მაგრამ კარგი
ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანას ხელი შეუშალა 2006
წელს „ინსტიტუტის რეორგანიზაციის“ მოტივით ამ გან-
ყოფილების გაუქმებამ.

დემოგრაფიული სტატისტიკა. დემოგრაფიისა და
სტატისტიკის ურთიერთ-მიმართების თაობაზე დემოგრა-
ფიულ (და არა მარტო დემოგრაფიულ) ლიტერატურაში
ფიგურირებს სამი განსხვავებული თვალსაზრისი. პირვე-
ლი თვალსაზრისის თანახმად, დემოგრაფია იგივე მოსახ-
ლეობის სტატისტიკაა. მეორე თვალსაზრისის მომხრეები
თვლიან, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (პარალე-
ლურად) არსებობს მოსახლეობის სტატისტიკა, როგორც
სტატისტიკური მეცნიერების დარგი, და დემოგრაფია, რო-
გორც საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც სწავ-
ლობს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაო-
ბის საერთო კანონზომიერებებს. მესამე თვალსაზრისით,
მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიული მეცნიერების
მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს.

ამ საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება ასეთია:
„მოსახლეობის სტატისტიკა“ და „დემოგრაფიული სტა-
ტიკა“ იდენტური ცნებებია, ხოლო „მოსახლეობის
(დემოგრაფიული) სტატისტიკა“ და „დემოგრაფია“, მჭიდ-
რო ურთიერთკავშირის მიუხედავად, შინაარსობრივი დატ-
ვირთვით არ ემთხვევა ერთმანეთს. „დემოგრაფიული სტა-
ტიკა“, როგორც ამის შესახებ მართებულად მიუთითე-
ბედა პროფ. ა. ბოიარსკი ჯერ კიდევ გასული საუკუნის
70-იან წლებში, „დემოგრაფიის“ ერთ-ერთი შემადგენელი
ნაწილია. როგორც ცნობილია, „ფიზიკა“ ცდებით იწყება,

“დემოგრაფია“ კი - ფაქტებით, რომლებიც დადგენილია მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე. ისე როგორც ცდა თავისთავად არაა „ფიზიკა“, თავისთავად არც მოსახლეობის სტატისტიკაა „დემოგრაფია“, თუმცა, დემოგრაფიული პრობლემების კვლევაში ფაქტები და შესაბამისი კონკრეტული მასალა განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. დემოგრაფიულ ლიტერატურაში მართებულადაა გაკეთებული მინიშნება იმაზე, რომ დემოგრაფიულ მეცნიერებაში ფაქტებსა და ფაქტობრივ მონაცემებს თითქმის ისეთივე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰაერსა და წყალს ადამიანისთვის. მოსახლეობის სტატისტიკაში გამოყენებული მეთოდებით სარგებლობა უადვილებს დემოგრაფს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთებას.

დემოგრაფიული სტატისტიკა იკვლევს დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უპირატესად რაოდენობრივ განზომილებებს სტატიკასა და დინამიკაში, გვთავაზობს მეცნიერულად დასაბუთებულ მრავალფეროვან სტატისტიკურ ფორმებს, ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა გამოყენება აადვილებს მოსახლეობის მოძრაობის თაობაზე მდიდარი ფაქტობრივი მასალის მოპოვებას, დაჯგუფებას, გადმოცემას, გაანალიზებასა და განზოგადებას, აგრეთვე მათ ფაქტორულ ახსნას.

დემოგრაფიული სტატისტიკის თეორიული საფუძველია დემოგრაფიის ზოგადი თეორია, მეთოდოლოგიურ ნაწილში კი იგი ემყარება აგრეთვე სტატისტიკის ზოგადი თეორიის პრინციპებს. დემოგრაფიული სტატისტიკა მხედველობაში არ ღებულობს ადამიანთა მრავალფეროვან ინდივიდუალურ თვისებებს და განიხილავს მათ საერთო მახასიათებელთა მხოლოდ შეზღუდულ რიცხვს (ასაკს, სქესს, ოჯახურ მდგომარეობას და სხვ.), რომლებიც მნიშვნელოვანია მოსახლეობის აღწარმოებისთვის, ე.ი. მოსახ-

ლეობას ან მის ჯგუფს განიხილავს როგორც შედარებით ერთგვაროვან ერთობლიობას, ხოლო დემოგრაფიულ მოვლენებს, როგორც შემთხვევით მოვლენებს. ეს შესაძლებელს ხდის მოსახლეობის აღწარმოების შესწავლისთვის გამოყენებულ იქნეს საერთოდ ცნობილ სტატისტიკურ მეთოდთა უმრავლესობა.

დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემები ფართოდ გამოიყენება დემოგრაფიის მიერ მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებების შესწავლის დროს. თანამედროვე პირობებში ეს მონაცემები სულ უფრო სრულყოფილი ხდება მათი ანალიზისას მათემატიკური და სოციოლოგიური მეთოდების, აგრეთვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შედეგად.

მათემატიკური დემოგრაფია. იმისთვის, რომ ცოდნის გარკვეულმა სისტემამ მეცნიერების სტატუსი მიიღოს, ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მათემატიკური მეთოდებით სარგებლობას მიიჩნევენ. ეს ეხება დემოგრაფიასაც.

მათემატიკური დემოგრაფია, როგორც მათემატიკისა და დემოგრაფიის მიჯნაზე აღმოცენებული მეცნიერული დისციპლინა, დემოგრაფიული მოვლენების გამოყენების საფუძველზე მათემატიკური მეთოდებით სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს. სხვანაირად მას ფორმალურ ანუ წმინდა დემოგრაფიასაც უწოდებენ, რამდენადაც იგი ახდენს დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ფორმალიზებას, ე.ი. მოსახლეობის მთელი რიგი ხარისხობრივი მახასიათებლების, ნიშნებისა და თვისებებისგან აბსტრაგირებას. თუმცა, მათემატიკური მეთოდების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებამდე, რომელთა იქითაც იგი იწვევს შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების შინაარსის გაყალბებას.

რა შემთხვევაში და როდისაა მიზანშეწონილი დემოგრაფიული კვლევა-ძიებისას მათემატიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება?

- როცა სურთ დემოგრაფიული პროცესების ობიექტურ კანონზომიერებათა დადგენა და მათ განვითარებაზე შემთხვევითი ფაქტორების გავლენის გამორიცხვა;
- როცა უნდათ რამდენიმე ვარიანტიდან ისეთი ოპტიმალურის გამორჩევა, რომელიც ყველაზე უკეთ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს;
- როცა სწავლობენ ისეთ დინამიკურ ცვლილებებსა და სეზონურ რყევებს, რომლებიც იწვევენ ამა თუ იმ დემოგრაფიული ერთობლიობის რიცხოვნობის ცვლილებებს;
- როცა მიზნად ისახავენ შერჩევითი გამოკვლევების რეპრეზენტატულობის ხარისხის გაანგარიშებას;
- როცა საჭიროდ თვლიან საშუალო მაჩვენებლებისა და დისპერსიის გამოყენებით ჯგუფებს შორის არსებითი და არაარსებითი განსხვავების დასაბუთებას;
- როცა სურთ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირების ინტენსიურობის დადგენა;
- როცა კვლევის ობიექტია არა აბსოლუტური რიცხვები, არამედ ფარდობითი სიდიდეები (სტრუქტურა, კოორდინაცია, ინტენსიურობა, დინამიკა და ა.შ.), რომლებიც ძალიან ხშირად გვხვდება და გამოიყენება დემოგრაფიაში;
- ამა თუ იმ ჰიპოთეზის შემოწმებისას, რომლის დადასტურება ან დაუდასტურებლობა უნდა დაემყაროს შესაბამისი ფაქტების მოძიებასა და საფუძვლიან ანალიზს¹.

მათემატიკური დემოგრაფია, თავის ისტორიულ წარმოშობა-განვითარებაში, მნიშვნელოვნად უსწრებდა ამ

¹ Проблемы демографии (вопросы теории и практики). Под редакцией Д.П. Бронера и Н.Г. Венешкого, М., 1971, с. 58-59.

ნაშრომში დასახელებულ სხვა კონკრეტულ და სპეციალურ დისციპლინებს. მის აღმოცენებას უკავშირებენ ჯ. გრაუნტის ნაშრომებს, რომლებშიც მოცემულია, თანამედროვე გაგებით, მოკვდაობის ცხრილის აგების პირველი ცდა. იმ დროიდან მოყოლებული განუწყვეტლივ მიმდინარეობს მოკვდაობის მოდელირების ცხრილისებური მეთოდების სრლყოფა. ი. მიურემ 1764 წელს პირველმა ააგო ქორწინების ცხრილი. ა. ლოტიმ თავისი 1907-1948 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სერიით დაუღო სათავე მოსახლეობის აღწარმოებისა და სტრუქტურის ურთიერთკავშირის მათემატიკური მეთოდების მეშვეობით შესწავლას, რომელმაც ბევრ საინტერესო კითხვაზე პირველად გასცა ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხი.

მათემატიკური დემოგრაფიის მეთოდების გამოყენებას საფუძვლად უდევს მათემატიკური დემოგრაფიული მოდელების სისტემა. მათემატიკური მეთოდების საფუძველზე აგებული დემოგრაფიული მოდელების დანიშნულებაა გამოხატოს მოსახლეობის აღწარმოების მთელი პროცესის ან მისი ცალკეული ელემენტების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები დინამიკაში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აადვილებს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა სწრაფად, ნათლად და კომპლექსურად აღქმას. დემოგრაფიული მოდელების აგებისა და გამოყენებისას აუცილებელი ხდება აბსტრაქირება მოდელირების ობიექტისთვის მახასიათებელი მთელი რიგი არარსებითი ნიშნისა და თვისებისგან, უწინარეს ყოვლისა, ისეთებისგან, რომელთაც მოცემულ მოდელში გადასაწყვეტი ამოცანების თვალსაზრისით არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ამრიგად, დემოგრაფიულ მოდელებს საფუძვლად უდევს მოდელირების ობიექტის – დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ფორმალიზება, რაც აადვი-

ლებს სათანადო დასკვნების გაკეთებასა და მათ განზოგადებას.

განასხვავებენ დემოგრაფიულ მაკრო- და მიკრო მოდელებს. პირველი მათგანი დემოგრაფიულ პროცესებს ასახავს მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ჯგუფის, ხოლო მეორე – ინდივიდის ან ოჯახის დონეზე. მიკრომოდელები გამოიყენება ძირითადად დემოგრაფიული მოვლენების (შობადობა, მოკვდაობა და ა.შ.) ფაქტორთა ანალიზის დროს.

დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას მათემატიკური დემოგრაფიის მეთოდები მეტ-ნაკლებად დემოგრაფიული პროფილის ყველა დისციპლინაში გამოიყენება, მაგრამ უპირატესად მას იყენებენ: მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების – დემოგრაფიული ცხრილებისა და ცალკეული დემოგრაფიული მაჩვენებლების მისაღებად, რომელთა დიდი ნაწილი (მაგალითად, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები, დაბადებიდან მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხვ.) შეიძლება შინაარსობრივად გააზრებულ და სწორად შეფასებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი დემოგრაფიული მოდელების ჩარჩოებში; დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებათა შესწავლის მიმდინარეობისას მათ ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირის არსებობის გამოსავლენად, გასაზომად და დასამტკიცებლად; დემოგრაფიული პროგნოზის, რეტროსპექტული შეფასებებისა და მოსახლეობასთან დაკავშირებული სხვა გაანგარიშებების დროს; მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ამოცანების განსაზღვრისა და დაზუსტების დროს და ა.შ.¹

მათემატიკური დემოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მისი მეთოდების შედარებით

¹ იხ. Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 242.

უფრო სრულყოფილებით. მხედველობაში მაქვს კომპიუტერების გამოყენების საფუძველზე, მათემატიკური მეთოდების დახვეწა და გამრავალფეროვნება, აგრეთვე არასრული და ნაკლებად სარწმუნო ინფორმაციის პირობებში დემოგრაფიულ გაანგარიშებათა მეთოდების შემუშავება მოდელური ცხრილების გამოყენების გზით.

თანამედროვე მათემატიკური დემოგრაფია იყენებს მათემატიკური ანალიზის, ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკის და სხვა მათემატიკურ მეცნიერებათა მეთოდებს. დემოგრაფიულ გაანგარიშებათა პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოთვლითი მათემატიკის მეთოდებს, ინტერპოლაციას და ექსტრაპოლაციას, როცხვით ინტეგრირებას და ა.შ.

სპეციალისტთა დასკვნით, დემოგრაფია ვალშია მათემატიკის წინაშე მთელი რიგი სრულყოფილი მეთოდების შეთავაზებისთვის, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი, მოკვდაობის ცხრილების გაანგარიშებისთვის მეცნიერული საფუძვლების შექმნაა. როგორც ცნობილია, მოკვდაობის ცხრილების აგება ეფუძნება ალბათობის თეორიას, რომელიც გულისხმობს დიფერენციალურ და ინტეგრალურ გაანგარიშებებს.

დემოგრაფიული პროგნოზირება. იგულისხმება მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი პარამეტრების (მოსახლეობის რიცხოვნობა, შობადობა, მოკვდაობა, ასაკობრივ-სქესობრივი და ოჯახური სტრუქტურა, ქორწინება, განქორწინება და სხვა ხარისხობრივი მახასიათებლები) მეცნიერულად დასაბუთებული განჭვრეტა პერსპექტივაში. დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებისა და საპროგნოზო პერიოდისთვის მისი ცალკეული მახასიათებლების მიხედვით მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით ჩვეულებრივ რამდენიმე ვარიანტად გაითვლება პროგნოზული მაჩვენებლები. სათანადო გაანალიზების საფუძველზე დგინდება რეალურთან უფრო მიახ-

ლოებული ვარიანტი, რომელსაც მიიჩნევენ დემოგრაფიულ პროგნოზად. მისი სრულყოფილება დიდადაა დამოკიდებული, როგორც მოსახლეობის აღწერის, დემოგრაფიული მოვლენების მიმდინარე აღრიცხვისა და მოსახლეობის შერჩევითი შესწავლის საფუძველზე მიღებული მონაცემების სიზუსტეზე, ისე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მთელი კომპლექსის გავლენით, დემოგრაფიული პროცესების ცვლილებათა შესახებ ჰიპოთეზის მეცნიერულ დასაბუთებულობაზე.

დემოგრაფიული პროგნოზირების, როგორც მეცნიერული დისციპლინის, უპირველესი ამოცანაა კვლევის ისეთი მეცნიერულად დასაბუთებული ხერხებისა და მეთოდების შემუშავება, რომელთა გამოყენებას შეუძლია უზრუნველყოს მოსალოდნელ რეალურ დემოგრაფიულ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პროგნოზულ მაჩვენებელთა გამოთვლა.

მრავალ სხვა საგულისხმო შედეგთან ერთად, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გზით საპროგნოზო პერიოდისთვის მიახლოებით მაინც შეგვიძლია განვსაზღვროთ შრომითი რესურსების ოდენობა, მათი ასაკობრივ-სქესობრივი და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა, განათლების დონე, არასრულწლოვანთა და პენსიონერთა, ანუ დასაქმებულთა კმაყოფაზე მყოფთა, აგრეთვე ფერტილური ასაკის ქალთა რიცხოვნობა, ოჯახების რაოდენობა და ბევრი სხვა ანალოგიური მაჩვენებელი, რაც ფრიად საგულისხმო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ამის საფუძველზე პერსპექტივაში შეიძლება გამოვთვალოთ წარმოების თითოეული დარგის განვითარების შესაძლებლობანი (სამუშაო ძალის ნაწილში), საჭიროება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებზე (საბავშვო ბაგები და ბაღები), ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებზე, სავაჭრო, საყოფა-

ცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ობიექტებზე სოციალური ჯგუფების მიხედვით და რეგიონულ ჭრილში, მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებსა და არასასურსათო ნაწარმზე, ხანგრძლივი მოხმარების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე, საცხოვრებელ ბინებზე, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებზე, საკურორტო მომსახურების ობიექტებზე და სხვ. ყოველივე ამის წინასწარი გამოთვლის გარეშე ქვეყანაში ვერ დამყარდება აუცილებელი სახალხო მემურნეობრივი პროპორციები. მეტიც, საზოგადოებაში დამკვიდრდება ანარქია და ქაოსი, შეუძლებელი გახდება მოსახლეობის ცხოვრების დონის უმნიშვნელო ამადლებაც კი.

უტყუარი დემოგრაფიული პროგნოზირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის მათემატიკური მეთოდების გონივრულ გამოყენებას. ამის გაკეთება არ ძალუძთ მათემატიკის არმცოდნე დემოგრაფებს, ისე როგორც დემოგრაფიის არმცოდნე მათემატიკოსებს. ამაზე ხელეწიფებათ მეცნიერების ამ ორივე დარგს ღრმად დაუფლებულ პირებს, განსაკუთრებით – მათემატიკური დემოგრაფიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ასეთი სპეციალისტების მომზადება დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა. სამმა ახალგაზრდამ სამეცნიერო ხარისხი დაიცვა მათემატიკურ დემოგრაფიაში და ამჟამად ისინი წარმატებით მუშაობენ ამ მიმართულებით. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მომავალში ამ საკითხს მეტი ყურადღება სჭირდება.

რეგიონული დემოგრაფია. იგი სწავლობს მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში (კონტინენტები, ქვეყნები, ზონები და ა.შ.) მოსახლეობის ფორმირების კანონზომიერებებს მათი თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მიზნით იგი განსაზღვრავს რეგიონულ ჭრილში შესარჩევ

ფაქტობრივ მონაცემებს, მათი მოპოვების, დამუშავებისა და განზოგადების სპეციალურ ხერხებსა და მეთოდებს, აგრეთვე მაჩვენებლებს, რომლებშიც აისახება დემოგრაფიული განვითარების მოვლენები და პროცესები. რეგიონული დემოგრაფია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პირობების ტიპოლოგიის დამუშავებას. რეგიონული ეკონომიკის სისტემაში მოსახლეობის ფუნქციონირების შესწავლა გარკვეულ პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს სინთეზურ ცნებას – „რეგიონული სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია“. კონკრეტული სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც ერთმანეთისგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულია, მაგალითად, რაჭისა და ქვემო-ქართლის რაიონებში, აპირობებს თითოეული რეგიონისთვის შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის მექანიზმის შერჩევასა და გამოყენებას.

რეგიონული დემოგრაფიის შესწავლის უშუალო ობიექტია რეგიონში მიმდინარე მრავალფეროვანი დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები, რომელთაც აქვთ მასობრივი ხასიათი და შეიძლება ასახულ იქნან დემოგრაფიულ მაჩვენებლთა მეშვეობით. მხედველობაში მაქვს ისეთი პროცესები, როგორცაა: ქორწინება, განქორწინება, შობადობა, მოკვდაობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, დემოგრაფიული დაბერება, ფერტილური ასაკის ქალთა დასაქმება და რიგი სხვა მაჩვენებლებისა, მათი გამომწვევი მიზეზებითა და მოსალოდნელი შედეგებით.

რეგიონულ დემოგრაფიულ გამოკვლევებში იყენებენ როგორც ტრადიციულ, ისე სპეციალურ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს. სპეციალურს განეკუთვნება, მაგალითად, მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მიგრაციას, როგორც მოცემული რეგიონის მოსახლეობის მატების ან შემცირების წყაროს, აგრეთვე შეფასებითი ეკონომიკურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც შესაძლებელს

ხდის, მაგალითად, მოსახლეობის მაქსიმალურად შესაძლებელი და ოპტიმალური რიცხოვნობისა და სიმჭიდროვის განსაზღვრას. მათი გაანგარიშებისას გამოდიან რეგიონის ეკონომიკის „დემოგრაფიული ტევადობიდან“, რომელიც განპირობებულია მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონით, ბუნებრივი რესურსების მდგომარეობითა და სხვა ფაქტორებით. მაგალითად, აგრარული რეგიონისთვის მხედველობაში მიიღება ათვისებისთვის გამოსადეგი მიწის ფართობი, ხოლო სამრეწველო მიმართულების რეგიონისთვის – დასახლებული პუნქტების ფუნქციონალური ტიპები, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების მეურნეობრივი ათვისების მასშტაბები და ფორმები და ა.შ.

რეგიონის მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა გამოვლენა ითვალისწინებს დემოგრაფიული განვითარების თეორიულ ახსნას და მასზე მოქმედი ფაქტორების შესაბამის ანალიზს. ამ ფაქტორებისა და მათი ურთიერთკავშირების განსაზღვრისთვის გამოიყენება „ძიებითი ლოგიკური სქემის“ მეთოდი, რომელიც გულისხმობს რეგიონების მიხედვით ადრე შემუშავებული გამოკვლევების მოცემული რაიონის ანალოგიურ ეკონომიკურ-დემოგრაფიულ სიტუაციაში ახალი გამოკვლევის პირველი ეტაპის სახით გამოყენებას¹.

რეგიონული დემოგრაფია რიგ პრობლემებს იკვლევს ისეთ მომიჯნავე მეცნიერებებთან კონტაქტში, როგორცაა მოსახლეობის გეოგრაფია, მოსახლეობის სტატისტიკა, შრომის ეკონომიკა და სხვ. რაც შეეხება კონკრეტულ დემოგრაფიულ დისციპლინებს, ისინი თავიანთი პროფილის შესაბამისად მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს სწავლობენ რეგიონულ-დემოგრაფიულ ჭრილში.

უკანასკნელ პერიოდში რეგიონული დემოგრაფიული პრობლემები სულ უფრო მეტად ექცევა მეცნიერ-დემოგრაფთა კვლევის არეალში, რაც აისახება რეგიონულ თა-

¹ იხ. Демографический энциклопедический словарь. М., 1985, сс. 364-365.

ვისებურებათა გათვალისწინებით დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაციის მოთხოვნებში.

გამოყენებითი დემოგრაფია. მისი დანიშნულებაა ფუნდამენტური თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიების კვალობაზე დემოგრაფიულ მეცნიერებაში გაკეთებული ფასეული დასკვნებისა და დადგენილი მეთოდური მიდგომების ოპერატიული გამოყენება მოსახლეობის აღწარმოებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში. იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ყოველმხრივ გააზრებულ-დასაბუთებული, თითოეული დემორეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება, რომელსაც ძალუძს ხელი შეუწყოს დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დარეგულიერებას, მათ ნორმალიზებასა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ წარმართვას. გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტის ირვინგ ფიშერის შეხედულებით, თეორია სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს გამოყენებითი მნიშვნელობა.

გენეტიკური დემოგრაფია. გენეტიკა დემოგრაფიასთან დაკავშირებულია იმით, რომ იგი იკვლევს მემკვიდრეობის (მშობელთა და მათი წინაპრების ძირეული ნიშან-თვისებების) თაობიდან თაობაზე (საერთოდ შთამომავლობაზე) გადაცემასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს და მათ გავლენას მოსახლეობის აღწარმოების ისეთ პროცესებზე, როგორცაა დემოგრაფიული ქცევა, შეიღიანობა, დაბადებიდან სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლიეობა, დაავადებებისადმი მიდრეკილება, ქორწინება ადრეულ თუ გვიანდელ ასაკში და სხვ.

დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია დემოგრაფიისა და ეკონომიკის მიჯნაზე აღმოცენებულ მეცნიერულ დისციპლინას – ეკონომიკურ დემოგრაფიას. ეს არის მეცნიერება, რომე-

ლიც სწავლობს ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის აღწარმოების ურთიერთკავშირს მათს სოციალურ-ეკონომიკურ განპირობებულობაში. როგორც ცნობილია, მოსახლეობას ისევე არ შეუძლია ეკონომიკის გარეშე არსებობა, როგორც ეკონომიკას მოსახლეობის გარეშე.

რაში გამოიხატება მოსახლეობის აღწარმოების გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე? – დიდი განსწავლულობა არ სჭირდება იმის აღქმას, რომ მოკედაობის, განსაკუთრებით კი შობადობის ინტენსივობის ცვლილებებს (რიგ შემთხვევაში გარე მიგრაციულ ცვლილებებსაც) სათანადო კორექტივი შეაქვს შრომისუნარიანი და არაშრომისუნარიანი ასაკის პირთა რიცხოვნობის თანაფარდობაში, რომელიც უშუალოდ რეაგირებს ეკონომიკის განვითარებაზე. ცხადია, ერთ შრომისუნარიანზე, რაც უფრო მეტი არაშრომისუნარიანი (ანუ კმაყოფაზე მყოფი) მოდის, მით უფრო მეტი მოთხოვნები წაეყენება დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობას. მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის არაშრომისუნარიანი ნაწილის ასაკობრივ სტრუქტურასაც. თუ მის რიცხოვნობაში იზრდება მოზარდების ანუ პოტენციურ შრომისუნარიანთა ხვედრითი წონა, მომავალში შეიძლება ველოდოთ თითოეული დასაქმებული შრომისუნარიანის დატვირთვის რამდენადმე შემცირებას. იმ შემთხვევაში კი, თუ იზრდება პენსიონერთა ხვედრითი წონა, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს თითოეული დასაქმებული შრომისუნარიანის დატვირთვის გაზრდას. სხვანაირად საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს კმაყოფაზე მყოფთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე გავლენას ახდენს მოსახლეობის არა მარტო ასაკობრივი, არამედ სქესობრივი სტრუქტურაც. სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, შეინიშნება მამაკაცებისა და ქალების გარკვეული მიდრეკილება ამა თუ იმ პროფესიისადმი. მაგალითად, მოპოვებითი მრეწველობის დარგებ-

ში, ასევე მეტალურგიაში და მძიმე მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგში უმთავრესად მამაკაცები მუშაობენ, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და ა.შ. – ძირითადად, ქალები. მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის შეცვლას (განსაკუთრებით ცალკეულ რეგიონებში) შეუძლია დიდი სიძნელეები შექმნას წარმოების ამა თუ იმ დარგის განვითარების თვალსაზრისით. ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომისუანრიანი ასაკის მოსახლეობაში ქალთა (განსაკუთრებით ფერტილური ასაკის ქალთა) ხვედრითი წონა, მათი განათლებისა და დასაქმების დონე, პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, ქორწინებაში ყოფნის მდგომარეობა, თითოეულის შვილთა რიცხოვნობა და ა.შ.

ეკონომიკა, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიული ფაქტების ახსნა, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებში უნდა ვეძიოთ. მართალია, ბავშვის დაბადება თავისთავად ბიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ მისი აღზრდა-ჩამოყალიბება, პროფესიის დაუფლება, შრომითი საქმიანობა ხომ ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარეობს. მოსახლეობის აღწარმოებაზე მეტ-ნაკლები ზომით გავლენას ახდენს: სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებით, სკოლა-ინტერნატებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებით, საცხოვრებელი ბინებით, პირადი მოხმარების საგნებით, სამუშაო ადგილებით, სამედიცინო დაწესებულებებით, სანატორიუმებით და მრავალი სხვა მატერიალური და სულიერი სიკეთით უზრუნველყოფა. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გარკვეულ როლს ასრულებენ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში (თუმცა არა ყველგან ერთნაირი ზომით), განსაკუთრებით კი – მის რეალიზაციაში. მხედველობაში მაქვს მოსახლეობის აღწარმოების

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი (ხარისხობრივი) მხარე. თაობათა განახლებისას რიცხოვნობაზე არანაკლები მნიშვნელობისაა ის, თუ რაოდენ ჯანსაღი და ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ახალგაზრდობა აღიზრდება. ცხადია, ამის უზრუნველყოფაში პრიმატი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ენიჭება.

ამრიგად, მოსახლეობის აღწარმოებას აქვს ბიოლოგიური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული, სამართლებრივი, სოციოლოგიური, ეთნიკური და კიდევ მრავალი სხვა ასპექტი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებია. ამის დასტურია ის, რომ ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველს მატერიალური (და მასთან ერთად არამატერიალური) დოვლათის წარმოება შეადგენს. მოსახლეობაა ამ დოვლათის მწარმოებელიცა და მომხმარებელიც. მოსახლეობის აღწარმოება და ეკონომიკა დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია და ერთიმეორეს აპირობებენ.

ეკონომიკურ-დემოგრაფიული გაანგარიშებისთვის მთავარია არა მარტო იმის დადგენა, რომ არსებობს კავშირი ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მოვლენებს შორის, არამედ მათი ურთიერთგავლენის რაოდენობრივ პარამეტრებში გამოხატვაც, რაც ეკონომიკური დემოგრაფიის წინაშე დასმული ფრიად რთული, მაგრამ, ამასთან, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანაა.

სოციოლოგიური დემოგრაფია. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის შესაყარზე აღმოცენებული ეს მეცნიერება სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა სოციოლოგიურ ასპექტებს, დემოგრაფიისა და სოციალური პროცესების ურთიერთზემოქმედებას. საკუთრივ დემოგრაფიისგან სოციოლოგიური დემოგრაფია იმით განსხვავდება, რომ პირველი მათგანი მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს სწავლობს უპირატესად მაკროდონეზე, ე.ი. მთელი მოსახლეობის ან მისი მსხვილი

ჯგუფების მიხედვით, მეორე კი – ძირითადად მიკროდონეზე, რამდენადაც განიხილავს ოჯახის სტრუქტურას, ნათესაურ ურთიერთობებს, პიროვნებას, საზოგადოებასთან მის მიმართებას და ა.შ. მაშასადამე, სოციოლოგიურ დემოგრაფიაში მთავარი ყურადღება ექცევა სოციალური ნორმების, დემოგრაფიული განწყობის, დემოგრაფიული ქცევისა და მისი ფაქტორების განხილვას. ამითვე განისაზღვრება სოციოლოგიურ დემოგრაფიაში გამოყენებული მეთოდების თავისებურებანი. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდი. პრაქტიკაში იყენებენ სოციოლოგიური (მ.შ. დემოგრაფიულ-სოციოლოგიური) ინფორმაციის შეგროვების სამ ძირითად სახეობას: გამოკითხვას, დოკუმენტების ანალიზსა და დაკვირვებას. გამოკითხვის წესით სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვება ხდება რესპონდენტებთან გასაუბრებით (მათგან ინტერვიუს აღებით) ან ამ უკანასკნელთა მიერ სპეციალური ანკეტების შევსების გზით.

დოკუმენტების ანალიზთან ერთად, გამოკითხვის წესით მიღებული მასალა წარმოადგენს ყოველგვარი დემოგრაფიული ინფორმაციის მიღების პირველ წყაროს. უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად გამოიყენება გამოკითხვის სპეციალურად დამუშავებული ფორმები, რომელთა მიზანია ინფორმაციის მიღება დემოგრაფიული ქცევისა და განწყობის კომპონენტებზე სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შესახებ. დემოგრაფიული განწყობის შესასწავლად სულ უფრო ხშირად მიმართავენ აგრეთვე გაზომვის შედარებით რთულ მეთოდებს, სკალებებისა და ტესტების გამოყენებას.

არც თუ იშვიათად, დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებენ შობადობის სოციოლოგიას, ქორწინებისა და ოჯახის სოციოლოგიას, მოკვდაობის სოციოლოგიას, მიგრაციის სოციოლოგიას და ა.შ., რომლებშიც ეს დემოგრა-

ფიული პროცესები შეისწავლება თავიანთი თავისებურებების გათვალისწინებით. მაგალითად, შობადობის სოციოლოგია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთზემოქმედების მიმართებაში სოციოლოგიის, დემოგრაფიისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიჯნაზე იკვლევს შობადობის ცვლილების სოციალურ-ეკონომიკურ განპირობებულობას. იგი სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით სწავლობს ბავშვთა შობის ინტენსიურობის ტენდენციას, ოჯახში საშუალო შვილიანობას, ბავშვთა მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში ბავშვთა საშუალო რიცხოვნობას. ამით შობადობის სოციოლოგია განსხვავდება ფორმალურ-დემოგრაფიული მიდგომისგან, რომელიც შობადობის პრობლემებს მოსახლეობის მხოლოდ ასაკობრე-სქესობრივ და ცოლქმრულ-ოჯახურ სტრუქტურებთან აკავშირებს. შობადობის სოციოლოგიის ერთ-ერთი თვისებაა ის, რომ იგი სპეციალურად იკვლევს პიროვნების აღწარმოებრე ქცევაზე სოციალური ინსტიტუტების და პირველ რიგში ოჯახის ინსტიტუტის გავლენას. სწორედ ასეთი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები იძლევა რამდენადმე დამაჯერებელ პასუხს კითხვებზე: რა გარემოებები აპირობებენ მრავალშვილიანობას, შობადობის შემცირებასა და მცირეშვილიანობის გავრცელებას, ოჯახის შემოსავალსა და შობადობას შორის უკუკავშირს და სხვ.

ქორწინებისა და ოჯახის სოციოლოგიის კვლევის პრობლემატიკაში შედის მეუღლეთა ფასეულობითი ორიენტაციები, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების განმსაზღვრელი ფაქტორები, ოჯახის სტრუქტურა, შემადგენლობა და სიდიდე, მეუღლეთა აღწარმოებრივი განწყობის ცვლილებათა ტენდენციები, აღწარმოებრივი ქცევის სტრუქტურა და სხვ.

კონკრეტული სოციოლოგიური დისციპლინების სახით მიკროდონეზე გამოყოფენ აღწარმოებრივი ქცევის სოციოლოგიას, თვითშენახვითი ქცევის სოციოლოგიას,

მიგრაციული ქცევის სოციოლოგიას, რომლებიც იკელევენ დემოგრაფიული განვითარების ცალკეულ მხარეებს როგორც ქცევას.

ამრიგად, დემოგრაფია და სოციოლოგია ერთმანეთთან ორგანულ კავშირში მყოფი მეცნიერებებია. სოციოლოგი, მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებთან დაკავშირებული რიგი საკითხების კვლევისას, გარკვეული ზომით დემოგრაფიაც წარმოგვიდგება. რაც შეეხება დემოგრაფს, იგი მეტნაკლებად ყველა შემთხვევაში გვევლინება სოციოლოგად.

კვლევის ინტერესთა ასეთი ურთიერთგადაჯაჭვა თითოეულ მათგანს არა მარტო არ უშლის ხელს საკუთარი ძირეული ამოცანების გადაჭრაში, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს და უადვილებს სასურველი შედეგების მიღწევას.

ეთნიკური დემოგრაფია. ეთნოლოგიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე აღმოცენებული ეს მეცნიერული დისციპლინა სწავლობს ეთნოსთა აღწარმოების თავისებურებებსა და რიცხოვნობის დინამიკას. თავის გამოკვლევებში იგი იყენებს ძირითადად ეთნიკურ სტატისტიკას, მოსახლეობის აღწერების მასალებს, ეთნოსთან კულტურისა და ყოფა-ცხოვრების თაობაზე ჩატარებულ სპეციფიკურ დემოგრაფიულ და ეთნოლოგიურ გამოკვლევებს, აგრეთვე სოციოლოგიის (განსაკუთრებით ეთნიკური სოციოლოგიის), გეოგრაფიის (ეთნოგეოგრაფიის), ფსიქოლოგიის (ეთნიკური ფსიქოლოგიის), ეთნიკური ეკოლოგიის, ანთროპოლოგიისა და მედიცინის, ასევე რიგ სხვა საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებს.

ეთნიკური დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, წარმოშობა-ჩამოყალიბებას ხელი შეუწყობს იმ გარემოებამ, რომ დემოგრაფიული ქცევა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებთან და ბევრი დემოგრაფიული პროცესი შეუძლებე-

ღია აისახოს ეთნოლოგიური მასალების ფართოდ გამოყენების, დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემების განსაზღვრულ ეთნოსებთან დაკავშირების გარეშე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის გამოკვლევის დროს. ეთნიკური დემოგრაფია ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სქესობრივი მომწიფების ასაკს, ქორწინებამდელი კავშირების ჩვენებს, მამაკაცებისა და ქალთა ტრადიციულ საქორწინო ასაკს, დომინირებულ დამოკიდებულებას ქორწინებისა და დაუქორწინებლობისადმი, ქორწინების პირობებსა და მის ძირითად ფორმებს, ოჯახის სახეობებსა და ტიპებს, ოჯახსა და საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობას, მეუღლეთა შორის ტრადიციულ ურთიერთობებს, სქესობრივ ტაბუს, ქორწინების გარეშე სქესობრივ კავშირებთან და ბავშვების გაჩენასთან დამოკიდებულებას, ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას, უშვილობასა და მცირეშვილიანობასთან ტრადიციულ დამოკიდებულებას და სხვ.

ეთნიკური დემოგრაფიის ამოცანებში შედის შესწავლა ინდივიდუალურ განწყობათა და სოციალური ტრადიციებისა, რომლებიც ყალიბდება როგორც ამა თუ იმ ხალხის განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ, ბუნებრივ და სხვა პირობებში ისტორიული განვითარების მსვლელობაში, ისე დამკვიდრებულ და აღწარმოებრივ ქცევაზე ზემოქმედების მომხდენ რელიგიურ სისტემასთან კავშირში. მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების მიხედვით არსებული მონაცემები გვიჩვენებს მათში შობადობასთან დაკავშირებული დემოგრაფიული ქცევის თითქმის ყველა ზემოაღნიშნული მოვლენისა და ასპექტის არსებით დიფერენცირებას, რაც მიგვანიშნებს ამ მოვლენის დიდ ინერციულობაზეც.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დემოგრაფიული ევოლუციის კონკრეტულ მსვლელობაზე, კერძოდ, მოსახლეობის აღწარმოების ახალ ტიპზე

გადასვლის სიჩქარეზე, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენენ მოვლენები, რომელთაც სწავლობს ეთნიკური დემოგრაფია.

ამა თუ იმ ხალხის მოკვდაობის დონეზე გარკვეულ გავლენას ახდენს განსხვავებული ეთნიკური ტრადიციები. თუმცა, ეთნიკური ფაქტორების გავლენა მთლიანად მოკვდაობაზე, შობადობაზე გავლენასთან შედარებით, ბევრად უფრო სუსტია, ვინემ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა. აღნიშნული მიმართულებით ეთნიკური ფაქტორების გავლენა თავს იჩენს, უწინარეს ყოვლისა, გენეტიკურ ურთიერთობაში. ზოგიერთი ეთნოსისთვის ამა თუ იმ ზომით დამახასიათებელია ენდოგამია (ქორწინება უპირატესად გარკვეულ ჯგუფებს შიგნით), რაც ხელს უწყობს ცალკეული მემკვიდრებითი დაავადების გავრცელებას. დაავადებათა და მოკვდაობის ეთნიკური ასპექტები დაკავშირებულია აგრეთვე ეთნიკური ტერიტორიების ბუნებრივ პირობებთან, მეურნეობრივი საქმიანობის თავისებურებებთან და ცხოვრების სხვა სფეროებთან, დაავადებათა ლოკალურად გავრცელებულ სახეობებთან და ა.შ. ამ თვალსაზრისით ეთნიკური დემოგრაფიის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ცხოვრების უზრუნველყოფელი მთელი რიგი სისტემები, რომელთაც სწავლობს ეთნოლოგია. გარდა ტრადიციული საქმიანობისა, მას მიეკუთვნება საცხოვრებელი ბინებისა და ტანსაცმლის ნაირსახეობანი, მნიშვნელოვნად დიფერენცირებული კვების რაციონი სასურსათო პროდუქტების სახეობის (მცენარეული, ხორცეული, რძის და ა.შ.), კალორიულობისა და ქიმიური შემადგენლობის, მომზადების ხერხების (ცივი, ცხელი), დღეღამური კვების რეჟიმის მიხედვით და ა.შ. ეთნიკური დემოგრაფია სწავლობს თამბაქოს წვევისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ეთნიკურ ასპექტებსაც¹.

¹ იხ. Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 542.

ჩემი აზრით, ეთნიკური დემოგრაფიის კვლევის სფეროში უნდა მოვაქციოთ, აგრეთვე ეთნიკურად შერეული ოჯახების აღწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის მრავალფეროვნულობით გამორჩეულ საქართველოში.

სამედიცინო დემოგრაფია. დემოგრაფიისა და მედიცინის მიჯნაზე აღმოცენებული ეს მეცნიერული დისციპლინა სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების სამედიცინო ასპექტებს. იგი საკითხთა ფრიად ფართო სპექტრს მოიცავს, რომელთა ღრმა მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისა და მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური შედეგების მიღწევისთვის. სამედიცინო დემოგრაფიის კვლევის საგანს შეადგენს სამედიცინო ღონისძიებათა როლი მოსახლეობის აღწარმოებაში. მათ შორის აღსანიშნავია:

– მეცნიერული მეთოდებით მკურნალობის გზით ბრძოლა უნაყოფობასთან. როგორც ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შედეგები მოწმობს, რიგ შემთხვევებში შეიძლება მკურნალობის ისეთი კურსის ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს უშვილობის დაძლევას;

– ბაქშეთა შობის შიგაოჯახური რეგულირების უზრუნველსაყოფად ჩასახვის საწინააღმდეგო მეცნიერულად დასაბუთებულ საშუალებათა შეთავაზება;

– ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება – მოსახლეობის სისტემატური საყოველთაო დისპანსერიზაცია, რაც დაავადებათა დროული გამოვლენისა და მათი შედარებით ადვილად განკურნების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა;

– მოსახლეობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა) მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, მოკვდაობის ეგზოგენური მიზეზების შესწავლა და მათთან ბრძოლის ქმედით საშუალებათა გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს, მოკვდაობის შემცირებასთან ერთად, ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდას;

– მკურნალობის ისეთი ორიგინალური მეთოდების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ნარკომანიის, როგორც ფრიად საშიში სოციალური მოვლენის, აღმოფხვრას;

– მომუშავეთა, პირველ რიგში, ძუძუმწოვარ ბავშვთა დედებისა და ორსული ქალების ჯანმრთელობისთვის ფიზიკურად მავნე სამუშაოთა თავიდან აცილება შექმნის უარყოფითი დემოგრაფიული მოვლენების თავიდან აცილების გარანტიას;

– ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომისუნარიანობის გადიდების, აგრეთვე ხანდაზმულობის ასაკში ჯანმრთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების უზრუნველყოფელ ღონისძიებათა შემუშავება, ზემოქმედების ისეთ საშუალებათა მოძიება, რომელიც ხელს შეუწყობს დაბერების პროცესის შენელებას.

სამხედრო დემოგრაფია. ეს არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს ქვეყნის სამხედრო ძლიერების უზრუნველყოფის, საომარი განვითარებისა და ომების შედეგების ასპექტში. იგი იკვლევს ისეთ პრობლემებს, როგორცაა სახელმწიფოთა სამობილიზაციო შესაძლებლობანი; ომებთან დაკავშირებით მოსახლეობის დანაკარგები და მიგრაციული პროცესები; ომების გავლენა მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე და სხვ. სამხედრო დემოგრაფიაში უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის გა-

ანგარიშებას სქესისა და ასაკის მიხედვით ქვეყნის ადამიანისეული რესურსების განსაზღვრისთვის.

სამხედრო დემოგრაფია ვითარდება დემოგრაფიის ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე. იგი იყენებს დემოგრაფიის, სტატისტიკის ზოგადი თეორიის, მათემატიკური სტატისტიკის, ალბათობის თეორიის, დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდებს. სამხედრო დემოგრაფიული ხასიათის გამოკვლევათა მეთოდური მხარის მნიშვნელობა იზრდება მათემატიკურ-სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების განვითარების, აგრეთვე კომპიუტერული ტექნიკის ინტენსიური გამოყენების კვალობაზე.

სამხედრო დემოგრაფია ძირითადად ემყარება ისეთ წყაროებს, როგორცაა: სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ ომამდე, ომის პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ, ომებში ადამიანთა დანაკარგების შესახებ (დაღუპულები, ტყვედ ჩაყარდნილები, უზოუკელოდ დაკარგულები), ომების შესახებ შედგენილი ანგარიშგებები, საარქივო, ლიტერატურული და სხვა წყაროები მოსახლეობის აღწარმოებისა და მიგრაციის შესახებ. გამოიყენება აგრეთვე მეთოდურ-სტატისტიკური ანგარიშგებები, რომლებიც დგება როგორც მთლიანად ომის შესახებ, ისე ცალკეული საბრძოლო ოპერაციებისა და პერიოდების მიხედვით.

სამხედრო დემოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული მიმართულებაა სამხედრო მოსამსახურეთა მობილიზაციისა და დემობილიზაციის გამოკვლევა, რომლის მასშტაბებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული სოციალური მობილობა, მიგრაცია, მოსახლეობის აღწარმოება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.) საქართველოდან მობილიზებული და მოქმედ არმიაში გაწვეული იყო 700 ათასამდე ადამიანი, რომელთა თითქმის ნახევარს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ომი, ხოლო დაბრუნებულთა შორის მრავლად იყო დაჭრილი და დაინვალიდებული,

მთლიანად ან ნაწილობრივ შრომისუნარდაკარგული. ცხადია, ამან საგრძნობი გავლენა მოახდინა მოსახლეობის როცხოვნობაზე, სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, ქორწინებაზე და საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოებაზე;

სამხედრო დემოგრაფია, მოსახლეობაზე ომის შედეგების პირდაპირ გავლენასთან ერთად, იკვლევს მოსახლეობის არაპირდაპირ დანაკარგებსაც, რომელიც ვლინდება ქორწინების, შობადობის, მოკვდაობის და სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებელთა მნიშვნელოვან ცვლილებებში. როგორც რეალური მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, ომის პერიოდში მკვეთრად ეცემა ქორწინების დონე ახალგაზრდა ვაჟების (ნაწილობრივი ქალიშვილებისაც) არმიაში გაწვევისა და ქორწინებათა გადავადების შედეგად. მისი გარდუვალი შედეგია შობადობის ტემპების შემცირება. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პერიოდში როგორც ფრონტზე, ისე ზურგში მოკვდაობის ფართო მასშტაბებსაც, კანონზომიერად წარმოგვიდგება მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაცემა.

სამხედრო დემოგრაფიაში რამდენადმე დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შესწავლას, რომელიც ინტენსიურ ხასიათსღებულობს ომის პერიოდსა და ომის შემდგომ წლებში. იგულისხმება მობილიზაციითა და დემობილიზაციით განპირობებული სამხედრო მიგრაცია; მშვიდობიანი მოსახლეობის, ჯარის ნაწილებისა და შრომითი რესურსების ევაკუაცია, ეკონომიკურ (მ.შ. სასურსათო) სიძნელეებთან დაკავშირებული მიგრაცია და სხვ.

სამხედრო დემოგრაფიის კვლევის სფეროში შედის აგრეთვე ომების უახლესი და შორეული დემოგრაფიული შედეგების ანალიზი. მხედველობაში მაქვს ომის გავლენა მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (როგორც მთელი მოსახლეობის, ისე ცალკეული თვისებრი-

ვად ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით), საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებზე. გამოყოფენ ომის შემდგომ პირველ, მეორე და ა.შ. დემოგრაფიულ ექოს, ე.ი. ომის შედეგების გამოძახილს მოსახლეობის აღწარმოებაში. ამის გაანალიზების გარეშე მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა თაობაზე გაკეთებული დასკვნები ვერ მოგვეცემს არსებული მდგომარეობის რეალურ სურათს.

ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება დემოგრაფიის კავშირურთიერთობა მომიჯნავე მეცნიერებებთან. ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება თუ დამატებით შევეხები ზოგიერთ მათგანს:

– დემოგრაფია და სამართალი, ეს ორი მეცნიერება სისტემატურ კონტაქტშია და ავსებს ერთმანეთს თითოეული მათგანისთვის სისხლხორცეულ ისეთ საკითხებზე მსჯელობისას, როგორცაა, ეროვნული ტრადიციებისა და სამედიცინო მეცნიერების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ოპტიმალური (მინიმალური) საქორწინო ასაკის განსაზღვრა, აბორტის მეშვეობით ორსულობის ხელოვნური მოშლა, ბავშვის შეილაღ აყვანა, ქორწინების რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფო სამსახურში, განქორწინება და შვილებზე, ასევე ერთობლივ ქონებაზე, მშობლების უფლებების გამიჯვნა, მრავალშვილიანობის წამახალისებელი სისტემის შემოღება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონისა და მოქმედი სოციალური სისტემის მხედველობაში მიღებით, საპენსიო ასაკის დადგენა დასაქმებული მამაკაცებისა და ქალებისთვის, ახალგაზრდობის გარე (საერთაშორისო) მიგრაცია, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და სხვ.

მოსახლეობის აღწარმოების რთულ ფენომენთან დაკავშირებული ყველა ეს (და კიდევ ბევრი სხვა) საკითხი საჭიროებს სამართლებრივი ნორმების დადგენასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციას. შესაბამისი კანონებისა და კა-

ნონქვემდებარე აქტების შემუშავება-მიღების გარეშე სახელმწიფო ვერ გაატარებს აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას და ვერ დაარეგულირებს ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს;

– დემოგრაფია და ფსიქოლოგია. ეს მეცნიერებები (თუმც რამდენადმე განსხვავებული ასპექტით) სწავლობენ ორივე მათგანისთვის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორცაა: აღწარმოებრივი (რეპროდუქტიული) განწყობა, დემოგრაფიული ქცევა, მოთხოვნილება შეიღებზე, ოჯახში შეიღების (ბავშვთა) იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა, საზოგადოებრივი აზრი თაობათა (მამებსა და შეიღებს) შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, დასაშვებ (მინიმალურ) საქორწინო ასაკზე, ოჯახში ბავშვთა ოპტიმალურ რიცხოვნობაზე, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობაზე, შერეულ (ბიეთნიკურ) და მეორად ქორწინებაზე, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებზე და ა.შ.

აღნიშნულ და რიგ სხვა საკითხზე ფსიქოლოგიური მეცნიერების დასკვნები საფუძვლად ედება მათი დემოგრაფიული ასპექტების გაშუქებას, ისევე როგორც დემოგრაფიული კვლევის შედეგები, თავის მხრივ, წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზას ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვისთვის;

– დემოგრაფია და მარკეტინგი. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებასა და მოხმარებაში მონაწილეობის თვალსაზრისით, ადამიანთა ასაკობრივი სტრუქტურის სამ პერიოდს გამოყოფენ: პირველია შრომისუნარიან ასაკამდელი პერიოდი, როცა ადამიანი მხოლოდ მოიხმარს, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერს არ აწარმოებს; მეორე – შრომისუნარიანი ასაკის პერიოდი, როცა ადამიანი არა მარტო მოიხმარს, არამედ აწარმოებს კიდევ; და მესამე – შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული პერიოდი, როცა ადამიანი მხოლოდ მოიხმარს და საზოგადოებრივ დოვლათს არ ქმნის (ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მაქვს აღნიშნუ-

ლი ძირითადი პრინციპებიდან ცალკეული გადახრები, რომელთაც, ცხადია, ადგილი აქვს სინამდვილეში).

როგორც ჩანს, მოხმარება ყველა პერიოდში წარმოადგენს ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას, თუმცა, იგი ასაკის მიხედვით განსხვავებულია როგორც რაოდენობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. ჩვილობის ასაკში მოხმარება ძირითადად შემოიფარგლება: კვების მხრივ – ძირითადად დედის რძით, ტანისამოსის მხრივ – პამპერსითა და სხვა თანამედროვე ნივთებით, ხოლო მოვლის მხრივ – მომსახურებით, რომელსაც საჭიროებს ჩვილი. ბავშვის ზრდის კვალობაზე, ცხადია, ფართოვდება და სტრუქტურულ ცვლილებებსაც განიცდის კვების პროდუქტებისა და ტანსაცმლის მოხმარება. შრომისუნარიან ასაკში მოხმარება ყველა ასპექტში მაქსიმუმს აღწევს, რომლის შემდეგ იწყება მისი ერთგვარი დაქვეითება და მოხმარების მკვეთრი სტრუქტურული ცვლილებები. ამ ასაკში მოხმარების მრუდი უკვე თანდათან იხრება ქვემოთ. ასაკსა და მოხმარებას შორის კავშირის ფორმა დებულობს განსხვავებულ მოხაზულობას მოხმარებული პროდუქტების სახეობებზე დამოკიდებულებით. კვების პროდუქტებისა და ტანსაცმლის მოხმარებას, მით უმეტეს, მომსახურებას, ერთმანეთისგან განსხვავებული მრუდები ახასიათებს.

ყოველივე ეს ნათლად მიგვანიშნებს დემოგრაფიის სიახლოვეზე ისეთ მეცნიერულ დისციპლინასთან, როგორცაა მარკეტინგი. იგი მოიცავს ფირმის ბიზნეს-საქმიანობის მიზანსწრაფული წარმართვის ინტეგრირებულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც, მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მოთხოვნილებათა თავისებურებების გათვალისწინებით, მოთხოვნა-მიწოდების ფორმირების დეტალური გამოკვლევა-გაანალიზების საფუძველზე უზრუნველყოფს წარმოებრივ-გასაღებითი პროგრამის შემუშავება-რეალიზაციას და ორიენტირებულია მოგების მაქსიმიზაციისკენ. მარკეტოლოგმა ამა თუ იმ სახეობის საქო-

ნელსა და მომსახურებაზე მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ზუსტი პროგნოზირებისთვის მოვლენათა არსში ღრმად წვდომით უნდა გაითვალისწინოს, მოსახლეობის რიცხოვნობასთან ერთად, მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება (კლება) და ამ მიმართულებით მოსალოდნელი ყველა ცვლილება, აგრეთვე ადამ-წესები, ტრადიციები, რელიგიური მრწამსი და სხვ., რომლებიც მოთხოვნილების თავისებურებებს აპირობებენ.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ცალკეულ ქვეყნებში, მ.შ. აშშ-ში, უკანასკნელ პერიოდში სწრაფად განვითარება ეგრეთწოდებული მეწარმეობრივი დემოგრაფია, რომელიც სწავლობს პოტენციური მომხმარებლის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციებს და ყოველივე ამის გაელენას სამომხმარებლო ბაზარზე;

– დემოგრაფია და გერონტოლოგია. მოსახლეობის დაბერებასა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს სწავლობს როგორც დემოგრაფია, ისე გერონტოლოგია, თუმც რამდენადმე განსხვავებული ასპექტით. დემოგრაფია სწავლობს მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას, გერონტოლოგია კი – ბიოლოგიურ დაბერებას, ამიტომ მათი კვლევის საგანი, ზოგიერთი ნიშნით თანმთხვევის მიუხედავად, მნიშვნელოვანწილად განსხვავებულია.

გერონტოლოგიას აქვს განშტოებანი. ასეთია, მაგალითად: გერიატრია – მოძღვრება ბიოლოგიური სიბერის არსის, თავისებურებების, გამომწვევი მიზეზებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ; გეროპიგიენა – მოძღვრება ხანდაზმულ ადამიანთა პიგიენაზე; გერონტოფსიქოლოგია – მოძღვრება ხანდაზმულთა ფსიქიკასა და ქცევაზე და ა.შ.;

– დემოგრაფია და სოციალური პიგიენა. სოციალური პიგიენა არის მეცნიერული დისციპლინა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. აქედან გამომდინა-

რე, ძნელი ასახსნელი არაა მისი უშუალო კავშირი დემოგრაფიასთან თუნდაც იმიტომ, რომ ორივე მათგანი სწავლობს მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებებს, ოღონდ სხვადასხვა კუთხით.

მოსახლეობის აღწარმოების ასპექტში სოციალური პიგიენის კომპეტენციებში შედის მოსახლეობისთვის კვალიფიციური რეკომენდაციების მიცემა ისეთ საკითხებზე, როგორცაა აბორტის შეცვლა კონტრაცეპტივების თანამედროვე საშუალებებით, ახალგაზრდებისთვის მინიმალური საქორწინო ასაკის განსაზღვრა, თვითშენახვითი ქცევის გამომუშავება, სოციალური ანომალიების (მექავეობა, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი, ღოთობა და ა.შ.) ადამიანთა საზოგადოებისთვის მომაკვდინებელი მნიშვნელობის მეცნიერული დასაბუთება, მოსახლეობის დაავადებათა გავრცელებაში გარემოს უკიდურესად დაბინძურების როლის წარმოჩენა, სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების შეთავაზება და სხვ.

ასეთია მოკლედ დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალ მეცნიერულ დისციპლინათა* არსი, კელევის ძირითადი მიმართულებანი და საერთოდ, დემოგრაფიის კავშირი მონათესავე მეცნიერებებთან, რომელიც სქემის სახით შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად (იხ. სქემა 1).

დემოგრაფიულ მეცნიერებათა კლასიფიკაციის ჩემს მიერ შემოთავაზებული სქემა პირობითია, რამდენადაც არცერთი მათგანი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ იმ ბლოკისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, რომელსაც ისინი მივაკუთვნე. მაგალითად, პირველ ბლოკში შევიდა მეტნაკლებად ზოგადთეორიული დისციპლინები, რომლებიც, როგორც წესი, თეორიული ხასიათის გლობა-

* მართალია, ყველა მათგანს ჯერ კიდევ არ მიუღია ჩამოყალიბებული (დამოუკიდებელი) მეცნიერული დისციპლინის სახე და საყოველთაო აღიარება, მაგრამ თვით ფაქტი არსებობისა ეჭვს არ იწვევს. მომავალში სახესებით შესაძლებელია არა მარტო მათი განვითარება, არამედ კიდევ სხვა, ახალი მონათესავე (დარგთა შესაყარზე აღმოცემებულ) მეცნიერებათა შექმნა-განვითარებაც.

ლურ დემოგრაფიულ პრობლემებს იკვლევენ. თეორიული საკითხების გარკვეული ზომით კვლევას არც მეორე ბლოკში გაერთიანებული დისციპლინები უვლიან გვერდს, მაგრამ რამდენადაც ისინი სხვადასხვა მეცნიერების მიჯნაზე წარმოქმნილი დისციპლინებია და მოიცავენ მოსახლეობის აღწარმოების არა გლობალურ, არამედ ლოკალურ, ცალკეულ კონკრეტულ მხარეებსა და ასპექტებს, კონკრეტულ დისციპლინათა ბლოკში მოვაქციე.


როგორც ჩანს, დემოგრაფიულ მეცნიერებათა ამა თუ იმ ბლოკისადმი მიკუთვნების კრიტერიუმად აღებულია თითოეული მათგანის კვლევის ძირითადი მიმართულება, მასშტაბი და დანიშნულება. კლასიფიკაციის მთავარ პრაქტიკულ მნიშვნელობად მიჩნეულია ის, რომ იგი აადვილებს თითოეული დემოგრაფიული მეცნიერული კვლევის ხასიათის გარკვევას და კვლევის შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციაში ორიენტაციას.

გარკვეული არგუმენტების მოშველიებით, ზემოთ მოცემული ჩემი მსჯელობა, ვფიქრობ, სრულ საფუძველს იძლევა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ დემოგრაფიას, როგორც მეცნიერების ერთ-ერთ ფუნდამენტურ დარგს, ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში და ტერმინ „დემოგრაფიას“ არ ძალუძს ამ ფართომასშტაბიანი მეცნიერების შინაარსობრივი დატვირთვის სრულად ასახვა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ტერმინი „დემოლოგია“, რომელიც წარმოსდგება ორი ბერძნული სიტყვისგან: *demos* – ხალხი, *logos* – სიტყვა, მოძღვრება და პირდაპირი გაგებით მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერებას ნიშნავს.

სახელწოდება „დემოგრაფიის“ „დემოლოგიით“ ჩანაცვლების თაობაზე მოსაზრება პირველად გერმანელმა სტატისტიკოსმა ერნსტ ენგელმა გამოთქვა ჯერ კიდევ 1871 წელს. იგი აღნიშნავდა, რომ „ადამიანთა სახელმწი-

დემოგრაფიულ მენეჯმენტთან სისტემა

დემოგრაფიულ მენეჯმენტთან კლასიფიკაცია და სტრუქტურა, დემოგრაფიის კავშირი მრეწველობაში მენეჯმენტთან



და ა.შ.

სქემა 1.

ფოებრივი და სხვა თანაცხოვრების წარმოშობის, შინაგანი ბუნებისა და ცვლილებების“ შესახებ მეცნიერებას უნდა ერქვას არა „დემოგრაფია“, რომელიც შემოიფარგლება ამ პროცესების მხოლოდ ასახვა-აღბეჭდვით, არამედ „დემოლოგია“, რომელიც მოწოდებულია ახსნას მათი არსი¹.

მიუხედავად ამისა, ტერმინი „დემოლოგია“ დღესაც არაა შესული და დამკვიდრებული მეცნიერულ ბრუნვაში. მიზეზი ერთადერთია და ისიც უსუსური: ყური შეჩვეულია „დემოგრაფიას“ და ძნელია მისი „დემოლოგიით“ შეცვლა².

განა შემთხვევითია ის, რომ როგორც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი უმრავლესობის ფორმულირება სწორედ „ლოგოსით“ მთავრდება და არა „გრაფოსით“. ასე, მაგალითად, ფიზიოლოგია, გეოლოგია, მინერალოგია, ანთროპოლოგია, იმუნოლოგია, ბიოლოგია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ონკოლოგია, ეკოლოგია, უროლოგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, ანესთეზიოლოგია, პარაზიტოლოგია, კავკასიოლოგია და ა.შ.

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი. როგორც ცნობილია, ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების აღმნიშვნელად უკანასკნელ დრომდე (2000 წლამდე) მეცნიერულ ბრუნვაში გამოიყენებოდა „ეთნოგრაფია“. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, ანალოგიური არგუმენტაციის საფუძველზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე

¹ იხ. Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 122.

² ვგრეთწოდებული „შეჩვეულობის“ პრინციპი რომ არ გადაგველახა, მეცნიერულ ბრუნვაში დღესაც იქნებოდა შემორჩენილი ისეთი საჩოთირო და ძნელად წარმოსათქმელი ტერმინები, როგორიცაა: „სასტატისტიკოსო“, „საპოლიტიკურო“, „საესთეტიკურო“ და სხე. ეს ტერმინები ამჟამად, საესებით მართებულად, ასეთი დახვეწილი სახით გამოიყენება: „სტატისტიკური“, „პოლიტიკური“, „ესთეტიკური“ და ა.შ.

(რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მაშინ ეს ინსტიტუტი) დააყენა საკითხი ამ მეცნიერებისა და შესაბამისად ინსტიტუტის სახელწოდებათა შეცვლის თაობაზე, რაც დაკმაყოფილებულ იქნა. ამჟამად ეს მეცნიერება იწოდება „ეთნოლოგიად“, ხოლო ინსტიტუტი (საჯარო სამართლის იურდიული პირის სტატუსით) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ „დემოგრაფია“ ჩავანაცვლოთ „დემოლოგიით“, ინსტიტუტს კი ვუწოდოთ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოლოგიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი“.

ამით არანაირი თვისებრივი ცვლილება არ მოხდება. ამჟამად მეცნიერება „დემოგრაფიის“ სახელწოდებით იგივე შინაარსის მატარებელია, რაც „დემოლოგიაში“ იგულისხმება. გამოდის, რომ ვამბობთ ერთს და ვგულისხმობთ მეორეს. ალბათ, დროა, თუ დაგვიანებული არა, დავაზუსტოთ ფორმულირება და მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერებას ვუწოდოთ თავისი ნამდვილი სახელი - „დემოლოგია“.

იმ საკითხთა წრეში, რომელთაც დემოლოგია სწავლობს, ცენტრალური ადგილი დემოლოგიურ ურთიერთობათა ბაზაზე აღმოცენებულ დემოლოგიურ კანონებს უკავიათ¹.

¹ იხ. ლ. ჩიქავა. დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები. თბილისი, 2002.

12. დემოლოგიური კანონები: არსი, მოქმედების ხასიათი, კლასიფიკაცია

დემოლოგიური კანონი გამოხატავს დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მყარ, მუდმივგანმეორებად, არსებით შინაგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და, მისგან გამომდინარე, კანონზომიერებებსა და ტენდენციებს. იგი მეტწილად კანონი-ტენდენციის სახით გვევლინება. თუ ბუნების კანონები გარემო ბუნების განვითარების კანონზომიერებებს ასახავენ, ხოლო ეკონომიკური კანონები – ეკონომიკის სფეროსას, დემოლოგიური კანონების მოქმედება ძირითადად მოსახლეობის აღწარმოების არეალით შემოიფარგლება და დემოლოგიურ ურთიერთობებს ასახავს. ისინი დემოლოგიურ ურთიერთობათა განვითარების კანონებია.

ბუნების განვითარებისა და ეკონომიკურ კანონთა სისტემების ანალოგიურად, ჩემი აზრით, არსებობს დემოლოგიურ კანონთა სისტემაც. ამ სისტემაში შემაჯავლი თითოეული კანონი დემოლოგიური განვითარების ცალკეულ ტენდენციებს ასახავს, ყველა ერთად კი – მოსახლეობის აღწარმოებისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა მთელ კომპლექსს. დემოლოგიური კანონები მოქმედებენ არა ერთმანეთისგან მოწყვეტილად, არამედ მჭიდრო ურთიერთკავშირში, რამდენადაც მოვლენები და პროცესები, რომელთაც ისინი ასახავენ, უმრავლეს შემთხვევაში გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და უერთმანეთოდ არ არსებობენ. ამის კლასიკური მაგალითია შობადობის კლების, ოჯახში შვილიანობის დაბალ ნიშნულზე გამოთანაბრებისა და დემოლოგიური დაბერების კანონების ორგანული ურთიერთკავშირი.

დემოლოგიური კანონები შეიძლება დავეყოთ ზოგად (საერთო), სპეციფიკურ და კერძო კანონებად. ზოგადი დემოლოგიური კანონები, როგორც წესი, მოქმედებენ კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე, თუმცა, გზადაგზა

გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან. ასეთებია: თაობათა განახლების, ანუ მოსახლეობის აღწარმოების კანონი; დემოლოგიური გადასვლის, ანუ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების თანამიმდევრული ცვლის კანონი; მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი მატების კანონი; მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კანონი და სხვ.; სპეციფიკური დემოლოგიური კანონები მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. ასეთი კანონებია: შობადობის კლების კანონი, ოჯახებში შვილიანობის გამოთანაბრების კანონი; დემოლოგიური დაბერების კანონი და სხვ.; კერძო დემოლოგიური კანონებისთვის კი დამახასიათებელია განცალკევებულ დემოლოგიურ კანონზომიერებათა ასახვა. მათ შემადგენლობაში შეიძლება მოვაქციოთ: მოსახლეობის გართობული აღწარმოების კანონი, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონი, მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი და ა.შ.

დემოლოგიური კანონებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ ისინი ასახავენ მთელი მსოფლიოს და არა ცალკეული რეგიონების, კონტინენტებისა თუ ქვეყნების მოსახლეობის განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებს. დემოლოგიური კანონების მოქმედებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებია:

– ობიექტური ხასიათი. მათი მოქმედება განისაზღვრება არა ადამიანთა ნება-სურვილით, არამედ იმ გარემოდემოლოგიური ურთიერთობებით, რომელთა ორგანული ურთიერთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ასახვასაც თვითონ წარმოადგენენ. ამ მხრივ ისინი არ განსხვავდებიან არც ბუნების განვითარების (მაგალითად, დედამიწის მიზიდულობის, მზისა და თავისი ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვის და ა.შ.) და არც საზოგადოების ეკონომიკური განვითარების (მაგალითად, მოთხოვნილებათა განუხრელი ამალლების, შრომის მწარმოებლურობის ზრდის

და სხვ.) კანონებისგან. სამაგიეროდ განსხვავდებიან და საკმაოდ მკვეთრადაც იურიდიული კანონებისგან. ასეთია, მაგალითად, დამამძიმებელ მდგომარეობაში განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა ან მუდმივი პატიმრობა. იურიდიულ კანონებს სახელმწიფოს შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოები ადგენენ და ამტკიცებენ, ამიტომ მათ მოქმედებას არ შეიძლება ობიექტური ხასიათი ჰქონდეს;

– სუბიექტთა ინიციატივითა და ძალისხმევით შემოღების (დადგენის), გაუქმებისა თუ გარდაქმნის შეუძლებლობა. ისინი მოქმედებას იწყებენ შესაბამის გარემოდემოლოგიურ ურთიერთობათა წარმოქმნის კვალობაზე და წყვეტენ მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როცა მათი განმსაზღვრელი ურთიერთობები გაქრებიან – აღარ იარსებებენ. ისინი არც ამ მხრივ განსხვავდებიან ბუნების კანონებისა და ეკონომიკური კანონების მოქმედებისგან. ეთქვათ და მაინც მოხდა სუბიექტური ჩარევა დემოლოგიური კანონების მოქმედებაში. წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, ან უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – პარლამენტმა გამოიჩინა უმეცრება და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ხვალიდან თაობათა განახლების ანუ მოსახლეობის აღწარმოების დემოლოგიური კანონის გაუქმების (მოქმედების შეწყვეტის) შესახებ. რა შეიძლება ამას მოყვეს? – ამის შედეგი უეჭველად იქნება ის, რომ ეს ობიექტური დემოლოგიური კანონი ჩვეულებრივ გააგრძელებს მოქმედებას, გადაწყვეტილების მიმღები კი ქარის წისკვილების წინააღმდეგ მებრძოლი დონ-კიხოტის როლში მოგვევლინება.

რაც შეეხება იურიდიულ კანონებს, მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის, ჩვენი კანონმდებლობა სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას ითვალისწინებდა. შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით (როგორც

ჩანს, ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნითა თუ ჩარევით, რასაც პირადად არც ახლა ვიზიარებ), ეს კანონი გაუქმდა და შეიცვალა სასჯელის სხვა ზომით. არაა გამორიცხული მასში ცვლილებების შეტანა მომავალშიც, რაც დასაშვებია;

– მოქმედების რეალიზაციაში ადამიანისეული ფაქტორის მონაწილეობის აუცილებლობა. ასეთი რამ ბუნების განვითარების კანონების მოქმედებაში არ გვხვდება. მაგალითად, ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი, დედამიწის მიზიდულობის კანონის ძალით, აუცილებლად მიწაზე დავარდება და ეს მოხდება ადამიანთა ყოველგვარი ჩარევისა და მონაწილეობის გარეშე. დემოლოგიური კანონების მოქმედებაში ადამიანისეული ფაქტორის მონაწილეობა ვერ ცვლის მათ ობიექტურ ხასიათს.

სოციალურთან ერთად, გარკვეული ზომით, ბიოლოგიური ფაქტორებით განპირობებულობა – ეს ნიშანი ყველა დემოლოგიურ კანონს ერთნაირად არ ეხება. მაგალითად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონში იგი შედარებით ჭარბადაა წარმოდგენილი, ვინემ დემოლოგიური კომპენსაციის კანონში. დემოლოგიის კვლევის არეალი, უწინარეს ყოველისა და მნიშვნელოვანწილად, დემოლოგიური კანონების მოქმედების სოციალურ ასექტებს მოიცავს;

– პირდაპირი კავშირის უქონლობა საზოგადოებრივე ეკონომიკურ სისტემებთან. მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების თანახმად, თითოეულ საზოგადოებრივე-ეკონომიკურ ფორმაციას მოსახლეობის აღწარმოების თავისი შესაბამისი ტიპი (და უნდა ვიგულისხმოთ, შესაბამისი დემოლოგიური კანონებიც) ახასიათებს, რაც უსაფუძვლო და მიუღებელია. ასეთი შეხედულებები, ძველი ინერციით, არცთუ იშვიათად, თანამედროვე დემოლოგიურ ლიტერატურაშიც გვხვდება.

ჩემი აზრით, დემოლოგიური კანონების მოქმედება უშუალო კავშირში არაა ცალკეულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივე-ეკონომიკურ სისტემებთან, რაც ერთხელ

კიდევ ადასტურებს მათ ობიექტურ ხასიათს. თუმცა, საზოგადოების განვითარების თითოეულ საფეხურზე არსებული სპეციფიკური დემოლოგიური ურთიერთობები გარკვეულ გაელენას ახდენენ მათი გამოვლინების ფორმებზე.

ბუნების კანონების მოქმედება რომ ცალკეული ეპოქების თავისებურებებთან თითქმის არანაირ კავშირში არაა, ალბათ, არავისში არ იწვევს ეჭვს. რაც შეეხება ეკონომიკურ კანონებს, ისინი ყველაზე მეტადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის სპეციფიკაზე.

ის გარემოება, რომ დემოლოგიური კანონები ობიექტური ხასიათის მატარებელი არიან და მათი მოქმედება ადამიანთა ნება-სურვილით არ იმართება, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები თითქოს საერთოდ უძლურნი არიან ამ კანონების მიმართ და მოწოდებულნი არიან გულხელდაკრფილებმა, ოლიმპიური სიმშვიდე გამოიჩინონ იმის მოლოდინში, რაც თავისთავად მოხდება. – ცხადია, არა. ადამიანებს შეუძლიათ და მოწოდებულნიც არიან აღმოაჩინონ (გამოავლინონ), შეიცნონ და თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ ისინი. დემოლოგიური კანონების შემეცნებაში იგულისხმება თითოეული მათგანის შინაარსის გარკვევა, მათი მოქმედების საერთო მიმართულების, აგრეთვე რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების განსაზღვრა, იმ შედეგების გაანალიზება და განზოგადება, რაც მათ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შემუშავებული და გატარებული ღონისძიებები შეიძლება იყოს მიზანსწრაფული და ქმედითი, პრაქტიკული სარგებლობის მომტანი. მაგალითად, შობადობის კლების კანონის არსის, მისი განმსაზღვრელი მიზეზებისა და შემამსუბუქებელი ფაქტორების ღრმად და საფუძვლიანად ცოდნის გარეშე, უშედეგო (ყოველ შემთხვევაში, ძალიან მცირე დადებითი შედეგის მომტანი) იქნება შობადობის გაზრდის მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი.

სახელმწიფოს რანგში აყვანილი დემოლოგიური და საოჯახო პოლიტიკის წარმატებული რეალიზაციის საწინდარია ყოველმხრივ შეცნობილი დემოლოგიური კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული ქვეყნის დემოლოგიური განვითარების კონცეფცია-პროგრამა. ავიღოთ, მაგალითად, დემოლოგიური კომპენსაციის კანონი. თუ არ გვეცოდინება მისი არსი, კერძოდ, ხანგრძლივი და დამანგრეველი ომების დამთავრების ან სტიქიური კატასტროფების შემდეგ დემოლოგიური განვითარებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებები, უხეშ (რიგ შემთხვევაში გამოუსწორებელ) შეცდომებს დაეუშვებთ საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, როგორიცაა მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოება, დასაქმება, საბინაო მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

II თავი

ზოგადი (საერთო) დემოლოგიური კანონები

2.1. ძირითადი დემოლოგიური კანონი

თაობათა მუდმივი განახლება ანუ, რაც არსებითად იგივეა, მოსახლეობის უწყვეტი აღწარმოება, ერთ-ერთი უზოგადესი დემოლოგიური კანონია. მის მთავარ ნიშნებსა და მოთხოვნებს შორის აღსანიშნავია: ჯერ ერთი, ის, რომ მოქმედებს კაცობრიობის დასაბამიდან და იმოქმედებს მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს; მეორე, გამოირჩევა აბსტრაქტულობით, რამდენადაც გამოხატავს მოსახლეობის აღწარმოების არა რომელიმე ცალკეულ კანონზომიერებას, მის კონკრეტულ მხარეს (გაფართოებულ, მარტივ ან შეკვეცილ აღწარმოებას), არამედ ზოგად კანონზომიერებას – თაობათა განახლების (თაობათა ცვლის) პროცესს საერთოდ; და მესამე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასახავს დემოლოგიის ცენტრალური პრობლემის – მოსახლეობის აღწარმოების თითქმის ყველა მთავარ მხარესა და მთავარ პროცესს, მის არსს. ამიტომ თავისი ამ გამორჩეულობის გამო შეიძლება მას ძირითადი დემოლოგიური კანონი ვუწოდოთ.

თაობა დროის გარკვეულ მონაკვეთში (ჩვეულებრივ, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში) დაბადებული ადამიანთა ერთობლიობაა. როცა თაობათა განახლებაზე ვმსჯელობთ, იგულისხმება არა ე.წ. რეალური თაობა (ზუსტად ტოლასაკოვანთა ერთობლიობა), არამედ ჰიპოთეზური თაობა (რამდენადმე განსხვავებული ასაკის თანამედროვეთა ერთობლიობა). მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 25-30 წელს შეადგენს.

ადამიანი მოკვდავია, თანაც, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ბიოლოგიურადაც. მით უმე-

ტეს, ძირითადად გარემოსოციალურ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად, ადამიანი ხშირად ბიოლოგიურ ზღვრამდეც ვერ აღწევს. მაგალითად, გასული საუკუნის დასაწყისში დაბადებული თაობა, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელ პერიოდში დაბადებულებზე, თუ უმნიშვნელო გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, ამჟამად ცოცხალი არაა. რომ არა მომდევნო თაობების ახალ-ახალი ნაკადებით სისტემატური შევსება-განახლება, კაცობრიობა შეწყვეტდა არსებობას. ეს მყარი, მუდმივ განმეორებადი, შეუვალი პროცესია. ამიტომაც წარმოგვიდგება იგი დემოლოგიური კანონის სახით.

ისმის კითხვა: თაობათა განახლება ბიოლოგიური მოვლენაა თუ სოციალური? – თვითაღწარმოების უნარი ყოველ ცოცხალ არსებას აქვს, მათ შორის, ცხოველებს, ფრინველებს და მწერებსაც. მაგრამ ეს ხდება ინსტინქტურად, შეგნებული და გააზრებული მოქმედების გარეშე. მეცნიერებმა ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი: გამრავლებისთვის ქვეწარმავალს შეუქმნეს შესაბამისი გარემო პირობები. მას გაუჩნდა შთამომავლობა, რომელთაც იმთავითვე კვებავდა და უვლიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შთამომავლობა ამოუწყვიტეს. მიუხედავად ამისა, იგი (ე.ი. დედა) საკვებით მომარაგებას განაგრძობდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც შთამომავლობის ცოცხლად დარჩენის შემთხვევაში მათი გამოზრდისთვის იქნებოდა საჭირო.

ადამიანი ცხოველთა და სხვა სულიერი სამყაროსგან სრულიად განსხვავებული, გონიერი არსებაა. მას გაცნობიერებული აქვს კაცობრიობის არსებობისთვის შეილების გაჩენისა და აღზრდის მნიშვნელობა. მეტიც, იგი გააზრებულად არეგულირებს ამ პროცესს და ანიჭებს მას გეგმაზომიერ ხასიათს. ე.ი. მნიშვნელოვანწილად, თუ მთლიანად არა, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებითაა დეტერმინირებული.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორი მთლიანად გამორიცხებულია? – არა, არ ნიშნავს. თაობათა განახლების პროცესის მამოძრავებელ ძალებს შორის ბიოლოგიურ კოდსაც აქვს თავისი კუთვნილი ადგილი. მაგალითად, მშობლებს დიდ შინაგან კმაყოფილებას ჰგვიტოვებს ის, რომ შვილები მათი გენების მატარებლები არიან და მომავალში ოჯახის ტრადიციებს ისინი გააგრძელებენ. ეს თვითაღწარმოების შინაგანი იმპულსის გამოხატულებაა და ამ პროცესს გარდაუვალ, შეუქცევად ხასიათს აძლევს.

ოჯახის შექმნა, შვილების გაჩენა და მათი ღირსეულ ადამიანებად აღზრდა საზოგადოების თითოეული წევრის მარტო პირადი საქმე კი არა, საყოველთაო ტრადიციად ქცეული საზოგადოებრივი მოვალეობაცაა. აი, რა შეხედულებისა იყო ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე გამომჩინილი ქართველი ეკონომისტი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ფ. გოგიჩაიშვილი. 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (2337) იგი წერდა: „არცერთ ახალგაზრდას, რომელიც დაოჯახიანებას გაურბის, არა აქვს უფლება ერის წინაშე პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ეს „მისი კერძო საქმეა“. იმიტომ, რომ დაოჯახიანება და შვილების აღზრდა „ისეთი კერძო საქმეა“ ადამიანისა, რომელიც ბევრის მხრით მთელს საზოგადოებას ეხება და ეინტერესება

საქმე ისაა, რომ დაოჯახიანება აკმაყოფილებს ადამიანის ძლიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, ზნეობის გაფაქიზებას, ბიოლოგიური და სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებას, ამრავლებს ხალხს, – აძლევს საზოგადოებას მუდამ ახალ ელემენტს, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას, ჰქმნის კულტურულ წარმატებას და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ხალხს ჰმატებს ეროვნულ

ძალას და მნიშვნელობას. ამიტომ – ვითარცა ლოდიკური დასკვნა ყველა ზემოდ ნათქვამიდან: – ყოველი ადამიანი, რომელიც ასრულებს ამ სოციალ-ორგანიულ ფუნქციას, – ჰკიდებს ხელს ოჯახს, იჩენს ცოლშვილს და იღწვის ოჯახისათვის, ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრით საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო პირად“.¹

დემოლოგიურ ლიტერატურაში, არცთუ იშვიათად, გვხვდება მოსაზრება, ადრინდელ ეპოქებთან შედარებით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ოჯახის ადგილისა და როლის რადიკალურად შეცვლისა და დაკნინების შესახებ. ოჯახის ეკონომიკურმა ფუნქციებმა მართლაც განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია: ჯერ ერთი, მთლიანად კი არ გაქრა, მაგრამ მკვეთრად შემცირდა მოთხოვნილება ბავშვებზე, როგორც მომავალ საოჯახო სამუშაო ძალასა და შემოსავლის წყაროზე, ანუ ძირეულად შეიცვალა ოჯახის წარმოებრივი ფუნქცია; მეორე, ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნილება ბავშვებზე, როგორც მშობელთა მოხუცებულობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის წყაროზე; მესამე, რამდენადმე შეიკვეცა ოჯახის სამომხმარებლო ფუნქციაც (შენაცვლა საზოგადოებრივი კვება, მრავალნაირი საოჯახო მომსახურება და ა.შ.). მაგრამ ამით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოჯახის როლი არ დაკნინებულა. რაც მთავარია, ოჯახს არა მარტო არ მოეხსნა, არამედ გაუძლიერდა კიდევ დემოლოგიური ფუნქცია. ოჯახი იყო და რჩება, „ადამიანთწარმოების“ ერთადერთ და უადრესად სპეციფიკურ „საამქროდ“. მისი მაღალჰუმანური და საპატიო მისიაა საზოგადოების რიგების მუდმივად შევსება ფიზიკურად ჯანსაღი და ინტელექტუალურად პერსპექტიული ახალ-ახალი თაობებით.

¹ ფ. გოგიჩაიშვილი. რჩეული ნაწერები. 1974, ტომი I, პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 171-172.

ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქის, აკად. პ. გუგუშვილის შეხედულებით, „... ბავშვებზე მოთხოვნილება იმდენად ადამიანური და საყოველთაო საზოგადოებრივი მოთხოვნილებაა, რომ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უნივერსალურ და საყოველთაო ფასეულობას წარმოადგენს და ამ მოთხოვნილების გარდუვალობას ისიც მოწმობს, რომ ოდითგანვე შექმნილია ტრადიცია, რომ უშიშლო ცოლ-ქმარმა იშიშლონ ბავშვი¹.

თაობათა მუდმივი ცვლის, როგორც დემოლოგიური კანონის, ობიექტური საფუძვლების ხაზგასმის თვალსაზრისით, ამ ამონარიდში მეტად მნიშვნელოვანია ის ადგილები, სადაც ავტორი „ბავშვებზე მოთხოვნილებას თვლის საყოველთაო საზოგადოებრივ მოთხოვნილებად“; ნორჩ თაობას აღიარებს „კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უნივერსალურ და საყოველთაო ფასეულობად“; და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, „გარდუვალად მიიჩნევს ბავშვებზე მოთხოვნილების პრაქტიკულ რეალიზაციას“.

შიშლის შექმნა ოჯახში, მიუხედავად იმისა, იგი ვაჟია თუ გოგონა, დიდ სიხარულს იწვევს, მაგრამ ვაჟიშიშლის კულტი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მაინც აშკარაა. ეს დაკავშირებულია ქონების მემკვიდრეობით გადასვლასთან, ოჯახური ტრადიციების შენარჩუნებასთან და, რაც მთავარია, გვარიშვილობის უწყვეტობასთან. ამ მხრივ საინტერესოა ჩინეთის მაგალითი. აქ დამკვიდრებული ადათ-წესის მიხედვით, ვაჟიშიშლის, როგორც გვარის გამგრძელებლის დაბადება ოჯახში უპირველეს მიზანს (საზრუნავს) წარმოადგენდა. თანაც, არა მარტო ერთის, არამედ რამდენიმესი, რათა მათი ნაწილის უდროოდ გარდაცვალებისას, ერთ-ერთის გადარჩენა მაინც გამხდარიყო შესაძლებელი. ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო (ნაწილობრივ დღესაცაა შენარჩუნებული), რომ მამაკაცს, რო-

¹ პ. გუგუშვილი. მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი. თბილისი, 1985, გვ. 114.

მელსაც თავის მეუღლესთან არ გაუჩნდებოდა ვაჟი, არ ეკრძალებოდა პარალელურად ყოლოდა ხასა და მასთან გაეჩინა მამრობითი სქესის ბავშვი (ბავშვები). ყოველივე ეს, ცხადია, საბოლოო ანგარიშში, ხელს უწყობდა მრავალშვილიანობას.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეისთვის ოჯახს მინიმუმამდე აქვს დაყვანილი მოთხოვნილება ბავშვებზე, როგორც მსცოვანი მშობლების მატერიალური უზრუნველყოფის წყაროზე. მაგრამ, მატერიალურის გარდა, ხომ არსებობს სხვა (მორალური, ფსიქოლოგიური, ეთიკური და ა.შ.) მხარეებიც? ამასთან დაკავშირებით, პ. გუგუშვილი გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში წერდა: „ზოგიერთი ფიქრობს, რომ საპენსიო უზრუნველყოფის განმტკიცება-განვითარება მოადუნებს და საბოლოოდ მოსპობს შვილების, საერთოდ მემკვიდრეთა ყოლის მოთხოვნილებას უსაფუძვლო და საერთოდ ადამიანურ წმინდა გრძნობათა უარყოფელი შესედულეობაა. საქმე ისაა, რომ, მართალია, პენსია დაერდომილს საჭმლისა და ცხოვრების სხვა საშუალებებს მისცემს, მაგრამ პენსია მის სახელსა და საქმეებს ვერ უპატრონებს, ვერც გააგრძელებს, მის ინტერესებს ვერ დაიცავს, მის ბიოგრაფიას და პერსონალურ, ინდივიდუალურ თავისებურებებს ვერ შეინახავს და მომავალ თაობებსაც ვერ გადასცემს, ვერ გაუზიარებს; – ამას მხოლოდ მისი შვილები, შვილიშვილები და საერთოდ ნაშიერები გააკეთებენ და უკეთესად მხოლოდ ისინი უპატრონებენ მის საყვარელ ნივთებს, რათა მტერმა ისინი მისი სახელის წინააღმდეგ არ გამოიყენოს, არ წაბილწოს“¹.

სრულიად უსაფუძვლოდ მიმაჩნია კამათი იმის თაობაზე, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სხვადასხვა ჯგუფს (ბავშვები, სრული შრომისუნარიანები და პენსიო-

¹ პ. გუგუშვილი. მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი. თბილისი, 1985, გვ. 100-101.

ნერები) შორის ვის მეტი და ვის ნაკლები წვლილი შეაქვს ეროვნული სიმდიდრის შექმნაში, აქედან ვინ მოიხმარს მეტს და ვინ ნაკლებს, ვინ ვის წინაშე ვალში და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით, ბ. ურლანისს თავის ერთ-ერთ ნაშრომში მოტანილი აქვს ასეთი ფრიად საგულისხმო ცხოვრებისეული მაგალითი. გლეხს ეკითხებიან იმის თაობაზე, თუ როგორ ანაწილებს ის თავის შემოსავალს. პასუხი ასეთია – ჩემს შემოსავალს იმთავითვე ვყოფ ოთხ ნაწილად. ერთ ნაწილს ვაძლევ ვალად (ვზრდი ვაჟიშვილებს), მეორე ნაწილით ვიხდი ვალს (ეუველი მოხუც მშობლებს), მესამე ნაწილს ქარს ვატან (ვინახავ მეფესა და ურიადნიკს), ხოლო მეოთხე ნაწილს წყალში ვყრი (ვზრდი ქალიშვილებს)¹.

ალბათ, არ ღირს ზღაპრის მთავარ გმირთან შეკამათება ქალიშვილების აღზრდისთვის გაწეული ხარჯების ესოდენ არაადეკვატურ შეფასებასთან დაკავშირებით (თუმცა, თავის დროზე მას სათანადო გამართლებაც ჰქონდა, რამდენადაც, ტრადიციისამებრ, მშობლებს ქალიშვილების მზითვისთვის საკმაოდ სოლიდური ოდენობის თანხის დაგროვება უწევდათ, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენდა).

მეფისა და ურიადნიკის შენახვის ხარჯებთან უარყოფითი დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ ძნელად ასახსნელია (თუ საერთოდ შეუძლებელი არა) ის, თუ რატომ ითვლება „ვალად გაცემად“ ვაჟიშვილების აღზრდისთვის გაწეული ხარჯები და რატომაა „ვალის გადახდა“ მოხუცი მშობლების შენახვა. თითოეული სტრუქტურული ჯგუფი ხომ თანმიმდევრულად გაივლის ყველა საფეხურს, ბავშვობით დაწყებული და მოხუცებულობით დამთავრებული, ამიტომ სამომხმარებლო სტადიას წარმოებრივი სტადია ენაცვლება, ხოლო წარმოებრივს – ისევ სამომხმარებლო და მათ შორის ურთიერთობებზე ეკვივალენტურობის

¹ Б.Ц. Урляяс. Народонаселение. Исследования, публицистика. М., 1976, с. 332.

პრინციპის პოზიციებიდან მსჯელობა გაუმართლებელია. დღევანდელი „ბაბუები“, რომლებიც თითქოს თავიანთ შვილიშვილებისთვის მუშაობენ, თავის დროზე თვითონაც ხომ იყვნენ „შვილიშვილები“ და ხომ ჰყავდათ „ბაბუები“, რომლებიც ასევე მათთვის მუშაობდნენ.

მიუხედავად ამისა, თაობები შეიძლება ერთმანეთს შეეადართო როგორც მეცნიერული და ეკონომიკური (აღმოჩენები და გამოგონებები, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები, შრომის მწარმოებლურობა, მშპ-ის წარმოება მოსახლეობის 1 სულზე, მოსახლეობის რეალური შემოსავალი, თავისუფალი დრო და ა.შ.), ისე დემოლოგიური (ქორწინება, განქორწინება, შობადობა, მოკვდაობა, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, შვილიანობა, დემოლოგიური სიბერე და სხვ.) პარამეტრებით. ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის წარმართვა ბევრ საინტერესო კითხვაზე გასცემს პასუხს.

აღსანიშნავია, რომ თაობათა მუდმივი განახლება (თაობათა კვლა) უზრუნველყოფს კაცობრიობის არა მარტო ფიზიკურ უწყვეტობას, არამედ თვისებრივ (ინტელექტუალურ) სრულყოფასაც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოველი ახალი თაობა წინა თაობაზე უფრო განათლებული, მეტი ცოდნით აღჭურვილი და დიდი გამოცდილების მქონეა. ნებისმიერ მომდევნო თაობას გაცილებით ძლიერი პოტენციალი აქვს, ამიტომ მას უფრო წონადი წვლილის შეტანა შეუძლია გარემო სამყაროს ჯერ კიდევ ამოუცნობ საიდუმლოებათა ამოხსნაში.

თაობათა განახლება თავისთავად აბსტრაქციაა და გარკვეული კანონზომიერების მუდმივ განმეორებადობას გვიჩვენებს, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგი კონკრეტული ფორმებით ვლინდება. გამოვლინების ეს კონკრეტული ფორმები კერძო დემოლოგიური კანონების სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის გაფართოებული, მარ-

ტივი და შეკვეცილი აღწარმოების კანონები, აგრეთვე დემოლოგიური კომპენსაციის კანონი და სხვ.

2.2. დემოლოგიური გადასვლის კანონი

აღნიშნული კანონის არსის გარკვევამდე, მიზანშეწონილად მიმაჩნია თვით ამ პრობლემის მეცნიერულ ბრუნვაში პირველად შემოტანისა და დემოლოგიურ ლიტერატურაში მის გაშუქებასთან დაკავშირებით ცალკეულ გაუგებრობათა შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

დემოლოგიური გადასვლის, ანუ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების თანმიმდევრული ცვლის კონცეფციას სათავე დაუდო ცნობილმა ფრანგმა დემოლოგმა, წლების მანძილზე საფრანგეთის შრომის მინისტრმა და სენატორმა ა. ლანდრიმ, რომელმაც 1934 წელს გამოაქვეყნა თავისი ორიგინალური ნაშრომი – „დემოგრაფიული რევოლუცია“, თუმცა, ასეთი ფორმულირება თავდაპირველად ჯერ კიდევ 1909 წელს შემოგეთავაზა.

დემოლოგიური გადასვლის კონცეფციის დამუშავების ასევე ერთ-ერთი პირველი (თანაც, საკმაოდ წარმატებული) ცდა ეკუთვნის შვეიცარიელ კრიმინოლოგს, წარმოშობით პოლონელს, უნევეის უნივერსიტეტის სამართლის დარგის დოცენტს ლეონ რაბინოვიჩს (აშშ-ში გადაკეთებული ტრანსკრიპციით – რადზინოვიჩს) წიგნში „მოსახლეობის პრობლემები საფრანგეთში: მოსახლეობის სოციოლოგიის ნარკვევი“ (პარიზი, 1929). დემოლოგიური ევოლუციის რაბინოვიჩისეული ჭკრეტა ფრიად ორიგინალურია. იგი ჯერ კიდევ მაშინ ვარაუდობდა, რომ დადგება პერიოდი, როცა მოსახლეობა შეწყვეტს მატებას და

იგი შეეა დემოლოგიური რეგრესის, ანუ დეპოპულაციის სტადიაში.

დემოლოგიური გადასვლის კონცეფცია კიდევ უფრო გააღრმავა და ახალი იდეებით გაამდიდრა ამერიკელმა დემოლოგმა ფრანკ ნოუტსტაუნმა. აღსანიშნავია, რომ მან 1936 წელს პრინსტონის უნივერსიტეტთან დააარსა მოსახლეობის კელევის განყოფილება – პირველი დემოლოგიური სამეცნიერო ცენტრი აშშ-ში. მანვე შემოგეთავაზა (1945 წ.) თვით ტერმინი – „დემოგრაფიული (დემოლოგიური) გადასვლა“. ამ კონცეფციის დამუშავებაში თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი აგრეთვე ცნობილ მეცნიერებს ე. კოულსა და ჯ. კოლდუელს, ჩეხ მეცნიერს ზ. პაელიკს, რუს მეცნიერ-დემოლოგს ა. ვიშნევსკის და ა.შ.¹

თანამედროვე დემოლოგიური ლიტერატურის გულმოდგინე შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ერთმანეთშია არეული დემოლოგიური გადასვლის ტიპები, სტადიები, ფაზები, საფეხურები, ეტაპები, პერიოდები, რაც ბევრ გაუგებრობას წარმოშობს. არის ვარიანტები შობადობის განვითარების 3 სტადიის (ლ. ანრი), მოსახლეობის მატების, აგრეთვე შობადობისა და მოკვდაობის დინამიკის 5 სტადიის (კ. ბლეკერი), 4 ეტაპის (ე. კოული, მ. გუვერი, გ. შუბნელი) გამოყოფისა. გვხვდება სხვა თვალსაზრისებიც.

ვ. ბორისოვი რატომღაც დემოლოგიური გადასვლის პირველ ფაზად თელის მოსახლეობის აღწარმოების პირველ ტიპს, მეორე ფაზად – მეორე ტიპს და მესამე ფაზად – მესამე ტიპს², რითაც უსაფუძვლოდ აიგივებს ამ ორ განსხვავებულ კატეგორიას ერთმანეთთან. ანალოგიური

¹ ივ. А.Г. Вишневский. Демографическая революция. М., 1976; მიხივე, Воспроизводство населения и общество, с. 49-68, 92-100, 107-113, 168-188, 198-208.

² ვ.ა. ბორისოვი. დემოგრაფია (ა. სახეაძის ქართული თარგმანი რუსულიდან). თბილისი, 1999, გვ. 335-337.

უზუსტობაა დაშვებული ვ. გუჯაბიძის მიერ შემოთავაზებულ სქემაში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იგი ფაზის ნაცვლად სტადიას ხმარობს, რაც საკითხის არსს არ ცვლის¹.

მოსახლეობის აღწარმოების ტიპი წარმოადგენს ისეთ კატეგორიას, რომელიც ასახავს ამ პროცესის უმნიშვნელოვანეს თვისებრივ მხარეებს (შობადობასა და მოკვდაობას შორის თანაფარდობას) მეტნაკლებად მსგავს ისტორიულ-ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პირობებში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმთან და განსაზღვრავს იმ პარამეტრებს, რომლებშიც შეიძლება იცვლებოდეს აღწარმოებრივი პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლები. მოსახლეობის აღწარმოებრივი ტიპები წარმოადგენას გვიქმნის კაცობრიობის დემოლოგიური ისტორიის თანმიმდევრულ ეტაპებზე.

რაც შეეხება ფაზას (ისევე, როგორც ეტაპი, სტადია, პერიოდი და ა.შ.), მოსახლეობის აღწარმოების შემადგენელ ნაწილს, მისი განვითარების გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს და უფრო მცირე მონაკვეთის განმავლობაში შობადობისა და მოკვდაობის რამდენადმე განსხვავებული რეჟიმი შეესაბამება. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის აღწარმოების ტიპისა და ფაზის ერთნაირი მნიშველობით გამოყენება უსაფუძველო და გაუმართლებელია.

ავტორთა კოლექტივის მიერ ქართულ ენაზე დემოგრაფიის (დემოლოგიის) ახლახან გამოცემულ ორიგინალურ სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია წინადადება მეცნიერულ ბრუნვაში „მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდის“ შემოტანის თაობაზე. სადაც ვკითხულობთ: „მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პე-

¹ იხ. Демографический переход и старение населения в Грузии, в книге – Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тбилиси, 1990, сс. 3, 5, 7.

რიოდი წარმოიქმნება მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის მეორეთი შეცვლის პერიოდში. მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი აერთიანებს როგორც წარმავალი, ისევე მომავალი ტიპებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს¹.

ამ ამონარიდში გამოთქმულ მოსაზრებებს ვეთანხმები მცირეოდენი დაზუსტებით: მას, „მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდის“ ნაცვლად, უმჯობესია ეუწოდოთ „მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე გარდამავალი პერიოდი“, როგორც ეს (თუმცა სხვა კონტექსტში) საკვებით მართებულადაა აღნიშნული ამავე ნაშრომის 230-ე გვერდზე, ასევე პროფ. ა. სულაბერიძის მიერ ახლახან გამოცემულ ნაშრომში².

მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ცვალებადობის აღმნიშვნელად დემოლოგიურ ლიტერატურაში სინონიმებად იხმარება „დემოგრაფიული (დემოლოგიური) გადასვლა“ და „დემოგრაფიული (დემოლოგიური) რევოლუცია“. სწორია თუ არა ეს? – ჩემი აზრით, სწორია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული პროცესის შინაარსობრივი მხარე არცერთ შემთხვევაში არაა დამახინჯებული. რაც შეეხება ა. კვაშასა და ვ. იონცევის არგუმენტაციას ამ ცნებების არაიდენტურობის თაობაზე, რბილად რომ ვთქვათ, ძნელად გასაზიარებელია. მათი მტკიცებით, „დემოგრაფიული გადასვლა“ ევოლუციურ განვითარებას ნიშნავს და მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებს გამოხატავს³, ამიტომ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების აღმნიშვნელად ვერ გამოდგება.

¹ იხ. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე. დემოგრაფია (სახელმძღვანელო). თბილისი, 2007, გვ. 19.

² იხ. ა. სულაბერიძე. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007, გვ. 55-50.

³ იხ. Современная демография. Под редакцией А.Я. Кваши и В. А. Ионцева. М., 1995, с. 7.

სინამდვილეში თანდათანობითი ევოლუციური განვითარება და რაოდენობრივი ცვლილებები გარკვეულ ეტაპზე კულმინაციას აღწევს და თვისებრივ ცვლილებებს აპირობებს. ეს გადასვლა რევოლუციურ ნახტომს ნიშნავს და მას მარტო ევოლუციურ განვითარებას ვერ ვუწოდებთ. იმაში კი შეიძლება დავეთანხმოთ, რომ ამ პროცესს „დემოგრაფიული რევოლუცია“ უფრო ესადაგება, ვინემ „დემოგრაფიული გადასვლა“.

დემოლოგიური გადასვლის კონცეფციის არსი კაცობრიობის განვითარების კვალობაზე მოსახლეობის აღწარმოების ერთმანეთისგან განსხვავებული ძირითადი ტიპების ჩამოყალიბებისა და ისტორიული თანმიმდევრულობის ცვლის კანონზომიერებათა მეცნიერულ ახსნაში უნდა ვეძიოთ. ასეთ დაყოფას საფუძველად უძევს ადამიანთა საზოგადოების ევოლუციური და რევოლუციური განვითარების საფეხურები და შობადობისა და მოკვდაობის, როგორც უმნიშვნელოვანესი დემოლოგიური პროცესების, საზოგადოებისა და ოჯახის მხრივ კონტროლირებადობისა და რეგულირებადობის დონე. ამ პროცესში წარმოდგენილ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დემოლოგიური კანონის სტატუსს ანიჭებს ის, რომ მას აქვს არა ეპიზოდური, შემთხვევითი და ლოკალური, არამედ მუდმივგანმეორებადი, სტაბილური და გლობალური ხასიათი, რომელიც მას შეუქცევადს ხდის. მაგალითად, ყოველად შეუძლებელია და წარმოუდგენელიც კი, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებიდან, რომელიც დამახასიათებელია მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისთვის, შეუზღუდავ და არაკონტროლირებად შობადობაზე გადასვლა, რომელიც დამახასიათებელი იყო მოსახლეობის აღწარმოების პირველი და მეორე ტიპებისთვის. დემოლოგიური გადასვლის კონცეფციის თანახმად, თითოეული ქვეყნის მოსახლეობა თავისი დემოლოგიური განვითარების გზაზე გაივ-

ლის საფეხურებს, რომელთაგან თითოეულს აღწარმოების გარკვეული ტიპი შეესაბამება.

როგორც აღენიშნეთ, ამ ტიპების კლასიფიკაციისა და ფორმულირების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტიპებია: პრიმიტიული, ტრადიციული და თანამედროვე.

მოსახლეობის აღწარმოების პრიმიტიული ტიპის (არქეტიპის) მთავარი ნიშნებია:

– მოკვდაობის (ძირითადად ჩვილთა მოკვდაობის) მაღალი (30-35%)¹ დონე, რაც, უწინარეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, ეგზოგენური ფაქტორებით, ანუ გარემო ბუნების ზემოქმედებით იყო გამოწვეული. მას, მასობრივ ეპიდემიურ დაავადებებთან, ხშირ და გამანადგურებელ დამპყრობლურ ომებთან, აგრეთვე სტკიურ უბედურებებთან ერთად, განსაზღვრავდა მწარმოებლურ ძალთა განვითარების დაბალი დონით განპირობებული საარსებო საშუალებათა მწვავე დეფიციტი, რომელიც იწვევდა ქრონიკულ შიმშილობას (ეს ფაქტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა ადამიანთა მასობრივი სიკვდილის ძირითად მიზეზს), ჯანმრთელობის დაცვისთვის უმნიშვნელო ზრუნვა, დაბალი სანიტარიული კულტურა და ა.შ.;

– მოსახლეობის რიცხოვნობის ძირითადად მოკვდაობით რეგულირება;

– შობადობის ობექტივაციის გარეშე, გაუცნობიერებლად მიმდინარეობა;

– შობადობის მაღალი (40-45%)² დონე და, მოკვდაობასთან შედარებით, ოდნავ წინმსწრები ტემპები, რომელიც მოკვდაობის მაღალი დონის პირობებში ადამიანთა გენის თვითგადარჩენის შინაგანი ინსტინქტის გამოვლინე-

¹ Г.П. Киселева. Нужно ли повышать рождаемость?. М., 1979, с. 20.

² იქვე.

ბას წარმოადგენდა. შობადობის ასეთი დონის შენარჩუნებას ხელს უწყობდა რელიგიური დოქტრინები, მორალური ნორმები, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები;

– ძირითადი დემოლოგიური პროცესების (შობადობა, მოკვდაობა და სხვ.), როგორც წესი, არაკონტროლირებადობა და არარეგულირებადობა. საზოგადოება ათასწლეულების განმავლობაში გამოიმუშავებდა გარკვეულ სოციალურ ნორმებს (კანონებს, რელიგიურ მრწამსს, ეროვნულ ჩვევებსა და ტრადიციებს), რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართული იყო მაქსიმალური შობადობის წასახალისებლად, მაგრამ მათი მარგიქმედების კოეფიციენტი უმნიშვნელო იყო. კიდევ უფრო სუსტი იყო ზემოქმედება მოკვდაობაზე;

– სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის დაბალი დონე (მაგალითად, რკინისა და ბრინჯაოს ხანაში არ აღემატებოდა 20 წელს);

– მოსახლეობის ოდნავი (წელიწადში საშუალოდ 0.001-0.03%)¹ ბუნებრივი მატება;

– მოსახლეობის აღწარმოების უაღრესად დაბალი ეკონომიურობა, უფრო ზუსტად, ექსტენსიური ხასიათი და მოსახლეობის რიცხოვნობის მცირეოდენი მატების ადამიანთა დიდძალი რესურსების ხარჯვით მიღწევა;

– მოქმედების ხანგრძლივობა, განსაკუთრებით აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპის მთავარი ნიშნებია:

– რამდენადმე შემცირების მიუხედავად, მოკვდაობის მაღალი დონე და მოკვდაობის შემთხვევების დაბლიდან მნიშვნელოვანწილად მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში გადანაცვლება;

¹ იხ. გ. წულაძე. შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბილისი, 1984, გვ. 151.

- მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის საგრძნობი (დაახლოებით 30 წლამდე) ზრდა;
 - ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების არარსებობა და შობადობის მაღალი დონე;
 - მოკვდაობის მაღალი დონის შედეგად, მოსახლეობის რიცხოვნობის მატების დაბალი (წელიწადში მხოლოდ 0.03-0.4%) ტემპი¹;
 - მოქმედების შედარებით მცირე პერიოდი (იგი დამკვიდრებული იყო XVIII საუკუნემდე, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში XX საუკუნეშიც შეიმჩნეოდა).
- მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ძირითადი მახასიათებლები:
- ბავშვთა ყოლის მოთხოვნის (ოჯახში ბავშვთა სასურველი ოდენობის) შემცირება და რეპროდუქტიული განწყობის დაქვეითება;
 - შობადობის შიგაოჯახური რეგულირება. ბავშვების გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება, რაც წინა ეტაპებისგან განსხვავებულ ახალ თვისებრიობას წარმოადგენს;
 - მოკვდაობის ეგზოგენური მიზეზების თანდათანობით დაძლევა, ენდოგენური მიზეზების წინა პლანზე გადმოსვლა და, მოსახლეობის აღწარმოების წინა ტიპებისგან განსხვავებით, მოკვდაობის დაბალი დონე, რომელსაც ახასიათებს ზრდის ერთგვარი ტენდენცია მოსახლეობის დემოლოგიურ დაბერებასთან დაკავშირებით;
 - სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი (მთელ მსოფლიოში საშუალოდ 2007 წლისთვის 68 წლამდე) ზრდა;
 - შობადობის უაღრესად დაბალი, რიგ შემთხვევაში დეპოპულაციის განმაპირობებელი დონე;

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე. დემოგრაფია (სახელმძღვანელო). თბილისი, 2007, გვ. 22.

– დემოლოგიური დაბერება და დასაქმებულ შრომისუნარიანთა სოციალურ-დემოლოგიური დატვირთვის ზრდა;

– მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების დაცემისა და ღონის შემცირების ტენდენციის დამკვიდრება;

– მოსახლეობის აღწარმოების ექსტენსიურიდან თანდათანობით ინტენსიურ ტიპზე გადასვლა და მნიშვნელოვანი ბუნებრივი მატების ადამიანთა შედარებით მცირე მოცულობის რესურსების ხარჯვით მიღწევა;

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მაღალი ეკონომიურობა*.

მოსახლეობის აღწარმოების ეს ტიპი დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებას იწყებს XVIII საუკუნის დასასრულიდან. მან პირველად იჩინა თავი საფრანგეთში და შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. აღსანიშნავია, რომ საქართველო მთელი XIX საუკუნის განმავლობაში დემოლოგიური განვითარების დონით არა მარტო ჩეხობულ, არამედ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებზეც მაღლა იდგა¹.

ამრიგად, თუ მოსახლეობის აღწარმოების მეორე ტიპის დროს ახალ თვისებრიობას მოკვდაობის ტიპის გარდაქმნა (ეგზოგენური მოკვდაობის შემცირება) წარმოადგენდა, მესამე ტიპის დროს ასეთ თვისებრიობად შობადობის ტიპის გარდაქმნა (ბაშვთა შობის ნებელობითი შეზღუდვა) გვევლინება. ამ ფონზე, რამდენადმე გაუგებარია ა. კვაშასა და ვ. იონცევის შეხედულება იმის თაობაზე,

* მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა გვიჩვენებს დემოლოგიური „შედევებისა“ და „დანახარჯების“ თანაფარდობას. ადამიანთა რაც უფრო მცირე რესურსების დახარჯვით იქნება მიღწეული ძირითადი დემოლოგიური შედეგი – მოსახლეობის ბუნებრივი მატება, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი მით უფრო ეკონომიურია.

¹ იხ. მ. ხმაღაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადისერტაციო მაცნე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1995, გვ.14.

რომ მოსახლეობის აღწარმოებაში პირველ თვისებრივ ნახტომს კონტროლირებად (უფო ზუსტად, რეგულირებად), შობადობაზე გადასვლა წარმოადგენდა¹.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ჩამოთვლილი ნიშნები (მახასიათებლები) ამ ტიპის საერთო შინაარსის გამომხატველია, მაგრამ იგი, თავის მხრივ, რამდენიმე ფაზისგან შედგება, რომელთა კონკრეტული მახასიათებლები გარკვეულ ნიუანსებში განსხვავდება ერთმანეთისგან. დემოლოგიურ ლიტერატურაში ამ სქემის არა ერთი ვარიანტია ცნობილი, რომელთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო მისაღებია გაეროს მიერ დემოლოგიური პროგნოზირებისთვის გამოყენებული ვარიანტი. აი, როგორ გამოიყურება იგი:

პირველი ფაზა – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირების ტემპი უსწრებს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირების ტემპს (ეს უკანასკნელი დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება საერთოდ არ შემცირდეს ან გაიზარდოს კიდევ). ამის შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება ფრიად სოლიდურ სიდიდეს აღწევს;

მეორე ფაზა – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება გრძელდება და ფაზის დასასრულისთვის უმდაბლეს დონეს აღწევს, თუმცა, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მცირდება კიდევ უფრო სწრაფად, რის შედეგადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნელდება;

მესამე ფაზა – ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებებისა და მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების კვალობაზე, რამდენადმე იზრდება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება კი ნელდება. ფაზის დასასრულისთვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უახლოვდება მოსახლეობის მარტივი

¹ იხ. Современная демография. Под редакцией А.Я. Кваши и В.А. Ионцева. М., 1995, с. 11.

აღწარმოების დონეს, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი კი რჩება ამ დონეზე დაბლა;

მეოთხე ფაზა – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი მატულობს და უახლოვდება შობადობის ზოგად კოეფიციენტს, რითაც მიიღწევა დემოლოგიური სტაბილიზაცია.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები XX საუკუნის 80-იან წლებში ახლოს იყვნენ მესამე ფაზის დამთავრებასთან, მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა იმყოფება პირველ ფაზაში ან მეორე ფაზის დასაწყისში. ასე რომ მთელ მსოფლიოში მესამე ფაზის დამთავრება ნავარაუდევია არაუადრეს XXI საუკუნის შუა ხანებისა¹.

მეოთხე ფაზის დამთავრების შემდეგ მოსალოდნელია დემოლოგიური განვითარების ისეთი საფეხური, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება, მოსახლეობის ასაკობრივი დაბერების პროცესის გაღრმავების შედეგად, მოკვდაობის ზრდის ტენდენციის გაძლიერება, შობადობის შემცირების გაგრძელება და, საბოლოო ანგარიშით, დეპოპულაცია.

მოსახლეობის აღწარმოების ეს უახლესი (დეპოპულაციური) საფეხური, ჩემი აზრით, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მეხუთე ფაზა უფროა, ვინემ მოსახლეობის აღწარმოების დამოუკიდებელი „უახლესი ტიპი“, როგორც ეს მიაჩნიათ ცალკეულ ავტორებს. მასში მოსახლეობის აღწარმოების ცნობილი ტიპებისგან (პრიმიტიული, ტრადიციული, თანამედროვე) რაიმე პრინციპული ხასიათის შინაარსობრივი განსხვავება არ შეინიშნება. ფაქტიურად საკითხი ეხება შობადობასა და მოკვდაობას შორის თანაფარდობის შეცვლას ანუ რაოდენობრივ ცვლილებას. მოსახლეობის აღწარმოების ტიპის შეცვლა კი ისეთ დემოლოგიურ პროცესებს ძალუძს, როგორიცაა, მაგალითად, ძირეული სტრუქტურული ძვრები მოკვდაო-

¹ იხ. Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 116.

ბის განმსაზღვრელ ფაქტორთა (ეგზოგენური თუ ენდოგენური) სისტემაში ან შობადობის შეუზღუდელობიდან ცნობიერ (შეგნებულ) რეგულირებაზე გადასვლა და ა.შ. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის შობადობის ზოგად კოეფიციენტზე გასწრებისას ასეთი თვისებრივი ცვლილებები არ ფიქსირდება, ამიტომ იგი სავსებით კანონზომიერად ჯდება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის უახლეს (მეხუთე) ფაზად. ასეთივე შეხედულებისაა პროფ. ა. თოთაძე¹, რასაც მთლიანად ვიზიარებ.

მსოფლიოს რეგიონების მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის სხვადასხვა ფაზაში ყოფნაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი განვითარებულ რეგიონში 2-ჯერ დაბალი, ხოლო განვითარებად რეგიონში 10%-ით მაღალია საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მონაცემებით). რაც შეეხება მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, იგი ასეთ სურათს იძლევა: მთელ მსოფლიოში საშუალოდ 12 პრომილე, მ.შ. განვითარებად რეგიონში – 15 (კერძოდ, აფრიკაში – 24 ‰), ხოლო განვითარებულ რეგიონში – 1 (კერძოდ, ევროპაში – 2 ‰).

საქართველოში დემოლოგიური განვითარების ტენდენციები დაახლოებით ისეთივეა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, რომლებმაც ფაქტიურად დაამთავრეს მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა და იმყოფებიან ბოლო – სტაბილიზაციის სტადიაზე, ანუ ისეთ საფეხურზე, სადაც უკვე შეწყვეტილია მოსახლეობის ბუნებრივი მატება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებიდან XX საუკუნის მეორე ნახევრისთვის (1976-1977 წწ.) დემოლოგიური გადასვლა დამთავრებული ჰქონდათ რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას, ესტო-

¹ იხ. ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბილისი, 1999, გვ. 68.

ნეთს, ლატვიას. ამ დროისთვის საქართველოს უკვე დამთავრებული ჰქონდა დემოლოგიური გადასვლის მეორე ფაზა და იმყოფებოდა მესამე ფაზის დასაწყისში (რომელიც დაამთავრა 1988-1989 წლებში). მეორე ფაზაში იმყოფებოდნენ ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, ხოლო პირველ ფაზაში – შუა აზიის ქვეყნები.

დემოლოგიური გადასვლის თაობაზე ჩემს მიერ დასმული საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა არა თავისთავად აქ მოტანილ მაჩვენებელთა სიჭრელე, არამედ ის, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა გარდუვალად უნდა გაიარონ განვითარებული ქვეყნების მიერ განვლილი დემოლოგიური გზა და საბოლოოდ იმავე მაჩვენებლებს უნდა მიუახლოვდნენ.

2.3. მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრებლი ზრდის კანონი

მოსახლეობის რიცხოვნობის მატების განმსაზღვრელ დემოლოგიურ, გარემოებურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა არაერთგვაროვნების გამო, ეს პროცესი ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირი სისწრაფით მიმდინარეობდა. ბუნებრივია, საწყის საფეხურზე მეტად უმნიშვნელო მატებას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, დაახლოებით 9 ათასი წლის წინათ მოსახლეობის რიცხოვნობის მატების ტემპი მთელი ათასწლეულის მანძილზე 10-20 პრცენტს არ აღემატებოდა¹. იგი განპირობებული იყო ძირითადად ისეთი მოვლენებით, როგორცაა: ცხოვრების უმძიმესი პირობები, მეცნიერების საფუძველზე დამყარებული მკურნალობის არარსებობა და მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილთა მოკვდაობის) მაღალი დონე; ეპიდემიე-

¹ იხ. Народонаселение, окружающая среда и развитие. Краткий доклад объединенных наций. Нью-Йорк, 2001, с. 9.

ბის სიხშირე, რომელიც მუსრს ავლებდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს; ტომებს შორის ხშირი ომები; კაციჭამიობა (ბრძოლებში გამარჯვებული ტომის წევრები ხოცავდნენ და მიერთმევდნენ დამარცხებული ტომის ტყვეებს) და სხვ.

მწარმოებლურ ძალთა განვითარებამ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფამ, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კვალობაზე ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ შედარებით ხელსაყრელი პირობები შექმნა მოსახლეობის რიცხოვნობის მატების ტემპების დაჩქარებისთვის. ამის შედეგი იყო ის, რომ მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 0.3 პროცენტს მიაღწია და 500 წლის განმავლობასი გაორმაგდა, მაშინ როცა წინა პერიოდში მსოფლიოს მოსახლეობის გაორმაგებას ორ ათასწლეულზე მეტი დასჭირდა.

მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით გაიზარდა XVII საუკუნის დასაწყისიდან და უკვე XIX საუკუნის დასაწყისისთვის პირველად მიაღწია ერთ მილიარდს. XIX საუკუნეში მოსახლეობის მატების საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 0.8 პროცენტს, 1960-1975 წლებში კი 2 პროცენტს, რომელიც ცნობილია „დემოგრაფიული (დემოლოგიური) აფეთქების“ სახელწოდებით. ეს ძირითადად მაღალი შობადობის შენარჩუნებითა და მოკვდაობის ეგზოგენური ფაქტორების მნიშვნელოვანწილად დაძლევით იყო განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მოსახლეობამ თავის პირველ მილიარდს თუ 1804 წელს მიაღწია და ამისთვის ათასწლეულები დასჭირდა, უკვე მეორე მილიარდს – 1927 წელს აღწევს, მესამე მილიარდს – 1960 წელს, მეოთხე მილიარდს – 1974 წელს, მეხუთე მილიარდს – 1987 წელს, ხოლო მეექვსე მილიარდს – 1999 წელს.

სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, ერთობ ძნელია ზუსტად შევაფასოთ მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა კაცობრიობის დასაბამიდან თითქმის XIX საუკუნის დასაწყისამდე, ე.ი. მანამ, სანამ ევროპის ბევრ ქვეყანაში დაიწყებოდა მოსახლეობის აღწერები თანამედროვე გაგებით. და მაინც, ექსპერტული შეფასებით, ადამიანთა პოპულაცია, რომელიც ცხოვრობდა დედამიწის ზურგზე 1 მლნ წლის წინათ, დაახლოებით 100 ათ. კაცს ითვლიდა, ჰომო-საპიენსის (homo Sapiens) გამოჩენის დროისთვის – დაახლოებით 500 ათასს, 30-10 ათასი წლის წინათ – 5 მილიონამდე, ხოლო ჩვ. ერამდე მეოთხე ათასწლეულის დასაწყისისთვის – დაახლოებით 100 მლნ კაცს¹.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის მთელ ჩვენს პლანეტაზე 230 მლნ ადამიანი ცხოვრობდა. შემდგომი დინამიკა ასეთია (მლნ კაცი): 1000 წელი – 280, 1200 წელს – 384, 1500 წელს – 427, 1750 წელს – 731, 1900 წელს – 1668. მოსახლეობის დინამიკა შორეული წარსულიდან XX საუკუნემდე კონცენტრირებული სახით ასეთ სურათს იძლევა (ცხრ. 1).

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, ჯერ ერთი, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის უმნიშვნელო ტემპები ადამიანთა მოდგმის დასაბამიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მისი საგრძნობი დაჩქარება მომდევნო ეტაპებზე (მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი თუ ნეოლითის ხანაში – 7 ათ. წელს ჩვ. ერამდე 0.03%-ს არ აღემატებოდა, ჩვ. წელთაღრიცხვის 1900 წელს 1%-მდე ავიდა); მეორე, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის (მატების) სულ უფრო ფართო მასშტაბები (მაგალითად, ნეოლითის ხანიდან ანტიკურ ეპოქამდე მოსახლეობის მატება

¹ იხ. Демографический энциклопедический словарь. М., 1984, с. 556.

მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა
კაცობრიობის დასაბამიდან XX საუკუნემდე¹

ცხრილი 1

წელთაღრიცხვა	პერიოდი	პერიოდის ხანგრძობა, წელი (დაახით)	მოსახლეობის რიცხოვნობა პერიოდის და- საწყისისთვის ² (მლნ კაცი)	მოსახლეობის ზრდა მოცემულ პერიოდში, %	
				ათასწლე- ულში	წელი- წადში
1 მლნ წელი ჩვენს ერამდე	ადრინდელი პალეოლითი	900 000	0.01-0.02	ერთ პრო- ცენტზე ნაკლები	-
100 ათ. წელი ჩვენს ერამდე	საშუალო პა- ლეოლითი	70 000	0.2-0.3	3	-
30 ათ. წელი ჩვენს ერამდე	გვიანდელი პა- ლეოლითი	15 000	1.0	8	-
15 ათ. წელი ჩვენს ერამდე	მეზოლითი	8 000	3	15	-
7 ათ. წელი ჩვენს ერამდე	ნეოლითი	5 000	10	40	0.03
2 ათ. წელი ჩვენს ერამდე	ანტიკური ეპო- ქა	2 000	50	-	0.1
ახალი წელთაღრიც- ხვის დასაწყისი	ანტიკური ეპოქის და- სასრ. საშ. სა- უკ. დასაწყ.	1 000	230	-	0.02
1000 წ. ახალი წელთაღრიც- ხვის	საშუალო საუ- კუნეები	500	275	-	0.1
1500 წ. ახალი წელთაღრიც- ხვის	გვიანდელი საშ. სს-ები, ახალი დროის დასაწყისი	300	450	-	0.2
1800 წ. ახალი წელთაღ- ხვის	ახალი დრო	100	919	-	0.6
1900 წ. ახალი წელთაღრიც- ხვის	ახალი დროის დასასრული. უახლესი დრო	50	1571	-	1.0

შეადგენდა 40 მლნ კაცს, 1800 წლიდან 1900 წლამდე, ანუ 1 საუკუნის განმავლობაში - 652 მლნ-ს).

¹ Б.Ц. Урланис. Народонаселение, Исследования, публицистика. М., 1976, с. 237.

² ტექსტა და ცხრილში სხვადასხვა წყაროებიდან მოტანილი მონაცემები რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ მათი დაზუსტება შეუძლებელი გახდა და უცვლელადაა დატოვებული. თუმცა, ამას ჩემი მთავარი საკითხის გარკვევისთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის პრობლემის რეგონულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ კონტრასტებს გეიწვენებს. მოსახლეობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, რეგიონსა თუ ქვეყანაში არამცთუ ერთნაირი ტემპით არ მატულობს, არამედ უძველესი დროის ზოგიერთი იმპერია და ცივილიზაციაც კი აღიგავა პირიდან მიწისა, აორთქლდა და განადგურდა ოდესღაც მაღალი კულტურის შემქმნელი მთელი რიგი ხალხებისა.

დედამიწის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ერთ ნაწილში მოსახლეობა ჯერ კიდევ არანორმალურად მაღალი ტემპებით მატულობს და დასაქმების თუ გამოკვების თვალსაზრისით რიგ პრობლემებს უქმნის ხელისუფლების ორგანოებს, ზოგან დაბალი, მაგრამ შედარებით ზომიერი ტემპებით იზრდება, ზოგან კი ეს ტემპები იმდენად დაბალია, რომ მარტივი აღწარმოების მიღწევაც შეუძლებელია და მოსახლეობის რიცხოვნობა აბსოლუტურად კლებულობს. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნების, ეგვიპტის, სირიის მოსახლეობა ერთ პერიოდში იმდენად შემცირდა, რომ ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის არსებული დონის მისაღწევად მათ 500 წელზე მეტი დასჭირდათ.

მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების გარკვეულ რეგიონულ თავისებურებებზე მსჯელობა შეიძლება უკვე ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისიდან. ამ დროისთვის, მაგალითად, იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა მხოლოდ 2 მლნ კაცს, ჩინეთის – დაახლოებით 70 მლნ-ს, ინდოეთის (პაკისტანისა და ბანგლადეშის ჩათვლით) – 70 მლნ-ს, ხოლო ევროპისა – 37 მლნ კაცს¹. ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დღემდე (2007 წლის მონაცემებით) იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობა გაზრდილია 63-ჯერ, ჩინეთის – 1883-ჯერ, ინდოეთის, პაკისტანისა და

¹ იხ. Современная демография. Под редакцией А.Я. Кваши и В.А. Ионцева. М., 1995, с. 224.

ბანგლადეშის (ერთად) – 207,2-ჯერ, ხოლო ევროპისა – 19,8-ჯერ.

ევროპის მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად მოიმატებდა რომ არა მასობრივი ემიგრაცია ამერიკის კონტინენტზე, სადაც მარტო XIX საუკუნეში დაახლოებით 30 მლნ კაცი გადასახლდა. ჩრდილოეთ ამერიკასთან ერთად, იმიგრანტთა ხარჯზე მოსახლეობის კოლოსალურ ზრდას ქმონდა ადგილი ოკეანეთში, უწინარეს ყოვლისა, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორია მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა ტერიტორიულ ჭრილში ჩვ. წელთაღიცხვის დასაწყისიდან დღემდე, მკითხველს ვთავაზობ შესაბამის ფაქტობრივ მონაცემებს (ცხრ. 2).

ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რიგი საგულისხმო დასკვნებისა: ჯერ ერთი, ჩვ. წელთაღიცხვის დასაწყისიდან დღემდე (2007 წლის განმავლობაში) მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა კოლოსალურად – თითქმის 63 მილიარით, ანუ 20,3-ჯერ გაიზარდა; მეორე, თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობა მატულობდა განუხრელად. ერთადერთი გამონაკლისი იყო 1348-1350 წლები, როცა, შავი ჭირის ეპიდემიის შედეგად, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მყისიერად (თითქმის 5-ჯერ) შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა. ეს იმდენად მასშტაბური იყო, რომ 50 წლის შემდეგ, ე.ი. XV საუკუნის დასაწყისშიც მოსახლეობის რიცხოვნობა ევროპაში 28 მილიონით ნაკლები იყო, 1300 წლის მაჩვენებელთან შედარებით; კაცობრიობამ XX საუკუნეში ორი (1914-1918 წწ. და 1939-1945 წწ.) მსოფლიო ომი გადაიტანა, მეორე მსოფლიო ომმა სსრ კავშირისა და ევროპის ქვეყნების 50 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის ბუნებრივი მატების პროცესი არ შეწყვეტილა. 1940-1950 წლებში მოსახლეობის საშუალო წლიურმა

ზრდამ 1 პროცენტი შეადგინა. მოსახლეობის რიცხოვნობა 1950 წელს, 1900 წლის შესაბამის მაჩვენებელს, 880 მილიონით აღემატებოდა; 1960-1970 წლებში, ძირითადად ბავშვთა მოკვდაობის მკვეთრად შემცირების შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიურმა ტემპმა მსოფლიოში 2 პროცენტს მიაღწია. ამან განაპირობა XX საუკუნის მეექვსე ათწლეულში (1970 წელს, 1960 წელთან შედარებით) მოსახლეობის რიცხოვნობის 650 მლნ კაცით გადიდება. მოხდა შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები მოსახლეობის ტერიტორიულ გაადგილებაში. მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ევროპის მოსახლეობის ხვედრითი წონა გაიზარდა 0.4 პროცენტით, ამერიკის – 1.4 და აფრიკის – 3.6 პროცენტით; აზიის მოსახლეობის ხვედრითი წონა შემცირდა 6.9 პროცენტით, ოკეანეთისა კი ფაქტიურად უცვლელი დარჩა.

როგორია პროგნოზული მაჩვენებლები? – აღწარმოების დღევანდელი ტემპების გათვალისწინებით, მოსახლეობის რიცხოვნობის გაორმაგებისთვის მსოფლიოს განვითარებად რეგიონს მხოლოდ 42 წელი დასჭირდება (მ.შ. ცენტრალურ აფრიკას – 23, დასავლეთ აფრიკას – 25), განვითარებულს კი 809 წელი (მ.შ. სამხრეთ ევროპას 2121).

გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, მსოფლიოს მოსახლეობა XXI საუკუნის პირველ ნახევარში 533 პროცენტით გაიზრდება და 2050 წელს 9 მლრდ 294 მილიონს მიაღწევს (2025 წელს იქნება 7 მლრდ 965 მლნ). მაგრამ იგი ყველა რეგიონში თანაბრად არ მოიმატებს. აღწარმოების განსხვავებული ტემპები საგრძნობლად გააღრმავებს მოსახლეობის ისედაც არათანაბარზომიერ ტერიტორიულ გაადგილებას. სპეციალისტთა პროგნოზით, იგი სხვაზე უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება აფრიკაში, საშუალო ტემპებით – ლათინურ ამერიკასა და აზიაში, დაბალი ტემპებით – ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში კი შემცირდება. რაოდენობრივ პარამეტრებში ეს

პროცესი ასეთ სურათას იძლევა: 2050 წელს, 2000 წელსან შედარებით, მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება განვითარებულ რეგიონში მხოლოდ 75 მილიონი კაცით, ანუ, 6.3 პროცენტით, ხოლო განვითარებადში – 3 მილიარდ 153 მილიონი კაცით, ანუ 64.5 პროცენტით. კონტინენტების მიხედვით ასეთი ცვლილებებია მოსალოდნელი. მოსახლეობა გაიზრდება აფრიკაში 2.4-ჯერ, აზიაში – 46 პროცენტით, ჩრდილოეთ ამერიკაში – 51 (ძირითადად იმიგრაციის ხარჯზე), ლათინურ ამერიკაში – 53 პროცენტით, ევროპაში კი შემცირდება 8.1 პროცენტით. ამის შედეგად შეიცვლება მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიული გადანაწილება. აბსოლუტური გამოხატულებით მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, აზიის მოსახლეობის ხვედრითი წონა შემცირდება 2.8 პროცენტული პუნქტით და ევროპისა – 4.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო აფრიკის მოსახლეობის ხვედრითი წონა გაიზრდება 6.8 პროცენტული პუნქტით და მიაღწევს 21 პროცენტს. რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკასა და სამხრეთ (ლათინურ) ამერიკას, მათი ხვედრითი წონა თითქმის უცვლელი დარჩება.

მიმდინარე საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობის განსაკუთრებით მასშტაბური ზრდაა მოსალოდნელი ინდოეთში (გაიზრდება 745.2 მლნ კაცით და 1 მლრდ 747.3 მლნ კაცს მიაღწევს), პაკისტანში (გაიზრდება 144.4 მლნ კაცით და 295 მლნ კაცს მიაღწევს), ბანგლადეშში (გაიზრდება 103 მლნ კაცით და 231 მლნ კაცს მიაღწევს), ჩინეთში (ზრდის ტემპების საგრძნობლად დარეგულირების მიუხედავად, გაიზრდება 211.5 მლნ კაცით და 1 მლრდ 476 მლნ კაცს მიაღწევს) და ა.შ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ჩვენი პლანეტისთვის 9 მლრდ 294 მილიონიანი მოსახლეობა (როგორც პროგნოზული გათვლებითაა ნაგარაუდები 2050 წლისთვის) ბევრია თუ ცოტა? – სათანადო კომენტარების გარეშე ვერც იმას ვიტყვით, რომ ბევრია და ვერც იმას, რომ ცოტაა.

მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა
კონტინენტურ ჯგუფში (მლნ კაცი)¹

ცხრილი 2

წლები	ევროპა ²	აზია	ამერიკა	აფრიკა	ოკეანეთი ³	მთელი მსოფლიო ³
ჩე. წელთაღრიცხვის დასაწყისი	35	220	40	30	1.5-2	326.5
1000	42	170	13	50	—	275
1100	48	186	17	55	—	306
1200	61	203	23	61	—	348
1300	73	216	28	67	—	384
1400	45	224	30	71	—	373
1500	69	254	41	82	—	446
1600	89	282	15	90	—	488
1650	100	330	13	100	2	545
1750	140	479	12	95	2	728
1800	187	802	25	90	2	906
1850	266	749	59	95	2	1171
1900	401	937	144	120	6	1608
1950	392	1355	328	217	12.6	2488
1960	425	1645	412	270	15.8	2982
1970	462	2056	511	344	19.4	3632
2000	728	3684	824	800	31	6067
2007	733	4010	903	944	35	6625

¹ ციფრობრივი მონაცემები 1970 წლის ჩათვლით მოტანილია წყაროდან: Естественное движение населения современного мира. М., 1974, с. 17-18; 2000 და 2007 წლის მონაცემები კი (ნაშრომის როგორც ამ, ისე სხვა გეგმებზე) ემყარება წყაროს: Population Reference Bureau. 2007 world population, www.prb.org.

² 1900 წლიდან სსრ კავშირის გარეშე.

³ 1650 წლამდე ჩათვლილი იყო აზიის მოსახლეობაში.

ამერიკელი დემოგრაფების რ. ველშეიერისა და ფ. ლორიმერის მონაცემებით, ჩე. წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ცხოვრობდა 200-300 მილიონამდე ადამიანი, ი. დობროვოლსკის მონაცემებით კი - 150-200 მილიონამდე ადამიანი.

ამას პირდაპირ ესადაგება ერთი ასეთი ცნობილი დიალოგი „თმის ერთი ღერი ბევრია თუ ცოტა?“ პასუხი: „გააჩნია სად. თავზე ცოტაა, სუპში მეტისმეტი“. მოსახლეობის რიცხოვნობის ოპტიმუმი (დემოლოგიური ოპტიმუმი) უნდა შეფასდეს რაღაცასთან (მაგალითად, ტერიტორიის მოცულობასთან, საარსებო საშუალებების რაოდენობასთან, ბუნებრივი რესურსების მარაგთან და ა.შ.) მიმართებაში.

თეორიულად თუ განვსჯით, ჩემი აზრით, დემოლოგიური ოპტიმუმი შეიძლება ვუწოდოთ ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე (ან მთელ მსოფლიოში) მოსახლეობის ისეთ რიცხოვნობას, რომელიც შესაძლებელს გახდის თაობათა ნორმალურ ცვლას, სრულ შესაბამისობაში იქნება სამუშაო ძალაზე არსებულ მოთხოვნასთან და რესურსების რაციონალური, მაღალეფექტიანი გამოყენების საფუძველზე უზრუნველყოფს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური დოვლათის წარმოების შესაძლო მაქსიმუმს, მთელი საზოგადოებისა და თითოეული მისი წევრის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას და პიროვნების ყოველმხრივ, თავისუფალ, პარმონიულ განვითარებას.

თუ, სხვა თანაბარ პირობებში, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას თან სდევს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება (დაქვეითება) და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა დემოლოგიურ ოპტიმუმს აღემატება და, პირიქით, თუ, სხვა თანაბარ პირობებში, მოსახლეობის რიცხოვნობის მატებასთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი წარმოების (ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და ა.შ.) ეფექტიანობა და უმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების პირობები, ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა ჯერ კიდევ ჩამორჩება დემოლოგიურ ოპტიმუმს.

მოსახლეობის ოპტიმალური რიცხოვნობა არამც თუ პრაქტიკულად მისაღწევი, ძალიან ძნელი გასათვლელი-ცაა (ყოველ შემთხვევაში განვითარების დღევანდელ ეტაპზე). ამის დასტურია ამ მიმართულებით მეცნიერ-დემოლოგთა (ადოლფ ლანდრი და სხვ.) არაერთი წარუმატებელი ცდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიდოთ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაზე. მომავალში თანდათან დაიხვეწება გაანგარიშების მეთოდ-იკა და, თუ ზუსტად არა, მიახლოებით მაინც გახდება შესაძლებელი დემოლოგიური ოპტიმუმის დადგენა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეცნიერულად დასა-ბუთებული დემოლოგიური პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას, უწინარეს ყოვლისა, მოსახლე-ობის ზრდის ოპტიმალური ტემპების განსაზღვრას.

დედამიწის მასშტაბით არ დგას საკითხი მოსახლეო-ბის სიჭარბის შესახებ, მაგრამ ცალკეულ რეგიონებს იგი (ე.ი. შეფარდებითი სიჭარბე მოსახლეობისა) მთელ რიგ პრობლემებს უქმნის. ამაზე მეტყველებს მსოფლიოს გან-ვითარებად რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისი მუდმივად მზარდი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ბაზას შორის არსებული დისბალანსი. ამჟამად ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეო-ბის 74 პროცენტი, მაშინ როდესაც ამ რეგიონზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მხოლოდ 7 პროცენ-ტი¹. 2005 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახ-ლეობის 1 სულზე განვითარებულ ქვეყნებში წარმოებულ იქნა 27.8 ათ., ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 4.9 ათ. აშშ დოლარის ოდენობით.

ამ მხრივ მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედ-ვით ასეთი ვითარებაა: 1 მცხოვრებზე საშუალოდ იწარ-

¹ ჯ. კახნიაშვილი. მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბილი-სი, 1997, გვ. 396.

მოება ჩრდილოეთ ამერიკაში 40980, ევროპაში – 21120, აზიაში – 5960, ხოლო აფრიკაში – 2480 დოლარის მთლიანი ეროვნული პროდუქტი (აშშ დოლარებში, მყიდველობითუნარიანობის მიხედვით). როგორც ჩანს, ევროპის მაჩვენებელი აღემატება აზიის შესაბამის მაჩვენებელს 3.5-ჯერ და აფრიკისას – 8.5-ჯერ, ჩრდილოეთ ამერიკისა კი – აზიისას 7-ჯერ და აფრიკისას – 16.5-ჯერ. თანაც ეს თანაფარდობა, ეკონომიკის ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, არა მარტო არ მცირდება, არამედ მატულობს კიდევ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ განვითარებად რეგიონში, დოვლათის წარმოების გადიდებასთან შედარებით, წინმსწრები ტემპებით იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა. ასეთი ნეგატიური ტენდენციის უცილობელი შედეგია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება და გადატაკება.

2006 წელს საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დღეში საშუალოდ 2 აშშ დოლარზე ნაკლებს (რაც სიდარობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება) ხარჯავდა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 79 პროცენტი (მ.შ. ტანზანიის – 90 და ზამბიის – 94%), ხოლო დასავლეთ აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის – 83 პროცენტი (მ.შ. მალის – 91 და ნიგერიის – 92%).

კიდევ უფრო მწვავე სოციალურ ვითარებაზე მიგვაჩვენებს სოლიდური რაოდენობა მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელსაც თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დღეში 1 დოლარზე მეტის დახარჯვა არ ძალუძს. ასეთი დატაკი მოსახლეობის ხვედრითი წონა 1990-2003 წლებში საშუალოდ შეადგენდა (%-ობით): მალში – 72.3, ნიგერიაში – 70.2, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში – 66.6, ზამბიაში – 63.7, მადაგასკარში – 61.0, გვინეასა და გამბიაში – 59.3, ბურუნდში – 58.4, სიერა-ლეონეში – 57.0, ზიმბაბვეში – 56.1 და ა.შ.

არ შეიძლება კაცობრიობას არ აწუხებდეს ბედი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც კვების პროდუქტების ქრონიკულ დეფიციტს განიცდის და ნახევრადმშიერ მდგომარეობაშია. 2000-2002 წლებში ასეთი მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა: მთელ მსოფლიოში საშუალოდ 24 პროცენტს, მ.შ. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში – 30, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში – 32, ხოლო ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში – 33 პროცენტს. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის დირექტორის, ამერიკელი ფინანსისტის ჯეიმს მორისის ინფორმაციით, დღეისთვის ჩვენს პლანეტაზე 850 მილიონზე მეტი ადამიანი ნახევრადმშიერია, აქედან 50 პროცენტს ბავშვები შეადგენენ. ინდოეთში შიმშილობს 100 მილიონამდე ბავშვი, ჩინეთში – თითქმის 50 მილიონი, ლათინურ ამერიკაში – დაახლოებით 30 მილიონამდე ბავშვი.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში გამოუკვებავი (ნახევრადმშიერი) მოსახლეობის ხვედრითი წონა არამცთუ არ მცირდება, არამედ (მოსახლეობის სწრაფი ტემპებით გამრავლების გამო) მატულობს კიდევ. ასე მაგალითად, ასეთი მოსახლეობის ხვედრითი წონა 2000-2002 წლებში, 1990-1992 წლებთან შედარებით, გაიზარდა: სიერალეონეში 46-დან 50 პროცენტამდე, სვაზილენდში – 14-დან 19-მდე, გამბიაში – 22-დან 27-მდე, ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში – 37-დან 44-მდე, გვატემალაში – 16-დან 24-მდე, ბოსტვანაში – 23-დან 32-მდე, ბურუნდში – 48-დან 68-მდე, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 32-დან 71 პროცენტამდე¹ და ა.შ.

¹ Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, с. 264-265.

2002 წლისთვის არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, წყლის გაუმჯობესებულ წყაროზე ხელი არ მიუწვდება მსოფლიოს მოსახლეობის 17 პროცენტს, მ.შ. განვითარებადი ქვეყნების – 21, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მოსახლეობის – 22, ხოლო ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის – 39 პროცენტს. რაც შეეხება სრლყოფილი კანალიზაციით სარგებლობას, ამ მხრივ ასეთი სურათი იკვეთება: მას მოკლებულია მსოფლიოს მოსახლეობის 42 პროცენტი, მ.შ. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 52 პროცენტი, საჰარიდან სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის – 64 და ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის – 65 პროცენტი¹.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი უკვე განიცდის სასმელი წყლის საგრძნობ ნაკლებობას. გერმანია სასმელ წყალს ყიდულობს შვეიცარიისგან, აშშ – კანადისგან, პოლანდია ნორვეგიისგან. თურქეთში ჩვეულებრივი მოვლენაა მომხმარებლისთვის მღვრიე-მოყვითალო ფერის წყლის მიწოდება, რაც უამრავი ავადმყოფობის გავრცელებას უწყობს ხელს. აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის 1 სულზე დღე-ღამეში მოდის არაუმეტეს 3 ლიტრი წყლისა, რაც მინიმალურ დოზას არ აღემატება.

ექსპერტთა გათვლებით, მიუხედავად იმისა, რომ სიღატაკის დონე (დღეში 1 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით მცხოვრებთა ხვედრითი წონა) მსოფლიოში, ნაცვლად ამჟამად არსებული 21 პროცენტისა, 2015 წლისთვის, დასახული ამოცანის შესაბამისად, 14 პროცენტამდე უნდა შემცირდეს. ამ დროისთვის დღეში 1 დოლარზე

¹ Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, с. 264-265.

ნაკლები თანხის დახარჯვით იცხოვრებს 800 მლნ ადამიანი, ხოლო 2 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით – 1.7 მლრდ ადამიანი.

კიდევ უფრო ნაკლები იმედის მომცემია უახლოეს პერიოდში მოსახლეობის გამოუკვებლობის პრობლემის დაძლევა. მართალია, ნახევრადმშიერთა ხვედრითი წონა, 1990 წლის მაჩვენებელთან (21%) შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა, მაგრამ, ძირითადად განვითარებად რეგიონში მოსახლეობის გაფართოებული (ინტენსიური) აღწარმოების შედეგად, გამოუკვებავი მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის უცვლელი დარჩა. წარმოების ზრდის დღევანდელი ტემპების გათვალისწინებით, არც უახლოეს ათწლეულში მოსჩანს მისი საგრძნობლად შეცვლის რეალური შესაძლებლობანი. რაც შეეხება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კანალიზაციის სისტემით სარგებლობას, 2015 წლისთვის მას მოკლებული იქნება 2 მილიარდზე მეტი ადამიანი, რომელთა უდიდესი უმრავლესობა აფრიკის ტერიტორიაზე იცხოვრებს.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის გადამეტწარმოების გლობალური ხასიათი განსაკუთრებით ვლინდება ამ რეგიონიდან (სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტის გამო) შრომითი რესურსების დიდძალი ნაკადების ძირითადად ევროპისა და ამერიკის კონტინენტებისკენ მიგრაციაში. სამწუხაროდ, თვალსაწიერ მომავალში ამ პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა არ მოსჩანს. ასეთი დასკვნის საფუძველს მაძლევს ის, რომ შრომის საერთაშორისო ბიუროს შეფასებით, 2025 წლისთვის განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წონა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 74-დან 83 პროცენტამდე გაიზრდება. ამ დროისთვის მხოლოდ აფრიკის ხვედრითი წონა მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 18 პროცენტამდე ამაღლდება.

განვითარებად ქვეყნებში ვერც ეკონომიკის განვითარების ტემპები იძლევა საკუთარი ძალებით უმუშევრობის პრობლემების დაძლევის იმედებს. სპეციალისტთა გათვლებით, თუ მხედველობაში მივიღებთ 2000-2005 წლებში წარმოების ზრდის ტემპებს, მაგალითად, ინდოეთს 100 წელი მაინც დასჭირდება იმისთვის, რომ მაღალშემოსავლიან ქვეყნებს დაეწიოს. სხვა ქვეყნები და რეგიონები კიდევ უფრო მეტი სირთულეების წინაშე დგანან. თუ ვივარაუდებთ დღეიდან მაღალშემოსავლიან ქვეყნებში წარმოების ზრდის პროცესის შეჩერებას, ხოლო ლათინური ამერიკისა და სპარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში ზრდის არსებული ტემპების შენარჩუნებას, მაღალშემოსავლიან ქვეყნებს ლათინური ამერიკა დაეწევა მხოლოდ 2177 წლისთვის, ხოლო აფრიკა – არაუადრეს 2236 წლისა¹.

მოსახლეობის გადამეტწარმოებასთან დაკავშირებული ტენდენციების დარეგულიერებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია განვითარებად ქვეყნებში აქტიური დემოლოგიური პოლიტიკის გატარებას. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ჩინეთის გამოცდილება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უკანასკნელი ცხრა წლის (1998-2007 წწ.) განმავლობაში 5 პრომილით (17-დან 12-მდე) შემცირდა, მაშინ როდესაც მსოფლიოს შესაბამისი საშუალო მაჩვენებელი 21 პრომილეა.

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის რეგიონულ ჭრილში განხილვამ არაერთგზის დაგვანახა მთელი რიგი ზიგზაგებისა: მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად, სხვადასხვა მიზეზით, წყვეტაც და დეპოპულაციაც. ხომ არ ეწინააღმდეგება ყოველივე ეს მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის კანონის შესახებ ჩემს მიერ

¹ Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, с. 43.

შემოთავაზებულ კონცეფციას? ვფიქრობ, არა, არ ეწინააღმდეგება. როგორც წინამდებარე ნაშრომის პირველ თავშია ნათქვამი, დემოლოგიური კანონი შეიძლება ვუწოდოთ მოსახლეობის აღწარმოების არა ცალკეული რეგიონისა თუ ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის განვითარებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, ამ გლობალურ დონეზე მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს შორის წარმოქმნილ სტაბილურ და მუდმივგანმეორებად მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

თუმცა, არის კიდევ ერთი, შედარებით უფრო ძლიერი არგუმენტი, რომელმაც შეიძლება თითქოს ეჭვქვეშ დააყენოს მოსახლეობის განუხრელი ზრდის დემოლოგიური კანონის რეალურობა. მხედველობაში მაქვს მოსახლეობის რიცხოვნობა შორეულ პერსპექტივაში. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული შეფასებით, რომ არაფერი ეთქვაო მსოფლიოს განვითარებულ რეგიონებზე, მოსახლეობა აფრიკისა და აზიის ქვეყნებშიც შეწყვეტს მატებას XXII საუკუნეში¹.

ეს ვარაუდი კიდევაც რომ გამართლდეს, იგი მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის დემოლოგიური კანონის თაობაზე კონცეფციას ჩრდილს ვერ მიაყენებს იმდენად, რამდენადაც დემოლოგიური კანონის მოქმედება სათანადო გარემოფაქტორების არსებობითაა განპირობებული და თუ ეს ფაქტორები შეიცვალა ან გაქრა, დემოლოგიური კანონიც შესაბამის ტრანსფორმაციას განიცდის ან შეწყვეტს მოქმედებას. ასეა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც, ამიტომ ყოველგვარი წინააღმდეგობა თუ გაუგებრობა გამორიცხულია.

¹ იხ. Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 556.

2.4. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კანონი

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა განუსაზღვრელი როდია. იგი კოდირებულია ბიოლოგიურადაც. სრულიად ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმიც გარკვეული ხნის შემდეგ ბერდება, უძღურდება, იფიტება და კვდება, ე.ი. ბიოლოგიურ კვდომას ვერ აცდება. ჯერჯერობით არ ყოფილა შემთხვევა (თუ არარეალურ ინფორმაციებს არ მივიღებთ მხედველობაში), რომ ადამიანთა მოდემის რომელიმე წარმომადგენელს თუნდაც 200 წელი ეცოცხლოს. როგორც პროფ. შ. გოგოხია აღნიშნავს, „XX საუკუნეში ჩვენს პლანეტაზე ქალებს შორის ყველაზე დიდხანს იცოცხლა ფრანგმა ქალმა – ჟანა ლუიზა კლამონმა, 122 წელი და 164 დღე, მამაკაცებს შორის კი იაპონელმა სიგეჩიო იდზუმმა, 120 წელი და 137 დღე. ორივე დღევრძელს გააჩნდა დაბადების ოფიციალური საბუთი, რომელიც სპეციალისტ-ექსპერტების მიერ სათანადოდ იყო გადამოწმებული. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ასაკი სწორად არის განსაზღვრული“.¹

ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისევას კითხვა: თუ ეს ასეა (და რომ ასეა ეჭვს არ იწვევს), რა საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო (დაბადებულთა თაობისთვის გასაშუალოებული) ხანგრძლივობის ზრდას დემოლოგიური კანონი ვუ-

¹ შ. გოგოხია. როგორია დღევრძელთა ცხოვრების წესი?. თბილისი, 2005, გვ. 3.

* როცა ზოგადად (საერთოდ) ვმსჯელობთ მოსალოდნელი (მომავალი) სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ეგულისხმობთ სიცოცხლის ხანგრძლივობას დაბადებიდან (0 ასაკიდან). ამის ხაზგასმა იმიტომაა საჭირო, რომ ახალშობილის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობისგან ხომ არსებითად განსხვავებულია სხვა ასაკის ადამიანთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა. მაგალითად, საქართველოში 2006 წელს დაბადებიდან (ანუ ნული ასაკის ჩვილთათვის) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა მამაკაცებისთვის 69.8 და ქალებისთვის 78.6 წელს, ხოლო 65 წლის ასაკის მამაკაცებისთვის

წოდოთ? – საფუძველი ის გვაქვს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მთელ პლანეტაზე გაცილებით მცირე იყო წარსულში, ვინემ დღესაა და, დღევანდელთან შედარებით, კიდევ უფრო ხანგრძლივი იქნება მომავალში. თანაც, ამ პროცესს აქვს არა დროებითი და შემთხვევითი, არამედ ლოგიკურად თანმიმდევრული, არაუკუქცევადი, ურყევი ტენდენციის ხასიათი.

ასეთი დასკვნა სავსებით დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებითაც. გამოჩენლი პოლონელი სტატისტიკოსისა და დემოლოგის ე. როსეტის გათვლებით, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რკინისა და ბრინჯაოს ხანაში უდრიდა 20 წელს, ანტიკურ ეპოქაში, ასევე, შუა საუკუნეებში – 20-30 წელს, XVI-XVIII საუკუნეებში – 25-35 წელს, XIX საუკუნეში – 30-35 წელს, ხოლო XX საუკუნეში – 40-75 წელს¹.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველა რეგიონში, კონტინენტსა თუ ქვეყანაში ერთნაირია. პირიქით, იგი საკმაოდ მაღალი კონტრასტულობით ხასიათდება (ცხრ. 3).

ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რიგი საგულისხმო დასკვნებისა: ჯერ ერთი, მსოფლიოში მთლიანად, თუ გავითვალისწინებთ 2007-2008 წლების მონაცემსაც (68.1 წელი), დაბადებიდან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, 1970-1975 წლების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, 8.2 წლით ანუ 13.5 პროცენტით გაიზარდა, რაც გრანდიოზული ნახტომია; მეორე, ეს მაჩვენებელი როგორც მსოფლიოში მთლიანად, ისე მის ცალკეულ რეგიონებში განუხრელად (თუმცა არაერთნაირი ტემპებით) იზრდებოდა; მესამე, სიცოცხლის

14 და ქალებისთვის – 18.2 წელს (იხ. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, დემოგრაფიული წელიწადეული – 2006, თბილისი, 2007, გვ. 160).

¹ იხ. PЖ, 1980, cep. 2, cc. 122-125.

**მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის
ზრდა მსოფლიოში, მის ცალკეულ რეგიონებსა და
სახელმწიფოთა ჯგუფებში¹**

ცხრილი 3

№	რეგიონები და სახელ- მწიფოთა ჯგუფები	1970-1975 წწ.	2000-2005 წწ	ზრდა 2000-2005 წწ. 1970-1975 წლებთან შედარებით	
				წელი	%
1	მთლიანად მსოფლიო	59.9	67	7.1	11.8
2	განვითარებადი ქვეყნები	55.6	64.9	9.3	16.7
3	არაბული სახელმწიფოე- ბი	52.1	66.9	14.8	28.4
4	აღმ. აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	60.5	70.4	9.9	16.3
5	ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	61.1	71.7	10.6	17.3
6	სამხრეთ აზია	50.1	63.2	13.1	26.1
7	აფრიკის ქვეყნები საპა- რიდან სამხრეთით	45.8	46.1	0.3	6.0
8	ადამიანისეული პოტენ- ციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნები	70.7	77.9	7.2	10.1
9	ადამიანისეული პოტენ- ციალის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნები	57.6	67.0	9.4	16.3
10	ადამიანისეული პოტენ- ციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნები	44.1	46.0	1.9	4.3

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перспективе. Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, с. 275.

საშუალო ხანგრძლივობის თვალსაზრისით ყველაზე მაღალ დონეს მიაღწიეს და მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს 10.9 წლით გაუსწრეს ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებმა; მეოთხე, ამ მაჩვენებლის ყველაზე სწრაფი და მასშტაბური ზრდა შეინიშნება არაბულ სახელმწიფოებში, სამხრეთ აზიასა და აღმოსავლეთ აზიაში (წყნარი ოკეანის რეგიონის ჩათვლით); მეხუთე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე დაბალი დონე აქვთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებსა (46 წელი) და საჰარიდან სამხრეთით მდებარე აფრიკის სახელმწიფოებს (46.1 წელი), სადაც ამ მაჩვენებელს მთელი 30 წლის განმავლობაში თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. ეს კი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის პერსპექტივაში გაზრდის მნიშვნელოვანი რეზერვის არსებობაზე მიუთითებს.

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კონტინენტების მიხედვით განხილვა ასეთ სურათს იძლევა. 2007 წელს, 1965-1970 წლებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაიზარდა (%-ობით): მსოფლიოში მთლიანად 28.3, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში – 40.4, აფრიკაში – 21, ჩრდილოეთ ამერიკაში – 11.4, ლათინურ ამერიკაში – 20 და ევროპაში – 5.6.

როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლით ქვეყნები ერთმანეთისგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან. აი, როგორ გამოიყურებიან ამ მხრივ ყველაზე უფრო დაწინაურებული ქვეყნები (ცხრ. 4).

ცხრილში შეტანილია 16 ქვეყანა, რომლებშიც მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ სარეკორდო ნიშნულს (80 წელსა და მეტს) მიაღწია. ამ მაჩვენებლით გამორჩეულ სახელმწიფოებს (2007-2008 წლების მონაცემებით) სათავეში უდგას იაპონია, სადაც სიცოცხ-

მოსალოდენლი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის
ზრდა ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლების
მქონე ქვეყნებში¹

ცხრილი 4

	ქვეყნები	1970- 1975 წწ.	2000- 2005 წწ.	2007 წ. ²	ზრდა 2007წ. 1970- 1975 წწ. შედარებით	
					წელი	%
1	იაპონია	73.3	81.9	82	8.7	11.7
2	ჩინეთის პონ- კონგი	72.0	81.5	82	10.0	13.2
3	ავსტრალია	71.7	80.2	81	9.3	11.8
4	შვედეთი	74.7	80.1	81	6.3	7.2
5	შვეიცარია	73.8	80.5	81	7.2	9.0
6	იტალია	72.1	80.0	81	8.9	10.9
7	საფრანგეთი	72.4	78.3	81	8.6	8.1
8	პოლანდია	74.0	78.3	80	6.0	5.8
9	კანადა	73.2	79.9	80	6.8	9.1
10	ისრაელი	71.6	79.7	80	8.4	11.3
11	სინგაპური	69.5	79.6	80	10.5	14.5
12	ნორვეგია	74.4	79.3	80	5.6	6.5
13	ავსტრია	70.6	78.9	80	9.4	11.7
14	ესპანეთი	72.9	79.5	80	7.1	9.0
15	ახალი ზელან- დია	71.7	79.0	80	8.3	10.1
16	მალტა	70.7	78.3	80	9.3	10.7

ლის საშუალო ხანგრძლივობა ჯერ კიდევ 1949-1950 წლებში 57.9 წელს არ აღემატებოდა, ამჟამად კი 82.3 წელს შეადგენს. ე.ი. 58 წლის განმავლობაში 24 წლით გაიზარდა.

2007-2008 წლების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, იაპონელები 14.2 წლით მეტ ხანს ცხოვრობენ, ვინემ მთელ პლანეტაზე მცხოვრებნი საშუალოდ. კიდევ ერთი დეტა-

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, сс. 272-275.

² მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მონაცემები (ინტერნეტის მასალა).

ლი. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით იაპონია 1970-1975 წლებში ჩამორჩებოდა შვედეთს (74.7 წელი) ნორვეგიას (74.4 წელი), ისლანდიას (74.3 წელი), შვეიცარიას (73.8) და პოლანდიას (74 წელი), ამჟამად კი ყველა მათგანს (მით უფრო დაბალი მაჩვენებლების მქონე სახელმწიფოებს) საგრძნობლად უსწრებს და პირველ ადგილზეა. ყურადღებას იქცევს ჩინეთის პონკონგის მიერ გაკეთებული ნახტომიც. 2007-2008 წლების მონაცემებით, ამ ქვეყნის მოქალაქეები საშუალოდ 13.8 წლით მეტ ხანს ცოცხლობენ, ვინემ მთელ მსოფლიოში მცხოვრებნი საშუალოდ.

არიან, სხვადასხვა გარემობათა გამო, ძალიან დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებიც, მაგალითად, საშუალოდ 46 წელზე ნაკლებ ხანს ცოცხლობენ რუანდასა და კონგოში მცხოვრებნი, 44 წელზე ნაკლებს – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მოზამბიკში მცხოვრებნი, 42 წელზე ნაკლებს – ანგოლასა და სიერა-ლეონეში მცხოვრებნი, ხოლო 41 წელზე ნაკლებს – ზამბიაში მცხოვრებნი.

მაჩვენებელთა ასეთი კონტრასტულობის მიუხედავად, დასკვნა ადამიანთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის დემოლოგიურ კანონად ფორმულირების თაობაზე ძალაში რჩება იმდენად, რამდენადაც თითოეულ აქ დასახელებულ და ყველა სხვა ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სისტემატურად იზრდება და მომავალშიც გაიზრდება.

რა ფაქტორები განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობის ესოდენ სისტემატურ და შეუნელებელ ზრდას? – ასეთ ფაქტორთა შორის უპირველესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ძირეულ ძვრებს, რომელიც განიცადა მოკვდაობის მაჩვენებლმა (ცხრ. 5).

მოკვდაობის შემცირება რეგიონულ ტერიტორიაში
(პრომილეებში)¹

ცხრილი 5

მსოფლიო და მისი რეგიონები	1960-1964 წწ.	1975-1979 წწ.	2007 წ.	2007 წ. 1960-1964 წწ. შედარებით
მსოფლიო მთლიანად	15.1	11.4	9.0	0.596
ევროპა	10.2	10.5	11.0	107.8
აღმოსავლეთი	9.4	10.4	14.0	148.9
დასავლეთი	11.1	11.5	9.0	0.810
ჩრდილოეთი	11.2	11.5	10.0	0.892
სამხრეთი	9.2	8.9	9.0	0.978
აზია	17.0	11.3	7.0	0.412
აღმოსავლეთი	12.8	7.3	7.0	0.547
სამხ. აღმოსავლეთი	20.6	13.7	7.0	0.340
სამხ. დასავლეთი	17.0	11.7	6.0	0.353
სამხ. ცენტრალური	21.4	15.5	8.0	0.374
აფრიკა	22.8	17.2	14.0	0.614
აღმოსავლეთი	23.9	18.7	15.0	0.627
დასავლეთი	24.5	18.7	15.0	0.612
ჩრდილოეთი	20.4	14.0	7.0	0.343
ცენტრალური	25.6	20.1	18.0	0.703
სამხრეთი	15.0	11.0	16.0	106.6
ამერიკა	10.8	9.0	8.0 ²	0.740
ლათინური	12.2	8.9	6.0	0.492
კარიბის ზღვის რეგიონი	11.8	8.5	8.0	0.678
ცენტრალური	12.0	8.3	5.0	0.357
ავსტრალია და ოკეანეთი	10.5	9.0	7.0	0.666

ცხრილში მოტანილი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, ჯერ ერთი, მოკვდაობის მაჩვენებლის შემცირების მყარ ტენდენციას. ამის ნათელი გამომხატველია ის, რომ მსოფლიოში მთლიანად, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, თუ 1960-1964 წლებში კვდებოდა დაახლოებით 15 ადამიანი, 2007 წელს გრდაიცვალა 9. მოკვდაობის გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყის-

¹ იხ. Народонассление Мира. Справочник. Под редакцией Б.Ц. Урланиса и В.А. Борисова. М., 1984, с. 124; ემყარება წყაროს: Population Reference Bureau. 2007 world population, www.prb.org

² ჩრდილოეთ ამერიკა

სის მაჩვენებელი უცვლელი რომ დარჩენილიყო, გასულ წელს კაცობრიობას მოაკლდებოდა არა 59.6 მლნ, არამედ 99.4 მლნ ადამიანი, ანუ, ფაქტიურთან შედარებით, 39.8 მილიონით მეტი; მეორე, ის, რომ მოკვდაობის მაჩვენებლის შემცირება (თითქმის 2.5-ჯერ) ყველაზე უფრო ნათლად გამოკვეთილი აზიაში, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც იგი, სამოციანი წლების დასაწყისის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირდა 20.6-დან 7 პრომილემდე, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში – 17-დან 6 პრომილემდე, ხოლო სამხრეთ-ცენტრალურ აზიაში – 21.7-დან 8 პრომილემდე; მესამე, იმას, რომ მოკვდაობის შემცირების ეს საერთო ტენდენცია ირღვევა ევროპის კონტინენტზე, რაც მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების შედარებით მაღალი დონითა და მოჭარბებულ ხანდაზმულთა მოკვდაობის მეტი რისკ-ფაქტორის არსებობით აიხსნება. ეს პირველ რიგში ეხებათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ბელორუსია, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა, სლოვაკია და სხვ.), სადაც მოკვდაობა, გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 9.4-დან 14 პრომილემდე. რაც შეეხებათ დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპას, ამ რეგიონებში მოკვდაობის მაჩვენებლები ზემოაღნიშნულ პერიოდში ოდნავ შემცირდა.

და კიდევ ერთი დეტალი. აფრიკის შემადგელობაში შემავალი რეგიონების დიდ ნაწილში (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ცენტრალური და სამხრეთი) მოკვდაობის მაჩვენებელი არც ისე მკვეთრადაა შემცირებული და 15-18 პრომილეს დონეზე დარჩა. ერთადერთ გამონაკლისს ჩრდილოეთი აფრიკა (ლიბია, სუდანი, ტუნისი, დასავლეთი საჰარა, ალჟირი და სხვ.) წარმოადგენს, სადაც მოკვდაობა 2007 წელს, 1960-1964 წლების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, 20.4-დან 6 პრომილემდე შემცირ-

და, რაც მთელი აფრიკის კონტინენტზე ყველაზე დაბალნიშნულს წარმოადგენს.

რეგიონულ ჭრილში მოკვდაობის კოეფიციენტთა უთანაბრობა და მოსალოდნელი სიცოცხლის არაერთგვაროვანი ხანგრძლივობა, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, გარკვეული ზომით ადგილობრივი პირობების სპეციფიკით (ნიადაგის, წყლის, ჰაერის სისუფთავე, კლიმატური პირობები, კვების პროდუქტების ხარისხი და სტრუქტურა და სხვ.) აიხსნება. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი ი. თარხნიშვილი (თარხანოვი) 100 წელზე მეტი ხნის წინათ წერდა, რომ ზღვისპირისა და მთის ჰაერის შეთანაწყობა ფრიად ხელსაყრელი პირობაა ღრმა მოხუცებულობის მიღწევისთვის. ამიტომაც არაა გასაკვირველი, რომ ასეთი ადგილების მცხოვრებნი ხანდაზმულობით გამოირჩევიან.

ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბავშვთა, მ.შ. ჩვილთა (1 წლამდე ასაკის ბავშვთა) მოკვდაობას აქვს (ცხრ. 6).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მსოფლიოში მთლიანად ყოველ 1000 ცოცხლად შობილთაგან ერთი წლის შესრულებამდე 2003 წელს, 1970 წელთან შედარებით, 42 ჩვილით ნაკლები გარდაიცვალა, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვილთა მოკვდაობის მხრივ, სახელმწიფოების დასახელებული ჯგუფებიდან, ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი (9 პრომილე) აქვთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს, ხოლო ყველაზე უარესი (108 პრომილე) – ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს. ყოველ 1000 ცოცხლად შობილზე გაანგარიშებით, 1 წლამდე ასაკში 12-ჯერ მეტი ბავშვის დაღუპვა უდიდესი დანაკარგია. ჩვილთა მოკვდაობის მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბა-

ჩველთა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდომის
კოეფიციენტები (1000 ცოცხლად დაბადებულზე)¹

(ცხრილი 6

№	მსოფლიო და ქვეყნების ჯგუფები	ჩველთა მოკვდომის კოეფიციენტი (პრომილე)			5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდომის კოეფიციენტი (პრომილე)		
		1970 წ.	2003 წ.	დინამიკის ინდექსი 2003 წ. 1970 წელთან	1970 წ.	2003 წ.	დინამიკის ინდექსი 2003 წ. 1970 წელთან
1	მსოფლიო მთლიანად	96	54	0.562	147	80	0.544
2	განვითარებადი ქვეყნები	109	60	0.550	167	88	0.527
3	არაბული სახელმწიფოები	129	48	0.372	197	61	0.309
4	აღმ. აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	84	31	0.369	122	39	0.319
5	ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	86	27	0.314	123	32	0.260
6	სამხრეთ აზია	130	66	0.507	206	91	0.442
7	აფრიკის ქვეყნები საპარიდან სამხრეთით	143	105	0.734	243	179	0.736
8	აგმდმ ^{**} ქვეყნები	32	9	0.281	42	10	0.238
9	აგსდმ ^{**} ქვეყნები	102	46	0.450	155	61	0.393
10	აგდდმ ^{***} ქვეყნები	150	108	0.720	254	183	0.720

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, с. 275.

^{**} ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე.

^{**} ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო დონის მქონე.

^{***} ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე.

ლი დონის მქონე ქვეყნებს, აფრიკის ქვეყნებს საპარიდან სამხრეთით, სამხრეთ აზიისა და საერთოდ, განვითარებად ქვეყნებს, დაბალი კი – არაბულ სახელმწიფოებს, ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზის, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონს, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნებსა და, განსაკუთრებით, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს.

არიან კიდევ უფრო დაწინაურებული ქვეყნებიც. მაგალითად, 2007 წელს ჩვილთა მოკვდაობა მსოფლიოს 6 ქვეყანაში (იაპონია, ნორვეგია, ისლანდია, შვედეთი, დანია და სინგაპური) 3 პრომილეზე მეტი არ ყოფილა, რაც ჩვილთა მაღალი მოკვდაობის ქვეყნებში აღნიშნული მიმართულებით უზარმაზარი გამოუყენებელი რესურსების არსებობაზე მიუთითებს.

საქართველოში 1 წლამდე ასაკში გარდაიცვალა: 1989 წელს 2005, ხოლო 2006 წელს – 753 ბავშვი. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი 17 წლის განმავლობაში 6.1 პრომილით (21.9-დან 15.8-მდე) შემცირდა, რაც დადებითი ტენდენციაა, მაგრამ ამ მიმართულებით მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების საუკეთესო მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამორჩება.

რაც შეეხება 5 წლამდე ასაკის ბავშვებს, 33 წლის განმავლობაში მათი მოკვდაობა მსოფლიოში მთლიანად 67 პრომილით შემცირდა. ამ მხრივაც ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი (10 პრომილე) აქვთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს, ხოლო ყველაზე უარესი – ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს, სადაც 1970-2003 წლებში, მართალია, 71 პრომილეთი შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ 183 პრომილეს შეადგენს, რაც ძალიან მაღალია.

5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდარების მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს, აფრიკის ქვეყნებს საპარიდან სამხრეთით, სამხრეთ აზიის და საერთოდ, განვითარებად ქვეყნებს, დაბალი კი – არაბულ სახელმწიფოებს, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონს, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო დონისა და მაღალი დონის მქონე ქვეყნებს.

არიან ამ მხრივაც განსაკუთრებით დაწინაურებული სახელმწიფოები. მაგალითად, 2007 წელს 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდარება მსოფლიოს 2 ქვეყანაში (შვედეთი და სინგაპური) 3, ხოლო 8 ქვეყანაში (ნორვეგია, ისლანდია, იაპონია, დანია, იტალია, ესპანეთი, სლოვენია და ჩეხეთი) 4 პრომილეზე მაღალი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ძალიან შორსაა ერთმანეთისგან 3-4 და 179-183 პრომილეები, როგორც ამას ფაქტობრივად აქვს ადგილი აფრიკის ქვეყნებში საპარიდან სამხრეთით და ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში. ყოველ 1000 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვზე განგარარებებით, წელიწადში საშუალოდ, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში 183-ჯერ მეტი ბავშვის დაღუპვა, ცხადია, ყოველმხრივ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისია. აი, რას წერდა ამ საკითხთან დაკავშირებით XIX საუკუნის გამოჩენილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ფ. ერისმანი: „ბავშვების ნაადრევი სიკვდილი გამოუსწორებელ ზარალს აყენებს ქვეყანას, რამდენადაც ბავშვების ამოწყდომითა და თაობათა სწრაფი შეცვლით დაუბრუნებლად იკარგება მთელი შრომის, ზრუნვისა და მატერიალურ საშუალებათა მარაგი, რო-

მელთაც საზოგადოება ხარჯავს თავისი ადრე დაღუპული წევრებისთვის“.¹

როგორც მსოფლიოში მთლიანად, ისე მის ყველა ტერიტორიულ დანაყოფში (კონტინენტი, რეგიონი, ქვეყანა და ა.შ.) მოკვდაობის მკვეთრად შემცირების ტენდენციას საფუძვლად უდევს რიგი მნიშვნელოვანი გარემოებებისა:

– მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. იგულისხმება როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური დოვლათის წარმოების გადიდება და ადამიანთა მოთხოვნილებების თანდათან სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვება, საბინაო პირობების გაუმჯობესება, კომუნალური და სხვა მრავალფეროვანი მომსახურება და სხვ. მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში სიღარიბე დღესაც არაა აღმოფხვრილი, მაგრამ ადრეულ ეპოქებში მას ისეთი ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ შიმშილისგან მასობრივად იხოცებოდა ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, სიღარიბესა და მოკვდაობას შორის ორგანული კავშირის არსებობას პირველად მ. მონტესკიემ მიაქცია ყურადღება. იგი წერდა: „ადამიანს არ ჰყავს უფრო საშიში მტერი, ვინემ ავადმყოფობა, მაგრამ რა არის სიღარიბე, თუ არა განუწყვეტელი ავადმყოფობა? ა. ლეპარსიემ (1746 წ.) პირველმა დაადგინა, რომ „შედგად უკეთესი მოვლისა და კვებისა, პარიზის მდიდარ და შეძლებულ მცხოვრებლებს ბავშვები ნაკლებად უკვდებათ, ვინემ ღარიბებს“;²

– სამედიცინო მეცნიერების განვითარება, ადამიანის ორგანიზმის საფუძვლიანად შესწავლა, მისი მკურნალობის საშუალებების სრულყოფა, პროფილაქტიკური ღო-

¹ ციტირებულია ბ.ურლანისის ნაშრომის მიხედვით: Б.П. Урланис. Рождаемость и продолжительность жизни в СССР. М., 1963, с. 135.

² ამონარიდი მოტანილია პ. გუგუშვილის ნაშრომის მიხედვით – „უახლესი დემოგრაფიული სიტუაციის ზოგიერთი საკითხი. ჟურნ. „ეკონომისტი“, 1981, №4, გვ. 44.

ნისძიებების განხორციელება და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეპიდემიების (შავი ჭირი, ყვავილი, ქოლერა, მალარია და სხვ.) თავიდან აცილება, რომელმაც შესაძლებელი გახადა მოკვდაობის ეგზოგენური (გარეშე წარმოშობის) ფაქტორთა უკანა პლანზე გადაწევა და კაცობრიობის ხსნა ელვისებური სიჩქარით მილიონობით ადამიანთა ამოხოცვისგან (საკმარისია ითქვას, რომ 1347-1352 წლებში ევროპაში გავრცელებულმა შავმა ჭირმა ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტის სიცოცხლე იმსხვერპლა). მოკვდაობის ფაქტორთა შორის თანაფარდობის ამგვარი რადიკალურ შეცვლას, სავსებით კანონზომიერად, რევოლუციური მნიშვნელობის ცვლილებად მიიჩნევენ.

სპეციალისტთა დასკვნით, DDT ხსნარის აღმოჩენამ და გამოყენებამ მკვეთრად შეამცირა მალარიით დაავადებისა და გარდაცვალების შემთხვევები. მალარიით დაავადების შემთხვევები 1960 წელს, 1950 წელთან შედარებით, შემცირდა, მაგალითად, მადაგასკარში 418 ათასიდან 50 ათასამდე, ხოლო ფილიპინებზე – 63 ათასიდან 30 ათასამდე;

– საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება, მოქალაქეთა დასვენების ორგანიზაცია, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობა, თავისუფალი დროის გონივრულად და ნაყოფიერად გამოყენება;

– ქმედითი სანიტარიული ღონისძიებების განხორციელება, ჰიგიენური კულტურის დონის ამაღლება, თვითშენახვითი (თვითმოვლითი) ქცევის დამკვიდრება ცხოვრებაში და სხვ.

არსებობს მოკვდაობის შემცირების ტენდენციის საწინააღმდეგოდ მოქმედი ფაქტორებიც. ასეთია, მაგალითად:

– ფართოდ გავრცელებული გულ-სისხლძარღვთა და ნერვული დაავადებანი, რაც მნიშვნელოვანწილად თანა-

მედროვე ინდუსტრიის განვითარებასა და საერთოდ დაძაბული ცხოვრების წესს (სტრესულ მოვლენებს) უკავშირდება, ასევე, გახშირებული ახალწარმონაქმნები (სიმსივნეები), რაც ძირითადად ეკოლოგიურ ფაქტორს (წყლის, ჰაერის, საკვები პროდუქტების და ა.შ.) ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებით გაბინძურებას უკავშირდება;

– ნაკლები მოძრაობა და ორგანიზმის მოღუნება. ცნობილი რუსი მეცნიერის აკად. ა. ბერგის გათვლებით, 100 წელზე მეტი ხნის წინათ საზოგადოებისთვის საჭირო შრომის მოცულობის 94 პროცენტი სრულდებოდა ადამიანის ფიზიკური შრომით, მისი კუნთების საშუალებით, 6 პროცენტი კი – მექანიზმებით, დღევანდელ პირობებში კი, პირიქით, 94 პროცენტი სრულდება ტექნიკით, 6 პროცენტი კი – ფიზიკური შრომით. მეცნიერთა აზრით, ეს მოვლენა კაცობრიობას ემუქრება ჰიპოდინამიით (მოძრაობის უნარის დაქვეითებით) და ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი ქრონიკული დაავადებებით, რომლებიც წარმოადგენენ ნაადრევი სიბერის რისკ-ფაქტორს¹;

– ხელმოკლეობის გამო, დროული კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიუღებლობა და ხშირ შემთხვევაში თვითმკურნალობაზე გადასვლა, ასევე, არალეგალური აბორტების მოხშირება (მაგალითად, საქართველოში 2006 წელს მარტო ლეგალური აბორტების რიცხვმა 212 ათასს გადააჭარბა);

– მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიღარიბე და გამოუყვებლობა. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის მსოფლიოს მოსახლეობის 21 პროცენტს დღეში 1 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით გააქვს თავი, რაც სიღატაკის მაჩვენებელია.

ამასვე ადასტურებს ფაქტობრივი მონაცემები. ასე, მაგალითად, სპეციალისტთა გამოკვლევით დადგენილ იქ-

¹ იხ. შ. გოგოხია. როგორია დღევანდელთა ცხოვრების წესი?. თბილისი, 2005, გვ. 15.

ნა, რომ ბოლივიაში ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი, ყოველ 1 ათას ცოცხლად დაბადებულზე, უღარიბეს 20 პროცენტში შეადგენდა 106.5, ხოლო უმდიდრეს 20 პროცენტში – 25.5, იემენში, შესაბამისად, 108.5 და 60-ს, კამერუნში – 103.9 და 51.2-ს, გვინეაში – 118.9 და 70.2-ს და ა.შ. ანალოგიური სურათი შეინიშნება 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობაშიც. ბოლივიაში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი, ყოველ 1 ათას ცოცხლად შობილზე, მოსახლეობის უღარიბეს 20 პროცენტში შეადგენდა 148.5, ხოლო უმდიდრეს 20 პროცენტში – 32-ს, პერუში – 92.6 და 17.6-ს, ინდონეზიაში – 109 და 29.1-ს, კენიაში – 136.2 და 60.7-ს და ა.შ.¹

– მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა, სიგარეტის წევა (განსაკუთრებით მოზარდ გოგონებსა და ქალებში), ავტოაგარიები, ადამიანთა მკვლელობები, თვითმკვლელობები, ეთნიკური კონფლიქტები, იმები და ა.შ.) მყარად დამკვიდრება საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ასეთი ანომალიები ჰქონდა მხედველობაში რომაელ ფილოსოფოსს სენეკას, როცა წერდა: „სიცოცხლის გახანგრძლივების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა არ შევამოკლოთ იგი“.

– განქორწინება და ოჯახის დანგრევა (დაშლა), რაც მეუღლეთა ურთიერთდაპირისპირებას, ნერვიულობას, სტრესულ მოვლენებსა და ნაადრევ სიკვდილიანობას იწვევს. გამოკვლევებით დადგენილია, რომ განქორწინებული და დაქვრივებული მამაკაცები გაცილებით მცირე ხანს ცოცხლობენ, ვინემ ქორწინებაში მყოფი მამაკაცები;

– მოსახლეობის დემოლოგიური დაბერება. რაც უფრო იზრდება ხანში შესულთა ხვედრითი წონა მოსახლე-

¹ Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перелустье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. М., „Весь Мир“, 2005, сс. 266-267.

ობის საერთო რიცხოვნობაში, მით უფრო მატულობს მოკვდაობის რისკ-ფაქტორი. ეს საკითხი უფრო ვრცლად განხილული იქნება მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების კანონთან დაკავშირებით.

აღნიშნული და რიგი სხვა გარემოებებისა, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მიუხედავად ამისა, იგი იზრდება და გაიზრდება მომავალშიც. მაგრამ სანამდე შეიძლება გაიზარდოს? იქნებ ისე უსასრულოდ, რომ ადამიანი შეიძლება უკვდავად იქცეს? – რა თქმა უნდა, არა. ასეთი რამ ფანტასტიკის ჩარჩოებშიც ვერ თავსდება. საკითხი ეხება იმას, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ადამიანთა მოდგმის წარმოშობიდან დღემდე განუწყვეტლივ იზრდებოდა (თუმცა ყოველთვის არა ერთნაირი ტემპებით) და გაიზრდება მომავალშიც. ყოველ შემთხვევაში გამორიცხულია უკუპროცესი – მისი შემცირება. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვების არსებობაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ აფრიკის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მაგალითად, იაპონიის შესაბამის მაჩვენებელს (რომელიც კვლავ განაგრძობს სისტემატურ ზრდას) 29 წელზე მეტი ხნით ჩამორჩება. ამ სხვაობის დაძლევას, რომ არაფერი ვთქვათ მისი ახალ სიმაღლეებამდე აყვანაზე, დღევანდელი ტემპებით, საუკუნეები დასჭირდება.

დღევანდელ ეტაპზე მეცნიერება, ადამიანის გონი საერთოდ, ისე სწრაფად ვითარდება და ისეთ საოცარ აღმოჩენებს აკეთებს (განსაკუთრებით მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის დარგში), რომ არ შეიძლება მისმა შედეგებმა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დადებითად არ იმოქმედოს. თუმცა, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა რაც უფრო უახლოვდება (და კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდება მომავალში) ფიზიოლოგიურ ზღვარს, მით უფრო შენელებს მისი ზრდის ტემპე-

ბი, რაც, სიცოცხლის გახანგრძლივების რეზერვების შეკვეცასთან დაკავშირებით, კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მთავარი მაინც ის არის, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების პროცესი არ შეჩერდება, ყოველ შემთხვევაში უახლოეს საუკუნეებში.

არის განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო საკითხი. მხედველობაში მაქვს ქალთა და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომელიც კონტინენტების, რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით მეტნაკლებად განსხვავებულია, მაგრამ საერთო კანონზომიერება ისაა, რომ ქალები გაცილებით მეტხანს ცოცხლობენ, ვინემ მამაკაცები (ცხრ. 7).

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ასეთი დასკვნები:

ჯერ ერთი, მსოფლიოში მთლიანად საშუალოდ ქალები 4 წლით მეტ ხანს ცოცხლობენ, ვინემ მამაკაცები; მეორე, სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა სიცოცხლის ხანგრძლივობაში სხვაობა (ქალების სასარგებლოდ) მაღალია ეკონომიკურად და დემოლოგიურადაც განვითარებულ ქვეყნებში (მსოფლიოს განვითარებული რეგიონი, განსაკუთრებით აღმოსავლეთი ევროპა) და დაბალი – ეკონომიკურად და დემოლოგიურადაც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (განვითარებადი ქვეყნები, აფრიკა, განსაკუთრებით აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპა, აგრეთვე აზია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ცენტრალური აზია). იგი ყველაზე მაღალი (11 წელი) აღმოსავლეთ ევროპაშია, რომელიც მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს 7 წლით აღემატება და ყველაზე დაბალი (1 წელი) – სამხრეთ-ცენტრალურ აზიაში, აღმოსავლეთ აფრიკასა და დასავლეთ აფრიკაში, რომელიც მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს 3 წლით ჩამორჩება.

არც საქართველოა გამონაკლისი. 2007 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალები ცოცხლობენ საშუალოდ

**მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო
ხანგრძლივობა (2007 წ.)**

ცხრილი 7

მსოფლიო მთლიანად და მისი რეგიონები	ორი- ვე სქესი	მამა- კაცი	ქალი	ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა აღემა- ტება მამაკაცისას	
				წელი	%
მსოფლიო მთლიანად	68	66	70	4	6.0
განვითარებული ქვეყნები	77	73	80	7	9.6
განვითარებადი ქვეყნები	66	64	67	3	4.7
აფრიკა	53	52	54	2	3.8
ჩრდილოეთი	68	67	70	3	4.5
დასავლეთი	51	50	51	1	2.0
აღმოსავლეთი	48	48	49	1	2.0
ცენტრალური	46	45	47	2	4.4
სამხრეთი	50	48	51	3	6.3
ჩრდ. ამერიკა	78	75	81	6	8.0
ლათინური ამერიკა	72	69	76	7	10.1
აზია	68	67	70	3	4.5
დასავლეთი	70	68	72	4	5.9
სამხ. ცენტრალური	63	63	64	1	1.6
სამხრეთი	69	66	71	5	7.6
აღმოსავლეთი	73	72	75	3	4.2
ევროპა	75	71	79	8	11.3
ჩრდილოეთი	79	76	81	5	6.6
დასავლეთი	80	77	83	6	7.8
აღმოსავლეთი	69	63	74	11	17.5
სამხრეთი	79	76	82	6	7.9
ოკეანეთი	75	73	78	5	6.8

77 წელს, ხოლო მამაკაცები – 69 წელს, სხვაობა 8 წელია, რაც ფრიად სოლიდურ სიდიდეს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ის დემოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნების მანვენებლისკენ იხრება.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რითაა განპირობებული ასეთი კანონზომიერება? – მეცნიერებას ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ჯერჯერობით არა აქვს, მაგრამ ზო-

გაერთი მისაზრება მაინც შეიძლება გამოითქვას. ალბათ, ბევრ კამათს არ იწვევს იმის აღნიშვნა, რომ ასეთი კანონისომიერება, მნიშვნელოვანწილად, მამაკაცთა მოკვდაობის უფრო მაღალი კოეფიციენტით აიხსნება. აი, ის არის საკამათო, თუ რა იწვევს, ქალებთან შედარებით, მამაკაცთა უფრო მაღალ მოკვდაობას. ამ საკითხზე ჩემი მისაზრებანი ასეთია. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქალებს „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებად თვლიან, მამაკაცებს კი – „ძლიერი სქესის“ წარმომადგენლებად. ფიზიკური ძალის (ძლიერების) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი დაყოფა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აქ მხედველობაში მისაღები სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეებიცაა. თუ გავითვალისწინებთ, მამაკაცებთან შედარებით, ქალთა მოკვდაობის დაბალ კოეფიციენტს, უსაფუძვლო არ იქნება ქალები „სუსტი სქესის“ ნაცვლად (როგორც რამდენადმე უფრო მობილურნი, ამტანნი და ნებისყოფიანნი) „ძლიერი სქესის“ წარმომადგენლებად ჩავთვალოთ.

ჩემი აზრით, ქალებთან შედარებით, მამაკაცების მოკვდაობის მაღალი კოეფიციენტი აიხსნება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა:

– უფრო მეტად მამაკაცები ასრულებენ რთულ, მძიმე და გარკვეულ რისკთან დაკავშირებულ სამუშაოებს (მაღაროებში წიაღისეულის მოპოვება, მეტალურგიულ ქარხნებში თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, თვითმფრინავების, გემების, მაგისტრალური ელმაგვლების, ავტომანქანების მართვა და სხვ.), რაც ნერვული სისტემის მეტ დაძაბულობასა და განცდებთანაა დაკავშირებული;

– ძირითადად მამაკაცებს უწევთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა, ამიტომ ომებით გამოწვეული მსხვერპლის დიდი ნაწილი მათზე მოდის;

– უბედურ შემთხვევებს მნიშვნელოვანწილად მამაკაცები ეწირებიან (ავარიები, წარმოებრივი ტრავმატიზმი*, პირადი და ოჯახის წევრთა უფლებების – პრესტიჟის დაცვა და სხვ.);

– ალკოჰოლური სასმელების მოხმარებაში ზომიერების დაუცველობა, რომელიც რიგ შემთხვევაში ღლოთობაში გადადის და აუქლურებს ადამიანის ორგანიზმს, ასევე, უბიძგებს სამართალდარღვევებისკენ, რომელიც, არცთუ იშვიათად, ტრაგიკულად მთავრდება;

– სიგარეტის მწვევლები მეტწილად მამაკაცები არიან. ეს ნეგატიური ჩვევა კი ხშირად ფილტვების კიბოთი უკურნებელი დაავადების საფუძვლად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ 1960 წელს ყოფილ სსრ კავშირში სუნთქვის ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეებით გარდაცვლილი მამაკაცების რაოდენობა ქალებისას 6-ჯერ აღემატებოდა!

– მამაკაცებთან შედარებით, ქალებს თვითმოვლითი ქცევის შედარებით მაღალი კულტურა აქვთ, კონსულტაციისთვისაც სამედიცინო დაწესებულებებს უფრო დროულად მიმართავენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნულ კანონზომიერებებში გარკვეული წვლილი ბიოლოგიურ ფაქტორსაც აქვს, რაც სპეციალისტთა მხრივ ფართომასშტაბიან კვლევას საჭიროებს.

* უბედური შემთხვევების შედეგად, მაგალითად, აშშ-ში დაიღუპა: 1961 წელს 92.3 ათ. კაცი, 1963 წელს – 100.7, 1964 წელს – 103.6, 1965 წელს – 106.9, 1966 წელს – 112 ათ. კაცი. (იხ. Б.Ц. Урлианис. Народонаселение. Исследования, публицистика. М., 1976, с. 317).

¹ იხ. Б.С. Урлианис. Рождаемость и продолжительность жизни в СССР. М., 1963, с. 115.

2.5. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი

საზოგადოების სქესობრივი სტრუქტურა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ქალთა და მამაკაცთა ხვედრით წონას, მათ თანაფარდობას გვიჩვენებს. დემოლოგიური პროცესების ანალიზისთვის უპირატესად ასეთ მაჩვენებელს იყენებენ: რამდენი მამაკაცი მოდის საშუალოდ ყოველ 100 (ან 1000) ქალზე. თუმცა, რეალური ვითარების თაობაზე სწორი და სრული სურათის მისაღებად საკმარისი არაა მხოლოდ ამ მაჩვენებლის გაანგარიშება – ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობის გათვლა ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებლად.

ადამიანთა ცხოვრების პერიოდების (ასაკის) გათვალისწინებით, გამოყოფენ სქესთა რიცხოვნობის პირველად, მეორეულ და მესამეულ თანაფარდობას. პირველი გამოხატავს გოგონათა და ვაჟთა შორის თანაფარდობას ჩასახვის (განაყოფიერების) სტადიაზე; მეორეული – დაბადების სტადიაზე; მესამეული – რეპროდუქტიულ სტადიაზე.

სქესთა თანაფარდობის ამ იერარქიიდან, პირველადი თანაფარდობა წარმოადგენს ბიოლოგიისა და სოციალური ჰიგიენის შესწავლის საგანს, მეორე და (განსაკუთრებით) მესამე კი – უპირატესად დემოლოგიური მეცნიერების ინტერესთა წრეში შედის. როგორც ცნობილია, მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაზე დამოკიდებული ქორწინებათა რიცხოვნობა და სიხშირე, აქედან გამომდინარე, შობადობის დონე, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის აღწარმოება და პრაქტიკულად თითქმის ყველა დემოლოგიური მახასიათებელი.

მრავალგზისი მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე დადგენილია, რომ ნაყოფის ჩასახვის სტადიაზე, საორიენტაციო შეფასებით (რადგანაც აბსოლუტური სიზუსტით ამის დადგენა შეუძლებელია), სქესთა რაოდე-

ნობრივი თანაფარდობა ასეთია: ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 125-130 ვაჟი მოდის. სპეციალისტთა დასკვნით, ბიჭების ნაყოფის შედარებით ნაკლებად განვითარების გამო, ბავშვის დაბადების მომენტისთვის ეს თანაფარდობა იცვლება და ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 105-106 ვაჟი მოდის, ანუ დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში ვაჟების ხვედრითი წონა 51,2 პროცენტს შეადგენს (დროის სხვადასხვა ეტაპზე და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ეს თანაფარდობა თითქმის უცვლელია).

ახალშობილთა სქესობრივი სტრუქტურისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება საკმაოდ დიდი ხნის წინათ იქნა შემჩნეული. საინტერესოა ასეთი ფაქტი: შუა საუკუნეების ფლორენციაში არსებობდა ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ტაძარში ბავშვის ნათლობისას განსაკუთრებულ ყუთში მუხუდოს (სოიას) მარცვლებს ყრიდნენ. გოგონას ნათლობისას ყუთში მუხუდოს თეთრ მარცვალს აგდებდნენ, ხოლო ვაჟის ნათლობისას – შავს. XIV საუკუნის ცნობილ ფლორენციელ მემბტიანეს ჯოვანი ვილანის აზრად მოუვიდა დაეთვალია თეთრი და შავი მუხუდოს მარცვლების თანაფარდობა სხვადასხვა წლებისთვის. იგი აღმოჩნდა მყარი. ყოველ 100 თეთრ მარცვალზე 105-106 შავი მარცვალი მოდიოდა. ასე დადგინდა ფუნდამენტური ფაქტი – ახალშობილების სქესთა თანაფარდობის სიმყარე¹. ამის ილუსტრირება შეიძლება მოვახდინოთ საქართველოს ფაქტობრივი მონაცემების მაგალითზე (ცხრ. 8).

როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს, ზემოაღნიშნული კანონზომიერების თვალსაზრისით გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ამას სავსებით ცხადყოფს ახალშობილი ვაჟებისა და გოგონების თანაფარდობა 1960-1992 წლებში, როდესაც 100 გოგონაზე საშუალოდ 105-106 ვაჟი მოდიოდა. მომდევნო წლებში ეს კა-

¹ იხ. ჟურნ. „Новый мир“, 1978, №1.

საქართველოში ცოცხლად დაბადებულები
სქესის მიხედვით ¹

ცხრილი 8

წელი	ორივე სქე- სი	მამრობითი	მდედრობითი	(მამრობითი / მდედრობითი) × 100
1960	102866	53030	49836	106.4
1965	94987	48319	46668	103.5
1970	90207	46250	43957	105.2
1975	89712	46493	43219	107.6
1980	89458	45833	43625	105.1
1985	97739	49972	47767	104.6
1990	82815	47758	45057	106.0
1991	89091	45924	43167	106.4
1992	72631	37276	35355	105.4
1993	61594	31904	29690	107.5
1994	57311	29964	27347	109.6
1995	56341	29745	26596	111.8
1996	55000	28936	26064	111.0
1997	54000	28409	25591	111.0
1998	51526	27108	24418	111.0
1999	48695	25618	23077	111.0
2000	48800	25674	23126	111.0
2001	47589	25037	22552	111.0
2002	46605	24519	22086	111.0
2003	46194	24469	21725	112.6
2004	49572	26039	23533	110.6
2005	46512	24654	21858	112.8
2006	47795	25236	22559	111.9
2004*	52000	26800	25200	106.3
2005*	50000	25700	24300	105.8
2006*	50000	25750	24250	106.2

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი - 2006. თბილისი, 2007, გვ. 46.

ნონზომიერება დაირღვა და სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობამ მკვეთრად გამოხატული ანომალიური ხასიათი მიიღო. ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე 111-112 ვაჟი მოდის.

რამ განაპირობა კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე მყარად დამკვიდრებული თანაფარდობის ესოდენ რადიკალური შეცვლა? პროფესორები ვ. ლორთქიფანიძე და ა. თოთაძე, სტატისტიკური აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობასთან ერთად, ამის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად თვლიან ორსულობის ადრეულ სტადიაზე (ექოსკოპიის მეშვეობით) სქესის იდენტიფიცირების შემთხვევების მოხშირებასაც, რომელიც განაპირობებს არასასურველი სქესის (იგულისხმება გოგონა, როცა ოჯახს უკვე ჰყავს ერთი ან რამდენიმე ქალიშვილი და ძალიან უნდა ვაჟის ყოლა) შემთხვევაში მუცლის ხელოვნურად მოშლას (აბორტს).

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1995-2000 წლებში ამ მიზეზის გამო, სავარაუდოდ 7000 ქალით ნაკლები დაიბადა, მაშინ როდესაც მოსახლეობის გამრავლება უპირატესად ქალების რაოდენობით განისაზღვრება¹.

აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობა 1 წლამდე ასაკის ბავშვებში, გოგონებთან შედარებით, ვაჟების მეტობაში გამოიხატება, რადიკალური სტრუქტურული ცვლილებები მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში ხდება (ცხრ. 9).

ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2007 წელს საქართველოში 1 წლამდე ასაკის ვაჟების ხვედრითი წონა ქალებისას 5.6 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ანუ აბსოლუტურ მაჩვენებლებში თუ გამოვხატავთ, ვაჟ-

¹ ავტორების (გ. წულაძე, ნ. მალლაფერიძე) შეფასება და გაანგარიშებები, რომლებიც გაკეთებულია ფაქტობრივი მოსახლეობის მიხედვით.

¹ იხ. ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. ვრი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, 2007, გვ. 71-72.

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%-ობით)¹

ცხრილი 9

ასაკი (წლებში)	1959 წ. 15.01			2007 წ. 01.01		
	ორივე სქესი	მამაკაცუ- ბი	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცუ- ბი	ქალები
- 1	100	50.8	49.2	100	52.8	47.2
1-4	100	50.6	49.4	100	52.7	47.3
5-9	100	51.1	48.9	100	52.4	47.6
10-14	100	51.3	48.7	100	51.4	42.6
15-19	100	48.4	51.6	100	50.7	49.3
20-24	100	46.3	53.7	100	50.3	49.7
25-29	100	47.6	52.4	100	49.6	50.4
30-34	100	47.3	52.7	100	48.7	51.3
35-39	100	39.6	60.4	100	47.9	52.1
40-44	100	28.9	61.1	100	46.7	53.3
45-49	100	42.4	57.6	100	46.5	53.5
50-54	100	42.3	57.1	100	45.9	54.1
55-59	100	36.0	64.0	100	45.4	54.6
60-64	100	40.0	60.0	100	43.8	56.2
65-69	100	44.7	55.3	100	41.5	58.5
70-74	100	41.9	58.1	100	41.0	59.0
75-79	100	43.9	56.1	100	38.4	61.6
80-84	100	39.9	60.1	100	31.6	68.4
85+	100	40.8	59.2	100	21.4	78.6
სულ	100	46.1	53.9	100	47.3	52.7
-15	100	51.1	48.9	100	52.1	47.9
15-64	100	44.2	55.8	100	47.9	52.1
65+	100	42.9	57.1	100	38.6	61.4

¹ გაანგარიშებულია ჩემს მიერ სტატისტიკური კრებულის - გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. „საქართველოს დემოგრაფიული წელიწადული“, 2006, თბილისი, 2007, გვ. 18, 22 - მონაცემების საფუძველზე.

ბი 2.6 ათასით მეტნი იყვნენ ქალებზე. დაახლოებით ასეთივე თანაფარდობა იყო წინა პერიოდებშიც, ჩველი ვაჟების რიცხოვნობა სჭარბობდა ქალიშვილებისას (ათასობით): 1897 წელს – 2.4, 1939 წელს – 1.7, 1959 წელს – 1.5, 1989 წელს – 2.6, 2000 წელს – 2.6.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი თანაფარდობა სიცოცხლის პირველივე წელს იწყებს თანდათანობით შეცვლას და მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში ვაჟებისა და გოგონების თანაფარდობა ჯერ თანაბრდება, ხოლო შემდეგ გოგონების ხვედრითი წონა უსწრებს ვაჟებისას. ცხრილში მოტანილი 2007 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, გოგონების ხვედრითი წონა ვაჟებისას გაუთანაბრდა 20-24 წლის ასაკში, ხოლო უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში გოგონების ხვედრითმა წონამ ვაჟებისას გაუსწრო, თანაც მზარდი ტემპებით. ვაჟებთან შედარებით, ქალების ხვედრითი წონის მეტობა შეადგენდა (პროცენტულ პუნქტებში) 20-24 წლის ასაკში 0.8, 35-39 წლის ასაკში – 4.2, 45-49 წლის ასაკში – 7.0, 55-59 წლის ასაკში – 9.2. 65-69 წლის ასაკში – 17.0, 75-79 წლის ასაკში – 23.2, ხოლო 65 წლისა და უფრო მაღალ ასაკში – 57.2¹.

მოსახლეობის გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით სურათი ასეთია. 15 წლამდელი ასაკის მოსახლეობაში ვაჟები შეადგენენ 52.1, ხოლო გოგონები – 47.9 პროცენტს. გამოდის, რომ 4.2 პროცენტული პუნქტით ვაჟები მეტნი არიან. მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში ეს თანაფარდობა მკვეთრად იცვლება, რამდენადაც 15-64 წლის მოსახლეობაში მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე მოდის 47.9, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე – 52.1 პროცენტი. ანუ 4.2 პროცენტული პუნქტით მეტნი არიან ქალები. რაც შეეხება 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობას, ამ ჯგუფში კაცების ხვედრითი წონა შეად-

¹ გ. წულაძე, ნ.მალაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2006. თბილისი, 2007, გვ.

გენს 38.6, ხოლო ქალებისა – 61.4 პროცენტს, ანუ ქალეუბის ხვედრითი წონა 22.8 პროცენტული პუნქტით აღემატება კაცებისას.

საქართველოს მოსახლეობაში ერთობლივად – კაცები 47.3 პროცენტი, ქალები კი – 52.7 პროცენტი. აბსოლუტურ მაჩვენებლებში თუ გადავიყვანთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალების რიცხოვნობა (ყველა ასაკში) კაცებისას 234.6 ათასით აღემატება (ანუ, 1000 ქალზე 921 მამაკაცი მოდის), რაც ოჯახის შექმნის (დაქორწინების) თვალსაზრისით (და არა მარტო ამ თვალსაზრისით) ქვეყანაში მთელ რიგ პრობლემებს ქმნის.

ამ მონაცემებს თუ შევადარებთ ადრინდელი პერიოდების, მაგალითად, 1959 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებს, დავინახავთ, რომ ძირითადი ტენდენციები არ შეცვლილა. იგი მაშინაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც დღესაა. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობაში კაცების ხვედრითი წონა შეადგენდა 51.1, ხოლო ქალებისა – 48.9 პროცენტს. 15-64 წლის ასაკის მოსახლეობაში ქალების ხვედრითმა წომან მამაკაცებისას 11.6 პროცენტული პუნქტით გაუსწრო, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში კი – 14.2 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება ქვეყნის მოსახლეობას მთლიანად, მასში მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რიცხოვნობას მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთა რიცხოვნობა 313.3 ათასით სჭარბობდა.

ზემოთ დახასიათებული ტენდენციების სიმყარეს ნათლად ადასტურებს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ასაკობრივ ჭრილში განხილვაც (ცხრ. 10).

ცხრილში მოტანილი მასალის ანალიზი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ასაკის მიხედვით მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურული ცვლილებებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს, კერძოდ იმას, რომ ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 1 წლამდე ასაკში ყოფნისას ვაჟების ხვედ-

საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა
სქესის მიხედვით (%-ობით)¹

ცხრილი 10

ასაკი (წლებში)	1959 წ. 15.01			2007 წ. 01.01		
	ორივე სქესი	მამაკა- ცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცუ- ბი	ქალები
- 1	2.2	2.4	2.0	1.1	1.2	1.0
1-4	9.2	10.1	8.3	4.2	4.7	3.8
5-9	10.1	11.2	9.2	5.5	6.1	5.0
10-14	7.8	8.7	7.1	6.9	7.5	8.4
15-19	8.3	8.7	8.0	8.3	8.9	7.8
20-24	9.9	9.9	9.8	8.1	8.7	7.7
25-29	9.1	9.3	8.8	7.5	7.8	7.1
30-34	9.0	9.2	8.8	7.1	7.3	6.9
35-39	5.5	4.7	6.1	6.8	6.9	6.7
40-44	4.7	3.9	5.3	7.3	7.2	7.4
45-49	4.9	4.5	5.2	7.5	7.4	7.6
50-54	4.2	4.0	4.5	6.4	8.2	6.5
55-59	4.2	3.3	5.0	5.4	5.2	5.6
60-64	3.3	2.9	3.7	3.2	2.9	3.4
65-69	2.5	2.4	2.6	5.3	4.7	5.9
70-74	2.1	1.9	2.3	3.9	3.4	4.4
75-79	1.5	1.4	1.6	3.1	2.5	3.6
80-84	0.8	0.7	0.9	1.6	1.0	2.0
85+	0.7	0.6	0.8	0.8	0.4	1.2
სულ	100	100	100	100	100	100
-15	29.3	32.4	26.6	17.7	19.5	16.1
15-64	63.0	60.5	65.3	67.6	68.5	66.8
65+	7.7	7.1	8.1	14.7	12.0	17.1

რითი წილი სჭარბობს ქალებისას, შემდეგ – თანდათან ხდება ამ მაჩვენებელთა დაახლოება და 20-24 წლის ასაკში გამოთანაბრება. 40-44 წლის ასაკიდან კი ქალთა ხვედრითი წონა უსწრებს მამაკაცთა ხვედრით წონას და მომდენო ასაკობრივ ჯგუფებში ეს ტენდენცია უფრო მკვეთრად გამოხატულ ხასიათს ღებულობს. პიკს აღწევს

¹ იხ. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადუული – 2006. თბილისი, 2007, გვ. 27, 31.

80-84 წლის ასაკში, სადაც ქალთა ხვედრითი წონა მამაკაცებისას 2-ჯერ აღემატება.

რაც შეეხება გამსხვილებულ ჯგუფებს, 15 წლამდე ასაკში ვაუების ხვედრითი წონა სჭარბობს (3.4 პროცენტული პუნქტით), ხოლო 65 წლისა და უფროს ასაკში ქალების ხვედრითი წონა აღემატება მამაკაცებისას (5.1 პროცენტული პუნქტით).

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისთვის არსებულ მდგომარეობასთან შედარება საყსებით ადასტურებს ჩემს მიერ გაკეთებულ დასკვნებს. მცირეოდენი განსხვავება იმაშია, რომ 1959 წელს ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა იყო მაღალი (29.3 %), რომელშიც მამაკაცების ხვედრითი წონა ქალებისას 5.8 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა. 2007 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა მხოლოდ 17.7 პროცენტს შეადგენდა, რაც შობადობის შემცირებამ განაპირობა. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა კი 2007 წელს თითქმის 2-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვინემ 1959 წელს. რაც თანამედროვე ერაპზე მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების უფრო მაღალი დონითაა განპირობებული. რაც შეეხება სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას, ამ მაღალასაკიდან ჯგუფში (65 წელი და მეტი), მამაკაცებთან შედარებით, ქალების მეტობა უფრო გამოკვეთილია, ვინემ ეს იყო 1959 წელს.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის „თვითკორექტირება“ ბავშვების დაბადების (გაჩენის) მომენტიდანვე იწყება. როგორც ცნობილია, ჩვილთა ნაწილი მკვდრად იბადება. მაგალითად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში მკვდრად დაიბადა 1975 წელს 1034, 1980 წელს – 827, 1990 წელს – 850 და 2006 წელს – 817 ბავშვი. მკვდრადშობილთა რიცხოვნობა, როგორც ჩანს,

ძირითადად სტაბილურია, მაგრამ, შობადობის მკვეთრად შემცირების გამო (1975 წელს დაიბადა 86.6 ათ., ხოლო 2006 წელს – 47.8 ათ.), მკვედრად შობადობის ხვედრითი წონა იზრდება. იგი შეადგენდა: 1975 წელს 11.9, 1980 წელს – 9.3, 1990 წელს – 8.3, 2000 წელს – 17.8, ხოლო 2006 წელს – 16.8 პრომილეს¹.

იმის კვალობაზე, რომ მკვედრად შობილთა შორის ჭარბობენ ვაჟები, სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობა იცვლება, ესე იგი, გოგონებთან შედარებით, ვაჟების მეტობა კლებულობს და მათი რიცხოვნობა უახლოვდება ერთმანეთს. მხედველობაშია მისაღები ორსულობის ნორმალური ვადის დამთავრებამდე დაბადებულთა რიცხოვნობაც. დღენაკლულობისა და ფიზიკური სისუსტის გამო, მეტწილად ვერ ხერხდება მათი გადარჩენა და ისინი იღუპებიან, რაც, უწინარეს ყოვლისა, ისევ ვაჟიშვილებს ეხება.

სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის „კორექტირება“ კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ჩილი ბავშვების 1 წლამდე ასაკში, რაც, გოგონებთან შედარებით, ვაჟების უფრო მაღალი მოკვდაობით აიხსნება (ცხრ. 11).

მცირეოდენი რაოდენობრივი განსხვავებით, ეს კანონზომიერება მსოფლიოს ყველა რეგიონში და განვითარების ყველა საფეხურზე ერთნაირია.

ისმის ლოგიკური კითხვა: რითაა განპირობებული ეს საოცრება? ახალშობილი ვაჟები ხომ არც ლოთობენ, არც ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარენ და არც სიგარეტს ეწევიან. ცხადია, სოციალური ფაქტორი უკვე იწყებს ზემოქმედებას ამ მოვლენაზე, მაგრამ ეს გავლენა (ჩვილთა მოვლა-პატრონობა და ა.შ.) ხომ ორივე სქესის

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2006. თბილისი, 2007, გვ. 49.

1 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის
კოეფიციენტი¹

ცხრილი 11

წელი	ორივე სქესი	მამაკა- ცები	ქალები	რამდენით აღემატე- ბა ვაჟების მოკვდა- ობა გოგონებისას*
1960	41.9	44.1	39.6	4.5
1970	31.3	34.0	28.6	5.4
1979	35.3	40.2	30.2	10.0
1989	22.5	25.2	19.6	5.6
1990	21.2	24.0	18.3	5.7
1991	20.8	23.9	17.5	6.4
1992	20.2	23.3	17.0	6.3
1993	27.5	31.4	23.4	8.0
1994	29.1	33.1	24.8	6.3
1995	29.0	32.9	24.7	8.2
1996	28.7	32.5	24.5	8.0
1997	24.6	27.5	21.2	6.3
1998	22.3	24.8	19.5	5.3
1999	22.5	25.6	19.1	6.5
2000	23.1	26.1	19.8	6.3
2001	23.7	26.5	20.5	6.0
2002	24.4	27.4	21.0	6.4
2003	25.4	27.5	23.0	4.5
2004	25.2	25.6	24.7	0.9

წარმომადგენელთა მიმართ ერთნაირია, შედეგი კი – განსხვავებული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა თანაფარდობის დარეგულირებაში (განსაკუთრებით ამ საწყის სტადიაზე) ბიოლოგიუ-

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ყადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული – 2006. თბილისი, 2007, გვ. 81-84.

* გათვლები გაკეთებულია ამ სტრუქტურების ავტორის მიერ ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე.

რი ფაქტორის გავლენა საკმაოდ ძლიერია. უნდა ვივარაუდოთ, რომ დედებუნება თვითონვე აპროგრამებს და უზრუნველყოფს კიდევ თავის ჰარმონიულ განვითარებას. უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, 1 წლამდე ასაკში, როგორც ჩანს, ვაჟებთან შედარებით, გოგონების ორგანიზმი მეტი გამძლეობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა.

მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილებებში სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა როლი და მნიშვნელობა თანდათან მატულობს და უფრო ნათლად იკვეთება. შეიძლება ითქვას, რომ სქესთა რიცხოვნობის მესამეულ თანაფარდობას, მნიშვნელოვანწილად, ქალებთან შედარებით, მამაკაცების ნაადრევი და უფრო ინტენსიური მოკვდაობა განსაზღვრავს. ეს საკითხი საკმაოდ ვრცლადაა განხილული წინა პარაგრაფში, ამიტომ აქ არ გავიმეორებ. მოვიყვან მხოლოდ ერთ ვრცელ ამონარიდს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძის ნაფიქრალ-ნააზრევიდან, რომელიც ფრიად შთამბეჭდავი და მრავალმხრივ საგულისხმოა: 1888 წელს სტატისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიაში იგი წერდა: „ყველგან და ყოველთვისაო, ამბობს (სასტატისტიკო) მეცნიერება, ვაჟი უფრო ბევრი იბადება, ვიდრე ქალიო, მაგრამ ესეც-კი შენიშნულია, რომ ყრმობაშივე სიკვდილითაც ვაჟი მეტი იხოცება, ვიდრე ქალიო. ეს არის მიზეზი, რომელიც ჰმოქმედობს ამ ორის სქესთა მეტნაკლებობაზედ, ჯერ როცა ასაკსრული არ არის არც ვაჟი და არც ქალი. როცა ასაკი ემატებათ და სისრულეში შედიან, მამაკაცთა ცხოვრება უფრო ბევრის მსხვერპლს იწირავს, რადგანაც ცხოვრებას მამაკაცისას უფრო ბევრი ფათერაკი და განსაცდელი სდევსო. მაგალითებრ, ომები, მოგზაურობა, ზღვაში მავლობა, მძიმე მუშაობა მადნების მალაროებსა და თხრილებში და სხვანი ამისთანანი.

ეს ფათურაკიანი და განსაცდელიანი ცხოვრება მამაკაცისა მოჰყვანდათ ძველს მეცნიერებს იმის მიზეზად, რომ დედაკაცთა რიცხვი ყველგან მეტია მამაკაცთა რიცხვზედ. ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებამ ეჭვი შეიტანა და ამბობს, რომ ამ მეტ-ნაკლებობის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და მაინცდამაინც ეს მიზეზები უფრო ღრმად მიმაღულნი და შორს არიან იმათზედ, რაც აქამომდე ეგონათო. ამ სახით დედაკაცთა მამაკაცზედ ნამეტანობა თუმცა მეცნიერებისგან აღიარებულია და დამტკიცებული, მაგრამ ამისი მიზეზი-კი ჯერ — აქამომდე გამორკვეული და ნაპოვნი არ არის და ელის მეცნიერების საბუთიანს სიტყვას.

ერთი სიტყვით, მეცნიერებას უეჭველ ჭეშმარიტებად მიღებული აქვს, რომ რიცხვი დედათა სქესისა თითქმის ყოველთვის მეტია მამაკაცთა რიცხვზედ და ორთა-შუა რიცხვი მეტობისა ისეა, რომ 21-ს დედაკაცზედ მოდის 20 მამაკაცი¹.

ამრიგად, სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ზემოთ დახასიათებული რაოდენობრივი თანაფარდობანი არა მარტო შემთხვევითი და დროებითი ხასიათისა არაა, არამედ მათ აქეთ ისეთი მყარი საფუძველი, რომელიც დროისა და სივრცის მიუხედავად, ანიჭებს აუცილებელი, საუკუნეების განმავლობაში მუდმივგანმეორობადი და ნათლად გამოხატული ტენდენციის ხასიათს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ პროპორციებს ჰქონდა ადგილი ოდითგანვე, აქვს ამჟამად და ექნება მომავალშიც. იგი უნივერსალური კანონია. აი, რატომ მოვაქციე ის ზოგად (საერთო) დემოლოგიურ კანონთა შემადგენლობაში.

დემოლოგიურ ლიტერატურაში შეინიშნება ცალკეული ე.წ. კონტრარგუმენტებიც. მხედველობაში მაქვს:

პირველი, გოგონებისა და ვაჟების მეორეული თანაფარდობის არაერთგვაროვნება ქვეყნის შიგნით მოსახლე-

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 8, გვ. 322-323.

ობის ცალკეული ჯგუფებისთვის. ბიჭების რიცხოვნობა გოგონებისას უფრო მეტად აღემატება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ოჯახებში, ვინემ არარეგისტრირებულ ქორწინებაში (და დაუქორწინებელ) ოჯახებში*, და მით უფრო ჩამორჩება, რაც უფრო მაღალია დედის ასაკი. მეორეული თანაფარდობა მატულობს ასევე ომის პერიოდში და ომის შემდგომ პირველ წლებში. მაგალითად, ს. ნოვოსელსკის მონაცემებით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იგი, ჩვეულებრივ, 105-106-თან შედარებით, 1918 წელს გაიზარდა საფრანგეთში 107.6-მდე, ხოლო გერმანიაში – 107.7-მდე³. ასეთი ცვლილებები განაპირობა: მშობლების ასაკობრივ სტრუქტურაში ომით გამოწვეულმა ძვრებმა (გაიზარდა ახალგაზრდა წყვილების ხვედრითი წონა); აგრეთვე ცვლილებებმა დაბადებათა რიგითობაში (გაიზარდა პირველი შვილების ხვედრითი წონა, რომელთა შორის უფრო მეტად სჭარბობენ ვაჟები).

მეორე, მდებარეობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მესამეული თანაფარდობის მეტი სიმკვეთრე, მეორეულთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზებია: მოზრდილ ასაკში ქალთა და მამაკაცთა მოკვდაობის განსხვავებული დონე; ომები, რომლებიც უპირატესად მამაკაცთა სიცოცხლეს იწირავენ; მიგრაციის განსხვავებული ინტენსივობა (გაძლიერებული იმიგრაციის ქვეყნებში მამაკაცებია შედარებით მეტი, გაძლიერებული ემიგრაციის ქვეყნებში კი – პირიქით); ამის საფუძველი უნდა ვეძიოთ, აგრეთვე, მოსახლეობის განსხვავებულ ასაკობრივ სტრუქტურაში, ბავშვთა დაბადების განსხვავებულ რიგითობაში, განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში და ა.შ.

* დემოლოგიურ ლიტერატურაში გაუქმებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქორწინებაში მყოფ რეგისტრირებულ წყვილებს უფრო მეტი ვაჟები უნდებათ, ვინემ გოგონები, ჩემი აზრით, რეალობას მოკლებულია. რა შუაშია რეგისტრაცია?

³ იხ. Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с.461.

აღნიშნული არგუმენტების შინაარსობრივი დატვირთვის გულმოდგინედ გაანალიზება ცხადყოფს, რომ ვერცერთი მათგანი ვერ ცვლის ზემოთ გაკეთებული დასკვნის ჭეშმარიტებას. თანაც, მთავარია აშკარად გამოკვეთილი საერთო ტენდენცია და არა მაჩვენებელთა ოდნავი გადახრა.

III თავი სპეციფიკური დემოლოგიური კანონები

3.1. შობადობის კლების კანონი

კაცობრიობის დასაბამიდან ათასწლეულების განმავლობაში, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრებამდე, თაობათა ცვლის პროცესისთვის დამახასიათებელი იყო მაღალი მოკვდაობა და მაღალი შობადობა. მაგალითად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აშშ-ში, 1800 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით, ერთ-ერთ სარეკორდო ნიშნულზე (55%) იმყოფებოდა¹. შორეულ წარსულში ამასთან მეტნაკლებად მიახლოებული იყო სხვა ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლებიც. რომ არა იმდროინდელი ინტენსიური მოკვდაობის შესაბამისი დონე შობადობისა (მაღალი მოკვდაობით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირებას მაღალი შობადობა ახდენდა), კაცობრიობას გადაშენების რეალური საფრთხე დაემუქრობოდა. საზოგადოების განვითარების მაშინდელი ეტაპისთვის დამახასიათებელი მაღალი შობადობის შეზღუდვის არც აუცილებლობა არსებობდა და არც შესაძლებლობა. ბუნებრივია, გარკვეული ზომით და პრიმიტიული ხერხებით მაშინაც ცდილობდნენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას, მაგრამ ამას თითქმის მხოლოდ ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენის თავიდან ასაცილებლად მიმართავდნენ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აღწარმოების პრიმიტიული და ტრადიციული ტიპების დომინირებისას შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იმდენად მაღალი იყო, რომ ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ზღვარს ანუ რეპროდუქტიულობის მაქსიმუმს უახლოვდებოდა და იგი, იმ ეპოქების მოთხოვნებიდან გამომდინარე,

¹ იხ. Естественное движение населения современного мира. Под редакцией Э.Ю. Бурнашева, М., 1974, с. 75.

კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ძირეული ძვრები განიცადა მოკვდაობის მანქანებელმა. მხედველობაში მაქვს ძირითადად ეგზოგენური ფაქტორებით განპირობებული მოკვდაობის თანდათან შემცირება, მისი როლისა და მნიშვნელობის მკვეთრად შეკვეცა, მოკვდაობის მნიშვნელოვანწილად ენდოგენურ ფაქტორებზე დაფუძნება და საერთოდ, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის (მათ შორის და განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) საგრძნობი დაწევა. ასეთ პირობებში უკვე აღარ იყო აუცილებელი მაღალი შობადობის შენარჩუნება თაობათა განახლების უწყვეტობისთვის და საფრანგეთსა და შვედეთში ჩნდება პირველი სიმპტომები ბავშვთაშობის შიგაოჯახური რეგულირებისა. როგორც ბ. ურლანისი აღნიშნავს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მაშინ ამ ქვეყნების ოჯახების ერთი მესამედი მიმართავდა შობადობის კონტროლს (ოჯახში ბავშვთა რიცხოვნობის განსაზღვრას), შეიძლება დაგვასკვნათ: იმ დროისთვის მსოფლიო მასშტაბით შობადობის რეგულირებას ახორციელებდა ქორწინებაში მყოფ წყვილთა არაუმეტეს 1 პროცენტისა. შემდეგ სწრაფად გაერცვლდა სხვა ქვეყნებშიც და გლობალური ხასიათი მიიღო. შობადობის კონტროლს XX საუკუნის დასაწყისისთვის ქორწინებაში მყოფ წყვილთა 8 პროცენტი მიმართავდა, 70-იანი წლების პირველი ნახევრისთვის კი – 15 პროცენტი¹. ამჟამად ასეთ წყვილთა ხვედრითი წონა მსოფლიოში 62 პროცენტს აღწევს.

ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება პროგრესული მოვლენაა. ამ მოვლენას დადებითად გამოეხმაურა ბევრი ცნობილი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მაგალითად, გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ეპტონ სინკლერი თითქმის ერთი საუკუნის წინათ თავის ნაშრომში – „ცხოვრების წიგნი“ წერდა: „შობადობაზე კონტროლი ადამიანის გონების ისეთ უდიდეს მიღწევას

¹ Б.Ц. Урланис. Народонаселенис. Исследования, публицистика. М., 1976, с. 266.

წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ცეცხლის აღმოჩენისა და ბეჭდვის გამოგონების ტოლფასად ჩავთვალოთ. შობადობაზე კონტროლი ნიშნავს ქალისა და მთელი კაცობრიობის განთავისუფლებას ბუნების ბრმა და გაუაზრებელი ნაყოფიანობისგან, რომელმაც შეგვექმნა ჩვენ ცხოველებად და ასევე კმაყოფილებით დაგვეტოვებდა იმავე მდგომარეობაში, რომ არ აღეშფოთებულა იქვეით მის წინააღმდეგ“.¹

ამ საკითხისადმი კიდევ უფრო რადიკალურ დამოკიდებულებას გამოხატავდა ასევე მთელ მსოფლიოში ცნობილი ინდოელი მწერალი რაბინდრანატ თაგორი. იგი წერდა: „მოძრაობა, რომელიც მიმართულია შობადობის კონტროლისკენ, უდიდესი მოძრაობაა“.²

გამოჩენილი ადამიანები ამ მოვლენას ესოდენ მაღალ შეფასებას იმითომ აძლევდნენ, რომ უძველეს დროში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდისთვის ხელის შეშლას (თუმცა არა მასობრივად) ბარბაროსული ხერხების გამოყენებით ცდილობდნენ, მათ შორის ისეთით, როგორიც იყო ბავშვთა მკვლელობა.

ამ, როგორც კვლევას განიცდის შობადობა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის პირობებში (ცხრ. 12).

ცხრილში მოტანილი ფაქტობრივი მონაცემები არაერთი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა: ჯერ ერთი, ნათლად ჩანს 1960-1964 წლებიდან 2008 წლამდე როგორც მთელ ჩვენს პლანეტაზე, ისე მის ყველა რეგიონში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის განუხრელი კლება. უკანასკნელი 43-47 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი მსოფლიოში მთლიანად 13.8 პროცენტით, ანუ 39.7 პროცენტით შემცირდა; მეორე, კონტინენტებიდან კლება ყველაზე უფრო მეტად აზიას შეეხო, სადაც ეს მაჩვენებელი 2-ჯერ შემცირდა. ეს პროცესი განსაკუთრ-

¹ ამონარიდი მოტანილია ბ. ურლანსის ნაშრომის - „Народонаселение. Исследования, публицистика“. М., 1976, с. 265 - მიხედვით.

² იქვე.

შობადობა მსოფლიოში მთლიანად და მის ძირითად რეგიონებში წლიურად საშუალოდ (1000 კაცზე)¹

ცხრილი 12

მსოფლიო მთლიანად და რეგიონები	1960-1964 წწ.	1975-1979 წწ.	2007 წ.	დინამიკის ინდექსი 2007წ. 1960-1964 წწ.თან
მსოფლიო მთლიანად	34.8	28.5	21.0	0.603
ევროპა	18.7	14.4	10.0	0.535
აღმოსავლეთი	17.5	17.5	10.0	0.571
დასავლეთი	18.2	11.8	10.0	0.549
ჩრდილოეთი	17.9	12.5	12.0	0.670
სამხრეთი	20.7	16.1	10.0	0.483
აზია	38.7	29.6	19.0	0.490
აღმოსავლეთი	32.2	21.0	12.0	0.343
სამხრ.-აღმოსავლეთი	44.6	35.2	21.0	0.471
სამხრეთ-დასავლეთი	43.6	39.6	26.0	0.596
სამხრ.-ცენტრალური	44.9	37.6	25.0	0.557
აფრიკა	47.9	46.0	38.0	0.793
აღმოსავლეთი	48.5	47.9	41.0	0.845
დასავლეთი	50.4	49.0	42.0	0.833
ჩრდილოეთი	43.3	42.6	26.0	0.600
ცენტრალური	46.6	45.3	46.0	0.987
სამხრეთი	39.5	38.6	24.0	0.607
ამერიკა	32.3	26.3		
ლათინური	41.0	33.6	21.0	0.512
კარიბის ზღვის აუზი	39.3	27.7	19.0	0.483
ჩრდილოეთი	22.8	16.3	14.0	0.610
ავსტრალია და ოკეანეთი	26.7	21.8	18.0	0.674

ბით ინტენსიურად აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარეობდა, სადაც შობადობის კოეფიციენტი შემცირდა 20.2 პრომი-

¹ 1960-1964 და 1975-1979 წწ. მონაცემები აღებულია ცნობარიდან – „Народонселение стран мира. Справочник, под редакцией Б.Ц. Урланиса и В.А. Борисова“. М., 1984, с. 35.

ლით, ანუ თითქმის 2.9-ჯერ; მესამე, შემცირების ტემპი შედარებით დაბალი იყო აფრიკაში, ამიტომ შობადობის დონე ამ რეგიონში ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. იგი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს 1.8-ჯერ აღემატება. ეს იმით აიხსნება, რომ შობადობის შემცირებაზე მოქმედი ფაქტორების ინტენსიურობა და ქმედითუნარიანობა შედარებით დაბალია; მეოთხე, კონტინენტებიდან შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (10‰) ყველაზე უფრო დაბალია ევროპაში, რამდენადაც ამ მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების ინტენსიურობა და ქმედითუნარიანობა აქ გაცილებით მაღალია.

შობადობის შემცირების განსხვავებული ტემპები და არაერთგვაროვანი დონე, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, იმითაცაა განპირობებული, რომ ბავშვების გაჩენის შეზღუდვას ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ იწყებენ. ზოგან იწყებენ მეოთხე და მეხუთე შეილიდან, ზოგან კი – მესამიდან და ცალკეულ ქვეყნებში მეორიდანაც კი. მაგალითად, ინდოეთში დიდი ხანია, რაც რეკომენდაციას აძლვენ ახალდაქორწინებულებს: „არ იჩქაროთ მეორე შეილის გაჩენა და კარგად დაფიქრდით მესამის გაჩენაზე“, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რეკომენდაცია უბრალო მოწოდებად რჩება და პრაქტიკულად არ მუშაობს. ამაზე მეტყველებს ის, რომ, გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, ინდოეთის მოსახლეობა 2007-2050 წლებში 506.2 მილიონით გაიზრდება და 1.6 მლრდ კაცს გადააჭარბებს. ამ მაჩვენებლით ინდოეთი პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში, მაგრამ ამასთან დაკავშირებით, რბილად რომ ვთქვათ, საფიქრალიც შესაბამისად მოემატება როგორც ამ ქვეყნის ხელისუფლებას, ისე საერთოდ მთელ სამყაროს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ შობადობის კოეფიციენტს კლების ნათლად გამოხატული ტენდენცია ახასიათებს, შეიძლება კიდევ უფრო დაეიხიოთ წარსულისკენ და ადრინდელი პერიოდის მონაცემებსაც გავეცნოთ (ცხრ. 13).

მოსკვლავის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა ევროპის 8 ქვეყანაში
XIX საუკუნიდან დაემდეგ¹

ცხრილი 13

ქვეყანა	მნიშვნელობა 1965 წ.	1937 წ.	1916-1918 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911-1914 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	1911 წ.	2007	
																მნიშვნელობა	წ.
ბავარი	18	15	40	19	32	31	1816-1820	31	XIX ს.-ის დასაწყისი	ბავარი	13	1930					
გერმანია	18	13	26	29	39	39	1871-1875	39	XIX ს.-ის 20- იანი წლები	გერმანია	9	1927					
ინგლისი	18	15	33	24	36	32	1871-1875	32	XIX ს.-ის 40-იანი წლები	ინგლისი	12	1926					
გერმანია	18	19	28	28	39	36	1876-1880	36	XIX ს.-ის 40-იანი წლები	გერმანია	8	1829					
ბელგია	17	15	35	22	34	30	1836-1840	30	XIX ს.-ის 40-იანი წლები	ბელგია	11	1933					
პოლონდია	20	20	22	28	36	33	1876-1880	33	XIX ს.-ის 70-იანი წლები	პოლონდია	11	1935					
იტალია	19	23	16	32	38	37	1881-1885	37	XIX ს.-ის 70-იანი წლები	იტალია	10	1943					
შვეიცრია	16	14	33	24	34	31	1856-1860	31	XVIII ს.-ის შუახანებიდან	შვეიცრია	12	1928					

¹ იხ. Боярский А.Я., Валетей Д.И., Волков А.Г., Дарский Л.Е., Кваша А.Я., Павлов Г.А., Сидман Р.И., Смуглевич Б.Я.м под редакцией А.Я. Боярского, Курс демографии, М., 1967, с. 316.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა XIX საუკუნიდან დღემდე ნათლად გვიჩვენებს ცხრილში მოყვანილ ევროპის რვავე ქვეყანაში შობადობის მკვეთრად შემცირებას. იმ დროიდან მოყოლებული, რა დროიდანაც (XIX საუკუნე) არსებობს შობადობის თაობაზე მონაცემები, დღემდე ეს მაჩვენებელი შემცირდა: საფრანგეთში – 2.4-ჯერ, ავსტრიაში – 4.5-ჯერ, ინგლისში – 2.7-ჯერ, გერმანიაში – 4.5-ჯერ, ბელგიაში – 2.7-ჯერ, პოლანდიაში – 3-ჯერ. იტალიაში – 3.7-ჯერ და შვედეთში – 2.6-ჯერ. შობადობის მაქსიმალურ მაჩვენებლებთან შედარება კიდევ უფრო შთაბეჭდავია. ასეთი რადიკალური ცვლილებების კვალობაზე, შობადობის დონე ძალიან დაბალ (9-13 პრომილე) ნიშნულზეა ჩამოსული, რაც ამ ქვეყნების გენოფონდს გადაშენებით ემუქრება. შობადობის შემცირებას ამიტომ აღიქვამდა აშშ-ის ლეგენდარული პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი „რასის თვითმკვლელობად“.

ცხრილში მოცემული ტენდენცია კარგად ჩანს მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტთა დინამიკაშიც. მეორე მსოფლიო ომის წინ იგი მთელ რიგ ქვეყნებში ერთსაც ვერ აღწევდა. მაგალითად, გერმანიაში შეადგენდა 0.98, ინგლისში – 0.87 (1920-1924 წწ. – 1.25), შვედეთში – 0.87 (1920-1924 წწ. – 1.34). ზოგიერთ ქვეყანაში ოდნავ აღემატებოდა ერთს: საფრანგეთში იყო 1.02 (1920-1924 წწ. – 1.21), დანიაში – 1.04 (1920-1924 წწ. – 1.41), აშშ-ში – 1.11 და ა.შ. ასეთი დაბალი მაჩვენებლები მოსახლეობის რიცხოვნობის შენარჩუნებისთვის, რომ არაფერი ეთქვათ მის ზრდაზე, ცხადია, საკმარისი არ იყო¹.

თუ პირველი მსოფილო ომის წინ მხოლოდ საფრანგეთის მაგალითი მოჰყავდათ, როგორც ისეთი ქვეყნისა, რომელიც ძლივს უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, მომდევნო პერიოდში ამ მხრივ მას დაეწივნ

¹ იხ. Боярский А.Я., Валентей Д.И., Волков А.Г., Дарский Л.Е., Кваша А.Я., Павлов Г.А., Сифман Р.И., Смулевич Б.Я. Под редакцией А.Я. Боярского. Курс демографии. М., 1967, с. 315.

და გაუსწრეს კიდევ ევროპის (და არა მარტო ევროპის) რიგმა სახელმწიფოებმა (ცხრ. 14).

შობადობის ზოგადი და ჯამური კოეფიციენტები მთლიანად მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში 1960-1964 და 2007 წლებში¹
ცხრილი 14

მსოფლიო მთლიანად, მოსი რეგიონები და ცალკეული ქვეყნები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი			შობადობის ჯამური კოეფიციენტი		
	1960-1964 წწ.	2007 წ.	დინამიკის ინდექსი 2007წ.-ს. 1960-1964 წწ.თან	1960-1964 წწ.	2007 წ.	დინამიკის ინდექსი 2007წ. 1960-1964 წწ.თან
მსოფლიო მთლიანად	35.3 ^a	21.0	0.595	4.9	2.7	0.551
განვითარებული ქვეყნები	19.5	11.0	0.564	2.7	1.6	0.593
განვითარებადი ქვეყნები	41.3	23.0	0.550	6.0	2.9	0.483
რუსეთი	20.2	10.0	0.495	2.5	1.3	0.520
უკრაინა	17.4	10.0	0.575	2.1	1.3	0.619
აშშ	21.9	14.0	0.639	3.3	2.1	0.636
იაპონია	17.2	9.0	0.523	2.0	1.3	0.650
გერმანია	17.8	8.0	0.449	2.5	1.3	0.520
საფრანგეთი	18.0	13.0	0.722	2.9	2.0	0.690
პოლანდია	20.9	11.0	0.529	3.1	1.7	0.548
პოლონეთი	20.1	10.0	0.497	2.7	1.3	0.481
იტალია	18.8	11.0	0.585	2.6	1.4	0.538
ესპანეთი	21.5	11.0	0.512	2.9	1.4	0.483
პორტუგალია	24.0	10.0	0.417	3.1	1.4	0.552
ჩინეთი	37.8	12.0	0.317	5.6	1.6	0.286
ინდოეთი	42.0	24.0	0.571	5.8	2.9	0.500

¹ 1960-1964 წლების მონაცემები აღებულია ე. ბორისოვის ნაშრომიდან - „დემოგრაფია“, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, ა. სახვაძის ქართული თარგმანი, თბილისი, 1999, გვ. 263, 2007 წლის მონაცემები კი - ინტერნეტიდან.

დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა სხვადასხვა წყაროდან მოტანილი ზოგიერთი მონაცემის მცირეოდენ ურთიერთდაუმთხვევლობას, მაგრამ მათი დაზუსტება, სათანადო ფაქტობრივი მასალის უქონლობის გამო, ამ სტრიქონების ავტორს არ უცდია. რაც მთავარია, ისინი ვერ ცვლიან წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულ აქტორისებულ დასკვნებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე დემოლოგიური მაჩვენებელი (შობადობის ზოგადი და ჯამური კოეფიციენტები) ცხადყოფს შობადობის კლების მყარ ტენდენციას. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, მაგალითად, შობადობის ჯამური კოეფიციენტი შემცირდა: მსოფლიოში მთლიანად 1.8-ჯერ, მ.შ. ეკონომიკურად და დემოლოგიურადაც განვითარებულ ქვეყნებში 1.7-ჯერ, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 2-ჯერ და მეტად. შობადობის კლების ტემპებში ასეთი სხვაობა იმიტია განპირობებული, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა დიდი ხანია რაც განახორციელეს, ამიტომ შობადობის შემდგომი შემცირების რეზერვა რამდენადმე იკლო, განვითარებადი ქვეყნები კი ამჟამად (თანაც, ძალიან ინტენსიურად) ახორციელებენ ასეთ გადასვლას და შობადობის შემცირების რეზერვიც გაცილებით მეტი აქვთ.

ცხრილიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ განვითარებად ქვეყნებში, შობადობის ჯამური კოეფიციენტის 2-ჯერ და მეტად შემცირების მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. იგი შეადგენს 2.9-ს, მაშინ როდესაც ამ ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელია ოდნავ მაინც აღემატებდეს 2.1-ს ერთ ქალზე საშუალოდ ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე, მისი ქორწინების მიუხედავად (ანუ 210 ბავშვს ყოველ 100 ქალზე საშუალოდ).

საგანგებო კომენტარს საჭიროებს დემოლოგიური ცვლილებები ჩინეთში. XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისთვის შობადობის როგორც ზოგადი (37.8%), ისე ჯამური (5.8) კოეფიციენტი, ცხრილში ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან, ყველაზე მაღალი ჩინეთს ჰქონდა. მან უკანასკნელ პერიოდში მკაცრი, მაგრამ კარგად მოფიქრებული დემოლოგიური პოლიტიკა განახორციელა და შობადობის კონტროლის მეშვეობით უზრუნველყო დემოლოგიური ვითარების ნორმალიზება. 2007 წლის მონაცემე-

ბით, შობადობის როგორც ზოგადი (12%), ისე ჯამური (1.6) კოეფიციენტი ჩინეთში მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (21% და 2.7) 1.7-ჯერ ჩამორჩება და მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს. შობადობის ასეთი მყისიერი შემცირების ანალოგი არ არსებობს, მაგრამ ეს შედეგია დემოლოგიური პროცესების არა სტიქიური განვითარების და ქაოსის, არამედ, პირიქით, მათი გეგმაზომიერი, ცნობიერი რეგულირებისა. ჩინეთი ადამიანთა იმდენად მდიდარ რესურსს (1 მლრდ 318 მლნ – 2007 წ.) ფლობს, რომ დროებით რამდენადმე შეკეცილი აღწარმოების რეჟიმით განვითარების მიუხედავად, კიდევ დიდხანს ეყოფა, მომავალში კი, საჭიროებისამებრ, კვლავ შეუძლია დემოლოგიური პოლიტიკის კორექტირება და თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის მორგება.

შობადობის საერთო ტენდენციები უკვე განვიხილეთ, მაგრამ ამ ტენდენციების ფარგლებშიც არიან დემოლოგიური თვალსაზრისით როგორც მაღალი, ისე დაბალი მაჩვენებლებით გამორჩეული სახელმწიფოები (ცხრ. 15).

ცხრილი გვიჩვენებს იმას, თუ რა დემოლოგიური ცვლილებები განიცადეს დღეისთვის დემოლოგიური თვალსაზრისით ორ განსხვავებულ უკიდურესობაში მყოფმა სახელმწიფოებმა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. შობადობის ყველაზე დაბალი ჯამური კოეფიციენტის მქონე ქვეყნების ჯგუფში შეტანილია 23 ქვეყანა, რომელთა ერთი ნაწილი უკვე განიცდის დეპოპულაციას (მოსახლეობის ბუნებრივ აბსოლუტურ კლებას), მეორე ნაწილი კი ჯერ არა, მაგრამ მომავალში ისიც გახდება ამგვარი „სტატუსის“ მატარებელი. აღსანიშნავია, რომ ცხრილში ჩამოთვლილი 23 ქვეყნიდან 17-ს (ჩინეთის ჰონკონგი, უკრაინა, ბულგარეთი, სლოვენია, კორეის რესპუბლიკა, ჩეხეთი, სლოვაკია, ბელორუსია, მოლდოვა, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ლიტვა, რუმინეთი, სომხეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, საქართველო) ჯერ კიდევ 30 წლის წინათ შობადობის ისეთი ჯამური კოეფიციენტი ჰქონდა,

რომელიც მათ გაფართოებული აღწარმოების რეჟიმით განვითარების შესაძლებლობას აძლევდა. დღეისთვის კი ყველა მათგანში იმდენად შემცირებული და ისეთ დაბალ დონემდეა დასული ეს მაჩვენებელი, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფაც არ ძალუძს და შეევეცილი აღწარმოების ფარგლებს ვერ გაცდება.

შობადობის ჯამური კოეფიციენტის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები¹

ცხრილი 15

ქვეყნები	ყველაზე დაბალი მაჩვენებლები		ქვეყნები	ყველაზე მაღალი მაჩვენებლები	
	1970-1975 წწ.	2000-2005 წწ.		1970-1975 წწ.	2000-2005 წწ.
ჩინეთის პონკონგი	2.9	0.9	ნიგერი	8.1	7.9
უკრაინა	2.2	1.1	ზიმბაბუე	7.1	7.0
ბულგარეთი	2.2	1.2	მალდი	7.6	6.9
სლოვენია	2.2	1.2	ანგოლა	7.2	6.8
კორეის რესპუბ	4.3	1.2	ბურკინა-ფასო	7.8	6.7
ჩეხეთი	2.2	1.2	იემენი	8.5	6.2
სლოვაკია	2.5	1.2	მალაი	7.4	6.1
ბელორუსია	2.3	1.2	გვინეა	6.9	5.9
მოლდოვა	2.6	1.2	ეთიოპია	6.8	5.9
იაპონია	2.1	1.3	მაურიტანია	6.5	5.8
იტალია	2.3	1.3	ნიგერია	6.9	5.8
გერმანია	1.6	1.3	რუანდა	8.3	5.7
ესპანეთი	2.9	1.3	ზამბია	7.8	5.7
საბერძნეთი	2.3	1.3	ერიტრეა	6.5	5.5
უნგრეთი	2.1	1.3	მოზამბიკი	6.6	5.5
ლიტვა	2.3	1.3	ტოგო	7.1	5.4
ხორვატია	2.0	1.3	მადაგასკარი	6.7	5.4
ლატვია	2.0	1.3	ჯიბუტი	7.2	5.1
რუსეთი	2.0	1.3	კენია	8.0	5.0
რუმინეთი	2.6	1.3	სენეგალი	7.0	5.0
სომხეთი	3.0	1.3	ტანზანია	6.8	5.0
ბოსნია და ჰერცეგოვინა	2.6	1.3	ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა	5.7	5.0
საქართველო	2.6	1.3			

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2008. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“, М., 2005, сс. 254-257.

მთელ მსოფლიოში შობადობის უკიდურესად დაბალი ჯამური კოეფიციენტი (0.9) აქვს ჩინეთის ჰონკონგს. მეორე ადგილზეა უკრაინა (1.1). 7 სახელმწიფოში (ბულგარეთი, სლოვენია, კორეის რესპუბლიკა, ჩეხეთი, სლოვაკია, ბელორუსია, მოლდოვა) შობადობის ჯამური კოეფიციენტი 1.2-ს, ხოლო 14 ქვეყანაში (იაპონია, იტალია, გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, ხორვატია, რუსეთი, რუმინეთი, სომხეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, საქართველო) 1.3-ს არ აღემატება. დემოლოგიური განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ უახლოეს პერიოდში ამ ჯგუფის სახელმწიფოთა რიგებს მთელი რიგი სხვა ქვეყნებიც შეაესებენ.

ცხრილის მეორე ნაწილში წარმოდგენილია 22 ქვეყანა, რომელთაც შობადობის ყველაზე მაღალი ჯამური კოეფიციენტი აქვთ. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ 30 წლიან პერიოდში დასახელებულ ქვეყნებში ამ მაჩვენებელმა შედარებით მცირეოდენი ცლილებები განიცადა და მისი მაღალი დონე შენარჩუნებულ იქნა. თუმცა, საერთო კანონზომიერება ისაა, რომ შობადობა უკლებლივ ყველა მათგანში შემცირდა და, რეალური პირობების კვალობაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც შემცირდება.

ამრიგად, შობადობის დონეს აშკარად გამოკვეთილი დაცემის ტენდენცია ახასიათებს. თანაც, იმდენად მყარი და არაუკუქცევადი, რომ იგი დემოლოგიური კანონის მნიშვნელობას იძენს. რაც შეეხება იმას, რომ შობადობის კლების ტენდენცია დამახასიათებელია კაცობრიობის განვითარების არა ყველა საფეხურისთვის, არამედ მხოლოდ დღევანელი ეტაპისთვის, როცა განვითარებულ რეგიონში (ევროპა) უკვე დამკვიდრებულია, ხოლო განვითარებადში სულ უფრო ინტენსიურად მკვიდრდება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, მაძლევს საფუძველს განვასხვავო ეს კანონი ზოგადი (საერთო) დე-

მოლოგიური კანონებისგან და მივაკუთვნო სპეციფიკურ დემოლოგიურ კანონთა ჯგუფს.

შესაძლო კითხვაზე – თუ როგორია ის გარემო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ შობადობის კლების დემოლოგიური კანონის მოქმედების გარდუვალობას? – პასუხი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ.

შობადობის კლების პროცესის დაწყება განაპირობა, წინა ეტაპებთან შედარებით, დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობისა და მისი შესაბამისი რეპროდუქტიული ქცევის ჩამოყალიბებამ, ბავშვთა შობის შიგაოჯახურმა გაცნობიერებულმა (გეგმაზომიერმა) რეგულირებამ და ბავშვთა ყოლის მოთხოვნების (ოჯახში შეიღების სასურველი ოდენობის) მკვეთრმა შემცირებამ. ამის ილუსტრირება შეიძლება მოვახდინოთ საქართველოს მაგალითზე პროფესორების ვ. ლორთქიფანიძისა და ა. თოთაძის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით¹. როგორც ახალგაზრდების (ძირითადად სტუდენტების) გამოკითხვამ ცხადყო, 2007 წელს, 1973 წელთან შედარებით, ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობა 2.86-დან 2.48-მდე შემცირდა, მ.შ. ვაჟებისა – 2.97-დან 2.56-მდე, ხოლო ქალებისა – 2.75-დან, 2.41-მდე.

ახალგაზრდების ასეთი სურვილი კიდევაც რომ იქცეს რეალობად და ერთმა ქალმა საშუალოდ 2.41 ბავშვი იყოლიოს, თაობათა ერთი და იმავე ოდენობით განახლება საც კი არ ექნება ადგილი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსახლეობის უცვლელი ოდენობით გამრავლებისთვის საჭიროა ერთმა გათხოვილმა ქალმა თავისი სიცოცხლის განმავლობაში 2.6 ბავშვი მაინც გააჩინოს. თანაც არ უნდა დაგვაფიწდეს, რომ ამ შემთხვევაში ემსჯელობთ ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე.

¹ იხ. ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, 2007, გვ. 130.

რაც შეეხება ბავშვთა რეალურად მოსალოდნელ რაოდენობას, იგი დამოკიდებულია სასურველობის რეალობად ქცევაზე, რომელიც ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. ცხოვრების კონკრეტულ პირობებს კორექტივები შეაქვს მასში და ბავშვების ფაქტიური რაოდენობა, რომელიც ოჯახს ჰყავს საბოლოოდ (ოჯახის ფორმირების დასასრულს), არც თუ იშვიათად, გაცილებით ნაკლებია სასურველზე.

სწორედ ასეთ განვითარებას აქვს ადგილი საქართველოში, ისე როგორც ბევრ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, რაც აიხსნება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებობით. ოჯახს სურს, ვთქვათ, სამი შვილის ყოლა, მაგრამ, თავისი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, ერთზე ან ორზე მეტის გაჩენას არ აპირებს, რადგან დარწმუნებული არაა, რომ მათ ნორმალურად აღზრდის.

რეპროდუქტიული განწყობისა და ქცევის დაქვეითების, ოჯახში ბავშვებზე მოთხოვნის შემცირების, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებისა და მცირეშვილიანობაზე გადასვლის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

– მოკვდაობის (განსაკუთრებით ბავშვთა მოკვდაობის) შემცირება. მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ შესძლო მეცნიერების განვითარებისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების საფუძველზე, ეპიდემიების გავრცელებით მოსახლეობის მასობრივი ამოწყდომის თავიდან აცილება*, უკვე არ იყო მაღალი შობადობის საჭიროება და აუცილებლობა. შობადობის შემცირებით გამოწვეული ადამიანისეული რესურსების დანაკარგების კომპენსირება ხდებოდა მოკვდაობის შემცირებით დასოგილი სიცოცხლის მეშვეობით. თანაც, შობადობასთან შე-

* მაგალითად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯენერის მიერ 1796 წელს შავი ჭირის საწინააღმდეგო ვეკცინის აღმოჩენას. ამან შეუწყობ ხელი მედიცინაში პროფილაქტიკის იდეის პრაქტიკაში დამკვიდრებას,

დარებით, მოკვდაობის რამდენადმე წინმსწრები ტემპებით შემცირებამ შესაძლებელი გახადა მოსახლეობის რიცხოვნობის არა მარტო უცვლელად შენარჩუნება, არამედ გადიდებაც. რაკი ოჯახი დარწმუნდა იმაში, რომ დაბალი შობადობის პირობებშიც შეუძლია შეიღთა მისთვის სასურველი ოდენობით ყოლა, შობადობის შემცირებისკენ ნაბიჯი მან ადვილად გადადგა;

- ოჯახის ფუნქციების ძირეული ტრანსფორმაცია. უძველეს დროში, როცა ოჯახის ძლიერება და კეთილდღეობა თითქმის მთლიანად მის შრომისუნარიან წევრთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული, ე.ი. მას ჰქონდა წარმოებრივი ფუნქცია, ოჯახი დაინტერესებული იყო მაღალი შობადობით (მრავალშვილიანობით). ეს პირველ რიგში სოფლად ფუნქციონირებად და სოფლისმეურნეობრივი წარმოებით დაკავებულ ოჯახებს ეხებოდა. მაგალითად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეფის რუსეთში კოსტრომელი ქალი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში საშუალოდ 9.2 ბავშვს აჩენდა, ვოლოგდელი კი - 10.2. ეს ბევრი შვილის ყოლით მინიჭებულ სიხარულზე მეტად მოვალეობითა და აუცილებლობით იყო განპირობებული. ბავშვი აუცილებელი იყო როგორც სამუშაო ძალა ოჯახში. 7-8 წლის ბავშვები უკვე ეხმარებოდნენ მშობლებს სამუშაოთა შესრულებაში, 15 წლიდან კი უკვე სრულფასოვან მომუშავეებად ითვლებოდნენ. ოჯახი, რომელსაც მეტი ვაჟიშვილი ჰყავდა, უფრო მდიდრულად ცხოვრობდა. მრავალშვილიანობის აუცილებლობას აპირობებდა, აგრეთვე, გლეხის არაუზრუნველყოფადობა სიბერეში. ვისაც შვილები არ ჰყავდა, ის განწირული იყო ამქვეყნიური ცხოვრებიდან უპატრონოდ წასვლისთვის¹.

მას შემდეგ, რაც ამ ფუნქციამ ძირეული ტრანსფორმაცია განიცადა და ოჯახის წარმოებრივმა ფუნქციამ

¹ იხ. Брачность, рождаемость, смертность в России и в СССР. Сборник статей. Под редакцией А. Г. Вишневого. М., 1977, с. 96.

უკანა პლანზე გადაინაცვლა (პირველ რიგში და მნიშვნელოვანწილად, ქალაქში), მოთხოვნილება შვილებზე რამდენადმე შემცირდა. ისინი აღარ წარმოადგენენ ოჯახში ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ფასეულობას, როგორსაც წარმოადგენდნენ ადრე. ამ გარემოებამ უარყოფითად იმოქმედა შობადობის მაჩვენებელზე;

– მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ამ ფაქტორს პირდაპირი კავშირი აქვს მოკვდაობასთან. აღამიანი რაც უფრო კარგად იკვებება, ცხოვრობს კომფორტულ ბინაში (თავისი სათავესებით, გათბობით, ცხელი წყლით, აბაზანით, კონდიციონერით და ა.შ.), იცვამს ნორმალურად, ისვენებს კულტურულად და ა.შ., მით უფრო ჯანმრთელია და მოკვდაობაც დაბალია. ამიტომაც მოკვდაობის კოეფიციენტი დაბალი მდიდრებში და მაღალი – ღარიბებში. ამ საკითხს წინა პარაგრაფშიც შევეხე, აქ მოვიტან რამდენიმე დამატებით მონაცემს. როგორც გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი 1 ათ. ცოცხლად შობილზე შეადგენს: ფილიპინებში უღარიბეს 20 პროცენტში 48.8 და უმდიდრეს 20 პროცენტში – 20.9, ვიეტნამში, შესაბამისად, 39.3 და 13.8, ინდოეთში – 78.1 და 23.3, ბოლივიაში – 106.5 და 25.5 და ა.შ. ანალოგიურია 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის დონის მხრივ არსებული მდგომარეობაც. მოკვდაობა 1 ათ. ცოცხლად დაბადებულზე შეადგენს: ბრაზილიაში უღარიბეს 20 პროცენტში 98.9 და უმდიდრეს 20 პროცენტში – 33.3, თურქეთში, შესაბამისად, 85 და 32.6, თურქმენეთში – 105.5 და 68.8, მაროკოში – 111.6 და 39.2 და ა.შ.¹ ამ მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირი ასეთია: უმჯობესდება ცხოვრების პირობები – მცირდება მოკვდაობა – კლებულობს მაღალი შობადობის აუცილებლობა.

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“, М., 2005, с. 266.

რაც შეეხება კეთილდღეობის ამაღლებასა და შობადობას შორის ურთიერთდამოკიდებულებას, ეს დემოლოგიურ ლიტერატურაში რამდენადმე საკამათო საკითხია. გამოკვლევებით არაერთხელ დადასტურებულა კეთილდღეობის ამაღლებისა და შობადობის დონეთა შორის უკუკავშირის არსებობა. ე.ი. რაც უფრო მდიდარია ოჯახი, მით უფრო მცირე რაოდენობით ყავს მას შვილები. ამის გამო, ზოგიერთი ავტორი აბსურდულ დასკვნებამდეც კი მიდის და ასე ცინიკურად აყენებს საკითხს: „შობადობის გასაზრდელად ხომ არ ჯობია ქორწინებაში მყოფ წყვილებს ცხოვრების პირობები გაუუუარესოთ“?

ჩემი აზრით, შეძლებულ ოჯახებში შვილები შედარებით მცირე ოდენობით იმიტომ კი არ ყავთ, რომ კარგი ცხოვრება უშლით ხელს ბავშვების აღზრდაში, არამედ იმიტომ, რომ მათი ცხოვრების წესი (ფაქტორთა კომპლექსი, რომელიც მათ გარშემო იყრის თავს) ამგვარი ოჯახების მესვეურებს ისეთ რეპროდუქტიულ განწყობასა და ქცევას გამოუჩინებებს, რომელიც ზღუდავს შობადობას და ბავშვთა რაოდენობა დაჰყავს მინიმუმამდე;

– ურბანიზაცია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ინდუსტრიული წარმოების სწრაფი განვითარების კვალობაზე, მით უმეტეს, მეცნიერებაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში, უჩვეულოდ მაღალი ტემპებით მატულობს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა და, შესაბამისად, კლებულობს სოფლის მოსახლეობისა. ასე, მაგალითად, 1975-2003 წლებში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა მსოფლიოში მთლიანად, 11.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 48.3 პროცენტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია (77.2%) ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში, ასევე, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში (76.7%); ჯერ კიდევ დაბალია (26.7%) არაბულ სახელმწიფოებში, ასევე, სამხრეთ აზია-

ში (29.8%), ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში (34%), აფრიკის ქვეყნებში საპარიდან სამხრეთით (35.6%), აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში (41%), ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნებში (42.2%), მაგრამ ზრდის პროცესი ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. 1975-2003 წლებში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა ამალდა (პროცენტულ პუნქტებში): არაბულ სახელმწიფოებში 11.9, სამხრეთ აზიაში – 8.5, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში – 15.8, აფრიკის ქვეყნებში საპარიდან სამხრეთით – 14.6, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში – 20.6, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნებში – 14.3, რაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (სამხრეთ აზიის გამოკლებით) საგრძნობლად აღემატება. ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდა მომავალშიც გაგრძელდება. პროგნოზული გათვლებით, იგი 2015 წელს მიაღწევს (%-ობით): მსოფლიოში მთლიანად 53.5, ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში – 80.9, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში – 80.1, ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპასა და დსთი-ს ქვეყნებში – 62.9 და ა.შ.¹ ცხადია, ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის გაზრდის პროპორციულად შემცირდება სოფლის მცხოვრებთა ხვერითი წონა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა კავშირშია ყოველივე ეს შობადობის პრობლემასთან? – კავშირი იმაში მდგომარეობს, რომ შობადობის დონე, სოფელთან შედარებით, ქალაქის პირობებში გაცილებით დაბალია. თანაც, მით უფრო დაბალია, რაც უფრო მსხვილია ქალაქი. ასე იყო

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2008. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“. М., 2005, с. 257.

ადრინდელ ეპოქაში, ასეა ამჟამად, ასე იქნება მომავალშიც. მაგალითად, ავსტრიაში 1961 წელს ყოველ 1000 ქალზე საშუალოდ ბავშვების რაოდენობა შეადგენდა: ქალაქში 462 და სოფელში – 820, დანიაში (1960 წ.), შესაბამისად, 310 და 436, ფინეთში (1960 წ.) 348 და 435, საფრანგეთში (1962 წ.) – 307 და 375, ირლანდიაში (1961 წ.) – 474 და 535, ნორვეგიაში (1960 წ.) – 327 და 438, პორტუგალიაში (1960 წ.) – 274 და 441, აშშ-ში (1960 წ.) – 468 და 539 და ა.შ.¹ მეტნაკლებად ანალოგიური სხვაობაა ამჟამადც. რით აიხსნება ასეთი არაერთგვაროვნება?

ჩემი აზრით, იგი აიხსნება იმ რამდენადმე დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობითა და მისი შესაბამისი რეპროდუქტიული ქცევით, რომელიც ქალაქის პირობებში (მრავალსართულიანი სახლების ბინებში ცხოვრება, საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმების შედარებით მაღალი დონე, ქალაქური ცხოვრების დაძაბული რიტმი, ატმოსფეროს გამონაბოლქვი აირებით გაბინძურება და სხვ.) უყალიბდებათ ქორწინებაში მყოფ წყვილებს. იგი, როგორც წესი, თავის გამოხატულებას შვილთა შემცირებულ ოდენობაზე მოთხოვნილებაში პოულობს.

„ცხოვრების ქალაქური იერის“ გავლენით ქალის მდგომარეობაში მომხდარ ძირეულ ძვრებს აკად. პ. გუგუშვილი ასეთ შეფასებას აძლევდა: ქალაქებში ქალი, როგორც წესი, ადრე თუ გვიან გადის პროფესიული შრომის სარბიელზე, ებმება საზოგადოებრივ წარმოებაში და ამდენადვე იგი დიდი დროით სწყდება, შორდება თავის ოჯახს, როგორც მეუღლე, დედა, დიასახლისი, ოჯახში სიამისა და სიტკბოების, სიმშვიდისა და მყუდროების, ოჯახური წესრიგისა და წონასწორობის, ოჯახის წევრთა შორის სიტბოსა და სიყვარულის სუფევის დამამყარებე-

¹ იხ. Естественное движение населения современного мира. Под редакцией Э.Ю. Бурнашева. М., сс. 89-90.

ლი და თუ გნებავთ დამბადებელი, ვითარცა ოჯახის საერთო ნაჭერის, - პირველი პირშმოს მშობელი“.¹

ძნელია უკეთ გამოხატოს ადამიანმა ქალაქური ცხოვრების წესმა, თუ რაოდენ გაურთულა ქალს ორმაგი ფუნქციის (როგორც დედისა და საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილის) შეთავსება და ერთდროულად შესრულება;

- ქალთა ემანსიპაცია. საზოგადოებრივ პროგრესში, მამაკაცებთან ერთად, ქალთა წვლილიც სისტემატურად მატულობს. ამაში მათ ხელს უწყობს განათლების მაღალი დონე. მოვიტან რამდენიმე ქვეყნის მაგალითს². 2003 წლის მონაცემებით, ლიტვაში განათლებულია 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთა 99.6 პროცენტი, ლატვიაში - 99.7, ესტონეთში - 99.8, სლოვენიაში - 99.6, უნგრეთში - 99.3, პოლონეთში - 99.7, სლოვაკიაში - 99.6, ხორვატიაში - 97.1, არგენტინაში - 97.2 და ა.შ.

განათლებულ ქალებს არ სურთ საზოგადოებრივი ცხოვრებისგან მოწყვეტა. 2003 წელს ქალთა ეკონომიკური აქტიურობის დონე შეადგენდა: მსოფლიოში მთლიანად 55.6 პროცენტს, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში - 68.9, ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში - 64.3, აფრიკის ქვეყნებში საპირიდან სამხრეთით - 62.3, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში - 63.3 პროცენტს და ა.შ.

ქალთა ეკონომიკური აქტიურობის დონე მამაკაცების მიმართ იმავე - 2003 წელს შეადგენდა (%-ობით): მსოფლიოში მთლიანად 69, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში - 83, ცენტრალური და აღმოსავლეთ

¹ კ. გუგუშვილი. მოსახლეობა, ოჯახი, შეილიანობა. მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი. თბილისი, 1985, გვ. 133.

² იხ. Доклад о развитии человека - 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“, М., 2005, сс. 321, 336.

ევროპის და დსთი-ს ქვეყნებში – 81, ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში – 74, აფრიკის ქვეყნებში საპარიდან სამხრეთით – 73, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი და დაბალი დონეების მქონე ქვეყნებში – 71, განვითარებად ქვეყნებში – 67 და ა.შ.

მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. მაგალითად, ვიეტნამში შეადგენს 91 პროცენტს, სომხეთში – 89, ჩინეთში – 86, ბულგარეთსა და ყირგიზეთში – 85, სლოვაკიაში – 84, ისლანდიაში – 83, ესტონეთში – 82 და ა.შ.

პარლამენტართა შორის ქალთა ხვედრითი წონა ასეთ სურათს იძლევა (%-ობით): ნორვეგიაში – 38.2, ფინეთში – 37.5, ბელგიაში – 35.7, ისლანდიაში – 30.2, ლიტვაში – 22, ლატვიაში – 21 და ა.შ. სპეციალისტთა და ტექნიკურ მუშაკთა შორის სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა თანაფარდობა ასეთია. ქალთა ხვედრითი წონა შეადგენს: ლიტვაში – 70, ესტონეთში – 69, ლატვიაში – 64, პოლონეთსა და უნგრეთში – 61, აშშ-სა და ისლანდიაში – 55, ფინეთში – 53 და ა.შ.¹

ქალთა დასაქმების მასშტაბების ზრდის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ მონაცემები აშშ-ისა და ინგლისის წარსულიდან². აშშ-ის საზოგადოებრივ წარმოებაში თუ 1890 წელს 5 გაუთხოვრიდან 2 და 20 გათხოვილიდან მხოლოდ 1 ქალი იყო დასაქმებული, 1978 წელს დასაქმებული იყო 5 გაუთხოვრიდან 3 და გათხოვილ ქალთა თითქმის 50 პროცენტი. სისტემატურად მატულობდა ბავშვიანი ქალების დასაქმებაც. მაგალითად, 1978 წელს მუშაობდა ბავშვიანი ქალების 41.6 პროცენტი, რომელთაც ჰყავდათ 6 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები და

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“. М., 2005, сс. 325, 336.

² იხ. Народонаселение стран мира. Справочник. Под редакцией Б.Ц. Урланиса и В. А. Борисова. М., 1984, сс. 274-275.

572 პროცენტი დედებისა, რომელთაც ჰყავდათ 6-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებლები 1950 წელს არ აღემატებოდა, შესაბამისად 11.9 და 28.3 პროცენტს.

ინგლისში 1920 წელს 10 გათხოვილი ქალიდან დაქორწინებით მუშაობდა მხოლოდ ერთი, 1979 წელს კი – გათხოვილი ქალების ნახევარზე მეტი 16-დან 39 წლამდე და 70 პროცენტი – 35-დან 54 წლამდე ასაკში.

საინტერესოა გარკვევა საკითხისა იმის თაობაზე, ახდენს თუ არა ქალთა განათლება და დასაქმება გავლენას შობადობის მაჩვენებელზე და თუ ახდენს, დადებითია თუ უარყოფითი ეს გავლენა? ცხადია, ახდენს, თანაც უარყოფითს. ამის დასტურია ის, რომ უმაღლესი განათლების მქონე და დასაქმებულ (მითუმეტეს, მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე) ქალებს უფრო ცოტა ოდენობით ჰყავთ შვილები, ვინემ დაბალი განათლების მქონე ქალებს, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში (ოფიციალურად არ არიან დასაქმებულნი).

რითაა განპირობებული ამ ორი მოვლენის ასეთი უკუპროპორციული დამოკიდებულება? ქალს განა განათლება უშლის ხელს ბავშვის გაჩენასა და აღზრდაში? ცხადია, არა. თუმცა, არ იქნებოდა სწორი იმ ფაქტის უარყოფა, რომ დასაქმებული (განსაკუთრებით მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე) ქალები ხშირად თავს იკავებენ სასურველი ოდენობით შვილების გაჩენაზე თუნდაც იმის გამო, რომ ამ ფაქტორმა შეიძლება მათ ხელი შეუშალოს სამუშაოს შენარჩუნებაში, თანამდებობრივ დაწინაურებაში და საერთოდ, დედობისა და შრომითი საქმიანობის ოპტიმალურ შეთავსებაში. განათლებულ და დასაქმებულ ქალთა შედარებით მცირეშვიდიანობის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ბავშვთა შეზღუდულ რაოდენობაზე მოთხოვნილების ფორმირებაა, რო-

მელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მცირეშვილიანობისკენ სწრაფვაში;

– ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები. არცთუ იშვიათად, გაიგონებთ: „მირჩევნია მყავდეს ერთი შვილი და ის აღზარდო დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად, ვინემ მყავდეს რამდენიმე და სათანადოდ ვერ მოუწარო მათ“. ამ მოტივაციაში, რა თქმა უნდა, არის სიმართლის ელემენტები. მართლაც მნიშვნელოვანია ფიზიკურად ჯანსაღი, განათლებული, კულტურული, მაღალინტელექტუალურად აღზრდილი ახალი თაობა ჩაენაცვლოს ძველს. ეს დროის მოთხოვნაა და ამას ვერ გავექცევით. განათლებისა და გამრავლების ურთიერთმიმართების თაობაზე ვაჟა-ფშაველა გემოძღვრავდა: „ეს არის ჩემი საფიქრალი: ან გაენათლდეთ და ან გაემრავლდეთ, და ორივე თუ ერთად მოხერხდება, ეს უკეთესია“.¹

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ორ მომენტს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება: პირველი, ზემოაღნიშნული „მოტივაციით“ ერთშვილიანობაზე გადასვლა გაუმართლებელია, რამდენადაც ხშირად ოჯახში დედისერთა, რომელსაც ყველა ეფერება, უსრულებს ნებისმიერ სურვილს, მიართმევს ყველაფერს მზამზარეულად და ანებივრებს, იზრდება იზოლაციაში, ხდება ფუქსავატი, ნებიერა და ყალიბდება ეგოისტად, ყოყლოჩინად, მბრძანებლად, რომელსაც მიაჩნია, რომ ის განსაკუთრებული პიროვნებაა, სხვები ვალდებულნი არიან მას მოემსახურონ და ა.შ. მარტო განათლება ვერ უზრუნველყოფს ჰარმონიული, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას; და მეორე, განათლების მიღებასა და კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებასაც აქვს თავისი საზღვრები, „დროის გაზრდილი მოთხოვნების“ პრინციპიდან გა-

¹ ვაჟა-ფშაველა. თხზულებთა სრული კრებული. ტომი V. თბილისი, 1961, გვ. 183.

მომდინარე, ზოგიერთი მშობელი ცდილობს „არაფერი დააკლოს“ თავის შვილს და სისტემატურად ატარებს ცეკვაზე, მუსიკაზე, ხატვაზე, ფეხბურთზე, კალათბურთზე, ცურვაზე, უცხო ენების მასწავლებლებთან, კომპიუტერის კურსებზე და ა.შ., რომელიც „რობოტად“ აქცევს ბავშვს, აბეზრებს მას თითოეული ამ დატვირთვის შესრულებას და უყალიბებს ანტი განწყობას, იწვევს მასში უკურეაქციას.

ამრიგად, ბავშვთა აღზრდის ხარისხობრივი ასპექტების გათვალისწინება, რა თქმა უნდა, რამდენადმე ზღუდავს მოთხოვნილებას ბავშვებზე, მაგრამ ამ საკითხისადმი გონივრული მიდგომით შესაძლებელია მისი დარეგულირება, უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება და ვითარების ნორმალიზება;

– უმუშევრობა. მის მასშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მაგალითზე¹. 2003 წელს უმუშევართა რიცხოვნობა შეადგენდა (ათასობით): აშშ-ში – 8776.8, გერმანიაში – 3838.0, იაპონიაში – 3504.0, პოლონეთში – 3328.5, საფრანგეთში – 2648.2, თურქეთში – 2494.0 და ა.შ. სულ აღნიშნული ჯგუფის ქვეყნებში – 37931.6.

უმუშევრობის დონე ქალთა შორის მამაკაცების მიმართ იმავე წელს (%-ობით) ასეთ სურათს იძლეოდა: საბერძნეთი – 238, ესპანეთი – 195, ლუქსემბურგი – 188, იტალია – 172, ჩეხეთი – 162, პორტუგალია – 132, საფრანგეთი – 126, შვეიცარია – 117 და ა.შ. სულ აღნიშნული ჯგუფის ქვეყნებში – 105.

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“. М., 2005, с. 310.

იგივე მაჩვენებელი 15-24 წლის ქალთა შორის მამაკაცების მიმართ ასე გამოიყურებოდა: საბერძნეთი – 191, ლუქსემბურგი – 168, ესპანეთი – 140, პორტუგალია – 134, მექსიკა – 126 და ა.შ. სულ აღნიშნული ჯგუფის ქვეყნებში – 94.

რატომ დამჭირდა საერთოდ უმუშევართა და მათ შორის ქალთა უმუშევრობის შესახებ ფაქტობრივი მონაცემების ესოდენ უხვად მოტანა შობადობის კლების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უმუშევარი ცოლ-ქმრის ოჯახში ბავშვების რაოდენობას ზღუდავენ (პირველ შემთხვევაში, გადავადებას ახდენენ) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველი დამატებითი შვილის გაჩენა და აღზრდა დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული; და მეორე, უმუშევრად ითვლება არა ყველა დაუსაქმებელი ქალი (ასევეა მამაკაციც), არამედ შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი ქალებისა, რომლებიც ინტენსიურად ეძებენ სამუშაოს, მზად არიან მუშაობის დაწყებისთვის და ოფიციალურად რეგისტრირებულნი არიან სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში. მაშასადამე, უნდა ვიგულებით, რომ ისინი აუცილებლად საჭიროებენ დასაქმებას, შემოსავლის მიღებას და სანამ უმუშევრები არიან ზღუდავენ ოჯახში შვილთა რაოდენობას;

– სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 74 პროცენტი, მაშინ როდესაც ამ რეგიონზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მხოლოდ 7 პროცენტი. შრომითი რესურსებისა და სამუშაო ადგილების ასეთი დისბალანსის გამო, რომელსაც ადგილი აქვს არა მარტო ამ რეგიონში (მაგალითად, საქართველოდან ძირითადად ამ მოტივით ემიგრირებულია 1 მილიონამდე ადამიანი), სამუშაო ძალის დიდძალი ნაკადები სისტემატურად მიე-

მართება უცხოეთში. საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, საფრანგეთში მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა 25 პროცენტს იმიგრანტები შეადგენენ, საავტომობილო მრეწველობაში კი ამგვარი კონტინგენტის წილი ერთ მესამედს შეადგენს. შვეიცარიაში მშენებელთა 40 პროცენტი და ბელგიაში მუშათა 50 პროცენტი იმიგრანტია.

დასაქმების მიზნით, თავიანთი ოჯახებისგან მოწყვეტით, წლობით (ზოგჯერ ათეულ წლობითაც) ახალგაზრდა მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს შობადობაზე;

– მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში დაუქორწინებელთა და გვიან დაქორწინებულთა მაღალი ხვედრითი წონა. შეიძლება დავიმოწმოთ საქართველოს ფაქტობრივი მონაცემები. აქ 1997 წელს ქორწინებაში იმყოფებოდა 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 64.3 პროცენტი, არც ერთხელ არ ყოფილა დაქორწინებული 24.5 პროცენტი, დაქვრივებული იყო 9.5 პროცენტი, ხოლო განქორწინებულთა და დაქვრივებულთა ხვედრითი წონა 1.7 პროცენტს შეადგენდა. რაც შეეხება ქორწინების საშუალო ასაკს, იგი ქალიშვილებისთვის 24 და ვაჟებისთვის 28 წელს აღწევს, რაც რამდენადმე დაგვიანებულია.

ამრიგად, შობადობის კლებას განსაზღვრავს არა ერთი რომელიმე ფაქტორი, არამედ ფაქტორთა მთელი სისტემა (კომპლექსი). ამ მთავარ დემოლოგიურ პროცესში თითოეული მათგანის როლის გამოცალკევება და რაოდენობრივ პარამეტრებში გამოხატვა შეუძლებელია, რამდენადაც ეს ფაქტორები იზოლირებულად კი არა, ერთმანეთთან ურთერთკავშირში, ერთობლივად მოქმედებენ. კიდევ ერთი ნიუანსი. ზემოთ განხილული ფაქტორები შობადობაზე ზემოქმედებას ახდენენ არა უშუალოდ, არამედ ბავშვებზე მოთხოვნილების ფორმირებაში შეტანილი წვლილის მეშვეობით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, კამათს არ იწვევს შობადობის კლების (შემცირების) გარდუვალობა, მაგრამ ის კი საჭიროებს სათანადო ახსნას, პრაქტიკულად თუ როგორ ხორციელდება იგი. ლაკონური პასუხი ასეთია: შობადობის რეგულირება და კონტროლი ხორციელდება კონტრაცეპტივების გამოყენებით.

ბაეშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების მიზნით, კონტრაცეპტივების გამოყენების იდეა ინგლისელ თერძს ფ. პლეისს ეკუთვნის. მისმა თანამებრძოლმა რ. კარილილმა გამოაქვეყნა ნაშრომი – „წიგნი ქალებისთვის, ანუ რა არის სიყვარული“. აშშ-ში რ. ოუენი, ცნობილი სოციალისტ-უტოპისტის შვილი, ფართო პროპაგანდას ეწეოდა კონტრაცეპტივების გამოყენების მიზნაშეწონილობის შესახებ. მაგრამ თავდაპირველად იგი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა და ძნელად იკაფავდა გზას. საქმე არაერთხელ მისულა სასამართლომდე. ეს არცაა გასაკვირი, საზოგადოება მის არსში კარგად არ იყო გარკვეული და ასეთ მოქმედებას უფლის ნების წინააღმდეგ წასვლად მიიჩნევდნენ.

აღსანიშნავია, რომ 1968 წელს კათოლიკური ეკლესიის სახელით პაპი პავლე VI გამოვიდა სპეციალური მიმართვით საზოგადოებისადმი, რომლითაც დაგმობილ იქნა კონტრაცეპტივების გამოყენებით არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება. დღეისთვის იგი, როგორც არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების ცივილიზებული მეთოდი, აღიარებულია პროგრესულ მოვლენად. მან მილიონობით ქალი იხსნა არასასურველი მშობიარობის თავიდან აცილების ისეთი ბარბაროსული მეთოდისგან, როგორიცაა აბორტი.

დღეისთვის კონტრაცეპტივების გამოყენების მასშტაბები ასეთია. 2007 წლის მონაცემებით, მსოფლიოში მთლიანად ყველანაირი სახეობის კონტრაცეპტივებს იყენებს 15-დან 49 წლამდე ასაკის დაოჯახებულ ქალთა 62

პროცენტი, ხოლო კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებებს – 54 პროცენტი. კონტინენტების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა, შესაბამისად, ევროპა – 68 და 53, ჩრდილოეთ ამერიკა – 73 და 69, აფრიკა – 28 და 22 (მ.შ. ჩრდილოეთ აფრიკა – 22 და 16). შობადობასთან მიმართებაში მაჩვენებლები საპირისპიროა. იქ, სადაც დაბალია კონტრაცეპტივების გამოყენების დონე, მაღალია შობადობა და, პირიქით, იქ, სადაც მაღალია კონტრაცეპტივების გამოყენების დონე, დაბალია შობადობა (ცხრ. 16).

ცხრილში მოტანილია მონაცემები 15-49 წლის ასაკის დაოჯახებულ ქალთა მიერ კონტრაცეპტივების გამოყენებაში 20 დაწინაურებული და ამდენივე ჩამორჩენილი ქვეყნის შესახებ. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, გათხოვილ ქალთა 74 პროცენტზე მეტი კონტრაცეპტივების თანამედროვე საშუალებებს იყენებს წინეთში, ჰონკონგში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ფინეთში, ბელგიასა და პოლანდიაში. სხვა გარემოებებთან ერთად, ამითაც აიხსნება ის, რომ ამ ქვეყნებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 13 პრომილეს არ აღემატება. ცხრილის პირველ ნაწილში წარმოდგენილ დანარჩენ 13 სახელმწიფოში გათხოვილ ქალთა მიერ კონტრაცეპტივების გამოყენების დონე 68 პროცენტზე მაღალია, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კი – 17 პრომილეზე დაბალი (უმეტესობაში 10-11 პრომილე).

რაც შეეხება ცხრილის მეორე ნაწილში დასახელებულ 20 ქვეყანას, მათ შორის 16-ში დაოჯახებულ ქალთა 10 პროცენტიც არ მიმართავს საერთოდ კონტრაცეპტივების გამოყენებას (რომ არაფერი ვთქვათ კონტრაცეპტივების თანამედროვე საშუალებების გამოყენებაზე). ძირითადად ამით აიხსნება შობადობის ძალიან მაღალი დონე (33-49 ‰) ამ ქვეყნებში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოში და მისებრ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ

15-49 წლის დაოჯახებულ ქალთა მიერ კონტრაცეპტივების გამოყენების დონე (%-ობით) და შობადობის ზოგადი კოეფიციენტები¹

ცხრილი 16

ქვეყნები	კონტრაცეპტივების გამოყენებაში დაწინაურებული			ქვეყნები	კონტრაცეპტივების გამოყენებაში ჩამორჩენილნი		
	კონტრაცეპტივების გამოყენების დონე				კონტრაცეპტივების გამოყენების დონე		
	ქვეყნის	თანამედროვე საშუალებების	შობადობა (%)		ქვეყნის	თანამედროვე საშუალებების	შობადობა (%)
ჩინეთი	87	86	12	ჩადი	3	2	47
ჩინეთის პოპულაციის მართვა	86	80	10	სიერალეონე	5	4	48
ლატვია	85	60	10	ანგოლა	6	5	49
დიდი ბრიტანეთი	84	79	12	სომალი	8	1	46
სამხ. კორეა	81	67	9	მაკრიტანია	8	5	35
ავსტრალია	85	75	13	გვინეა	8	6	42
მალტა	86	43	10	ერთორეა	8	5	40
ფინეთი	79	78	11	სუდანი	10	7	33
ბელგია	79	75	11	ბურკინაფასო	14	9	45
პოლანდია	79	76	11	გამბია	10	9	38
საფრანგეთი	75	69	13	გვინეა	9	6	42
გერმანია	75	72	8	მალი	8	6	48
აღღანეთი	75	8	14	მაკრიტანია	8	5	35
სლოვაკია	74	41	10	ნიგერი	11	5	48
კანადა	75	73	11	ნიგერია	12	8	43
სლოვენია	71	57	9	სენეგალი	12	10	39
ესტონეთი	70	56	11	ბურუნდი	16	10	46
მოლდოვა	68	44	11	ეთიოპია	15	14	40
უკრაინა	68	38	10	მოზამბიკი	17	12	41
ჩრდ. კორეა	69	58	16	ბენინი	17	6	45

¹ Population Reference Bureau. 2007 world population, www.prb.org

კიდევ რამდენიმე ქვეყანაში, ოჯახში ბავშვებზე მოთხოვნის საგრძნობლად შემცირებასთან ერთად, შეიმჩნევა ბავშვთა სასურველ რაოდენობასთან შედარებით, ფაქტიური (და რეალურად მოსალოდნელი) რიცხოვნობის ჩამორჩენა. მსოფლიოს ქვეყნების ნაწილში (განა, პუერტო-რიკო, ტუნისი, ფილიპინები, თურქეთი, ინდონეზია, ტაილანდი, მექსიკა და სხვ.) საწინააღმდეგო ვითარებაა, ე.ი. ბავშვთა სასურველ რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება ფაქტიური და რეალურად მოსალოდნელი რიცხოვნობა და ამის ძირითადი განმსაზღვრელი, კონტრაცეპტივების მინიმალური ოდენობით გამოყენების გამო, შობადობის უკონტროლობა და დაურეგულირებლობაა.

კონტრაცეპტივების გამოყენება თავდაპირველად XVIII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საქართველოში ამ მეთოდს იყენებენ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან. 2007 წელს ჩვენი ქვეყნის გათხოვილ ქალთა 47 პროცენტმა გამოიყენა კონტრაცეპტივების ყველანაირი სახეობა, 27 პროცენტმა კი – მისი მხოლოდ თანამედროვე საშუალებები. კონტრაცეპტივების გამოყენების ასეთი არც თუ მაღალი მაჩვენებლების პირობებში შობადობის მინიმალური ზოგადი კოეფიციენტი (11 ‰ - 2007 წ.) გვაფიქრებინებს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ მყარად გამოიყენება არასასურველი ორსულობის შეწყვეტის ქალის ორგანიზმის გამანადგურებელი ისეთი საშუალება, როგორცაა აბორტი (2006 წელს ჩვენს ქვეყანაში მარტო ლეგალური აბორტების რაოდენობამ 212 ათასს გადააჭარბა)¹.

შობადობის კლების დემოლოგიური კანონის მოქმედება ხომ არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს ეს პროცესი (ე.ი. შობადობა) თითქოს შეიძლე-

¹ იხ. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2006. თბილისი, 2007, გვ. 71.

ბა შეწყდეს საერთოდ? – ცხადია, არა. ასეთი რამ გამო-
რიცხულია. საკითხი ეხება, თანამედროვე ეტაპზე შექმნი-
ლი სპეციფიკური პირობების შესაბამისად, შობადობის
ღონის დაცემას, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.
იგი შედარებით უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს გან-
ვითარებად რეგიონში, რამდენადაც იქ ჯერჯერობით შემ-
ცირების მეტი რეზერვი არსებობს და მოსახლეობის აღ-
წარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა გაცილებით
სწრაფად მიმდინარეობს, ვინემ ეს თავის დროზე მოხდა
ევროპის კონტინენტზე. მსოფლიოს განვითარებად რეგი-
ონში შობადობის კლების საწინააღმდეგოდ მოქმედი ფაქ-
ტორია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში ახალ-
გაზრდობის შედარებით მაღალი ხვედრითი წონა. 2007
წელს, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, 15 წლამდე
ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა: განვი-
თარებულ რეგონში 17, ხოლო განვითარებადში – 31 პრო-
ცენტს (ევროპაში – 16 და აფრიკაში – 41 %). ამის დემო-
ლოგიური მნიშვნელობა ისაა, რომ ახალგაზრდობას, ჩვე-
ულებრივ, უფრო მაღალი რეპროდუქტიულობა ახასი-
ათებს.

ამასთან ერთად, შობადობის კლების ტენდენციის
საწინააღმდეგოდ მოქმედ ფაქტორთა შორის აღსანიშნა-
ვია, კარგად მოფიქრებული და მეცნიერულად დასაბუთე-
ბული დემოლოგიური პოლიტიკის საფუძველზე, ღონისძი-
ებათა კომპლექსის გატარება სამი ძირითადი მიმართუ-
ლებით:

1. ოჯახში ოპტიმალური ოდენობის ბავშვთა ყოლის
მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი განწყობის
ჩამოყალიბება, რომელიც აისახება დემოლოგიურ ქცევა-
ში. იგულისხმება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების,
საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების
სასწავლო პროგრამებში დემოლოგიური პროფილის შესა-
ბამისი დისციპლინებისა და კარგად შერჩეული დიდაქტი-

კური მასალების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში შეილთა შედარებით გაზრდილ რაოდენობაზე მოთხოვნილების ფორმირებას და ამ მიმართულებით დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. იგულისხმება, ასევე, რადიო- და ტელეგადაცემებში, ინტერნეტში, კინოფილმებში, თეატრალურ დადგმებში, რეკლამებში, მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა.

ამის აუცილებლობა იმით აიხსნება, რომ ცივილიზებული სამყაროს ფერტილური ასაკის ქალთა მენტალიტეტში აშკარად შეიმჩნევა მრავალშეილიანი ოჯახების როლისა და მნიშვნელობის გადაფასება და მათი რეპროდუქტიული ნორმების შეცვლა კლების მიმართულებით. ალბათ, სხვანაირ კვალიფიკაციას ვერ მიეცემთ იმ ფაქტს, რომ სისტემატურად მცირდება იმათი ხვედრითი წონა, ვისაც იდეალურად მიაჩნია მრავალშეილიანი (3 და მეტშეილიანი) ოჯახი და შესაბამისად იზრდება მათი ხვედრითი წონა, ვისაც იდეალურად მიაჩნია მცირეშეილიანი (1-2 შეილიანი) ოჯახი.

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილების – შეილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. საქართველოსა და მისებრ სპეციფიკურ მდგომარებაში მყოფ ბევრ სხვა ქვეყანაში ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენადაც შეილთა რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას.

ამ პრობლემის დაძლევისა და შობადობის წახალისებაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ეს ფაქტორი არ იმუშავებს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იმიტომ, რომ იქ, როგორც წესი, იმდენი შეილი ჰყავთ,

რამდენიც სურთ. საქართველოში კი იმუშავებს იმიტომ, რომ აქ, ძირითადად სწორედ ცხოვრების ნორმალური პირობების უქონლობის გამო, შეილები გაცილებით ნაკლები ოდენობით ჰყავთ, ვინემ სურთ. როდესაც ცხოვრების პირობები გაუმჯობესდებათ ოჯახებს და მოეხსნებათ შიშის სინდრომი იმის თაობაზე, რომ ვერ გაზრდიან თავიანთ შეილებს დღეანდელი მაღალი მოთხოვნების შესაბამისად, ისინი შეილების ფაქტიურ რაოდენობას მაქსიმალურად მიუხლოებენ მათ სასურველ რაოდენობას.

შობადობის კლების ტენდენციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, აგრეთვე:

- შრომის ასაკის სრულ შრომისუნარიანთა სპეციალობის მიხედვით დასაქმება და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანა;

- სამი და მეტშვილიანი დედებისთვის იმის უფლების მიცემა, რომ, თუ სურთ, ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან შეკვეცილი სამუშაო კვირით და მცოცავი გრაფიკით. პენსიის ასაკის განსაზღვრა შეილების ოდენობის გათვალისწინებით;

- ქალთა გამონთავისუფლება ორგანიზმისთვის მავნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე ღამის ცვლებიდან. სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისთვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახო - საყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური ურთიერთშეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

- პაციენტთა, განსაკუთრებით, ჩვილ ბავშვთა, ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე სამშობიარო სახლების ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვება, რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგა-

დოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამასთან, მოსახლეობის თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღლება. როგორც გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ონკოლოგიურ დაავადებათა გამოვლენა მნიშვნელოვანწილად ხდება მეოთხე სტადიაზე, როცა მათი განკურნება შეუძლებელია;

– რელიგიური რწმენა, ტრადიციები და შემორჩენილი ეთნიკური ჩვევები, რომელთა მიხედვითაც განგების (ღმერთის) ნების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით ძლიერია მუსულმანებში. აი, რით აიხსნება. მაგალითად, აჭარაში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმში ყოფნა, მაშინ როდესაც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში (გარდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთისა) დეპოპულაციას აქვს ადგილი;

3. მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, ლოთობა, სიგარეტის მოწვევა გოგონებში და სხვ.) თავიდან აცილება. რომ არა შესაბამისი სამსახურების მიერ ყველა მიმართულებით ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, შობადობა კიდევ უფრო მეტად შემცირდებოდა მთელს მსოფლიოში.

32. ოჯახებში შვილიანობის გამოთანაბრების კანონი

ამ დემოლოგიური კანონი-ტენდენციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვთა ოდენობა თითოეულ დაქორწინებულ წყვილზე საშუალოდ კონტინენტების, რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, ჯერ კიდევ დიდი კონტრასტულობის მიუხედავად, თანდათან უახლოვდება ერთმანეთს, ე.ი. ხდება მათი გამოთანაბრება

რით აიხსნება ასეთი მყარი და მუდმივგანმეორებადი კანონზომიერება, რომელიც დემოლოგიური კანონის სახით წარმოგვიდგება? იქნებ სუბიექტური ფაქტორებით, რომელთა მოქმედება შეიძლება შევაჩეროთ, თუკი ჩვენთვის არასასურველი იქნება მათი შედეგები? ცხადია, ასეთი რამ გამორიცხულია იმიტომ, რომ იგი ობიექტურ გარემო პირობებს ემყარება. ასეთი გარემო პირობები კაცობრიობის დასაბამიდანვე არსებობდა? არა, ისინი ჩამოყალიბდა დაახლოებით ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრების კვალბაზე.

ახლა მოვიშველიოთ ფაქტობრივი მასალა იმის საილუსტრაციოდ, რაც თეორიულად ჩამოვაყალიბეთ (ცხრ. 17).

ცხრილის მონაცემები ყურადღებას იქცევს არა მარტო იმით, რომ აღებულ 30-წლიან (1970-1975 წლებიდან 2000-2005 წლებამდე) პერიოდში მკვეთრად შემცირდა შვილიანობა როგორც მსოფლიოში მთლიანად, ისე დასახელებულ რეგიონებსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში, არამედ იმითაც, რომ შვილიანობა ტერიტორიულ ჭრილში საგრძნობლად გამრთანაბრდა.

თავდაპირველად გავაანალიზოთ ცვლილებები, რომელიც განიცადა ოჯახში შვილიანობის დინამიკამ საერთოდ. მესამე ათასწლეულის დასაწყისში (2000-2005 წწ.)

**შვილიანობა მსოფლიოში მთლიანად და მის
ცალკეულ რეგიონებში¹**

ცხრილი 17

რეგიონები და ქვეუ- ნების ჯგუფები	ფერტილურობის ზოგადი კოეფიციენტი (1970-1975 წწ.)		ფერტილურობის ზოგადი კოეფიციენტი (2000-2005 წწ.)	
	1 ქალზე სა- შუალოდ	100 ქალზე საშუალოდ	1 ქალზე საშუა- ლოდ	100 ქალზე საშუალოდ
მსოფლიო მთლია- ნად	4.5	450	2.6	260
ჩათ შორის:				
განვითარებადი ქვეყნები	5.5	550	2.9	290
არაბული სახელ- მწიფეობები	6.7	670	3.7	370
სამხრეთი აზია	5.6	560	3.2	320
ცენტრალური და აღმოს. ევროპა და დსთი-ს ქვეყნები	2.5	250	1.5	150
აღმდ მქონე ქვეყ- ნები	2.5	250	1.7	170
აღმდ მქონე ქვეყ- ნები	5.0	500	2.5	250

ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე საშუალოდ მოდი-
ოდა: მსოფლიოში მთლიანად 190, მ.შ. განვითარებად ქვეყ-
ნებში – 260, არაბულ სახელმწიფოებში – 300, სამხრეთ
აზიაში – 200, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა
და დსთი-ს ქვეყნებში – 100, ადამიანისეული პოტენცია-
ლის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში – 80
და ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუა-
ლო დონის მქონე ქვეყნებში – 250 ბავშვით ნაკლები, ვი-
ნემ გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარ-
ში (1970-1975 წწ.).

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“. М., 2005, с. 257.

შვილიანობის ასეთი მკვეთრი შემცირების განმსაზღვრელი ფაქტორები, შობადობის კლების კანონთან დაკავშირებით, უკვე განვიხილეთ წინა პარაგრაფში. ამჯერად გვინტერესებს პრობლემის მეორე მხარე – შვილიანობის გამოთანაბრება და მასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, შვილიანობის მხრივ სხვაობა (ოჯახში საშუალოდ, ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით) შემცირდა: განვითარებად ქვეყნებში 100-დან 30-მდე, არაბულ სახელმწიფოებში – 220-დან 110-მდე, სამხრეთ აზიაში – 110-დან 100-მდე, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნებში – 50-დან 10-მდე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დსთი-ს ქვეყნებში – 200-დან 110-მდე, ხოლო ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში – 200-დან 90-მდე.

იგივე კანონზომიერება, მხოლოდ უფრო მკაფიოდ გამოხატული სახით, შეიძლება დაეინახოს მსოფლიოს (ძირითადად აფრიკის) 22 ქვეყნის მაგალითზე (ცხრ. 18).

აქაც იგივე ტენდენციები ჩანს, ოღონდ რიგ შემთხვევებში უფრო გამოკვეთილი სახით. კერძოდ, ოჯახში შვილიანობა 3-ჯერ და მეტად შემცირდა ტუნისში, ირანში, ალჟირსა და მონღოლეთში; 2-ჯერ და უფრო მეტად – არაბთა გაერთიანებულ ემირატებში, ბახრეინში, მექსიკაში, პერუში, ეკვადორში, იორდანიაში, თურქმენეთში, სალვადორში, ვიეტნამში, უზბეკეთში, ნიკარაგუაში, მაროკოში, ბოტსვანასა და ზიმბაბვეში. ამის კვალდაკვალ განხორციელდა ოჯახში შვილიანობის გამოთანაბრება. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ოჯახში შვილთა რაოდენობის მხრივ სხვაობა (1970-1975 წწ. შედარებით, 2000-2005 წწ., ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით) შემცირდა. არაბთა გაერთიანებულ ემირატებში 190-დან 10-მდე, ბახრეინში – 140-დან 10-მდე, მექსიკაში –

შვილიანობა მსოფლიოს 23 ქვეყანაში¹

ცხრილი 18

ქვეყნები	ფერტილურობის ზოგადი კოეფიციენტი (1970-1975 წწ.)		ფერტილურობის ზოგადი კოეფიციენტი (2000-2007 წწ.)	
	1 ქალზე საშუალოდ	100 ქალზე საშუალოდ	1 ქალზე საშუალოდ	100 ქალზე საშუალოდ
არაბთა გაერთიანებული ემირატები	6.4	640	2.5	250
ბახრეინი	5.9	590	2.5	250
მექსიკა	6.6	660	2.4	240
ომანი	7.2	720	3.8	380
პერუ	6.0	600	2.9	290
ეკვადორი	6.0	600	2.8	280
ფილიპინები	6.0	600	3.2	320
ტუნისი	6.2	620	2.0	200
იორდანია	7.8	780	3.5	350
თურქმენეთი	6.2	620	2.8	280
ირანი	6.4	640	2.1	210
ალჟირი	7.4	740	2.5	250
სალვადორი	6.1	610	2.9	290
ვიეტნამი	6.7	670	2.3	230
უზბეკეთი	6.3	630	2.7	270
ნიკარაგუა	6.8	680	3.3	330
მონღოლეთი	7.3	730	2.4	240
ჰინდურასი	7.1	710	3.7	370
ტაჯიკეთი	6.8	680	3.8	380
მაროკო	6.9	690	2.8	280
ბოტსვანა	6.8	680	3.2	320
ზიმბაბვე	7.7	770	3.6	360

210-დან 20-მდე, ომანიში – 270-დან 120-მდე, პერუში – 150-დან 30-მდე, ეკვადორში – 150-დან 20-მდე, ფილიპინებში – 150-დან 60-მდე, ტუნისში – 170-დან 60-მდე, იორდანიაში – 330-დან 90-მდე, თურქმენეთში – 170-დან 20-მდე, ირანში – 190-დან 50-მდე, ალჟირში – 290-დან 10-მდე, სალვადორში

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“. М., 2005, сс. 254-257.

- 160-დან 30-მდე, ვიეტნამში - 220-დან 30-მდე, უზბეკეთში - 180-დან 10-მდე, ნიკარაგუაში - 230-დან 70-მდე, მონღოლეთში - 280-დან 20-მდე, ჰონდურასში - 260-დან 110-მდე, ტაჯიკეთში - 230-დან 120-მდე, მაროკოში - 240-დან 20-მდე, ბოტსვანაში - 230-დან 60-მდე და ზიმბაბვეში - 320-დან 100-მდე.

ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ამ ქვეყანაში და მსოფლიოში მთლიანად 30-წლიან პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ოჯახებში შეილიანობის გამოთანაბრების მიმართულებით.

ოჯახებში შეილიანობის გამოთანაბრება შეიძლება და ყოფილიყო მრავალშვილიანობის ზრდის თანმხლები პროცესი, თუკი ასეთი კანონზომიერება იქნებოდა დამახასიათებელი დემოლოგიური განვითარებისთვის. სინამდვილეში, როგორც წინა პარაგრაფში განვიხილეთ, საზოგადოებას თანამედროვე ეტაპზე ახასიათებს შეილიანობის შემცირების ტენდენცია. ამის დასტურია ცოცხლად დაბადებულთა შორის პირმშოთა (პირველი შვილის) ხვედრითი წონის სწრაფი ტემპებით ზრდა და მესამე და მომდევნო შვილების ხვედრითი წონის შემცირება საქართველოს მაგალითზე (ცხრ. 19).

ცხრილში მოტანილი ფაქტობრივი მასალის ანალიზი აი, როგორ ტენდენციებს გვიჩვენებს: ჯერ ერთი, ესაა შობადობის მკვეთრი შემცირება. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში 2006 წელს 55 ათ. ბავშვით ნაკლები დაიბადა, ვინემ 1960 წელს; მეორე, ყურადღებას იქცევს მრავალშვილიანობიდან მცირეშვილიანობაზე გადასვლა¹. როგორც ცხრილიდან ჩანს, 46 წლის განმავლობაში

¹ XIX საუკუნეში (რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელ პერიოდებზე) საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახი შედარებით მასობრივ მოვლენას წარმოადგენდა (თბილისის გუბერნიაში იგი 1886 წელს 62 სულს აღწევდა). მომდევნო ეტაპებზე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა (1989 წ. აღწერის მონაცემებით, იგი 4.1 შვილამდე დაევიდა). უკვე 1989 წლისთვის ორკაციანი ოჯახების ხვედრითი წონა შეადგენდა 21.3 პროცენტს, სამკაციანი - 19.5, ოთხკაციანი - 25.2, ხუთკაციანი - 17.9, ხოლო ექვსი და მეტკაციანი - 16.1 პროცენტს.

ცოცხლად დაბადებულები დაბადების რიგითობის მიხედვით საქართველოში¹

ცხრილი 19

	დაბადების რიგითობა					სულ
	I	II	III	IV	V+	
	რ ა ო დ ე ნ ო ბ ა					
1960	35672	29632	17693	9327	10536	102860
1965	29928	28166	16251	9182	9459	94986
1970	33060	28029	15087	7200	6830	90206
1975	39838	28725	13419	4677	3053	89712
1980	43442	29538	10822	3441	2215	89458
1985	41868	34625	15116	3975	2155	97739
1990	41338	31582	14477	3639	1779	92815
1995	30012	18352	5642	1621	714	56341
2000	25327	16250	5270	1318	637	48800
2001	25460	15086	5187	1285	571	47589
2002	24952	14878	5060	1146	569	46605
2003	28875	11752	3929	1025	613	46194
2004	28100	15771	4209	1037	455	49572
2005	27356	19743	4043	942	428	46512
2006	28935	13371	4107	938	444	47795
	პ რ ო ც ე ნ ტ ი					
1960	34.7	28.8	17.2	9.1	10.2	100.0
1965	31.5	29.7	19.2	9.7	10.0	100.0
1970	36.6	31.1	16.7	8.0	7.6	100.0
1975	44.4	32.0	15.0	5.2	3.4	100.0
1980	48.6	33.0	12.1	3.8	2.5	100.0
1985	42.8	35.4	15.5	4.1	2.2	100.0
1990	44.5	34.0	15.6	3.9	1.9	100.0
1995	53.3	32.6	10.0	2.9	1.3	100.0
2000	51.9	33.3	10.8	2.7	1.3	100.0
2001	53.5	31.7	10.9	2.7	1.2	100.0
2002	53.5	31.9	10.9	2.5	1.2	100.0
2003	62.5	25.5	8.5	2.2	1.3	100.0
2004	56.7	31.8	8.5	2.1	0.9	100.0
2005	58.8	29.6	8.7	2.0	0.9	100.0
2006	60.5	28.0	8.6	2.0	0.9	100.0

¹ იხ. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. უადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული - 2006. თბილისი, 2007, გვ. 45.

(1960-2006 წწ.) პირველ შვილთა ხვედრითი წონა 34.7-დან 60.5 პროცენტამდე, ანუ 25.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო მესამე და მომდევნო შვილებისა, პირიქით, 36.5-დან 11.5 პროცენტამდე, ანუ 25 პროცენტული პუნქტით შემცირდა. თუ კიდევ უფრო დაეაკონკრეტებთ, მესამე შვილთა ხვედრითი წონა შემცირდა 17.2-დან 8.6 პროცენტამდე, მეოთხე შვილებსა – 9.1-დან 2 პროცენტამდე, ხოლო ხუთი და მეტი შვილისა – 10.2-დან 0.9 პროცენტამდე.

როგორც ზემოთ არაერთხელაა ხაზგასმული, შუა საუკუნეების დასასრულამდე მრავალშვილიანობა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა, რამდენადაც მოკვდაობის მთავარ განმსაზღვრელს (ომებთან ერთად) მასობრივი ეპიდემიები წარმოადგენდა, რომელიც მდიდარსა და ღარიბს, დიდებულსა და უთვისტომოს, ერთმანეთისგან არ ანსხვავებდა, განურჩევლად აგლებდა ყველას მუსრს. ბევრ შვილს აჩენდნენ იმ მოტივით, რომ თითო-ორიღა მაინც დარჩენილიყო და სიცოცხლე გაგრძელებულიყო. დემოლოგიურ დისტერატურაში არსებული ინფორმაციით, ინგლისის დედოფალს ანას (1665-1714 წწ.) არც ამ ვარაუდმა გაუმართლა. მან გააჩინა 17 შვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთმა იცოცხლა 12 წლამდე და ისიც გარდაიცვალა. და ეს მაშინ, როცა ასეთი ქვეყნის დედოფლის ოჯახს არ აკლდა იმ დროისთვის შესაძლო ყველა საუკეთესო მოვლა და მკურნალობა!

მას შემდეგ, რაც დაძლეულ იქნა ეპიდემიოლოგიური შემოტევა და მოიხსნა შიშის სინდრომი, ოჯახები თანდათან მცირეშვილიანობაზე გადავიდნენ, რამდენადაც ასეთ პირობებშიც ახერხებდნენ ისინი შვილების სასურველი ოდენობით ყოლას.

ამასთან ერთად, შვილიანობის დაბალ ნიშნულზე გამოთანაბრების ხელშემწყობ გარემოებათა შორის შეიძლება დავასახელოთ:

¹ იხ. А.Я. Кваша. Сколько будет людей на земле к 2000 году. М., 1968, с. 18.

- ძირეული ცვლილებები ოჯახის ფუნქციებში, შეი-
ლების ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია და საერ-
თოდ, ბავშვის ფენომენის რამდენადმე გაუფასურება, რაც
მნიშვნელოვანწილად ეპოქალური მოვლენაა. მრავალშეი-
ლიანობას საფუძველი გამოაცალა ოჯახის წარმოებრივი
ფუნქციის შესუსტებამ, ბავშვების ეკონომიკური დანიშნუ-
ლებით გამოყენების უკანა პლანზე გადასვლამ და შეი-
ლებს დარჩათ ძირითადად მშობელთა სულიერი (ემოციუ-
რი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დანიშნულება,
რომლისთვისაც, როგორც ჩანს, 1-2 შეილიც საკმარისია;

- გლობალიზაცია, რომელიც გოლიათურ ნაბიჯებს
დგამს ყველა მიმართულებით. მოსახლეობის აღწარმოე-
ბის თანამედროვე ტიპის სიო სულ უფრო ძლიერად უბე-
რავს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტები-
დან და თავისი შედეგებით (მცირეშვილიანობის დამკვიდ-
რებით) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოლოგიურად
ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებულ (ძირითადად აფრი-
კის) ქვეყნებზე, სადაც თანდათან იღვამს ფეხს ბავშვთა
შობის 'შიგაოჯახური რეგულირების რეჟიმი და ხდება
მცირეშვილიანობაზე გადასვლა. მისი ერთ-ერთი ნათელი
გამოვლინებაა მსოფლიო მასშტაბით ოჯახში შვილიანო-
ბის ნიველირების ტენდენცია.

შვილიანობის მინიმალურ დონეზე გამოთანაბრების
ტენდენციამ შეიძლება მრავალ გამოუსწორებელ ნეგატი-
ურ შედეგამდე მიგვიყვანოს. კერძოდ, იგი:

- გადაშენების რეალურ საფრთხეს უქმნის მთელ
რიგ ერებს და, საბოლოო ანგარიშში, კაცობრიობას
მთლიანად. რასაკვირველია, ეს არ მოხდება დღეს და
ხვალ, არც ამ საუკუნეში, მაგრამ შორეულ პერსპექტივა-
ში გამორიცხული არაა;

- მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირებას-
თან ერთად, გამოიწვევს მისი ეკონომიკურად აქტიური ნა-
წილის, ანუ საზოგადოებრივი დოვლათის მთავარი შემ-
ქმნელი ძალის დეფიციტს, რომელსაც, თავისთავთან ერ-

თად, არაშრომისუნარიანთა (ბავშვებისა და ხანდაზმულთა) რჩენის მისია აკისრია;

– სეროიზულ პრობლემებს შეუქმნის ფიზიკურად ჯანსაღი, გონებრივად ყოველმხრივ განვითარებული, პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთების მატარებელი, შრომისმოყვარე და გამრჯე, მაღალზნეობრივი თაობების აღზრდას. ა. მაკარენკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთშვილიანობა მეტისმეტად არახელსაყრელ პირობებს ქმნის ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებისთვის;

– გაართულებს სახელმწიფოს დამცველი ძალების (სამხედრო მოსამსახურეთა) რიგების შევსებას.

როგორც მართებულად შენიშნავს ბ. ბორისოვი, ყველა ამ პრობლემას, მნიშვნელოვანწილად, დემოლოგიური წარმომავლობა აქვს, მაგრამ ეს ბევრს არ ესმის¹. არადა, როდენ აუცილებელია მათი ღრმად გაცნობიერება და ცივი გონებით განსჯა. ჩვენ, რა თქმა უნდა, წინ ვერ აღვეუდგებით ობიექტურ დემოლოგიურ ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, მით უმეტეს, დემოლოგიური კანონების მოქმედებას, თუმცა, გონიერული სახელმწიფო დემოლოგიური პოლიტიკის გატარებით შეგვიძლია ბევრი მათგანის რამდენადმე მაინც ნორმალიზება და, რაც მთავარია, ნეგატიური შედეგების დამანგრეველი ძალის შერბილება.

33. დემოლოგიური დაბერების კანონი

მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების მაჩვენებელია მის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წონა. გაეროს მიერ შემოთავაზებული სამსაფეხურიანი სკალით, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წონა თუ

¹ იხ. ბორისოვი. დემოგრაფია. სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, ა. სახეაძის ქართული თარგმანი. თბილისი, 1999, გვ. 345.

4 პროცენტზე დაბალია, იგი ახალგაზრდაა, თუ 4-დან 7 პროცენტამდეა – სიბერის ზღვარზე იმყოფება, ხოლო თუ 7 პროცენტს და მეტს შეადგენს, დემოლოგიურად დაბერებულია და, ცხადია, რაც უფრო ადვანტიცა, მით უფრო მეტადაა დაბერებული¹.

იმის საილუსტრაციოდ, დემოლოგიური დაბერების თუ რა დონეზეა მსოფლიოს მოსახლეობა, შეიძლება მოუხმოთ ფაქტობრივ მონაცემებს (ცხრ. 20).

ამრიგად, საშუალო მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ ვცხოვრობთ მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების კარიბჭესთან მყოფ მსოფლიოში, რომლის რეგიონებში ვითარება არაერთფეროვანია. ევროპა გადაბერებულია (16%). დემოლოგიური დაბერების ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება დასავლეთ ევროპასა (17%) და სამხრეთ ევროპაში (18%). დემოლოგიური დაბერების საშუალო დონეზე იმყოფებიან: ჩრდილოეთ ამერიკა (12%), ოკეანეთი (10%) და კარიბის ზღვის აუზი (8%). სიბერის გარდამავალ ეტაპზე არიან აზია და ლათინური ამერიკა (6%), აფრიკა კი დემოლოგიურად ჯერ კიდევ ახალგაზრდაა (3%).

ამ მხრივ უკანასკნელ სამათეულ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში (1975-2007 წწ.) მომხდარ ცვლილებებზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ასეთი მონაცემები: აღნიშნული პერიოდის დასაწყისში (1975წ.) მსოფლიოს მოსახლეობა საშუალოდ ჯერ კიდევ არ ითვლებოდა დემოლოგიურად დაბერებულად, რამდენადაც 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 5.7 პროცენტს არ აღემატებოდა. განვითარებულ და განვითარებად რეგიონებს შორის სხვაობა თუ 1975 წელს 6.8 პროცენტული პუნქტი იყო, 2007 წლისთვის 10 პროცენტამდე გაიზარდა (ცხადია, განვითარებული რეგიონის სასარგებლოდ). ევროპის მაჩვენებელი, შეიძლება ითქვას, საშუა-

¹ იხ. Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 117.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (2007 წ., %-ობით)¹

ცხრილი 20

რეგიონები და მხარე- ები	<15	15-64	65+	სულ
მსოფლიო მთლიანად	28.0	65.0	7.0	100.0
განვითარებული რე- გიონი	17.0	67.0	16.0	100.0
განვითარებადი რეგი- ონი	31.0	63.0	6.0	100.0
აფრიკა	41.0	56.0	3.0	100.0
ჩრდილოეთი	33.0	62.0	5.0	100.0
დასავლეთი	44.0	53.0	3.0	100.0
აღმოსავლეთი	44.0	53.0	3.0	100.0
ცენტრალური	46.0	51.0	3.0	100.0
სამხრეთი	33.0	63.0	4.0	100.0
ჩრდ. ამერიკა	20.0	68.0	12.0	100.0
ცენტრ. ამერიკა	33.0	62.0	5.0	100.0
კარიბის აუზი	28.0	64.0	8.0	100.0
სამხრ. ამერიკა	29.0	65.0	6.0	100.0
აზია	28.0	66.0	6.0	100.0
დასავლეთი	34.0	60.0	6.0	100.0
სამხ.-ცენტრალური	34.0	61.0	5.0	100.0
სამხ.-აღმოსავლეთი	29.0	66.0	5.0	100.0
აღმოსავლეთი	19.0	72.0	9.0	100.0
ევროპა	16.0	68.0	16.0	100.0
ჩრდილოეთი	18.0	66.0	16.0	100.0
დასავლეთი	16.0	67.0	17.0	100.0
აღმოსავლეთი	15.0	71.0	14.0	100.0
სამხრეთი	15.0	67.0	18.0	100.0
ოკეანეთი	25.0	65.0	10.0	100.0

ლო დონეზე იმყოფებოდა. რაც შეეხება აფრიკას, იგი დემოლოგიური თვალსაზრისით მაშინაც სრულიად ახალ-

¹ Population Reference Bureau. 2007 world population, www.prb.org .

გაზრდა (3%) იყო. ბუნებრივია, ყოველივე ეს სათანადოდ აისახებოდა მოსახლეობის სხვა ასაკობრივი ჯგუფების ხედრითი წონის განსხვავებულ მანქანებლებშიც. კერძოდ, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხედრითი წონა 20.8 პროცენტული პუნქტით მაღალი იყო აფრიკაში, ვინემ ევროპაში, 15-64 წლის ასაკის მოსახლეობისა კი, პირიქით, ევროპაში იყო 11.5 პროცენტული პუნქტით მეტი, აფრიკასთან შედარებით. იგივე ტენდენციები დასტურდება მსოფლიოს 27 ქვეყნის მაგალითზე (ცხრ. 21).

თუ ცოტაოდენ უკან მოვიხედავთ და წინა პერიოდების მონაცემებსაც შევაგლებთ თვალს, დავინახავთ, რომ 1870-იან წლებამდე ჯერ კიდევ არცერთი ქვეყნის მოსახლეობა არ იყო დემოლოგიურად დაბერებული. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან საფრანგეთი გვევლინება პირველ დემოლოგიურად დაბერებულ სახელმწიფოდ, სადაც 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხედრითმა წონამ 1872 წელს 7.4 პროცენტს მიაღწია. პირველი მსოფლიო ომის წინ უკვე სამი სახელმწიფო (საფრანგეთი, შვედეთი, ირლანდია) იყო დემოლოგიურად დაბერებულის სტატუსის მქონე; მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდისთვის „დაბერებულ სახელმწიფოთა“ რიგები შეაესეს ინგლისმა, ბელგიამ, გერმანიამ, შვეიცარიამ, ლატვიამ (შეიძლება ზოგიერთმა სხვაამაც, მაგრამ ამის შესახებ მონაცემები არ არსებობს). დღეისთვის დემოლოგიურად დაბერებულია მსოფლიოს 72 ქვეყანა, მაშინ როდესაც ასეთი ქვეყნების რიცხოვნობა მეორე მსოფლიო ომამდე 10-ს არ აღემატებოდა. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხედრითი წონით ყველაზე მაღალნიშნულზე არიან მონაკო (22%), იაპონია (21%) და იტალია (20%). შემდეგი ადგილები უჭირავთ: გერმანიასა და საბერძნეთს (19%); ბულგარეთს, პორტუგალიას, ბელგიას, ავსტრიას, ესპანეთს, ლატვიას, ესტონეთს, შვედეთსა და ხორვატიას (17%); შვეიცარიას, დიდ ბრიტანეთს,

მოსახლეობის ასაკობრივი
სტრუქტურა¹

ცხრილი 21

ქვეყნები	აღწერის წელი	XX ს.-ის 30-იანი წლები				2007 წელი			
		0-14	15-64	65+	სულ	0-14	15-64	65+	სულ
ინდოეთი	1931	40.0	57.8	2.2	100.0	33.5	61.5	5.0	100.0
ბრაზილია	1940	42.5	55.1	2.4	100.0	28.0	66.0	6.0	100.0
ჩილე	1930	37.9	58.7	3.4	100.0	25.0	67.0	8.0	100.0
ეგვიპტე	1937	39.2	57.2	3.6	100.0	33.0	62.0	5.0	100.0
თურქეთი	1935	41.4	54.7	3.9	100.0	28.0	66.0	6.0	100.0
რუმინეთი	1930	34.9	60.8	4.3	100.0	16.0	69.0	15.0	100.0
იაპონია	1930	36.6	58.7	4.7	100.0	14.0	65.0	21.0	100.0
პოლონეთი	1931	33.4	61.7	4.9	100.0	16.0	71.0	13.0	100.0
ბულგარეთი	1934	35.5	59.3	5.2	100.0	13.0	70.0	17.0	100.0
აშშ	1930	39.4	65.2	5.4	100.0	20.0	68.0	12.0	100.0
კანადა	1931	31.6	62.8	5.6	100.0	18.0	69.0	13.0	100.0
პორტუგალია	1930	32.0	61.8	6.2	100.0	16.0	67.0	17.0	100.0
ქოლანდია	1930	30.6	63.2	6.2	100.0	18.0	68.0	14.0	100.0
საბერძნეთი	1940	33.0	60.7	6.3	100.0	14.0	67.0	19.0	100.0
ავსტრალია	1933	27.5	66.0	6.5	100.0	20.0	67.0	13.0	100.0
ახალი ზელანდია	1936	25.5	67.9	6.6	100.0	21.0	66.0	13.0	100.0
შვეიცარია	1930	24.6	68.5	6.9	100.0	16.0	68.0	16.0	100.0
იტალია	1936	30.6	62.0	7.4	100.0	14.0	66.0	20.0	100.0
გერმანია	1933	23.5	69.1	7.4	100.0	14.0	67.0	19.0	100.0
დიდი ბრიტანეთი	1931	24.2	68.4	7.4	100.0	18.0	66.0	16.0	100.0
დანია	1935	25.4	67.1	7.5	100.0	19.0	66.0	15.0	100.0
ბელგია	1930	23.0	69.4	7.6	100.0	17.0	66.0	17.0	100.0
ავსტრია	1934	23.7	68.4	7.9	100.0	16.0	67.0	17.0	100.0
ნორვეგია	1930	28.5	63.2	8.3	100.0	19.0	66.0	15.0	100.0
შვედეთი	1930	24.8	66.0	9.2	100.0	17.0	66.0	17.0	100.0
საფრანგეთი	1931	23.0	67.7	9.3	100.0	18.0	66.0	16.0	100.0
ირლანდია	1936	27.6	62.7	9.7	100.0	21.0	67.0	12.0	100.0

საფრანგეთს, უკრაინას, ფინეთს, ლიტვასა და სან მარინოს (16%); რუმინეთს, დანიასა და ნორვეგიას (15%);

როგორც ცხრილის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე (2007 წ.) დემოლოგიური დაბერების მიმართულებით მნიშვნელოვან

¹ Э. Россет. Процесс старения населения. Демографическое исследование. Под редакцией А.Г. Волкова. М., 1968, с. 207.

ნი ნახტომი გააკეთეს – მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 3-ჯერ და მეტად გაზარდეს: რუმინეთმა (4.3-დან 15%-მდე), იაპონიამ (4.7-დან 21%-მდე), ბულგარეთმა (5.2-დან 17%-მდე), საბერძნეთმა (6.3-დან 19%-მდე).

ასაკოვანი მოსახლეობის ხვედრითი წონის ასეთი სწრაფი ტემპებით ზრდამ მკვეთრად შეცვალა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა საერთოდ. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს ცხრილში წარმოდგენილ ყველა ქვეყანაში. დავასახელებ ზოგიერთს. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირდა (%): ბრაზილიაში 42.5-დან 28-მდე, თურქეთში – 41.4-დან 28-მდე, რუმინეთში – 34.9-დან 16-მდე, იაპონიაში – 36.6-დან 14-მდე, პოლონეთში – 33.4-დან 16-მდე, ბულგარეთში – 35.5-დან 13-მდე, აშშ – 39.9-დან 20-მდე, საბერძნეთში – 33-დან 14-მდე და ა.შ. რაც შეეხება 15-64-წლის ასაკის მოსახლეობის ხვედრით წილს, იგი ძირითადად სტაბილურია, ცვლილებები მნიშვნელოვანწილად ორმა კომპონენტმა – 15 წლამდე ასაკისა და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობამ განიცადა.

პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებიდან, 2007 წლის მონაცემებით, დემოლოგიური სიბერის ზღვარზე (4-6%) იმყოფებიან თურქმენეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი, სიბერის საწყის სტადიაზე (7-10%) არიან მოლდოვა, აზერბაიჯანი და ყაზახეთი; დანარჩენ ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, სომხეთი, საქართველო) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 10 პროცენტს აღემატება. ტაჯიკეთია ერთადერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა, სადაც მოსახლეობა დემოლოგიურად ჯერ კიდევ ახალგაზრდაა (3%).

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 2 პროცენტიანი ხვედრითი წონით დღეისთვის მსოფლიოში დემოლოგიურად ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოებია: ზამბია, ანგოლა, ქუვეიტი, კენია, დასავლეთ საჰარა, საუდის არაბეთი, მავრიტანია, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ლიბერია, ავღანეთი და იემენი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი ცვლილებები განიცადა საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ, შეიძლება მოვიტანოთ ფაქტობრივი მონაცემები (ცხრ. 22).

15 წლამდე და 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში (%-ობით)¹

ცხრილი 22

წლები	1-15			65+		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
1897	40.5	39.1	42.1	4.0	4.0	4.0
1926	38.7	39.3	38.1	5.4	5.5	5.2
1939	37.0	37.8	36.1	5.8	5.6	5.9
1959	29.3	32.4	26.6	7.7	7.1	8.1
1970	30.5	33.1	28.3	8.3	7.0	9.4
1979	26.0	28.0	24.2	9.3	7.1	11.2
1989	24.8	26.6	23.1	8.9	8.2	11.3
2000	21.2	23.2	19.5	12.5	10.1	14.6
2007	17.7	19.5	16.1	14.7	12.0	17.1

¹ იხ. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული - 2006. თბილისი, 2007, გვ. 27-31.

როგორც ჩანს, 110-წლიან პერიოდში (1897-2007 წწ.) საქართველოს მთელ მოსახლეობაში 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 3.7-ჯერ გაიზარდა, მ.შ. ქალებისა – 4.3-ჯერ. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა კი, პირიქით, 40.5-დან 17.7 პროცენტამდე, მ.შ. ქალებისა 42.1-დან 16.1 პროცენტამდე შემცირდა. ასეთი ცვლილებები, რა თქმა უნდა, პროგრესულ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

როგორია პროგნოზული გათვლები? მომავალში დემოლოგიურად გაახალგაზრდავდება თუ კიდევ უფრო დაბერდება მოსახლეობა? ამაზე წარმოდგენას შეგვიქმნის მონაცემები (ცხრ. 23).

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან შეიძლება ასეთი დასკვნები გავაკეთოთ: ჯერ ერთი, დასახელებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში გაიზრდება ხანდაზმულთა (65 წლისა და უფროსი ასაკის) მოსახლეობის ხვედრითი წონა; იგი ყველაზე უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში და პროგნოზული პერიოდის დასასრულისთვის (2015 წ.) 8.8 პროცენტს მიაღწევს. ამის შედეგად ეს რეგიონიც მიემატება დემოლოგიურად დაბერებულ რეგიონებს; ცხრილში წარმოდგენილი ტერიტორიული ერთეულებიდან დემოლოგიური სიბერის ყველაზე მაღალ დონეს (14.5%) ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნები მიაღწევენ. 2015 წლისთვის, ხანდაზმულთა ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, დემოლოგიურად ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოსახლეობა ეყოლებათ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებსა (3.0%) და აფრიკის ქვეყნებს საჰარიდან სამხრეთით (3.2%). სიბერის გარდამავალ სტადიაზე მყოფი მოსახლეობა ეყოლებათ არაბულ სახელმწიფოებს (4.4%), სამხრეთ აზიასა (5.4%) და განვითარებად ქვეყნებს (6.4%).

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (%-ობით
მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში)¹

ცხრილი 23

მსოფლიო და მისი რეგიონები	2005 წ. (ფაქტიური)			2015 წ. (პროგნოზი)		
	<15	15-64	65+	<15	15-64	65+
მსოფლიო მთლიანად	28.3	64.4	7.3	26.0	65.7	8.3
მათ შორის: განვითარებადი ქვეყნები	30.9	63.6	5.5	28.0	65.6	6.4
ნაკლებად განვითარებული ქვეყნები	41.5	55.2	3.3	39.3	57.2	3.5
არაბული სახელმწიფოები	35.2	60.9	3.9	32.1	63.5	4.4
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	23.8	69.1	7.1	20.6	70.6	8.8
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	29.8	63.9	6.3	26.3	66.0	7.7
სამხრეთი აზია	33.6	61.7	4.7	29.5	65.1	5.4
აფრიკის ქვეყნები საპარიდან სამხრეთით	43.6	53.3	3.1	41.7	55.1	3.2
აგმდმ ქვეყნები	20.2	67.1	12.7	18.8	66.7	14.5
აგსდმ ქვეყნები	29.3	64.9	5.8	26.0	67.2	6.8
აგდდმ ქვეყნები	44.9	52.2	2.9	43.0	54.0	3.0

დემოლოგიური დაბერება უჩვეულოდ მაღალ ტემპებში მიმდინარეობს (და ასევე გაგრძელდება მომავალშიც)

¹ Human Development Report 2007/2008. Fighting climate change: Human solidarity in a divided world, Page 246.

ჩინეთში. ვარაუდობენ, რომ ამ ქვეყანაში 2027 წლამდე 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა გაორკეცდება და 20 პროცენტს მიაღწევს. ევროპის ცალკეულ განვითარებულ ქვეყნებში ასეთ ცვლილებებს 60-დან 100 წლამდე დასჭირდა. ამგვარი შედეგები ძირითადად მკაცრი დემოლოგიური პოლიტიკის გატარებამ განაპირობა. შეილნიანობა (ყოველ 100 ოჯახზე გაანგარიშებით) საშუალოდ თუ 1970-1975 წწ. 490 ბავშვს შეადგენდა, 2007 წელს 160-მდე ჩამოვიდა. ეს, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის 28-წლიან ზრდასთან ერთად, ნიშნავს, რომ 2025 წლამდე ჩინეთში 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა 7-ჯერ უფრო სწრაფად გაიზრდება, ვინემ მთელი მოსახლეობისა.

ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 28 წელს შეადგენს. ყოველი მეოთხე ადამიანი 15 წლამდე ასაკისაა, ხოლო ყოველი მეთოთხმეტე 65 წლისა და უხნესი. პერსპექტივაში საშუალო ასაკი უფრო სწრაფი ტემპებით მოიმატებს და 2030 წლისთვის დაახლოებით 35 წელს მიაღწევს. საშუალო ასაკთან ერთად, გაიზრდება 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა პროგნოზით, 2025 წლისთვის 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა გაიზრდება 2-ჯერ და უფრო მეტად და 15 პროცენტს მიაღწევს. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობის მოსახლეობა იქნება დემოლოგიურად დაბერებული (გერმანია და ბელგია – 28%, ავსტრია და შვეიცარია – 30%, საბერძნეთი – 34%, ესპანეთი – 37%, და ა.შ.)¹, მაგრამ მდიდარი (მაღალი პენ-

¹იხ. Тошлян А. Демографическая ситуация в странах СНГ (к 10-летию образования содружества. Население и общество – Информационный бюллетен центра демографии и экономики человека Института народнохозяйственного прогнозирования РАН), № 61, апрель, 2002.

სია, ცხოვრების კომფორტული პირობები), განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობა კი – ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების უმრავლესობა არსებითად ვარდება ამ კონტექსტიდან, რამდენადაც ისინი უკვე იმყოფებიან დემოლოგიური დაბერების სტადიაში და არიან ღარიბნი, რასაც ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს ვერ დააღწევენ თავს.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების ტენდენციას? – განასხვავებენ „დაბერებას ქვემოდან“, რომელსაც საფუძველად, შობადობის კლების შედეგად, მოსახლეობის რიცხოვნობაში ბავშვთა ხვედრითი წონის შემცირება უდევს, და „დაბერებას ზემოდან“, რომელიც ემყარება ხანდაზმულობის პერიოდში მოკვდაობის ერთგვარ შენელებას და მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას. გარკვეულ კამათს იწვევს ის, თუ რომელია მთავარი მათ შორის. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წონა მოკვდაობის შემცირებითა და სიცოცხლის გახანგრძლივებით განისაზღვრება. ცხადია, ამ ფაქტორის უგულვებელყოფა არ შეიძლება. მოკვდაობის შემცირება ახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს, ამიტომ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მატულობს ხანდაზმულთა ხვედრითი წონა. ეს ზოგადი კანონზომირებაა. მაგრამ მისი დემოლოგიური დაბერების ფაქტორად განხილვისას დაზუსტებას საჭიროებს ის, თუ რომელ ასაკში „ესტუმრება“ ადამიანს ეს ავადსახსენებელი სახადი – სიკვდილი, რამდენადაც მოკვდაობის შემცირებას შეიძლება მოჰყვეს სამნაირი შედეგი:

1. მცირეწლოვანთა მოკვდაობის შემცირება იწვევს მოსახლეობის დემოლოგიურ გაახალგაზრდაებას, ამიტომ ამბობენ, რომ „ბავშვთა მოკვდაობის წინააღმდეგ

ბრძოლა იმავე დროს მოსახლეობის გაახალგაზრდაებისთვის ბრძოლაა“;

2. ხანდაზმულობის ასაკში მოკვდაობის შემცირება აჩქარებს მოსახლეობის დემოლოგიურ დაბერებას;

3. მცირეწლოვანთა და ხანდაზმულთა მოკვდაობის მაჩვენებლის თანაბრად შემცირება კი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე.

როგორც პროფ. შ. გოგოხია აღნიშნავს, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, დღევანდელ პირობებში ადამიანის სიცოცხლის მაქსიმალური ფიზიოლოგიური ხანგრძლივობა 100-125 წლის ფარგლებში მერყეობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ასაკს ერთეულები აღწევენ, დაახლოებით 10 ათ. ადამიანიდან შეიძლება მხოლოდ ერთმა მიაღწიოს 100 და მეტ წელს.

უხუცესი დღეგრძელები* უნიკალური პიროვნებები არიან. ისინი წარმოადგენენ ადამიანის ფიზიოლოგიური (ბუნებრივი) დაბერებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ცოცხალ მაგალითს. ამას მათ მიაღწიეს მთელი სიცოცხლის მანძილზე პირად ჯანმრთელობაზე ზედმიწევნით გულმოდგინე ზრუნვის შედეგად¹.

ამრიგად, მედიცინის მეცნიერების განვითარების უახლესი მიღწევების, მკურნალობის მეთოდების სრულყოფის, თვითშენახვითი ქცევის დამკვიდრების და რიგ სხვა ქმედით ღონისძიებათა კვალობაზე, მატულობს ხანდაზმულთა სიცოცხლის ხანგრძლივობა და იგი დემოლოგიური დაბერების ერთ-ერთ, მაგრამ არა ძირითად, ფაქტორად კვლავაც დარჩება. ე. როსეტი მიუთითებდა, რომ „მოსახლეობის დაბერების პროცესის მთავარი წყაროა

* გერონტოლოგები დღეგრძელებად თვლიან 90 წლისა და უფრო ხანდაზმული ასაკის ადამიანებს, მ.შ. 100 წელს გადაცილებულებს უხუცეს დღეგრძელებს უწოდებენ.

¹ იხ. შ. გოგოხია. როგორია დღეგრძელთა ცხოვრების წესი. თბილისი, 2005, გვ.3.

არა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, არამედ შობადობის შემცირება. შეიძლება დაუშვათ მხოლოდ ის, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ჰიპოთეზასთან, რომელიც საჭიროებს მტკიცებულებას, არამედ უკვე დამტკიცებულ თეზისთან“.¹

მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების დონის მთავარი განმსაზღვრელი რომ შობადობაა, ნათლად დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებითაც. ასე, მაგალითად, 2007 წელს ლიბერიაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 50 პრომილეს, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა – 47 პროცენტს, ხოლო 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობისა – 2 პროცენტს. ასე, რომ ქვეყანა დემოლოგიურად სრულიად ახალგაზრდაა. ანალოგიური მაჩვენებლები ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ასე გამოიყურება: ანგოლა – 49; 47 და 2; ავღანეთი – 47; 45 და 2; კენია – 40; 42 და 2; მავრიტანია – 39; 42 და 2; ზამბია – 38; 46 და 2 და ა.შ.

დასახელებული და რიგი სხვა ქვეყნებისა, როგორც ვხედავთ, დემოლოგიურად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები არიან, მაგრამ ხვალ, ზეგ და საერთოდ მომავალში ისინიც მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების იმავე საფეხურებს გაივლიან, რაც ეკონომიკურად და დემოლოგიურად განვითარებულმა სახელმწიფოებმა დღემდე გაიარეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობა დედამიწის ყველა კონტინენტზე, ყველა რეგიონსა და ყველა ქვეყანაში დემოლოგიურად სისტემატურად ბერდება. თანაც, იგი ობიექტურად გარდუვალია, რამდენადაც, როგორც დავახასიათეთ, მისი განმსაზღვრელი ორივე ფაქტორი (შობადობის კლე-

¹ Россет Э. Процесс старения населения. Демографическое исследование. М., 1968, сс.371-372.

ბა და სიცოცხლის ხანგრძლიეობის ზრდა) არა მარტო სრული ძალით მოქმედებს, არამედ თანდათანობით ძლიერდება კიდევ.

ამ ნიშან-თვისებების გამო ეთელი მას ერთ-ერთ დემოლოგიურ კანონად, მაგრამ არა ზოგად (საერთო), არამედ სპეციფიკურ კანონად იმიტომ, რომ მოქმედებს საზოგადოების განვითარების მხოლოდ თანამედროვე საფეხურზე წარმოქმნილ დემოლოგიურ ურთიერთობათა ბაზაზე.

მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების კანონის მოქმედებას თან სდევს რიგი პრობლემებისა როგორც სოციალურ-ეკონომიკური და დემოლოგიური, ისე მორალური ხასიათისა. უწინარეს ყოვლისა, შევეხოთ ეკონომიკური და დემოლოგიური დატვირთვის საკითხებს.

ეკონომიკურ დატვირთვაში იგულისხმება ქვეყნის მასშტაბით მოხმარებულ ეროვნულ შემოსავალში არაშრომისუნარიანთა (შრომისუნარიან ასაკამდელთა და შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა) ხვედრითი წონა, რომელიც მეტნაკლები ზომით სისტემატურად იზრდება ყველა ქვეყანაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში თუ 1959 წელს მოხმარებული ეროვნული შემოსავლის 9.7 პროცენტი მოდიოდა 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობაზე, 1989 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 12.6 პროცენტამდე ავიდა¹. დღეისთვის ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების მასშტაბები საგრძნობლად გაზრდილია, რამდენადაც სწრაფი ტემპებით მატულობს პენსიონერთა რაოდენობა. იგი მარტო 2001-2005 წლებში 63 ათ. კაცით გაიზარდა და დღეისთვის თითქმის 1 მილიონს აღწევს.

¹ იხ. მ. ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებანი და ეკონომიკური შედეგები (სადისერტაციო მაცნე). თბილისი, 1995, გვ. 50.

არაშრომისუნარიანთა შენახვის ხარჯების გაანგარიშებისას ითვალისწინებენ არა მარტო ბავშვებისა და ხანდაზმულთა რიცხოვნობას და მისი ცვლილებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს, არამედ თვით ბავშვების ასაკობრივ სტრუქტურასაც, რამდენადაც თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მოთხოვნილებები განსხვავებულია. ე. როსეტის მიერ მოტანილი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, 18 წლისა და უხნესი ასაკის ბავშვების მოთხოვნილებები, 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მოთხოვნილებებს, დაახლოებით 4-ჯერ აღემატება. რაც შეეხება ხანდაზმულ ადამიანთა მოთხოვნილებებს, იგი ყველა ასაკის ბავშვთა მოთხოვნილებებს საგრძნობლად სჭარბობს როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ე. როსეტს თავის ნაშრომში მოტანილი აქვს გერმანელი დემოლოგის ფ. ბურგდიორფერის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალები, რომლის მიხედვითაც ბავშვის, ზრდასრული ადამიანისა და ხანდაზმულის შენახვის ხარჯები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 3.5:7:6¹.

დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვა სწრაფი ტემპებით მატულობს. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ სისტემატურად იზრდება შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა აბსოლუტური რიცხოვნობა და ხვედრითი წონა მუდმივ მოსახლეობაში, არამედ იმითაც, რომ ასევე განუხრელად იზრდება მათი მოთხოვნილება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის დაბერება რამდენადმე ცვლის ავადობის გამოხატულების ფორმებსაც. მაგალითად, ასაკთან ერთად მატულობს ისეთ ქრონიკულ სნეულებათა შეყრის ალბათობა, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნეები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ართრიტი და ა.შ., რაც, თავის მხრივ, ზრდის დანახარჯებს ჯანმრთელობის დაცვაზე. როგორც ცნობილია, ამჟამად აშშ-

¹ იხ. Э. Россет. Процесс старения населения. Демографическое исследование. Под редакцией А.Г. Волкова. М., м 1968, с. 339.

ში 75 წლის ხანდაზმულის სამედიცინო მომსახურება 10-ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვინემ 40 წლის ასაკის პიროვნებისა.

მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების პროცესი საქართველოში (ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში) განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად, რომელიც, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, თითქმის მთლიანად დაიცალა ახალგაზრდობისგან. 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 1997 წელს ქალაქად შეადგენდა 15.4 პროცენტს, ხოლო სოფლად – 20 პროცენტს. დაახლოებით ასეთივე სხვაობა იყო 65 წლის ასაკს გადაცილებულთა მიხედვითაც.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების დონე რეგიონულ ჯრილში, ე. როსეტის სკალის მიხედვით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის ასეთნაირად გამოიყურებოდა: „სიბერის ძლიერ განვითარებული დონე“ ახასიათებდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს (31.3%), იმერეთს (20.7%), გურიასა (19.5%) და კახეთს (18.3%); „განვითარებული დონე“ – შიგა ქართლს (17.8%), მცხეთა-მთიანეთს (17.6%), სამეგრელო-ზემო სვანეთს (16.7%); „საშუალო დონე“ – აფხაზეთის სოფლებს (15.6%); „სიბერის საწყისი დონე“ – სამცხე-ჯავახეთს (12.9%). სიბერის ასაკამდე ჯერ არ იყო მიღწეული ქვემო ქართლისა და აჭარის სოფლის მოსახლეობა. თუმცა, ამ დროისთვის ქვეყნის არცერთ რეგიონში არ იყო დემოგრაფიულად ახალგაზრდა სოფლის მოსახლეობა¹.

დემოლოგები, ჩვეულებრივ, სამი სახეობის ე.წ. დატვირთვის კოეფიციენტს იყენებენ. ესეია:

1. ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი;
2. ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი;

¹ იხ. მ. შელია. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999, გვ. 48-50.

3. ბავშვებითა და ხანდაზმულებით დატვირთვის ჯამური კოეფიციენტი.

ანგარიშობენ ზრდასრული ანუ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დატვირთვას. ამ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდით დატვირთვის გაანგარიშებამ ასეთი შედეგები მოგვცა: გასულ წელს 15-64 წლის ასაკის ყოველ 100 სულის კმაყოფაზე მსოფლიოში მთლიანად იმყოფებოდა 54 არაშრომისუნარიანი პირი (მ.შ. 43 ბავშვი და 11 ხანდაზმული – 65 წლისა და უხნესი ასაკის ადამიანი). იგივე მაჩვენებლები შეადგენდა, შესაბამისად, განვითარებულ ქვეყნებში 49 (მ.შ. 73 და 5), განვითარებად ქვეყნებში – 58 (მ.შ. 49 და 9), აფრიკაში 78 (მ.შ. 73 და 5), ევროპაში – 46 (მ.შ. 23 და 23) და ა.შ.

როგორც ჩანს, განვითარებულ რეგიონებსა და ქვეყნებში მაღალია ხანდაზმულებით დატვირთვა და დაბალი – ბავშვებით დატვირთვა. თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებამდე დემოლოგიური დატვირთვა იზრდებოდა ორივე კომპონენტის (15 წლამდე ასაკისა და 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა) ხარჯზე. ამჟამად კი, შობადობის მკვეთრი დაცემის გამო, მატულობს თითქმის მხოლოდ ხანდაზმულთა ხარჯზე.

დემოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული მეთოდით გაანგარიშებული ეს მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ე.წ. დემოლოგიური დატვირთვის შესახებ, მაგრამ ბევრ ცდომილებასაც შეიცავს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია უმტკივნეულოდ. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევეხები, მინდა გავაკეთო განმარტება. ჩემი აზრით, ამ მაჩვენებლის შინაარსობრივ დატვირთვას სრულად ვერ ასახავს ფორმულირება – „დემოლოგიური დატვირთვა“. ეს უკანასკნელი დემოლოგიურ მაჩვენებლად ვერ გამოდგება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი მოსახლეობის აღ-

წარმოების ვერცერთ ასპექტს ვერ გამოხატავს. ის უფრო სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველი მაჩვენებელია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით ეს პროცესი ემყარება მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებს, ალბათ, უპრიანი იქნება ამ კატეგორიას „სოციალურ-დემოლოგიური დატვირთვა“ ეუწოდოთ.

უფრო მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, თუ ვის დატვირთვას ეხება საკითხი. კანონით დადგენილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოლოგიური დატვირთვის გაანგარიშებისას ცდომილება ძალიან დიდია არა მარტო იმიტომ, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არაშრომისუნარიანია (ინვალიდი, ქრონიკულად სნეული), ან სწავლობს, სამხედრო სამსახურშია, სასჯელს იხდის, საოჯახო საქმიანობას ეწევა და ა.შ., არამედ იმიტომაც, რომ, არცთუ იშვიათად, უმუშევრობის დონე მაღალია (მაგალითად, 2007 წელს იგი შეადგენდა: პოლონეთში 19.6 პროცენტს, სლოვენიაში – 17.5, ესპანეთში – 11.3, თურქეთში – 10.3, საფრანგეთში – 9.7 პროცენტს და ა.შ.)¹ და თვით სრული შრომისუნარიანი ასაკის ეს დროებით დაუსაქმებელი ნაწილიც საზოგადოების (უფრო ზუსტად, ფაქტიურად მომუშავეთა), ანუ როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური დოვლათის რეალურად შემქმნელთა სარჩენია, მათ კმაყოფაზე იმყოფება. ამიტომ ვფიქრობ, მიზანშეწონილია, ნაცვლად შრომისუნარიანი ასაკის ადამიანებისა, მომუშავეთა, საზოგადოებრივი დოვლათის რეალურად შემქმნელთა სოციალურ-დემოლოგიური დატვირთვის გაანგარიშება.

ამგვარი დაზუსტება თუ რა ცვლილებებს შეიტანს დემოლოგიური დატვირთვის მაჩვენებლებში, შეიძლება

¹ იხ. Доклад о развитии человека – 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. „Весь Мир“. М., 2005, с. 310.

ვნახოთ საქართველოს ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. რეალობასთან მიახლოებული შედეგების მისაღებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვთვალოთ ფაქტიურად დასაქმებული (საზოგადოებრივი დოვლათის შემქმნელი) ნაწილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა. ამისთვის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უნდა გამოვაკლოთ შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა. მივიღებთ შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, რომელიც შედგება ამ კატეგორიის დასაქმებული (მომუშავე) და დაუსაქმებელი (უმუშევარი) ნაწილების ჯამისგან. აღნიშნულ მაჩვენებელს უნდა გამოვაკლოთ უმუშევრები, რამდენადაც ისინი თვითონ არიან სარჩენი და დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა კმაყოფაზე იმყოფებიან.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი კრიტერიუმის მიხედვით გაანგარიშებული უმუშევრობის დონე (13.8%)¹ არარეალურია, რამდენადაც მასში არ არიან შეტანილი: ე.წ. „ხელჩაქნეული პირები“, ანუ ისინი, რომლებიც არ მუშაობენ, მზად არიან მუშაობისთვის და სურთ მუშაობა, თუმცა აღარ ეძებენ სამუშაოს, ვინაიდან არა აქვთ მისი პოვნის იმედი; ფარული უმუშევრები, რომლებიც საწარმოების გაჩერების ან ნაწილობრივ ფუნქციონირების გამო, უვადო და უხელფასო შევსებულებაში იმყოფებიან; თვითდასაქმებულები, რომელთა თვითონ შემოსავალი მინიმალურ ხელფასზე (20 ლარი) ნაკლებია და ისიც არასტაბილურია; ე.წ. „ნებაყოფლობითი უმუშევრები“, ანუ ის სრული შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც საარსებო (და, რაც მთავარია, დროის მუქთად გასატარებელ) საშუალებებს შოულობენ ქურდობით, ყაჩაღობით, თაღლითობით, კორუფციით, რეკეტით, ნარკომანიით, მეძავეობით

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი - 2006. თბილისი, 2007, გვ. 43.

და ა.შ., ანუ უბრალოდ ზარმაცები და მუქთახორები არიან (ცხადია, ამ კატეგორიაში არ შედიან დიასახლისები, მცირეწლოვანი ბავშვების დედები, ოჯახში ინვალიდი და სხეული წევრების მომვლელები და ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ესენიც „ნებაყოფლობით“ არიან საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩაერთვნი).

ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით, ჩემი შეფასებითი გათვლებით, უმუშევრობის დონე საქართველოში სულ მინიმუმ 40 პროცენტს შეადგენს. ასეთ პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფაქტიურად დასაქმებული და საზოგადოებრივი დოვლათის რეალურად შემქმნელი ნაწილი იქნება 1214.3 ათ. კაცი (2023.9 ათ. – 809.6 ათ.). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული ამ ნაწილის (ყოველი 100 წარმომადგენლის) კმაყოფაზე 2007 წელს იმყოფებოდა სულ 184 პირი, აქედან შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი იყო 64, შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული – 53 და შრომისუნარიანი ასაკის, მაგრამ უმუშევარი პირი – 67. დემოლოგიური მეცნიერების პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდით გაანგარიშებული ეს მაჩვენებელი შეადგენს, შესაბამისად, 26-ს, 22-სა და 27-ს (სულ 75-ს). როგორც ჩანს, სხვაობა საკმაოდ სოლიდურია და ამაზე დაფიქრება ღირს.

როცა საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა სოციალურ-დემოლოგიურ დატვირთვაზე მსჯელობენ, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ საზოგადოების ეს ნაწილი არჩენს არა მარტო თავისთავს და თავიანთ შვილებს, არამედ ხანდაზმულებსაც, რაც თაობათა შორის გარკვეულ წინააღმდეგობას წარმოშობს და ქმნის დაპირისპირების ერთგვარ საფუძველს.

ერთი შეხედვით ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებე-

ღია ორი მომენტი: უწინარეს ყოვლისა ის, რომ რომელიმე თაობის სხვა თაობის წინაშე „ვალში ყოფნის“ შესახებ მსჯელობა არ მიმაჩნია სწორად, რამდენადაც შეილება თუ მშობლები არჩენენ (რომლებსაც თავის დროზე თავიანთი მშობლები ინახავდნენ), ხანდაზმულობის პერიოდში მშობლების შენახვა უკვე ზრდასრულ შეილებს მოუწევთ, რომლებსაც ასეთივე სამსახურს თავიანთი შეილები გაუწევენ და ა.შ.

არსებობს ზემოაღნიშნული მოსაზრების გამქარაწყლებელი კიდევ უფრო ძლიერი არგუმენტიც. როგორც ქართველი დემოლოგები ვ. ლორთქიფანიძე და ა. თოთაძე მართებულად აღნიშნავენ, „ნორმალურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში საპენსიო ასაკის პირები არავის არ „ტვირთავენ“, ყოველ შემთხვევაში, ის პენსიონერები, რომელთა პენსიის ოდენობა განსაზღვრულია საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვებაში მათ მიერ შეტანილი პირადი წვლილით, ჩვეულებრივ, უნდა განვიხილოთ არა კმაყოფაზე მყოფ პირებად, არამედ იმ კაპიტალის მომხმარებელ – „რანტიებად“, რომელიც დააგროვეს პენსიონერებმა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გადამატებით ეკონომიკური აქტიურობის პერიოდში. ამჟამად, დაბალი პენსიების გამო, საშუალო ასაკის თაობა ინახავს არა მარტო ბავშვებს, არამედ ხანდაზმულ ადამიანებსაც“¹.

მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის ყურადღებას იქცევს დემოსტრუქტურის დეფორმაციაც. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონის მკვეთრ ზრდას თან სდევს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება, რაც იწვევს ქვეყანაში სამუშაო ძალაზე მოთ-

¹ ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, 2007, გვ. 96.

ხოვნასა და მის მიწოდებას შორის დისბალანსს. თუ ამ პროცესმა ქრონიკული ხასიათი მიიღო, აუცილებელი იქნება სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ოდენობით გარედან შემოყვანა (იმიგრაცია), რომელიც, თავის მხრივ, ქვეყანას დამატებით პრობლემებს შეუქმნის.

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წონის განუხრელ ზრდას სხვა ნეგატიური ასპექტიც აქვს. ავიღოთ მისი თუნდაც მორალური მხარე, ანუ ის, თუ სად და რანაირ პირობებში უნდა გაატარონ ხანდაზმულებმა თავიანთი დარჩენილი ცხოვრების წლები. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებული ცხოვრების წესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ თანდათანობით მცირდება ერთად მცხოვრები მრავალთაობიანი (ბებია და ბაბუა, მათი შვილები, თავიანთი მეუღლეებით, და შვილიშვილები) ტრადიციული ოჯახების რიცხვი და იზრდება ე.წ. ნუკლეარული ოჯახების რიცხოვნობა. მაგალითად, აშშ-ში 65 წლისა და უხნესი ასაკის ადამიანთა მხოლოდ 25 პროცენტი ცხოვრობს თავიანთ შვილებთან ერთად. ზოგიერთ მათგანს, ვისაც არ შეუძლია თავისი თავის მოვლა, ათავსებენ მოხუცებულთა სახლებში და მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებებში¹. დიდ ბრიტანეთში 65 წლისა და უხნეს ადამიანთა ცალკე მცხოვრებ პირთა რიცხვი 1962-1992 წლებში პრაქტიკულად გაორმაგდა. აღსანიშნავია, რომ იმ ხანდაზმულთა შორის, რომლებიც მოხუცებულთა სახლებში ცხოვრობენ, სჭარბობენ უშიშროები, რაც ბევრი საგულისხმო დასკვნის საფუძველს იძლევა.

ბუნებრივია, რაც უფრო დაბალია მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების დონე, მით უფრო ნაკლებია მასთან დაკავშირებული პრობლემებიც, ამიტომ მიზანშეწონილია ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს დემოლოგიური დაბერების შემცირებას. შეიძლება თუ არა ასეთი ღონისძიება იყოს ზრუნვა ხანდაზ-

¹ იხ. Н. Смелзер. Социология. Перевод с английского. М., 1998, с. 283.

მულთა რიცხოვნობის შემცირებაზე? რა თქმა უნდა, არა. პროგრესული საზოგადოების საერთო ინტერესებში ყოველთვის შედიოდა და ამჟამადაც შედის მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფის (მ.შ. ხანდაზმულთა) მოსალოდნელი სიცოცხლის გახანგრძლივება. მით უმეტეს, დემოლოგიური დაბერების მაჩვენებლის შესამცირებლად სულაც არაა აუცილებელი ხანდაზმულთა რიცხოვნობის აბსოლუტურად შეკვეცა. მეტიც, დემოლოგიური დაბერების დონის შენელება (და შემცირება) შესაძლებელია ხანდაზმულთა აბსოლუტური მატებისა და მათი მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის პირობებშიც, თუკი მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებში უფრო მკვეთრი ცვლილებები მოხდება. უპირველეს ყოვლისა, ასეთი შეიძლება იყოს შობადობის გადიდება, ამიტომ მთელი აქცენტი სწორედ მასზე უნდა გაკეთდეს.

IV თავი

კერძო დემოლოგიური კანონები

4.1 მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონი

მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება ნიშნავს აღწარმოების ისეთი რეჟიმის დამკვიდრებას, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, უზრუნველყოფს ყოველი მომდევნო თაობის რიცხოვნობის გადამეტებას წინა თაობის რიცხოვნობაზე და, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის აბსოლუტურ მატებას. ასეთი შედეგი შეიძლება მიღწეულ იქნეს მოსახლეობის ე.წ. მექანიკური მოძრაობის კვალობაზეც. ე.ი. ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება მატულობდეს იმ შემთხვევაშიც, როცა არა მარტო შეწყვეტილია მისი ბუნებრივი მატება, არამედ მაშინაც, როცა იგი ამ წყაროს ხარჯზე აბსოლუტურად კლებულობს კიდევ. ასეთი შედეგი განპირობებული იქნება მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციით. თუ მიგრაციის სალდო (ჩამოსულთა რიცხოვნობის გადამეტება წასულთა რიცხოვნობაზე) იმდენად დიდი მასშტაბისაა, რომ აღემატება მოსახლეობის ბუნებრივ კლებას, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა ქვეყანაში, ცხადია, გაიზრდება.

მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებაზე მსჯელობისას იგულისხმება მისი ე.წ. ბუნებრივი მოძრაობა, სხვა ფაქტორებისგან განყენებულად. აი, ამგვარ პირობებში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება დემოლოგიურ კანონად წარმოგიდგება არა იმიტომ, რომ იგი ყველგან და ყოველთვის გარდუვალი და აუცილებელია, არამედ იმიტომ, რომ ასეთი შედეგის გარდუვალობას სათანადო წანამძღვრების არსებობა განაპირობებს. მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება მყარ და მუდმივგანმეორებად ხასიათს ღებულობს, თუკი:

ა) ხანგრძლივი დროის განმავლობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე აღემატება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს (შობადობა > მოკვდაობა) და ამგვარი თანაფარდობა სტაბილურია;

ბ) შობადობის ჯამური კოეფიციენტი (ბავშვთა რაოდენობა ერთ ქალზე საშუალოდ ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე, მისი ქორწინების მიუხედავად) აღემატება 2.1-ს (ე.ი. ყოველ 100 ქალზე საშუალოდ 210 ბავშვს, მოსალოდნელი სიცოცხლის დღეებანდელი საშუალო ხანგრძლივობის პირობებში);

გ) შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ ქორწინებაზე გაანგარიშებით, აღემატება 2.6-ს (ე.ი. ყოველ 100 ქალზე 260 ბავშვს). ბუნებრივია, რაც უფრო მაღალი იქნება შობადობის ჯამური კოეფიციენტი დასახელებულ მაჩვენებლებზე, მით უფრო ფართო მასშტაბური ხასიათი ექნება მოსახლეობის აღწარმოებას;

დ) მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი 1-ზე მეტია. ნეტო-კოეფიციენტი წარმოადგენს ქალიშვილთა თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელს. იგი გამოხატავს ერთი ქალის მიერ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაჩენილი გოგონების საშუალო რაოდენობას, რომლებიც ცოცხლობენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული მათგანის დაბადებისას. ერთზე მაღალი ნეტო-კოეფიციენტი მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების პოტენციური შესაძლებლობის არსებობაზე მიგვანიშნებს.

ასეთი გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებულია შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტები:

– ყველა ქალი ვერ თხოვდება. ნაწილი რჩება საერთოდ დაოჯახების გარეშე;

– 5-6%-ით მეტი ვაჟი იბადება, ვინემ გოგონა, ამიტომ 100 გოგონას გაჩენისთვის ყოველმა 100 ქალმა 205-206 ბავშვი მაინც უნდა გააჩინოს;

- ახალშობილი გოგონების ნაწილი (დაახლოებით 3-3.5%) ვერ აღწევს იმ ასაკს, რომელიც მისი დაბადების მომენტისთვის ჰქონდა დედამისს;

- ხდება განქორწინებები, ნაწილი ქვრივდება (უჭირს მეორედ გათხოვება), რაც ამცირებს შობადობას;

- უნაყოფობის გამო, ზოგიერთ გათხოვილსაც არ უჩნდება შვილი, ზოგიერთს კი მხოლოდ ერთი ან ორი ჰყავს, რაც ვერ უზრუნველყოფს არა მარტო გაფართოებულ, არამედ მარტივ აღწარმოებასაც.

ზოგიერთი ზემოაღნიშნული წინაპირობა, რომელიც დემოლოგიური კანონის სტატუსს ანიჭებს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, შეიძლება ილუსტრირებულ იქნეს ფაქტობრივი მონაცემებით (იხ. ცხრ. 24).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მსოფლიოში მთლიანად მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას აქვს ადგილი. 2007 წელს ჩვენს პლანეტაზე, ყოველ 100 მცხოვრებზე გაანგარიშებით, დაიბადა 21 ბავშვი, გარდაიცვალა 9 ადამიანი და მოსახლეობის საშუალო წლიურმა მატებამ 12 კაცი (21-9) შეადგინა. ამისი შესაბამისი იყო შობადობის ჯამური კოეფიციენტიც. იგი მთელ მსოფლიოში საშუალოდ 0.6-ით აღემატებოდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ ზღვარს (2.1). 0.6 ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიდიდეა. სინამდვილეში იგი ყოველ 100 ქალზე 60 დამატებით ბავშვს ნიშნავს. ამ უკანასკნელს თუ გავამრავლებთ ფერტილური ასაკის იმდენ 100 ქალზე, რამდენიცაა მსოფლიოში, მკითხველს ჩემი დახმარების გარეშეც არ გაუჭირდება მიღებული მაჩვენებლის მნიშვნელობის შეფასება.

მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების თვალსაზრისით, მთელ მსოფლიოში გამორჩეული რეგიონია აფრიკა. 2007 წელს აქ ყოველ 1000 კაცზე დაიბადა 38 ბავშვი, გარდაიცვალა 14 ადამიანი და წლიურმა ბუნებრივმა მატებამ 24 კაცი (38-14) შეადგინა. ამასვე ცხადყოფს შობადობის ჯამური კოეფიციენტი (5.0), რომელიც

2.9-ით, ანუ 2.4-ჯერ აღემატება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ ქვედა ნიშნულს (2.1).

მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმით განვითარებადი რეგიონები (2007)

ცხრილი 24

რეგიონები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი	მოსახლეობის ბუნებრივი მატება	შობადობის ჯამური კოეფიციენტი
მსოფლიო მთლიანად	21	9	12	2.7
განვითარებადი ქვეყნები	23	8	15	2.9
აფრიკა	38	14	24	5.0
ჩრდილოეთი	26	7	19	3.1
დასავლეთი	42	15	27	5.7
აღმოსავლეთი	41	15	26	5.5
ცენტრალური	46	18	28	6.3
სამხრეთი	24	16	8	2.8
ჩრდილოეთ ამერიკა	14	8	6	2.0
სამხრეთ ამერიკა	21	6	15	2.4
აზია	23	7	16	2.8
დასავლეთი	26	6	20	3.4
სამხ. ცენტრალური	25	8	17	3.0
სამხ. აღმოსავლეთი	21	7	14	2.5
აღმოსავლეთი	12	7	5	1.6

თვით აფრიკის კონტინენტზეც მხარეების მიხედვით განსხვავებულია მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები. იგი ყველაზე უფრო (არა მარტო აფრიკის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით) მაღალია ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში (ანგოლა, კონგო, ჩადი, კამერუნი, გაბონი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და სხვ.). 2007 წელს ცენტრალურ აფრიკაში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე დაიბადა 46 ბავშვი (მსოფლიოს საშუალო მაჩვე-

ნებლთან შედარებით 2.2-ჯერ მეტი) და გარდაიცვალა 18 ადამიანი, ასე, რომ ბუნებრივმამატებამ (28 პრომილე) პიკს მიაღწია და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (12) 2.3-ჯერ გადააჭარბა. აფრიკის სხვა მხარეებშიც (დასავლეთ აფრიკა, აღმოსავლეთ აფრიკა და სამხრეთ აფრიკა) მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების ყველა კომპონენტი (შობადობის გადამეტება მოკვდაობაზე, შობადობის ჯამური კოეფიციენტი და ა.შ.) სახეზეა და საგრძნობლად აღემატება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ ქვედა ზღვარს.

ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ, კანადა) 2007 წელს მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე დაიბადა 14 ბავშვი და გარდაიცვალა 8 ადამიანი, ასე რომ მოსახლეობის საშუალო წლიურმა ბუნებრივმამატებამ 6 კაცი (14-8) შეადგინა. შობადობის ჯამური კოეფიციენტი კი კრიტიკულ ზღვარზეა, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების აუცილებელ ნიშნულსაც (2.1) ჩამორჩება და გაფართოებულიდან ჯერ მარტივი, ხოლო შემდეგ – შეკვეცილ აღწარმოებაზე გარდამავალ სტადიაზე*.

* მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებასა და მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას ყოველთვის როდი აქვს ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა. ასე, მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება კიდევ დიდხანს განაგრძობდეს ზრდას, მას შემდეგაც, რაც მოსახლეობის აღწარმოება გახდება მარტივი ან შეკვეცილიც კი. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას აქვს დემოლოგიური ზრდის გარკვეული პოტენციალი.

მოვლენათა შორის არც ამის საწინააღმდეგო დამოკიდებულებაა გამორიცხული. ე.ი. მოსახლეობის რიცხოვნობა შეიძლება განაგრძობდეს კლებას მისი გაფართოებული აღწარმოების რეჟიმის პირობებშიც (თუკი მოსახლეობის რეპროდუქტიული ნაწილის ხვედრითი წონა მკვეთრად შემცირდება, მისი ხანდაზმული ნაწილის ხვედრით წონასთან შედარებით და ამ დროს დაბადებულები, მაღალი შობადობის მიუხედავად, ვერ შეძლებენ გარდაცვლილთა დიდი რიცხოვნობის კომპენსირებას).

ესეც მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის იმ პოტენციალით აიხსნება, რომელიც აქვს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, მაგრამ უკვე უარყოფითი ნიშნით.

ამერიკის სამხრეთ რეგიონში – ლათინურ ამერიკაში, ჩრდილოეთ ნაწილთან შედარებით, მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმში უფრო ნათლადაა წარმოჩენილი. 2007 წელს აქ ყოველ 1000 კაცზე დაიბადა 21 ბავშვი, გარდაიცვალა 6 ადამიანი და მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 15 კაცი (21-6) შეადგინა. შობადობის ჯამური კოეფიციენტი (2.4) აღემატება მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს (2.1), ანუ მათ შორის სხვაობა ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე 30 ბავშვის ტოლია.

რაც შეეხება აზიას, აქ ასეთი ვითარებაა. 2007 წელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, დაიბადა 23 ბავშვი, გარდაიცვალა 7 ადამიანი და მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 16 კაცი (23-6) შეადგინა. შობადობის ჯამური კოეფიციენტი იყო 2.8, რაც მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს (2.1) ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე 70 ბავშვით აღემატება, რაც საკმაოდ სოლიდური სიდიდეა.

შედარებისთვის საინტერესოა, ზემოთ განხილულ რეგიონებსა და მთლიანად მსოფლიოში, დემოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, თუ როგორი მდგომარეობა იყო მესამე ათასწლეულის დასაწყისისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა შვიდი წლის წინათაც იყო თითქმის ანალოგიური, მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისკენ ოდნავ გამოხატული ტენდენციით. 2000 წელს მსოფლიოში, ყოველ 1000 მცხოვრებზე დაიბადა საშუალოდ 22 ბავშვი, გარდაიცვალა 9 ადამიანი და მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 13 კაცი (22-9) შეადგინა. შობადობის ჯამური კოეფიციენტი იყო 2.9, ე.ი. შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ 0.2-ით შემცირდა.

2000 წელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება უდრიდა: აფრიკაში – 24, ჩრდილოეთ ამერიკაში – 6, სამხრეთ (ლათინურ) ამერიკაში – 17 და აზიაში – 14 ადამიანს. შობადობის ჯამურ-

რი კოეფიციენტი კი ასეთი იყო: აფრიკაში 5.3, (2007 წელსთან შედარებით, 0.3-ით მეტი), ჩრდილოეთ ამერიკაში – 2 (ზუსტად იმდენი, რამდენიც 2007 წელს), სამხრეთ ამერიკაში – 2.7 (0.3-ით მეტი), ხოლო აზიაში 2.8 (ზუსტად იმდენი, რამდენიც 2007 წელს).

ამრიგად, მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონის არსი მდგომარეობს, მისი განმსაზღვრელი პირობების არსებობისას, წინა თაბასთან შედარებით, ყოველი მომდევნო თაობის რიცხოვნობის გადამეტების მიუხედავად განმეორებადობასა და უწყვეტობაში.

ჩვენ აქ არ შევხებივართ საკითხს, მოსახლეობის ესოდენ გაფართოებული აღწარმოება მიზანშეწონილი და გამართლებულია თუ არა (ეს ჩემი საკვლევი პრობლემის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით იყო განხილული). ამჯერად მაინტერესებდა იმის ილუსტრირება, თუ როგორი კანონზომიერებებით ხასიათდება მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონის მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაცია.

დასასრულს, ორიოდ ფაქტობრივი მონაცემი ჩვენი ქვეყნის შესახებ. საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებამდე, მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას ჰქონდა ადგილი. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს, ჯერ ერთი, შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელოვანი გადამეტება მოკედაობის ზოგად კოეფიციენტზე. 1990 წელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, დაიბადა 17.1 ბავშვი, გარდაიცვალა 9.3 ადამიანი და მოსახლეობის ბუნებრივიმა მატებამ 7.8 კაცი (17.1-9.3) შეადგინა; მეორე, 1990 წელს შობადობის ჯამური კოეფიციენტი იყო 2.155, რაც აღემატება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საკმარის დონეს; და, მესამე, მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი 1988 წელს იყო 1.058, რაც ოდნავ მეტია მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზ-

რუნველყოფისთვის აუცილებელ სიდიდეზე¹. ამიერიდან მოსახლეობის აღწარმოება საქართველოში უკვე მარტივი აღწარმოების რეჟიმზე იწყებს გადასვლას.

4.2. მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონი

მოსახლეობის მარტივი აღწარმოება ნიშნავს თაობათა უცვლელი ოდენობით განახლებას, ე.ი. ყოველი მომდევნო თაობის რიცხოვნობის წინა თაობის როცხოვნობასთან თანამთხვევას.

მოსახლეობის მარტივი აღწარმოება, სხვა თანაბარ პირობებში, მყარ და მუდმივადგანმეორებად ხასიათს ღებულობს, თუკი:

ა) ხანგრძლივი დროის განმავლობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდის ტოლია (შობადობა= მოკვდაობა) და ეს თანაფარდობა სტაბილური ხასიათისაა. ან კიდევ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 13.7 პრომილის ტოლია (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას: ორივე სქესი – 73.1, ქალები – 75.0, ხოლო მამაკაცები – 71.2 წელი)².

ბ) შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ ქალზე საშუალოდ შეადგენს 2.1-ს (210 ბავშვს ყოველ 100 ქალზე საშუალოდ ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე);

გ) შობადობის ჯამური კოეფიციენტი, ერთ ქორწინებაზე გაანგარიშებით, შეადგენს საშუალოდ 2.6 ბავშვს (260 ბავშვს ყოველ 100 გათხოვილ ქალზე, რომელთა ქორწინება გრძელდება სიცოცხლის მთელი რეპროდუქტიული პერიოდის განმავლობაში, ნაყოფიერების სრული შენარჩუნებით);

¹ გ. წულაძე, ნ. მადლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული. თბილისი, 2007, გვ. 43.

² იხ. გ. წულაძე. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2000, გვ. 179.

დ) მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი უდრის 1-ს.

მოსახლეობის მარტივი აღწარმოების რეჟიმით განვითარებადი ქვეყნები (2007 წ.)

ცხრილი 25

ქვეყნები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი	მოსახლეობის ბუნებრივი მატება	შობადობის ჯამური კოეფიციენტი
ავსტრია	9	9	0	1.4
იტალია	10	10	0	1.4
საბერძნეთი	10	10	0	1.3
პორტუგალია	10	10	0	1.4
პოლონეთი	10	10	0	1.3
სლოვაკია	10	10	0	1.3
ბოსნია-ჰერცეგოვინა	9	9	0	1.2
სლოვენია	9	9	0	1.3

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, დასახელებულ ქვეყნებში 2007 წელს ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, რაც მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მაჩვენებელია. ამასვე ადასტურებს ამ ქვეყნების შედიოდნე წლის წინანდელი ანალოგიური მაჩვენებლებიც. მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაშინაც ნულოვან დონეზე იყო ყველა ქვეყანაში (გარდა ბოსნია-ჰერცეგოვინისა). ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში თაობათა განახლება ხდება უცვლელი ოდენობით.

თუკი შობადობის ჯამურ კოეფიციენტებს გავაანალიზებთ, ამ დასკვნაში გარკვეული კორექტივების შეტანა დაგეგმირდება. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ შობადობის ჯამური კოეფიციენტი ცხრილში შეტანილ

ყველა ქვეყანაში ჩამორჩება (თანაც საგრძნობლად) მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ დონესაც კი. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასეთი ტემპებით განვითარება ზემოთ მოყვანილ ცხრილში შეტანილ ქვეყნებს უახლოეს ხანში მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების ქვეყნების რიგში მოაქცევს.

ამრიგად, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონის არსი მდგომარეობს, მისი განმსაზღვრელი პირობების არსებობისას, წინა თაობასთან შედარებით, ყოველი მომდევნო თაობის რიცხოვნობის თანამთხვევის მუდმივგანმეორებადობაში.

დემოლოგიურ ლიტერატურაში გეხედება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საკმარისია თითოეულ ოჯახში (დაქორწინებულთა წყვილის მიერ) ორი შვილის გაჩენა და აღზრდა, რამეთუ ისინი თითქოს შეენაცვლებიან მშობლებს და თაობა განახლდება უცვლელი ოდენობით. სინამდვილეში ასეთი შეხედულება მცდარია. ორშვილიანობის სისტემის პრაქტიკაში დამკვიდრება კაცობრიობას დროთა ვითარებაში ამოწყდომამდე მიიყვანს. ემყარება რა გერმანელ დემოლოგთა გამოკვლევებს, ამის საილუსტრაციოდ ბ. ურლანისს მოაქვს ასეთი გათვლები¹. ოჯახში საშუალოდ ორი შვილის ყოლისას, მოსახლეობის საწყისი რიცხოვნობის ყოველ 1000 კაცზე დარჩება:

30 წლის შემდეგ	621 კაცი
60	386
90	240
120	149
150	92
300	8

¹ Б.Ц. Урланис. Рождаемость и продолжительность жизни в СССР. М., 1963, с. 69.

როგორც ჩანს, ორშვილიანი ოჯახების დამკვიდრებისას 300 წლის შემდეგ თავდაპირველად არსებული მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტზე ნაკლები დარჩება, რამდენადაც: მოსახლეობის ნაწილი ვერ დაქორწინდება და დარჩება დაუოჯახებელი (საქართველოში ასეთი მოსახლეობის ხვედრითი წონა ფერტილური ასაკის მოსახლეობაში 25 პროცენტს აღემატება); უნაყოფობის გამო, არც ყველა დაქორწინებულს უჩნდება შვილები; ოჯახების ნაწილს არ ძალუძს ერთზე მეტი ბავშვის ყოლა; დაბადებული გოგონები ნაწილი კვდება დედობის (ბავშვთაშობის) ასაკამდე; დაბადებულთა შორის, ჩვეულებრივ, ბიჭები სჭარბობენ, რაც სქესთა თანაფარდობაზე (და, მაშასადამე, შობადობაზე) მომდევო ეტაპზეც ახდენს გავლენას. ამიტომ მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციისთვის, ანუ მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელია დაახლოებით 270 ბავშვის ყოლა ყოველ 100 დაქორწინებულ წყვილზე, ისიც მოკვდაობის მინიმალური დონის პირობებში.

სპეციალისტთა დასკვნით, ამ უკანასკნელ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საჭირო ბავშვთა ოდენობის განსაზღვრისთვის. როგორც ცნობილია, 1900-იან წლებამდე საფრანგეთში ბავშვთა მოკვდაობის დონე იმდენად მაღალი იყო, რომ მხოლოდ მეოთხე ბავშვიდან იწყებოდა მოსახლეობის რამდენადმე გაფართოებული აღწარმოება. ამიტომ აქ, 1912 წლის 14 ივლისის კანონით, ოჯახს დახმარება მხოლოდ მეოთხე შვილის გაჩენიდან ეძლეოდა.

ამჟამად, ბავშვთა (განსაკუთრებით ჩვილთა) მოკვდაობის მნიშვნელოვანი ოდენობით შემცირებისა და მოსახლეობის აღწარმოების ექსტენსიურიდან ინტენსიურ ტიპზე გადასვლის შემდეგ (როცა დემოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში თაობათა უცვლელი ოდენობით განახლებისთვის 2-3-ჯერ ნაკლები შობადობაა საკმარისი, ვინემ

საჭირო იყო კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპებზე), მოსახლეობის ოპტიმალური აღწარმოების უზრუნველყოფისთვის მთელი ყურადღება გადატანილია მესამე შვილის ყოლაზე. დღეისთვის ფაქტიურად მესამე შვილი წყვეტს იმას, თუ როგორი იქნება მოსახლეობის აღწარმოება ქვეყანაში – შეკვეცილი, მარტივი თუ ოდნავ გაფართოებული.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერები, დემოლოგი ფრენკ ნოუტსტეინი და სოციოპიგიენისტი რეგინა სტიქსი ჯერ კიდევ 1940 წელს წერდნენ, რომ არცერთი ქვეყნის მოსახლეობას მოკვდაობის ნორმალურ პირობებშიც არ შეუძლია მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფა მრავალშვილიანი ოჯახების მნიშვნელოვანი ხვედრითი წონის გარეშე, რათა კომპენსირებულ იქნას ის უარყოფითი შედეგები, რაც თან სდევს დაუოჯახებლობას, უნაყოფობასა და მცირეშვიდიანობას. მათივე გათვლებით, მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელია ოჯახების 30 პროცენტზე მეტს 4 და მეტი შვილი ჰყავდეს.

1974 წელს ეს შეხედულება გაიზიარა ასევე გამოჩენილმა ამერიკელმა დემოლოგმა ენსლი კოულმა. ამ საკითხზე ანალოგიური აზრის არიან რუსი და ქართველი დემოლოგები ვ. ბორისოვი და ა. თოთაძე. მათი გათვლებით, მოსახლეობის მარტივი აღწარმოება შეუძლებელია თუკი სამი და მეტ შვილიანი ოჯახების საერთო რაოდენობა 50 პროცენტს არ გადააჭარბებს¹.

¹ Борисов Б.А. Демография. М., 2001, с. 138-139. ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბილისი, 1999, გვ. 91.

43. მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი

მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება ნიშნავს აღწარმოების ისეთი რეჟიმის დამკვიდრებას, რომლის დროსაც (მიგრაციის გაუთვალისწინებლად) ყოველი მომდევნო თაობის რიცხოვნობა სისტემატურად და სტაბილურად ნაკლებია წინა თაობის რიცხოვნობაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, აპირობებს ქვეყნის (ან მისი ნაწილის) მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებას (დეპოპულაციას).

მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება ობიექტურ აუცილებლობად იქცევა და დემოლოგიური კანონის ხასიათს ღებულობს, თუკი:

ა) შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე ნაკლებია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეზე (შობადობა < მოკვდაობა), ე.ი. მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით უფრო მეტი იხოცება, ვინემ იბადება და ამ პროცესს მყარად განმეორებადი ხასიათი აქვს;

ბ) შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ ქალზე საშუალოდ 2.1-ზე ნაკლებია, ე.ი. ყოველ 100 ქალზე საშუალოდ ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე 210 ბავშვზე ნაკლები მოდის;

გ) შობადობის ჯამური კოეფიციენტი, ერთ ქორწინებაზე გაანგარიშებით, 2.6-ზე ნაკლებია, ე.ი. 260 ბავშვსაც კი არ შეადგენს ყოველ 100 გათხოვილ ქალზე, რომელთა ქორწინება გრძელდება სიცოცხლის მთელი რეპროდუქტიული პერიოდის განმავლობაში, ნაყოფიერების სრული შენარჩუნებით;

დ) მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია.

ნეტო-კოეფიციენტის ასეთი სიდიდის დაფიქსირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მაშინვე იწყებს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი მოქმედებას. ეს დეპოპულაციის მხოლოდ სიმპტომია, პოტენციური ნიშა-

ნია, რომელიც რეალობად იქცევა მომავალში, თუ მან ქრონიკული და მყარი ხასიათი მიიღო*.

მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონის მოქმედების საილუსტრაციოდ შეიძლება მიემართოთ ფაქტობრივ მონაცემებს (ცხრ. 26).

მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმით
განვითარებადი ქვეყნები (2007 წ.)

ცხრილი 26

ქვეყნები	შობადობის ზოგადი კო- ეფიციენტი	მოკვდაობის ზოგადი კო- ეფიციენტი	მოსახლეობის ბუნებრივი კლება	შობადობის ჯამური კო- ეფიციენტი
ლიტვა	9	13	4	1.3
ლატვია	10	14	4	1.4
ესტონეთი	11	13	2	1.6
ბულგარეთი	10	15	5	1.4
რუმინეთი	10	12	2	1.3
რუსეთი	10	15	5	1.3
უკრაინა	10	16	6	1.3
ბელორუსია	9	14	5	1.2
ხორვატია	10	12	2	1.4
სერბეთი	11	12	1	1.8

როგორც ცხრილში მოყვანილი შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების თანაფარდობიდან ჩანს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, 2007 წელს უკრაინას დააკლდა 6 კაცი, რუსეთს, ბულგარეთსა

* აღსანიშნავია, რომ ნეტო-კოეფიციენტი საერთოდ პროგნოზული მაჩვენებელია და იმისთვის, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპი მას გაუტოლდეს, სულ ცოტა ერთი თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობა მაინცაა საჭირო.

და ბელორუსიას – ხუთ-ხუთი, ლიტვასა და ლატვიას – ოთ-ოთხი, ესტონეთს, რუმინეთსა და ხორვატიას – ორ-ორი, ხოლო სერბეთს – ერთი ადამიანი.

ერთი თვალის შეველებით ეს მაჩვენებლები თითქოს უმნიშვნელოა და სერიოზულ რეაგირებას არ იმსახურებს, მაგრამ თუ თითოეული ამ ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას მივუსადაგებთ, რეალურ სურათს ნათლად დავინახავთ. განვიხილოთ, უწინარეს ყოვლისა, რუსეთში შექმნილი ვითარება. მისი მოსახლეობის რიცხოვნობა 2007 წელს 141.7 მლნ კაცს შეადგენდა. თუ ამ რიცხვს გავყოფთ 1000-ზე და მიღებულ შედეგს გავამრავლებთ 5-ზე, საბოლოოდ მივიღებთ 708.5 ათ. კაცს. აი, ამდენით დაიკლო რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ მარტო ერთი წლის განმავლობაში, ბუნებრივი მოძრაობის შედეგად. ანალოგიურად თუ გავიანგარიშებთ და გავაანალიზებთ ფაქტობრივ მონაცემებს, დავინახავთ, რომ 2007 წელს, მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების შედეგად, მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა: უკრაინაში 279, ბელორუსიაში – 48.5, რუმინეთში – 43.2, ბულგარეთში – 38.5, ლიტვაში – 13.6, სერბეთში – 9.5, ლატვიაში – 9.2, ხორვატიაში – 8.8, ესტონეთში – 2.6 ათ. კაცის ოდენობით, რაც კომენტარს არ საჭიროებს.

ამრიგად, მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონის არსი მდგომარეობს, მისი განმსაზღვრელი პირობების არსებობისას, წინა თაობასთან შედარებით, ყოველი მომდევნო თაობის რიცხოვნობის კლების მუდმივგანმეორებადობაში.

დემოლოგიურთან ერთად, ყურადღებას იქცევს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების სხვა ნეგატიური შედეგებიც¹, კერძოდ:

ა) სოციალურ-ეკონომიკური – ნელდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპები; ფერხდება მეცნიე-

¹ იხ. Г. П. Киселева. Нужно ли повищать рождаемость?, М., 1979, с. 74-76.

რებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს საფუძვლიანად დაუფლებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც აბრკოლებს ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის დამკვიდრებას და, საბოლოო, ანგარიშში, სერიოზულ სიძნელეებს უქმნის ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას;

ბ) სოციალურ-დემოლოგიური – იძაბება დაქორწინებულ წყვილთა ურთიერთობა ერთმანეთთან, რომელიც, არცთუ იშვიათად, მთავრდება განქორწინებით. განმეორებითი დაქორწინება კი მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. თანაც, მეორედ დაქორწინებისას მკვეთრად დაბალია შობადობა და გართულებულია ბავშვების ნორმალურად აღზრდაც;

გ) სოციალურ-ჰიგიენური – მოხშირებულია ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ბარბაროსული მეთოდის – აბორტის გამოყენებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ქალთა ჯანმრთელობაზე და ამცირებს შობადობას. პოტენციური დედების ნაწილს ბავშვების გაჩენა გადააქვს მაღალასაკონების პერიოდამდე, რომელსაც თან სდევს მშობიარობის გართულებები და ნაკლული ბავშვების დაბადება;

დ) სოციალურ-ფსიქოლოგიური – ერთშვილიანი (ნაწილობრივ ორშვილიანი) მშობლების ფსიქოლოგია რადიკალურად განსხვავდება მრავალშვილიანი მშობლების ფსიქოლოგიისგან, რამდენადაც ისინი სულ მუდამ სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან იმის შიშით, რომ ვაითუ რაიმე ტრაგედია შეიძლება შეხვდეს მათ პირმშოს და გაუბედურდნენ. ამის ალბათობა დედისერთა ოჯახებში გაცილებით მეტია, ვინემ მრავალშვილიან ოჯახებში;

ე) გენეტიკური – მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმით განვითარებისას ძალიან მაღალია პირველ შვილთა (პირმშოთა) ხვედრითი წონა ბავშვების საერთო რიცხოვნობაში (მაგალითად, საქართველოში იგი

2006 წელს 60.5%-ს შეადგენდა). ცალკეულ გენეტიკოსთა და ანთროპოლოგთა შეხედულებით, უფრო გამძლე და ინტელექტუალურადაც სრულყოფილი მეორე და მესამე შვილია და არა პირველი. მაშასადამე, პირველ შვილთა მაღალი ხვედრითი წონა უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა გენეტიკაზე.

მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით ცოტა რამ საქართველოს შესახებ. ზემოთ ჩამოვთვალეთ რამდენიმე წინაპირობა, რომელთა არსებობა გარდუვალს ხდის მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას. თუმცა უნდა შევნიშნო, რომ ზოგიერთი მათგანი აშკარა და ადვილად შესამჩნევია (მაგალითად, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის გადამეტება შობადობის ზოგად კოეფიციენტზე), ზოგიერთი კი უჩინარი (მაგალითად, შობადობის ჯამური კოეფიციენტი, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო-კოეფიციენტები და სხვ.), რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში აშკარად შეუმჩნეველსა და უხილავს ხდის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს, ანუ იმას, იგი გაფართოებულია, მარტივი თუ შეკვეცილი.

საქართველოში 2005 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 10.7-ს, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი – 9.9-ს, შობადობის ჯამური კოეფიციენტი – 1.6-ს¹, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი – 0.648-ს².

როგორც ვხედავთ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, მართალია, ოდნავ (მხოლოდ 0.8 პრომილით), მაგრამ მაინც აღემატება მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს, ამიტომ თითქოს უნდა ჩავთვალოთ, რომ მოსახლეობის გა-

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული – 2006. თბილისი, 2007, გვ. 26, 28.

² გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული – 2006. თბილისი, 2007, გვ.43.

ფართოებულ აღწარმოებას აქვს ადგილი. მაგრამ შობადობის ჯამური კოეფიციენტი და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში ადგილი აქვს მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას, რამდენადაც მარტივი აღწარმოების დროს (არაა საუბარი გაფართოებულზე) პირველი (ე.ი. შობადობის ჯამური კოეფიციენტი) უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2.1-ისა, ხოლო მეორე (ე.ი. აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი) – არანაკლებ 1-ისა. ამ მონაცემების მიხედვით, ყოველ 1000 დედის შესაცვლელად სახეზეა 648 გოგონა, ნაცვლად 1000-ისა.

მხედველობაში აქვთ რა ესოდენ რთული დემოლოგიური ვითარების არსებობა საქართველოში, ქართველი დემოლოგები ვ. ლორთქიფანიძე და ა. თოთაძე ასეთ საგულისხმო დასკვნას აკეთებენ: „თუ ასე გაგრძელდა, უკეთესობა კი არ ჩანს, დემოგრაფიული თაობის ანუ დაახლოებით 27 წლის შემდეგ დაბადებულთა რაოდენობა 28 ათასს ვეღარ გადააჭარბებს. კიდევ ერთი მომდევნო დემოგრაფიული თაობის შემდეგ კი მხოლოდ 16 ათ. ბავშვი დაიბადება და დაახლოებით 12 ათ. ბავშვი იქნება ქართველი – 6.5 ათ. ვაჟი და 5.5 ათ. ქალი. ეს უკვე ერის გადაშენების ტოლფასია!¹

ოპონენტებს შეიძლება გაუჩნდეთ კითხვა იმის თაობაზე, თუ რაოდენ გამართლებულია დემოლოგიური კანონი ვუწოდოთ დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის ისეთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს (მაგალითად, მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას), რომელიც მხოლოდ ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში (ქვეყანა, მისი რეგიონი, რაიონი და ა.შ.) შეინიშნება და გლობალური კი არა, ჯერჯერობით ლოკალური ხასიათისაა.

¹ ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი. 2007, გვ. 70.

დიახ, ამ თითქოსდა ანგარიშგასაწევი არგუმენტების მიუხედავად, იგი შეიძლება დემოლოგიურ კანონად იწოდებოდეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩემს მიერ ჩამოთვლილ წანამძღვრებს ყველგან და ყოველთვის მხოლოდ მათი შესაბამისი (და არანაირი სხვა) შედეგები შეიძლება მოჰყვეს. რაც შეეხება გლობალურობას, სწორედ ამ ნიშნის უქონლობის გამო ვთვლი მათ (მოსახლეობის შეკვეცილ, მარტივ და გაფართოებულ აღწარმოებას) კერძო დემოლოგიურ კანონებად.

4.4. დემოლოგიური კომპენსაციის კანონი

ვფიქრობ, კერძო დემოლოგიური კანონებისთვის და-მახასიათებელი ნიშან-თვისების მატარებელია დემოლოგიური კომპენსაციის კანონიც. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ქვეყნებს შორის ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების, მითუმეტეს, მსოფლიო ომების, აგრეთვე სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ატომური ელექტროსადგურის აფეთქება და სხვ.) გამოწვეული კატასტროფების პერიოდებში იქმნება არაორდინარული პირობები მოსახლეობის აღწარმოებისთვის. მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, არანორმალურ ხასიათს ღებულობს თაობათა განახლების პროცესი და რადიკალურად უარესდება დემოლოგიური მაჩვენებლები – კლებულობს ქორწინება და შობადობა, მატულობს მოკვდაობა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მაღალი რეპროდუქტიულობის უნარის მქონე მამაკაცებისა.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობა ასე თუ ისე თავს დააღწევს ამგვარ ექსტრემალურ ვითარებას და დაუბრუნდება ცხოვრების ნორმალურ რიტმს, შედარებით ხელსაყრელი წანამძღვრების (მშვიდობა, დემობილიზაცია, დასაქმება, ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ.) შექმნის კვალო-

ბაზე, მოსახლეობის აღწარმოება ღებულობს ახალ იმპულსს და ახდენს იმის კომპენსაციას, რაც დაკარგა (გადააჟადა) მძიმე გარემო-პირობების არსებობისას. ჩვეულებრივთან შედარებით მატულობს ქორწინება, ასევე შობადობა და შვილიანობა ოჯახებში, კლებულობს მოკვდაობა. ყოველივე ეს აისახება დემოლოგიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებაში, რასაც კომპენსაციურ ეფექტს უწოდებენ. იგი დემოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. „ბები-ბუმის“ სახელწოდებით, რაც ინგლისური წარმოშობისაა და ბავშვთა შობის „აფეთქებას“, შობადობის კომპენსაციურ ზრდას ნიშნავს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მონაცემები.

ქორწინებათა რაოდენობა საფრანგეთსა და გერმანიაში 1913 წლის ქორწინებათა ოდენობასთან (%-ობით)¹

	საფრანგეთი	გერმანია
1914 წ.	68	90
1915 წ.	30	54
1916 წ.	44	54
1917 წ.	64	61
1918 წ.	72	60
1919 წ.	181	165

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ქორწინების მაჩვენებელი 1915 წელს, 1913 წელთან შედარებით, გერმანიაში დაეცა თითქმის 2-ჯერ, ხოლო საფრანგეთში – დაახლოებით 3.5-ჯერ. გარკვეული ხნის შემდეგ დაიწყო კომპენსაციის პერიოდი და ეს მაჩვენებელი 1919 წელს,

¹ Георгиевский А.С., Гаврилов О.К. Социально-гигиенические проблемы и последствия войн. М., 1975, с. 42.

1913 წელთან შედარებით, გაიზარდა გერმანიაში 1.6-ჯერ, ხოლო საფრანგეთში – 1.8-ჯერ.

აღსანიშნავია, რომ არარეალიზებულ (არშემდგარ) ქორწინებათა რაოდენობამ რევოლუციამდელი რუსეთის 50 გუბერნიაში პირველი მსოფლიო ომის წლებში 1.7 მილიონს მიაღწია¹. მსოფლიო და სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ – 1924 წელს ყოფილ სსრ კავშირში მოკვდაობის ზოგადმა კოეფიციენტმა 49 პრომილეს მიაღწია², რომელსაც საკომპენსაციო ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება მოსახლეობის რიცხოვნობას, იგი 1918-1922 წლებში შემცირდა 3-4 პროცენტით, 1923-1924 წლებში კი გაიზარდა 4.45 პროცენტით. დაჩქარებული ტემპებით მოსახლეობის ზრდა 30-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. ზოგიერთი „პოლიტიკოსი“ ამას სოციალისტური სისტემის უპირატესობით ხსნიდა, მაგრამ ასეთ ნაჩქარევ და ყალბ შეფასებას საფუძველი გამოაცალა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1932 წელს 31 პრომილემდე ჩამოვიდა, ხოლო მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტად დაეცა³.

ანალოგიური ვითარება იყო ინგლისშიც. პირველი მსოფლიო ომის წინ მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ამ ქვეყანაში 24 პრომილეს შეადგენდა. იგი 1918 წელს 17.7 პრომილემდე დაეცა, 1919 წელს კი 25.5 პრომილემდე ავიდა⁴.

დაახლოებით იგივე ტენდენციებმა იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებთან დაკავშირებითაც. XX სა-

¹ Георгиевский А.С., Гаврилов О.К. Социально-гигиенические проблемы и последствия войн. М., 1975, с. 42.

² Андреев Е.М., Дарский Л.Е., Харькова Т.Л. Население Советского Союза – 1922-1991. М., 1993, с. 57.

³ Б.Ц. Урлавис. Рождаемость и продолжительность жизни в СССР. М., 1963, с. 26.

⁴ Боярский А.Я., Валентей Д.И., Волков А.Г., Дарский Л.Е., Кваша А.Я., Павлов Г.А., Сифман Р.И., Стулевич Б.Я. Курс демографии. Под редакцией А.Я. Боярского. М., 1967, с. 298.

უკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 15 პრომილეს შეადგენდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში (1941 წ.) იგი 13.9 პრომილემდე შემცირდა. ომის დამთავრებისთანავე შესამჩნევი გახდა ამ მაჩვენებლის უჩვეულო ზრდა. მან 1946 წელს 19.2 პრომილეს, ხოლო 1947 წელს 20.5 პრომილეს მიაღწია¹. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო აშშ-ში. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიები, რომელმაც 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უშუალოდ თავის ტერიტორიაზე არ განუცდია ამ სუპერქვეყანას, ომით გამოწვეული მასშტაბური სიძნელეები აისახა მისი მოსახლეობის აღწარმოების პროცესშიც. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი თუ 1940 წელს 19.4 პრომილეს და 1945 წელს 20.4 პრომილეს ფარგლებში იყო, 1955 წელს 24.8 პრომილემდე გაიზარდა. 1955 წელს 4104 ათ. ბავშვი დაიბადა, ნაცვლად 1945 წლის 2259 ათასისა².

ასევე მოხდა სხვა ქვეყნებშიც, რომლებმაც მეტ-ნაკლებად იწვნის ომის მწარე შედეგები. მათ, აშშ-თან და დიდ ბრიტანეთთან ერთად, მკვეთრად გამოხატული ხასიათი ჰქონდა საფრანგეთშიც. ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 30-იანი წლების მეორე ნახევარში 6.7-6.3 პრომილეს ფარგლებში იყო, რომელიც 1940 წელს 4.4 პრომილემდე დაეცა, ხოლო 1946 წელს 12.8 პრომილემდე ავიდა³.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მკვეთრი გარდატეხა მართო საკომპენსაციო ფაქტორებით არ იყო გამოწვეული. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე დე გოლის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით გა-

¹ იხ. Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 186.

² იქვე, გვ. 19.

³ იქვე, გვ. 186.

ტარებულმა საგანგებო სახელმწიფო დემოლოგიურმა პო-
ლიტიკამ.

ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ აფხა-
ზეთის ტერიტორიიდან დევნილი და ლტოლვილი მოსახ-
ლეობა, რომლის რიცხოვნობა 300 ათასამდე ადამიანს
მოიცავს, თავის მშობლიურ მხარეში დაბრუნების შემ-
თხვევაში, დემოლოგიური კომპენსაციის კანონის მოთხოვ-
ნათა შესაბამისად, გარკვეული ხნის განმავლობაში თავი-
სი აღწარმოების ჩვეულებრივზე უფრო მაღალ მაჩვენებ-
ლებს უზრუნველყოფს. ამუამად ამ კონტიგენტის შობადო-
ბა გაცილებით დაბალი, ხოლო მოკვდაობა ასევე მნიშ-
ვნელოვნად მაღალია, ვინემ ჩვეულებრივ იყო მათთვის
დამახასიათებელი, ან კიდევ, დამახასიათებელია ამუამად
დანარჩენი მოსახლეობისთვის საშუალოდ.

დემოლოგიური კომპენსაციის კანონზომიერებას პირ-
ველად XIX საუკუნის დასასრულს ფრანგმა დემოლოგმა
პიერ ემილ ლეეასიერმა მიაქცია ყურადღება. შემდეგ ამ
კონცეფციამ საყოველთაო აღიარება პოვა. მას რომ ეპი-
ზოდური ხასიათი ჰქონდეს და მყარი მუდმივგანმეორება-
დობა არ ახასიათებდეს, დემოლოგიურ კანონად ვერ ჩაე-
თვლიდით.

შობადობის კლების დემოლოგიური კანონის მოთ-
ხოვნებიდან გამომდინარე, მხოლოდ 50-იანი წლების და-
სასრულიდან კვლავ დაიწყო ამ მაჩვენებლის შემცირება
და ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგომა. დღეისთვის (2007
წ.) მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი დიდ ბრიტანეთში
12 პრომილეს, ხოლო აშშ – 14 პრომილეს შეადგენს.

* * *

ასეთია მოკლედ დემოლოგიური კანონების თაობაზე
უკანასკნელ პერიოდში ჩემი ნაფიქრალ-ნააზრევი, რომე-
ლიც მომავალში, ამ მიმართულებით მეცნიერული კვლე-

ვის გადრმავეების კვალობაზე, თანდათან დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება.

დემოლოგიური კანონების შემეცნებას, არსის გარკვევასა და საზოგადოების ინტერესებისთვის გამოყენებას აქვს არა მარტო თეორიულ-მეთოდოლოგიური, არამედ პრაგმატული მნიშვნელობაც, რამეთუ მხოლოდ ისეთი სახელმწიფო დემოლოგიური პოლიტიკა შეიძლება იყოს მაქსიმალურად ქმედითუნარიანი, რომლიც დამყარებული იქნება დემოლოგიური კანონების მოქმედების თავისებურებათა სრულყოფილ ცოდნაზე.

Demology and its System of Laws

R e s u m e

Not Demography but Demology. What does it study?

Demography, as a science has passed a steep and thorny way to identify and develop its scope of research and to find its dignified place in the social sciences since it was established. Until the second half of XX century the scientific knowledge of the system of population reproduction was mostly of descriptive character and therefore it was correctly referred to as 'demography' which consists of two Greek words: *demos*, denoting people and *grapho*, denoting writing. In its direct sense it means describing and recording the situation in the population reproduction.

Starting from 60s and 70s of XX century the scope of this scientific discipline has significantly expanded and became comprehensive. Since then it is no longer satisfied with only obtaining factual data and describing and recording the current situation regarding births, deaths, marriages, divorces, natural and mechanical movements of the population and other processes of similar nature. Its main objectives include: in-depth scientific analysis of rich factual data up to the high professional level taking into consideration the gender and age characteristics of the population and based on it drawing conclusions of theoretical and pragmatic significance; reveal the causative links between the demographic developments and processes; identify those factors that affect the birth and mortality along with the reasons conditioning the trends in the demographic development; profound analysis of regularity underlying the consistent interchange of main types of population reproduction; systematic analysis of the reproductive set, the factors affecting the reproductive behaviour and the demand on the child in the family; identify the factors affecting the demographic ageing of population and study the related problems; identify the impact of women's education and employment, as well as the migration of the population, financial well-being, unemployment, etc. on the demographic processes; carry out

demographic modelling; demographic forecasting; and work out the framework of state demographic policy relevant to the specific situation by taking into consideration the regional peculiarities, etc.

The terms 'reproduction of population' includes the renewal of generations and structural changes by gender and age, social and economic groups, nationalities, family status, movements across the territory and place of residence (city, village), education, professional qualifications and by other parameters that may be the result of natural and mechanical movements of the population. Demography gives such a broad consideration of the developments and processes that take place in the population and applies the conclusions derived for the benefit of the community.

Initially demography was an independent science but it attained new levels of development emerging as more or less independent scientific disciplines of basic scientific directions (demographic statistics, mathematical demography, historic demography, regional demography, applied demography, genetic demography, etc.) along with new demographic disciplines coming into existence at the boundary of the related sciences (economic demography, sociological demography, ethnic demography, military demography, medical demography, etc.) and finally it developed into a system of demographic sciences but it is not a simple arithmetic sum. This is such an organic interconnection and interdependence of demographic disciplines in which each of them makes its contribution and only all of them jointly give a more or less comprehensive picture of the regularities of the population reproduction.

Thus, the demography as one of the fundamental fields of the science occupies quite a distinguished place in the system of social sciences and the term 'demography' cannot fully reflect the full contents of this large-scale science. Therefore, I consider it appropriate to use the term 'demology' that consists of two Greek words: *demos*, denoting people and *Logos*, meaning doctrine and in the direct sense it means the science of the regularities of the population reproduction.

The opinion of replacing the title 'demography' with 'demology' was expressed first by the German statistician Ernst Engel back in 1871. He stated that the science about the study of "the origin of state and other cohabitation of people, its internal nature and changes" should be called not 'demography' which is circumscribed only reflecting these processes but 'demology' that purports to explain its essence.¹

However, the term 'demology' is not used by the scientific communities, which I do not think to be appropriate. I consider that that it would be completely justified to introduce this term. Is it accidental that most of the natural, technical and social sciences are formed by using 'Logos' not 'Graph'? For instance, biology, physiology, geology, mineralogy, anthropology, immunology, sociology, psychology, oncology, ecology, urology, cardiology, stomatology, anaesthesiology, parapsychology, caucasiology, Rustvelology, etc.

Such a replacement will not cause any qualitative changes. At present the same meaning is ascribed to the science named 'demography' as the 'demology' has. Thus, we say one thing but mean the other. Probably it is high time, if not already late, to specify the formulation and call the science about the regularities of the population reproduction its genuine name which is 'demology'.

The demological laws emerged on the basis of demological relations occupy a central place in the range of the issues studied by the demology. The demological law expresses the solid, frequently-occurring, intrinsic causative links among demological phenomena and the resulting natural developments and trends. It mostly occurs in the form of law/trend.

If the laws of nature reflect the regularities of the nature and the economics reflect those of economy, the scope of demological laws is mainly circumscribed by the population reproduction and reflects the demological relations. They are the laws about the development of demological relations. The demological laws are among the laws

¹ Population. Encyclopedic Dictionary, Moscow, 1994, p.122.

about the development of the society of people, more exactly they comprise a specific group (subsystem) of them.

The demological laws can be divided into general, specific and private laws. The general demological laws, as usually, are in effect during the entire existence of mankind though they gradually undergo some transformations. For instance: the law of generation renewal, or the population reproduction, the law of demological transfer or the law of consistent change of the population reproduction types, the law of unwavering increase in the number of population, the law of expected increased in life expectancy, etc; specific demological laws are in effect at certain stages of the development of society. Such laws are: the law of diminishing birth, the law of equalizing (leveling) birth, the law of demological ageing, etc; and reflecting certain demological regularities are characteristic for the private demological laws. The following can be ascribed to them: the law of expanded reproduction, the law of simple reproduction of population, the law of contracted reproduction of population, the law of demological compensation, etc.

The basic properties characterizing the operation of the demological laws are the following: objective character; impossibility to introduce (establish), abolish or transform at the initiative of its subjects; the necessity of participation of human factor in the realization of the operation of the laws; absence of direct connection with the social and economic formations; reflection of demological global development trends, etc.

The circumstance that the demological laws are not of objective character and their operation are not driven by the wishes of the people, does not mean that the human beings are completely unable against these laws and are to be inactive and show the Olympic calmness waiting what will occur by itself. The human beings are capable and are committed to discover (reveal), understand and make use of them for their interests. Understanding the demological laws means understanding the content of each of them, and the common trend of their operation, as well as identifying their qualitative and

quantitative parameters, analyzing and generalizing the results that their operation may entail. Only the measures developed and implemented by using this approach can be expedient and effective, yielding practical benefits.

The precondition for the successful implementation of the state demological and family policy is the conception/program of the demological development of the country that is worked out in view of the demological law requirements and is scientifically valid. All these clearly highlight not only the theoretical importance of the in-depth scientific study of the demological laws, but also its utmost practical importance.

General Demological Laws

1. **The basic demological law.** A constant renewal of generations, which is essentially the same as continued reproduction of population is one of the general laws of demology. Its main characters and requirements are the following: firstly this law operates since the origin of mankind and will be in operation as long as the mankind exists; secondly, it is distinguished with abstractiveness as it reflects not a separate regularity of population reproduction, and its specific aspect (expanded, simple or contracted reproduction), but the general regularity, which is the renewal (change of generations) process of generations; and thirdly, which is extremely important, it reflects all the main aspects and the process, and the essence of population reproduction. Thus, because of this distinguished character we can call it the main demological law.

The human being is mortal. Besides, his life expectancy is determined biologically. Even further, due to the impact of main social factors the human being cannot reach this biological limit. For in-

stance, the generation born in the beginning of the previous century, not to refer to the generation born earlier, but for some rare exceptions is no longer alive. But for the new systematic inflows of next generations and the renewal, the mankind would have stopped its existence. Therefore, it is represented as the demological law.

Starting families, having children and raising them as worthy persons is not only the personal issue of each member of the community but is a social obligation which has turned into a tradition and is a certain responsibility before the nation and the state.

In the demological literature we read quite often about the idea, that compared with the prior epochs the place and role of the family has radically changed and dwindled. The economic functions of the family have certainly undergone some transformations: firstly, the demand on the children as the future labour force and source of revenue for the family has decreased dramatically but has not disappeared, thus the reproduction function of the family has essentially changed; secondly, the demand on the children, as on the sources for ensuring the financial support to the parents when they get older or are incapable to work, has significantly decreased; the consumption function of the family has diminished to a certain extent. Though, this has not lessened its role in the community life. Most importantly, the demological function of the family has even further strengthened. The family used to be and remains to be the only and extremely specific (original) 'factory' of the production of people (in physical terms). Its uppermost humane and honourable mission is to replenish the community with physically and intellectually promising young generations.

It should be noted that the constant renewal of generations (change of generations) ensures not only the physical continuity of the mankind but also its further qualitative perfection. This is apparent as every next generation is more educated, equipped with more knowledge and have richer experience than the previous generations. Any following generation has much more potential and therefore

they can make more valuable contribution in solving yet uncovered secrets of environment.

Renewal of generations is abstraction in itself and shows constant frequency of some regularity but in the community life it occurs in concrete forms. The occurrence in concrete forms can be imagined in the forms of private demological laws. First and foremost I mean the laws of expanded, simple and contracted reproduction of the population, as well as the law of demological compensation, and etc.

2. The law of demological transfer. After carefully studying the demological literature we arrive at the conclusion that oftentimes the types, stages, phases, steps, periods of demological transfer are mistakenly used which gives rise to much confusion. There are options when 3 stages of birth development (L. Anri), 5 stages of population increase, as well as birth and mortality dynamics (K. Blacker) and 4 phases thereof (E. Koul, M. Gopher, G. Shubnell) are distinguished. Some consider the first, second, and third type of the population reproduction to be the first, second and third phases of the demological transfer, and thus groundlessly equalizing these two different categories with each other.

The type of the population reproduction is such a category that reflects the most important qualities of this process (the equilibrium between the birth and mortality) under relatively similar historical, economical, social and other conditions. It is closely related to the regime of the population reproduction and determines those parameters within which the quantitative characteristics of the reproduction may change. The types of the population reproduction give the picture of consecutive stages of the demological history.

As for the phase (similar to the stage, period, etc) it represents an integral part of the population reproduction and is a certain step in its development and for the shorter period somehow different regime of the birth and mortality corresponds to it. All this shows, that using the type and the phase of the population reproduction interchangeably with the same meaning is groundless and unjustified.

The essence of the concept of demological transfer is to be found in the scientific explanation of the formation of dissimilar main types of the population reproduction and regularities of the change in the historic succession in light of the development of mankind. Such a division is based on the steps of evolutionary and revolutionary development of the communities and the level of control and regulation of the birth and mortality, as the most important demological processes, by the community and family. The status of demological law is granted to the causative link of this process because it has not episodic, casual and local character but is constantly occurring, is stable and has a global character that makes it irreversible. For instance, it is absolutely impossible and inconceivable to move from the family regulation of the child birth, which is characteristic for the modern type of the population reproduction, to the unlimited and uncontrolled birth, which used to be characteristic for the first and second types of the population reproduction. According to the conception of the demological transfer the population of each country, on the way of its demological development, takes the steps to each of which a certain type of reproduction corresponds.

There are several options of classification and formulation of these types. Among the most common options are the basic types of the population reproduction: the primitive type, traditional type and the modern type.

The main characteristics of the primitive (archetype) of the population reproduction are as follows:

- The high level of mortality (30-35%)¹ that is mostly caused by the exogenic factors;
- Regulation of the number of population mainly by mortality;
- Birth of children occurs without objectification and conscientious;

¹ G.P. Kiseleva, Do we need to raise the birth rate? M., 1979, p. 20.

- Slightly higher rate of birth (40-45%) compared with the mortality rate, which under the conditions of the high mortality rate is the reflection of self-survival instinct of the human genii;
- As a rule, uncontrollable and deregulation of the basic demological processes (birth, mortality, etc). For centuries the community used to develop certain social norms that directly or indirectly aimed at encouraging the maximum birth but their efficiency was insignificant. The impact on mortality was even less;

Low level of the average life expectancy (for instance, it does not exceed 20 years in the iron and bronze age);

- A slight increase in the natural growth rate of the population (annual 0.001-0.03%¹ on average);

Extremely low level of economy of the population reproduction, more exactly, the extensive character and reaching the small increase in the number of people at the expense of spending a lot of resources;

The lengthiness of its effectiveness, especially in the countries of Africa, Asia and Latin America.

The main characteristics of the traditional type of the population reproduction are as follows:

Notwithstanding some reduction the high mortality rate, and the shift of the mortality cases from the younger age to the older age groups;

Significant increase of the average life expectancy (up around to 30 years);

- Absence of the family regulation of the child birth and the high birth rate;

¹ G. Tsuladze, *Issues of Birth Sociology*, Tbilisi, 184, p. 151.

- Slow rate of increase in the number of population (annual average 0.03 – 0.04%) due to the high mortality rate¹.
- Relatively smaller period of its effectiveness (it was the case until XVII century though in some countries it was observed in XX century).

The main characters of the traditional type of the population reproduction are as follows:

- Decrease in the demand on having the children (the desired number of children in the family) and lowering the set of reproduction;
- The family regulation of the child birth. The birth of the child becomes the result of the conscious choice of the person which is a new character, different from the prior stages;
- Gradual overcome of the exogenic reasons of mortality with the endogenic reasons coming to the fore, and unlike the prior types the low rate of mortality, which is characterized by some tendency of growth compared with the demological ageing of the population;
- Significant growth in the average life expectancy (it increased to 68 years of age by 2007 all over the world);
- Extremely low rate of birth and in a number of cases such a rate conditions the depopulation;
- The demological ageing and the increase of the burden on the employed people who are capable to work;

¹ G. Tsuladze, N. Maghlaperidze, A. Sulaberidze, Demography (Textbook), Tbilisi, 2007. p. 22

- The trend of decreased rate and level of natural growth of population is established;

Gradual move from the extensive type of population reproduction to the intensive one and achieve the significant natural growth with spending relatively less resources. The high economy of the population reproduction regime.

These characteristics of modern type of population reproduction express the general content of this type but on its own it consists of several phases:

At the first phase the rate of decrease in the general coefficient of mortality exceeds the rate of decrease in the general coefficient of birth; at the second phase both the mortality and birth coefficients decrease with the latter exceeding the first; at the third phase the general coefficient of mortality increases to some degree; at the fourth phase the general coefficient of mortality is on increase and reaches the general coefficient of birth resulting in the demological stabilization.

After the completion of the fourth phase such a step of demological development is expected this is characterized by the strengthening the increase in the mortality rate, continued decrease of birth and eventually the depopulation. To my opinion, similar to the opinion of certain authors, this step is the fifth phase of the modern type of population reproduction rather than an independent, the most recent type of the population reproduction, as it is considered by several authors.

3. The law of unwavering increase in the number of population. After the Birth of Christ up to present (during 2007 year) the number of the world population has immensely increased by around 6.3 billion people, or by 20.3 times. Besides, the increasing trend was of invariable character (this trend is currently maintained). The only exceptions were the years of 1348-1350 when due to the outbreak of plague the number of population decreased instantly (almost by 5 times). Though the World War II brought the death toll up to 59 mln

people, the natural growth process of the population was maintained during that period.

What are the forecasts? Considering the pace of current reproduction, it will take only 42 years in the developing regions of the world to double the current number of the population (incl. the Central Africa 23 years and the West Africa – 25 years), and in the developed regions it will take 809 years (incl. the South Europe – 2121 years).

According to the forecasts of the UN experts the population in the world in the first half of XXI century will be increased by 53.3 percent and by 2050 it will reach 9 billion 294 mln (by 2025 it will be 7 billion 965 mln). But it will not be increased equally in all the regions. Different paces of reproduction will significantly and even more deepen the unequal territorial relocations of the population. In accordance with the forecasts of the specialists, compared with 2000 the number of population will be increased only by 75 mln people by 2050, i.e. by 6.3 percent in the developed regions and by 3 billion 153 mln people, i.e. by 64.5 % in the developing regions. By the continents such changes are expected: the population will be increased by 2.4 % in Africa, by 46% in Asia, and by 51% in the North America, by 53% in the Latin America and in Europe it will be decreased by 8.1 percent. As a result of this the territorial reallocations of the population all over the world will be changed. In the absolute terms notwithstanding the significant increase the share of the population in Asia will be decreased by 2.8 percent and that of the Europe by 4.8 percent, while the share of the population of Africa will be increased by 6.2 percent and will reach 21 percent (instead of 13.2 percent in 2000).

Thus, consideration of the dynamics of the population by the regional aspect shows increase as well as gaps, decrease in certain areas. Does it contradict the concept about the law of invariable growth of the population I have proposed? I think it does not. As I have mentioned above, the demological law applies to the reproduction of population not to a certain region or a country, but to the trends and

regularities that are characteristic to the development of the population throughout the world and the stable and constantly occurring causative links emerged as a result of the ongoing events and processes at the global level. In this respect everything is in order.

Though there is still another, relatively stronger argument that may cast a doubt on the reality of the demological law of invariable growth of the population. I mean the number of the population in the remote future. According to the expert estimates of the UN experts, not to say anything about the developed regions of the world, the population in African and Asian countries, i.e. all over the world, will stop increasing in XXII century¹.

Even if these predictions come true, it will not cast doubt on the conception of invariable growth of the number of the population as the effect of the demological law are determined by the existence of the relevant circumstances and if these factors (conditions) do not exist or are changed or do not exist any longer the law will be consequently transformed or its effectiveness will be stopped. Thus in this specific case any contradiction of misunderstanding are excluded.

4. The law of increase of average life expectancy. Life expectancy of human being is not indefinite. He is also coded biologically. The body of absolutely healthy person gets old, feeble, wears out and dies, i.e. the biological death is indispensable. There has never been a case when any of human beings lived even 200 hundred years.

In this respect, the question arises: if it is the case (which is beyond any doubt) what basis do we have to consider the increase of average life expectancy to be the demological law? The ground is that the average life expectancy all over the world used to be less in the past than it is now and it will be still longer in future. Moreover, this process has not temporary and occasional character but is of logically consistent, irreversible and stable character.

Such a conclusion is completely confirmed by the factual data. For instance (by the data of E. Rosset) the average life expectancy of

¹ Population. Encyclopaedic Dictionary, M., 1994, p. 556.

human being in the iron and the bronze age was 20 years, in the ancient world and in the mid centuries it equalled to 20-30 years, in XVI-XVIII centuries it equalled 25-35 years, in XIX century – 30-35 years. This indicator in 2008 achieved 68.1 years.

It does not mean that the life expectancy and its pace in all the regions, continents or countries is the same. Just contrary, it is characterized by quite a high level of contrast. This indicator was higher in 2007 compared with 1975-1970: all over the world it was 28.3 %, in East and South Asia – 40.4 %, in Africa – 21 %, in North America – 11.4 %, in Latin America – 20 % and in Europe – 5.6 %.

Notwithstanding such a diversification of the indicators the conclusion on formulating the growth of the average life expectancy of the people in future as the demological law is in effect as long as the average life expectancy in the territorial entities mentioned here, and in all the other ones, increases systematically and will be on increase in future. The main condition of longer life expectancy is the reduction in mortality (especially in the infants) which on its own depends on such factors as: increase the living standards of the population; the development of the medical science and further development of the means of treatment; the development of the resort facilities and tourism, the organization of the rest of the citizens, widely spread physical culture and sports; impose effective sanitary measures, increase the level of hygienic culture, establish the self-preservation behaviour, etc.

5. The law of gender correlation. Considering the stages (the age) of human life the primary, secondary and the tertiary correlation are distinguished. The primary correlation refers to the ration of the girls and boys at the stage of conception of impregnation, the secondary correlation refers to the correlation at the birth stage and the tertiary correlation refers to the reproduction stage. The latter two stages (especially the tertiary equilibrium) are of interest for the science of demology. According to the researches it is established that at the stage of conception the estimate of the gender correlation is as follows: per 100 girls comes on average 125-130 boys. According to

the opinion of the specialists due to less development of the boy fetuses by the moment of child birth the correlation changes and per 1000 girls comes on average 105-106 boys. At different times and in different regions all over the world such correlation, as usually, is stable and unchangeable.

The quantitative correlation between the genders starts to be changed gradually at the first year of life and in the following age groups the correlation of boys and girls becomes equal and in the following age groups the share of women exceeds that of men. If we judge according to 2007 data the share of girls equaled that of boys at the age of 20-24 and in the older age groups the share of women exceeded that of the men at the increasing pace. Compared with the boys the increased share of the women accounted for 4.2 percentage points at the age of 35-39, at the age of 45-49 it amounted to 7.0 percentage points and at the age of 55-59 it amounted to 9.2 percentage points, at the age of 65-69 it amounted to 17.0 percentage points, at the age of 75-79 it equaled 23.3 percentage points and at the older age it amounted to 57.2 percentage points.

Thus, the above described qualitative correlations between the genders is not only of casual and temporary character but they have such a solid basis, that notwithstanding time and space gives it an indispensable, constantly and throughout centuries repeatedly occurring character with clearly defined trend. In other words, such correlations have been around from the very beginning and will be maintained in future as well. It is a universal law, that's why I included it in the composition of general demological laws.

Special Demological Laws

1. The law of diminishing birth. From the beginning of the mankind, throughout centuries, before the modern type of population set in, the high mortality and high birth was characteristic for the

change of generations. At that time there was neither a need nor a possibility to reduce the mortality rate.

The situation has radically changed since the fundamental changes in the mortality indicator. Here we refer mainly to the gradual decrease of the mortality due to the exogenic factors, dependence of the mortality on endogenic factors to a greater extent and generally the significant decrease in the total mortality coefficient (especially that of the infants). Under such circumstances it was not necessary to maintain the high birth rate.

- повышение экономической и социально-демографической нагрузки трудоспособных, особенно фактически работающих, в связи с деформацией возрастной структуры населения. Если оценить по классификации Э.Россета, можно отметить, что население Грузии в настоящее время находится на нижнем пределе «средней социально-демографической нагрузки», но нагрузка фактически работающих (занятых) намного превышает нижний предел «очень высокой нагрузки»;

- неполное использование экономического потенциала страны и увеличение объема непроедленного валового внутреннего продукта из-за роста смертности и внешней миграции в трудоспособном возрасте.

Все это свидетельствует о том, что необходимо эти негативные явления регулировать на государственном уровне. Имеется в виду последовательное осуществление в стране, с учетом региональных особенностей, активной демографической и семейной политики.

The aggravation of the Demographic Situation in Georgia During the Last Century

Summary

The negative tendencies of the demographic development in Georgia have existed for a long period of history, but since the early 1990-s this process has sharpened and developed into a vivid crisis. In 2000 the natural increase in population of Georgia compared to 1990 (for every 1000 person) reduced 8.6 times and became equal to the index (1 promile) which is characteristic of the developed regions of the world.

Together other negative processes, the demographic aging of population of Georgia is at its high speed. The specific weight of the people aged 65 and more elderly ones ration to the total number of the population in 1990 accounted for 9.1 percent, in 2000 this index rose till 14.3 percent, while the classification made by NATO experts states the aging limit of this group not more then 7 percent.

That's why, it is necessary to carry out the State Demographic Politics by taking into account regional peculiarities.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში

რეზიუმე

დემოგრაფიული განვითარების ნეგატიურ ტენდენციებს საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ამ პროცესმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო და აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოში 2000 წელს 1990 წელთან შედარებით (ყო-

ველ 1000 კაცზე გაანგარიშებით) 8.6-ჯერ შემცირდა და მსოფლიოს განვითარებული რეგიონის შესაბამის მაჩვენებელს (1 პრომილეს) გაუთანაბრდა.

საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილი 1990 წელს 9.1%-ს შეადგენდა, 2000 წელს კი 14.3%-მდე ავიდა, მაშინ როცა გაეროს ექსპერტთა კლასიფიკაციით, დაბერების ზღვრად ამ ასაკის მოსახლეობის 7% ითვლება.

აი, რატომ არის აუცილებელი, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით, აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება.

იხ. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის წელიწადეული“, თბილისი, 2002.

Тенденции и перспективы демографического развития в странах Южного Кавказа

Резюме

Демографическое развитие в странах Южного Кавказа (Азербайджане, Армении и Грузии) характеризуется как общими закономерностями, так и специфическими особенностями. Едиными для этих государств являются ухудшение демографического развития и возникновение негативных тенденций в воспроизводстве населения. Вместе с тем обращают на себя внимание различия в „демографическом поведении“ этих стран и контрасты в их основных демографических показателях. Это обусловлено прежде всего неодновременным переходом государств Южного Кавказа с традиционного типа воспроизводства населения на современный, а также религиозными убеждениями, традициями, обычаями, нынешними социально-экономическими условиями и т.д. Весомый вклад в регулирование демографических процессов может внести реализация активной государственной демографической политики, разработанной с учетом особенностей региона и его стран.

Вступление

Среди острых глобальных вопросов, беспокоящих сегодня человечество, демографическая проблема занимает одно из первых мест. В самом общем виде под демографической проблемой подразумеваются сложности, связанные с воспроизводством населения в относительно слаборазвитых регионах мира и с депопуляцией - в развитых государствах.

В этом контексте не представляет исключения и Южный Кавказ. Процесс воспроизводства населения в странах региона характеризуется как общими закономерностями, так и отдельными особенностями. Общая закономерность - ухудшение демографической обстановки и появление негативных тенденций

в воспроизводстве населения. А из особенностей следует отметить несколько отличающееся в каждом государстве демографическое "поведение" и разнящийся уровень основных показателей в этой сфере. Такой вывод в значительной мере основан на научном анализе явлений и процессов, произошедших (и происходящих) в странах Южного Кавказа с 1990-х годов, а также на обобщении полученных результатов.

Рождаемость

Как известно, один из главных компонентов процесса воспроизводства населения - рождаемость. В расчете на 1 тыс. жителей в 1990 году она составляла в Азербайджане 26.3 чел., в Армении 22.5, в Грузии 17.0¹, а в 2006-м - 17, 13 и 12² соответственно.

Явно наблюдается не только сокращение рождаемости, но и выравнивание ее показателей по государствам, хотя разница между Азербайджаном, с одной стороны, Арменией и Грузией - с другой, пока остается существенной. Как мы уже отмечали, это можно объяснить в первую очередь неодновременным переходом стран Южного Кавказа с традиционного типа воспроизводства населения на современный. Имеется в виду, что под влиянием значительного ряда относительно новых факторов³ (повышение уровня образования и занятости женщин, рост требований к интеллектуальному воспитанию детей и т.д.) "сужается спрос" на детей в семье, и в то же время, благодаря применению более совершенных противозачаточных средств, внутрисемейное регулирование рождаемости достигается сравнительно легко. В Грузии демографический переход на современный тип воспроизводства населения (или его утверждение) начался почти на 100 лет раньше, чем в Азербайджане. Об этом свидетельствует и отличающееся от грузинского этноса

¹ См.: Содружество Независимых Государств в 1996 году. Статистический ежегодник. М., 1997. С. 14.

² Используемые в статье новейшие (2006 г.) демографические данные взяты из: World Population Data Sheet. 2006 Population Reference Bureau.

репродуктивное поведение проживающих в Грузии азербайджанцев. По данным департамента статистики Министерства экономического развития Грузии, общий коэффициент рождаемости в 2004 году составлял у грузин 11.5 промилле, у азербайджанцев - 16.1¹.

В такой контрастности показателей рождаемости по этническим группам значительную роль играет и религиозный фактор. Как выясняется, по сравнению с православием, ислам убедительнее внушает потенциальной матери, что искусственное прекращение беременности - большой грех, поэтому от него следует воздерживаться.

Весьма важный демографический показатель - суммарный коэффициент (количество детей в расчете на одну женщину на всем протяжении фертильного возраста). Тенденция к его уменьшению - сопутствующая закономерность развития человеческой цивилизации. В этом отношении Южный Кавказ не является исключением. Тем не менее данные показатели дифференцированы по странам. Согласно материалам функционирующего в Вашингтоне (США) Бюро населения мира (2006 г.), суммарный коэффициент рождаемости в Азербайджане равен 2.0 (или 200 детей в расчете на 100 женщин), в Армении - 1.7, в Грузии 1.4, когда как даже для простого воспроизводства населения этот показатель должен составлять 2.1 (в среднем - 210 детей в расчете на 100 женщин). Таким образом, если судить по нынешним темпам, то ни одна республика Южного Кавказа не в силах обеспечить в перспективе расширенное воспроизводство населения, хотя в этом отношении положение в Армении и в Азербайджане (особенно) несколько лучше, нежели в Грузии.

Снижение суммарного коэффициента рождаемости характерно не только для государств Южного Кавказа. Средний по развитым регионам мира суммарный коэффициент не превышает 1.6, а в отдельных странах он и того меньше. Например, в Южной Корее и на Тайване этот показатель составляет 1.1; в

¹ См.: Цуладзе Г., Маглаперидзе Н., Вадачгория А. Демографический ежегодник Грузии - 2004. Тбилиси, 2005. С. 177.

Украине, Беларуси и Словении - 1.2; в Японии, Германии, России, Италии, Литве, Латвии, Болгарии, Румынии, Греции, Молдове и Словакии - 1.3.

Социологическими исследованиями установлено, что в развивающихся государствах довольно большая часть женщин имеет намного больше детей, чем хотели бы. Например, в Кении женщины репродуктивного возраста желали бы иметь в среднем 4.2 ребенка, фактически имеют 6.5. Это указывает на то, что в данной стране еще не утвердился современный тип воспроизводства населения, вследствие чего не осуществляется внутрисемейное регулирование рождаемости (не используются контрацептивы).

По соотношению между желаемым и реальным числом детей, в Грузии и Армении наблюдается совершенно иная картина. Например, в Грузии - по сравнению с желаемым средним количеством детей в семье - фактически их почти на одного ребенка меньше (например, семья хотела бы иметь троих детей, но не собирается иметь больше одного или двоих). Основной причиной тому респонденты называют тяжелые социальные условия. Не менее тревожно и резкое сокращение даже желаемого количества детей в семье, то есть значительно уменьшилась потребность в детях.

По данным социологических исследований, в начале 1980-х годов в грузинских семьях желаемого числа детей было достаточно для хотя и незначительного, но все же расширенного воспроизводства населения. Однако реально ожидаемое количество детей не обеспечивало даже простого воспроизводства. А сегодня его не обеспечивает не только ожидаемое, но и желаемое количество детей, что требует глубокого научного изучения проблемы и реализации эффективных мероприятий.

Смертность

Наряду с рождаемостью темпы воспроизводства населения определяются и уровнем смертности. По мере развития челове-

чества последний показатель существенно улучшился, то есть снизился. Это обусловлено преодолением массовых эпидемий, разработкой новейших совершенных медикаментов, улучшением медицинского обслуживания и рядом других достижений. Тем не менее, по данным 2006 года, он еще остается высоким - в среднем в мире равен 9.0%, но в Армении - 10.6%, в Грузии - 11.8%. В этом плане среди государств Южного Кавказа исключение составляет лишь Азербайджан (5.5%), что, видимо, обусловлено неполным учетом.

В отличие от общего коэффициента, показатель смертности малолетних детей (количество младенцев, умерших в возрасте до одного года) носит более конкретный характер. Это, безусловно, очень важный параметр, который вполне справедливо называют одним из существенных индикаторов общественного развития в целом. В основном именно по его уровню судят о степени развития социальных систем, а также здравоохранения стран и регионов.

Что касается республик Южного Кавказа, то в этом плане (в расчете на 1 000 новорожденных в возрасте до одного года) в 2006 году в Азербайджане умерли 9, в Армении 26, в Грузии - 25 детей.

Для интерпретации этих показателей (т.е. для определения того, высоки они или напротив, низки) можно провести несколько сравнений. Так, в 2006 году из 1 000 новорожденных в возрасте до одного года в среднем в мире умерло 52 ребенка, в том числе в развивающихся государствах - 57, а в развитых - 6. Этот показатель наиболее высок в Африке (84%); далее следуют Азия (49%) и Латинская Америка (25%); сравнительно низкая детская смертность отмечена в Европе и в Северной Америке (7%). По отдельным странам наименьшая детская смертность наблюдалась в Сингапуре (2.1%), Швеции (2.4%), Японии (2.8%), Финляндии (3%), Франции (3.6%), Германии (3.9%) и т.д., что указывает на наличие огромных неиспользованных возможностей для улучшения положения в государствах Южного Кавказа.

Естественный прирост численности населения

Этот показатель зависит в первую очередь от соотношения между рождаемостью и смертностью. Когда первая стабильна и продолжительное время превышает вторую, то, как правило, гарантировано расширенное воспроизводство населения, и наоборот: если умирают больше, чем рождаются, то при иных равных условиях неизбежно депопуляция, то есть абсолютное сокращение численности населения. В связи с тем, что с 1990-х годов в странах Южного Кавказа рождаемость резко упала, а общий коэффициент смертности почти не изменился, естественный прирост населения значительно уменьшился. По сравнению с 1990 годом в 2006-м в Азербайджане он сократился с 20.2 до 11 промилле, в Армении - с 16.3 до 4, а в Грузии не только прекратился прирост, но, в сущности, начался процесс депопуляции.

Для более полного осмысления демографической ситуации в республиках Южного Кавказа рассмотрим сведения по разным зонам и государствам мира. В настоящее время (по данным за 2006 г.) естественный прирост населения (в расчете на 1000 чел.) составляет на всей планете в среднем 12 чел., достигая в развивающихся регионах 15, а в развитом мире - только 1 чел. Явная депопуляция отмечается в Германии, Болгарии, Румынии, Словакии, Литве, Латвии, Эстонии, России, Украине, Беларуси и Молдове.

Анализ естественного движения населения в этническом разрезе демонстрирует довольно резкую контрастность показателей. Так, по данным департамента статистики Министерства экономического развития Грузии, в 2004 году естественный прирост проживающих в нашей стране азербайджанцев был равен 10.6 промилле, а грузинский и армянский этносы испытывали депопуляцию: их сокращение составило соответственно минус 0.3 и минус 0.1 промилле¹. Однако это не означает,

¹ См.: Цуладзе Г., Маглаперидзе Н., Вадачкория А. Указ.сб., С. 177.

что прирост населения среди проживающих в Грузии азербайджанцев (где в 2005 г. их удельный вес составлял 5.4%), выше, чем на исторической родине: их репродуктивное поведение почти одинаково и в Грузии, и в Азербайджане. В чем же причина столь резкого различия в репродуктивном поведении грузин и азербайджанцев?

Наряду с тем, что они находятся на разных уровнях демографического развития (об этом уже было сказано выше), причину, по нашему мнению, следует искать в обычаях, религиозных представлениях и традициях. В отличие от других стран Южного Кавказа, в Грузии остро стоит проблема рождения не то что третьего и последующего ребенка, но и второго. Например, в 2004 году в общем числе живорожденных детей удельный вес первого и второго ребенка составлял 88.5%, третьего и последующего - 11.5%, что указывает на увеличение количества малодетных семей. По данным социологического исследования, проведенного в 2003 году Институтом демографии и социологии Грузии, 1% респондентов считают одного ребенка желательным числом детей в семье, 20% - два, 52% - три и только 27% - больше трех детей. Еще тревожнее то, что в основном из-за тяжелых социальных условий (преимущественно среди беженцев из Абхазии и Цхинвальского региона) рождение первого ребенка, даже само бракосочетание нередко откладывается на неопределенное время, негативные последствия чего станут более наглядными в будущем - когда появившееся ныне поколение достигнет фертильного возраста.

Резкое снижение показателя бракосочетаний также указывает на негативные демографические тенденции, сложившиеся в государствах Южного Кавказа. По сравнению с 1990 годом, в 1996 году в Азербайджане количество бракосочетаний сократилось с 10.5 до 5.1 промилле, в Армении - с 8 до 3.8, в Грузии - с 6.7 до 3.6. Что же касается числа разводов, то этот показатель ниже одного промилле во всех государствах региона, что свидетельствует о сравнительной прочности семей.

По подсчетам Бюро населения мира, предположительные перспективы воспроизводства населения в странах Южного Кавказа таковы: по сравнению с 2006 годом, к 2050-му

численность населения Азербайджана увеличится на 36.5% и достигнет 11.6 млн. чел., в Армении - на 13% и составит 3.4 млн, а в Грузии уменьшится на 1.4 млн. чел. и снизится до 3 млн чел. В результате этого соотношение государств региона по численности населения значительно изменится: удельный вес Азербайджана возрастет до 64.4%, Армении - до 18.9%, а Грузии - сократится до 16.7%, тогда как в 1960 году этот "расклад" выглядел следующим образом: Азербайджан 39.2, Армения - 18.6, Грузия - 42.2.

Репродукция населения и увеличение его численности не является панацеей. Данная проблема актуальна прежде всего для наций, испытывающих депопуляцию (или находящихся на ее грани), которым - хотя бы в весьма отдаленной перспективе угрожает вымирание. Несмотря на это, перепроизводство населения (доведение его численности в республиках Южного Кавказа в целом, скажем, до 60 млн) не просто нежелательно, но и чревато не меньшими бедами, чем депопуляция. Необходимо стремиться к демографическому оптимуму. Имеется в виду такая численность населения, которая сделает возможными нормальную смену поколений, рациональное использование материальных средств производства, баланс трудовых ресурсов с рабочими местами, максимальную эффективность производства, полное удовлетворение разумных материальных и культурных потребностей всего общества и каждого его члена, свободное, всестороннее развитие личности. Мы подчеркиваем это, потому что больше значения следует придавать не количественной, а качественной стороне демографических процессов, имея в виду воспитание физически и духовно здоровых поколений, способных утвердить в регионе мир и всеобщее благосостояние.

Демографическое старение

Среди демографических процессов особого внимания заслуживает демографическое старение. Его вполне закономерно считают одной из главных дилемм современности. Эксперты

ООН предлагают классификацию, построенную на основе трехступенчатой шкалы: если в общей численности населения удельный вес людей в возрасте 65 лет и старше ниже 4%, то оно считается молодым, от 4% до 7% - находящимся на грани старости, а выше 7% - постаревшим¹.

По данным Бюро населения мира за 2006 год, Азербайджан сегодня находится на грани старения (7%), Армения (11%) и особенно Грузия (13%) - страны с демографически постаревшим населением. Этот процесс обусловлен воздействием двух слагаемых: уменьшением показателей рождаемости (старение снизу) и сравнительно высокой продолжительностью жизни (старение сверху).

Мы уже приводили данные, свидетельствующие о низком уровне рождаемости и его продолжающемся снижении в отдельных государствах. Что же касается ожидаемой средней продолжительности жизни, то в республиках Южного Кавказа она составляет 71-72 года, в относительно слаборазвитых странах мира в среднем не превышает 65 лет (в Южной Африке - 46). Наряду с высокой рождаемостью именно в значительной мере этим объясняется то, что развивающиеся регионы планеты демографически "моложе". В государствах данной группы удельный вес численности населения в возрасте 65 лет и старше составляет лишь 5%.

По странам Южного Кавказа довольно существенно различается доля молодой части населения (до 15 лет). В результате пока еще высокого уровня рождаемости этот показатель достаточно солидно выглядит в Азербайджане (24%) и Армении (22%), в Грузии он несколько скромнее - 19%.

Демографическое старение закономерность современного общественного развития. По прогнозным данным, в обозримой перспективе большинство развитых государств мира окажутся демографически постаревшими (например, к 2050 г. удельный вес численности населения в возрасте 65 лет и старше в Германии и Бельгии достигнет 28%, в Австрии и

¹ См.: Демографический энциклопедический словарь. М., 1985. С. 117.

Швейцарии - 30%, в Греции - 34%, в Испании - 37% и т.д.),¹ но богатыми (высокая пенсия, комфортные условия жизни и т.п.), а большая часть развивающихся стран - демографически молодыми, но бедными. Если говорить о республиках Южного Кавказа, то Армения и Грузия из этого контекста выпадают, поскольку они уже находятся на стадии демографической старости и довольно долго будут сравнительно бедными. По данным Всемирного банка, в 2005 году валовой национальный доход, конвертированный по паритету покупательной способности (ППС), составил в Армении 5 080 долл., в Азербайджане - 4 890, в Грузии - 3 270 долл.² Несмотря на довольно существенный экономический рост, наблюдающий в последние годы, страны региона еще не достигли среднемирового уровня душевого ВВП (в 2006 г. он был равен 10 тыс. долл.). Согласно данным ЦРУ, в отмеченном году валовой внутренний продукт на душу населения, пересчитанный по ППС, в Азербайджане составил 7 300 долл., в Армении - 5 400, в Грузии - 3 800 долл.³

Что касается тенденций, сложившихся в государствах Южного Кавказа (прежде всего, в Грузии и Армении) в воспроизводстве населения, порождающих негативные социально-экономические последствия, отметим следующие аспекты:

— резкое увеличение социально-демографической нагрузки занятых трудоспособных граждан, что обуславливает напряженность в отношениях между поколениями, создавая почву для их противопоставления. Вместе с тем наблюдается негативная тенденция к постепенному сокращению удельного веса численности детей до 15 лет и росту доли населения пен-

¹ См.: Тошляев А. Демографическая ситуация в странах СНГ (к 10-летию образования Содружества). Население и общество. Информационный бюллетень центра демографии и экономики человека Института народнохозяйственного прогнозирования Российской академии наук, апрель 2002, №61.

² См.: [<http://siteresources.worldbank.org/DATASTATISTICS/Resuources/GNIPC.pdf>].

³ См.: CIA The World Factbook, Rank Order, GDP per capita (ppp) [<https://www.cia.gov/cia/publikations/factbook/rankorder/2004rank.html>].

сионного возраста, что увеличивает социально-демографическую нагрузку работающих;

– повышение уровня экономической нагрузки занятых. Это обусловлено не только систематическим ростом количества и доли пенсионеров среди населения в целом, но и тем, что так же неукоснительно повышаются их потребности (к тому же специфические), выражающиеся как в количественных, так и в качественных параметрах. Следует отметить, что медицинское обслуживание 75-летнего гражданина обходится почти в 10 раз дороже, нежели пациента в возрасте 40 лет. В силу этого специалисты считают старение населения дорогостоящим феноменом;

– интенсивная смертность в трудоспособном возрасте и расширение внешней миграции, приводящие к неполному использованию экономического потенциала стран и росту объема в них недопроизведенного валового внутреннего продукта.

Приостановлению и постепенному преодолению вышеуказанных и других (аналогичных) социально-экономических процессов, может весьма способствовать реализация научно разработанной активной государственной демографической политики, учитывающей особенности страны.

См.: Журнал социально-политических и экономических исследований – „Кавказ и глобализация“, том 1 (2), 2007, Швеция.

დემოგრაფიული მდგომარეობა კავკასიაში

ოთხმოციანი წლების დასასრულისათვის კავკასიის¹ ტერიტორიის 58 პროცენტამდე და მოსახლეობის 44 პროცენტი მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიაზე, ხოლო დანარჩენი ამიერკავკასიაზე, რომელშიც მოსახლეობის ხვედრითი წონით პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი (44.9 პროცენტი), მეორეზე – საქართველო (34.9 პროცენტი) და მესამეზე – სომხეთი (20.2 პროცენტი).

მცირემიწიანობის გამო, თითოეულ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვით გამოირჩევა ამიერკავკასია (85.3 მცხოვრები 1 კმ²-ზე), განსაკუთრებით სომხეთი (110.5 მცხოვრები 1 კმ²-ზე), თუმცა რესპუბლიკების შიგნით არის უფრო მჭიდროდ დასახლებული ცალკეული რეგიონებიც (მაგალითად, საქართველოში ასეთი რეგიონია აჭარა, სადაც ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდის 127-ზე მეტი მცხოვრები). კავკასიის რეგიონებს შორის მოსახლეობის ყველაზე დაბალი სიმჭიდროვეა სტავროპოლის მხარესა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ურბანიზაციის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს კავკასიაშიც, სადაც დღეისათვის მოსახლეობის 57 პროცენტი ცხოვრობს ქალაქად, 43 პროცენტი კი – სოფლად. ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის თვალსაზრისით საშუალოზე უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ სომხეთს, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ ოსეთს, საშუალოზე რამდენადმე დაბალი კი – საქართველოს, აზერბაიჯანს, სტავროპოლისა და კრასნოდარის

¹ კავკასიის შემადგენლობაში ნაგულისხმევი: ამიერკავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და ჩრდილოეთ კავკასია (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთი და ინგუშეთი). ჩეჩნეთი და ინგუშეთი ოთხმოციანი წლების დასასრულისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ერთიმეორისაგან, ამიტომ მონაცემები მათ შესახებ მოტანილია ერთად.

მხარეებს. იგი განსაკუთრებით დაბალია დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.

აღსანიშნავია, რომ თბილისში ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის 23 პროცენტი, ბაქოში – 25, ხოლო ერევანში – 37 პროცენტი, რაც, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე და საერთოდ მოსახლეობის კვლავწარმოებაზე.

კავკასიის მოსახლეობა მრავალეროვნულობით ხასიათდება (მაგალითად, საქართველოში 80-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს), მაგრამ მის თითოეულ რეგიონში მეტ-ნაკლები ზომით მთავარ როლს მკვიდრი ერები – ძირძველი მოსახლეობა ასრულებს. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, სომხეთში მოსახლეობის 93.3 პროცენტს შეადგენენ სომხები, აზერბაიჯანში – 81.6 პროცენტს აზერბაიჯანელები, ხოლო საქართველოში ქართველების ხვედრითი წილი 70.1 პროცენტს არ აღემატება. ესეც უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე (1940-1989 წწ.) ეროვნულ სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა (ქართველების ხვედრითი წილის 8.7 პროცენტული პუნქტით ამადღებამ) განაპირობა, რაც, თავის მხრივ, მიგრაციული პროცესებით (არაქართველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებით) იყო გამოწვეული.

დემოგრაფიული ქცევის თითოეული ერისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამო, დროთა ვითარებაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის მოსახლეობის სტრუქტურა ეროვნებებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. მაგალითად, 1959-1989 წწ. კავკასიის მოსახლეობაში ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირდა 1.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო ამიერკავკასიისა შესაბამისად გაიზარდა, რაც ძირითადად აზერბაიჯანის მოსახლეობის შედარებით სწრაფი ტემპით (თითქმის 2-ჯერ) გადიდებამ განაპირობა.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის გასაშუალებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დაეინახავთ, რომ, ამიერკავკასიასთან შედარებით, ჩრდილოეთ კავკასიაში შობადობა გაცილებით დაბალი, ხოლო მოკვდაობა საგრძნობლად მაღალია, ამიტომ მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში სხვაობა 8.7 პრომილეს შეადგენს ამიერკავკასიის სასარგებლოდ. ამ საშუალო მაჩვენებლის მიღმა ბევრი საგულისხმო ნიუანსი შეიმჩნევა. კერძოდ, მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო მაჩვენებელს აღემატება ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, სომხეთის, განსაკუთრებით დაღესტნისა და აზერბაიჯანის (დაახლოებით 2-ჯერ), ხოლო საკმაოდ მკვეთრად ჩამორჩება საქართველოს, ჩრდილოეთ ოსეთის, სტავროპოლის მხარისა და განსაკუთრებით კრასნოდარის მხარის (6.5-ჯერ) შესაბამისი მაჩვენებლები. ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ქვემოთ მოტანილი სტატისტიკური მასალა (ცხრილი 1).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, შობადობის დონე განსხვავებულია არა მარტო ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, არამედ თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვითაც. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, სოფლის მოსახლეობის შობადობა მაღალია კავკასიის ყველა რეგიონში, ჩრდილოეთ ოსეთის გარდა (სადაც იგი ქალაქის შესაბამის მაჩვენებელს ჩამორჩება 0.8 პროცენტული პუნქტით), ასევეა მოკვდაობაც (გამონაკლისია ჩეჩნეთ-ინგუშეთი, სადაც გარდაცვლილთა რიცხვი სოფლის მოსახლეობაში 2.3 პროცენტული პუნქტით დაბალია ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით).

შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ზოგადი
კოეფიციენტები (მოსახლეობის 1000 სულზე, 1989 წ.)^{*}

ცხრილი 1

კავკასიის ტერიტორიული ერთეულები	დაბადებულთა რიცხვი			გარდაცვლილთა რიცხვი			ბუნებრივი მატება		
	მთელი მოსახლეობა	მათ შორის		მთელი მოსახლეობა	მათ შორის		მთელი მოსახლეობა	მათ შორის	
		ქალაქის	სოფლის		ქალაქის	სოფლის		ქალაქის	სოფლის
ამიერკავკასია	22.0	20.1	24.6	7.1	6.7	7.6	14.9	13.4	17.0
მათ შორის:									
საქართველო	16.7	16.2	14.4	8.6	7.8	4.7	8.1	8.4	7.7
აზერბაიჯანი	26.4	23.1	30.1	6.4	6.2	6.6	20.0	16.9	23.5
სომხეთი	21.6	20.0	25.3	6.0	5.7	6.6	15.6	14.3	18.7
ჩრდ. კავკასია	16.6	15.1	12.4	10.7	10.5	11.0	6.2	4.6	8.4
მათ შორის:									
კრანოდარის მხარე	14.0	13.6	14.4	12.4	11.7	13.2	1.6	1.9	1.2
სტაეროპოლის მხარე	15.9	14.3	17.7	10.6	10.1	11.1	5.3	4.2	6.6
დაღესტანი	27.4	24.1	3.0	6.4	5.7	7.0	21.0	18.4	23.0
უბარდობალყარეთი	21.1	18.4	25.4	3.9	8.3	8.8	12.7	10.1	16.6
ჩრდ. ოსეთი	18.5	18.3	7.5	9.5	3.3	9.8	8.5	9.0	7.7
ჩეჩნეთ-ინგუშეთი	24.6	18.9	28.7	8.4	9.8	7.5	16.2	9.1	21.2

* ცხრილი შედგენილია საბჭოთა კავშირის დემოგრაფიული წელიწადული 1990 წელს, მ., 1990, გვ. 150, 152, 156, 158, 162, 164-ის საფუძველზე.

იმის გამო, რომ სოფლის მოსახლეობის შობადობის მაჩვენებელი უფრო მეტად აღემატება ქალაქის მოსახლეობისას, ვინემ მოკვდაობის მაჩვენებელი, მეტწილ ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, რამდენადმე უფრო მაღალია სოფლის მოსახლეობაში. ასეთი მდგომარეობაა აზერბაიჯანში, სომხეთში, სტავროპოლის მხარეში, დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში. სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება ჩამორჩება ქალაქისას საქართველოში, კრასნოდარის მხარესა და ჩრდილოეთ ოსეთში, რაც განპირობებულია მათ ტერიტორიაზე სოფლად როგორც შობადობის შედარებით დაბალი, ისე მოკვდაობის რამდენადმე უფრო მაღალი დონით.

ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის თავისებურებებზე კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა კავკასიის მთავარ ქალაქებში მოსახლეობის კვლავწარმოების მონაცემები. მაგალითად, მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება შედარებით მაღალია (17.2%) მხოლოდ მახაჩკალაში, დანარჩენ ქალაქებში (მეტწილად დედაქალაქებში) იგი დაბალია და შეადგენს (პრომილებში): კრასნოდარში 2.6, თბილისში - 6.1, სტავროპოლში - 6.5. გროზნოში - 6.7, ნალჩიკში - 8.4, ვლადიკავკაზში - 8.7, ბაქოში - 12.4, ერევანში - 12.5.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი აზერბაიჯანელებისა აზერბაიჯანში და სომხებისა სომხეთში საშუალო მაჩვენებლებს აღემატება (შესაბამისად, 3.1 და 13 პრომილით), მაშინ როდესაც ქართველებისა საქართველოში, პირიქით, საშუალო მაჩვენებელზე 0.5 პრომილით უფრო დაბალია. ეს აიხსნება იმით, რომ ძირითადი (მკვიდრი) მოსახლეობა აზერბაიჯანსა და სომხეთში უფრო სწრაფად მრავლდება, ვინემ

მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არამკვიდრი ვრები, საქართველოში კი საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა, აქ ქართველებზე უფრო სწრაფად მრავლდებიან აზერბაიჯანელები, სომხები, ქურთები და სხვ.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე შობადობის (და, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის ბუნებრივი მატების) შემცირება მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერებაა. ამას განსაზღვრავს მისი გამომწვევი მიზეზების (მეტწილად, შობადობის შიგა ოჯახური რეგულირების) ყველა ქვეყანაში ძირითადად ერთგვაროვნება, თუმცა ზოგიერთ მათგანს ცალკეულ რესპუბლიკებსა თუ მხარეებში (რელიგიასთან, ტრადიციასთან, ზნე-ჩვეულებებთან და სხვა სპეციფიკურ ფაქტორებთან დაკავშირებით) თავისებურება ახასიათებს. 1990-1993 წლებში მათ დაემატა უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ეთნოკონფლიქტები, უმუშევრობის ზრდა, ნარკომანიის, ბანდიტიზმისა და მოსახლეობის ძარცვა-აწიოკების მასობრივი ხასიათი, სტიქიური უბედურებებით გამოწვეული იძულებითი მიგრაცია, ბუნებრივი გარემოს ძლიერი ეკოლოგიური გაბინძურება, ხშირი ავტოკატასტროფები და სხვ.

მოსახლეობის კვლავწარმოების თვალსაზრისით, ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი. სპეციალისტთა მიერ დადგენილია, რომ თუ იგი ერთზე მეტია, ადგილი აქვს მოსახლეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას, თუ ერთის ტოლია – მარტივს, ხოლო თუ ერთზე ნაკლებია – შეკვეცილ კვლავწარმოებას. როცა ნეტო-კოეფიციენტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთზე ნაკლებია, იწყება დემოპულაცია და მოსახლეობის რიცხვი აბსოლუტურად მცირდება. აი, როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ამიერკავკასიაში (ცხრილი 2).

მოსახლეობის კვლავწარმოების ჯამობრივი და წმინდა (ნეტო) კოეფიციენტები ამიერკავკასიის ცალკეულ რეგიონებში

ცხრილი 2

ქვეყნები	1978-1979 წწ.			1989 წ.		
	მთელი მოსახ.	ქალაქის მოსახ.	სოფლის მოსახ.	მთელი მოსახ.	ქალაქის მოსახ.	სოფლის მოსახ.
საქართველო						
ჯამობრივი კოეფიციენტი	2.300	2.070	2.613	2.136	1.957	2.376
ნეტო-კოეფიციენტი	1.074	0.971	1.214	1.003	0.921	1.014
აზერბაიჯანი						
ჯამობრივი კოეფიციენტი	3.469	2.718	4.660	2.761	2.422	3.213
ნეტო-კოეფიციენტი	1.551	1.254	2.022	1.267	1.136	1.442
სომხეთი						
ჯამობრივი კოეფიციენტი	2.427	2.145	3.167	2.611	2.414	3.029
ნეტო-კოეფიციენტი	1.124	1.002	1.440	1.231	1.141	1.422

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ოთხმოცია წლებში მოსახლეობის კვლავწარმოების ჯამობრივი და ნეტო კოეფიციენტები გაიზარდა სომხეთში (ქალაქის მოსახლეობის ხარჯზე) და შემცირდა საქართველოსა და აზერბაიჯანში, განსაკუთრებით, საქართველოს რესპუბლიკაში. აქ თუ 1978-1979 წწ. ყოველ 1000 დედას ცვლიდა 1074 ქალიშვილი, 1989 წ. ეს უკანასკნელი 1003-მდე დავიდა¹, ქალაქად კი ყოველ 1000 დედას ენაცვლებოდა მხო-

¹ 1990 წ. მონაცემებით, ანალოგიური მაჩვენებელი ტაჯიკეთში 2290-ია.

ლოდ 921 ქალიშვილი, რაც ურიად უარყოფითი მაჩვენებელია. კავკასიის რეგიონებიდან, მოსახლეობის კვლავწარმოების თვალსაზრისით, კრიტიკული მდგომარეობაა აგრეთვე კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში.

არასასურველ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ შესაბამისი ასაკის ყოველ ათას სულზე ქორწინების მაჩვენებლების დაცემა და განქორწინების მაჩვენებლის ზრდა. 1979-1989 წწ. ყოველ ათას სულზე დაქორწინებულთა რიცხვი საქართველოში 10.4-დან 7-მდე და სომხეთში – 10.7-დან 7.8-მდე შემცირდა. უმნიშვნელო (0.6 პუნქტით) ზრდას ჰქონდა ადგილი აზერბაიჯანში. რაც შეეხება განქორწინებას, აღნიშნულ პერიოდში იგი ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკაში იზრდებოდა. მაგალითად, საქართველოში თუ 1950 წელს ყოველ 73 ქორწინებაზე ერთი განქორწინება მოდიოდა, ამჟამად ყოველ 5 ქორწინებაზე მოდის ერთი განქორწინება. 1989 წლის მონაცემებით, საქართველოს რესპუბლიკაში 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 63.3 პროცენტი ქორწინებაში, 22.4 პროცენტი არასდროს ყოფილა ქორწინებაში, 10.7 პროცენტი ქვრივია, ხოლო 2.5 პროცენტი – განქორწინებული. ინტენსიურად იზრდება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წილიც.

კავკასიაში შემავალ მხარეებსა და რესპუბლიკებში ყოველ ათას სულზე გარდაცვლილთა რიცხოვნობა, განსაკუთრებით ერთ წლამდე ასაკის გადაცვლილ ჩვილ ბავშვთა რიცხვი, საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისგან. 1989 წლის მონაცემებით, მაგალითად, ჩეჩნეთ-ინგუშეთში მოსახლეობის ათას სულზე 2.2-ჯერ მეტი ჩვილი გარდაიცვალა, ვინემ ჩრდილოეთ ოსეთში. საერთოდ ჩვილთა გარდაცვალების შედარებით მაღალი დონე შეინიშნება ჩეჩნეთ-ინგუშეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში. ეს მაჩვენებელი ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, სოფლად უფრო დაბალია: საქართველოში (7.9 პრო-

მილეთი), კრასნოდარის მხარეში (1.9), სტავროპოლის მხარეში (3.5), ყაბარდო-ბალყარეთში (6.1). და, პირიქით, სოფლად უფრო მაღალია: აზერბაიჯანში (5.3), სომხეთში (1.7), დაღესტანში (3.8), ჩრდილოეთ ოსეთში (5.4) და ჩეჩნეთ-ინგუშეთში (5.5 პრომილეთი).

მოსახლეობის მოკვდაობის საერთო მაჩვენებელზე, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობის დონე, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსახლეობის ასკობრივი სტრუქტურა და სხვ. მასზე მოქმედი ფაქტორებიდან ზოგიერთი პირდაპირპროპორციულია, ხოლო ზოგიერთი – უკუპროპორციული. რაც შეეხება ჩვილ ბავშვთა მოკვდაობას, იგი ძირითადად სამედიცინო მომსახურების, კვებისა და მოვლა-პატრონობის დონით განისაზღვრება.

გოგონებთან შედარებით, ვაჟების მეტი ოდენობით დაბადება საერთო კანონზომიერებაა, მაგრამ მოზრდილ ასაკში, ვაჟების უფრო ხშირი გარდაცვალების გამო, ეს თანაფარდობა იცვლება და ქალთა ხევედრითი წილი უსწრებს ვაჟებისას. მაგალითად, 1989 წელს საქართველოში 15-49 წლის ასაკის მოსახლეობის 51.3 პროცენტს შეადგენდნენ ქალები, ხოლო 48.7 პროცენტს – მამაკაცები. შესაბამისი მაჩვენებლები იყო აზერბაიჯანში – 51.1 და 48.9, ხოლო სომხეთში – 50.8 და 49.2 პროცენტი.

ყველაზე მაღალ რეპროდუქტიულ ასაკში ასეთი სქესობრივი დისბალანსი უარყოფით გავლენას ახდენს ქორწინების მაჩვენებელზე, რამდენადაც ქალებს უჭირთ მეულღე-პარტნიორთა შერჩევა. თუ იმასაც გავითვალსიწინებთ, რომ ცაკეულ რეგიონებში ეს თანაფარდობა საშუალოზე უფრო მკვეთრადაა განსხვავებული, ადვილად შესამჩნევი ხდება ამ ფაქტორის უარყოფითი როლი მოსახლეობის კვლავწარმოებაში.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ პრობლემად მიიჩნევენ მოსახლეობის დემოგრაფი-

ულ დაბერებას. ხდება როგორც ეგრეთწოდებული „ქვემო-დან დაბერება“, ისე „დაბერება ზემოდან“. ცალკეულ გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს კავკასიაშიც. მაგალითად, 1979-1989 წწ. შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა: საქართველოში 2.1, სომხეთში – 2.5, აზერბაიჯანში – 0.9 პროცენტული პუნქტით და მიაღწია შესაბამისად, 17.3; 11.7 და 9.9 პროცენტს, რაც განპირობებულია ძირითადად, შობადობის განსხვავებული ტემპით კლების შედეგად, მოსახლეობის სხვადასხვა ინტენსივობით „ქვემოდან დაბერებით“. სხვა გარემოებებთან ერთად, მეტ-ნაკლები ზომით შობადობის ტემპის დაცემის შედეგია დინამიკაში შრომისუნარიანზე უფრო დაბალი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება. 1979-1989 წწ. ეს მაჩვენებელი შემცირდა: საქართველოში 1.5, აზერბაიჯანში – 3.4 და სომხეთში – 1.4 პროცენტული პუნქტით.

ორი უკანასკნელ აღწერებს შუა პერიოდში ასევე შემცირდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოსა და სომხეთში და რამდენადმე გაიზარდა აზერბაიჯანში, თუმცა იგი ამ უკანასკნელში, ორ დანარჩენთან შედარებით ჯერ კიდევ 0.9 პროცენტული პუნქტით უფრო დაბალია.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად. ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ სოფლის მოსახლეობაში შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 1979-1989 წწ. გაიზარდა საქართველოში 3.3, აზერბაიჯანში – 1.7, სომხეთში – 3 პროცენტული პუნქტით და მიაღწია შესაბამისად: 19.4; 9.7 და 13.1. ეს მონაცემები დამაფიქრებელია იმდენად, რამდენადაც, გაეროს დემოგრაფიული კლასიფიკაციით, მოსახლეობა დაბერებულად ითვლება, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა წილი 7

პროცენტზე მეტია და ახალგაზრდად ითვლება, თუ ეს მანვენებელი 4 პროცენტზე ნაკლებია.

როგორც არსებული მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, ცხოვრების ნორმალური პირობების უქონლობის გამო (ცალკეულ გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში), სოფელი თითქმის დაიცალა ახალგაზრდობისგან. სოფლიდან ქალაქისკენ მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობის) მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით იგრძნობა მაღალმთიანეთში. იყო დრო, როცა მტრისგან აწიოკებულ-დატანჯული ბარის მოსახლეობა მთას აფარებდა თავს, მთა და მისი ბარაქა კავკასიის თითქმის მთელ მოსახლეობას ინახავდა. ამჟამად რადიკალურად უკუპროცესს აქვს ადგილი. მთიანეთის მოუწყობელი ცხოვრება ბარისაკენ ერეკება ხალხს, რასაც თანსდევს მთაში დარჩენილ (ძირითადად ხანდაზმულთა) გამრავლების დაბალუნარიანობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაცემა.

ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია ამიერკავკასიის თითოეულ რეგიონში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება და მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის ადგილობრივი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით დარეგულირება.

იხ. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1993, № 8-9.

სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა ბავშვთა მოსახ- ლეობის აღწარმოებაზე

მოსახლეობის აღწარმოება უაღრესად რთული და მრავალაწახნაგოვანი ფენომენია. მას აქვს ბიოლოგიური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და კიდევ სხვა მრავალი ასპექტი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებია. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველს მატერიალური დოვლათის წარმოება შეადგენს.

მოსახლეობის აღწარმოება, უწინარეს ყოვლისა, თაობათა ცვლას გულისხმობს, რომელიც წარმოუდგენელია ადამიანთა კვების, ჩაცმა-დახურვის, გათბობის, ბინით უზრუნველყოფისა და სხვა მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო მოხმარების საგნების ფართო ასორტიმენტის სისტემატური წარმოების გარეშე. კაცობრიობას ისევე არ შეუძლია მატერიალური დოვლათის წარმოების შეწყვეტა, როგორც მისი მოხმარებისა, თანაც არა მარტო წლობით, არამედ რამდენიმე დღითაც კი. წარმოების თუნდაც ერთი დღით შეჩერება კაცობრიობისათვის კატასტროფის მაუწყებელი იქნებოდა. ამასთან, მოსახლეობაა მატერიალური დოვლათის მწარმოებელიცა და მომხმარებელიც. მოსახლეობის აღწარმოება და ეკონომიკა დიალექტიკურ ურთიერთკავშირიშია და ერთიმეორეს აპირობებს. ე.ი. ისე, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს ძალუძთ დემოგრაფიული განვითარების დაჩქარება ან შენელება, ასევე დემოგრაფიულ პროცესებს შეუძლიათ გარკვეული კორექტივები შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, დააჩქარონ ან დაამუხრუჭონ იგი. მხედველობაში გვაქვს საკმაო რაოდენობისა და კვალიფიკაციის მუშახელით სახალხო მეურნეობის უზრუნველხელყოფა, შრომისუნარიანთა სქესობრივი შედგენილობა, ქორწინების სიხშირე, შვილების

რიცხოვნობა, ფერიტილური ასაკის ქალთა დასაქმების ღონე და სხვ.¹

ეკონომიკისა და დემოგრაფიული განვითარების ძნელად შესამჩნევი მიზეზშედგობრივი დამოკიდებულების რთული პროცესების მეცნიერული შესწავლა ჯერჯერობით ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. ეკონომიკურ-დემოგრაფიული გაანგარიშებებისათვის მთავარია არა მარტო იმის დადგენა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მოვლენებს შორის,

¹ ალბათ, ამითაა განპირობებული ის, რომ მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შემსწავლელ მეცნიერებას – დემოგრაფიას მიიწვევენ ეკონომიკურ მეცნიერებათა განშტოებად. როგორც ცნობილია, ხანგრძლივი დროის მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციით, დემოგრაფიული პრობლემების გამოკვლევების საფუძველზე მაძიებელს, სთანადო პროცედურის გავლით, ენიჭებათ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. ცალკეული ქვეყნების ანალოგიურად, ასე იყო საბჭოთა იმპერიაში, ასეა დღევანდელ საქართველოშიც. რამდენად სწორია ეს?

დემოგრაფიული განვითარების ეკონომიკურ ასპექტებს იკვლევს ეკონომიკური დემოგრაფია მაგრამ, ამასთან ერთად, მას აქვს ბევრი სხვა ასპექტიც, რომელთაც სწავლობენ მეცნიერული დისციპლინები. დემოგრაფიის ზოგადი თეორია (დემოგრაფიის ზოგად თეორიული კურსი), დემოგრაფიის ისტორია, ისტორიული დემოგრაფია, დემოგრაფიული სტატისტიკა, მათემატიკური დემოგრაფია, დემოგრაფიული პროგნოზირება, რეგიონული დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია, ეთნიკური დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია, სამხედრო დემოგრაფია და სხვ. მათი ერთობლიობა ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში წარმოგიდგება დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემად (თითოეულ დემოგრაფიულ დისციპლინას თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს დემოგრაფიული ქცევის მეცნიერულ შესწავლაში და მხოლოდ ყველა ერთად იძლევა რამდენადმე სრულ წარმოდგენას მოსახლეობის აღწარმოების შესახებ). ამიტომ ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია გამოიყოს იგი დამოუკიდებელ მეცნიერულ სისტემად, ხოლო ამ კომპლექსური დარგის პრობლემების მეკლევარ-მაძიებლებს საჯარო დაცვის საფუძველზე მიენიჭოთ დემოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. ამით ბევრ უხერხულობას მოუყვსნით არაეკონომისტ-დემოგრაფებს, რომლებიც თავიანთ უშუალო სპეციალობაში შეიძლება ღრმად განსწავლულნი არიან, მაგრამ, საბაზო ეკონომიკური განათლების უქონლობის გამო, ეკონომიკურ პრობლემატიკაში ჯეროვანი სიღრმით ვერ ერკვევიან და პრინციპში ეს არც მოეთხოვებათ.

არამედ მათი ურთიერთგავლენის რაოდენობრივ პარამეტრებში გამოხატვაც. რაც ეკონომიკური დემოგრაფიის წინაშე დასმული ფრიად რთული, მაგრამ ამასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საპატიო ამოცანაა. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები რამდენადმე მოკრძალებულ, მაგრამ ნათლად გამოკვეთილ როლს ასრულებს რეპროდუქტიული ორიენტაციის ანუ საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების (სასურველი ბავშვთა რაოდენობის) ჩამოყალიბებაში. სპეციალისტთა დასკვნით 1-2 ბავშვზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებისას მთავარია შობადობის ფსიქოლოგიური მოტივები, სამ და მეტ ბავშვზე კი სოციალური და ეკონომიკური მოტივები.

რეპროდუქტიული ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომლის სტრუქტურა ასაკის შესაბამისად რამდენადმე განსხვავებულია მაგალითად, ბავშვთა ადრეულ (სკოლის) ასაკში, როდესაც არსებითად ეყრება საფუძველი რეპროდუქტიული ორიენტაციის ფორმირებას, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა გავლენა უმნიშვნელოა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ დროს ბავშვები მთლიანად მშობლების კმაყოფაზე იმყოფებიან და ნაკლებად შეუძლიათ წარმოიდგინონ ოჯახის მოწყობისა და შვილების აღზრდის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. დაოჯახების (დაქორწინების), განსაკუთრებით პირველი შვილის გაჩენის შემდეგ კი, როცა თითქმის მთლიანად მთავარდება საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა სრული სიძლიერით იჩენს თავს. ამ ეტაპზე მათ შედარებით ნათლად შეუძლიათ წარმოიდგინონ ცხოვრების ის პირობები, რომელშიც მოუხდებათ ბავშვთა აღზრდა; სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად ესეც განსაზღვრავს ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე რეპროდუქტიულ ორიენ-

ტაციას. ბუნებრივია, ეს გავლენა არაერთგვაროვანია ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების განსხვავებულ დონეთა შესაბამისად.

ბავშვთა ყოლის სასურველ რაოდენობას, როგორც წესი, ჩამორჩება მათი ფაქტიური და მოსალოდნელი რიცხოვნობა. მაგალითად, თბილისში (1988წ. ჩატარებული გამოკვლევის მონაცემით) ბავშვთა სასურველი რაოდენობა შეადგენს 2,61-ს, ხოლო მოსალოდნელი 2,32-ს რაც მნიშვნელოვანწილად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

მოსახლეობის აღწარმოებაზე მოქმედ სოციალურ ფაქტორთა შორის, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ქალთა დასაქმება. როგორც მოსახლეობის აღწერების მასალების ანალიზიდან ჩანს, შობადობა საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩაბმულ ქალებში რამდენადმე ჩამორჩება დიასახლისებისას.

ქალთა დასაქმებისა და შობადობის ტენდენციებსა და მათ ურთიერთ-თანაფარდობაზე წარმოდგენას იძლევა ჩვენი რესპუბლიკის ფაქტობრივი მონაცემები.

თანაფარდობა ქალთა დასაქმების დონესა და შობადობას შორის დინამიკაში*

ცხრილი 1

წლები	ქალთა ხვედრითი წილი მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვში (%-ობით)	შობადობა (პრომილებში)
1940	35.0	27.4
1960	40.0	24.7
1970	42.6	19.2
1980	45.6	17.7
1989	46.3	17.1

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მონაცემების საფუძველზე.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 15 წლისა და მეტი ასაკის დასაქმებულ (საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩაბმულ) ქალებში ბავშვთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 1,790-ს, ხოლო დაუსაქმებლებში (დიასახლისებში) – 2,201. დასაქმებულ და დაუსაქმებულ ქალთა შობადობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა განსაკუთრებით იგრძნობა 35-54 წლების ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც, გარდა ხანდაზმულობისა, დაბალი შობადობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სწორედ ქალთა დასაქმება გვევლინება. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ 20 წლამდე ასაკის ქალები.

დემოგრაფიულ პროცესებზე უარყოფითად მოქმედებს ქალთა არა თვითონ დასაქმება, არამედ ბავშვთა მოვლა-აღზრდისათვის საჭირო დროის დეფიციტი, რომელიც ქალთა საზოგადოებრივ და საოჯახო შრომით, ანუ ორმაგი დატვირთვითაა გამოწვეული. შობადობაზე ამ ფაქტორის უარყოფითი ზეგავლენის რამდენადმე განვლენება შეუძლია ხელსაყრელი პირობების შექმნას. კარგად მოწყობილი საბავშვო ბაგა-ბაღებით, გახანგრძლივებული დღის სკოლებით, სკოლა-ინტერნატებით, მომვლელებით, შინამოსამსახურეებით და ა.შ. საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფას, რომელთაც ძალუძთ ბავშვიანი ქალებისათვის საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში მონაწილეობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა. ამის კვალობაზე შესაძლებელია რეპროდუქტიული ასაკის დასაქმებულ ქალთა წრეში ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რაოდენობას შორის სხვაობის შემცირება და მისი მიახლოება იმავე ასაკის დაუსაქმებულ ქალთა შესაბამისი მაჩვენებლისათვის. ეს მომენტი ნათლად და ჯეროვანი სიღრმით უნდა აისახოს სახემწიფოს დემოგრაფიულ პოლიტიკაში.

სოციოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, რომ, რაც უფრო მაღალია ფერტილური ასაკის ქალთა განათ-

ლების დონე, მით უფრო დაბალია შობადობა, ე.ი ნაკლებია შეიღთა რიცხოვნობა. ამასთან, ხშირად განათლების მიღება ქორწინების გადავადების პირობა ხდება, რაც აუცილებელ გავლენას ახდენს შობადობის დონის შემცირებაზე¹.

15 წლისა და უფროსი ასაკის ქალების მიერ დაბადებულ ბავშვთა განაწილება განათლების დონის მიხედვით (შესაბამისი განათლების ყოველ 1000 ქალზე; მოსახლეობის 1989 წ. აღწერით)²

ცხრილი 2

	ბავშვთა რაოდენობა ფერტილური ასაკის ყველა ქალზე	ბავშვთა რაოდენობა ქალებზე, განათლების დონის შესაბამისად						ბავშვთა რაოდენობა ქალებზე; რომელთაც არა აქვთ დაწყებითი განათლება
		უმაღლესი	დამუშავებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო სოცადი	არასრული საშუალო	დაწყებითი	
საქართველო ყველა ქალი	1895	1404	701	1614	1778	1912	2978	3487
დასაქმებული ქალები (პირად დამხმარე შეურნეობაში დასაქმებულთა გარდა)	1755	1327	902	1525	1762	2534	2994	3229

¹ გ. ადგიშვილი, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის განმსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში. იხ. კრებული. სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები, ტ. 111, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 83.
² სტატისტიკური კრებული „საქართველოს ოჯახები“, თბ., 1992, გვ. 68.

თუ როგორი კავშირია განათლების დონესა და შობადობას შორის საკმაოდ ნათლად ჩანს საქართველოს მაგალითზე (ცხრ. 2).

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა, შობადობა განათლების არამქონე ქალებში თითქმის 2.5-ჯერ უფრო მაღალია, ვინემ უმაღლესი განათლების მქონე ქალებში. დაახლოებით ასეთივე სხვაობაა დასაქმებულ განათლების არამქონე და უმაღლესი განათლების მქონე ქალებს შორის.

ქალებში, რომლებიც უპირატესად გონებრივად შრომობენ, სჭარბობს უმაღლესი განათლების მქონენი და ისინი ძირითადად ცხოვრობენ ქალაქებში, უპირატესად. ფიზიკური შრომით დასაქმებულები კი შედარებით დაბალ-განათლებულები არიან და ცხოვრობენ მეტწილად სოფელში. ამიტომ შობადობა პირველ ჯგუფში გაცილებით დაბალია, ვინემ მეორეში. უპირატესად გონებრივად მომუშავე დედათა შორის ყველა თაობის მიხედვით შეილიანობა მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს. 1989 წელს იგი მხოლოდ უპირატესად ფიზიკური შრომით დასაქმებულ სოფლის ქალებს შორის შეადგენდა 2.370-ს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია განათლების უაღრესად მაღალ დონეს, უპირატესად გონებრივი შრომით დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდას მოითხოვს, რაც მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს ამ ფაქტორის უკუზემოქმედებას დემოგრაფიულ პროცესებზე.

ყოველივე ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ შობადობის ამაღლების ფაქტორია განათლების დაბალი დონის შენარჩუნება და ამიტომ იგი ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ საგნად უნდა მივიჩნიოთ. სინამდვილეში, ქალთა განათლების დონის ამაღლებას თან შეილთა რიცხოვნობის კლება სდევს იმიტომ, რომ რაც უფრო მეტადაა განათლებული რეპროდუქტიული და, მაშასადამე, შრომისუნა-

რიანი ასაკის ქალი, მით უფრო მეტადაა ჩაბმული იგი საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში და ნაკლებად იცლის ოჯახისათვის. შვილების მოვლა-პატრონობისათვის, თანაც, მეტ მოთხოვნებს უყენებს შვილების მაღალინტელექტუალურ აღზრდას (ბავშვები უნდა ატაროს უცხო ენების მასწავლებლებთან, მუსიკაზე, ცეკვაზე, სპორტულ წრეებში და ა.შ.). აღნიშნული გარემოებანი უარყოფითად მოქმედებს ქალის რეპროდუქტიული ორიენტაციის ფორმირებასა და სათანადო განწყობის ჩამოყალიბებაზე, ბავშვების სასურველი რაოდენობით გაჩენაზე. ცნობილი ინგლისელი დემოგრაფის ს. კოჩრენის აზრით, განათლება უშუალოდ კი არ მოქმედებს შობადობაზე. არამედ განათლებული ქალის სწრაფვა კარიერისაკენ ზღუდავს ბავშვთა შობის რაოდენობას.

მოსახლეობის აღწარმოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა. როცა ერთ ბინაში (ზოგჯერ ერთოთახიანშიც კი) მეუღლეთა რამდენიმე წყვილი (მშობლები და მათი შვილები თავიანთი მეუღლეებით) ცხოვრობს, ფართობის სიეწროვით გამოწვეულ სხვა სიძნელეებზე რომ არაფერი ვთქვათ მეტწილად იძაბება ურთიერთობა ოჯახის წევრთა შორის, რომელსაც არცთუ იშვიათად მოსდევს ოჯახების დანგრევა და, საბოლოო ჯამში, შობადობის მაჩვენებლის დაცემა. ამას სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებიც ადასტურებს (გამოკითხულთა 10 პროცენტმა ბავშვის გაჩენის გადავადების მიზეზად ბინის მიღების მოლოდინში ყოფნა დაასახელა). აი, რატომ ენიჭება ახლდაქორწინებულთა ბინებით უზრუნველყოფას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა შობადობის ოპტიმიზაციისათვის.

მოსახლეობის აღწარმოებაზე უკუპროპორციულად მოქმედებს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ურბანიზაციის პროცესის ინტენსიურად მიმდინა-

რეობა. მაგალითად, დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 56 პროცენტზე მეტი ცხოვრობს ქალაქში, მაშინ როცა შესაბამისი მაჩვენებელი 1917 წელს 18.1 პროცენტს არ აღემატებოდა. თბილისში ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის 23 პროცენტი, ბაქოში აზერბაიჯანის მოსახლეობის 35 და ერევანში სომხეთის მოსახლეობის 37 პროცენტზე მეტი, რაც არა მარტო ქალაქის ცხოვრების რიტმს არღვევს, არამედ საგრძნობლად აფერხებს მოსახლეობის აღწარმოებასაც.

მოსახლეობის ნებაყოფლობით მიგრაციას მეტწილად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს, რაც, უწინარეს ყოვლისა, ოჯახის მეშვეობით ვლინდება. პიროვნების მიგრაცია უფრო ხშირად განპირობებულია ერთი რომელიმე ფაქტორით (მაგალითად, სწავლა-განათლებით, სამხედრო სამსახურში ყოფნით, მაღალი ხელფასის მიღების სურვილით და სხვ.), ოჯახისა კი - ფაქტორთა კომპლექსით, რომელშიც გადამწყვეტ როლს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (ბინით უზრუნველყოფა, მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ა.შ.) ასრულებენ.

როგორც რეალური ვითარების ანალიზი ცხადყოფს, ქალაქური ცხოვრების წესი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შობადობისა და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედარებით დაბალ დონეს. ამას ნათლად ადასტურებს ფაქტობრივი მონაცემები. 1989 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ჩვენს რესპუბლიკაში შეადგენდა 16.7%-ს, მათ შორის ქალაქის მოსახლეობაში - 16.2%-ს და სოფლის მოსახლეობაში - 17.4%-ს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოკვდაობის თანამედროვე პირობებში მოსახლეობის მარტივი აღწარმოება შენარჩუნებული იქნება იმ შემთხვევაში, როცა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ვარირებს 2.1-2.2-ს შორის, მიუხედავად, რომ ოთხმოციანი წლების დასასრულისათვის

საქართველოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტების დინამიკა

ცხრილი 3

	1959-1960 წწ.	1969-1970 წწ.	1979-1980 წწ.	1985-1986 წწ.	1988-1989 წწ.
ზოგილი მოსახლეობა	2.59	2.66	2.25	2.36	2.12
მათ შორის:					
ქალაქის	1.97	2.30	2.07	2.21	1.93
სოფლის	3.15	2.99	2.60	2.64	2.35

საქართველო სწორედ ამ ზღვარზე იდგა. ქალაქის მოსახლეობა კი მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფდა. ეს პროცესი კიდევ უფრო ნათელ გამოხატულებას პოულობს მსხვილ ქალაქებში. მაგალითად, 1989 წელს თბილისში შობადობა 2.3 და მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1.9 პროცენტული პუნქტით დაბალი იყო, ვინემ რესპუბლიკაში საშუალოდ. ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა: ბაქოში 6.8 და 7.6; ერევანში – 2.7 და 3.1¹.

შობადობა, ჩვეულებრივ, დაბალია უმსხვილეს (500 ათასი და მეტი მოსახლეობით), ვინემ მცირე ზომის (100 ათასამდე მოსახლეობით) ქალაქებში. საშუალო ზომის (100-დან 500 ათასამდე მოსახლეობით) ქალაქებში კი დაახლოებით ამ ორის საშუალო მაჩვენებელი შეინიშნება. შობადობაზე ქალაქური ცხოვრების წესის უარყოფითი გავლენა შედარებით ნაკლებად შეიმჩნევა საქართველოში, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ქალაქების უმრავლესობა მცირე ზომისაა და სოფლური დასახლებების ტიპს უახლოვდება. რაც შეეხება მოკვდაობის საერთო მაჩვენებელს, მით უფრო მაღალია მისი დონე, რაც უფრო მსხვილია ქალაქი (თუმცა გვხვდება გამო-

¹ См. Демографический ежедневник СССР. 1990, М., 1990, с. 152.

ნაკლისებიც, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის ასაკობრივ თავისებურებებთან). შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა თანაფარდობა ისეთია, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება შედარებით მაღალია მცირე ზომის ქალაქებში. საშუალო დონეზეა ქალაქებში 100-დან 500 ათასამდე მოსახლეობით და შედარებით დაბალია უმსხვილეს ქალაქებში.

როგორც ჩანს, ქალაქებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას თან სდევს მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაცემა, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, რამდენადაც მცხოვრებთა რიცხვი არ წარმოადგენს შობადობის ან მოკვდაობის მაღალი ან დაბალი დონის უშუალო მიზეზს. ამა თუ იმ ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის შეცვლასთან ერთად იცვლება მათი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, განათლებისა და დასაქმების დონე, ემიგრანტთა რიცხოვნობა, ეროვნული შედგენილობა, ჩვევები, მოთხოვნილებანი, ცხოვრების დონე და ა.შ., რაც გავლენას ახდენს დემოგრაფიულ ქცევაზე.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში გადასულ ქალთა ნაყოფიერება პირველ პერიოდში (დაახლოებით ხუთი წლის მანძილზე) რჩება წინანდელ (შედარებით მაღალ) დონეზე. ცხოვრების მეორე ხუთწლეულში მათი ნაყოფიერება იწყებს დაცემას და ამ პერიოდის დასასრულისათვის თითქმის უთანაბრდება ადგილობრივ ქალთა ნაყოფიერებას. მაშასადამე, ნაყოფიერების წინანდელი – სოფლის პირობებისთვის დამახასიათებელი რეჟიმიდან ქალაქის ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების შესაბამის რეჟიმზე გადასვლას დაახლოებით 8-10 წელი სჭირდება¹.

¹ Л. М. Давтян, О зависимости между благосостоянием и рождаемостью. В сб.: Проблемы демографической статистики, Ученые записки по статистике. т. X., 1966, с. 158.

ქალაქის მოსახლეობის შობადობის შემცირებაზე და განსაკუთრებით მსხვილი ქალაქების მოსახლეობის შობადობის დაბალ დონეზე მოქმედებს მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელთაც ისტორიული ხასიათი აქვთ. ეს განაპირობებს მცირეშვილიანობის ნორმების გავრცელებას, დაუქორწინებელთა ხვედრითი წილის მკვეთრ ზრდას, მეუღლეთა რეპროდუქტიული განწყობის შეცვლას, სტრუქტურულ ძვრებს ბავშვთა შობის რიგითობაში (საქართველოში პირველი შვილის წილად 1960 წელს მოდიოდა 34.7%, 1990 წელს კი – 46%) და ბავშვთა ადგილის შეცვლას ფასეულობითი ორიენტაციების სისტემაში. რთული სოციალურ-ეკონომიკური, ყოფითი და კულტურული პრობლემები ქალაქის მოსახლეობის ცხოვრებაში წარმოქმნის განსაკუთრებულ სოციალურ გარემოს, სტილს და ცხოვრების წესს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს რეპროდუქტიულ ქცევაზე. რაც შეეხება მსხვილ ქალაქებს, მათი დემოგრაფიული განვითარების თავისებურებანი დამატებით ზეგავლენას ახდენს შობადობის შემცირებაზე. ასეთ სოციალურ-დემოგრაფიულ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ: სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებანი (მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების შედარებით მაღალი დონე, მოსახლეობაში ქალთა მაღალი ხვედრითი წონა); ქორწინებაში არმყოფთა დიდი ხვედრითი წილი; საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ქალების მაქსიმალური მონაწილეობა; ოჯახის არასტაბილურობა და განქორწინების შედარებით მაღალი დონე და სხვ.

როგორც ცნობილია, სქესობრივი სტრუქტურის დისპროპორცია მარტოხელათა რიცხვის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია. მარტო თბილისში მარტოხელების რიცხვმა 1989 წელს შეადგინა 27877, მათ შორის მამაკაცი იყო 6087, ქალი – 21790. იმავე წელს განქორწინების საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი აღწევდა 3.5%, მაშინ როცა

სოფლის მოსახლეობისა არ აღემატებოდა 0.2%. ე.ი. ძირითადად ქალაქის მოსახლეობის ანგარიშზე მოდიოდა. განქორწინების ტემპის ზრდა უკუპროპორციულად მოქმედებს შობადობის მაჩვენებელზე. ლოგიკურია, რომ განქორწინების შემდეგ გარკვეული დრო არის საჭირო ახალი ოჯახის შესაქმნელად. ამას ემატება ოჯახის დანგრევით გამოწვეული მარცხის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ახალი ოჯახი აღარ იქმნება, ე.ი. არ ხდება შობადობის პოტენციური შესაძლებლობის რეალიზაცია.

დემოგრაფიულ პროცესებზე ურბანიზაციის უკუზემოქმედების შენელებისთვის აუცილებელია ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს კი არ შეუწყობენ, არამედ რამდენადმე შეაფერხებენ სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ლტოლვას ქალაქისაკენ. მხედველობაში გვაქვს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებრივი სფეროს დარგების რაციონალური გაადგილება, სოფლის მკვიდრთათვის ნაკვეთებისა და შეღავათიანი კრედიტების საკმაო რაოდენობით გამოყოფა, დიფერენცირებული საგადასახადო სისტემის შემოღება, ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესება, სოფლის კეთილმოწყობა, მისი სოციალურ-კულტურული დონის ამაღლება, სპორტული ბაზების მოწყობა, წარმოებისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარების საფუძველზე სამუშაო ადგილების გაზრდა, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება, სამიმოსვლო გზების მშენებლობა და ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირება, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება, ბინათმშენებლობისათვის ხელის შეწყობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რაციონალური ორგანიზაცია და სხვ.

როცა დაიძლევა არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის და სოფლად შეიქმნება ცხოვრების დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი პირობები, დასაველეთის ცივილიზებული ქვეყნების ანალოგიურად, დაიწყება უკუპროცესი – ქალაქის მოსახლეობის ნაწილი დაიძვრება სოფლისაკენ. ამ პროცესის დამჩქარებელი იქნება სოფლის სუფთა ჰაერი, მისი ბუნების წიაღის სიმყუდროვე, ადამიანის ნერვებდამამშვიდებელი ატმოსფერო და სხვ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ამან დადებითად უნდა იმოქმედოს მოსახლეობის აღწარმოებაზე.

მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ისეთი საშინელი სოციალური მოვლენები, როგორციაა ნარკომანია და ლოთობა. მათგან დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მეტად აქტუალურია პირველი – ნარკომანია. მეოცე საუკუნის ეს მეტად მტიყუნეული სოციალური მოვლენა, გადაშენებით ემუქრება ჩვენს გენოფონდს, ერის ახალგაზრდა, ყველაზე ჯანსაღ ნაწილს. ამჟამად საქართველოში ასი ათასამდე ნარკომანია აღრიცხული, რომ არაფერი ვთქვათ, ალბათ, ამდენივე აღურიცხავ ნაწილზე, ასი ათასი ნარკომანი ჩვენი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის დიდი უბედურებაა, ისეთი ჭირია, რომელიც სწრაფად ედება ახალახალ კონტიგენტს. საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრეებთან, ხოლო ნარკომანთა განკურნებისათვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელება.

სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ერთად, ნარკომანიასთან სდევს უნაყოფობა, დეფექტიანი ბავშვების გაჩენა, ხშირი ოჯახური უსიამოვნებანი და განქორწინებები. დაახლოებით იგივე შედეგები მოსდევს ლოთობას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქმარგაცილებული ქალები, განსაკუთრებით საქართველოში (მით უმეტეს სოფლად) ხელმეორედ ნაკლებად თხოვდებიან, რაც საგრძნობლად აფერხებს მოსახლეობის აღწარმოების პროცესს.

დემოგრაფთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებას და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას მოსახლეობის ბუნებრივი მატების ოპტიმიზაციის პირობად არ თვლის, მეტიც, მათ საწინააღმდეგოდ მოქმედ ფაქტორებადაც კი მიიჩნევს, რამეთუ – აღნიშნავენ ისინი – „რაც უფრო უკეთ ცხოვრობს ოჯახი, მით ურფო მცირეშვილიანია იგი“.

თუ აღნიშნულ შესვდულებას გავიზიარებთ, ფორმალური ლოგიკის მიხედვით, მსჯელობა ასეთ სახეს მიიღებს: მოსახლეობის დაბალი პოპულაციის ქვეყნებში დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მასთან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში მყოფ ფაქტორთა ზემოქმედების გაძლიერება, ხოლო უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში მყოფ ფაქტორთა განელება. რაკი მატერიალური კეთილდღეობის ზრდა ხელს უშლის მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად უნდა ვიზრუნოთ მის გაუარესებაზე. ასეთი აბსურდული დასკვნა გამომდინარეობს არა რეალური მდგომარეობის ანალიზიდან, არამედ აბსურდული წანამძღვრებიდან. სინამდვილეში მატერიალურად შეძლებულ ოჯახებში ბავშვების რიცხოვნობა შედარებით მცირეა არა იმიტომ, რომ მას ხელს უშლის სიმდიდრე, არამედ იმიტომ, რომ ასეთ პირობებში წარმოიქმნება დემოგრაფიულ პროცესებზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა მთელი კომპლექსი (რეპროდუქტიული ასაკის ქალთა განათლებისა და ემანსიპაციის მაღალი დონე, კონტრაცეპტივების რაციონალური გამოყენების საფუძველზე ბავშვის ჩასახვის თავიდან აცილების კონტროლის სტაბილურობა, ბავშვების მაღალინტელექტუალურ აღზრდაზე გაზრდილი მოთხოვნილებანი, ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოება, რაც ახშირებს მათი ინიციატივით განქორწინებას და სხვ.).

ჩვენ შორსა ვართ იმ შეხედულებისაგან, რომ ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების პროპორციულად გაიზრდება მათში ბავშვების რიცხოვნობა. უბრალოდ ხაზს ვუსვამთ იმ ჭეშმარიტებას, რომ მატერიალური კეთილდღეობის ზრდა არა მარტო არ უშლის ხელს მოსახლეობის აღწარმოებას, არამედ, პირიქით, არაპირდაპირი გზით ხელს უწყობს მას, დაწყებული რეპროდუქტიული ორიენტაციის ფორმირებით და დამთავრებული ბავშვთა სასურველი რაოდენობის გაჩენით, მათი მოვლა-პატრონობით, ფიზიკურად ჯანსაღი და გონებრივად მაღალინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებით. თუმცა, არ შეიძლება ამ პრობლემაზე ერთნაირად ვიმსჯელოთ ყველა ვითარებაში, ვთქვათ, საქართველოსა და შვედეთის მიმართ, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იქ მართლაც ძნელი შესამჩნევია ამ ფაქტორთა ზემოქმედება შობადობის გადიდებაზე (და, შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში არც ახდენს მასზე გავლენას). ჩვენთან კი, პირიქით, ძალიან ადვილი დასანახია, რამდენადაც ბავშვების სასურველ რაოდენობას მოსალოდნელი რიცხოვნობა ძირითადად სწორედ ამ ფაქტორთა გამო ჩამორჩება (განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში – 90-იან წლებში), ე.ი. ეშინია თითოეულ ოჯახს, შესძლებს თუ არა სასურველი რაოდენობის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას. ეს იწვევს ბავშვის გაჩენის (არცთუ იშვიათად, ქორწინებისაც კი) გადადებას, თანაც არა მარტო მესამე და მომდევნო ბავშვისა, არამედ მეორე და ზოგჯერ პირველისაც კი, რაც, საბოლოო ჯამში, შობადობის დაბალ დონეს აპირობებს.

ამრიგად, როდესაც ოჯახში ბავშვთა რაოდენობა შეესაბამება საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებას, მაშინ ცხოვრებისეული პირობების ნებისმიერ გაუმჯობესებას არ მოჰყვება მათი რაოდენობის

მომატება. მაგრამ, როდესაც ოჯახში ბავშვთა რაოდენობა ნაკლებია საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებზე, მაშინ ამ მოთხოვნილების რეალიზაციისათვის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, როგორც წესი, მოჰყვება ბავშვის (ბავშვების) ყოლა.

ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს როგორც ჩამოყალიბებული ბავშვთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, ისეთივე რეპროდუქტიული ორიენტაციის ფორმირებასა და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბებაზეც. ბუნებრივია, თუ ცხოვრების ნორმალურ პირობებში ოჯახის მესვეურებს (მეუღლეებს) სასურველ რაოდენობად ჩამოუყალიბებოდათ, ეთქვათ, სამი ბავშვის გაჩენა, მატერიალური თვალსაზრისით ცხოვრების მძიმე პირობებში ეს სასურველობა შეიძლება ჩამოვიდეს ორ, ან რიგ შემთხვევაში ერთ ბავშვამდეც კი.

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოკვდაობა. თუმცა, პირველი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია, ხოლო მეორე – უკუპროპორციულში. რაც უფრო მაღალია შობადობა და დაბალია მოკვდაობა, მით უფრო მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება, და, პირიქით. შობადობის სტაბილურობის პრობებში კი მოსახლეობის ბუნებრივი მატება მხოლოდ მოკვდაობის მაჩვენებლის ცვალებადობაზეა დამოკიდებული.

ადამიანის, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა, ჯეროვანი ფიზიოლოგიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალურ კვებას. საკმარისი არაა ის, რომ ადამიანმა დღე-ღამის განმავლობაში კვების პროდუქტები მიიღოს ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული კალორიების საერთო რაოდენობით. არაკლებ მნიშვნელოვანია სასურსათო პროდუქტების

სტრუქტურა, ორგანიზმისათვის თითოეული მათგანის საჭირო რაოდენობით მიწოდება. მაგრამ ამის აუცილებელი წინაპირობაა ამ პროდუქტების საკმაო რაოდენობით ფიზიკურად არსებობა. როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი აქვს სასურსათო პროდუქტების მწვავე დეფიციტს (ამჯერად საქართველოში სწორედ ასეთი მდგომარეობაა)¹, ადამიანი ნორმალურად ვერ იკმაყოფილებს თავის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ორგანიზმი უძღურება, სნეულდება და მატულობს მოკვდაობის მაჩვენებელი. ეს, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენს ბავშვებსა და მოხუცებში, რომელთა ორგანიზმი შედარებით ნაზი და სუსტია. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, აისახება მოსახლეობის აღწარმოების ტემპების დაცემაში, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს დემოგრაფიული პროცესების მიმართ მატერიალური კეთილდღეობის ფაქტორის მაღალ მგრძნობიარობაზე.

როგორც ჩანს, დემოგრაფიულ პროცესებზე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა გავლენა არის არა უშუალო, არამე გაშუალებული, არაპირდაპირი, თუმცა ეს არ აკნინებს მათ როლსა და მნიშვნელობას.

როცა ვმსჯელობთ მოსახლეობის აღწარმოებისადმი სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა რიგის ფაქტორთა ზემოქმედებაზე და სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკაში მის ასახვაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ თითოეულ ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარება. ზოგიერთ მათგანში (მაგალითად, ჩინეთში, ინდოეთში და სხვ.) აქტუალურად დგას მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის შენელების საკითხი, ხოლო ზოგიერთში (მაგალითად, საქართველოში, ბალტიისპირეთის რესპუბლი-

¹ წინა წლებთან შედარებით, ამჟამად საქართველოში მკვეთრად და შემცირებული კვების პროდუქტების აბსოლუტური მოხმარება და კალორიულობა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (90-95%) საარსებო მინიმუმის ზღვარზე უფრო დაბალი ნორმით ცხოვრობს.

კებში, რუსეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში, უნგრეთში და სხვ.) იგრძნობა მწვავე დემოგრაფიული სიტუაცია და დემოგრაფიული განვითარების დაჩქარება ნომერ პირველი პრობლემაა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის განუსაზღვრელი რაოდენობით გადიდება, თუნდაც ამ მძიმე დემოგრაფიული ვითარების მქონე ქვეყნებში, უნდა მივიჩნიოთ თვითმიზნად და გავიხადოთ პანაცეად. თითოეულ ქვეყანაში ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს ისეთი როცხოვნობა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა ნორმალურ ცვლას, ბუნებრივი და მინერალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, შრომითი რესურსების სამუშაო ადგილებთან დაბალანსებას, შრომის მაქსიმალურ მწარმოებლურობას, საზოგადოებისა და თითოეული მისი წევრის გონივრულ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას, პიროვნების თავისუფალ ყოველმხრივ განვითარებას. დემოგრაფიულ პროცესებზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედება სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოების არა მარტო რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ (ხარისხობრივ) მხარეზეც. თაობათა განახლებისას რიცხოვნობაზე არანაკლები მნიშვნელობისაა ის, თუ რაოდენ ჯანსაღი და ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ახალგაზრდობა აღიზრდება. როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, თვით საზოგადოებრივი ცხოვრების თავდაპირველ საფეხურებზე შექმნილი და მთელი ცივილიზაციის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ოჯახის ყველაზე უწმინდესი ფუნქციაა არა მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოება და, მაშასადამე, ამ მიზნით ბავშვების გაჩენა, არამედ ამისთვისვე აუცილებელი ახალი თაობის სრულფასოვანი ფიზიკური

და გონებრივი ადამიანების, ღირსეული მოქალაქეების აღზრდა¹.

დემოგრაფიაში ამ საკითხს რატომღაც შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც დიდ ნაკლად მიგვაჩნია. მართალია, მეტი მოსახლეობა მეტ პოტენციალს ნიშნავს, მაგრამ რაც უფრო ჯანსაღი და მაღალი ინტელექტისა იქნება იგი, ხომ მით უფრო მეტ პოტენციალს წარმოქმნის? ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით წინა პლანზე იწვევს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა როლი და მნიშვნელობა.

იხ. ჟურნ „ეკონომიკა“, 1995, № 1-3.

დემოგრაფიული ვითარების ბაჰანსალების ეკოლოგიური ასპექტები საქართველოში

დღეისათვის საქართველოში ძალიან მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა. მისი ნათელი გამოხატულებაა შობადობის მკვეთრი დაცემა და მოკვდაობის ზრდა. საქართველოში 1993 წელს მოსახლეობის ათას კაცზე საშუალოდ თითქმის ორჯერ ნაკლები ბავშვი დაიბადა¹, ვიდრე 1960 წელს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კი ამავე პერიოდში 2.59-დან დაახლოებით 1.7-მდე შემცირდა. თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, მოკვდაობის დღევანდელი დონის პირობებში, მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი იყოს არანაკლებ

¹ პ. გუგუშვილი, დემოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხები, იხ. კრებული - „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, ტ. II, თბ., 1984, გვ. 41.

¹ ამაში არ შედის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაცემები. რომელთა გათვალისწინება, ცნობილ გარემოებათა გამო, კიდევ უფრო დასწევს მას.

2.1-ისა, უნდა ვადიაროთ, რომ საქართველო მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარზე დაბლა დგას და ასეთი ვითარების ხანგრძლივი დროით სტაბილურობის პირობებშიც კი დეპოპულაცია გარდუვალია.

ჩვენს ქვეყანაში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი მრავალი ათეული წლის მანძილზე შედარებით დაბალი და სტაბილური იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა. მთელს მოსახლეობაში იგი 1993 წელს 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელს 1.7 პრომილით აღემატებოდა. მოსახლეობის 100 ათას კაცზე გაანგარიშებით, 1992 წელს გარდაიცვალა: გულის იშემიური დაავადებით 421.7, სასუნთქი ორგანოების დაავადებით – 28.4, ქალის მკერდის ავთვისებიანი სიმსივნით – 12.2, ღვიძლის ქრონიკული დაავადებითა და ცეროზით – 25, მაშინ როცა შესაბამისი მონაცემები, მაგალითად, იპონიაში 1989 წელს შეადგენდა: 37.4; 10.7; 8.5 და 15¹.

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვანი კონკრეტული მაჩვენებელი ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტია. მას, სავსებით მართებულად, ქვეყნის სანიტარიული მდგომარეობს სარკედ და საზოგადოების განვითარების დონის არსებით მაჩვენებლად მიიჩნევენ. როგორია ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა? რბილად რომ ვთქვათ, ფრიად არასასურველი. ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი ყოველ ათას ცოცხლად შობილზე მარტო ერთი წლის მანძილზე (1993 წელს, 1992 წელთან შედარებით) თითქმის 6 პრომილით გაიზარდა და 18.3 პრომილემდე ავიდა, რაც დაახლოებით 4-ჯერ აღემატება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონეს.

შობადობასა და მოკვდაობას შორის სხვაობა იძლევა წარმოდგენას მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. რო-

¹ სტატისტიკური კრებული. მოსახლეობა ციფრებში, თბ., 1995, გვ. 68-69.

გორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ჩვენს ქვეყანაში შობადობას დაცემის, ხოლო მოკვდაობას ზრდის ტენდენცია ახასიათებს, რომელთა ლოგიკური შედეგია მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლება. 1960-1993 წწ. იგი 18-დან 2.5 პრომილემდე, ანუ 7.3-ჯერ შემცირდა. მარტო ბოლო სამი წლის მანძილზე (1993 წელს 1990 წელთან შედარებით) შემცირდა 6.1 პრომილით, ხოლო 1994 წელს, წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრდა, რაც დემოგრაფიული ვითარების უკიდურესად გამწვავებაზე მიგვანიშნებს¹.

როგორც ცნობილია, ეკოლოგიური ფაქტორები გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოების ორივე ძირითად ელემენტზე, ე.ი. როგორც შობადობაზე, ისე მოკვდაობაზე. შობადობაზე ზემოქმედება გაშუალებული (ანუ არაპირდაპირი) და ამდენად შედარებით ნაკლებად ქმედი-თუნარიანია. ცხადია, როცა გარემო ბუნება სუფთაა, სხვა თანაბარ პირობებში, ორსულობა ნორმალურია, ნაყოფი ოპტიმალურად ვითარდება და ბავშვი ჯანსაღი, უნაკლო იზადება. ასეთ პირობებში მისი შემდგომი ზრდა-განვითარებაც დაუბრკოლებლად წარიმართება და ადამიანი, ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებს მაღალ შრომისუნარიანობას. ხალისიანი და ბედნიერია. რაც შეეხება გაბინძურებულ გარემოს, იგი ურყოფითად მოქმედებს 'შობადობაზე' (იზრდება მანკიანი, მახინჯი, სნეული და მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობა), განსაკუთრებით კი ადამიანის ჯანმრთელობაზე, იწვევს სხვადასხვა დაავადებებს და, საბოლოო ჯამში, ზრდის მოკვდაობას. სპეციალისტთა დასკვნით, ავადმყოფობათა დაახლოებით 90% პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემო პირობებთან.

¹ წინა წელთან შედარებით, 1994 წელს საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 22 ათ. კაცით (0.4%). თუმცა ეს განაპირობა არა მარტო ბუნებრივი მატების ტემპების დაცემამ.

მოსახლეობის აღწარმოების ეკოლოგიურ ასპექტებზე მსჯელობისას, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ჰაერი, რომელსაც ადამიანის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს. ადამიანს რამდენიმე დღის მანძილზე შეუძლია გაძლოს წყლის დაღვეის, კვების პროდუქტების მიღების გარეშე, მითუმეტეს, არასასურსათო საგნების მოუხმარებლად, მაგრამ უპაეროდ რამდენიმე წუთში დაიხრჩობა. ამასთან, ადამიანის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სუფთა ჰაერს, მის ტოქსიკურობას. როცა ჰაერში მომწამლედი ნივთიერებები დასაშვებ ნორმებს აღემატება, ადამიანის ორგანიზმიც თანდათან იმუხტება შხამებით და სწულდება. თითოეული ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ავადმოყოფობა ზოგიერთ მათგანში შედარებით ადრე გამოვლინდება. ზოგიერთში კი – შედარებით გვიან. ცაკლეულ შემთხვევებში შეიძლება საერთოდ კერ მოერიოს ორგანიზმს და გადაურჩეს დასწულებას.

ჰაერის გაჭუჭყიანება თანამედროვე ტექნიკური პროგრესის თანმხლები პროცესია. ტექნიკური პროგრესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საწარმოო პროცესების მექანიზაციას, აადვილებს და ამსუბუქებს შრომას. ზრდის შრომის მწარმოებლურობას და აპირობებს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ეს მისი დადებითი მხარეა, მაგრამ აქვს უარყოფითი მხარეც. ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კვალობაზე ბინძურდება გარემო ბუნება. ამის მიზეზებია:

ჯერ ერთი, შიგაწვის ძრავებიდან გამონაბოლქვი აირების დაგროვება. დღითიდღე იზრდება როგორც სატვირთო, ისე მსუბუქი ავტომობილების, აგრეთვე ავტობუსების რიცხვი, თუ იმასაც გავეითვალისწინებთ, რომ ბევრი მათგანი, ტექნიკურად გაუმართაობისა და უხარისხო საწვავით სარგებლობის გამო, ჭარბად გამოყოფს ტექნიკურ

აირებს, ადვილი წარმოსადგენია ამ მხრივ შექმნილი მძიმე ვითარება. მაგალითად, 1990 წელს ჩვენს ქვეყანაში ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ოდენობამ შეადგინა 1248.5 ათასი ტონა წელიწადში, რომლის 71.6% მისდიოდა ავტოტანსპორტზე. აღნიშნული მიმართულებით უახლოეს მომავალში მდგომარეობა საქართველოში შესაძლებელია კიდევ უფრო გაუარესდეს, რამდენადაც ჩვენი სახელმწიფო აღიარებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ ყველაზე ოპტიმალურ სატრანსპორტო დერეფნად. რომელმაც თავის ტერიტორიაზე უნდა გაატაროს ტრანზიტული ტვირთის უდიდესი ნაწილი;

მეორე, მომწიაძველელი ნივთიერებებით გარემოს გატუჭყიანების მნიშვნელოვანი წყაროა სამრეწველო საწარმოების, განსაკუთრებით, ქიმიური კომბინატების, თბოელექტროსადგურებისა და მეტალურგიული ქრხნების დუმელების გამონაფრქვევი აირები და წარმოების სხვა ნარჩენები. საკმარისია დავასახელოთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელსაც ფუქნციონირების პერიოდში გამონაფრქვევი ბოლით აქვს დაბურული არა მარტო რაიონული ცენტრი, არამედ მიმდებარე სოფლებიც და წამლავს როგორც მოსახლეობას, ისე ახლომახლო არსებულ მთელ ფლორასა და ფაუნას. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ გარემოს ზოგიერთი ქიმიური და (და არა მარტო ქიმიური) გამატუჭყიანებელი უარყოფითად მოქმედებს ქალის ბიოლოგიურ აღწარმოებრივ ფუქნიკაზე (იგულისხმება უნაყოფაობა, მახინჯი და ავადმყოფი ბავშვების გაჩენა და სხვ.);

მესამე, ატმოსფეროს ძლიერ აბინძურებს მთელი რიგი (კემენტის, გაჯის, თაბაშირის, ვარცის და სხვ.) საწარმოების მუშაობისას ჰაერში უხვად გაბნეული მტვერი;

მეოთხე, უმნიშვნელოვანესი წყაროა ატომური ელექტროსადგურების რადიაციული გამოსხივება, განსაკუთრე-

ბით მაშინ, როცა მათ ექსპლუატაციას თან ახლავს ტექნიკური წუნი, მით უმეტეს თუ მოხდება ჩერნობილის მაგვარი სერიოზული ავარია, რომლის ნეგატიურმა შედეგებმა თავი იჩინა არა მარტო უკრაინაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, საქართველოში. ამის ნათელი გამოხატულება იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანილი ჩაის პროდუქციის დიდი პარტიის რეკლამაციით უკან დაბრუნება სწორედ რადიაციული დასხივების მიზეზით. ადვილი წარმოსადგენია მისი (რომელიც ჩვენთან, როგორც წესი, მოიხმარება, ყოველგვარი შემოწმების გარეშე) უარყოფითი გავლენა ადამიანთა (განსაკუთრებით ბავშვების) ჯანმრთელობაზე. როგორც ჩანს, ამან დააჩქარა ბოლო წლებში სისხლის ანემიით დაავადებულთა რიცხვის მკვეთრი ზრდა ჩვენი ქვეყნის საავადმყოფოებში;

მეხუთე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ქალაქის ქუჩებში თვეობით დაყრილი ნაგავი და მის ნიადაგზე წარმოქმნილი ანტისანიტარია. ამის თვალსაჩინო მაგალითია თბილისი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს ცალკეულ სნეულებათა წარმოქმნა-გავრცელებას. არამედ ეპიდემიის რელაურ საშიშროებასაც ქმნის.

ზემოაღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გამოსავალი ტექნიკური პროგრესის შეჩერებაში უნდა ვეძიოთ. პირიქით, თანამედროვე ტექნიკური პროგრესი, თუ მის მიღწევებს, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ანალოგიურად, რაციონალურად გამოვიყენებთ, იმის საშუალებას იძლევა, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ მისი მავნე ზემოქმედება. მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ჩვენთან სამრეწველო და (და არა მარტო სამრეწველო) საწარმოები არ იცავენ დადგენილ წესებს, თავს არიდებენ გამონაფრქვევი აირებისა და წარმოების ნარჩენების გამაუვნებელი მოწყობილობების დამონტაჟება-გამოყენებას. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ერთ პე-

რიოდში დაამონტაჟეს იაპონური წარმოების კვამლდამჭერი მოწყობილობა. რომელმაც შესანიშნავი შედეგები მოგვცა, მაგრამ შემდეგ მისი განახლება ვერ მოახერხეს და უზარმაზარი ღუმელებიდან გამოფრქვეული ბოლი კვლავ ატმოსფეროში მიუშვეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1990 წელს სტაციონარული წყაროებიდან ამოფრქვეული გაზისებური და თხევადი მანევ ნივთიერებებიდან დაჭერილი და გაუვნებლებულ იქნა სულ 75%. დანარჩენი (92.5%) გამოიფრქვა ატმოსფეროში.

ცნობილ გარემოებათა გამო, ჰაერის გაჭუჭყიანების პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქად, ვიდრე სოფლად (ეს პირველ რიგში ეხება თბილისს, სადაც ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მაჩვენებელი რამდენჯერმე აღემატება დასაშვებ ნორმას და ამ მხრივ მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში). ამიტომ, სპეციალისტთა დაკვირვებით, ქალაქელები სოფლელებთან შედარებით, უფრო ხშირად ხდებიან ავად გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებით. დადგენილია, რომ სისხლის მიმოქცევისა და ნერვული სისტემის დაავადებები ქალაქად დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებლებს სოფლად. გულსისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებით უფრო ხშირად სნეულდებიან საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში ახლადგადასულები, ვიდრე ქალაქის მკვიდრი მოსახლეები. ეს მეტწილად აიხსნება ქალაქის ცხოვრების წესისადმი შეუგუებლობით, ქალაქისათვის დამახასიათებელი რთული ფიზიკური, საყოფაცხოვრებო და ფსიქიური დატვირთვით მიღებული სტრესით.

ქალაქის გარემოს უარყოფითი გავლენა უფრო ნათლად იჩენს თავს ორსული ქალების ჯანმრთელობის მიმართ. სოფლელებთან შედარებით, მათში უფრო ხშირად შეინიშნება მკვდარი ბავშვების დაბადება, ორსულობის

ტოქსიკოზები, გულსისხლძარღვთა დაავადებანი, გართულებანი მშობიარობისას და სხვ.

როგორც ცნობილია, ხელოვნური (ტექნიკური) საშუალებებით ჩარევის გარდა, ყოველთვის მიმდინარეობს პაერის ბუნებრივი თვითწმენდის პროცესი. ეს ხდება მცენარეული საფარის მეშვეობით. ამ მხრივაც მძიმე ვითარებაა შექმნილი ჩვენს ქვეყანაში, თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა მცენარეული საფარის მასობრივი განადგურება არამარტო ტყეებში, არამედ ნაკრძალებში, ბოტანიკურ ბაღებში, პარკებსა და სკვერებშიც, იჭრება სრულიად საღი, მათ შორის წიწვიანი ხეებიც და ამის ავტორები არ ფიქრობენ იმაზე, რომ შთაშობამელობას უანგბადით სუნთქვის საშუალებას უსპობენ. ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს მერქანი სავაჭროდ გააქვს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ზოგიერთი კი (ენერგეტიკული კრიზისის გამო) იძულებულია გასათბობად გამოიყენოს. არც ერთია გამართლებული და არც მეორე. თუ პროცესი არ შეჩერდა, ბუნებრივი წონასწორობა კიდევ უფრო მკვეთრად დაირღვევა და კატასტროფა გარდუვალი გახდება.

ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო კომპონენტია სასმელი წყალი. სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ხერხდება მისი სისუფთავის ჯეროვან დონეზე დაცვა. მტკნარი წყლის გაბინძურებას ხელს უწყობს ნიადაგში მინერალური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების წესების დარღვევით შეტანა. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსების სანიტარიული მოთხოვნების დარღვევით გაადგილება და არასწორი ექსპლუატაცია, სამრეწველო და სამშენებლო საწარმოების მიერ ნახშიარი ტექნიკური წყლის, აგრეთვე კანალიზაციის წყლის ტექნიკური მოთხოვნების დაუცველად ჩაშვება მდინარეებში, არაჯეროვანი ფილტრაცია და სხვ. ეს მოთხოვნები მეტნაკლებად თითქმის ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ დღე-

ვანდელი განუკითხაობის პირობებში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება, რაც საგანგებო 'ზომების მიღებისაკენ მოგვიწოდებს.

ადამიანის არსებობა წარმოდგენელია არა მარტო ჟანგბადისა და წყლის, არამე კვების პროდუქტების მიღების გარეშეც, რომელიც, ცხადია, სათანადო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. ჩვენთან დღეისათვის ამ მხრივ ექსტრემალური ვითარებაა შექმნილი. მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე სასუალოდ სასურსათო პროდუქტების დღელამური მოხმარება 1994 წელს 1600 კილოკალორიას არ აღემატებოდა. მაშინ როცა შიმშილის ზღვრული ნორმა 2400, ხოლო ფიზიოლოგიური ნორმა 4500 კილოკალორიას შეადგენს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფაქტიურად მოხმარებული კილოკალორიების 75 პროცენტზე მეტი პურპროდუქტებზე მოდის, ხოლო კვების სხვა ძირითადი პროდუქტების – რძისა და ხორცის ნაწარმის, საერთოდ ცხოველური წარმოშობის პროტეინების მოხმარება ფიზიოლოგიურ ნორმებს მკვეთრად ჩამორჩება, აშკარად შესამჩნევი გახდება მოსახლეობის დაახლოებით 90%-ის უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ყოფნა.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1995 წლის მაისის დასაწყისის ფასებით, რესპუბლიკაში მინიმალური სასურსათო კალათა ერთ კაცზე 76 მლნ. კუპონს შეადგენდა, მინიმალური ხელფასი კი – 3 მლნ-ს, რაც კომენტარებს არც კი საჭიროებს.

ამრიგად, კვების პროდუქტების დეფიციტისა და მათი მიუწვდომელ ფასებში რეალიზაციის გამო რომ მოსახლეობა მასობრივად გამოუკვებავია, ხოლო გარკვეული ნაწილი შიმშილის მსხვერპლი ხდება, ეს თავისთავად დიდ პრობლემებს უქმნის ქვეყანას, მაგრამ ამჯერად უფრო მეტად ამ მოვლენის მეორე მხარეზე გვინდა გავამახ-

ვილოთ მკითხველის ყურადღება. მხედველობაში გვაქვს იმ ნაწარმის (ცნობის, ცხიმებისა და სხვა ნივთიერებათა) შემადგენლობა, რომელსაც მოსახლეობა ფაქტიურად მოიხმარს და რომლითაც ასე თუ ისე ინარჩუნებს სიცოცხლეს. როგორც ცნობილია, ჩვენთან ნიადაგში მიწერაღური სასუქების შეტანა და მცენარეულობის შხამქიმიკატებით შეწამლვა ხდება არა ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის მეცნიერული შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე შეღვენილი კარტოგრამების მიხედვით (როგორც ეს მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში), არამედ მეტწილად ინტუიციით, თითოეული მეწარმის (მეურნის) შეხედულებისამებრ. ამის გამო, ზოგჯერ ნიადაგში შეაქვთ არა ის სტიმულატორი, რომელიც მოცემულ ნიადაგს აკლია და რომლითაც უნდა შეივსოს, არამედ ის, რომელსაც იგი ისედაც მოჭარბებული ოდენობით შეიცავს. ცხადია ეს იწვევს ნაწარმში ნიტრატების სიჭარბეს, რომელსაც შეუმოწმებლად მოიხმარს მოსახლეობა. დადგენილი წესის მიხედვით, ეგრეთ წოდებულ „საკოლმეურნეო ბაზრებში“ გათვალისწინებულია სასურსათო პროდუქტების სანიტარიული შემოწმება და მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ შეიძლება მისი რეალიზაცია. ეს მოთხოვნა მასობრივად ირღვევა. უკეთეს შემთხვევებში ხორციელდება ცალკეულ პროდუქტებზე და ისიც ფორმალურად. საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რომ არაფერი ვთქვათ ნიტრატებითა და სხვა მომწამლეული ნივთიერებებით (პესტიციდები, ჰორმონები, რადიონუკლიდები) გაუღენთილ მცენარეულ ნაწარმზე, მომხმარებელთა ორგანიზმში არცთუ იშვიათად ხვდება დაავადებული საქონლის ხორცი, ერბო, ყველი და ა.შ. ხშირია თევზითა და სოკოთი მასობრივი მოწამულის შემთხვევები. კვების პროდუქტები იყიდება სანიტარიული პირობების დაუცველად. ყველგან, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებია, მათ შორის მა-

გისტრალურ გზებზეც, სადაც ატმოსფერო დანაგვიანებულია მტვრით, ტოქსიკური აირებით და სავსეა ინფექციების მატარებელი მწერებით.

მინერალურ სასუქებს ჩვენზე უფრო ფართო მასშტაბით იყენებენ განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ იყენებენ გონივრულად. მიზანშეწონილად, ღოზების სრული დაცვით, თანაც მისი მეშვეობით წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება უსასუქო ნაწარმისაგან გამოცალკევებულად და უფრო დაბალ ფასებში, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის სწორ ორიენტაციას და დასაშვები ნორმებით მის მიღებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფართოდ გავრცელდა სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაცია – თითქმის ყველა სარდაფში მზადდება და ჩამოიხმება მეტწილად ფალსიფიცირებული ღვინო, არაყი, შამპანური, კონიაკი, ლიმონათი, ხილის წვენი. იწარმოება და ყოველგვარი სანიტარიული შემოწმების გარეშე სარეალიზაციოდ გამოაქვთ ძეხვეულის, შებოლილი თევზეულის, ნამცხვრების ფართო ასორტიმენტი. სანიტარიული ნორმების დარღვევით წარმოებულმა და რეალიზებულმა ნაწარმმა შეიძლება მომხმარებელი მაშინვე არ მოკლას, მაგრამ მოწამლვის პროცესი მის ორგანიზმში თანდათან განვითარდეს და სხვადასხვა ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი გახდეს. ყოველივე ეს, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის აღწარმოებაზე და კიდევ უფრო ამძიმებს რესპუბლიკაში არსებულ ისედაც რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობას.

საქართველოში კრიტიკული დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას რამდენადმე შეუწყობს ხელს ეკოლოგიის სფეროში ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, როგორცაა:

– საწარმოების აღჭურვა გამწმენდი ნაგებობებითა და მათი მალღტექნიკური ექსპლუატაციის უზრუნველყო-

ფა. აგრეთვე თანდათანობით წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლა, ანალოგიურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა. ამ მოთხოვნების დარღვევისათვის მკაცრი ეკონომიკური სანქციების გამოყენება. ასევე გასამკაცრებელია ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისა (მხედველობაში გვაქვს ზომების მიღება ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტით სარგებლობისათვის, რომელიც ზრდის ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას გამოწვევს აირებით) და საწვავის ხარისხის კონტროლი;

- უმკაცრესი ზომების მიღება მწვანე ნარგავების უკანონოდ გამკაფავთა წინააღმდეგ. ჟანგბადის ძირითადი წყაროების - ტყეების, ნაკრძალების, ბოტანიკური ბაღების, პარკებისა და სკვერების საგანგებო მოვლა-პატრონობა; გამწვანებისათვის ხელის შეწყობის მიზნევა თითოეული მოქალაქის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად;

- სასმელი წყლის სისუფთავის დაცვა. მისი გულმოდგინედ გაფილტრვა და მანე ნივთიერებათა კონცენტრაციის დონის სისტემატური, გულმოდგინე კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის დროულად ინფორმირება და გაფრთხილება;

- ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა ნაკვეთების ქიმიური შემადგენლობის გულმოდგინედ შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე შედგენილი კარტოგრამების მიხედვით. მცენარეებისათვის შხამ-ქიმიკატების შესახურება (შეფრქვევა) ტექნიკური მოთხოვნებისა და დოზების დაცვით;

- ისეთი სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის აკრძალვა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისათვის მანე ნივთიერებებს შეიცავენ დასაშვებ ნორმაზე გადამეტებით; იმ სამსახურების ენერგიულად ამოქმედება, რომელთაც ვვალებათ ტოქსიკური ნივთიერებების ჭარბად შემცველი კვების პროდუქტების მომხმარებლისათვის მიწოდების არდაშვება; სასუქით და მის გარეშე მოყვანილი პროდუქ-

ტების რალიზაცია ერთიმეორისაგან გამოცალკეებულად და დიფერენცირებულ ფასებში;

- ადამიანთა მოკვდაობის გამომწვევი ავადმყოფობების დადგენასთან ერთად, შესწავლა თვით ამ ავადმყოფობების (სნეულებების) წარმომშობი ეკოლოგიური ხასიათის მიზეზებისა;

- ქალაქად და სოფლად მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებლის შესწავლა ასაკობრივ ჭრილში, რაც თავიდან აგვაცილებს მოსალოდნელ შეცდომებს;

- მოსახლეობის ყოველწლიური მასობრივი დისპანსერიზაცია და თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღლება; სახელმძღვანელო პრინციპად იმის აღიარება, რომ „გაცილებით ადვილია დაავადებათა თავიდან აცილება, ვიდრე ავადმყოფობის განკურნება“.

აღნიშნულ დონისძიებათა მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებასა და სარეალიზაციოდ შესაბამისი სტრუქტურებისათვის შეთავაზებაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრივ საწყისებზე ახლახან შექმნილ ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიას.

იხ. ურნ. „ეკონომიკა“, 1996, № 7-8.

მოკვლეობის შემცირების ეკონომიკური ეფექტი¹

არ შეიძლება დავა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, სხვა თანაბარ პირობებში, იმ პერიოდის პირდაპირპროპორციულია, რომლის განმავლობაშიც სამუშაო ძალა ჩაბმულია წარმოების პროცესში. ადამიანის სამუშაო პერიოდი კი, თავის მხრივ, განისაზღვრება ქვეყნის კანონმდებლობით და შრომით ასაკში (16-60 წელი) არსებული მოკვლეობის დონით.

კანონმდებლობით, შრომითი ასაკის ხანგრძლივობა 44 წელს შეადგენს. მაგრამ რამდენადაც ამ ასაკობრივ ინტერვალში (16-60 წელი) ადგილი აქვს მოკვლეობას, შრომითი პერიოდის ფაქტიური საშუალო ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია. შესაბამისი წლების მოკვლეობის ცხრილებზე დაყრდნობით, ჩვენ გამოეთვალეთ შრომითი პერიოდის ფაქტიური საშუალო ხანგრძლივობა 16 წელს მიღწეულ პირთათვის, რომელიც 1959 წელს აღმოჩნდა 392 წლის, ხოლო 1989 წელს – 41 წლის ტოლი. შესაბამისად, მოკვლეობის შედეგად შრომით ასაკში გამოუყენებელი რჩებოდა ერთ კაცზე გაანგარიშებით: 1959 წელს 4.8 წელი, ხოლო 1989 წელს – 3 წელი. მთლიანად, 1959-1989 წწ. მანძილზე აღნიშნული დანაკარგების შემცირების ტენდენცია გამოწვეულია ქალების მოკვლეობის შემცირებით. იმავე პერიოდში სამუშაო პერიოდის დანაკარგები შემცირდა კაცებში 5.5 წლიდან 4 წლამდე, ხოლო ქალებში – 4.1 წლიდან 2 წლამდე.

ფაქტია, რომ საზოგადოების განკარგულებაშია გარკვეული დემოგრაფიულ-შრომითი პოტენციალი სიცოცხლის გარკვეული წლების ჯამის სახით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს მატერიალური დოვალტის შესაქმნელად. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შრომითი

¹ პროფ. მ. ხმალაძის თანაავტორობით.

პოტენციალის გამოყენებასა და დასაქმების სოციალურ მხარეს, მაშინ მისი სიდიდე განსაზღვრული იქნება მოსახლეობის რიცხოვნობითა და მოკვდაობის დონით. შრომითი პერიოდის განმავლობაში დემოგრაფიულ-შრომითი პოტენციალის ეროვნულ შემოსავლად მატერიალიზაციის საკითხი შეიძლება განვიხილოთ ერთ რომელიმე წელს დაბადებული თაობისათვის მთელი მისი მომავალი სიცოცხლის განმავლობაში, მოცემულ წელს არსებული შრომის მწარმოებლურობის შენარჩუნების პირობებში, და იგივე - მოცემულ კალენდარულ წელს მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის ეკონომიკურ-დემოგრაფიული ეფექტი მთელი მომავალი სიცოცხლის განმავლობაში.

ზოგადად, მოსალოდნელი წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობას გამოთვლით მატერიალურ წარმოებაში გამოსაყენებელი კაც-წლების რიცხვის გამრავლებით შესაბამისი წლის შრომის მწარმოებლურობის დონეზე. თავის მხრივ, შრომითი პოტენციალი (კ/წლების ჯამი) ჩვენს მიერ გამოთვლილია იდეალურ პირობებში - 16-60 წლის ასაკში მოკვდაობის არარსებობისა და რეალურად არსებული მოკვდაობის პირობებში. შესაბამისად, მოსალოდნელი წარმოებული ეროვნული შემოსავალიც გამოითვლება: ა) იდეალურ პირობებში (მოკვდაობის არარსებობისას) და ბ) ფაქტიურად არსებულ პირობებში. მათ შორის სხვაობა წარმოადგენს უწარმოებელი ეროვნული შემოსავლის მოცულობას, რეზერვს, რომელიც შეიძლება ჩადგეს ხალხის სამსახურში.

1959 წელს დაბადებულების მიხედვით დემოგრაფიული პოტენციალი მოკვდაობის არარსებობის პირობებში შეადგენს 1645.6 ათას კ/წელიწადს, რეალურად არსებული მოკვდაობის პირობებში - 1466.1 ათას კ/წელიწადს, ხოლო დანაკარგები - 179.5 ათას კ/წელიწადს (1645.6-1466.1=179.5). 1989 წელს დაბადებულების მიხედვით მაჩვენებელი

ნებლები შესაბამისი თანმიმდევრობით ტოლია: 1337.6 ათასი კ/წელიწადის, 1246.4 ათასი კ/წელიწადის და 91.2 ათასი კ/წელიწადის.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით და შესაბამისი წლის შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლთა დახმარებით ჩვენს მიერ გამოთვლილ იქნა 1959 და 1989 წელს დაბადებულთა მიერ ეროვნული შემოსავლის წარმოების მოსალოდნელი მოცულობა. საქართველოში 1959 წელს დაიბადა 98.9 ათასი ბავშვი, 1989 წელს – 91.1 ათასი. ამ წლების მონაცემებით, მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობა 1959 წელს მთელი მოსახლეობის 37.8% შეადგენდა, 1989 წელს კი – 33.4%. მოცემული პროპორციიდან გამომდინარე, დაეუშვით, რომ 1959 წელს დაბადებულებიდან მატერიალურ წარმოებაში იმუშაებდა მათი 37.8%, ე.ი. 37.4 ათასი კაცი, ხოლო 1989 წელს დაბადებულებიდან 33.4%, ე.ი. 30.4 ათასი. სწორედ დაბადებულთა ამ ნაწილის მიმართ არის გამოთვლილი ზემოთმოტანილი დემოგრაფიული პოტენციალის მოცულობა.

შესაბამისი გაანგარიშებით აღმოჩნდა, რომ 1959 წელს დაბადებულებისათვის იდეალურ პირობებში ეროვნული შემოსავლის წარმოების მოსალოდნელი მოცულობა შეადგენს 2099.1 მილიონ მანეთს. რეალურად არსებული მოკვდაობის პირობებში. ანუ ფაქტიური – 1870.2 მილიონს, ხოლო უწარმოებელი ეროვნული შემოსავალი – 228.9 მილიონ მანეთს, რომელიც იდეალურის 10.9%, ხოლო 1959 წელს საქართველოში მთლიანად წარმოებული ეროვნული შემოსავლის 11.7%-ის ტოლია. 1989 წლის მონაცემებით, ამ წელს დაბადებულების მიერ იდეალურ პირობებში ეროვნული შემოსავლის წარმოების მოსალოდნელი მოცულობა ტოლია 6931.0 მილიონის, ფაქტიური – 6458.5 მილიონის, ხოლო უწარმოებელი ეროვნული შემოსავალი – 472.5 მილიონის, რომელიც იდეალურის 6.8%, ხოლო 1989 წელს საქართველოში მთლიანად წარმოებუ-

ლი ეროვნული შემოსავლის 5%-ის ტოლია. მოტანილი განგარნიშებიდან ჩანს, რომ თუ 1989 წელს დაბადებულებში 16-60 წლის ასაკში მოკვდაობას ადგილი არ ექნებოდა, მაშინ მხოლოდ ამ წელს დაბადებულების ხარჯზე, მოკვდაობის თავიდან აცილებით, ქვეყანას 472.5 მილიონი მანეთის ეროვნული შემოსავალი შეემატებოდა. მოკვდაობის შემცირება იმავდროულად ხომ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაცაა. ასე, რომ მოკვდაობის შემცირებით შეიძლება ორი კურდღლის დაჭერა – ერთდროულად როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ეფექტის მიღება. მაგრამ მოკვდაობის დონის დაყვანა ნულამდე, და „არაფრისგან“ 472.5 მილიონი მანეთის ეროვნული შემოსავლის მიღება არარეალურია. შრომით ასაკში მოკვდაობა ნულზე ვერ დავა, რადგან კიდევაც რომ მოხდეს მოკვდაობის ეგზოგენური მიზეზების ლიკვიდაცა, მოკვდაობის ენდოგენური მიზეზები მაინც ხომ ძალაში რჩება. ამიტომ, მოკვდაობის დონის შემცირების სტრატეგიული მიმართულებაა ეგზოგენური მიზეზების მაქსიმალური ლიკვიდაცია. მაგრამ რესპუბლიკაში არსებობს ეროვნული შემოსავლის ზრდის რეალური დემოგრაფიული რეზერვი – მოკვდაობის საერთო დონის შემცირება ქალების მოკვდაობის დონემდე. კონკრეტულად, საქართველოს მთელი მოსახლეობის მოკვდაობა ქალების მოკვდაობის დონეზე თუ დავიდოდა, 1959 წელს დაბადებულთა ხარჯზე ქვეყანა მიიღებდა 33.4 მილიონი მანეთის დამატებით ეროვნულ შემოსავალს, ხოლო 1989 წელს – 157.5 მილიონი მანეთისას.

რა თქმა უნდა, მოკვდაობის შემცირების ეკონომიკური ეფექტი, ერთ კონკრეტულ წელს დაბადებულ მოსახლეობასთან შედარებით, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მოსახლეობაში გაცილებით დიდი იქნება. მთელი მოსახლეობის დემოგრაფიული პოტენციალის ანალიზისათვის გაითვალისწინება დასაქმების, ე.ი. ეკონომიკური აქტიურობის დონე და მოკვდაობა შრომითი

საქმიანობის განმავლობაში. ამასთან, მხედველობაში მიიღება დასაქმება როგორც 16 წლამდე, ასევე 60 წლის შემდეგ. აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, მთელი მოსახლეობისათვის იანგარიშება შრომითი პერიოდის ცხრილები. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორი იქნება რაიმე პიპოტეზური თაობისათვის ფაქტობრივი შრომითი პერიოდის ხანგრძლივობა ერთი ასაკიდან მეორეში გადასვლისას, თუ მათი სიცოცხლის მანძილზე შენარჩუნებული იქნება მოცემული წლის მოსახლეობის დასაქმებისა და მოკვდაობის დონე. ამ ხერხით დგინდება მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა როგორც ახლადდაბადებულთათვის, ისე გარკვეულ შრომით ასაკს მიღწეულ პირთათვის. ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არის სიცოცხლის საერთო საშუალო ხანგრძლივობის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ადამიანი შრომით საქმიანობაშია ჩაბმული.

შრომითი პერიოდის ცხრილების დახმარებით შეიწავლება როგორც ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დონე, დინამიკა და სქესობივ-ასაკობრივი დოკუმენტაცია, ისე შრომითი წლების სავარაუდო დანაკარგები მოკვდაობის შედეგად. ამ მიზნით პირველ რიგში გამოითვლიან მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის ბრუტო-ხანგრძლივობას. ის გვიჩვენებს შრომითი პერიოდის საშუალო ხანგრძლივობას ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში დასაქმების არსებული დონის პირობებში. მაგალითად, 1989 წელს 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (ინტერვალი 10 წელი) საქართველოში დასაქმებული იყო მათი 71.9%. შესაბამისად, ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის ბრუტო-წლების რიცხვი შეადგენს $10 \times 0.719 = 7.19$ წელს, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის 10 წლის სიცოცხლიდან შრომით საქმიანობას მოხმარდება მისი 71.9%. ე.ი.

7.19 წელი. მაგრამ მოკვდაობის ალბათობა 20-29 წლის ასაკში ტოლია 0.966319, რომელიც შრომით საქმიანობაში მონაწილეობას 20-29 წლის ინტერვალში 7.19 წლიდან ამცირებს 6.96 წლამდე ($7.19 \times 0.966319 = 6.96$).

მოცემული ციფრი არის ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის ნეტო-ხანგრძლივობა 20-29 წლის მოსახლეობისათვის 1989 წლის დასაქმებისა და მოკვდაობის დონის პირობებში. ანალოგიურად გამოითვლება მანქენებლები ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და შემდეგ შეიკრიბება. ჩვენი გამოთვლით, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ბრუტო-ხანგრძლივობა 1989 წელს ახალდაბადებულთათვის შეადგენდა 39.1 წელს, ხოლო ნეტო-ხანგრძლივობა – 35.2 წელს.

შესაბამისმა გაანგარიშებებმა ცხადყო, რომ 1989 წელს ჩვენი რესპუბლიკის მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული 1818.2 ათასი კაცის შრომითი საქმიანობის ბრუტო-წლები მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე ტოლია 46.7 მილიონი კაც-წელიწადის, აქედან: ნეტო-წლებია 42.7 მილიონი წელიწადი, ხოლო დანაკრგები 4 მილიონი კ/წელიწადი. შესაბამისად, ბრუტო-ეროვნული შემოსავლის წარმოების მოსალოდნელი მოცულობა ტოლია 264436.7 მილიონი მანეთის, ნეტო-ეროვნული შემოსავალი – 241776.0 მილიონი მანეთის, ხოლო უწარმოებელი ეროვნული შემოსავალი – 22660.7 მილიონი მანეთისა, ე.ი. შრომით ასაკში მოკვდაობის სრული ლიკვიდაციის შემთხვევაში დღეს დასაქმებული მოსახლეობისაგან საქართველო დამატებით მიიღებდა 22660.7 მილიონი მანეთის ეროვნულ შემოსავლს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკვდაობის სრული ლიკვიდაცია შეუძლებელია.

მაშინ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: არსებობს თუ არა საქართველოში ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის რეზერვები? – რა თქმა უნდა,

არსებობს. მაგალითად, თუ საქართველოს მთელი ორივე სქესის მოკვდაობის დონე შემცირდება ქალების მოკვდაობის დონემდე, მაშინ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური სიცოცხლის ნეტო-ხანგრძლივობა 35.2 წლიდან გაიზრდება 41.7 წლამდე, ე.ი. 6.5 წლით, ხოლო მომავალი თაობები დამატებით მიიღებენ 8.7 მილიონი წელიწადის ტოლ დემოგრაფიულ პოტენციალს, რაც 45 083.4 მილიონი მანეთის ეროვნული შემოსავლის წარმოების ტოლფასია. მაგრამ, თუ ძნელი იქნება მოსახლეობის საერთო დასაქმების დონის აყვანა კაცების დასაქმების დონემდე, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის პრობებში, მისი გარკვეული ზომით გაზრდა მაინც ხომ შესაძლებელია. ამასთან, სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით, რეალურია მოკვდაობის საერთო დონის შემცირება ქალების მოკვდაობის დონემდე, რაც თავისთავად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს.

იხ. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1995, № 1-3.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში და მისი სოციალ-ეკონომიკური ასპექტები

მსოფლიოს (ძირითადად ევროპის) ბევრი ქვეყნის ანალოგიურად, საქართველოშიც საკმაოდ დიდი ხანია რაც დამკვიდრდა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი. ამ პროცესს, ცხადია, თან ახლდა დემოგრაფიული განვითარების მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციების ჩამოყალიბება, მაგრამ, არაორდინარული ვითარების შექმნის შედეგად, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მან მიმდინარე საუკუნის 90-იან წლებში მიიღო. რით გამოიხატა ეს გამწვავება? – იგი გამოიხატა, უწინარეს ყოფილსა, შობადობის ტემპების მკვეთრად დაცემითა და მოკ-

ვდაობის მაჩვენებლის ზრდით, რაც, საბოლოო ჯამში, დეპოპულაციაში მიგვიყვანს.

აი, როგორ გამოიყურება შობადობის დინამიკა: მოსახლეობის ათას სულზე საშუალოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იბადებოდა 40 ბავშვი, 1913 წელს დაიბადა 28, 1960 წ. – 24.7, 1990 წ. – 17, ხოლო 1995 წელს – 11.1. მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შეილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე). საქართველოში ყოველ 100 ქალზე 1960 წელს მოდიოდა 259 ბავშვი 1995 წელს კი – მხოლოდ 170, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 210 ბავშვისა.

სპეციალისტთა დასკვნით, ყოველ ათას ფერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები ოდენობით ბავშვთა დაბადება ითვლება დაბალი დონის შობადობად, 64-დან 100-მდე – საშუალო დონედ, 101-დან 120-მდე – საშუალოზე მაღალ დონედ, 121-დან 160-მდე – მაღალ, ხოლო 161 და მეტი – ძალიან მაღალ დონედ¹. სამწუხაროდ, ამ მაჩვენებლით საქართველომ 90-იან წლებში საშუალოდან (1990 წ. – 69.9) დაბალ დონეზე (1995 წ. – 46.5) გადაინაცვლა² და დღეისათვის კრიტიკულ ზღვარზე იმყოფება.

საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა ბევრ კიდევ უფრო არასასურველ დეტალზე მიგვანიშნებს. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი თითქმის 1.5-ჯერ დაბალია შესაბამის სასუალო მაჩვენებელთან შედარებით. სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებდან ჩანს, რომ 80-იანი წლების დასაწყისისათვის

¹ См.: Статистика населения с основами демографии. М., “Финансы и статистика”. 1990, с. 132.

² იხ. მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი (დემოგრაფიული პრობლემები). თბ., 1996, გვ. 34.

ქართულ ოჯახებში ბავშვთა სასურველი რაოდენობა საკმარისი იყო მოსახლეობის ოდნავ გაფართოებული აღწარმოებისთვის, მაგრამ რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა მარტივ აღწარმოებასაც. დღეისათვის კი შეილთა არამარტო რეალურად მოსალოდნელი, არამედ სასურველი ოდენობაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს და ქვეყნის მოსახლეობის ჯერ კიდევ ოდნავი ბუნებრივი მატება არაქართული მოსახლეობის (ძირითადად აზერბაიჯანელებისა და ქურთების) დემოგრაფიული ქცევით (შობადობის შედარებით მაღალი დონით) განისაზღვრება.

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების განუყოფელი კომპონენტია მოკვდაობა. საქართველოში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი მრავალი ათეული წლის მანძილზე, ბერ სხვა ქვეყანასთან შედარებით, დაბალი და სტაბილური დონით ხასიათდებოდა, მაგრამ 1990-1993 წწ. 1.7 პრომილით გაიზარდა და 10.1 პრომილეს მიაღწია. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით (რაც ამჯერად ნაკლებად სარწმუნოა), მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი რამდენადმე შემცირდა და 1995 წელს 7.7, ხოლო 1996 წელს 9.4 პრომილემდე დავიდა.

ზოგადი კოეფიციენტისაგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს. მას, სავსებით მართებულად, საზოგადოების განვითარების არსებით მაჩვენებლადაც მიიჩნევენ. ძირითადად, სწორედ მის მიხედვით მსჯელობენ ქვეყანაში სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების დონეზე. როგორი ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში? – ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის დონე საქართველოში, მართალია, რამდენადმე აღემატებოდა ამ მხრივ ცალკეული ცივილიზებული ქვეყნების (იაპონია, შვედეთი,

შევიცარია, ავსტრია, ბელგია და სხვ.) მიღწევებს, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საგრძნობლად დაბალი იყო, ვინემ აზერბაიჯანში, სომხეთსა და შუა აზიის ქვეყნებში. 90-იანი წლების დასაწყისიდან ამ მხრივაც არასასურველი ტენდენცია შეიმჩნევა. ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი ყოველ ათას ცოცხლად შობილზე მარტო ერთი წლის მანძილზე (1993 წელს 1992 წელთან შედარებით) თითქმის 6 პრომილით გაიზარდა და 18.3 პრომილეს მიაღწია, რაც 3-4-ჯერ აღემატება განვითარებული ქვეყნების დონეს. ფრიად დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ 1996 წელს გარდაცვლილ ჩვილ ბავშვთა თითქმის 90%-მდე ქართველებზე მოდიოდა, მაშინ როცა ქრთველების ხვედრითი წონა ქვეყნის მოსახლეობაში გაცილებით დაბალია.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპებით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. იგი შეადგენდა 1960 წელს 18.2 პრომილეს, 1990 წელს – 8.6 და 1995 წელს – 3.4 პრომილეს. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი (2.1) იყო 1994 წელს, რაც 10 ათას კაცს არ აღემატება. ასეთი დონის ბუნებრივი მატება საქართველოს ჰქონდა ჯერ კიდევ 30-იან წლებამდე, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა ამჟამინდელზე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იყო.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება საქართველოს ყველა რეგიონში შეიმჩნევა, მაგრამ არაერთნაირი ზომით. 1980-1995 წწ. ეს მაჩვენებელი შემცირდა მთლიანად საქართველოში 2.5-ჯერ, მათ შორის კახეთში – 11-ჯერ, ქვემო ქართლში – 3.3-ჯერ, შიდა ქართლში – 2.7-ჯერ, მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში – 2-ჯერ, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1.5-ჯერ, მცხეთა-მთი-

ანეთში – 14-ჯერ, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – დეპოპულაცია (აბსოლუტური კლება) გაიზარდა 3-ჯერ.

შორეულ პერსპექტივაში ქართველ ერს თავისივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხვედრითი წონის მკვეთრი შემცირების საშიშროებას უქმნის, არააბორიგენ ეროვნებებთან შედარებით, მისი დაბალი აღწარმოებრივი მაჩვენებლები. საკმარისია ითქვას, რომ მოსახლეობის უკანასკნელი (1989 წ.) აღწერის მონაცემებით, ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატებოდა 7.6 პრომილეს, მაშინ როცა სომხების შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 8.4, ხოლო აზერბაიჯანელებისა – 22.9 პრომილეს ანუ 3-ჯერ მეტს.

ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ასეთი კონტრასტული მაჩვენებლები, მთელ რიგ სხვა გარემოებებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დემოგრაფიული განვითარებისა და, მასთან დაკავშირებით, ბავშვთაშობის შიგაოჯახური რეგულირების სხვადასხვა დონითაა განპირობებული (აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა მოხდა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში – XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან, მუსულმანებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი).

გასულ საუკუნეში, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელ პერიოდებზე, საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახი შედარებით მასობრივ მოვლენას წარმოადგენდა. დღეისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. მას ამ მაჩვენებლით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის უკანასკნელი – მეთხუთმეტე ადგილი უჭირავს. ადრინდელი ეტაპებისაგან განსხვავებით, მწვევედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 1995 წლის მონაცემებით, საქართველოში

დაბადებულ ბაეშეთა 85.8% მოდის პირველ და მეორე შვილზე და მხოლოდ 14.3% – მესამე და მომდევნო შვილებზე, რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიუთითებს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ უკიდურესად დუხჭირი ცხოვრების შედეგად, არცთუ იშვიათად (მეტწილად ლტოლვილთა და ხიზანთა შორის) განუსაზღვრელი ვადით ხდება გადადება თვით პირველი შვილის გაჩენის და შეუღლების აქტისაც, რომლის სავალალო შედეგები უფრო თვალსაჩინო გახდება მომავალში, ე.ი. მაშინ, როდესაც ამჟამად ახალშობილი თაობა მიღწევს ფერტილურ ასაკს.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს აგრეთვე შესაბამისი ასაკის ყოველ ათას ადამიანზე ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირება. 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იან წლებში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 10 ქორწინება, 1995 წელს კი – მხოლოდ 4.3. მართალია, განქორწინების მაჩვენებელი თანდათანობით კლებულობს და დონეც შედარებით დაბალია (1995 წელს მოსახლეობის ათას კაცზე შეადგენდა 0.5-ს), მაგრამ ქორწინების მკვეთრი კლების ფონზე თითოეული განქორწინების მნიშვნელობა იზრდება. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ თუ 1950 წელს ყოველ 70 ქორწინებაზე მოდიოდა ერთი განქორწინება, ამჟამად ამდენ ქორწინებაზე 9 განქორწინება მოდის.

საქართველოში 80-იანი წლების დასასრულისათვის ქორწინებაში იმყოფებოდა 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 63.6%, დაუქორწინებელი იყო 22.4%, ქვრივი – 10.7, ხოლო განქორწინებული და გაცილებული – 2.5%. თანაც, ამ მიმართულებითაც ფრიად ნეგატიური ტენდენცია შეიმჩნევა: 1979-1989 წწ. იმავე ასაკის მოსახლეობაში დაუქორწინებელთა რიცხოვნობა გაიზარდა 22 ათასით. ქვრივთა – 2.3, ხოლო განქორწინებულ და გაცილებელთა – 24.4 ათასით. 90-იან წლებში აფხაზეთსა

და ცხინვალის რეგიონში სისხლისმღვრელ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით, ათეულ ათასობით ადამიანის (ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცების) დაღუპვისა და შერეული ოჯახების მნიშვნელოვანწილად დანგრევის (დაშლის) გამო, დაქვრივებულ, განქორწინებულ და გაცილებულთა რიცხოვნობა დღეისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია.

დაუქორწინებულთა, დაქვრივებულთა, განქორწინებულთა და გაცილებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის აღწარმოებაზე. როგორც ცნობილია, განქორწინების შემდეგ საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი დრო ახალი ოჯახის შესაქმნელად. ამას ემატება მორალური ტრავმით გამოწვეული ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლის გამოც ხშირ შემთხვევაში (ძირითადად ქალების მიერ თავშეკავების გამო) ვეღარ იქმნება ახალი ოჯახი. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქართველ ქალებს ეხებათ, რამდენადაც, დამკვიდრებული ტრადიციის გამო, მათი მეორედ გათხოვების სურვილი შედარებით ნაკლებია, ვინემ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისა. 1989 წელს თუ ქორწინებაში პირველად შესულთაგან 70% იყო ქართველი, მეორედ გათხოვილთა შორის მათი ხვედრითი წილი მხოლოდ 43%-ს შეადგენდა.

თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან დემოგრაფიულ დილემად თვლიან მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას. გაეროს დემოგრაფთა კლასიფიკაციით, მოსახლეობა ახალგაზრდად ითვლება, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წონა არ აღემატება 4%-ს, სიბერის ზღვარზე მყოფად – თუ 4-7%-ის ფარგლებშია და დემოგრაფიულად დაბერებულად – თუ 7%-ზე მეტია. საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. აქ 1995 წელს 65 წლისა და უფროსი ასა-

კის მოსახლეობის ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შეადგენდა 12.2%-ს, ხოლო 60 წლის და უფროსი ასაკისა – 17%-ს (დაბერების ზღვრად ითვლება ამ ასაკის მოსახლეობის 12%). ამის მიზეზია, ერთი მხრივ, შობადობის შემცირება ანუ „დაბერება ქვემოდან“ და, მეორე მხრივ, ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივება ანუ „დაბერება ზემოდან“.

როგორც ფაქტორივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, 1979-1993 წწ. საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში სრული შრომისუნარიანთა ხვედრითი წონა 14 პუნქტით შემცირდა, ხოლო საპენსიო ასაკისა – 3.8 პუნქტით გაიზარდა, რაც თითოეული სრული შრომისუნარიანის კმაყოფაზე მყოფთა (ანუ დემოგრაფიული დატვირთვის) თანდათანობით ზრდაზე მიგვანიშნებს. მაგალითად, 1979 წელს ყოველ 100 შრომისუნარიანზე მოდიოდა 75.8 კმაყოფაზე მყოფი პირი (მოხუცი, ბავშვი, ინვალიდი, ავადმყოფი და სხვ.), 1993 წელს კი – 80.5.

ე. როსეტის კლასიფიკაციით (სკალით)¹ თუ შევაფასებთ, შეიძლება დაეასკენათ, რომ საქართველოს მოსახლეობა ამჟამად „საშუალო დემოგრაფიული დატვირთვის“ (80-120) ქვედა ზღვარზე იმყოფება, მაგრამ თუ რეალურად დასაქმებულ შრომისუნარიანებზე გავინაგარიშებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი „ძლიერ დიდი დატვირთვის“ (160-ზე მეტი) სკალაში მოხედება.

ესოდენ მაღალი და თანდათანობით მზარდი დემოგრაფიული დატვირთვა არა მარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტიული თვალსაზრისით, პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება ჩაგვეთვალო, რომ მასში შრომის ასაკს მიულწვევლთა ხვედრითი წონა სჭარბობდეს და, თანაც, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდეს. სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ საწინააღმდეგო ანუ ნეგატიურ ტენ-

¹ იხ. Нетрудоспособное население: социально-демографические аспекты. М., „Наука“. 1985, с. 25.

დენციებთან გვაქვს საქმე: დემოგრაფიული დატვირთვის მანვენებელში კლებულობს შორმის ასაკს მიულწვეულთა ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომის ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ 1979-1993 წწ. ასეთი ცვლილებები განიცადა: 16 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წონა 65-დან 57.6%-მდე შემცირდა, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობისა – 35-დან 42.4%-მდე გაიზარდა.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად, რომელიც, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, თითქმის დაიცალა ახალგაზრდობისაგან. სოფლიდან ქალაქისაკენ მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობის) მიგრაციული პროცესები სხვა რეგიონებზე უფრო მეტად ჩრდილოეთ მაღალმთიანეთში იგრძნობა.

დემოგრაფიაში მიღებული კლასიფიკაციით, 20 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე 50 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის სიჭარბეს რეგრესული ტიპის ასაკობრივ სტრუქტურად მიიჩნევენ. ასეთი ტიპი მყარადაა ჩამოყალიბებული საქართველოს ჩრდილოეთ მაღალმთიანეთში. მ. ტუხაშვილის გაანგარიშებით, აქ 50 წელზე უხნესი მოსახლეობა 25%-ით აღემატება 20 წლამდე ასაკის მოსახლეობას. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში 1989 წელს 20 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 25% იყო, 50 წელს გადაცილებული მოსახლეობისა კი – 43%-ს აღემატებოდა. ამბროლაურის რაიონში 50 წელზე უხნესი მოსახლეობა 2.5-ჯერ მეტია 20 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე, ონის რაიონში – 1.9-ჯერ, ცაგერის რაიონში – 1.7-ჯერ. მომდევნო პერიოდში ანალოგიური ტიპის ასაკობრივი სტრუქტურა ჩამოყალიბდა კიდევ 22 რაიონში, ესენია: ვანი, ბაღდათი, სამტრედია, წყალტუბო, ხონი, ზესტაფონი, ხარაგაუ-

ლი, ტყიბული, თერჯოლა, მარტვილი, აბაშა, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ცხინვალი (სოფელი), ჯავა, ყორნისი, ახალგორი, ყაზბეგი, თიანეთი, სიღნაღი, გურჯაანი, დედოფლისწყარო¹.

დემოგრაფიული დაბერებით გამორჩეულ რეგიონებში მოკვდაობა, საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, მკვეთრად მაღალია. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქართული ეროვნების მოსახლეობას ეხება. როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი გეიჩვენებს, 1996 წელს გარდაცვლილთა 80.3% ქართველებზე მოდიოდა, მაშინ როცა მათი ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში ამ მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით დაბალია. ძირითადად ქართველებით დასახლებულ და, მაშასადამე, დემოგრაფიულად დაბერებულ რაიონებში მოკვდაობა იმდენად მაღალია, რომ, არცთუ იშვიათად, შობადობას აღემატება და დეპოპულაციას იწვევს. 1996 წელს ასეთი ვითარება აღინიშნებოდა ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ჩოხატაურის, გურჯაანის, ვანისა და ზუგდიდის რაიონებში. თანაც, შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტებს შორის სხვაობას, ნაცვლად შემცირებისა, მეტწილად ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, მოკვდაობა შობადობას ცაგერის რაიონში 1995 წელს აღემატებოდა 52.2%-ით, ხოლო 1996 წელს – 55.5%, ჩოხატაურის რაიონში, შესაბამისად, 5 და 20%-ით, გურჯაანის რაიონში – 17.7 და 49%-ით და ა.შ.

საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებას, სხვა გარემოებებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად ამძიმებს მოსახლეობის ინტენსიური გარე მიგრაციული პროცესები. მაგალითად, გ. წულაძისა და გ. მელაძის შეფასებითი განგარიშებით, რომელიც არსებითად განსხვავდება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებისაგან, 1990-1996 წლებში საქართველოდან წავიდა (მუდმივ საც-

¹ იხ. მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი (დემოგრაფიული პრობლემები). თბ., 1996, გვ. 46-47.

ხოვრებლად ან გაურკვეველი ვადით სამუშაოდ, სწავლის გასაგრძელებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებაში და ა.შ.) სულ 1384.4 ათასი კაცი (ძირითადად ახალგაზრდობა), ხოლო საქართველოში ჩამოვიდა 378.1 ათასი, ასე რომ უარყოფითმა საღლომ შეადგინა 1006.3 ათასი კაცი¹.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა შედეგად, სისტემატურად კლებულობს საქართველოს მოსახლეობისა და ქართველთა ხვედრითი წილი ამიერკავკასიაში. მთელი მოსახლეობის რიცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით საქართველო თუ XIX საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანსა და სომხეთს უსწრებდა, დღეისათვის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე და მატების ტემპით მესამე ადგილზეა. ამიერკავკასიაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წონა 1959 წლის 44%-დან 1995 წელს 32.4%-მდე (მიგრაციის გათვალისწინებით, დაახლოებით 30%-მდე) შემცირდა. რაც შეეხება ქართველთა ხვედრით წილს, იგი 1959-1989 წწ. 3.6 პუნქტით შემცირდა.

რამ განაპირობა უკანასკნელ პერიოდში დემოგრაფიული ვითარების ესოდენ გამწვავება საქართველოში? მის განმპირობებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია:

– მაენე ნივთიერებებით ატმოსფეროს ინტენსიური გაბინძურება და უსუფთაო ჰაერის, წყლისა და კვების პროდუქტების მოხმარების უარყოფითი გავლენა ადამიანთა ჯანმრთელობაზე. საკმარისია ითქვას, რომ საწარმოთა უდიდესი უმრავლესობის გაჩერების (უშოქმედობის) მიუხედავად, 1991-1996 წწ. სტაციონარული წყაროებიდან გამოფრქვეულ იქნა 12.2 მლნ ტონა მაენე ნივთიერება, რომლის მხოლოდ ნახევარი იქნა დაჭერილი და გაუვნებლყოფილი, დანარჩენი გავიდა ატმოსფეროში და სხვადასხვა ავადმყოფობის წყაროდ იქცა. ასეთი დასკვნის სა-

¹ გ. მელაძე, გ. წულაძე. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები (1990-1996 წლები). თბ., 1997, გვ. 19.

ფუძველს გვაძლევს ის, რომ სპეციალისტთა გაანგარიშებით, ავადმყოფობათა დაახლოებით 90% პირდაპირ თუ არაპირდაპირ სწორედ ბუნებრივ და სოციალურ გარემო პირობებთანაა დაკავშირებული;

– მცენარეული საფარის მასობრივი განადგურება არა მარტო ტყეებში, არამედ ნაკრძალებში, ბოტანიკურ ბაღებში, პარკებსა და სკვერებშიც. იჭრება სრულიად საღი, მათ შორის წიწვიანი ხეებიც და ამის ავტორები სრულებით არ ფიქრობენ იმაზე, რომ შთამომავლობას ჟანგბადით სუნთქვის საშუალებას უსპობენ. ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს (რომ არაფერი ეთქვათ გადამთიელზე) ხის მერქანი სავაჭროდ გააქვს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ზოგიერთი კი (ენერგეტიკული კრიზისის გამო) იძულებულია სათბობად გამოიყენოს. არც ერთია გამართლებული და არც მეორე. თუ პროცესი არ შეჩერდა, ბუნებრივი წონასწორობა კიდევ უფრო მკვეთრად დაირღვევა და კატასტროფა გარდუვალი გახდება;

– რადიაციული გამოსხივების მკვეთრად გადამეტება დასაშვებ ნორმაზე (განსაკუთრებით ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ) – ძირითადად დასავლეთ საქართველოში, რომელიც ნათლად აისახა სისხლის დაავადებათა ზრდაში (მეტწილად მოზარდებში);

– თამბაქოს წვეის მასობრივი ხასიათი ადრეულ (სკოლის ასაკში), მათ შორის გოგონებში, რაც ძლიერ უარყოფითად მოქმედებს შთამომავლობაზე (ეს ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, უფრო ხშირად კი - მოგვიანებით);

– ნარკობიზნესის განვითარება და ნარკომანთა რიცხოვნობის ზრდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ასაკის მკვეთრი გაახალგაზრდავება – მომხმარებელთა დაახლოებით ორი მესამედი 16-დან 30 წლამდე ასაკისაა, თანაც, ყოველი მერვე ან მეათე მაინც ქალია, რაც გენოფონდს გადაგვა-

რებით ემუქრება. ცნობილია, რომ ნარკომანებს საერთოდ არ უჩნდებათ შეილება და თუ უჩნდებათ – მეტწილად დებილი და განუვითარებელი ბავშვები;

– მეძავეობა, საროსკიპოების ქსელის გაშლა და ვენერიულ დაავადებათა მოხშირება, რაც შიდსის – თანამედროვებოს ამ შავი ჭირის გავრცელებასაც უწყობს ხელს;

– განზრახ მკვლელობათა, თვითმკვლელობათა და ბანდიტიზმით განპირობებულ მკვლელობათა მოხშირება;

– ეთნოკონფლიქტების ნიადაგზე, მეომრებთან ერთად, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა;

– დაძაბულობითა და განცდებით გამოწვეული ნერვული სტრესი, უწინარეს ყოვლისა, ასეულ ათასობით ლტოლვილებსა და საკუთარი კერებიდან გამოხიზნულებს შორის.

ყველა აქ ჩამოთვლილი ფაქტორი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ უკანასკნელ წლებში დემოგრაფიული კრიზისის განმსაზღვრელ მიზეზებს შორის მაინც ვერცერთი ვერ შეედრება სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებას და მოსახლეობის უმრავლესობის უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნას, ადამიანთა არასაკმარისი და არარაციონალური კვების რეჟიმის დამკვიდრებას. ესოდენ გამორჩეული მნიშვნელობის გამო, საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხზე უფრო დეტალურად შეჩერება.

მსოფლიო მასშტაბით მეურნეობის სოციალისტური სისტემის კრახს, სსრ კავშირის დაშლასა და დამოუკიდებლობამოპოვებელი ქვეყნების მიერ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესს უმტკივნეულოდ არსად ჩაუვლია, მაგრამ, წარმოქმნილი ფრიად არაორდინარული ვითარების მეოხებით, ეკონომიკის დაქვეითებას პოსტსოციალისტურ სივრცეში არსად მიუღია ისეთი მასშტაბები და ინტენსიური ხასიათი, როგორც საქართვე-

ლოში. ამაზე მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრ. 1).

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ინდექსები

ცხრილი 1

წლები	მთლიანი ში- გა პროდუქტი	მრეწველური პროდუქცია	სოფლის მეურ- ნეობის პრო- დუქცია	ცენტრალიზებუ- ლი კაპ. დაბან- დებათა მოცუ- ლობა
1990	100	100	100	100
1991	79.9	74.6	83.9	67.1
1992	44.1	32.2	51.8	38.1
1993	29.4	26.3	44.1	2.9
1994	20.6	17.4	37.2	2.8

1994 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1958 წლის, ხოლო სოფლის მეურნეობისა 1945 დონეზე იყო დაქვეითებული. 1990-1993 წწ., რომ არაფერი ვთქვათ მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოების კატასტროფულ დაცემაზე, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება შემცირდა 29-ჯერ, ხილის კონსერვებისა – 27-ჯერ, ხორცისა და ხორცპროდუქტებისა – 45-ჯერ, ჩაის მზა პროდუქციისა – 90-ჯერ. თითქმის მთლიანად შეწყდა შამპანური ღვინოების, საკონიაკე სპირტებისა და სხვა მარაგების ფორმირება.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოსათვის 1992-1994 წწ. დამახასიათებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გადიდება. ამას მოჰყვა ინფლაციის ფანტასტიკური ზრდა, ვინაიდან დეფიციტი ძირითადად ფულის ემისიის დაჩქარებით იფარებოდა. ყოველივე ამან განსაზღვრა ის, რომ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის

დეფიციტის თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან შეადგენდა: 1992 წ. – 25.6%, 1993 წ. – 34% და 1994 წ. – 13.6%-ს, მაშინ როდესაც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე მთლიანი შიგა პროდუქტის 2-3%-ს არ უნდა აღემატებოდეს. შესაბამისი მაჩვენებელი 1994 წელს ბელარუსში იყო 3.4%, უზბეკეთში – 4.2%, ყირგიზეთში – 7.7%, უკრაინაში – 9.5%, რუსეთის ფედერაციაში – 10.3%.

ეკონომიკური კრიზისის გამწვავება ნათლად აისახა მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუარესებაშიც. საკმარისია ითქვას, რომ 1992 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშუალო ხელფასი მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულების მხოლოდ 45.5%-ს შეადგენდა. მომდევნო პერიოდში სახელმწიფო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების ზრდა ვერ ეწეოდა სამომხმარებლო ბაზრის ფასების ზრდას (1992 წელს საშუალო ხელფასი 5.6-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც სამომხმარებლო ბაზრის ფასები – 8.5-ჯერ. 1993 წელს, შესაბამისად, 18.4-ჯერ და 113.7-ჯერ) რის შედეგადაც უკვე 1993 წლის შუახანებისათვის ხელფასმა დაკარგა თავისი სოციალური ფუნქცია და სიმბოლური ხასიათი შეიძინა. მოსახლეობის 80%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. ამაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშუალო ხელფასი 1995 წლის დასაწყისისათვის ფარავდა ნორმატიული მინიმალური ხელფასის (რომელსაც უნდა უზრუნველყო მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის ანუ სიღატაკის ზღვრის შესაბამისი დონის მაჩვენებლები) არაუმეტეს 17%-ისა. ყველა სახის შემოსავალი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 1994 წლის დეკემბერში შეადგენდა დაახლოებით 7-7.5 აშშ-ის დოლარის ეკვივალენტურ თანხას, რაც, ოთხწევრიანი ოჯახის ერთ წევრზე გაანგა-

რიშებული, მინიმალური სამომხმარებლო კალათის (სიღარიბის ზღვრის) ღირებულების მხოლოდ 44% იყო (შედარებისთვის: რუსეთში ანალოგიური მაჩვენებელი, 1994 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 163%-ს აღწევდა).

როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, 1994 წელს გამოკითხულთა 69% ცხოვრობდა უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, 24% საშუალოდ და მხოლოდ 7% – ნორმალურად. 3-4 წლის წინათ კი ამ რესპონდენტთა 56% ცხოვრობდა საშუალოდ, 34% – კარგად და 8% – გაჭირვებულად. ე.ი. გაჭირვებულთა შორის აღმოჩნდა ადრე ნორმალურად მცხოვრებთა თითქმის ნახევარი და საშუალოდ მცხოვრებთა სამი მეოთხედი.

ეკონომიკურ კრიზისს საზოგადოების ყველა ფენაზე ერთნაირი გავლენა არ მოუხდენია. იმათი რიცხვი, ვისი მდგომარეობაც 1991-1994 წწ. გაუარესდა, 18-ჯერ და მეტად სჭარბობდა იმათ რიცხვს, ვისიც გამუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 4%-მა გაიუმჯობესა მდგომარეობა, 72-მა გაიუარესა და მხოლოდ 24%-ისა დარჩა უცვლელი¹.

მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების პროცესი შემდგომ წლებში ინტენსიურად წარიმართა. დღეისათვის ყველაზე მაღლ შემოსავლიანი 10%-ის შემოსავალი ყველაზე დაბალ შემოსავლიანი 10%-ის შემოსავლებს 50-ჯერ აღემატება, მაშინ როცა ექსპერტები კრიტიკულ ზღვრად 10:1 თანაფარდობას მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ 80-იანი წლების დასასრულისათვის იგივე მაჩვენებელი საქართველოში 5:1-ს არ აღემატებოდა.

1996 წელს, წინა წლებთან შედარებით, ოდნავ მოთანაბრდა შინამეურნეობების განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. კერძოდ, ჯინის ინდექსი, რომელიც გამოხატავს შემოსავლების განაწილების უთა-

¹ იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1994 წელს. სტატისტიკური ცნობარი, თბ., 1995, გვ. 1.

ნაბრობას, 1995 წლის 0.58-დან 1996 წელს 0.5-მდე შემცირდა. შინამეურნეობებზე დაკვირვების მონაცემებით, თბილისში 1996 წლის ზაფხულში შემოსავლების განაწილება კვინტილურ ჯგუფებში ასეთნაირად გამოიყურებოდა: მთელ შემოსავლებში ყველაზე უღარიბესი 20%-ის წილი შეადგენდა მხოლოდ 2.7%-ს, მეორე 20%-ისა – 6.7%-ს, მესამე 20%-ისა – 12.4%-ს, მეოთხე 20%-ისა – 20.3%-ს, ხოლო ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20%-ისა – 57.9%-ს¹.

როგორც ცნობილია, ე.წ. ენგელის კანონის თანახმად, ოჯახის საერთო შემოსავალში რაც უფრო მაღალია კვების პროდუქტებზე დანახარჯების წილი, მით უფრო დაბალია ცხოვრების დონე. სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, საქართველოში 1994 წელს მოსახლეობის 24% მთელ შემოსავალს კვებაზე ხარჯავდა, 59% კი – შემოსავლის ნახევარზე მეტს. კვებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით სიღატაკის კოეფიციენტი 83%-ს შეადგენდა (შედარებისთვის: აღნიშნული კრიტერიუმით გაანგარიშებული სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა 1992 წლის დასაწყისში მოსახლეობის 72%, ხოლო 1993 წლის დასაწყისში – 86%). მოსახლეობის 72% არაფერს არ ხარჯავს ჩაცმა-დახურვაზე და 74% – გართობაზე. 1995 წელს დანახარჯების საერთო მოცულობაში ხარჯები კვებაზე მდიდრებს დაახოებით 2-ჯერ ნაკლები, ხოლო ხარჯები არასასურსათო საქონლის შეძენაზე – 3-ჯერ მეტი ჰქონდათ, ვინემ ღარიბებს.

საინტერესოა, თუ როგორ გამოიყურება 90-იანი წლების განვლილ პერიოდში კვების პროდუქტების მოხმარების დინამიკა? – სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1994 წელს დღე-ღამეში მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარებული კვების პროდუქტების საერთო მოცულობა არ აღემატებოდა 1753 კკალორიას,

¹ იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1996 წელს. სტატისტიკური ცნობარი, თბ., 1997, გვ. 25.

რაც 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 66%-სა და ფიზიოლოგიური ნორმის 73%-ს შეადგენდა. როგორც ჩანს, კვების პროდუქტების საერთო მოხმარებაც საკმაოდ გამოიყურება, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა მოსახლეობის პირველი მოთხოვნების საგნებით დაკმაყოფილების თაობაზე სრულ წარმოდგენას. ამისათვის აუცილებელია კვების ძირითადი პროდუქტების მიხედვით მაინც განვიხილოთ ფაქტიური მოხმარება და ფიზიოლოგიურ ნორმებთან მათი თანაფარდობა (იხ. ცხრ. 2).

როგორც ჩანს, საქართველოში 1991-1995 წწ. საშუალოდ წლიურად ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 18.1 კილოგრამს შეადგენდა, რაც ხელოვნურად შემცირებული ფიზიოლოგიური ნორმის მიმართაც კი 35.5%-ს არ აღემატება. 1994 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი (18.4%) იყო, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ამ უმნიშვნელოვანეს ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნილებას. შედარებისთვის შეიძლება მოვიტანოთ მსოფლიოს ცალკეულ განვითარებულ ქვეყნებსა და ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასასრულისათვის ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარების თაობაზე ფაქტობრივი მონაცემები. მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ იგი მოხმარებულ იქნა (კილოგრამობით): ინგლისში 70, საფრანგეთში – 94, აშშ – 113, ლიტვაში – 87, ლატვიაში – 85, ესტონეთში – 82 და ა.შ.¹

მოსახლეობის ერთ სულზე რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით) 1990 წელს მოხმარებულ იქნა (კგ): ბელარუსში 425, ლიტვიაში – 480, ლატვიაში – 454, სომხეთში – 446, ესტონეთში – 487, ხოლო საქართველოში – 273. დღეისათვის ეს მაჩვენებელიც ოცნებად

¹ იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1994 წელს. სტატისტიკური ცნობარი, თბ., 1995, გვ. 1.

კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები და ფაქტური მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე საშუალოდ¹ საქართველოში
ცხრილი 2

კვების პროდუქტები	ფიზიოლ. ნორმები	ფაქტური მოხმარება						
		1990 წ.	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.	წ. საშ. ფაქტური მოხმარება
ხორცი და ხორც-ცხროდუქტები	საშ.მოხმარებულზე	36.5	26.4	19.5	22.9	9.4	12.5	18.1
თევზი და თევზპროდუქტები (თევზის კონსერვების ჩათვლით, გადაანგ. თევზზე) - კგ.	10	8.0	6.6	2.8	1.4	0.4	0.6	2.3
რძე და რძის ნაწარმი (გადაანგორეშებული რძეზე) - კგ.	315	311	308	144	148	91	98	218
კარაქი ცხოველური - კგ.	4	6.5	3.4	2.7	1.8	1.1	1.2	2.0
მცენარეული ცხიმები - კგ.	6	4.5	4.2	5.6	3.8	2.4	3.3	3.8
შაქარი - კგ.	15	17	10	7	6	4.8	6	6.7
ქვერცხი - ცალი	150	140	113	89	75	63	66	81.2
კარტოფილი - კგ.	50	37	37	33	39	25	27	32.2
ბოსტნეული და ბალრეული - კგ.	118	71	77	65	72	51	56	64.2
ხილი, კენკრა, და ყურძენი (ჩირის ჩათვლით, გადაყუანილი ნუგბარზე) - კგ.	65	48	49	42	44	33	37	41
პურპროდუქტების (პური და მაკარონის ნაწარმი ფქვილზე გაანგარიშ. ბურღულეული, პარკოსნები) - კგ.	160	185	184	175	214	153	154	176

გვექცა, რამდენადაც მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ რძისა და რძის პროდუქტების მოხმარებამ, მაგალითად, 1994 წელს 91 კგ-ს ვერ გადააჭარბა, რაც ფიზიო-

¹ იხ. Вестник статистики. М., 1991, № 10, с. 54-56.

ლოგიური ნორმის მხოლოდ 28.8%-ს შეადგენს. მოსახლეობის ერთ სულზე მისი მოხმარება 1994 წელს შეადგენდა ფიზიოლოგიური ნორმის 27.5%-ს.

1990 წელს მოსახლეობის ერთ სულზე თევზისა და თევზპროდუქტების მოხმარება შეადგენდა (კგ): რუსეთის ფედერაციაში 20.3, უკრაინაში – 17.5, ბელარუსში – 19.4, ლიტვაში – 18.6, ლატვიაში – 22.5, ესტონეთში – 24, საქართველოში – 5.1. იგივე მაჩვენებელი 1989 წელს შეადგენდა: ინგლისში 12.3, საფრანგეთში – 13.2, აშშ – 12.2, იაპონიაში – 57.1. დღეისათვის საქართველოს 1990 წლის მაჩვენებელი სანატრელია, რამდენადაც მოსახლეობის ერთ სულზე თევზისა და თევზპროდუქტების მოხმარება ფიზიოლოგიური ნორმის მიმართ შეადგენდა: 1993 წელს 14%, 1994 წ. – 4%, 1995 წ. – 6%-ს.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ფიზიოლოგიურ ნორმებს ასევე მკვეთრად ჩამორჩება კვერცხის, შაქრის, მცენარეული ცხიმების კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის და მთელი რიგი სხვა ძირითადი სასურსათო პროდუქტების ფაქტიური მოხმარება. რით ავსებს მომხმარებელი ორგანიზმისათვის ესოდენ აუცილებელი პროდუქტების ასეთ დიდ დანაკლისს? – ძირითადად პური და პურპროდუქტებით. მაგალითად, 1993 წელს მოსახლეობის ერთ სულზე პურისა და პურპროდუქტების მოხმარება ფიზიოლოგიურ ნორმას (რომელიც თავის მხრივ, ხელოვნურად გაბერილია) 54 კილოგრამით ანუ 33.7%-ით აღემატებოდა და კვების პროდუქტების მოხმარების რაციონში მას 47% ეჭირა.

ამ მონაცემების გაცნობის შემდეგ, კანონზომიერია მკითხველს დაებადოს კითხვა: ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მოსახლეობის აღწარმოებასთან რა კავშირშია? – ამთავითვე უნდა აღენიშნოთ, რომ ესენი ერთიმეორესთან მჭიდროდ გადაჯაჭვული მოვლენებია. სხვათაშორის, მეცნიერ-დემოგრაფთა ერთი ნაწილი ქვეყნის სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების დონის ამაღლებას და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას შობადობის ოპტიმიზაციის პირობად არ თვლის. მეტიც, მას საწინააღმდეგოდ მოქმედ ფაქტორადაც კი მიიჩნევს, რამეთუ, აღნიშნავენ ისინი, — „რაც უფრო შეძლებულად ცხოვრობს ოჯახი, მით უფრო მცირეშვილიანია იგი“. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ავტორები ასეთი კატეგორიული დასკვნის გაკეთებისას სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებს იშველიებენ, იგი მართებულად არ მიმაჩნია და აი რატომ: შეძლებულ ოჯახებში შვილების რაოდენობა მეტწილად მართლაც შედარებით ცოტაა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მატერიალური კეთილდღეობა უშლის ხელს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ოჯახების მესვეურები, როგორც წესი, უფრო მეტად არიან დატვირთულნი საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობით და შედარებით ნაკლები დრო რჩებათ შვილების აღზრდისათვის, თანაც, მეტ მოთხოვნებს უყენებენ შვილების ინტელექტურალურ აღზრდას (უმადლესი განათლების მიღება, სამეცნიერო ხარისხების დაცვა, რამდენიმე უცხო ენის დაუფლება, მუსიკალური განათლების მიღება, ცეკვების შესწავლა, კომპიუტერის ათვისება, სპორტის სვადასხვა სახეობაში მონაწილეობა და ა.შ.).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ შეიძლება ამ საკითხზე ერთნაირად ვიმსჯელოთ სოციალურ-ეკონომიკურად მაღალ და დაბალგანვითარებული ქვეყნების (მაგალითად, შვედეთისა და საქართველოს) მიმართ. შვედეთში მართლაც ძნელი შესამჩნევია ამ ფაქტორის ზემოქმედება დემოგრაფიულ პროცესებზე (და, შეიძლება ითქვას, მეტწილად არც ახდენს მასზე გავლენას, რამდენადაც თითქმის მთლიანად მოხსნილია საშიშროება იმისა, რომ შეძლებს თუ არა მისთვის სასურველი რაოდენობის შვილების მოვლა-პატრონობასა და თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღზრდას). ჩვენთან კი, პირიქით,

ძალიან ადვილი შესამჩნევია, რამდენადაც შვილების სასურველ რაოდენობას რეალურად მოსალოდნელი რიცხოვნობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ფაქტორის გავლენით ჩამორჩება. იქ, სადაც საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ღირებულება თითქმის 100 ლარს შეადგენს, ხოლო მინიმალური ხელფასი 15 ლარს და საშუალო თვიური ხელფასი 35 ლარს არ აღემატება, ბუნებრივია, საგრძობლად ბრკოლდება მოსახლეობის როგორც ოპტიმალური აღწარმოებრივი ორიენტაციის ფორმირება, ისე (და მეტწილად) შვილთა სასურველ რაოდენობაზე ჩამოყალიბებული განწყობის პრაქტიკული რეალიზაცია. მარტივად რომ ვთქვათ, არცთუ იშვიათად, ოჯახი თავს იკავებს მომდევნო და (თუნდაც სასურველი) შვილის გაჩენაზე იმის გამო, რომ ეშინია, ვაი-თუ ვერ შეძლოს მისი ჯეროვანი მოვლა და მაღალინტელექტუალურად აღზრდა.

სასურსათო პროდუქტების მოხმარების თაობაზე ზემოთ მოტანილი საშუალო მაჩვენებლები თავისთავად ფრიად დამაფიქრებელია, მაგრამ თუ მათ გავაანალიზებთ და სიღრმისეულ პროცესებში ჩავიხედავთ, ბევრ კიდევ უფრო მძიმე და შემზარავ ნიუანსს შევამჩნევთ. ავიღოთ ასეთი მარტივი მაგალითი. ორი ყმაწვილიდან, თუ ერთმა ათი ვაშლი მიირთვა, ხოლო მეორეს არცერთი არ უჭამია, მოხმარების საშუალო მაჩვენებელი მაინც ხუთ ვაშლს შეადგენს, ე.ი. თითოეულმა საშუალოდ თითქოს ხუთი ვაშლი მიირთვა. აი, როგორ ცდომილებებს შეიცავს საშუალო მაჩვენებლები. ამგვარი ცდომილებებისგან არც ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი მონაცემებია დაზღვეული. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, 1994 წელს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ მოხმარებულ იქნა 9.4 კგ. ხორცი და ხორცპროდუქტები. სინამდვილეში იგი საზოგადოების შედარებით მცირე (მდიდარმა) ნაწილმა ფიზიოლოგიური ნორმით დაგენილ 51 კგ-ზე მეტი ოდენობით მოიხმარა

(და, ალბათ, ნაწილობრივ გაანიავა კიდევც), დიდმა ნაწილმა კი საერთოდ ვერ მიაწოდა თავის ორგანიზმს ან მოიხმარა სრულიად უმნიშვნელო ოდენობით. ეს ეხება სხვა სახეობის პროდუქტებსაც. ცხადია, წლების განმავლობაში ასეთი ვითარება, ე.ი. ორგანიზმისათვის აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტების მიუწოდებლობა, აუძლურებს და ასწულებს მას. ამიტომაც გაჩნდა და მომრავლდა ჩვენთან ე.წ. „სილატაკის ავადმყოფობანი“, რომელმაც გაზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი (განსაკუთრებით ბავშვებსა და მოხუცებში). გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უწინარეს ყოვლისა, ღატაკ და ხელმოკლე ოჯახებში ბრკოლდება არა მარტო მესამე და მომდევნო შვილის გაჩენა, არამედ მეორე და, არცთუ იშვიათად, თვით პირველი შვილისაც კი (ე.ი. იზრდება პროტოგენეტიკური ინტერვალი). მეტიც, როგორც სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან ჩანს, ახალგაზრდებში მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო იკავენს თავს ოჯახის შექმნაზე.

ამრიგად, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

Обострение демографической ситуации в Грузии и его социально-экономические аспекты **(Аннотация)**

Аналогично многим странам мира (в основном Европы), в Грузии уже давно утвердился современный тип воспроизводства населения. Этот процесс сопровождался формированием ряда негативных тенденций демографического развития, однако из-за чрезвычайных обстоятельств особо острый характер оно

принло в 90-х годах текущего столетия и обусловило демографический кризис.

Имеет в виду ухудшение показателей брачности и рождаемости, рост смертности, снижение темпов естественного прироста населения, интенсивный процесс демографического старения населения и т.д. Достаточно отметить, что в 1960 г. на каждые 100 женщин фертильного возраста приходилось 259 детей, а в 1995 г. – 170, в то время как даже для простого воспроизводства населения необходимо не менее 210 детей.

В 90-х годах среди факторов, определяющих обострение демографической ситуации, одно из значительных мест занимают социально-экономические условия. Реально ожидаемая численность детей от желаемого их числа в значительной мере отстает вследствие влияния именно этого фактора. Там, где стоимость прожиточного минимума 100 лари, а минимальная зарплата – 9 лари и среднемесячная заработная плата не превышает 35 лари, естественно, значительно сдерживается как формирование оптимальной воспроизводственной ориентации населения, так и практическая реализация репродуктивного поведения, сформированного на желаемом количестве детей.

В настоящее время в Грузии, прежде всего в бедных семьях, сдерживается рождение не только третьего и последующего ребенка, но и второго и нередко даже первого ребенка, т.е. увеличивается протогенетический интервал.

Преодоление экономического кризиса и улучшение социально-экономических условий жизни – один из важнейших факторов оздоровления демографической ситуации в стране.

იხ. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის
მასალები კრებული, თბილისი, 1997.

დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა

საკმაოდ დიდი ხანია, რაც მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობას დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები ახასიათებს. ეს საერთო კანონზომიერებაა, რაც დაკავშირებულია ძირითადად მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპთან. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, თუმცა უკანასკნელ პერიოდამდე ეს მოვლენები არც ისე შესამჩნევი იყო. მიმდინარე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან კი, ჩვენს ქვეყანაში წარმოქმნილი ექსტრაარაოდინარული გარემო პირობების მეოხებით, ამ პროცესებმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო და აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. მისი ძირითადი მახასიათებლებია: შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვან ზღვრამდე თანდათანობით მიახლოება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თაობათა განახლებას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვალი გადავაავლოთ შობადობის დინამიკას. საქართველოში მოსახლეობის ათას სულზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში საშუალოდ იბადებოდა 40-მდე ბავშვი, 1913 წელს დაიბადა – 28, 1960 წ. – 24.7, 1990 წ. – 17, ხოლო 1997 წ. – 10.7 (მათ შორის, დევნილ მოსახლეობაში – 5.5). მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შეიღთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე). ჩვენს ქვეყანაში ყოველ 100 ქალზე 1960 წელს მოდიოდა 259 ბავშვი, ხოლო 1997 წელს – 162, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 210 ბავშვისა.

სპეციალისტთა დასკვნით, ყოველ ათას ფერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები ოდენობის ბავშვის დაბადება დაბალი დონის შობადობად ითვლება, 64-დან 100-მდე - საშუალო დონედ, 101-დან 120-მდე - საშუალოზე მაღალ დონედ, 121-დან 160-მდე - მაღალ, ხოლო 161 და მეტი - ძალიან მაღალ დონედ. ფრიად სამწუხაროდ, ამ მაჩვენებლით საქართველომ 90-იან წლებში საშუალოდან (1990 წ. - 69.9) დაბალ დონეზე (1995 წ. - 46.5) გადაინაცვლა და დღეისათვის უაღესად კრიტიკულ ზღვარზე იმყოფება.

ამ პრობლემების ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს გვიჩენს. ჩვენი ქვეყნის ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი თითქმის 15-ჯერ დაბალია, შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ჯერ კიდევ ოდნავი ბუნებრივი მატება არაქართული მოსახლეობის (ძირითადად აზერბაიჯანელებისა და ქურთების) დემოგრაფიული ქცევით (შობადობის შედარებით მაღალი დონით) განისაზღვრება.

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების ტემპების განმსაზღვრელია მოკვდაობა. საქართველოში ეს მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო, როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. მან ყველაზე დაბალ მაჩვენებლს (6.5%) 1960 წელს მიაღწია. შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში სტაბილური იყო ან ოდნავ იზრდებოდა, 1990-1993 წლებში კი, ცნობილ გარემოებათა გამო, მკვეთრად გაიზარდა და 10 პრომილეს გადააჭარბა. უკანასკნელი (1997 წ.) მონაცემებით, მოკვდაობა შეადგენს 7.7 პრომილეს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის შეგნებულად თუ უნებლიედ მოშლის გამო, ხელოვნურად შემცირებულია. სპეციალისტთა გათვლით, 1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046 გარდაცვლილი (7.5%), ხოლო 1996 წელს - 5833 (14.5%) მაინც. აღსა-

ნიშნავია, რომ დევნილი მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში (განსაკუთრებით მამაკაცებში) მოკვდაობის კოეფიციენტი დაახლოებით 20%-ით მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებლს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ამ მაჩვენებელმა 1997 წელს 23.7% შეადგინა (ზოგიერთ რეგიონში 35-მდეც კი ავიდა), რაც დაახლოებით 4-5-ჯერ აღემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონეს. ფრიად დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ 1996 წელს გარდაცვლილ ჩვილ ბავშვთა თითქმის 90%-მდე ქართველებზე მოდიოდა, მაშინ როცა ქართველების ხვედრითი წონა ქვეყნის მოსახლეობაში გაცილებით დაბალია.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ცხადია, ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. იგი შეადგენდა: 1960 წელს 18.2 პრომილეს, 1990 წელს – 8.6, ხოლო 1997 წელს – 3 პრომილეს. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი (2.1‰) 1994 წელს იყო, რაც შეადგენდა სულ 10 ათას კაცს. ასეთი დონის ბუნებრივი მატება საქართველოს ჰქონდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა ამჟამინდელზე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იყო.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლება ქვეყნის ყველა რეგიონში შეიმჩნევა, მაგრამ მეტნაკლები ზომით. 1980-1995 წლებში საქართველოში ეს მაჩვენებელი შემცირდა საშუალოდ 2.5-ჯერ, მათ შორის კახეთში – 11-ჯერ, თბილისში – 4-ჯერ, ქვემო ქართლში – 3.3-ჯერ, ში-

და ქართლში - 2.7-ჯერ, მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში - 2-ჯერ, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში - 1.5-ჯერ, მცხეთა-მთიანეთში - 1.4-ჯერ, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - დეკოპულაცია (მოსახლეობის აბსოლუტური კლება) გაიზარდა 3-ჯერ.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიგრაციას, შორეულ პერსპექტივაში ქართველ ერს თავისივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხვედრითი წონის მკვეთრი შემცირების საშიშროებას უქმნის არააბორიგენ ეროვნებებთან შედარებით, მისი დაბალი აღწარმოებრივი მაჩვენებლები. საკმარისია ითქვას, რომ მოსახლეობის უკანასკნელი (1989წ.) აღწერის მონაცემებით, ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატებოდა 7.6%-ს, მაშინ როცა სომხების შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა - 8.4%-ს, ხოლო აზერბაიჯანელებისა - 22.9%-ს, ანუ 3-ჯერ მეტს.

ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ კონტრასტული მაჩვენებლები, მთელი რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დემოგრაფიული განვითარებისა და, მასთან დაკავშირებით, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების დონითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა მოხდა საქართველოში გასული საუკუნის შუა ხანებიდან, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში - XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან, მუსულმანებში, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი.

XIX საუკუნეში, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელ პერიოდებზე, საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახი შედარებით მასობრივ მოვლენას წარმოადგენდა (1897 წ. აღწერით, თბილისის გუბერნიაში იგი აღწევდა

5.5-ს). დღეისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია (1989 წ. აღწერით არ აღემატებოდა 4.1-ს). 1989 წელს ორკაციანი ოჯახების ხვედრითი წონა შეადგენდა 21.3%, სამკაციანი – 19.5, ოთხკაციანი – 25.2, ხუთკაციანი – 17.9, ექვსი და მეტიკაციანი – 17.8%-ს. მრავალშვილიანობის მაჩვენებლით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოს უკანასკნელი – მეოთხთემეტე ადგილი უჭირავს. დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპებისაგან განსხვავებით, მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 84.2% მოდიოდა პირველ და მეორე შვილზე და მხოლოდ 15.8% მესამე და მომდევნო შვილებზე, რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 1998 წლის აგვისტოში ჩატარებული ერთობლივი სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, რესპონდენტთა 4.2% ერთ ბავშვს მიიჩნევს ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობად, 51% – ორს და მხოლოდ 35.4% სამ ბავშვს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, ძირითადად უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, არცთუ იშვიათად (მეტწილად ლტოლვილთა და დევნილთა შორის) განუსაზღვრელი ვადით ხდება გადადება თვით პირველი შვილის გაჩენის და შეუძლებლის აქტისაც კი, რომლის სავალალო შედეგები უფრო თვალსაჩინო გახდება მომავალში, ე.ი. მაშინ, როდესაც ამჟამად დაბადებული თაობა მიაღწევს ფერტილურ ასაკს.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს აგრეთვე ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირება. იგი 1989-1997 წწ. 7%-დან 3.5%-მდე დავიდა. რაც

შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართულ მოსახლეობაში. შედარებით უტყუარი მაჩვენებელია განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება საქორწინო წყვილების საშუალო რაოდენობის მიმართ. იგი 1996 წელს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2.1%-ს შეადგენდა, რაც ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.8 პრომილით. ჩვენი აზრით, ამის მიზეზია ის, რომ ფაქტობრივად გაშორებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვადასხვა გარემოების გამო, არ აფორმებს განქორწინებას იურიდიულად. ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით, საერთოდ, დაბალი დონის მიუხედავად, ქორწინების მკვეთრი კლების ფონზე, განქორწინების ნეგატიური შედეგები საქართველოში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ყოველ 100 ქორწინებაზე თუ 1960 წელს მხოლოდ 3 განქორწინება მოდიოდა, 1996 წელს (ხელოვნურად შემცირებული სახით წარმოდგენის მიუხედავად) შესაბამისმა მაჩვენებელმა 12-ს გადააჭარბა, ე.ი. 4-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

საქართველოში 1997 წელს ქორწინებაში იმყოფებოდა 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 64.3%, არცერთხელ არ იყო დაქორწინებული 24.5%, დაქვრივებული იყო 9.5%, ხოლო განქორწინებულთა და დაქვრივებულთა ხვედრითი წილი 1.7%-ს შეადგენდა. თანაც, ყურადღებას იქცევს ისეთი ნეგატიური ტენდენცია, როგორცაა ქორწინებაში არასოდეს მყოფთა ხვედრითი წილის ზრდა ფერტილური ასაკის მოსახლეობაში. რაც შეეხება დაქვრივებულ, განქორწინებულ და გაშორებულთა რიცხოვნობას, იგი 90-იანი წლების პირველ ნახევარში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სისხლისმღვრელ ეთნო-

კონფლიქტებთან დაკავშირებით, ათეულ ათასობით ადამიანის (ძირითადად ახალგაზრდა მაძაქაცების) დაღუპვისა და შერეული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილის დანგრევის (დაშლის) გამო, საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, 1996 წელს ყოველი ათასი დაქორწინებული მანდილოსნიდან 13 დაქვრივდა. 1994-1996 წწ. დაქვრივებული ქალების რაოდენობა 4.6-ჯერ აღემატებოდა განქორწინებული ქალების რაოდენობას.

დაუქორწინებელთა და დაქვრივებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის აღწარმოებაზე.

ქვეყანაში ინტენსიურად იზრდება ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წონა. იგი 1980 წელს არ აღემატებოდა 4.7%-ს, 1996 წელს კი - 33%-ს მიაღწია. როგორც ჩანს, ამჟამად ყოველი მესამე ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება, ხოლო 20 წლამდე ასაკის დედებს. ყოველი მეორე ბავშვი ქორწინების გარეშე უჩნდებათ. შეიცვალა საზოგადოებრივი მენტალიტეტიც. 1996 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა გათხოვილი ქალების 25.2% და გაუთხოვართა მხოლოდ 16.8%-მა, დანარჩენები ზოგადად დასაშვებად მიიჩნევენ ან მისაღებად თვლიან ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას.

საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი 70-იანი წლების შუახანებიდან დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნად ითვლება. 90-იან წლებში, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა (1970-1996 წწ. 60 და მეტი ხნის მოსახლეობის რიცხოვნობა 350.3 ათასი კაცით, ანუ 1.6-ჯერ გაიზარდა) და ქვეყანამ დემოგ-

რაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია. ამჟამად ყოველი მეექვსე ადამიანი 59 წელსაა გადაცილებული. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი კი 13.1%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც დაბერების ზღვრად ითვლება ამ ასაკის მოსახლეობის 7%. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერტილური ასაკის ქალთა დაბერება. ასეთი კონტიგენტის მანდილოსანთა თითქმის ნახევარი 36 წელსაა გადაცილებული, რაც მომავალში ფრიად უარყოფით გაგლენას მოახდენს შობადობის ინტენსივობაზე.

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას თან სდევს შრომისუნარიანთა (განსაკუთრებით დასაქმებულთა) დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის ზრდა. საქართველოში ყოველი ათასი შრომისუნარიანის კმაყოფაზე იმყოფებოდა: 1980 წელს 750, ხოლო 1996 წელს 800 არაშრომისუნარიანი (მ.შ. სოფლად - 900 არაშრომისუნარიანი). თუ გავითვალისწინებთ უმუშევრობის საქართველოში არსებულ მაღალ დონეს, დემოგრაფიული დატვირთვა რამდენჯერმე გაიზრდება.

რაც შეეხება მოსახლეობის დასაქმებული კონტიგენტის ეკონომიკურ დატვირთვას, სურათი ასეთია: 59 წელს გადაცილებულ მოსახლეობაზე მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში 1959 წელს მოხმარებული ეროვნული შემოსავლის 9.7%, მაშინ როდესაც შესაბამისი მაჩვენებელი 1989 წელს უკვე 12.6%-ს შეადგენდა.

ესოდენ მაღალი და თანდათანობით მზარდი დემოგრაფიული დატვირთვა არა მარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტიული თვალსაზრისით, პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება ჩაგვეთვალა, რომ მასში შრომის ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა სჭარბობდეს და, თანაც ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდეს. სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ საწინააღმდეგო, ანუ ნეგატიურ ტენდენციასთან გვაქვს საქმე. დემოგრაფიული დატვირთვის

მანქენებელში კლებულობს შრომის ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომის ასაკს გადაცილებლთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ 1979-1993 წწ. ასეთი ცვლილებები განიცადა: 16 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წონა 65-დან 57.6%-მდე შემცირდა, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობისა – 35-დან 42.4%-მდე გაიზარდა.

დემოგრაფიული დაბერების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად, რომელიც, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, თითქმის დაიცალა ახალგაზრდობისაგან. სოფლად ქალაქისაკენ მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობის) მიგრაციული პროცესი სხვა რეგიონებზე უფრო მეტად ჩრდილოეთ მადალმთიანეთში იგრძნობა.

დემოგრაფიული დაბერებით გამორჩეულ რეგიონებში მოკვდაობა, ქვეყნის საშუალო მანქენებელთან შედარებით, მკვეთრად მაღალია. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქართულ მოსახლეობას ეხება. ასე, მაგალითად, 1996 წელს გარდაცვლილთა 80.3% ქართველებზე მოდიოდა. ძირითადად ქართველებით დასახლებულ და, მაშასადამე, დემოგრაფიულად დაბერებულ რაიონებში მოკვდაობა იმდენად მაღალია, რომ არცთუ იშვიათად შობადობას აღემატება და დეპოპულაციას იწვევს. 1996 წელს ასეთი ვითარება იყო ონის, ამბროლაურის, ცაგერის, გურჯაანის, ყაზბეგის, ვანის, ჩოხატაურისა და ზუგდიდის რაიონებში. თანაც, შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტს შორის სხვაობას, ნაცვლად შემცირებისა, მეტწილად ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, მოკვდაობა შობადობას აღემატებოდა ცაგერის რაიონში 1995 წელს 52.2%-ით, ხოლო 1996 წელს – 55.5%-ით, ჩოხატაურის რაიონში, შესაბამისად, 5 და 20%-ით, გურჯაანის რაიონში – 17.7 და 49%-ით და ა.შ.

საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებას, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად ამძიმებს მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობის) გარემიგრაციული პროცესები. აღრიცხვიანობის სირთულეებთან დაკავშირებით სრულად არაა დადგენილი იმ პირთა რიცხოვნობა, ვინც 1990-1997 წლებში წავიდა საქართველოდან, მით უმეტეს, ზუსტად არ ვიცით მიგრაციის სალდო, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი უარყოფითია და, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ლორთქიფანიძის მონაცემებით, აღემატება 350 ათასს (ზოგიერთი სხვა მონაცემებით, მეტსაც), რაც საქართველოსთანა პატარა ქვეყნისათვის საკმოდ დიდი ციფრია.

აი, ამ გარემოებათა გამო, სისტემატურად კლებულობს საქართველოს მოსახლეობისა და ქართველთა ხვედრითი წილი ამიერკავკასიაში. საქართველო მთელი მოსახლეობის რიცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით თუ XIX საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანსა და სომხეთს უსწრებდა, დღეისათვის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე და მატების ტემპით მესამე ადგილზეა. ამიერკავკასიაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წონა 1959 წლის 44%-დან 1995 წელს 32.4%-მდე (მიგრაციის გათვალისწინებით, დაახლოებით 30%-მდე) შემცირდა. კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა ქართველთა ხვედრითი წონა და, რაც მთავარია, ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, თანაც ინტენსიურად.

აღბათ, კამათს არ იწვევს იმ გლობალური ნეგატიური მოვლენების სახელმწიფო დონეზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში (თანაც, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება.

როგორია ამ მხრივ რეალური სურათი? - სამწუხაროდ, ქვეყანაში არა მარტო არ ტარდება არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ რიგიანად მოფიქრებულიც არაა იგი. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლებას ეს მტკივნეული პრობლემები არ აღელვებს. როგორც ჩანს, აქამდე პრაქტიკული ზომების მიღებას აფერხებდა სათანადო პირობების უქონლობა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ, განსაკუთრებით ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ე. შევარდნაძის უშუალო ინიციატივით და მითითებით გადადგმული ნაბიჯები: ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან დემოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა და სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია - პროგრამის შემუშავებელი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული, სამთავრობო კომისიის შერჩევა, რომელმაც ფაქტიურად დაამთავრა მუშაობა და მზადაა შედეგები წარუდგინოს მთავრობას.

სათანადო დახვეწა-დაზუსტების შემდეგ, ეს კონცეფცია-პროგრამა შეიძლება საფუძველად დაედოს სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები და 180⁰-ით შემოაბრუნოს ისინი პოზიტიური მიმართულებით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით შეიძლება გარკვეულწილად დემოგრაფიული ვითარების გაუარესების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება. ამასვე ადასტურებს მსოფლიო პრაქტიკა.

მანც რა მიმართულებებით უნდა წარმართოს ხელი-სუფლებამ დემოგრაფიული პოლიტიკა? ჩყენი აზრით, ეს ძირითადი მიმართულებებია:

1. ოჯახში საზოგადოებრივად საჭირო, ანუ ოპტიმალური რიცხოვნობის ბავშვთა ყოლის მოთხოვნის ფორმირება და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება. ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა, მაგრამ შედეგი შედარებით მოგვიანებით, დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ იჩენს თავს. ღონისძიება გულისხმობს ძირითადად აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენებას, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის სასწავლო პროგრამებში, ტელეგადაცემებში, კინოსურათებში, მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თემატიკის წინა პლანზე წამოწევას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში დემოგრაფიული პროფილის შესაბამისი დისციპლინებისა და კარგად შერჩეული დიდაქტიკური მასალების შეტანას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა ყოლის მოთხოვნის, ანუ შეილთა სასურველი რაოდენობის ფორმირებას და ამ მიმართულებით სათანადო განწყობის ჩამოყალიბებას;

რა აპირობებს ამის აუცილებლობას? – უწინარეს ყოვლისა ის, რომ ფერტილური ასაკის ქალთა მენტალიტეტში აშკარად შეიმჩნევა მრავლაშვილიანი ოჯახების როლისა და მნიშვნელობის გადაფასება, მათი რეპროდუქტიული ნორმების შეცვლა კლების მიმართულებით. ალბათ, სხვანაირ კლასიფიკაციას ვერ მივცემთ იმ ფაქტებს, რომ 1969-1980 წწ. 2.5-ჯერ შემცირდა იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მრავალშვილიანი (5 და

მეტწილიანი) ოჯახი და ამდენჯერვე გაიზარდა იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მცირეშვილიანი (1-2 შვილიანი) ოჯახი. 1980-1990-იან წლებში ნათლად იგრძნობა ამ ნეგატიური ტენციდენციის არა შერბილება, არამედ გაღრმავება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაქორწინებულ ქალთა ბავშვების სასურველი რაოდენობა საშუალოდ 1980 წელს საკმარისი იყო მოსახლეობის გაფართოებულ ადწარმოებისთვის, 1996 წელს კი მხოლოდ მარტივი ადწარმოების უზრუნველყოფა შეეძლო.

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილების – შვილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენადაც ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას (მიუხედავად ამ უკანასკნელის შემცირების ტენციდენციისა). როგორც სოცლიოლოგიური გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, ბავშვთა სასურველ და რეალურად მოსალოდნელ რაოდენობას შორის სხვაობა 1980 წელს შეადგენდა 0.36-ს, 1980 წელს კი – 0.80-ს.

შვილების სასურველ და ფაქტობრივად მოსალოდნელ რაოდენობას შორის ესოდენ დიდი სხვაობა მიგვანიშნებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეალური რეზერვების არსებობაზე.

იმ ფაქტორთა შორის, რომელთაც ძალუძთ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია, ჩვენი აზრით, აღსანიშნავია:

– ქვეყანაში ჯერ კიდევ მძვინვარე ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა. ამის დასტურია ის, რომ თუ 1980 წელს ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობისაგან რეალურად მოსალოდნელი რაოდენობის ჩამორჩენის მთავარ მიზეზად დაქორწინებული ქალები გამოკითხვისას შერყეულ ჯანმრთელობას ასახელებდნენ, ამჟამად წინა პლან-

ზე მატერიალურმა ფაქტორმა გადმოინაცვლა. ზემოთ დასახელებული 1998 წლის ერთობლივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, კითხვაზე: „თუ თქვენ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ იმაზე ნაკლები ოდენობის შვილი, ვიდრე გსურთ, მიუთითეთ, რატომ?“ ყველაზე მეტმა, ანუ 41.6%-მა (ქალაქში - 45%) მატერიალური გაჭირვება დაასახელა, 18.1% - ბავშვის აღზრდისათვის სათანადო პირობების უქონლობა, 14.2% - ჯანმრთელობის მდგომარეობა, 6.6% - მომავლისადმი რწმენის უქონლობა და ა.შ.;

- სახელმწიფო ბიუჯეტში ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების დაფინანსების წილის ცალკე განყოფილებად გამოყოფა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი რეალიზაციის კონტროლი;

- ბავშვის გაჩენისათვის ოჯახისადმი მატერიალური დახმარების ისეთი გონივრული და მოქნილი სისტემის შემუშავება, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს ოჯახში შვილის დაბადებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების კომპენსირებას და ოჯახის თითოეულ წევრზე შემოსავლის შემცირების თავიდან აცილებას, არამედ რამდენადმე გაზრდის კიდევ მას; მატერიალური სტიმულირების მიზნით, მესამე შვილის გაჩენისათვის სპეციალური ფონდის შექმნა და ბინათმშენებლობისათვის გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტის გამოყოფა, მეოთხე შვილის გაჩენისას კი საერთოდ ამ სესხის გადახდისაგან განთავისუფლების პირობით;

- სახელმწიფო საწარმოებში აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე მანდილოსნებისათვის მეორე და მომდევნო ბავშვების გაჩენისას იმის უფლების მინიჭება, რომ ისარგებლონ სამწილიანი დეკრეტული შვებულებით, სამუშაო ადგილისა და კუთვნილი ხელფასის სრულად შენარჩუნებით;

- ოჯახებისათვის, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, კომუნალური მომსახურების გადასახდელების

30%-ით შემცირება მანამ, სანამ ყველაზე უმცროსი შვილი მიაღწევს 16 წელს;

– მესამე შვილის გაჩენისათვის ზემოაღნიშნულ სტიმულიერებათა პირველ ეტაპზე იმ რეგიონებში განხორციელება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემებით, ჩამორჩება ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს;

პირველ რიგში, შრომის ასაკის სრული შრომისუნარიანი პირების სპეციალობის მიხედვით დასაქმება და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანა;

– შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით, ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გარაფიკით; შევებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განისაზღვროს შეილები ოდენობის გათვალისწინებით, მიეცეთ შინ მუშაობის უფლება და სხვა შესაძლო შეღავათები;

– ქალთა გამოთავისუფლება ორგანიზმისათვის მავნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე ღამის ცვლებიდან. სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისათვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახოსაყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

– ქვეყნის თითოეული რეგიონის მოსახლეობის აღწარმოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელი ტენდენციების მაქსიმალური გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითოეული რაიონის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება;

მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისი დემოგრაფიული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, ყოველწლიურად პერსპექტიული ახალგაზრდების განსაზღვრული კონტიგენტის უცხოეთში მისაველინებლად სათანადო სახსრების გამონახვა;

– იმის გამო, რომ ქალიშვილების ძალიან ნაადრევ გათხოვებას, სპეციალისტთა დასკვნით, მეტწილად თანსდევს ხშირი დაავადებანი, ნაადრევი სიბერე და შედარებით ხანმოკლე სიცოცხლე, აგრეთვე საშუალო სკოლის დამთავრებამდე გათხოვებასთან დაკავშირებული მთელი რიგი უხერხულობანი, საქართველოში ქორწინების მინიმალურ კანონიერ ასაკად დაწესდეს კვლავ 18 წელი, ნაცვლად დღეისათვის დადგენილი ქალიშვილებისათვის – 16 და ვაჟებისათვის 17 წლისა;

– ადამიანის, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების (საადამიანოფობი, პოლიკლინიკები, ლაბორატორიები) მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე სამშობიარო სახლების ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება, რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამასთან, მოსახლეობის თვითმოვლითი ქცევის დონის ამაღლება, რომელიც რამდენადმე დაბალია ქართველებში.

3. ქმედით დონისძიებათა განხორციელება მოსახლეობის (უწინარეს ყოველისა, ქართველთა) გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების ლიკვიდაციისათვის, ამის აუცილებლობას აპირობებს:

– ნარკობიზნესის განვითარება და ნარკომანთა რიცხოვნობის ზრდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელთა ასაკის მკვეთრი გაახალგაზრდავება – მომხმარებელთა დაახლოებით ორი მესამედი 16—დან 30 წლამდე ასაკისაა. თანაც, ყოველი მერვე ან მეათე მაინც ქალია, რაც გენოფონდს გადაგვა-

რებით ემუქრება. ცნობილია, რომ ნარკომანებს საერთოდ არ უჩნდებათ შვილები და თუ უჩნდებათ – მეტწილად დებილი და გონებრივად განუვითარებლები;

– მექავეობა, საროსკიპოების ქსელის გაშლა, სხეულის სარეალიზაციოდ საზღვარგარეთის „ბაზრებზე“ გასვლა, ვენერიულ დაავადებათა გახშირება, რაც შიდსის – თანამედროვეობის ამ შავი ჭირის – გავრცელებასაც უწყობს ხელს;

– თამბაქოს წვეის მასობრივი ხასიათი ადრეულ (სკოლის) ასაკში, მათ შორის გოგონებში, რაც ძლიერ უარყოფითად მოქმედებს შთამომავლობაზე (ეს ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, უფრო ხშირად კი – მოგვიანებით);

– განზრახ მკვლელობათა, თვითმკვლელობათა და ბანდიტიზმით განპირობებულ მკვლელობათა მოხშირება და, საერთოდ, დაძაბული კრიმინოგენური ვითარების არსებობა;

– ეთნოკონფლიქტების ნიადაგზე როგორც მეომრების, ისე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ა.შ.

ყოველივე ეს, ცხადია, მძიმე სურათს გვიხატავს, მაგრამ პესიმისტური განწყობის უფლებას მაინც არ გვაძლევს. მეცნიერულად დასაბუთებულ და გონივრულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მთელი რიგი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზებაში.

იხ. ჟურნ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 1998, № 11.

მოსახლეობის აღწარმოების ნებატიური ტენდენციები
საქართველოში და მათი ნორმალიზების ძირითადი
მიმართულებები

დიდი ხანია, რაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას მოსახლეობის აღწარმოების ნებატიური ტენდენციები ახასიათებს. ასე, რომ ეს პროცესი ცივილიზაციის თანმდევ საერთო კანონზომიერებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, თუმცა, უკანასკნელ პერიოდამდე მოსახლეობის რეპროდუქტიული ქცევის ეს უარყოფითი პროცესები არც ისე შესამჩნევი იყო. მიმდინარე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან კი, ჩვენს ქვეყანაში წარმოქმნილი ექსტრაორდინარული გარემო პირობების მეოხებით, ამ მოვლენებმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო და აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. მისი ძირითადი მახასიათებლებია: შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულთან ზღვრამდე თანდათანობით მიახლოება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თაობათა განახლებას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვალი გადავაგდოთ შობადობის დინამიკას. საქართველოში მოსახლეობის ათას სულზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში საშუალოდ იბადებოდა 40-მდე ბავშვი, 1913 წელს დაიბადა – 28, 1960 წ. – 24.7, 1990 წ. – 17, ხოლო 1997 წ. – 10.7 (მათ შორის, დენილ მოსახლეობაში – 5.5).

ალბათ, საინტერესოა, თუ როგორი მდგომარეობა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ საქართველო ერთადერთი გამონაკლისია? – ცხადია, არა. არიან (და არც თუ ცოტა) ჩვენზე როგორც უკეთეს, ისე უარეს მდგომარეობაში მყოფი კონტინენტები, რეგიონები, ქვეყნები. მაგალითად, მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს

მონაცემებით, 1998 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მსოფლიოში საშუალოდ 23 პრომილეს შეადგენდა, მ.შ. განვითარებად რეგიონში – 26 და განვითარებულში – 11 პრომილეს.

რეგიონულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების განსხვავებული ტიპის არსებობაზე მიგვანიშნებს ის, რომ აღნიშნული მაჩვენებელი, ევროპასთან (და, მაშასადამე, საქართველომდებარე) შედარებით მაღალია: ჩრდილოეთ ამერიკაში 1.4-ჯერ, აზიაში – 2.3-ჯერ, ლათინურ ამერიკაში – 2.5-ჯერ და აფრიკაში – 4-ჯერ (მ.შ. დასავლეთ აფრიკაში – 4.5-ჯერ და ცენტრალურ აფრიკაში – 4.6-ჯერ). იგი მკვეთრად დიფერენცირებულია თითოეული რეგიონის ფარგლებშიც. მაგალითად, აზიაში საშუალოდ შეადგენს 26 პრომილეს, მ.შ. ომანსა და იემენში – ყველაზე მაღალს (44%) და იაპონიაში – ყველაზე დაბალს (10%). ასევეა აფრიკაშიც. საშუალო დონეა 40 პრომილე, მ.შ. მალსა და ანგოლაში – ყველაზე მაღალი (51%) და მაურიტიუსში – ყველაზე დაბალი (17%).

პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი ვითარებაა: შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 22-26 პრომილეს ფარგლებშია უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში, აზერბაიჯანში 17 პრომილეა. 15 პრომილეს არ აღემატება საქართველოში, სომხეთში, მოლდოვასა და ლიტვაში. 10 პრომილეზე დაბალია რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვასა და ესტონეთში.

წარსულში შობადობის მაღალ დონეს, რიგ სხვა გარემოებებთან ერთად, აპირობებდა:

– დემოგრაფიული განვითარების დაბალი დონე, ადამიანთა შეგნებაში ღრმად გამჯდარი წეს-ჩვეულებანი, ტრადიციები, რელიგიური მრწამსი (დევინი: „რაც უფალმა გაიმეტა, ე.ი. ჩაისახა, ის უნდა დაიბადოს და გაიზარდოს კიდევ“);

- ხშირი ომებით, ეპიდემიებით, მასობრივი შიმშილით, დაბალი სამედიცინო მომსახურებით გამოწვეული მოკვდაობის მაღალი დონისადმი რეაქცია. საკმარისია ითქვას, რომ თბილისში 1875-1879 წწ. ხუთ წლამდე ასაკში იღუპებოდა დაბადებულ ბავშვთა 43.5%, ხოლო სრულასაკოვნებას ბევრად ნაკლები აღწევდა;

- სიბერის უამს მშობლებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საჭიროება;

- ოჯახის მიერ მწარმოებლური ფუნქციების განხორციელების აუცილებლობა.

რადიკალური ტრანსფორმირების გამო, აღნიშნულ ფაქტორთა უკუქმედების ძალა დღეისათვის მკვეთრად შემცირებულია და ისინი შობადობაზე დიდმნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ.

მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შვილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე), ჩვენს ქვეყანაში იგი შეადგენდა: 1960 წელს - 2.59-ს, ხოლო 1997 წელს - 1.62-ს, ე.ი. ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით, 259-დან 162-მდე შემცირდა, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 210-215 ბავშვისა.

ამ მაჩვენებლის დაცემის ტენდენცია საერთო კანონზომიერებაა. იგი მთელ მსოფლიოში საშუალოდ მარტო 1996-1998 წლებში 3 პრომილით შემცირდა. მიუხედავად ამისა, რეგიონულ ტრილში მისი დონე საგრძნობლად განსხვავებულია. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1998 წელს შეადგენდა: განვითარებად რეგიონში 3.3-ს, ხოლო განვითარებულში - 1.6-ს. ეს მაჩვენებელი, საქართველოსთან შედარებით, მაღალია ჩრდილოეთ ამერიკაში 1.3-ჯერ, აზიაში - 1.7-ჯერ, ლათინურ ამერიკაში - 1.9-ჯერ და აფრიკაში - 3.5-ჯერ. საქართველოზე უფრო დაბალი

მაჩვენებლები აქვთ: რუსეთსა და ლატვიას (12), უკრაინას, ბელორუსსა და ესტონეთს (13), ლიტვას (14), მაგრამ ეს ჩვენთვის ვერაერთარი ნუგეშია.

სპეციალისტთა დასკვნით, ყოველ ათას ფერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები ოდენობის ბავშვის დაბადება დაბალი დონის შობადობად ითვლება, 64-დან 100-მდე – საშუალო დონედ, 101-დან 120-მდე – საშუალოზე მაღალ დონედ, 121-დან 160-მდე – მაღალ, ხოლო 161 და მეტი ძალიან მაღალ დონედ. ფრიად სამწუხაროდ, ამ მაჩვენებლით საქართველომ 90-ან წლებში საშუალოდან (1990წ. – 69.9) დაბალ დონეზე (1995 წ. – 46.5) გადაინაცვლა და დღეისათვის უაღრესად კრიტიკულ ზღვარზე იმყოფება.

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების ტემპების განმსაზღვრელია მოკვდაობა. კაცობრიობის განვითარების კვალობაზე, მასობრივი ეპიდემიების დაძლევისასთან, სამედიცინო მომსახურების ამაღლებასთან, გამანადგურებელი ომების სიხშირის შემცირებასთან და რიგ სხვა პროგრესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ამ მაჩვენებელმა შემცირების მიმართულებით არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა. იგი საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო, როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის (მით უმეტეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის) მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (6.5%) 1960 წელს მიაღწია. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, სტაბილური იყო ან ოდნავ იზრდებოდა. 1990-1993 წწ. კი, ცნობილ გარემოებათა გამო, მკვეთრად გაიზარდა და 10 პრომილეს მიაღწია. უკანასკნელი (1997 წ.) მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში მოკვდაობა შეადგენს 7.7 პრომილეს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის შეგნებულად თუ უნებლიედ მოშლის შედეგად, ხელოვნურად შემცირებულია. სპეციალისტთა გათვლით, მაგალითად,

1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046 გარდაცვლილი (7.5%), ხოლო 1996 წელს – 5833 (14.5%). ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ეს მაჩვენებელი ცაკლეულ წლებში ათი ათასსაც კი აღწევდა.

შედარებისათვის, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 1998 წელს შეადგენდა: მსოფლიოში საშუალოდ 9 პრომილეს, მ.შ. აფრიკაში – 15, ლათინურ ამერიკაში – 7, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში – 8, ხოლო ევროპაში – 11 პრომილეს.

განვითრებად ქვეყნებში მოკვდაობის მაღალი დონის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის მთავარია სუსტი სამედიცნო მომსახურება და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, განვითარებულ ქვეყნებში კი – მოსახლეობის დეფორმირებული ასაკობრივი სტრუქტურა, მავნე ნივთიერებებით ატმოსფეროს გაბინძურება და ნეგატიური სოციალური მოვლენები.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან გასულ წელს მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ: უკრაინას (15%), შემდეგ – რუსეთის ფედერაციასა და ლატვიას (14%), ბელორუსიასა და ესტონეთს (13%), მოლდოვასა და ლიტვას (12%), ყაზახეთს (10%).

10 პრომილეზე დაბალი მაჩვენებელი, საქართველოსთან ერთად, ჰქონდა ტაჯიკეთს, უზბეკეთს, თურქმენეთს, ყირგიზეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.

საქართველოში მწვავედ დგას დედათა მოკვდაობის საკითხი. უკანასკნელ 10 წელიწადში იგი თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. თუ 1993 წელს ყოველ 1000 ქალზე 32 დედა კვდებოდა, 1997 წელს ამ მაჩვენებელმა 70-ს მიაღწია. თითქოს იკლო აბორტის ოპერაციათა რიცხვმა, მაგრამ სამაგიეროდ მოხშირდა მინიაბორტები, ძირითადად პოლიკლინიკის პირობებში, რასაც ხშირად მოსდევს გართულებები და სიკვდილიანობა.

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს. მას, საეხსებით მართებულად, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ არსებით მაჩვენებლად მიიჩნევენ და ძირითადად სწორედ მის მიხედვით მსჯელობენ ქვეყანაში სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების დონეზე.

როგორია ამ მხრივ არსებული მდგომარეობა? – მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მონაცემებით, 1998 წელს ყოველ ათას ცოცხლად დაბადებულზე გარდაიცვალა ერთ წლამდე ასაკში: მსოფლიოში საშუალოდ 58 ბავშვი, მ.შ. განვითარებად რეგიონში – 64, ხოლო განვითარებულში – 8. ეს მაჩვენებელი მაღალია აფრიკაში (91%), განსაკუთრებით აღმოსავლეთ აფრიკასა (104%) და ცენტრალურ აფრიკაში (103%). შემდეგ აზიაში (57%), ლათინურ ამერიკაში (36%), ხოლო დაბალი – ევროპასა (10%) და ჩრდილოეთ ამერიკაში (7%), კერძოდ, ფინეთში შეადგენს 3.5 პრომილეს, იაპონიაში – 3.8, ესპანეთში – 4.7, ავსტრიაში – 4.8, გერმანიაში – 4.9, იტალიაში – 5.8, კანადაში – 6.3 პრომილეს და ა.შ. ამ განვითარებული ქვეყნების ფონზე, იგი ძალიან მაღალია (17%) საქართველოში.

შობადობასა და მოკვდაობას შორის თანაფარდობა იძლევა წარმოდგენას მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. როცა შობადობა აღემატება მოკვდაობას, როგორც წესი, გარანტირებულია მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება. და პირიქით, თუ მეტი კვდება, ვინემ იბადება, სხვა თანაბარ პირობებში, გარდუვალია დემოპულაცია – მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება. საქართველოში რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპებით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. იგი შეადგენდა: 1960 წელს 18.2 პრომილეს, 1990 წ.

- 8.6, ხოლო 1997 წ. - 3 პრომილეს. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი (2.1%) 1994 წელს იყო, რაც შეადგენდა სულ 10 000 კაცს.

ასეთი დონის ბუნებრივი მატება საქართველოს ჰქონდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა ამჟამინდელზე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იყო.

საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების უკეთ გაცნობიერების მიზნით გადავაგვლოთ თვალი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის მონაცემებს. გასულ წელს მთელ მსოფლიოში საშუალოდ ყოველ ათას კაცზე მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეადგენდა 14 პრომილეს. მ.შ. განვითარებად რეგიონში 17-ს, ხოლო განვითარებულში - მხოლოდ 1 პრომილეს, რაც მრავალი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა.

კონტინენტთა შორის მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩევიან: აფრიკა (25%), განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკა (30%) და დასავლეთ აფრიკა (29%), შემდეგ ლათინური ამერიკა და კარიბის რეგიონი (18%), აზია (15%), დაბალი მაჩვენებელი (6%) აქვს ჩრდილოეთ ამერიკას, ხოლო უარყოფითი (მინუს 1%) ევროპას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპას (მინუს 4%).

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან 1998 წლისათვის დეპოპულაცია, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი აბსოლუტური კლება, შეინიშნებოდა უკრაინასა და ლიტვაში (მინუს 6%), რუსეთის ფედერაციაში (მინუს 5%), ბელორუსიასა და ესტონეთში (მინუს 4%), ლიტვაში (მინუს 1%). მთლიანად საქართველოში ჯერჯერობით აშკარა დეპოპულაცია არ აღინიშნება, თუმცა ეს პროცესი ძალიან მოახლოებულია და, აღწარმოების დღევანდელი ტემპების შენარჩუნების პირობებშიც, უახლოეს ხანში (კერძოდ მაშინ, როცა 90-იან წლებში დაბადებულები ფერტილურ

ასაკში შევლენ, თუ ადრე არა) იმ ქვეყნების რიგში გადავა, რომელთათვისაც დამახასიათებელია შეკვეცილი აღწარმოება.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაცემა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში შეიმჩნევა, მაგრამ არაერთნაირი სიძლიერით. პროფ. მ. ტუხაშვილის გათვლით, 1980-1995 წწ. ეს მაჩვენებელი შემცირდა: საქართველოში საშუალოდ 2.5-ჯერ, მ.შ. კახეთში – 11-ჯერ, თბილისში – 4-ჯერ, ქვემო ქართლში – 3.3-ჯერ, შიგა ქართლში – 2.7-ჯერ, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში – 2-ჯერ, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1.5-ჯერ, მცხეთა-მთიანეთში – 1.4-ჯერ, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დეკოპულაცია (მოსახლეობის აბსოლუტური კლება) გაიზარდა 3-ჯერ.

თუ მხედველობაში მივიღებთ გარე მიგრაციულ პროცესს, შორეულ პერსპექტივაში ქართველ ერს თავისივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წონის შემცირების საშიშროებას უქმნის, მთელ რიგ არააბორიგენ ეროვნებებთან შედარებით, მისი დაბალი აღწარმოების მაჩვენებლები. ამაზე მიგვანიშნებს ფაქტობრივი მონაცემები. მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერის მასალებით, ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატებოდა 7.6 პრომილეს. მაშინ როცა საქართველოში მცხოვრები სომხების შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენს 8.4 პრომილეს, ხოლო აზერბაიჯანელებისა – 22.9 პრომილეს ანუ 3-ჯერ მეტს.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ აზერბაიჯანელები და სომხები საქართველოში უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვინემ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში? – არა არ ნიშნავს. მათი დემოგრაფიული ქცევა შინ და გარეთ თითქმის ერთნაირია. ამაში ადვილად დაერწმუნდებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მონაცემების ურთიერთშედარებით. მაგალითად, 1998 წელს მოსახლეობის

ბუნებრივი მატება შეადგენდა: საქართველოში 3 პრომილეს, სომხეთში – 6, ხოლო აზერბაიჯანში – 11 პრომილეს.

ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების რამდენადმე განსხვავებულ დემოგრაფიულ ქცევაზე მეტყველებს ისიც, რომ (1989 წ. აღწერის მონაცემებით) საქართველოში ქართველთა მატება 0.5 პრომილით ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, მაშინ როცა სომხეთში სომხების 1.3 და აზერბაიჯანში აზერბაიჯანელებისა 3.1 პრომილით აღემატება ქვეყნის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს.

XIX საუკუნეში, რომ არაფერი ეთქვათ უფრო ადრინდელ პერიოდებზე, საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახი შედარებით მასობრივ მოვლენას წარმოადგენდა. აკად. პ.გუგუშვილის მონაცემებით, კომლის (თუმცა კომლი, როგორც წესი, ერთზე მეტი ოჯახისაგან შედგებოდა) საშუალო შვილიანობა 1886 წელს 6.2 სულს შეადგენდა. დღეისთვის მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით იგი 4.1 სულს არ აღემატება. საქართველოში 1989 წელს ორკაციანი ოჯახების ხვედრითი წონა შეადგენდა 21.3%-ს, სამკაციანების – 19.5, ოთხკაციანების – 25.2, ხუთკაციანების – 17.9, ხოლო ექვსი და მეტკაციანებისა – 16.1%-ს. მრავალშვილიანობის მაჩვენებლით საქართველო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის უკანასკნელ ადგილზეა.

დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპებისაგან განსხვავებით, მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 84.2% მოდიოდა პირველ და მეორე შვილზე და მხოლოდ 15.8% – მესამე და მომდევნო შვილებზე, რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტისა და

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 1998 წელს ჩატარებული ერთობლივი სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, რესპონდენტთა 42% ერთ ბავშვს მიიჩნევს ოჯახში ბავშვთა სასურველ რაოდენობად, 51% – ორს და მხოლოდ 34.4% – სამ ბავშვს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, ძირითადად უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, არცთუ იშვიათად (მეტწილად ლტოლვილთა და დევნილთა შორის), განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება თვით პირველი შვილის გაჩენისა და შეუღლების აქტისაც კი, რომლის სავალალო შედეგები უფრო თვალსაჩინო გახდება მომავალში, კერძოდ მაშინ, როდესაც ამჟამად ახალშობილი თაობა მიაღწევს ფერტილურ ასაკს.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირება. იგი 1989-1997წწ. 7-დან 3.5 პრომილემდე დავიდა. რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში თითქმის ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართულ მოსახლეობაში, რაც ოჯახების შედარებით სიმტკიცეზე მიგვანიშნებს.

შედარებით უტყუარი მაჩვენებელია განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება საქორწინო წყვილების საშუალო რაოდენობის მიმართ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, იგი 1996 წელს 2.1 პრომილეს შეადგენდა, რაც ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია 3.8 პრომილით. ჩემი აზრით, ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ფაქტიურად გაშორებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვადასხვა გარემოების გამო, არ აფორმებს განქორწინებას იურიდიულად. ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარე-

ბით, საერთოდ დაბალი დონის მიუხედავად, ქორწინების მკვეთრი კლების ფონზე, განქორწინების ნეგატიური შედეგები საქართველოში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ყოველ 100 ქორწინებაზე თუ 1960 წელს 3 განქორწინება მოდიოდა, 1996 წელს (ხელოვნურად შემცირებული სახით წარმოდგენის მიუხედავად) შესაბამისმა მაჩვენებელმა 12-ს გადააჭარბა, ე.ი. 4-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

საქართველოში 1997 წელს ქორწინებაში იმყოფებოდა 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 64.3%, არც ერთხელ არ იყო დაქორწინებული 24.5%, დაქვრივებული იყო 9.5%, ხოლო განქორწინებულთა და გაშორებულთა (გაცილებულთა) ხვედრითი წონა 1.7% შეადგენდა. თანაც, ყურადღებას იქცევს ისეთი ნეგატიური ტენდენცია, როგორცაა ქორწინებაში არასოდეს მყოფთა ხვედრითი წონის ზრდა ფერიტიული ასაკის მოსახლეობაში. რაც შეეხება დაქვრივებულ, განქორწინებულ და გაშორებულთა რიცხოვნობას, იგი 90-იანი წლების პირველ ნახევარში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სისხლისმღვრელ კონფლიქტებთან დაკავშირებით, ათეულ ათასობით ადამიანის (ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცების) დაღუპვისა და შერეული (ბიეთნიკური) ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილის დანგრევის (დაშლის) გამო, საგრძობლად გაიზარდა, მაგალითად, 1990 წელს ყოველი ათასი დაქორწინებული მანდილოსნიდან 14 დაქვრივდა. 1994-1996 წწ. დაქვრივებული ქალების რაოდენობა 5-6-ჯერ აღემატებოდა განქორწინებული ქალების რაოდენობას.

დაუქორწინებულთა და დაქვრივებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის აღწარმოებაზე. როგორც ცნობილია, განქორწინების შემდეგ საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი დრო ახალი ოჯახის შესაქმნელად. ამას ემატება მორალური ტრამვით გამოწვეული ფსიქოლოგიური

ფაქტორი, რომლის გამოც ხშირ შემთხვევაში (ძირითადად მანდილოსნების მიერ თავშეკავების გამო) ვეღარ იქმნება ახალი ოჯახი. ეს საერთო კანონზომიერებაა, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ქართველ ქალებს ეხებათ, რამდენადაც, დამკვიდრებული ტრადიციის გამო, მათი მეორედ გათხოვების სურვილი შედარებით ნაკლებია, ვინემ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისა. 1989 წელს თუ ქორწინებაში პირველად შესულთაგან 70% იყო ქართველი, მეორედ გათხოვილთა შორის მათი ხვედრი წონა მხოლოდ 43%-ს შეადგენდა.

ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურად იზრდება ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წონა. იგი თუ 1980 წელს არ აღემატებოდა 4.7%-ს, 1996 წელს 33%-მდე ავიდა. 20 წლამდე ასაკის დედებში ეს მაჩვენებელი 50%-მდე აღწევს. ამ საკითხისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, რამდენადმე შეცვლილია საზოგადოებრივი მენტალიტეტიც. ასე მაგალითად, 1996 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე შეიღის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა გათხოვილი ქალების 25.2%-მა და გაუთხოვართა მხოლოდ 16.8%-მა. დანარჩენები ზოგადად დასაშვებად მიიჩნევენ ან მისაღებად თვლიან ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას. თუმცა ამ მოვლენას ის უარყოფითი ასპექტი აქვს, რომ მამობრივ სითბოსა და ზრუნვას მოკლებული ბავშვების თანამედროვე (გაზრდილი) მოთხოვნების დონეზე აღზრდა, როგორც წესი, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

XX საუკუნის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან დილემად მიიჩნევენ დემოგრაფიულ დაბერებას. საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი 70-იანი წლების შუახანებიდან დემოგრაფიულად და-

ბერებულ ქვეყნად ითვლება. 90-იან წლებში, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა (1970-1996 წწ. 60 და მეტი ხნის მოსახლეობის რიცხოვნობა 350.3 ათასი კაცით, ანუ 1.6-ჯერ გაიზარდა) და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია. ამჟამად ყოველი მეექვსე ადამიანი (17.4%) 59 წელსაა გადაცილებული. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი კი 13%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც გაეროს ექსპერტთა კლასიფიკაციით, დაბერების ზღვრად ამ ასაკის მოსახლეობის 7% ითვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერტილური ასაკის ქალთა დაბერება. ასეთი კონტიგენტის მანდილოსანთა თითქმის ნახევარი 36 წელსაა გადაცილებული, რაც მომავალში ფრიად უარყოფით გავლენას მოახდენს შობადობის ინტენსივობაზე.

ეს მარტო ქართული მოვლენა როდია. მოსახლეობა მსოფლიოს განვითარებულ რეგიონში უფრო მეტადაა დაბერებული, რამდენადაც 64 წლის ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა (1998 წ. მონაცემებით) 14%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია დასავლეთ და სამხრეთ ევროპასა (15%) და ჩრდილოეთ ევროპაში (16%). დემოგრაფიულად მსოფლიოში ყველაზე უფრო დაბერებულია იტალიისა და ფინეთის მოსახლეობა (17%). ამის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია: შობადობის შემცირება ანუ „დაბერება ქვემოდან“ და სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ანუ „დაბერება ზემოდან“. თუმცა, ექსტრემალურ გარემოებათა შედეგად, 90-იან წლებში ეს უკანასკნელი პროცესი საქართველოში, ისე როგორც სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, რამდენადმე საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართა, რაც დროებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა მსოფლიოს განვითარებად რეგიონში, სადაც 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 5%-ს არ აღემატება. სახელდობრ, აფრიკის მოსახლეობა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა (3%), ლათინური ამერიკისა (5%) და აზიის მოსახლეობა კი (6%) სიბერის ზღვარზე იმყოფება. დემოგრაფიულად მსოფლიოში ყველაზე უფრო ახალგაზრდაა კუვეიტის (1%), აგრეთვე ლიბიისა და ნიგერიის (2%) მოსახლეობა. მაღალ შობადობასთან ერთად, მისი ძირითადი განმსაზღვრელია სიცოცხლის შედარებით მცირე ხანგრძლივობა (მაგ. აფრიკაში 52 წელი).

პოსტსაბჭოთა სივრცეშიც გვხვდება როგორც დემოგრაფიულად შედარებით ახალგაზრდა, ისე დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყნები. დემოგრაფიული დაბერების ზღვარზე იმყოფებიან: უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი (4-6%). სიბერის საწყის სტადიაზე არიან: ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი სომხეთი, მოლდოვა (7-9%), ხოლო დაბერების შედარებით მაღალი დონით, საქართველოსთან ერთად, გამოირჩევიან: რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი (10-14%).

როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადჰყოფს, თვალსაწიერ პერსპექტივაში მსოფლიოს განვითარებული რეგიონის ქვეყნების უმრავლესობა იქნება მოხუცი და მდიდარი (მაღალი საპენსიო უზრუნველყოფის შედეგად), განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა კი – ახალგაზრდა და ღარიბი. დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა შედარებით ახალგაზრდა და მდიდარი. ასეთია, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყანა – სინგაპური, სადაც 1998 წელს მთელ მოსახლეობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი არ აღემატებოდა 7%-ს, ხოლო მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 30.5 ათ. დოლარს. პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნების

უმრავლესობა ვარდება ამ კონტექსტიდან, რამდენადაც ისინი უკვე არიან სიბერის სტადიაში (თანაც, სულ უფრო ღრმავდება ეს პროცესი), მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს დარჩებიან ღარიბებად. საქართველოც ქვეყნების ამ კატეგორიას განეკუთვნება.

დემოგრაფიული დაბერების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად. ამაზე მიგვანიშნებს ფაქტობრივი მონაცემები. მაგალითად, საქართველოში 1997 წელს 60 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში შეადგენდა 15.4%-ს, ხოლო სოფლად – 20%-ს.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების აღიარებული სპეციალისტის ე. როსეტის კლასიფიკაციით, დემოგრაფიული დაბერების ხარისხი (59 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წონის მიხედვით) განისაზღვრება ოთხი დონით: საწყისი დონე (12-14%); საშუალო დონე (15-16%); განვითარებული დონე (17-18%); ძლიერ განვითარებული დონე (18%-ზე მეტი). როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობა სიბერის ხარისხის მიხედვით „საშუალო დონეზეა“, ხოლო სოფლის მოსახლეობა უკვე „ძლიერ განვითარებულ დონეზე“ იმყოფება. თანაც, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, სოფლის მოსახლეობამ დემოგრაფიულ სიბერეს ორი ათეული წლით ადრე მიაღწია.

ამაში „ლომის წილი“ სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობის) ცალმხრივ ინტენსიურ მიგრაციას უდევს: 1979-1992 წლებში საქართველოში სოფლიდან ქალაქად საცხოვრებლად ყოველწლიურად ჩადიოდა საშუალოდ 15 ათასი კაცი, უკუნაყადი კი 5.7 ათას კაცს არ აღემატებოდა. ქალაქში მიგრირებულთა უმეტესობა რეპროდუქტიული ასაკის ახალგაზრდობა იყო, რის გამოც სოფლის მოსახლეობა დემოგრაფიულად უფრო მალე და უფრო ინტენსიურად დაბერდა. რომ არა ეს

პროცესი, დღეისათვის ქალაქში მოსახლეობა დემოგრაფიულად უფრო დაბერებული იქნებოდა, ვინემ სოფლად.

ამ მხრივ (ე.ი. სოფლის მოსახლეობის დაბერების თვალსაზრისით) ვითარება არაერთგვაროვანია რეგიონულ ჭრილშიც. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მომენტი-სათვის (1989 წ.), ე. როსეტის სკალით, „სიბერის ძლიერ განვითარებული დონე“ ახასიათებდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს (31.3%), იმერეთს (20.7%), გურიას (19.5%) და კახეთს (18.3%). „განვითარებული დონე“ – შიგა ქართლს (17.8%), მცხეთა-მთიანეთს (17.6%), სამეგრელო-ზემო სვანეთს (16.7%); „საშუალო დონე“ – აფხაზეთის სოფლებს (15.6%), „სიბერის საწყისი დონე“ – სამცხე-ჯავახეთს (12.9%). სიბერის ასაკამდე ჯერ არ მიუღწევიან ქვემო ქართლისა და აჭარის სოფლის მოსახლეობას. თუმცა, საქართველოს არც ერთ რეგიონში არაა დემოგრაფიულად ახალგაზრდა სოფლის მოსახლეობა (იხ. მ. შელია, მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბ., 1999, გვ. 45-50).

დემოგრაფიული დაბერებით გამორჩეულ (ძირითადად ქართველებით დასახლებულ) რეგიონებში მოკვდაობა, ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, იმდენად მაღალი, ხოლო შობადობა, ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, იმდენად დაბალია, რომ აშკარა დეპოპულაცია შეინიშნება. მაგალითად, 1996-1997 წწ. ასეთი ვითარება იყო ონის, ამბროლაურის, ცაგერის, გურჯაანის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ვანის, თერჯოლის, ბაღდათის, სამტრედიის რაიონებში, აგრეთვე ტყობულის საკრებულოში. თანაც, შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის სხვაობას, ნაცვლად შემცირებისა, მეტწილად ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, მოკვდაობა შობადობას აღემატებოდა: ცაგერის რაიონში 1995 წელს 52.2%-ით, ხოლო 1996 წელს – 55.5%, ჩოხატაურის რაიონში, შესაბამისად, 5 და 20%-ით, გურჯაანის რაიონში – 17.7 და 49%-ით და ა.შ.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავების ნებატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ (ზემოთ დახასიათებულ) ნეგატიურ ტენდენციებს თან სდევს ისეთი სავალალო სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, როგორიცაა:

– მომავალში (თუმც შორეულ პერსპექტივაში) თაობათა განახლების პროცესისა და საერთოდ ქართველი ერის მომავლისადმი რეალური საფრთხის შექმნა.

ცხადია, მოსახლეობის გამრავლება და რიცხოვნობის გადიდება პანაცეად არ უნდა მივიჩნიოთ. ვთქვათ, საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის 15-20 მილიონამდე და კიდევ უფრო მეტად გაზრდა, სასურველი კი არა, დეპოპულაციაზე არანაკლებ უბედურების მომტანი იქნებოდა. საკითხი ეხება დემოგრაფიული ოპტიმუმის მიღწევასა და დაცვას.

თითოეულ ქვეყანაში (მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც) ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს მოსახლეობის ისეთი რიცხოვნობა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა ნორმალურ ცვლას, წარმოებრივი მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, შრომითი რესურსების სამუშაო ადგილებთან დაბალანსებას, წარმოების შესაძლო მაქსიმალურ ეფექტიანობას, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის გონივრულ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას, პიროვნების თავისუფალ, ყოველმხრივ განვითარებას;

– სამხერთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (პირველ რიგში ქართველების) ხვედრითი წონის თანდათანობით შემცირება. საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით თუ XIX საუკუნის დასასრულისათვის აზერბაიჯანსა და სომხეთს უსწრებდა, დღეისათვის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე და მატების ტემპით მესამე

(უკანასკნელ) ადგილზეა. სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წონა 1959 წლის 44%-დან 1995 წლისათვის 32.4%-მდე (გარე მიგრაციის გათვალისწინებით, დაახლოებით 30%-მდე) შემცირდა. კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა ქართველთა ხვედრითი წონა და, რაც მთავარია, ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, თანაც ინტენსიურად;

– მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით, სრულ შრომისუნარიანთა (მათ შორის და, განსაკუთრებით, ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის ამღვლევა. საქართველოში ყოველი ათასი სრული შრომისუნარიანის კმაყოფაზე იმყოფებოდა: 1980 წელს 750, ხოლო 1996 წელს – 800 არაშრომისუნარიანი (მ.შ. სოფლად 900 არაშრომისუნარიანი). თუ გავითვალისწინებთ უმუშევრობით საქართველოში არსებულ მაღალ დონეს (1997 წელს დაახლოებით 36%), ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე გაიზრდება. 1998 წელს ყოველ ათას ფაქტიურად მომუშავე სრულ შრომისუნარიანზე მოდიოდა 3400 არაშრომისუნარიანი (შრომის ასაკს მიუღწეველი, შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული და შრომისუნარიანი დაუსაქმებელი). ე.ი. დოვლათის შემქმნელთა და მათ კმაყოფაზე მყოფთა თანაფარდობა შეადგენდა 1:3.4).

ე. როსეტის კლასიფიკაციით (სკალით) თუ შევაფასებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობა ამჟამად სრულ შრომისუნარიანთა „საშუალო სოციალური-დემოგრაფიული დატვირთვის“ ქვედა ზღვარზე იმყოფება, ხოლო ფაქტიურად მომუშავეთა (დასაქმებულთა) დატვირთვა ბევრად აღემატება „ძლიერი დატვირთვის“ ქვედა ზღვარს.

ესოდენ მაღალი და განუხრელად მზარდი სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა არა მარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტიული თვალსაზრისით, პროგრესულ

მოვლენადაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ მასში შრომისუანარიან ასაკს მიუღწევებლთა ხვედრითი წონა – ზრდის, ხოლო შრომისუანარიან ასაკს გადაცილებულები-სა შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.

სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ ამის საწინააღმდეგო, ანუ ნეგატიურ ტენდენციებთან გვაქვს საქმე. სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში კლებულობს (თანაც მკვეთრად) შრომისუანარიან ასაკს მიუღწევებლთა ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომისუანარიან ასაკს გადაცილებლთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, სრული შრომისუანარიანი ასაკის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ 1980-1996 წწ. ასეთი ცვლილებები განიცადა: 16 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წონა 64-დან 54.3%-მდე შემცირდა, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობისა – 35.1-დან 45.7%-მდე გაიზარდა.

– დასაქმებულთა (ფაქტიურად მომუშავეთა) ეკონომიკური დატვირთვის ზრდა. იგულისხმება ქვეყნის მასშტაბით მოხმარებულ ეროვნულ შემოსავალში არაშრომისუანარიანთა (შრომიუანარიან ასაკს მიუღწევებლთა და შრომისუანარიან ასაკს გადაცილებულთა), აგრეთვე დაუსაქმებელ შრომისუანარიანთა (უმუშევართა) ხვედრითი წონა, რომელიც ასევე განუხრელად მატულობს. პროფ. მ. ხმალაძის გაანგარიშებით, საქართველოში თუ 1959 წელს მოხმარებული ეროვნული შემოსავლის 9.7% მოდიოდა 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობაზე, 1989 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 12.6%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება 90-იანი წლების ფაქტიურ მონაცემებს, ისინი ნამდვილ კანონზომიერებას მიახლოებითაც ვერ ასახავენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში შექმნილი ფრიად არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შედეგად, მოხუცებულობის პენსია (სხვა მომსახურებაზე რომ არაფერი ვთქვათ) დადგენილ საარსებო მინიმუმს 10-ჯერ და

უფრო მეტად ჩამორჩება, რაც საჭირო კონდიციისაგან დიდად დაშორებულა.

ექსპერტული შეფასება კი ასეთ სურათს იძლევა: შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის თითოეულ სულზე საზოგადოებრივ დანახარჯებს (პენსია, ფულადი დახმარება, ჯანდაცვის ხარჯები, მოხუცებულთა სახლების შენახვა, ხანდაზმულთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, უფასო კვება და ა.შ.) თუ საარსებო მინიმუმის 1996 წლის დონეზე (90 ლარი) გავიანგაირშებთ (რაც ჯერ ვერ ხერხდება, მაგრამ ახლო მომავალში სასურველი და აუცილებელია), იგი 1980 წელს ტოლი იქნებოდა 68 მლნ. ლარის, ხოლო 1996 წელს – 98 მლნ. ლარისა, ე.ი. თითოეულ ხანდაზმულზე, პენსიებისა და დახმარებების მომატების გარეშე, 41%-ით გაიზრდებოდა.

მომუშავეთა ეკონომიკური დატვირთვის მაღალი ტემპებით ზრდას განსაზღვრავს არა მარტო ის, რომ სისტემატურად მატულობს შრომიუნარიან ასაკს გადაცილებულთა აბსოლუტური რიცხოვნობა – (1970-1996 წწ. თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და ერთ მილიონს გადააჭარბა) და ხვედრითი წონა მუდმივ მოსახლეობაში, არამედ ისიც, რომ ასევე განუხრელად იზრდება მათი მოთხოვნილება, გამოხატული როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ (ხარისხობრივ) პარამეტრებში. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის დაბერება რამდენადმე ცვლის ავადობის გამოხატულების ფორმებსაც. მაგალითად, ასაკთან ერთად მატულობს ისეთ ქრონიკულ სნეულებათა შეყრის ალბათობა, როგორიცაა ავთვისებიანი წარმონაქმნი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ართრიტი და ა.შ., რაც, თავის მხრივ, ზრდის დანახარჯებს ჯანმრთელობის დაცვაზე. ამჟამად, აშშ-ში 75 წლის ხანდაზმულის სამედიცინო მომსახურება 10-ჯერ მეტი ჯდება, ვინემ 40 წლის ასაკის პიროვნებისა.

- შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარე მიგრაციის ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გადიდება. მოკვდაობის ზრდასთან ან თუნდაც სტაბილური დონის შენარჩუნებასთან ერთად, შობადობის კვლავაც მკვეთრად შემცირებამ და მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესის მაღალი ტემპებით წარმართვამ მომავალში შეიძლება გამოიწვიოს შრომითი რესურსების დეფიციტი და აუცილებელი გახადოს მუშახელის ინტენსიური იმიგრაცია, რაც კიდევ უფრო გააუარესებს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურას და გაართულებს ეთნიკურ ურთიერთობებს.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავების ძირითადი მიზეზები

დემოგრაფიული ვითარების გამწვავების განმსაზღვრელ მიზეზებს შორის აღსანიშნავია:

- მოსახლეობის აღწარმეობის ტრადიციულიდან თანამედროვე ეტაპზე გადასვლა და ბავშვთა შობის შიგოჯახური რეგულირება. ამ თვალსაზრისით მსოფლიოს განვითარებული რეგიონი საგრძნობლად უსწრებს განვითარებად რეგიონს, რაც ჩანს იქიდანაც, რომ განვითარებად ქვეყნებში ქალების მნიშვნელოვან ნაწილს გაცილებით მეტი შეილი ჰყავს, ვინემ სურს. 1998 წლის მონაცემებით, მაგალითად, კენიაში ყოველ ას ქალზე საშუალოდ სურთ 420 ბავშვი, ფაქტიურად კი ჰყავთ 650, ეგვიპტეში, შესაბამისად, 280 და 450 ბავშვი.

ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნევენ კონტრაცეპტივების (ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების) ძალიან მცირე ნაწილის მიერ გამოყენებას. აი, როგორ კავშირშია იგი შობადობის მაჩვენებელთან. 1998 წელს, მაგალითად, გვინეაში გათხოვილი ქალების მხო-

ლოდ 2% იყენებდა კონტრაცეპტივებს, ამიტომაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა 43 პრომილეს. ნიგერიაში, შესაბამისად, 4%-სა და 53 პრომილეს, მავრიტანიაში – 3%-სა და 40 პრომილეს და ა.შ. სამაგიეროდ, სლოვენიაში გათხოვილი ქალების 92% იყენებს კონტრაცეპტივებს, ამიტომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 9 პრომილეს არ აღემატება, გერმანიაში შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენს 75%-სა და 10 პრომილეს, სლოვაკიაში – 74%-სა და 11 პრომილეს, რუსეთში – 67%-სა და 9 პრომილეს და ა.შ. საქართველოში ეს კანონზომიერება რამდენადმე დარღვეულია, რამდენადაც აქ (1998 წლის მონაცემებით) გათხოვილი ქალების მხოლოდ 17% იყენებდა კონტრაცეპტივებს. მიუხედავად ამისა, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 11 პრომილეს არ გაცილებია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენში ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება მეტწილად სხვა საშუალებების (აბორტი და ა.შ.) გამოყენებით ხორციელდება.

ზემოთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის (და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ამ ეროვნებების) რეპროდუქტიული ქცევის განსხვავებული მაჩვენებლები დავასახელებთ. ამის ძირითადი მიზეზი აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე არაერთდროულ გადასვლაში უნდა ვეძიოთ. ეს მოხდა საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან (თუ უფრო ადრე არა), ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში – მიმდინარე საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისიდან.

– ქალთა ემანსიპაცია – განათლებისა და დასაქმების დონის ამაღლება. არაერთი გამოკვლევითაა დადასტურებული ამ ფაქტორსა და შობადობის მაჩვენებლს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება;

– ბავშვთა აღზრდისადმი გაზრდილი მოთხოვნების წაყენება. ამას, ცხადია, უარყოფით მოვლენად ვერ მივიჩნი-

ნევთ. პირიქით, მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივზე უფრო მნიშვნელოვან მხარედ უნდა მივიჩნიოთ თვისებრივი (ხარისხობრივი) მხარე. ქვეყანა, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ჯანსაღი, განათლებული და ინტელექტუალურად ამაღლებული ახალგაზრდა ეყოლება მას. თუმცა, საქართველოს კონკრეტულ მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ცალკეულ შემთხვევებში ამ მხრივაც შეიმჩნევა ზომიერების დაკარგვა და ერთ შეილზე შეჩერება იმ მოტივით, რომ იგი, მშობლიურთან ერთად უნდა დაეუფლოს რამდენიმე უცხო ენას, ასევე, სპორტის რამდენიმე სახეობას, მუსიკას, ცეკვას, კომპიუტერს, უნდა დაიცვას მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები და ა.შ. ცხადია, ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მოსახლეობის დეპოპულაციის საფუძველად არ უნდა ვაქციოთ.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავების თანამედროვე ეტაპზე მომძლავრებულ მიზეზებს შორის აღსანიშნავია:

– მავნე ნივთიერებებით ატმოსფეროს ინტენსიური გაბინძურება და უსუფთაო ჰაერის, წყლისა და კვების პროდუქტების მოხმარების უარყოფითი გავლენა ადამიანთა ჯანმრთელობაზე (კრეტინიზმი, მკვდრად დაბადება და ა.შ.). საკმარისია ითქვას, რომ საწარმოთა უდიდესი უმრავლესობის გაჩერების (უმოქმედობის) მიუხედავად, 1991-1996 წწ. სტაციონარული წყაროებიდან (რომ არაფერი ეთქვათ შიგაწვის ძრავებიდან უზარმაზარი ოდენობით გამონაბოლქვზე) გამოფრქვეულ იქნა 12.2 მლნ ტონა მავნე ნივთიერება, რომლის მხოლოდ ნახევარი იქნა დაჭერილი და გაუვნებელყოფილი, დანარჩენი გავიდა ატმოსფეროში და სხვადასხვა ავადმყოფობის წყაროდ იქცა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ სპეციალისტთა განგარიშებით, ავადმყოფობათა დაახლოებით 90% პირ-

დაპირ თუ არაპირდაპირ სწორედ ბუნებრივ და სოციალურ გარემო პირობებთანაა დაკავშირებული;

– მცენარეული საფარის მასობრივი განადგურება არა მარტო ტყეებში, არამედ ნაკრძალებში, ბოტანიკურ ბაღებში, პარკებსა და სკვერებშიც. იჭრება სრულიად სალი, მ.შ. წიწვიანი ხეებიც და ამის აეტორები სრულებით არ ფიქრობენ იმაზე, რომ შთამომავლობას ჟანგბადით სუნთქვის საშუალებას უსპობენ. ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს (რომ არაფერი ეთქვათ გადამთიელზე) ხის მერქანი სავაჭროდ გააქვს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ზოგიერთი კი (ენერგეტიკული კრიზისის გამო) იძულებულია სათბობად გამოიყენოს. არც ერთია გამართლებული და არც მეორე. თუ პროცესი არ შეჩერდა, ბუნებრივი წონასწორობა კიდევ უფრო მკვეთრად დაირღვევა და კატასტროფა გარდუეალი გახდება;

– რადიაციული გამოსხივების მკვეთრად გადამეტება დასაშვებ ნორმაზე (განსაკუთრებით – ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ – ძირითადად დასავლეთ საქართველოში, რომელიც ნათლად აისახა სისხლის დაავადებათა ზრდაში, მეტწილად, მოზარდებში;

– თამბაქოს წვევის მასობრივი ხასიათი ადრეულ (სკოლის ასაკში), მ.შ. გოგონებში, რაც ძლიერ უარყოფითად მოქმედებს შთამომავლობაზე (ეს ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, უფრო ხშირად კი - მოგვიანებით);

– ნარკობიზნესის განვითარება და ნარკომანთა რიცხოვნობის ზრდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ასაკის მკვეთრი გაახალგაზრდაება – მომხმარებელთა დაახლოებით ორი მესამედი 16-დან 30 წლამდე ასაკისაა, თანაც, ყოველი მერვე ან მეათე მაინც ქალია, რაც გენოფონდს გადაგვარებით ემუქრება. ცნობილია, რომ ნარკომანებს საერთოდ

არ უჩნდებათ შვილები და თუ უჩნდებათ – მეტწილად დებილი და განუვითარებელი ბავშვები;

– მეძავეობა, საროსკიპოების ქსელის გაშლა, ჰომოსექსუალიზმი და ვენერიულ დაავადებათა მოხშირება, რაც შიდსის – თანამედროვეობის ამ შავი ჭირის გაერცყელებასაც უწყობს ხელს. მოხშირდა 12-14 წლის ასაკში ორსულობები და აბორტი. მაგალითად, 1997 წელს აბორტი გაიკეთა 15-19 წლის ასაკის 1036 გოგონამ;

– განზრახმკვლელობათა, თვითმკვლელობათა და ბანდიტიზმით განპირობებულ მკვლელობათა მოხშირება. მაგალითად, 1992-1996 წწ. თბილისის ცენტრალურ სააყადმყოფოებში დაფიქსირდა 503 თვითმკვლელობის ფაქტი, მ.შ. 316 ქალისა;

– ეთნოკონფლიქტების ნიადაგზე, მეომრებთან ერთად, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა (აღსანიშნავია, რომ კონფლიქტს აფხაზეთში 10 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე შეეწირა). დაძაბულობითა და განცდებით გამოწვეული ნერვული სტრესი, უწინარეს ყოვლისა, ასეულ ათასობით ლტოლვილებსა და საკუთარი კერებიდან გამოხიზნულებს შორის.

ყველა აქ ჩამოთვლილი ფაქტორი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ უკანასკნელ წლებში დემოგრაფიული კრიზისის განმსაზღვრელ მიზეზებს შორის მაინც ვერცერთი ვერ შეედრება სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებას და მოსახლეობის უმრავლესობის უმწეო მდგომარეობაში ჩაყარვას, ადამიანთა არასაკმარისი და არარაციონალური კვების რეჟიმის დამკვიდრებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში 90-იანი წლების პირველ ნახევარში, საშუალომომხმარებლის ფიზიოლოგიური ნორმის მიმართ, ფაქტიური საშუალო წლიური მოხმარება შეადგენდა: ხორცის და ხორცპროდუქტებისა 35.5%-ს, რძის და რძის პროდუქტებისა – 69.2, შაქრისა – 44.6, კარაქისა – 50.7, მცენარეული ცხიმებისა – 63.3, ბოს-

ტნეულის და ბაღჩეულისა – 54.4, თევზის და თევზპროდუქტებისა – 23%-ს და ა.შ.

ცხადია, წლების განმავლობაში ასეთი ვითარება, ე.ი. ორგანიზმისათვის აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტების მიუწოდებლობა, აუძლურებს და ასნეულებს მას. ამიტომაც გაჩნდა და მომრავლდა ჩვენთან ე.წ. „სილატაკის ავადმყოფობანი“, რომელმაც გაზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი (განსაკუთრებით ბავშვებსა და მოხუცებში). გარდა ამისა, უწინარეს ყოვლისა, ღატაკ და ხელმოკლე (მით უმეტეს, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა და ლტოლვილთა) ოჯახებში ბრკოლდება არა მარტო მესამე და მომდევნო შვილის გაჩენა, არამედ მეორე და, არცთუ იშვიათად, თვით პირველი შვილისაც კი (ე.ი. იზრდება პროტოგენეტიკური ინტერვალი). მეტიც, როგორც სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან ჩანს, ახალგაზრდებში მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო იკაკებს თავს ოჯახის შექმნაზე.

დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზაციის პირითადი მიმართულებანი

აღბათ, კამათს არ იწვევს ამ გლობალური ნეგატიური მოვლენების სახელმწიფო დონეზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში (თანაც, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ? – სამწუხაროდ, ქვეყანაში ჯერჯერობით არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა არ ტარდება. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებას ეს მტკივნეული პრობლემა არ ადელეებს. რო-

გორც ჩანს, აქამდე პრაქტიკული ზომების მიღებას აფერხებდა სათანადო პირობების უქონლობა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ, განსაკუთრებით ქვეყნის პრეზიდენტის უშუალო ინიციატივით და მითითებით გადადგმული ნაბიჯები: ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან დემოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა და სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია – პროგრამის შემუშავებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელმაც ფაქტობრივად დაამთავრა მუშაობა და მზადაა შედეგები წარუდგინოს მთავრობას.

სათანადო დახვეწა-დაზუსტების შემდეგ, ეს კონცეფცია-პროგრამა შეიძლება საფუძველად დაედოს სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას. თვითონაც შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორც მასშტაბური და სისტემური ხასიათისა ცუნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები და 180 გრადუსით შემოაბრუნოს ისინი პოზიტიური მიმართულებით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით შეიძლება გარკვეულწილად მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური ტენდენციების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება. ამასვე ადასტურებს მსოფლიო პრაქტიკა. მაგალითად, საფრანგეთმა, ომის შემდგომ პერიოდში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით, შეძლო 70-იან წლებში მთელ მოსახლეობაში 59 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წონის 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირება და, შესაბამისად, შრომისუნარიანთა ხვედრითი წონის გადიდება.

მაინც რა მიმართულებით უნდა წარმართოს ხელისუფლებამ დემოგრაფიული პოლიტიკა? ჩვენი აზრით, ეს ძირითადი მიმართულებებია:

1. ოჯახში საზოგადოებრივად საჭირო, ანუ ოპტიმალური რიცხვოვნობის ბავშვთა ყოლის მოთხოვნების ფორმირება და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. წულაძის მართებული მტკიცებით, ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა, მაგრამ შედეგი შედარებით მოგვიანებით, დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ იჩენს თავს. ღონისძიება გულისხმობს ძირითადად აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენებას. უნდა ეიმოქმედოთ ძირითადად სკოლის ასაკის ბავშვებზე, მათ არაფორმირებულ რეპროდუქტიულ ორიენტაციაზე. აუცილებელია სასწავლო პროგრამებში დემოგრაფიული პროფილის დისციპლინების (უწინარეს ყოვლისა, „დემოგრაფიის საფუძვლების“), აგრეთვე გონივრულად შერჩეული დიდაქტიკური მასალის შეტანითა და ბავშვთა ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, კვალიფიციური სწავლების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, რეპროდუქტიულ ქცევაზე კეთილმყოფელი გავლენა შეიძლება მოვახდინოთ შესაბამისი ტელეგადაცემებით, კინოფილმების ჩვენებით, მხატვრული და სპეციალური ლიტერატურით, პრესაში გამოქვეყნებული კორესპონდენციებით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

შესაძლებლობის მაქსიმუმში უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოში მცხოვრები ცალკეული ეროვნული უმცირესობების ანალოგიურად, ქართული ოჯახების მესვეურებმაც გააცნობიერონ არანაკლებ სამი შეილის გაჩენის მიზანშეწონილობა.

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნების – შეილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენა-

დაც ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას (მიუხედავად ამ უკანასკნელის შემცირების ტენდენციისა). როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, ბავშვთა სასურველ და რეალურად მოსალოდნელ რაოდენობას შორის სხვაობა 1980 წელს შეადგენდა 0.36-ს, 1980 წელს კი – 0.80-ს.

შვილების სასურველ და ფაქტობრივად მოსალოდნელ რაოდენობას შორის ესოდენ დიდი სხვაობა მიგვანიშნებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეალური რეზერვების არსებობაზე.

იმ ფაქტორთა შორის, რომელთაც ძალუძთ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია, ჩვენი აზრით, აღსანიშნავია:

– ეკონომიკური ჩიხიდან ქვეყნის გამოყვანა და ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა. ამის დასტურია ის, რომ თუ 1980 წელს ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობისაგან რეალურად მოსალოდნელი რაოდენობის ჩამორჩენის მთავარ მიზეზად დაქორწინებული ქალები გამოკითხვისას შერყეულ ჯანმრთელობას ასახელებდნენ, ამჟამად წინა პლანზე მატერიალურმა ფაქტორმა (საარსებო პირობებმა) გადმოინაცვლა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ 1998 წელს ჩატარებული ერთობლივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, კითხვაზე: „თუ თქვენ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ იმაზე ნაკლები ოდენობის შვილი, ვიდრე გსურთ, მიუთითეთ, რატომ?“ ყველაზე მეტმა, ანუ 41.6%-მა (ქალაქში – 45%) მატერიალური გაჭირვება დაასახელა, 18.1% – ბავშვის აღზრდისათვის სათანადო პირობების უქონლობა, 14.2% – ჯანმრთელობის მდგომარეობა, 6.6% – მომავლისადმი რწმენის უქონლობა და ა.შ.

ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის მთავარია არა იმდენად შიმშილის გრძობის დაკმაყოფილება საერთოდ, რამდენადაც კვების პროდუქტთა თითოეული სახეობის მოხმარება ფიზიოლოგიური ნორმების დაცვით, რასაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მოკლებულია დღეისათვის;

– სახელმწიფოს ბიუჯეტში ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ფონდის ცალკე განყოფილებად და ჯეროვანი მოცულობით გამოყოფა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ნათლად განსაზღვრა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია;

– შეილის გაჩენისათვის ოჯახისადმი მატერიალური დახმარების ისეთი გონივრული და მოქნილი სისტემის შემუშავება, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს ოჯახში შეილის დაბადებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების კომპენსირებას და ოჯახის თითოეულ წევრზე შემოსავლის შემცირების თავიდან აცილებას, არამედ რამდენადმე გაზრდის კიდევ მას; მატერიალური სტიმულირების მიზნით, მესამე შეილის გაჩენისათვის სპეციალური ფონდის შექმნა და ბინათმშენებლობისათვის გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტის გამოყოფა, მეოთხე შეილის გაჩენისას კი საერთოდ ამ სესხის გადახდისაგან განთავისუფლების პირობით;

– სახელმწიფო საწარმოებში, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში მომუშავე მანდილოსნებისათვის მეორე და მომდევნო შეილების გაჩენისას იმის უფლების მინიჭება, რომ ისარგებლონ სამწილიანი დეკრეტული შევებულებით, სამუშაო ადგილისა და კუთვნილი ხელფასის სრულად შენარჩუნებით;

– ოჯახებისათვის, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შეილს, კომუნალური მომსახურების გადასახდელების 30%-ით შემცირება მანამ, სანამ ყველაზე უმცროსი შვილი მიაღწევს 16 წელს;

- მესამე შვილის გაჩენისათვის ზემოაღნიშნულ სტიმულირებათა პირველ ეტაპზე იმ რეგიონებში განხორციელება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემებით, ჩამორჩება ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს;

- სამუშაოს მაძიებელთა სპეციალობის მიხედვით დასაქმება (1996 წ. არასპეციალობით მუშაობდა ინჟინერ-მშენებელთა 78%, ბუღალტერთა - 82%, აგრონომთა - 90%, ვეტექიმთა 96% და ა.შ.) და უმუშევრობის ბუნებრივ ღონემდე დაყვანა; ფაქტიურად მომუშავეთა სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის ნორმალიზება;

- შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით, ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გრაფიკით; შეეზღუება და პენსიაზე გასვლის ასაკი დიფერენცირებულ იქნას შვილების ოდენობის გათვალისწინებით, მიეცეთ შინ მუშაობის უფლება და სხვა შესაძლო შეღავათები;

- ქალთა გამოთავისუფლება ორგანიზმისათვის მავნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე, ღამის ცვლებიდან. სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისათვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახოსაყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

- ქვეყნის თითოეული რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის მაქსიმალური გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითოეული რაიონის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება;

მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისი დემოგრაფიული კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყოველწლიურად პერსპექტიული ახალგაზრდების განსაზღვრული კონტიგენტის უცხოეთში მისაველინებლად სათანადო სახსრების გამონახვა;

- ადამიანის, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე, სამშობიარო სახლების ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება, რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამასთან, მოსახლეობის თვითმოვლითი ქცევის დონის ამაღლება, რომელიც რამდენადმე დაბალია ქართველებში;

- ქორწინების დონის ამაღლება და დაქორწინება მაღალრეპროდუქტიულ ასაკში. საქართველოში 1989 წლისათვის იყო 830 ათ. (16 წლისა და უფროსი ასაკის) მოქალაქე, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში. ეს დიდი რეზერვია, თანაც, აქაური მოსახლეობის (ძირითადად ქართველების) ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ოჯახის მოგვიანებით შექმნა. 1989 წლისათვის საქართველოში დაქორწინებულ ვაჟთა შორის 30 წლამდე ასაკისა იყო მხოლოდ 71.9%, ხოლო ქალიშვილთა შორის – 83.4%, მაშინ როცა შესაბამისი მაჩვენებლები ტაჯიკეთში 88.2-სა და 93.9%-ს შეადგენდა;

- ფერტილური ასაკის მოსახლეობაში უნაყოფობასთან ბრძოლა მკურნალობის მეცნიერული მეთოდების გამოყენებით;

- ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღება, კვების პროდუქტების დაცვა გაბინძურებისაგან, მათი ტოქსიკურობის შემცირება;

- გაუმართლებელი ურბანიზაციის მიზეზების აღმოფხვრა და ქალაქიდან სოფელში მოსახლეობის მიგრაციისათვის ხელის შეწყობა;

– ინტენსიური გარემოგრაფიის მიზეზების შესწავლა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედით ღონისძიებათა განხორციელება;

– ეთნოკონფლიქტების მოგვარება და ბიეთნიკური (შერეული) ოჯახების დანგრევისაგან გადარჩენა;

3. ქმედით ღონისძიებათა განხორციელება გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, ეთნოკონფლიქტები, ატმოსფეროს გაბინძურება, კვების პროდუქტების ფალსიფიკაცია, ავტოავარიები და ა.შ.) ლიკვიდაციისათვის.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მეცნიერულად დასაბუთებულ და გონივრულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მთელი რიგი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზებაში.

იხ. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1999, № 8-9.

დემოგრაფიული ვითარება იმერეთში

დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობის პრაქტიკა მოწმობს, ცივილიზაციის თანმდევი საერთო კანონზომიერებაა. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პარამეტრებით განვითარებად ქვეყნად ითვლება.

მოსახლეობის აღწარმოების უარყოფითი ტენდენციები საქართველოში, მართალია, ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის სამოციანი წლებიდან გამოიკვეთა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდამდე არც ისე შესამჩვენევი იყო. 90-იანი წლების დასაწყისიდან კი ქვეყანაში წარმოქმნილი ექ-

სტრატეგიული გარემო პირობების მეოხებით, ამ პროცესებმა მწვავე ხასიათი მიიღო და აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. მისი ძირითადი მახასიათებლებია: შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა ან სტაბილური დონე და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვან ზღვრამდე თანდათანობით მიახლოება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თაობათა განახლებას. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შვილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე) 1960 წლის 2.59-დან 1997 წელს 1.62-მდე შემცირდა, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 2.10-ისა (ე.ი. ყოველ 100 ქალზე 210 შვილისა).

მართალია, აღნიშნული მაჩვენებელი დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კიდევ უფრო დაბალია (მაგალითად, გერმანიაში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში არ აღემატება 1.5-ს, ესპანეთში – 1.4-ს, იტალიაში – 1.3-ს), მაგრამ ეს ვერაფრით ვერ ამსუბუქებს ჩვენს მდგომარეობას.

სპეციალისტთა დასკვნით, ყოველ ათას ფერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები ოდენობის ბავშვის დაბადება დაბალი დონის შობადობად ითვლება, 64-დან 100-მდე – საშუალო დონედ, 101-დან 120-მდე – საშუალოზე მაღალ დონედ, 121-დან 160-მდე – მაღალ, ხოლო 161 და მეტი – ძალიან მაღალ დონედ. რაოდენ დასანანია, რომ ამ მაჩვენებლით საქართველომ 90-იან წლებში საშუალო-დან (1990 წ. – 69.9), დაბალ დონეზე (1995 წ. – 46.5) გადაინაცვლა და დღეისთვის უაღრესად კრიტიკულ ზღვარზე იმყოფება.

ამ ფონზე დემოგრაფიული ვითარება იმერეთში კიდევ უფრო კრიტიკულია. აი, როგორ სურათს იძლევა შო-

ბადობის დინამიკა. ქვეყნის ამ რეგიონში ყოველ ათას კაცზე 1980 წელს დაიბადა 14.7 ბავშვი, 1985 წ. – 16.9, 1990 წ. – 16.7, ხოლო 1997 წ. – 11.3, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (10.7%) ოდნავ აღემატება, მაგრამ საერთოდ დაბალია. შობადობის მხრივ რეგიონის საშუალო დონეზე უფრო უარესი მდგომარეობა აქვთ მასში შემავალ ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებს. 1997 წელს, მაგალითად, წყალტუბოს საკრებულოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი არ აღემატებოდა 7.1 პრომილეს, ტყიბულის საკრებულოში – 7.6-ს, ხონის რაიონში – 8.8-ს, ვანის – 9.1-ს, სამტრედიის – 10-ს, ბაღდათის რაიონში – 10.3 პრომილეს. მიუხედავად იმისა, რომ შობადობის დონით რეგიონის საშუალო მაჩვენებელს არ ჩამორჩებიან, 1990-1997 წწ. ეს მაჩვენებელი შემცირდა: ქუთაისში 2.3 პრომილით, ზესტაფონის რაიონში – 5.5, საჩხერის რაიონში – 6.1, ჭიათურის საკრებულოში – 6.2 პრომილით.

მოსახლეობის აღწარმოებისთვის დამახასიათებელი ტენდენციების საილუსტრაციო საინტერესო მასალას იძლევა შობადობის სპეციალური კოეფიციენტების (ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე დაბადებულ ბავშვთა) დინამიკა. იმერეთის რეგონში იგი შეადგენდა: 1990 წელს 70.0-ს, 1991 წ. – 68.1, 1992 წ. – 63.3, 1993 წ. 55.0, 1994 წ. – 54.1, 18995 წ. – 55.4-ს, ე.ი. ხუთი წლის მანძილზე 14.7 პუნქტით შემცირდა.

მოსახლეობის აღწარმოების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია მოკვდაობა. როგორც ფაქტობრივი მონაცემების ურთიერთშეჯერებიდან ჩანს, იგი იმერეთში, ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საგრძნობლად მაღალია. თანაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასე, მაგალითად, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა: 1980 წელს 8.6 პრომილეს, 1985 წელს – 9.7, 1990 წ. – 9.2, 1995 წ. – 9.0 და 1997 წ. – 9.8 პრომილეს ანუ 17 წლის

მანძილზე (ნაცვლად შემცირებისა) 12 პრომილით გაიზარდა.

მოკედაობის თაობაზე ოფიციალურ (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის) მონაცემებს თუ გაეაანალიზებთ (რომლებიც, არც თუ იშვიათად, გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის შეგნებულად თუ უნებლიედ მოშლის გამო ხელოვნურად შემცირებულია), დაინახავთ, რომ ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საკვლე რეგიონში მისი ზოგადი კოეფიციენტი გაცილებით მაღალია. 1997 წელს სხვაობა 2.1 პრომილეს შეადგენდა, მაშინ როცა 1980 წელს მაჩვენებელთა შორის არაერთი განსხვავება არ იყო. როგორც ჩანს, 90-იან წლებში იმერეთში უფრო მეტად იჩინა თავი მოკედაობის განმსაზღვრელმა სუბიექტურმა ფაქტორებმა, ვინემ ქვეყანაში საერთოდ. 1997 წელს მოკედაობის რეგიონის საშუალო დონეზე (9.8%) უფრო მაღალი ზოგადი კოეფიციენტი გამოვლინდა მის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში: თერჯოლის რაიონში (14.5%), ვანის (14.4%), ბაღდათის (12.8%), ხარაგაულის (11.7%), სამტრედიის რაიონში (10.4%).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოკედაობის ზოგადი კოეფიციენტი, მაგალითად, 1994 წელს ქვემო ქართლში 4.5 პრომილეს, აჭარაში - 5.8, მცხეთა-მთიანეთში - 6.2, სამცხე-ჯავახეთში - 7.6, შიგა ქართლში - 8.5 პრომილეს არ აღემატებოდა, ხოლო იმერეთში 10 პრომილეს შეადგენდა, ბევრ საფიქრალს გვიჩენს და მისი განმსაზღვრელი მიზეზები სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ზოგადი კოეფიციენტისაგან განსხვავებით, მოკედაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებლს ჩვილ ბავშვთა მოკედაობის კოეფიციენტი წარმოადგენს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ამ მაჩვენებელმა იმერეთში 1997 წელს 12% შეადგინა, რაც ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს,

4.3 პრომილით ჩამორჩება, მაგრამ მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (1990 წ. იაპონიაში 4.5%, შვედეთში - 5.6, შვეიცარიაში - 7.6, ავსტრიაში და ბელგიაში - 7.9, აშშ-ში - 9.1%) მნიშვნელოვნად აღემატება და უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. ამ მხრივ იმერეთის რეგიონში შემაჯავალ ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში კიდევ უფრო მწვავე ვითარებაა. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი 1997 წელს, მაგალითად, ქუთაისში შეადგენდა 17.7 პრომილეს, თერჯოლის რაიონში - 18.1 პრომილეს (თერჯოლის რაიონულ ცენტრში - 27.9%), დაბა ხარაგაულში - 38.1 პრომილეს და ა.შ.

ქ. ქუთაისისა და რაიონულ ცენტრებში ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი საშუალოსთან შედარებით მაღალია იმიტომ, რომ ორსული ქალები სამშობიაროდ და მძიმედ დაავადებული ჩვილი ბავშვები სამკურნალოდ სოფლებიდანაც ხშირ შემთხვევაში სამხარეო და რაიონულ ცენტრებში მიჰყავთ, რაც ზრდის ამ ცენტრებში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობას.

შობადობის და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით აღგენენ მოსახლეობის აღწარმოების მხრივ არსებულ ვითარებას. ხანგრძლივი დროის მანძილზე თუ დაბადებულთა რიცხოვნობა აღემატება გარდაცვლილთა რიცხოვნობას, სახეზეა მოსახლეობის ბუნებრივი მატება ანუ გაფართოებული აღწარმოება და, პირიქით, თუ გარდაცვლილთა რიცხოვნობა აღემატება დაბადებულთა რიცხოვნობას (სხვა თანაბარ პირობებში), ადგილი აქვს მოსახლეობის დეპოპულაციას - მის აბსოლუტურ შემცირებას. შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა თანმთხვევა კი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მაუწყებელია.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საკვლევი რეგიონში? - იმერეთში მოსახლეობის ბუნებრივი მატების დინამიკა ასეთია: 1980 წ. - 7.2, 1990 წ. - 7.5, 1995 წ. - 4.0,

1997 წ. – 2%, ე.ი. 17 წლის მანძილზე 3-ჯერ და უფრო მეტად შემცირდა. მოსახლეობის ბუნებრივი მატება იმერეთში 1997 წელს 15-ჯერ ჩამორჩებოდა ქვეყნის (ისედაც უაღრესად დაბალ) შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (3%). მოსახლეობის ბუნებრივი მატების იმერეთზე უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ: აჭარას (6.2%), ქვემო ქართლს (5.4%), სამცხე-ჯავახეთს (4.9%)¹, შიგა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთს (4.4%), სამეგრელოს და ზემო სვანეთს (2.6%). ამ მაჩვენებლით იგი უსწრებდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს (სადაც ინტენსიურ დემოპულაციას აქვს ადგილი), გურიას (1.3%), თბილისსა (1.4%) და კახეთს (1.5%).

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, იმერეთის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობის თუმცა უმნიშვნელო ოდენობით, მაგრამ მაინც გარკვეული ზრდა შეინიშნება. მასში შემავალი ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით კი ანალიზი კიდევ უფრო მძიმე სურათს წარმოადგენს. 1997 წელს მოკვდაობამ გადააჭარბა შობადობას და მოსახლეობის აბსოლუტური კლება (დემოპულაცია) აღინიშნა ვანის რაიონში (-3.5%, ნაცვლად 1990 წ. 2%-ისა), თერჯოლის რაიონში (-3.3%, ნაცვლად 1990 წ. 2.9%-ისა), ბაღდათის რაიონში (-2.5%, ნაცვლად 1990 წ. 5.3%-ისა), სამტრე-

¹ აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედარებით მაღალი მაჩვენებლები ძირითადად რელიგიური ფაქტორითა და მოსახლეობაში იმ ეროვნულ უმცირესობათა სოლიდური ხვედრითი წონით აიხსნება, რომელთაც, ქართველებთან შედარებით, მაღალი რეპროდუქტიული ქცევა ახასიათებთ. იმერეთი კი თითქმის მთლიანად დაბალი რეპროდუქტიული ქცევით გამოირჩეული ქართველებითაა დასახლებული (მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატებოდა 7.6%-ს, მაშინ როცა სომხების შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 8.5%-ს. ხოლო აზერბაიჯანელებისა – 22.9%-ს ანუ სამჯერ მეტს).

დიის, რაიონში (-0.5%, ნაცვლად 1990 წ. 6.6%-ისა), ქ. ტყიბულის საკრებულოში (-0.8%, ნაცვლად 1990 წ. 5.1%-ისა). აშკარა დემოპულაციამდე ჯერ არ მისულა, მაგრამ 1990-1997 წწ. მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა: ხონის რაიონში - 51-ჯერ, ქ. წყალტუბოს საკრებულოში - 21-ჯერ, თერჯოლის რაიონში - 17.7-ჯერ, ზესტაფონის რაიონში - 4.2-ჯერ, ქ. ჭიათურის საკრებულოში - 2.4-ჯერ, საჩხერის რაიონში - 2.3-ჯერ, ქ. ქუთაისის საკრებულოში - 2-ჯერ.

იმერეთის მოსახლეობის აღწარმოების დაბალ ტემპებზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ, ერთგვარი აბსოლუტური ზრდის მიუხედავად, მისი მოსახლეობის ხვედრითი წონა ქვეყნის მოსახლეობაში თანდათანობით მცირდება. ასე, მაგალითად, მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა 1886 წლის 340.7 ათასიდან 1997 წელს 797.1 ათასამდე ანუ 2.3-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ხვედრითი წონა 20.8%-დან 14.6%-მდე შემცირდა¹. ეს განაპირობა სხვა რეგიონებში მოსახლეობის შედარებით წინმსწრები ტემპებით ზრდამ.

მოსახლეობის გამრავლებასა და რიცხოვნობის ზრდას ხაზს ვუსვამთ არა იმიტომ, რომ იგი თვითმიზნად, პანაცეად უნდა მივიჩნიოთ. ვთქვათ, იმერეთის რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობის 5 მილიონამდე და კიდევ უფრო მეტად გაზრდა, სასურველი კი არა, დემოპულაცი-აზე არანაკლებ უბედურება იქნებოდა. საკითხი ეხება დემოგრაფიულ ოპტიმიუმს. არა მარტო თითოეულ ქვეყანაში არამედ ქვეყნის თითოეულ რეგიონში (ამ შემთხვევაში, იმერეთში) ოპტიმალურად უნდა მივიჩნიოთ მოსახლეობის ისეთი რიცხოვნობა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა

¹ იხ. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года. Тифлис, 1893 (Таблицы населения Тифлисской и Кутаисской губерний); საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტემენტის მონაცემები.

ნორმალურ ცვლას, წარმოებრივი მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, შრომითი რესურსების სამუშაო ადგილებთან დაბალანსებას, შრომის შესაძლო მაქსიმალურ მწარმოებლურობას და საერთოდ, წარმოების მაღალ ეფექტიანობას, საზოგადოებისა და თითოეული მისი წევრის გონივრულ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას, პიროვნების თავისუფალ, ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველომ (უწინარეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის შეცვლის კვალობაზე) მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა (ფრიად სამწუხაროდ) დაახლოებით ერთი საუკუნით დაასწრო სამხერთ კავკასიის სხვა ქვეყნებს – აზერბაიჯანსა და სომხეთს. ძირითადად ამან განპირობა მრავალშვილიანობიდან მცირეშვილიანობაზე გადასვლა, თუმცა 90-იანი წლებში, ცნობილ გარემოებათა გამო, მას დაემატა საარსებო პირობების მეტისმეტად გაუარესება. ამ მხრივ გამონაკლისს არც იმერეთი წარმოადგენს. პირიქით, უმუშევრობისა და ცხოვრების დონით იგი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონია. ამიტომ, ბევრი სხვა რეგიონის ანალოგიურად, აქაც მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის პრობლემაც. მნიშვნელოვანწილად ცხოვრების უკიდურესად მძიმე პირობების გამო, არც თუ იშვიათად, განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება თვით პირველი შვილის გაჩენის და შეუღლების აქტისაც კი (1994-1997 წლებში ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 5.1-დან 3.3%-მდე დაეცა), რომლის სავალალო შედეგები უფრო საგრძნობი გახდება მომავალში, მაშინ როდესაც ამჟამად დაბადებული თაობა მიაღწევს ფერტილურ ასაკს.

იმერეთში, ისე როგორც საქართველოში მთლიანად, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც.

ასე, მაგალითად, იმერეთის რეგიონში 60 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 1970 წელს შეადგენდა 12.8%-ს, ხოლო 1989 წელს – 16%-ს (ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 1.6 პუნქტით მეტს), მაშინ როცა დაბერების ზღვრად ამ ასაკის მოსახლეობის 12% ითვლება. ამის ძირითადი მიზეზი შობადობის შემცირებაა, რაზეც მიგვანიშნებს შემდეგი მონაცემები: 1970-1989 წწ. რეგიონის მასშტაბით 0-19 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 37.8- დან 30.3%-მდე შემცირდა, ხოლო დემოგრაფიული დაბერების ინდექსი (60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის შეფარდება 20 წლამდე ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან) 33.9-დან 52.8-მდე ანუ 18.9 პუნქტით გაიზარდა, რაც ფრიად უარყოფითი ტენდენციაა¹.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგია სრულ შრომისუნარიანთა (განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის ზრდა. ეს ტენდენცია არა მარტო მოსათმენ, არამედ (პერსპექტიული თვალსაზრისით) პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება ჩაგვეთვალა, რომ მასში შრომისუარიან ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა – ზრდის, ხოლო შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულებისა – შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდეს. სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ საწინააღმდეგო ანუ ნეგატიურ ტენდენციებთან გვაქვს საქმე. კმაყოფაზე მყოფთა შორის კლებულობს შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომისუარიან ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, სრული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ იმერეთში 1979-

¹ იხ. მ. ტუხაშვილი, საქართველოს შრომითი პოტენციალი, თბ., 1998, გვ. 66, 68.

1989 წწ. ასეთი ცვლილებები განიცადა: 16-წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წონა 71.3-დან 55.6%-მდე შემცირდა, ხოლო 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისა - 28.7-დან 44.4%-მდე გაიზარდა.

დემოგრაფიული ვითარებას რეგიონში, სხვა გარემოებებთან ერთად, ამძიმებს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესიც. მცირემიწიანობითა და სამუშაო ადგილების უკმარობით განპირობებული ტრადიციული სიძნელეები კიდევ უფრო დაამძიმა 90-იან წლებში შექმნილმა საყოველთაო ეკონომიკურმა კრიზისმა, აგრეთვე აფხაზეთიდან დევნილთა დიდი ნაკადის წარმოქმნამ. ყოველივე ამან მოსახლეობის ნაწილს უბიძგა იქითკენ, რომ არსებობის წყარო ეძებნა ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ან ქვეყნის სხვა რეგიონში, ძირითადად თბილისში).

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, ე.ი. მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის როგორც ბუნებრივი მატეების კლებას, ისე სამუშაო ძალის მიგრაციული ნაკადების ზრდას, შეიძლება დავასკენათ, რომ იმერეთი დემოგრაფიულ კრიზისს განიცდის. მაშასადამე, მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანისა და ვითარების რამდენადმე ნორმალიზებისთვის აუცილებელია გატარებულ იქნას, რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით, მეცნიერულ საწყისებზე შემუშავებული სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა.

DEMOGRAPHICALLY SITUATION IN IMERETI

SUMMARY

In the article are considered the negative tendencies of demographically development in Imereti. Its main characteristics are given: decrease of the birth-rate, increase of the death-rate and as a logical result of it, a gradual approximation to the zero border of natural in-

crease of population, which makes serious danger to the renovation of generation. On the bases of the analysis it's concluded that Imereti goes through a demographically crisis. For the normalization of the situation, it's necessary to carry out governmental demographically politics, worked out on the scientific bases, with the specifics of the region taken in view.

ДЕМОГРАФИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ В ИМЕРЕТИ

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены негативные тенденции демографического развития в Имерети. Представлены его основные характеристики: падение рождаемости, рост смертности и, как логический результат этого, постепенное приближение к нулевой границе естественного прироста населения, что создает серьезную опасность обновлению поколения. На основе проведенного анализа сделан вывод, что Имерети испытывает демографический кризис. Для нормализации положения необходимо провести разработанную на научной основе государственную демографическую политику с учетом особенностей региона.

იხ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი. მოხსენებები III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, მიძღვნილი ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის 25 წლისთავისადმი, ქუთაისი, 1999.

დემოგრაფიული ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში
მელოს მაღალმთიანეთში და მისი
ნორმალიზების ძირითადი მიმართულებანი

მოსახლეობის აღწარმოებრივი პროცესის აღქმა როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონების მასშტაბით შეუძლებელია ერთი რომელიმე მაჩვენებლით. ამისათვის აუცილებელია ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებელთა განხილვა-გაანალიზება. ასეთი მაჩვენებლებია: შობადობა, მოკვდაობა, მოსახლეობის ბუნებრივი მატება, ქორწინება, განქორწინება, შეიღიანობა, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რეპროდუქტიული ქცევა, დემოგრაფიული დაბერება, მოსახლეობის მიგრაცია და ა.შ.

აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში¹ შობადობის შემცირება მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და 90-იან წლებში გაცილებით სწრაფი ტემპებით წარიმართა, ეინემ მთლიანად საქართველოში. როგორც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, შობადობა საკვლევე რეგიონში 1970-1996 წწ. 2-ჯერ შემცირდა. სახელდობრ, იგი დაეცა: დუშეთის რაიონში 20.5-დან 12 პრომილემდე, ყაზბეგის რაიონში – 13.4-დან 6.5 პრომილემდე, ახმეტის რაიონში – 22.1-დან 8.8 პრომილემდე და თიანეთის რაიონში – 17.6-დან 7.3 პრომილემდე. 1996 წელს შობადობის

¹ მხედველობაში გვაქვს დუშეთის, ყაზბეგის, ახმეტისა და თიანეთის რაიონები, უფრო ზუსტად, ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი, ხევი და თუშეთი. მართალია, ფაქტობრივი მასალის გამოუცალკევებლობის გამო, მთელი რიგი დემოგრაფიული პროცესები წინამდებარე სტატიაში განხილულია დასახელებული ადმინისტრაციული რაიონების მასშტაბით, ე.ი. არამაღალმთიანი ზონის ჩათვლით, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დასმული პრობლემის თაობაზე სწორი დასკვნების გაკეთებაში, რამდენადაც პარალელურად ემყარებოდით კონკრეტულად მაღალმთიანეთში ამ საკითხის სიღრმისეული დამუშავებისათვის სპეციალურად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებს.

ზოგადი კოეფიციენტი დასახელებული რაიონებიდან ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს ოდნავ (0.9%-ით) აღემატებოდა მხოლოდ დუშეთში, დანარჩენ რაიონებში კი ჩამორჩებოდა: ყაზბეგში 4.6 პრომილით, ახმეტაში - 2.5 პრომილით და თიანეთში - 3.8 პრომილით.

აღმოსაველთ საქართველოს მაღალმთიანეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე დაეადგინეთ, რომ ქალთა სქესის რესპონდენტთა 21.4% ოჯახში ორი შვილის ყოლას თვლის ოპტიმალურ მაჩვენებლად, 52.1%-ის შეხედულებით სასურველია სამი შვილის ყოლა, 9.1%-ს სასურველად მიაჩნია ოთხი შვილი, 4.1%-ს - ხუთი, 2.1%-ს ექვსი და მეტი.

ოდნავ განსხვავებული პოზიცია უჭირავთ მამაკაცებს. ოჯახში ორი შვილის ყოლას სასურველად თვლის გამოკითხულ მამაკაცთა 23.3%; სამისას - 59.1%, ოთხისას - 13.2%, ხუთისას - 1.9%, ხოლო ექვსის და მეტისას მხოლოდ 1.6%. ოჯახში სამი შვილის ყოლისადმი შედარებით პესიმიზტურ განწყობას ავლენს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა, ხოლო ოპტიმიზტურს - ახმეტისა და დუშეთის რაიონებისა.

საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა 20%-ზე მეტს სურვილიც არა აქვს იმდენი შვილის ყოლისა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ოდნავ გაფართოებულ აღწარმოებას. ერთგვარი იმედის მომცემია ის, რომ 16-20 წლის ასაკის ახალგაზრდების 76.9%-ს სასურველად მიაჩნია ოჯახში სამი შვილის ყოლა. სამაგიეროდ, ასეთი შეხედულებისაა 21-30 წლისა და 41-50 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 59%. ამ საკითხზე მკვეთრად განსხვავებული მოსაზრება აქვს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე - 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობას. 60-64 წლის ასაკის მოსახლეობის სულ 33.3% თვლის ოჯახში სამ შვილს სასურველ რაოდენობად, 65 წელს გადაცილებულებიდან კი ასეთი აზრისაა მხოლოდ 26.1%.

მოსახლეობის აღწარმოებაში მოსალოდნელი პოზიტიური თუ ნეგატიური ტენდენციების დადგენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: „რეალურად რამდენი შვილის ყოლას აპირებთ პირადად თქვენ“? შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია: ამ კითხვაზე მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 6.2% და მამაკაცთა 6.4%-მა უპასუხა: „არცერთის“. ახმეტაში ასეთი პასუხი გასცა რესპონდენტთა 15.7%-მა. ერთი შვილი დაასახელა, შესაბამისად, 5.3 და 2.8%, ორი – 56.9 და 36.5%-მა, სამი – 27.6 და 44.6%-მა, ოთხი – 3.6 და 8%-მა, ხოლო ხუთი – 0.4 და 0.8%-მა.

აღსანიშნავია, რომ 16-20 წლის ასაკის ახალგაზრდების 69.2% და 21-30 წლის ასაკის ახალგაზრდობის 47.3% რეალურად აპირებს სამი შვილის ყოლას, მაგრამ 31-40 წლის ასაკის მოსახლეობიდან ასეთი სურვილი აქვს მხოლოდ 21.2%-ს.

მრავალი საგულისხმო დასკვნის საფუძველს იძლევა შეიღთა სასურველი და რეალურად მოსალოდნელი რაოდენობების ერთიმეორესთან შედარება. როგორც გამოკვლევის შედეგების ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, ოჯახში ორი შვილის ყოლის სასურველსა და რეალურად მოსალოდნელ რაოდენობას შორის სხვაობა უკანასკნელის სასარგებლოდ შეადგენს: მდედრობითი სქესის რესპონდენტთა პასუხების მიხედვით 35.5 პროცენტულ პუნქტს, ხოლო მამრობითი სქესის რესპონდენტთა პასუხების მიხედვით – 13.2 პროცენტულ პუნქტს. დიამეტრულად საწინააღმდეგო სურათს იძლევა სამი შვილის თაობაზე მონაცემების ურთიერთშედარება. აქ რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა სასურველ რაოდენობას ჩამორჩება: რესპონდენტ ქალთა მიხედვით 34.5, ხოლო რესპონდენტ მამაკაცთა მიხედვით – 14.5 პროცენტული პუნქტით. ოთხი შვილის ყოლა რესპონდენტ ქალთა 9.1%-ს და რესპონდენტ მამაკაცთა 13.2%-ს სურს, მაგრამ რეალურად მის

განხორციელებას 5.5 პროცენტული პუნქტით ნაკლები ქალი და 5.2 პროცენტული პუნქტით ნაკლები მამაკაცი აპირებს.

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების განუყოფელი კომპონენტია მოკვდაობა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში დაახლოებით ქვეყნის შესაბამისი საშუალო მაჩვენებლის (1996 წ. – 7.1%) ღონეზეა და წლების მანძილზე არც რადიკალური ცვალებადობით ხასიათდება. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებლის შესახებ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი პერიოდის (ძირითადად 90-იანი წლების) მონაცემები ნაკლებად სარწმუნოა. ამაზე ნათლად მიგვანიშნებს, მაგალითად, თიანეთის რაიონის მონაცემები მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკის შესახებ. იგი შეადგენდა: 1990 წელს 12 პრომილეს, 1991 წელს – 12.3 პრომილეს, ხოლო 1996 წელს – 4.7 პრომილეს. 90-იანი წლების არაორდინარული, მეტისმეტად დუხჭირი ცხოვრების პირობებში განა დასაჯერებელია მოკვდაობის ასეთი მკვეთრი შემცირება? ერთი რამ ცხადია, მოკვდაობის აღრიცხვა აშკარად არ დგას ჯეროვან სიმადლეზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო რაიონებს, განსაკუთრებით კი მაღალმთიანეთს (მის მცირედ დასახლებულ სოფლებს) შეეხება, სადაც მეტწილად ოფიციალურად დაუფიქსირებელი რჩება ადამიანის გარდაცვალება.

ზოგადი კოეფიციენტისაგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს. როგორია ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში არსებული მდგომარეობა? შეიძლება ითქვას, – ფრიად კრიტიკული. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა: დუშეთში 21.8 პრომილეს (1996 წ.), ახმეტაში – 21.1 პრომი-

ლეს (1994 წ.), თიანეთში – 18.8 პრომილეს (1992 წ.). ეს მონაცემები საგრძნობლად მაღალია როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების (დაახლოებით 4-5-ჯერ) შესაბამის მაჩვენებელზე და საგანგებო ყურადღებას საჭიროებს.

შობადობისა და მოკვდაობის თანაფარდობაზე და მოკიდებული მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. სხვა თანაბარ პირობებში, როცა შობადობა აღემატება მოკვდაობას, ადგილი აქვს გაფართოებულ აღწარმოებას და მისი მასშტაბები ამ სხვაობის სიდიდით განისაზღვრება. თუ მოკვდაობა აღემატება შობადობას, მაშინ გარდაუვალია დეპოპულაცია, ე.ი. მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური შემცირება. იმ შემთხვევაში კი, როცა იმდენი ადამიანი კედება, რომდენიც იბადება, მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასთან გვაქვს საქმე, ე.ი. თაობათა განახლება (დროის შორეულ მომენტში მაინც) ხდება უცვლელი ოდენობით. იმის გამო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში შობადობა მკვეთრად ეცემა, ხოლო მოკვდაობა სტაბილურია ან ოდნავ მცირდება (თუ ვირწმუნებთ ოფიციალურ მონაცემებს), ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებიდან ირკვევა, 1970-1996 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა: დუშეთში – 11.7-დან 3.8 პრომილემდე, ახმეტაში – 15.8-დან 1.8 პრომილემდე, თიანეთში – 9.1-დან 2.6 პრომილემდე. რაც შეეხება ყაზბეგის რაიონს, აქ 1970 წელს ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას (4.3%), 1996 წელს კი – მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ანუ დეპოპულაციას (-1.4%).

ამრიგად, ყაზბეგში აშკარად შეინიშნება კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია, თუმცა ნორმალური ვითარება მთიანი ზონის არც სხვა რაიონებშია. მოსახლეობის ბუ-

ნებრივი მატება ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება: დუშეთში – 0.2 პრომილით, ახმეტაში – 2.2 პრომილით, ხოლო თიანეთში – 1.4 პრომილით. განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება შეინიშნებოდა 1991-1996 წლებში. ამ პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა: დუშეთში – 4.5%-ით, ახმეტაში – 14%-ით. ხოლო ყაზბეგში ოდნავი ბუნებრივი მატება დეპოპულაციით შეიცვალა.

გასულ საუკუნეში, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრინდელ პერიოდებზე, მრავალშვილიანი ოჯახი შედარებით მასობრივ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოში, მათ შორის მთიანეთშიც. დღეისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. ეს ეხება ქვეყნის არა მარტო ბარის, არამედ მაღალმთიანეთის მოსახლეობასაც. როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რესპონდენტთა 40%-ის მშობლებს ჰყავდათ სამი შვილი, 26.1%-ისას – ხუთი, 5.4%-ისას – ექვსი და მხოლოდ 1.4%-ისას – ერთი შვილი, ამჟამად კი გამოკითხულთა 22.8%-ს (მ.შ. ახმეტაში – 25.2%-ს) საერთოდ არ ჰყავს შვილი, 11.1%-ს (მ.შ. დუშეთსა და ახმეტაში – 15%-ს) ჰყავს ერთი, 38.5%-ს (მ.შ. დუშეთსა და ყაზბეგში 40%-ზე მეტს) – ორი, 24.6%-ს – სამი, 2.8%-ს – ოთხი და მხოლოდ 0.4%-ს – ხუთი შვილი.

დემოგრაფიული ვითარების გაუარესების მაჩვენებელია შესაბამისი ასაკის ყოველ ათას ადამიანზე ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირება. ასე, მაგალითად, ქორწინების კოეფიციენტი 1970-1996 წლებში შემცირდა: დუშეთის რაიონში – 8.1-დან 4.1 პრომილემდე, ყაზბეგის რაიონში – 7.4-დან 6.3 პრომილემდე, ახმეტის რაიონში – 6.1-დან 3.4 პრომილემდე და თიანეთის რაიონში – 7.7-დან 2.3 პრომილემდე.

ქორწინება (ოჯახი) მთიანეთში ბევრად უფრო მყარია, ვინემ ქალაქად და ქვეყნის დაბლობი ზონის სოფლებში. აქაური მკაცრი ტრადიციები და წესჩვეულებანი დიდად უწყობს ხელს ოჯახების შენარჩუნებას. მაგალითად, ხევსურეთში ძველად მამაკაცი განქორწინების შემდეგ იხდიდა სოლიდურ ჯარიმას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში 4-5 ძროხას შეადგენდა¹.

გარდა ამისა, განქორწინებულები დაქვეითებული პრესტიჟით სარგებლობდნენ საზოგადოებაში, რაც ნაწილობრივ დღესაც ასეა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ქალებს, ამიტომ მათ უჭირთ ხელმეორედ გათხოვება. ყოველივე ამის შედეგად, განქორწინება მთიანეთში ძალიან იშვიათია და მეუღლეები ცდილობენ მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტები ოჯახშივე გადაწყვიტონ. ამასვე ადასტურებს ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც (ე.ი. განქორწინება) 0.1-0.3%-ის ფარგლებში მერყეობს. მიუხედავად ამისა, თითოეული განქორწინების როლი და მნიშვნელობა იზრდება ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებასთან დაკავშირებით.

მთიანეთში ინტენსიურად მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერების პროცესი. ასე, მაგალითად, საპენსიო ასაკს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი ჯერ კიდევ 1989 წელს შეადგენდა: დუშეთის რაიონში – 18%-ს, ყაზბეგის რაიონში – 16.3, ახმეტის რაიონში – 18.7 და თიანეთის რაიონში – 18.7-ს, რაც მკვედრად აღემატება არა მარტო მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საყოველთაოდ მიღებულ სასტატო მაჩვენებელს, არამედ საქართველოს საშუალო მაჩვენებელსაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის (თითოეული მომუშავეის კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობის) სტრუქტურულ ცვლილე-

¹ იხ. ს. მაკალათია. ხევსურეთი (ეთნოგრაფიული მასალები), ტფილისი, 1935, გვ. 146.

ბათა ტენდენციები. არა მარტო მოსათმენი, არამედ პერსპექტიული თეალსაზრისით პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება მივიჩნიოთ დემოგრაფიულ დატვირთვაში შრომის ასაკამდელ (0-15 წლის) პირთა ხვედრითი წილის ზრდისა და შრომის ასაკს გადაცილებულ პირთა ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია, რამდენადაც ეს უახლოეს ხანში სრულ შრომისუნარიანთა ხვედრითი წილის გაზრდას გამოიწვევს. სინამდვილეში ამის დიამეტრალურად საწინააღმდეგო პორცესთან გვაქვს საქმე. 1970-1989 წწ. შრომის ასაკამდელი მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირდა: დუშეთის რაიონში - 34-დან 25%-მდე, ყაზბეგის რაიონში - 32.2-დან 24.5%-მდე, ახმეტის რაიონში - 31-დან 22.2%-მდე და თიანეთის რაიონში - 32.2-დან 11.1%-მდე. რაც შეეხება შრომის ასაკს გადაცილებულებს, მათი ხვედრითი წილი გაიზარდა: დუშეთის რაიონში 17-დან 18%-მდე, ყაზბეგის რაიონში - 11.2-დან 16.3%-მდე, ახმეტის რაიონში - 12.3-დან 18.7%-მდე და თიანეთის რაიონში - 11.1-დან 17.7%-მდე.

აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში დემოგრაფიული ვითარების ესოდენ გამწვავებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის აღსანიშნავია:

- მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრება. მხედველობაში გვაქვს, ჩასახვის თანამედროვე ცივილიზებულ საშუალებათა (კონტრაცეპტივები და სხვ.) გამოყენების კვალობაზე, ბავშვთაშობის შიგარჯახური რეგულირება და მცირეშვილიანობით შემოფარგვლა. მართალია, ეს პროცესი ისეთი ინტენსივობით არ ხასიათდება მთაში, როგორც ბარში (მით უმეტეს, ბარის მხვილ ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა, თბილისში), მაგრამ თანდათობით მკვიდრდება და სულ უფრო მეტად ანგარიშგასაწევ ფაქტორად წარმოგვიდგება;

- მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხვედრითი წილის ამადლება ქალაქის მოსახლეობისა, რომლისთვი-

საც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია დეკოპულაცია. 1970-1996 წწ. სახეზე მყოფი მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში ქალქის მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზარდა: დუშეთში 21.5 პროცენტული პუნქტით, ყაზბეგში – 4.1-ით, ახმეტაში – 2 პროცენტული პუნქტით;

– მიგრაცია. ეს პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობს, რომ მაღალმთიანეთი თანდათანობით იცლება მოსახლეობისაგან. 1980-1989 წწ. მიგრაციის სალდოს საშუალო წლიური ინტენსივობა შეადგენდა: დუშეთისა და თიანეთის რაიონებში მინუს 3.2 პრომილეს, ხოლო ყაზბეგის რაიონში – მინუს 1.5 პრომილეს. გახშირდა ნასოფლარები. ასე, მაგალითად, 1989 წელს (მოსახლეობის აღწერის დროს) არცერთი მცხოვრები არ აღრიცხულა ხევსურეთის შემდეგ სოფლებში: ქმოსტი, ღული, ძეძეურთა, ოხერხევი, კისეხნი, უკანხადუ; გუდამაყრის – ბურსაჭირი, უკანა ფშავი, ბეტის ჩრდილი; თუშეთის – დოჭუ, ქუმელაურთა, შტროლთა, ხახაბო, დანო; ყაზბეგის – ართხმო. ოთხმოციანი წლების დასასრულისათვის ყაზბეგის რაიონის 10 სოფელში მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატებოდა სამ კაცს. ომალოს საკრებულოს 10 სოფლიდან 5 საერთოდ უკაცრიელია, ხოლო სამ სოფელში (ხისო, დიკლო, დართლო) მხოლოდ 2-5 მცხოვრებია;

– მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის დარღვევა. საკვლევ რეგიონში 70-იანი წლების დასაწყისისათვის ქალები მკვეთრად სჭარბობდნენ მამაკაცებს: დუშეთში – 14.8 პროცენტული პუნქტით, ყაზბეგში – 4.6-ით, თიანეთში – 8.2-ით და ახმეტაში 9.6 პროცენტული პუნქტით. 80-იანი წლების დასასრულისათვის კი ვითარება დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით შეიცვალა. 1989 წლის აღწერის მონაცემებით, უკვე კაცები სჭარბობენ ქალებს: დუშეთში – 5.7 პროცენტული პუნქტით, ყაზბეგში – 9-ით, თიანეთში – 6.2-ით და ახმეტაში – 4.2 პროცენტული პუნქტით. ე.ი. თუ 70-იან წლებში ქორწინებისა და მო-

სახლეობის ბუნებრივი მატების პროცესს „საქმროთა დეფიციტი“ აბრკოლებდა, 80-იანი წლების დასასრულისათვის ასეთ მიზეზად „საცოლეთა დეფიციტი“ შეინიშნება;

– ფერტილურ ასაკში დაუქორწინებულთა შედარებით მაღალი ხვედრითი წილი. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, არასდროს არ ყოფილა დაქორწინებული ფერტილური ასაკის ქალთა 24% და მამაკაცთა 30.3% დუშეთში, შესაბამისად, 29.7 და 37% – ყაზბეგში, 19 და 26.5% – ახმეტაში, რაც ბუნებრივია, ფრიად უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის აღწარმოებაზე;

– ახალგაზრდების მიერ ოჯახის დაგვიანებით შექმნა. ცნობილი ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ს. მაკალათიას ცნობით, მაგალითად: ხევსურული ადათ-წესებით ქალი გვიან თხოვდებოდა, რაც შობადობის მაჩვენებელს დაბლა სწევდა. აქ, ჩვეულებრივ, ნიშნობა იცოდნენ მაშინ, როცა ქალ-ვაჟს 20-25 წელი შეუსრულდებოდათ. ქალები არცთუ იშვიათად 30-35 წლის ასაკში თხოვდებოდნენ. ამასთან, თუ ოჯახში სხვა მუშა ქალი არ ჰყავდათ (რძალი ან უმცროსი ქალიშვილი), დანიშნული ქალი თავის სახლში რჩებოდა, სანამ რძალს არ მოიყვანდნენ, რამდენადაც ხევსურის საოჯახო მეურნეობა უმთავრესად ქალის შრომაზე იყო დამყარებული;

– ქერიეთა მაღალი ხვედრითი წილი. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქალთა სქესის წარმომადგენლებს შეეხებათ. მთიანეთში დაქერიეებული ქალები მკვეთრად სჭარბობენ დაქერიეებულ მამაკაცებს (1989 წ. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ყაზბეგში – 5-ჯერ, ახმეტაში – 6.4-ჯერ, დუშეთში 7-ჯერ, რამდენადაც მამაკაცთა მოკვდაობის კოეფიციენტი უფრო მაღალია. 1989 წლისათვის დუშეთში ქერიეი იყო ქორწინებაში მყოფი ქალების 33.1% და მამაკაცების 4.5%, ყაზბეგში (შესაბამისად) – 45.7 და 7%, ახმეტაში – 27 და 4.2%, აღსანიშნავია ისიც, რომ დაქერიეებული მამაკაცები შედარებით მაღლე ქორწინდებიან ხელმო-

რედ, ქალებს კი, მთის მკაცრი ზნეჩვეულებების გამო, უჭირთ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა;

- დაუსაქმებლობა (უმუშევრობა, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, რესპონდენტთა 23.6% დაუსაქმებელია, ე.ი. ისინი ვერ პოულობენ სამუშაოს ვერცერთ (სახელმწიფო, კერძო, კოოპერაციულ) სექტორში. დასაქმებულთა 29.8% მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებებში, დანარჩენი ძირითადად კერძო ფირმებსა (7.3%) და საოჯახო მეურნეობებშია (60.2%) დასაქმებული. თანაც, დასაქმებულთა 54.3%-ის სამუშაო სეზონური ხასიათისაა.

ბუნებრივია, უმუშევარ ადამიანს, მითუმეტეს თუ ის მამაკაცი და ოჯახის ძირითადი მარჩენალია, არ შეიძლება პქონდეს შეიღების თუნდაც სასურველი (ოპტიმალური) ოდენობით გაჩენის განწყობა, დაუოჯახებელს კი - რეალური სურვილი დაქორწინებისა, რაც სერიოზულად აფერხებს მოსახლეობის აღწარმოებრივ პროცესს.

სოციოლოგიური კვლევის პროცესში კითხვაზე: „რა გიშლით ხელს, იყოლით შეიღების სასურველი რაოდენობა?“. რესპონდენტთა 37.3%-მა უპასუხა: „მატერიალური ხელმოკლეობა“. რაც შეეხება კითხვას: „თუ დაქორწინებული არ ხართ, რა გიშლით ხელს ოჯახის შექმნაში?“, პასუხები ასე განაწილდა: „მატერიალური ხელმოკლეობა“ - 33.7%, „საკუთარი სახლის უქონლობა“ - 5.7%;

- სოციალური ინფრასტრუქტურის სუსტად განვითარება. მხედველობაში გვაქვს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კანშირგაბმულობის, ტრანსპორტის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (რადიო, ტელევიზია, პრესა), კულტურის და ა.შ. დაწესებულებებით უზრუნველყოფა. სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, რომ საკვლევ ზონაში სკოლების მუშაობით უკმაყოფილოა გამოკითხულთა 23.2%.

საკვლევ რეგონში სამედიცინო დაწესებულებების მუშაობით უკმაყოფილოა 44.7%, პასუხის გაცემა უჭირს

16.4% და კმაყოფილია მხოლოდ 38.7%, უხეირო გზებისა და უტრანსპორტოების გამო, მაღალმთიანი სოფლები (განსაკუთრებით ზამთარში) ხანგრძლივად არიან მოწყვეტილნი რაიონულ ცენტრებს, ამიტომ არცთუ იშვიათია სიკვდილიანობის შემთხვევები სამედიცინო დახმარების დროულად გაუწევლობის შედეგად.

იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუქნციონირების პრობლემები საქართველოში“. სოცილურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტომი VI, თბილისი, 2000.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის აღწარმოების რე- ბირნული თავისებურებანი

მწვავე გლობალურ მოვლენებს შორის, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე კაცობრიობას აღელვებს, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დემოგრაფიულ პროცესებს უჭირავს. თუმცა, ამ პრობლემის შინაარსობრივი დატვირთვა პლანეტის ცალკეული რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. დედამიწის ერთ ნაწილში, მოსახლეობის აღწარმოების მაღალი ტემპები დამატებით საზრუნავს უქმნის არა მარტო იმ რეგიონების ხელისუფალთ, სადაც ასეთი მოვლენები აღინიშნება, არამედ პლანეტის შორეული კონტინენტების ხელისუფლებასაც; მეორე ნაწილში კი, პირიქით, მკვეთრად დაბალი ტემპები ან სულაც დემოპულაცია (მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი კლება) საფრთხეს უქმნის თაობათა განახლების პროცესს.

დასმული პრობლემა, ფაქტობრივი მონაცემების მოშველიებით, უნდა განვიხილოთ ისეთი ძირითადი დემოგრაფიული პორცესების მიხედვით, როგორცაა შობადობა,

მოკედლობა, მოსახლეობის ბუნებრივი მატება, დემოგრაფიული დაბერება და ა.შ.

რეგიონულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების განსხვავებული ტიპების არსებობაზე მიგვანიშნებს, უწინარეს ყოველისა, ის, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს 2000 წლის მონაცემებით, მთელს მსოფლიოში საშუალოდ 22 პრომილეს შეადგენს, მ.შ. განვითარებად რეგიონში 25 პრომილეს, ხოლო განვითარებულში 11 პრომილეს¹. როგორც ჩანს, იგი საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, განვითარებად რეგიონში 13.6%-ით მაღალი, ხოლო განვითარებულში 2-ჯერ დაბალია. აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოშიც თითქმის ასეთივე დაბალია (9%), მიუხედავად იმისა, რომ იგი, უკანასკნელ ათწლეულში შექმნილი არაორდინარული ვითარების გამო, განვითარებად რეგიონს განეკუთვნება.

შობადობის დონე დიფერენცირებულია თვით ცალკეული რეგონების ფარგლებშიც. მაგალითად, აზიაში საშუალოდ 22 პრომილეს შეადგენს, მ.შ. ომანსა და ავღანეთში ყველაზე მაღალს – (43%), ხოლო იაპონიაში – ყველაზე დაბალს – (9%). ასევეა აფრიკაშიც. საშუალომაჩვენებელია – 38 პრომილე, მ.შ. ლიბერიასა და ჩადში ყველაზე მაღალი (50%) და მავრიტანიაში – ყველაზე დაბალი (17%).

პოსტსაბჭოურ სივრცეში ასეთი ვითარებაა: შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 15-23 პრომილეს ფარგლებშია აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში; 9-14 პრომილეს, საქართველოსთან ერთად, არ აღემატება სომხეთში, ბელორუსიაში, ყაზახეთში,

¹ სტატიაში გამოყენებული უახლესი (2000წ) ფაქტობრივი მონაცემები აღებულია წყაროდან: World Population Data Sheet of the Population Reference Bureau. Demographic Data and Estimates for the Countries of the World – 2003.

მოდღოვასა და ლიტვაში. 9 პრომილეზე დაბალია რუსეთში, უკრაინაში, ლატვიასა და ესტონეთში.

შობადობის დონის ესოდენ კონტრასტულობაზე, მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულიდან თანამედროვე ტიპზე რეგიონების, კონტიტენტების, ქვეყნების. არაერთდროულ გადასვლასა და მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, საგრძნობ გავლენას ახდენს რელიგიური ფაქტორიც.

მეტად მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შვილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე). იგი გასულ წელს მსოფლიოში საშუალოდ 2.9 შეადგენდა. მისი დაცემის ტენდენცია ცივილიზაციის თანმხლები საერთო კანონზომიერებაა (მსოფლიოში მართლ 1996-2000 წწ. 4 პრომილით შემცირდა). მიუხედავად ამისა, რეპროდუქტიული ქცევა რეგიონების მიხედვით საკმაოდ კონტრასტულია. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ამჟამად განვითარებულ რეგიონთან შედარებით, განვითარებად რეგიონში ორჯერ და უფრო მეტად მაღალია. იგი ევროპასთან შედარებით მაღალია: ჩრდილოეთ ამერიკაში 1.4-ჯერ, აზიაში 2-ჯერ, ლათინურ ამერიკაში – 2.1-ჯერ, ხოლო აფრიკაში – თითქმის 4-ჯერ. ამ მხრივ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში ასეთი ვითარებაა: მოლდოვაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში თურქმენეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში 1.2-2.8 ფარგლებშია. რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, სომხეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში კი 1.2-1.3-ს არ აღემატება. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი ჯგუფის ქვეყნებში ყოველ 100 ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე შვილთა რაოდენობა 120-130-ს არ აღემატება, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 210-215 ბავშვისა.

სოციოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ განვითარებად ქვეყნებში ქალების საკმაოდ დიდ ნაწილს შვილები გაცილებით მეტი ოდენობით ჰყავთ, ვიდრე სურთ. მაგალითად, კენიაში რეპროდუქტიული ქცევის ასაკში მყოფ ქალებს სურდათ ჰყოლოდათ საშუალოდ 4.2 ბავშვი, სინამდვილეში ჰყავთ 6.5; ეგვიპტეში ქალების სურვილი იყო – 2.3 ბავშვი, ფაქტობრივად ჰყავთ 4.5. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ქვეყნებში თითქმის არ ხდება ბავშვთა შობის შიგა ოჯახური რეგულირება და ამ მიზნით კონტრაცეპტივების გამოყენება. იქ, სადაც კონტრაცეპტივები ფართო მასშტაბით გამოიყენება, შობადობა, როგორც წესი, დაბალია. ასე, მაგალითად, იტალიაში გათხოვილი ქალების 91% იყენებს კონტრაცეპტივებს, ამიტომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 9 პრომილეს არ აღემატება. შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენს: გერმანიაში 85 და 9, საფრანგეთში – 75 და 13, რუსეთში – 67 და 8 და ა.შ.

პოსტსაბჭოური სივრცის ცალკეულ ქვეყნებში შეიღთა სასურველ და რეალურად მოსალოდენლ რიცხოვნობას შორის თანაფარდობის მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ხურათი შეინიშნება, მაგალითად, საქართველოში ოჯახში საშუალოდ, შეიღთა სასურველ ოდენობასთან შედარებით, ფაქტიური რიცხოვნობა ერთი ბავშვით ნაკლებია, რომლის ძირითად მიზეზად რესპონდენტები ცხოვრების მძიმე პირობებს ასახელებენ.

მოსახლეობის აღწარმოების მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოკვდაობა, ცივილიზაციის მეოხებით (სამედიცინო მეცნიერების განვითარება და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა, ეპიდემიების დაძლევა, მსოფლიო ომების თავიდან აცილება და ა.შ.). იგი ყველგან, როგორც წესი, შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მისი დონე რეგიონების მიხედვით საკმაოდ დიფერენცირებულია: განვითარებულ რეგიონში

შეადგენს 10 პრომილეს, ხოლო განვითარებადში – 9 პრომილეს (მ.შ. აფრიკაში – 14, აზიაში – 8, ჩრდილოეთ ამერიკაში – 9, ლათინურ ამერიკაში – 6, ხოლო ევროპაში – 11 პრომილეს).

განვითარებულ ქვეყნებში მისი ძირითადი მიზეზებია დეფორმირებული ასაკობრივი სტრუქტურა, ეკოლოგიური კრიზისი და ნეგატიური სოციალური მოვლენები (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა და ა.შ.). განვითარებად ქვეყნებში კი – სუსტი სამედიცინო მომსახურება და მატერიალური ცხოვრების დაბალი დონე. გაეროს მონაცემებით, მთელ მოსფლიოში სიღატაკეში ცხოვრობს 1 მლრდ. ადამიანი, არასაკმარისად იკვებება დაახლოებით 500 მლნ, ხოლო შიმშილსაგან ყოველწლიურად იხოცება 12.7 მლნ-ზე მეტი ადამიანი¹.

პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებიდან მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში 11-15 პრომილეს აღწევს, მოლოდავაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში კი 10 პრომილეზე დაბალია.

უფრო მკვეთრადია დიფერენცირებული ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებლები: 2000 წელს ყოველ ათას ცოცხლადშობილზე ერთ წლამდე ასაკში გარდაიცვალა განვითარებულ რეგიონში 8 (მ.შ. ევროპაში 9 და ჩრდილოეთ ამერიკაში 7), ხოლო განვითარებად რეგიონში – 63 (მ.შ. აფრიკაში 88) ბავშვი.

პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებიდან ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი შეადგენს: ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში 9-11 პრომილეს; რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში – 12-17 პრომილეს; თურქმენეთში კი 33 პრომილეს, რაც მნიშვნელოვანი რეზერვების არსებობაზე მიგვანიშნებს.

¹ იხ. Копылов В.А. География населения М., 1999, с. 20.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მაჩვენებელი არ აღემატება: სინგაპურში – 3.2, შვედეთსა და იაპონიაში – 3.5, გერმანიაში – 4.7, საფრანგეთში – 4.8-ს და ა.შ.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლთა შეჯერება იძლევა წარმოდგენას მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე. როცა შობადობა აღემატება მოკვდაობას, როგორც წესი, ადგილი აქვს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. მათი თანხვედრისას მიიღწევა მარტივი აღწარმოება. მაშინ კი, როცა მეტი კვდება, ვიდრე იბადება, გარდაუვალია დემოპულაცია ანუ მოსახლეობის ბუნებრივი, აბსოლუტური კლება. როგორი ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს პლანეტაზე?

2000 წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მსოფლიოში საშუალოდ 13 პრომილეს შეადგენდა. მ.შ. განვითარებად რეგიონში 16 პრომილეს (კერძოდ, აფრიკაში 24 პრომილეს), ხოლო განვითარებულ რეგიონში – 11 პრომილეს (კერძოდ, ევროპაში – მინუს 1 პრომილეს). მოსახლეობის ზრდის ტემპები რეგიონების მიხედვით ასეთ კონტრასტულ სურათს იძლევა (2000 წლის მონაცემებით): აფრიკა – 2.4%, აზია და ლათინური ამერიკა – 1.7%, ჩრდილოეთ ამერიკა 0.6%, ხოლო ევროპა – მინუს 0.1%.

პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებიდან აშკარად გამოხატული დემოპულაციაა რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში. მოსახლეობის ოდნავი ბუნებრივი მატება – ყაზახეთში, სომხეთში, მოლდოვასა და საქართველოში, ხოლო უფრო სოლიდური მატება – უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში.

აღწარმოების დღევანელი ტემპების გათვალისწინებით, მოსახლეობის გაორკეცებისათვის მსოფლიოს განვითარებად რეგიონს მხოლოდ 42 წელი დასჭირდება (მ.შ. ცენტრალურ აფრიკას – 23 და დასავლეთ აფრიკას – 25 წელი), განვითარებულს კი – 809 წელი (მ.შ. სამხრეთ ევ-

როპას – 2121 წელი). იმ ქვეყნების მოსახლეობას კი, სადაც ქრონიკული ხასიათი აქვს დემოპულაციას, თუ რადიკალურად არ შეიცვალა ვითარება, შორულ პერსპექტივაში გადაშენება ემუქრება.

სპეციალისტთა პროგნოზით, მსოფლიოს მოსახლეობა 2000-2025 წწ. 28.7%-ით გაიზრდება და 7.8 მლრდ-ს მიღწევს, 2050 წლისათვის კი 9 მლრდ-ს გადააჭარბებს. იგი სხვაზე უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება აფრიკაში. საშუალო ტემპით – ლათინურ ამერიკასა და აზიაში, დაბალი ტემპით – ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში კი შემცირდება 14 მლნ კაცით 2025 წლისათვის და 70 მლნ. კაცით 2050 წლისათვის (2000 წელთან შედარებით). ამის შედეგად, ნახევარი საუკუნის მანძილზე აფრიკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 13.2-დან 20%-მდე გაიზრდება, ხოლო ევროპისა – 12-დან 7%-მდე შემცირდება და კიდევ უფრო გაღრმავდება რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ისედაც არათანაბარზომიერი გაადგილება.

თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი დილემა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაა. 2000 წლისათვის 65 წლისა და უროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა: მსოფლიოში საშუალოდ 7%-ს, მ.შ. დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში – 16%-ს და ჩრდილოეთ ევროპაში – 15%-ს, მაშინ როდესაც გაეროს ექტსპერტთა კლასიფიკაციით, დაბერების ზღვრად 7% ითვლება¹. მსოფლიოში დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებული ქვეყნებია იტალია, იაპონია, საბერძნეთი, შვედეთი და ბელგია (17%), შემდეგ – საფრანგეთი, გერმანია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი (16%).

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან დემოგრაფიული დაბერების ზღვარზე (4-6%) იმყოფებიან: აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და თურქმენეთი; სიბერის საწყის სტადიაზე (7-9%) არიან – ყაზახეთი, სომხეთი და

¹ იხ. демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 117.

მოლდოვა; ხოლო სიბერის შედარებით მაღალი დონით (11-14 %) გამოირჩევიან საქართველო, რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია: დაბალი შობადობა („დაბერება ქვემოდან“) და ხანდაზმულთა სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა („დაბერება ზემოდან“). განვითარებულ რეგიონში შობადობის დაბალ მაჩვენებელზე უკვე აღვნიშნეთ, რაც შეეხება სიცოცხლის ხანგრძლივობას, იგი ამ რეგიონში 75 წელს შეადგენს. მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს იაპონიას (81 წელი, მ.შ. ქალებისა – 84 წელი). მომდევნო ადგილებზე არიან: შვედეთი კანადა, ავსტრალია (79 წელი); საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ავსტრია, ნორვეგია, ბელგია (78 წელი). რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა მსოფლიოს განვითარებად რეგიონში, სადაც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 80.5%. იგი დემოგრაფიულად ახალგაზრდაა (5%). კერძოდ, აფრიკაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 3%-ს არ აღემატება. არიან ამ მხრივ კიდევ უფრო გამორჩეული ქვეყნები. მაგალითად, კუვეიტი დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ს შეადგენს, ანუ სრულიად ახალგაზრდაა.

ეს, მაღალ შობადობასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად სიცოცხლის შედარებით ხანმოკლეობით აიხსნება. იგი შეადგენს აღმოსავლეთ აფრიკაში 46 წელს, ცენტრალურ აფრიკაში – 49, დასავლეთ აფრიკაში – 50, სამხრეთ აფრიკაში – 54 წელს. არიან ამ მხრივ კიდევ უფრო გამორჩეული ქვეყნები. მაგალითად, სიერა-ლეონეში ეს მაჩვენებელი 35 წელს არ აღემატება.

პროგნოზული მონაცემებით დადგენილია, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოში განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული, მა-

გრამ მდიდარი (მაღალი პენსია, ცხოვრების კომფორტული პირობები და ა.შ.), განვითარებადი ქვეყნების უმრავლობა კი – დემოგრაფიულად ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი. დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა დემოგრაფიულად შედარებით ახალგაზრდა და მდიდარი. მაგალითად, სინგაპურში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა არ აღემატება 7%-ს და ამავდროს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 30 ათასზე მეტი დოლარის მთლიანი ეროვნული პროდუქტი იწარმოება.

პოსტსაბჭოური სიერცის ქვეყნების უმრავლესობა ვარდება ამ კონტექსტიდან, რამდენადაც ისინი უკვე არიან დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს დარჩებიან ღარიბებად.

დემოგრაფიული დაბერების ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია:

– დემოსტურქტურის დეფორმაცია და თაობათა განახლების პროცესის დარღვევა, რომელსაც თან სდევს დეკოპულაცია, ერების გადაშენების საშიშროება, შრომითი რესურსების ბალანსის დაძაბვა;

– შრომისუნარიანთა (განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის ამადლება, რაც ძაბავს თაობათა შორის ურთიერთობას და ქმნის ნოყიერ ნიადაგს მათ შორის დაპირისპირებისათვის;

ცნობილი სპეციალისტის ე. როსეტის მიერ შემოთავაზებული შკალით თუ შევაფასებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობა შრომისუნარიანთა „საშუალო სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის“ ქვედა ზღვარზე იმყოფება, ხოლო ფაქტობრივად დასაქმებულთა დატვირთვა ბევრად აღემატება „ძლიერ დიდი დატვირთვის“ ქვედა ზღვარს. თანაც, შეინიშნება შრომისუნარიანთა სოციალურ-დემოგრაფიულ დატვირთვაში 16

წლამდე ასაკის ბავშვთა ხვედრითი წონის თანდათობით შემცირებისა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის გადიდების ნეგატიური ტენდენცია;

- დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვის დონის ამაღლება. მომუშავეთა ეკონომიკური დატვირთვის მაღალი ტემპებით ზრდას განსაზღვრავს არა მარტო ის, რომ სისტემატურად მატულობს პენსიონერთა რიცხოვნობა და ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, არამედ ისიც, რომ ასევე განუხრელად იზრდება მათი მოთხოვნილება (თანაც სპეციფიკური), გამოხატული როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ პარამეტრებში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში 75 წლის ხანდაზმულის სამედიცინო მომსახურება 10-ჯერ მეტი ჯდება, ვიდრე 40 წლის ასაკის პაციენტისა. აი, რატომ თვლიან სიბერეს ძვირად ღირებულ ფენომენად.

დედამიწის მოსახლეობის აღწარმოების ზემოაღნიშნული რეგიონული თავისებურებანი იმაზე მიგვანიშნებს, რომ არა მარტო მიზნაშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა დიფერენცირებული სახელმწიფო დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გატარება.

იხ. უურნ. „მაკრო- მიკრო ეკონომიკა“, 2001, № 5.

მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებანი საქართველოსა და აზერბაიჯანში

მოსახლეობის აღწარმოების პროცესი აზერბაიჯანსა და საქართველოში ხასიათდება როგორც საერთო კანონზომიერებით, ისე ცალკეული თავისებურებებით. საერთო კანონზომიერებაა მოსახლეობის ბუნებრივი მატების მკვეთრი დაცემა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესება, მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური ტენდენციების თანდათანობით დამკვიდრება. თავისებურებათა შორის კი აღსანიშნავია თითოეულ მათგანში განსხვავებული რეპროდუქტიული ქცევა და ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებელთა გარკვეული კონტრასტულობა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს უკანასკნელი პერიოდის ფაქტობრივი მონაცემების მეცნიერული ანალიზი და მიღებული შედეგების განზოგადება.

უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ მოსახლეობის აღწარმოების რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – შობადობა. იგი, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, 1990 წელს შეადგენდა აზერბაიჯანში 26,3 და საქართველოში – 17¹, 2003 წელს კი, შესაბამისად, 14 და 9².

აშკარად შეიმჩნევა შობადობის არა მარტო დაცემის ტენდენცია, არამედ მისი დონის ერთგვარი გამოთანაბრებაც. თუმცა, სხვაობა ჯერ კიდევ სოლიდურია. რით შეიძლება აიხსნას ეს? – პირველ რიგში, აღწარმოების ტრადიციულიდან თანამედროვე ტიპზე სამხრეთ კავკასიის ამ დასახელებული ქვეყნების არაერთდროული გადასვლით. მხედველობაში გვაქვს მთელი რიგი სოციალური მოვლე-

¹ Содружество независимых государств в 1996 году. Статистический ежегодник, М., с. 14.

² სტატიაში გამოყენებული უახლესი (2000წ) დემოგრაფიული მონაცემები აღებულია წყაროდან: World Population Data Sheet of the Population Reference Bureau. Demographic Data and Estimates for the Countries of the World – 2003.

ნების (ქალთა განათლების, კულტურისა და დასაქმების ღონის მნიშვნელოვანი ამაღლება, ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები და ა. შ.) გათვალისწინებით, ოჯახში შეიღებზე მოთხოვნილების შეზღუდვა და ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება, რომელიც ჩასახვის სრულყოფილი საშუალებების (კონტრაცეპტივები) გამოყენებით შედარებით ადვილად მიიღწევა. დემოგრაფიული გადასვლა, ანუ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრება საქართველოში თითქმის ერთი საუკუნით ადრე დაიწყო, ვინემ აზერბაიჯანში. ამასვე ადასტურებს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების (284, 7 ათ. კაცი) ქართული ეთნოსისაგან განსხვავებული რეპროდუქტიული ქცევა. 2001 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქართველებში შეადგენდა 12.7 პრომილეს, აზერბაიჯანელებში კი – 18.0 პრომილეს¹ (1989 წელს, შესაბამისად, 16.1 და 28,7). ეროვნულ ჭრილში შობადობის მაჩვენებელთა ესოდენ კონტრასტულობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორიც. როგორც ირკვევა, მართმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან შედარებით, ისლამი უფრო მეტად შთააგონებს პოტენციალურ დედას, რომ ორსულობის თავიდან აცილება, მით უმეტეს, მისი ხელოვნურად შეწყვეტა დიდი ცოდვაა, ამიტომ მათგან თავი უნდა შეიკავოს.

ფრიად მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შვილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე). მისი შემცირების ტენდენცია კაცობრიობის ცივილიზაციის თანმდევნი საერთო კანონზომიერებაა. ამ მხრივ გამონაკლისს არც აზერბაიჯანი და საქართველო წარმოადგენენ, თუმცა მათი აბსოლუტური სიდიდეები

¹ გ. წულაძე ნ. მაღლაფერიძე ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული – 2000. თბილისი, 2001, გვ. 100.

ჯერ კიდევ საკმაოდ განსხვავებულია. მსოფლიოს მოსახლეობის (ვაშინგტონი) ბიუროს გათვლებით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2003 წელს შეადგენდა: აზერბაიჯანში 1.9 (ანუ 190 ბავშვს ყოველ 100 ქალზე), ხოლო საქართველოში – 1.1-ს (ანუ 110 ბავშვს ყოველ 100 ქალზე), მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 2.1-ისა (ანუ საშუალოდ 210 ბავშვისა ყოველ 100 ქალზე).

გამოდის, რომ დღევანდელი ტემპებით თუ ვიმსჯელებთ, არა მარტო საქართველოს, არამედ თვალსაწიერ პერსპექტივაში აზერბაიჯანსაც არ ძალუძს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების უზრუნველყოფა, რაც ამთავითვე ქმედითი ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე მიგვანიშნებს.

როგორც ცნობილია, მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში ქალთა საკმაოდ დიდ ნაწილს შეილება გაცილებით მეტი ოდენობით ჰყავს, ვინემ სურს. ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ არაა დამკვიდრებული მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, ამიტომ თითქმის არ ხდება ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება და ამ მიზნით კონტრაცეპტივების გამოყენება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, ჯერჯერობით ამას აზერბაიჯანზე ვერ ვიტყვით, მაგრამ საქართველოში შეილთა სასურველ და რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას შორის თანაფარდობის მხრივ სრულიად საწინააღმდეგო სურათი შეინიშნება. ამჟამად აქ ოჯახში საშუალოდ, შეილთა სასურველ ოდენობასთან შედარებით, ფაქტიურად მოსალოდნელი რიცხოვნობა თითქმის ერთი ბავშვით ნაკლებია (ვთქვათ, ოჯახს სურს სამი ბავშვის ყოლა, მაგრამ ორის მეტის ყოლას არ აპირებს), რომლის ძირითად მიზეზად რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ასახე-

ლებს (ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, თანაც სულ უფრო მატულობს სიღარიბის სიღრმე და ინტენსივობა).

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების ტემპების განმსაზღვრელია მოკვდაობა. კაცობრიობის განვითარების კვალობაზე, ამ მაჩვენებელმა კლების მიმართულებით არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა. სამხრეთ კავკასიაში იგი ტრადიციულად დაბალი იყო როგორც ევროპის, ისე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. ეს თანაფარდობა არსებითად არც დღეისთვისაა შეცვლილი. 2003 წლის მონაცემებით, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი რეგიონში საშუალოდ არ აღემატება 7.7 პრომილეს, მ. შ. აზერბაიჯანში 6 და საქართველოში 9 პრომილეს. შედარებისათვის; იგი შეადგენს მსოფლიოში საშუალოდ 9 პრომილეს, მ.შ. აზიაში – 7, ჩრდილოეთ ამერიკაში – 8, ევროპაში – 12, ხოლო აფრიკაში – 14 პრომილეს.

განვითარებად რეგიონში მოკვდაობის მაღალი დონის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის მთავარია დაბალი სამედიცინო მომსახურება და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, განვითარებულ რეგიონში კი – მოსახლეობის დეფორმირებული ასაკობრივი სტრუქტურა, ეკოლოგიური კრიზისი და ნეგატიური სოციალური მოვლენები (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა, ეთნოკონფლიქტები და ა.შ.).

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებლს ჩვილთა (1 წლამდე ასაკის ბავშვთა) მოკვდაობა წარმოადგენს. როგორია ამ მხრივ არსებული მდგომარეობა აზერბაიჯანსა და საქართველოში? – 2003 წელს ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე 1 წლამდე ასაკში გარდაიცვალა: აზერბაიჯანში 13 და საქართველოში – 15. ეს ბევრია თუ ცოტა? ზოგიერთი რეგიონის მიმართ ცო-

ტაა, ზოგიერთის მიმართ კი – ბევრი. შედარებისათვის: 2003 წელს ყოველი 1000 ცოცხლად დაბადებულიდან 1 წლამდე ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში საშუალოდ 55 ბავშვი, მ.შ. განვითარებად რეგიონში – 61, ხოლო განვითარებულში – 7. ეს მაჩვენებელი ყველაზე უფრო მაღალია აფრიკაში (88%), შემდეგ აზიაში (54%), ლათინურ ამერიკაში (29%), ხოლო შედარებით დაბალი – ევროპასა (8%) და ჩრდილოეთ ამერიკაში (7%). ცალკეული ქვეყნებიდან იგი ყველაზე უფრო დაბალია სინგაპურში (2.5%), იაპონიაში (3.0%), ფინეთში (3.2%), ესპანეთში (3.5%), საფრანგეთში (4.2%), გერმანიაში (4.3%), ავსტრიაში (4.8%), რაც აზერბაიჯანსა და საქართველოში ამ მიმართულებით ვითარების გაუმჯობესების უზარმაზარი გამოუყენებელი რეზერვების არსებობაზე მიგვანიშნებს.

შობადობისა და მოკვდაობის თანაფარდობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ბუნებრივი მატება. თუ შობადობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღემატება მოკვდაობას, როგორც წესი, გარანტირებულია მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება და პირიქით, თუ მეტი კვდება, ვინემ იბადება, სხვა თანაბარ პირობებში, გარდუვალია დეპოპულაცია – მოსახლეობის ბუნებრივი აბსოლუტური კლება. იმის გამო, რომ უკანასკნელ პერიოდში აზერბაიჯანსა და საქართველოში მკვეთრად შემცირდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, ხოლო მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს თითქმის არ განუცდია ცლილება, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები სერიოზული დაცემით ხასიათდებოდა. 2003 წელს, 1990 წელთან შედარებით, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, იგი შემცირდა: აზერბაიჯანში 20.2-დან 8 პრომილემდე, ხოლო საქართველოში – 8.6 პრომილიდან ნულამდე.

აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარების უკეთ გაცნობიერების მიზნით, თვალი გადავაავლოთ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის მონა-

ცემებს. გასულ (2003) წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, შეადგენდა: მთელს მსოფლიოში საშუალოდ 13 ადამიანს, მ.შ. განვითარებად რეგიონში – 16-ს, ხოლო განვითარებულში – მხოლოდ 1-ს, რაც მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა განსჯისათვის.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების ეთნიკურ ჭრილში განხილვა ცხადყოფს, რომ საქართველოში იგი, ქართულ მოსახლეობასთან შედარებით, მაღალია აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. მაგალითად, სპეციალისტთა ექსპერტული შეფასებით¹, 2001 წელს, ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატებოდა 0.6 პრომილეს, მაშინ როცა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 10.2 პრომილეს, ანუ 17-ჯერ მეტს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აზერბაიჯანელთა ბუნებრივი მატების ტემპები საქართველოში მნიშვნელოვნად მაღალია, ვინემ მათ ისტორიულ სამშობლოში? – არა, არ ნიშნავს. მათი რეპროდუქტიული ქცევა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ თითქმის ერთნაირია. ამაში შეიძლება ადვილად დავწრმუნდეთ ფაქტობრივი მონაცემების ურთიერთ შედარებით. მაგალითად, 2003 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის ბუნებრივი მატებამ აზერბაიჯანში 8 პრომილე შეადგინა, საქართველოში კი მატებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი.

აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, საქართველოში მწვევედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. ამაზე მოწმობს ბავშვთა დაბადების რიგითობის მაჩვენებლებიც. ასე, მაგალითად, 1998 წელს მესამე და მომდევნო შვილთა ხვედრითი წონა ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა საერთო

¹ გ. წულაძე ნ. მაღლაფერიძე ა. ვადაჭორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2001. თბილისი, 2002, გვ. 162.

რიცხოვნობაში შეადგენდა: აზერბაიჯანში 24.6%, საქართველოში კი – 15.6%, რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიუთითებს. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ 2003 წელს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გამოავლინა, რესპონდენტთა 1% ერთ შვილს მიიჩნევს ოჯახში ბაეშეთა სასურველ რაოდენობად, 20% – ორს, 52% – სამს და მხოლოდ 27% – სამ შვილზე მეტს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, ძირითადად გაუსაძლისი სოციალური პირობების გამო, არცთუ იშვიათად (მეტწილად აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა და დევნილთა შორის) განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება თვით პირველი შვილის გაჩენისა და შეუღლების აქტისაც კი, რომლის სავალალო შედეგები უფრო მეტად იჩენს თავს მომავალში, კერძოდ მაშინ, როდესაც ახალშობილი თაობა ფერტილურ ასაკს მიაღწევს.

საქართველოსთან ერთად, აზერბაიჯანშიც დემოგრაფიული პროცესების ნეგატიურ ტენდენციებზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებაც. იგი 1996 წელს, 1990 წელთან შედარებით, შემცირდა: აზერბაიჯანში 10.5-დან 5.1 პრომილემდე, ხოლო საქართველოში – 6.7-დან 3.6 პრომილემდე, ანუ თითქმის 2-ჯერ. რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში ერთ პრომილეზე დაბალია, რაც ოჯახების შედარებით სიმტიკიცეზე მეტყველებს.

ქორწინებასა და განქორწინებასთან მრავალი დემოგრაფიული პროცესია დაკავშირებული. სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დაუქორწინებელი მამაკაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი მამაკაცების მოკვდაობას, მაშინ როცა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში

სხვაობა უმნიშვნელოა. ეს იმით აიხსნება, რომ გაუთხოვარი ქალები უფრო ახერხებენ თავიანთი თავის მოვლას, ვინემ დაუოჯახებელი მამაკაცები.

გამოკველევებმა გამოავლინეს კიდევ ერთი კანონზომიერება. ქერივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქორწინებაში მყოფი, ისე ქორწინებაში არასოდეს მყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო ნათლად შეიმჩნევა ისევ მამაკაცებში.

მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს პროგნოზული გათვლებით მიღებული შედეგები ასეთია: 2003-2050 წწ. მოსახლეობის რიცხოვნობა აზერბაიჯანში გაიზრდება 41.4%-ით და მიაღწევს 11.6 მილიონს, საქართველოში კი შემცირდება 2.1 მლნ. კაცით და დავა 2.6 მლნ-მდე. ამის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მნიშვნელოვნად შეიცვლება ქვეყნებს შორის თანაფარდობა: სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანის ხვედრითი წონა ამალდება 66%-მდე, საქართველოსი კი 15%-მდე შემცირდება, მაშინ როდესაც 1960 წელს აზერბაიჯანზე მოდიოდა 39.2%, ხოლო საქართველოზე – 42.2%¹.

დემოგრაფიულ პროცესებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას დემოგრაფიული დაბერება იქცევს. მას სავსებით კანონზომიერად მიიჩნევენ თანამედროვეობის ერთ-ერთ მთავარ დილემად. გაეროს ექსპერტთა კლასიფიკაციით შემოთავაზებულია სამსაფეხურიანი სკალა: 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში თუ 4%-ზე დაბალია, იგი ითვლება ახალგაზრდად, 4-დან 7%-მდე – სიბერის ზღვარზე მყოფად, 7%-ზე ზემოთ კი – დაბერებულად.

მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს 2003 წლის მონაცემებით, ამჟამად აზერბაიჯანი იმყოფება დემოგრაფიული დაბერების ზღვარზე (6%), საქართველო კი (14%) დემოგრაფიულად გადაბერებულ სახელმწიფოთა რიცხვს მი-

¹ Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 113.

ეკუთვნება. ამ პროცესის განმსაზღვრელია, ერთი მხრივ, დაბალი შობადობა და მეორე მხრივ, მოსალოდნელი სოცოცხლის შედარებით მაღალი ხანგრძლივობა.

შობადობის მაჩვენებლის კლების შესახებ ფაქტობრივი მონაცემები ზემოთ უკვე დავასახელეთ. რაც შეეხება მოსალოდნელი სოცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, იგი შეადგენს აზერბაიჯანში 72 და საქართველოში – 71,5 წელს, მაშინ როდესაც მსოფლიოს განვითარებად რეგიონში 65 წელს (მ.შ. აღმოსავლეთ აფრიკაში – 44 წელს) არ აღემატება. მაღალ შობადობასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მსოფლიოს განვითარებადი რეგიონი დემოგრაფიულად ძირითადად ახალგაზრდაა. მის მოსახლეობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 5%-ს არ აღემატება.

საერთო კანონზომიერებაა ის, რომ ქალები გაცილებით მეტ ხანს ცოცხლობენ, ვინემ მამაკაცები. სხვაობა აზერბაიჯანში 6, ხოლო საქართველოში 5 წელს შეადგენს. დადგენილია, რომ ყოველ 100 ჩასახულ გოგონაზე მოდის დაახლოებით 125-130 ჩასახული ვაჟი, ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე კი 105-106 ვაჟი. მათი რიცხოვნობა თანაბრდება სქესობრივი მოწიფულობის ასაკისათვის. მომდევნო ეტაპებზე თანაფარდობა უფრო ინტენსიურად იცვლება და 70 წლის ასაკში ყოველ 100 ქალზე მხოლოდ 50 მამაკაცი მოდის, რამდენადაც ალბათობა 60 წლამდე სიცოცხლის შენარჩუნებისა აქვს მამაკაცთა დაახლოებით 85%-ს. ეს უადრესად საინგტერესო, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელ საკითხთა წრეს განეკუთვნება, რაც სპეციალურ მეცნიერულ კვლევას საჭიროებს.

რამდენადმე კოტრასტულია მთელ მოსახლეობაში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის მაჩვენებელიც. იგი, შობადობის ჯერ კიდევ შედარებით მაღალი

დონის შედეგად, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება აზერბაიჯანში (24%) და ფრიად მოკრძალებულად საქართველოში (20%).

პროგნოზული გათვლებით დადგენილია, რომ თავალსაწიერ პერსპექტივაში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული, მაგრამ მდიდარი (მაღალი პენსია, ცხოვრების კომფორტული პირობები და ა.შ.), განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა კი – დემოგრაფიულად ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი.

აზერბაიჯანისა და საქართველოს მდგომარეობა არცერთ ამ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. აზერბაიჯანისა იმიტომ, რომ იგი დემოგრაფიული სიბერის ზღვარზე იმყოფება, მაგრამ ვერ ჩაეთვლით (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც) სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მდიდარ ქვეყნად (2001 წელს მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით აქ წარმოებულ იქნა სულ 2.9 ათ. დოლარის მთლიანი ეროვნული პროდუქტი). წინასწარ არც იმის თქმა შეგვიძლია, თუ როდის გახდება ასეთი, თუმცა მას საიმისო საკმარისი წარმოებრივი პოტენციალი აქვს. რაც შეეხება საქართველოს, როგორც აღვნიშნეთ, იგი უკვე იმყოფება დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ღარიბ ქვეყნად (2001 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე საშუალოდ მოდიოდა: საქართველოში 2.5, აშშში – 34.2, იაპონიაში – 25.5, გერმანიაში – 25.2 ათ. დოლარი).

მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, საქართველოსთვის (ნაწილობრივ ასევე აზერბაიჯანისათვის, ყოველ შემთხვევაში, შორეულ პერსპექტივაში) დამახასიათებელი ტენდენციების ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია:

– დემოსტრუქტურის დეფორმაცია, თაობათა განახლების პროცესის დარღვევა, დეპოპულაცია და ერების გადაშენების სასიშროება;

– სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით ქართული ეთნოსის) ხვედრითი წონის თანდათანობით შემცირება;

– დასაქმებულ შრომისუარიანთა სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის მკვეთრად ამაღლება, რაც ძაბავს თაობათა შორის ურთიერთობას და ქმნის ნოყიერ ნიადაგს მათ შორის დაპრისპირებისათვის. თანაც, შეინიშნება მომუშავეთა სოციალურ-დემოგრაფიულ დატვირთვაში 16 წლამდე ასაკის ბავშვთა ხვედრითი წონის თანდათანობით შემცირებისა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის გადიდების ნეგატიური ტენდენცია;

– დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვის დონის ამაღლება. ამას აპირობებს არა მარტო ის, რომ სისტემატურად მატულობას პენსიონერთა რიცხოვნობა და ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, არამედ ისიც, რომ განუხრელად იზრდება მათი მოთხოვნილება (თანაც სპეციფიკური), გამოხატული როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ პარამეტრებში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ჩატარებული დაკვირვებით, 75 წლის მოხუცის სამედიცინო მომსახურება თითქმის 10-ჯერ მეტი ჯდება, ვიდრე 40 წლის ასაკის პაციენტისა. აი, რატომ თვლიან სიბერეს ძვირად ღირებულ ფენომენად;

– შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარე მიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გადიდება.

აღნიშნულ და სხვა ანალოგიური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეჩერებასა და თანდათანობით დაძლევაში თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული ტრა-

დიციების, ადათ-წესების, რელიგიური რწმენის და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, მეცნიერულად შემუშავებული აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის განხორციელებას.

იხ. უურნ. „ეკონომიკა“, 2004, № 5-6.

მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში

სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ხასიათდება ნეგატიური ტენდენციებით და საჭიროებს მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველსაყოფად წარმართვას. დემოგრაფიული პროცესები ხორციელდება მოსახლეობის აღწარმოებაზე მთელი რიგი ბერკეტების პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) ზემოქმედებით. ასეთი ბერკეტები, ჩვეულებრივ, სიციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური ხასიათისაა, რომელთაც ძალუძთ დამკვიდრებულ დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება მიმართული იყოს მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდებისა და მათი აღწარმოების პროცესების გაცხოველებისაკენ ან, გამრავლების შეზღუდვის გზით, გადამეტმოსახლეობის (შეფარდებითი ჭარმოსახლეობის) პრობლემის შერბილებისაკენ. ცხადია, პირველი მათგანის აუცილებლობაა იქ, სადაც დემოპულაცია (ანუ, როგორც მას უწო-

დებენ, „დეპოპულაციის ბომბი“) სახეზეა ან მისი რეალური საშიშროება მოახლოებულია, ხოლო მეორისა – იქ, სადაც მოსახლეობის ზდის ტემპები საგრძნობლად უსწრებს საარსებო საშუალებათა ზრდის ტემპებს და მოსახლეობის ე.წ. ჭარბწარმოებას („გადამეტმოსახლეობის ბომბს“) თან სდევს რიგი სოციალური (და არა მარტო სოციალური) პრობლემებისა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო იმ სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც (თუმცა შორეულ მომავალში) თავიანთი გენოფონდის გადაშენების საშიშროება ემუქრებათ. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს მისი დღევანდელი მწვავე დემოგრაფიული ვითარებიდან, მოსახლეობის აღწარმოების მკვეთრად გამოხატული ტენდენციებიდან, რომელმაც უკანასკნელ ხანებში აშკარა დემოგრაფიული კრიზისის ხასიათი მიიღო. მისი ძირითადი მახასიათებლებია: შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, ყოველწლიურად გარდაცვლილთა რიცხოვნობის გადამეტება დაბადებულთა რიცხოვნობაზე, რომელსაც, დემოგრაფიულ ენაზე, დეპოპულაციას უწოდებენ.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვალი გადავაგვლოთ შობადობის დინამიკას. საქართველოში მოსახლეობის ყოველ ათას სულზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ 35-დან 40-მდე ბავშვი იბადებოდა. 1913 წელს დაიბადა 28, 1960 წელს – 24.7, 1990 წელს – 17, ხოლო 2000 წელს – 8.9.

შობადობის მხრივ საქართველოზე უარესი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოს მხოლოდ 5 ქვეყანას (რუსეთი, უკრაინა, ესტონეთი, ლატვია, ბულგარეთი).

მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (შვილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერ-

ტილური ასაკის მთელ მანძილზე). ეს მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა: 1960 წელს 2.59-ს, ხოლო 2002 წელს – 1.1-ს. ე.ი. ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით, ბავშვთა რაოდენობა 259-დან 110-მდე შემცირდა, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 210 ბავშვისა.

მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს 2003 წლის მონაცემებით¹, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მთელ მსოფლიოში ყველაზე დაბალი (1.1) მხოლოდ უკრაინასა და საქართველოშია.

საქართველოში დაიბადა: 1960 წელს 102.8 ათ., ხოლო 2001 წელს 40 ათ. ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა მაშინ თითქმის ერთი მილიონით ნაკლები იყო, ვინემ XXI საუკუნის დასაწყისისათვის.

დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპებისაგან განსხვავებით, ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 53.5% მოდის პირველ შვილზე, 31.9%

მეორე შვილზე და მხოლოდ 14.6% – მესამე და მომდევნო შვილებზე², რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს.

როგორც ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, მაგრამ სასურველი – კი. დღეისათვის, ფრიად სამწუხაროდ, ვერც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს არა მარტო გაფართოებულ, არამედ მარტივ აღ-

¹ მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მონაცემები სტატიაში მოტანილია წყაროდან: World Population Data Sheet of the Population Reference Bureau. Demographic Data and Estimates for the Countries of the World – 2003.

² გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2004, გვ. 39.

წარმოებასაც. როგორც ჩანს, მოხდა ოჯახში შეიღებზე მოთხოვნილების ერთგვარი გაუფასურება (დეველვაცია).

კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ არცთუ იშვიათად (მეტწილად ლტოლვილთა და დევნილთა შორის) განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება თვით პირველი შეიღის გაჩენისა და შეუღლების აქტისაც კი, რომლის სავალალო შედეგები უფრო თვალსაჩინო გახდება მომავალში, კერძოდ მაშინ, როდესაც ამჟამად ახალშობილი თაობა ფერტილურ ასაკს მიაღწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შესამჩნევად მაღალია როგორც საერთოდ დაუქორწინებელ, ისე გვიან დაქორწინებულთა ხვედრითი წონა. ასე მაგალითად, გასული საუკუნის უკანასაკნელი წლების მონაცემებით, არცერთხელ არ ყოფილა დაქორწინებული ფერტილური ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 25%, თანაც, ეს მაჩვენებელი სისტემატურად იზრდება. ამასთან ერთად, ქვეყნის მასშტაბით დაქვრივებულია 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 10%-მდე. ეს მაჩვენებელი ცნობილ გარემოებათა გამო, საშუალოდ უფრო მაღალია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დევნილ და ლტოლვილ მოსახლეობაში.

დაუქორწინებლთა და დაქვრივებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს როგორც შობადობის, ისე მოსახლეობის აღწარმოების სხვა მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით მოკვდაობაზე. პროფ. მ. ხმალაძე ოჯახური მდგომარეობის მიხედვით მოკვდაობის საკითხის გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ; ჯერ ერთი, დაუქორწინებელი კაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი მამაკაცების მოკვდაობას, მაშინ როცა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში სხვაობა უმნიშვნელოა; და, მეორე, ქვრივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვანად აღემატება როგორც ქორწინებაში

მყოფი, ისე ქორწინებაში არასოდეს ნამყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო მკვეთრად შეიმჩნევა ისევე მამაკაცებში¹.

როგორც ცნობილია, მოკვდაობა, შობადობასთან ერთად, განსაზღვრავს მოსახლეობის ზრდის ტემპებს. იგი საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. მოკვდაობამ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (6.5%) 1960 წელს მიაღწია. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, სტაბილური იყო ან ოდნავ იზრდებოდა. 90-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი არაორდინარული ვითარების გამო, მკვეთრად გაიზარდა და 10 პრომილეს გადააჭარბა. 2000 წლის მონაცემებით, იგი 9.1 პრომილეს შეადგენს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის შეგნებულად თუ უნებლიედ მოშლის გამო, ხელოვნურად შემცირებულია. სპეციალისტთა გათვლით, მაგალითად, 1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046 გარდაცვლილი, ხოლო 1996 წელს – 5833.

ზოგადი კოეფიციენტიდან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს. იგი საქართველოში 2002 წელს 23.8² პრომილეს შეადგენდა, მაშინ როდესაც იაპონიაში, შვედეთში, სინგაპურში, ფინეთში, ასევე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში 4 პრომილესაც კი არ აღემატებოდა. ეს დიდძალი რეალური რეზერვების არსებობაზე მიგვანიშნებს, რამეთუ 2002 წელს 1 წლამდე ასაკის 1102 ბავშვი გარდაიცვალა.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუ-

¹ მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1995, გვ. 30-31.

² ჯანმრთელობის დაცვა. საქართველო, 202, სტატისტიკური ცნობარი, თბ., 2003, გვ. 7.

ნებრივ მოძრაობაზე, ე.ი. იმის შესახებ იზრდება თუ მცირდება. ჩვენს ქვეყანაში რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპებით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ცხადია, მოსახლეობის მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და, საბოლოო ჯამში, დეპოპულაციის გადადის. ასე, მაგალითად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება (ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით) შეადგენდა: 1960 წელს 18.2, 1990 წელს – 8.6, 1995 წელს – 3.8, 2000 წელს კი, ნაცვლად მატებისა, ადგილი ჰქონდა კლებას და ამ მაჩვენებელმა მინუს 0.2 პრომილე შეადგინა³. შედარებისათვის: მოსახლეობის ბუნებრივი მატება (ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით) 2002 წელს მსოფლიოში საშუალოდ 13-ს, ხოლო განვითარებად რეგიონში 16-ს შეადგენდა (მ.შ. აფრიკაში 24-ს, ლათინურ ამერიკაში – 15 და აზიაში 13-ს).

აღსანიშნავია, რომ დეპოპულაციას, ანუ მოსახლეობის ბუნებრივ აბსოლუტურ კლებას, ადგილი აქვს მსოფლიოს სულ 14 ქვეყანაში, მათ შორის ერთ-ერთი საქართველოა. მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს 2003 წლის მონაცემებით, ანალოგიური ან რამდენადმე უფრო მწვავე ვითარებაა იტალიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, სლოვენიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, რუსეთში, უკრაინაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, ბელორუსიასა და მოლდავეთში.

დეპოპულაცია ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონში შეიმჩნევა, გამონაკლისი მხოლოდ სამია (აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი). მოსახლეობის როგორც მატების, ისე არც კლების ინტენსივობაა ყველა რეგიონში თანაბარზომიერი. მაგალითად, 2000 წელს მოსახლეობის ბუნებრივი კლების ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა მთლიანად საქართველოში 0.2-ს, მათ შორის: რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 3.9-ს, კახეთში –

³ საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2001, თბ., 2002, გვ. 39.

3.7, გურიაში – 2.7, იმერეთში – 1.4, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1.3, შიდა ქართლში – 0.5, თბილისში, ასევე, მცხეთა-მთიანეთში – 0.3. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კი ასე გამოიყურებოდა: სამცხე-ჯავახეთი – 0.6, ქვემო ქართლი – 1.9, აჭარა – 5.6.

ამ საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს გვიჩენს, რამდენადაც ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებლს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენლები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვინემ ქართველები. მაგალითად, 2001 წელს (დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლების გ. წულაძისა და ნ. მარლაფერიძის შეფასებითი გათვლებით) საქართველოში საკუთრივ ქართველთა ბუნებრივ მატებას აზერბაიჯანელთა შესაბამისი მაჩვენებელი 17-ჯერ, ხოლო ქურთებისა – 19.7-ჯერ აღემატებოდა¹.

ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ კონტრასტული მაჩვენებლები, მთელი რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დემოგრაფიული განვითარებისა და, მასთან დაკავშირებით, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების სხვადასხვა დონითაა განპირობებული, აღსანიშნავია რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა მოხდა საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში – XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან, მუსულმანებში ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს რელიგიური ფაქტორი ასრულებს.

¹ გ. წულაძე, ნ. მარლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული – 2002, თბ., 2003, გვ. 162.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებაც. ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით, იგი შეადგენდა: 1960 წელს 10.6, 1980 წელს – 10.0, ხოლო 2002 წელს – 2.9. ასეთ კონტრასტულ მაჩვენებლებს მთლად დამაჯრებლად ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკანასკნელ პერიოდში ქორწინების ცერემონიალი არცთუ იშვიათად მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.

რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართულ მოსახლეობაში. უკანასკნელი წლების მონაცემებით, იგი 0.4 პრომილეს არ აღემატება. სხვათა შორის, ეს მაჩვენებელი ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ 1990 წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით შემცირებულია 3.5-ჯერ. მით უმეტეს, ეს არის პერიოდი, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მწვავე (სისხმლისმღვრელ) ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით, შერეული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა.

თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული განვითარებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენციაა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წონის სისტემატური ზრდა. ეს მაჩვენებელი საქართველოში თუ 1980 წელს 4.7%-ს არ აღემატებოდა, 1990 წელს 18.2%-მდე, ხოლო 2002 წელს 45.9%-მდე ავიდა¹. როგორც ჩანს, ამჟამად თითქმის ყოველი მეორე ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება.

¹ გ. წულაძე, ნ. მარლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2002, თბ., 2003, გვ. 44.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ქორწინება სამთავრობო ორგანოებში არ რეგისტრირდება, ამიტომ ნორმალურ და შეხმატკბილებულ, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არარეგისტრირებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვების გარკვეული ნაწილიც ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულად ითვლება, რაც ხელოვნურად ზრდის მათ რაოდენობას და რეალურ ვითარებას მრუდედ წარმოგვიდგენს. ამ მომენტის გათვალისწინების შემთხვევაშიც, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რეალური რიცხოვნობა დასაშვებ დონეს მკვეთრად აღემატება და არა ერთ მწვავე პრობლემას წარმოშობს. მხედველობაში გვაქვს მამის (ზოგჯერ დედის) მხრივ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდასა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული სირთულეები და არა მარტო ეს.

ყურადღებას იქცევს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მენტალიტეტის შეცვლაც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ 18%. 62% გამართლებულად მიიჩნევს, თუმცა სხვადასხვა მოტივაციით.

დემოგრაფიული კრიზისის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია დემოგრაფიული დაბერება, რომელსაც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს დილემად მიიჩნევენ. საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი 70-იანი წლების შუა ხანებიდან დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნად ითვლება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ

დონეს მიაღწია. ამჟამად ყოველი მეექვსე ადამიანი (17.4%) 59 წელსაა გადაცილებული. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი კი 13.1%-ს შეადგენს¹, მაშინ როდესაც (გაეროს კლასიფიკაციით) დაბერების ზღვრად 7% ითვლება. როგორც მაჩვენებელთა ურთიერთშედარება ცხადყოფს, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 13%-ს აღემატება მსოფლიოს 209 ქვეყნიდან 32-ში, მათ შორისაა საქართველოც.

შედარებისთვის: 2003 წლის მონაცემებით, დემოგრაფიულად ყველაზე უფრო დაბერებული ქვეყნებია იაპონია, იტალია და საბერძნეთი (19%), მომდევნო საფეხრუზე არიან: გერმანია, ესპანეთი ბელგია, შვედეთი, ბულგარეთი (17%) და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერტილური ასაკის ქალთა დაბერება. საქართველოში ასეთი კონტიგენტის მანდილოსანთა თითქმის ნახევარი 36 წელსაა გადაცილებული, რაც მომავალში ფრიად უარყოფით გავლენას მოახდენს შობადობის ინტენსივობაზე.

დემოგრაფიული დაბერება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს სოფლად. ასე, მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის დასასრულისთვის 60 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში შეადგენდა: ქალაქად 15%-ს, ხოლო სოფლად – 20%-ს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ ცხოვრების მძიმე პირობების გამო, სოფელი თითქმის დაიცავდა ახალგაზრდობისაგან.

სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით ვითარება არაერთგვაროვანია რეგიონულ ჭრილშიც. ცნობილი სპეციალისტის როსეტის კლასიფიკაციით, დემოგრაფიული „სიბერის ძლიერ განვითარებული დონე“ ახასიათებთ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვა-

¹ გ. წულაძე, ნ. მარლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2002, თბ., 2003, გვ. 28.

ნეთს, იმერეთს, გურიასა და კახეთს; „განვითარებული დონე“ – შიგა ქართლს, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს; „საშუალო დონე“ – აფხაზეთს; „სიბერის საწყისი დონე“ – სამცხე-ჯავახეთს. დემოგრაფიული სიბერის ასაკამდე ჯერ არ მიუღწევია მხოლოდ ქვემო ქართლისა და აჭარის სოფლის მოსახლეობას. თუმცა, საქართველოს არცერთ რეგიონში არაა დემოგრაფიულად ახალგაზრდა სოფლის მოსახლეობა.

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას თან სდევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (განსაკუთრებით მისი დასაქმებული ნაწილის) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი ათასი კაცის კმაყოფაზე იმყოფებოდა: 1990 წელს 950, ხოლო 2000 წელს – 1804 არაშრომისუნარიანი ასაკის მოქალაქე. თუ გავითვალისწინებთ უმუშევრობის საქართველოში არსებულ მაღალ დონეს (რაც რეალური სურათის მისაღებად აუცილებელია), სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა კიდევ უფრო გაიზრდება. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი დასაქმებული ათასი კაცის კმაყოფაზე თუ 1990 წელს 950 კაცი იმყოფებოდა, 2000 წელს ეს დატვირთვა 1980 კაცამდე, ანუ 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, რამდენადაც დასაქმებულის კმაყოფაზე მყოფთა კატეგორიაში გადაინაცვლა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იმ ნაწილმაც, რომელიც უმუშევარია.

ესოდენ მაღალი და თანდათანობით მზარდი სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა არა მარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტივის თვალსაზრისით, პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება ჩაგვეთვალოს, რომ მასში შრომის ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა ზრდის, ხოლო პენსიონერთა ხვედრითი წონა შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ სა-

წინააღმდეგო, ანუ ნეგატიურ ტენდენციასთან გვაქვს საქმე. სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში კლებულობს შრომის ასაკს მიულწეველთა ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომის ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ 1990-2002 წლებში ასეთი ცვლილებები განიცადა: 15 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წილი 24.5-დან 20.4%-მდე შემცირდა, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისა – 9.1-დან 13.1%-მდე გაიზარდა¹.

საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებას, მრავალსხვა გარემოებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზდობის) გარე-მიგრაციული პროცესებიც ამძიმებს. აღრიცხვიანობის სირთულეებთან დაკავშირებით, სრულად არაა დადგენილი იმ პირთა რიცხოვნობა, ვინც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან წავიდა საქართველოდან, მით უმეტეს, ზუსტად არ ვიცით მიგრაციის სალდო, მაგრამ, პროფ. გ. წულაძისა და ნ. მაღლაფერიძის შეფასებითი გათვლებით, ეს უკანასკნელი ერთ მილიონ კაცს აღემატება, რაც საქართველოსთანაა პატარა ქვეყნისთვის ძალიან დიდი ციფრია.

მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს საქართველოში, ბუნებრივია, თან სდევს ისეთი სავალალო სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, როგორიცაა:

1. მომავალში (თუმცა შორეულ პერსპექტივაში) ქართული გენოფონდის გადაშენების საშიშროება. ვაშინგტონში ფუქნციონირებადი მსოფლიოს მოსახლეობის ბიურო მომავალში საქართველოს მოსახლეობის ასეთ დი-

¹ გაანგარიშებულია - „საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული – 2001“, თბილისი, 2002, გვ. 35, 50, 51 – მიხედვით.

ნამიკას ვარაუდობს (მლნ-ობით): 2000 წ. – 4.4; 2025 წ. – 3.6; 2050 წ. – 2.5, ე.ი. 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 2000 წელთან შედარებით 1.9, ხოლო 1989 წელთან შედარებით 2.9 მლნ კაცით შემცირდება.

ასეთი ტემპით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არაა ნავარაუდევო;

2. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით ქართული ეთნოსის) ხვედრითი წონის თანდათან შემცირება. საქართველო მთელი მოსახლეობის როცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით თუ XIX საუკუნის დასასრულისთვის პირველ ადგილზე იყო, დღეისათვის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე, ხოლო მატების ტემპით მესამე ადგილზეა. სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წონა 1959 წლის 44%-დან 2006 წლისთვის 27.7%-მდე შემცირდა. კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა ქართველთა ხვედრითი წონა და, რაც მთავარია, ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, თანაც ინტენსიურად;

3. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1959-2001 წლებში საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 8.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისა 6.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამავე პერიოდში სქესობრივი სტრუქტურა კი ასეთნაირად შეიცვალა: ქალების ხვედრითი წონა შემცირდა 1 პროცენტული პუნქტით, ხოლო მამაკაცებისა იმავე ოდენობით გაიზარდა¹. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტიურ მიწოდებას, ისე საქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს;

¹ ვ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 18, 21, 25, 28.

4. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით სრულშრომისუნარიანთა (მათ შორის და განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის;

5. შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარემიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გადიდება.

აღბათ, კამათს არ იწვევს ზემოთ დასახელებული გლობალური ნეგატიური მოვლენების სახელმწიფოს დონეზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში (თანაც რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება¹.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? – სამწუხაროდ, ქვეყანაში არა მარტო არ ტარდება არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ რიგიანად მოფიქრებულიც არაა იგი.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და 180⁰-ით შემოაბრუნოს ისინი პოზიტიური მიმართულებით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით შეიძლება გარკვეულწილად დემოგრაფიული კრი-

¹ ლ. ჩიქავა, დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. ჟურნ. „მეკრო-მიკროეკონომიკა“, 1998, № 11, გვ. 33-38.

ზისის გაღრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, რასაც ადასტურებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკა.

ზოგიერთ, საქმეში ჩაუხედავ, პოლიტიკოსს სახელმწიფოს მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკა ჰგონია მრავალშვილიანი დედებისთვის ეპიზოდურად და მიზერული ოდენობით გაცემული დახმარებები. სინამდვილეში, სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა გულისხმობს სამი აუცილებელი კომპონენტის ერთიანობას. ესენია: პირველი, – დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის განსაზღვრა ანუ ნათლად მინიშნება იმისა, მისი ამოცანაა გარემო პირობების შექმნა მოსახლეობის გაფართოებული თუ შეკვეცილი აღწარმოებისთვის, კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების თუ შემცირებისათვის; მეორე – გონივრულად შემუშავებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემა ანუ შერჩევა ბერკეტების (ინსტრუმენტების) კომპლექსისა, რომლის მიზანსწრაფული გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას სერიოზული წარმატებები დასახული მიზნის მიღწევის მიმართულებით; და, მესამე, – შემუშავებული ღონისძიებების პრაქტიკულად განმახორციელებელი ადრესატის ნათლად მინიშნება და, რაც დღევანდელ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ძირითადად საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ დავახასიათეთ, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, ჩვენთან შექმნილი მწვავე ვითარება გარდუვალად გეკარნახობს პოპულაციონისტური პოლიტიკის განხორციელების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობას. ამ მიმართულებით დასახული მიზნის მაქსიმუმი შეიძლება იყოს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების უზრუნველყოფა, მინიმუმი კი – დემოგრა-

ფიული განვითარების მიღწეული დონის სტაბილიზაცია, დეპოპულაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების პრაქტიკულად გამორიცხვა.

ახლა შეეჩერდეთ იმ ღონისძიებებზე, რომელთაც ძალუძთ თვალსაჩინო წვლილის შეტანა ამ კეთილშობილური მიზნის ხორცშესხმაში. მხედველობაში მაქვს ხელისუფლების ძალისხმევის წარმართვა სამი ძირთადი მიმართულებით:

1. ოჯახში ოპტიმალური რიცხოვნობის ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება. ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა, მაგრამ შედეგი შედარებით მოგვიანებით იჩენს თავს.

ამისთვის მიზანშეწონილია ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში დემოგრაფიული პროფილის შესაბამისი დისციპლინებისა და კარგად შერჩეული დიდაქტიკური მასალების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების, ანუ შეიღთა სასურველი რაოდენობის ფორმირებას და ამ მიმართულებით დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. სასარგებლო ღონისძიებებად მიმაჩნია აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემებში, კინოფილმებში, თეატრალურ დადგმებში, რეკლამებში, მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა.

რა აპირობებს ამის აუცილებლობას? – უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ფერტილური ასაკის ქალთა მენტალიტეტში აშკარად შეიმჩნევა მრავალშვილიანი ოჯახების როლისა და მნიშვნელობის გადაფასება და მათი აღწარმოებრივი ნორმების შეცვლა კლების მიმართულებით.

აღბათ, სხვანაირ კვალიფიკაციას ვერ მიეცემთ იმ ფაქტს, რომ სისტემატურად მცირდება იმათი ხვედრითი წონა, ვისაც იდეალურად მიაჩნია მრავალშვილიანი (5 და მეტშვილიანი) ოჯახი და შესაბამისად იზრდება იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მცირეშვილიანი (1-2 შვილიანი) ოჯახი.

თვით ასეთ ტენდენციას კი, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრება და ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება;

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების – შვილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენადაც ოჯახში შვილთა რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას (მიუხედავად ამ უკანსკნელის შემცირების ტენდენციისა). როგორც სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებიდან ჩანს, ოჯახში შვილთა სასურველ და რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას შორის სხვაობა დაახლოებით ერთ ბავშვს შეადგენს.

შვილების სასურველ და ფაქტიურად მოსალოდნელ რაოდენობას შორის ესოდენ დიდი სხვაობა მიგვანიშნებს ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეალური რეზერვების არსებობაზე.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც ძალუძთ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია, აღსანიშნავია:

– მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების მატერიალური სტიმულირება, რომელშიც, უწინარეს ყოვლისა, შობადობის გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრივ ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარების დაწესება იგულისხმება.

თუმცა, მატერიალურ სტიმულირებამდე, აუცილებელია ყველგან და ყოველთვის დაეიცვათ პრინციპი: „შვი-

ლის შექმნით გამოწვეულმა ხარჯებმა არ უნდა შეამციროს შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე გაანგარიშებით“. ასეთი შედეგის მისაღწევად საჭიროა დახმარების თანხა შეესაბამებოდეს ახალშობილის შენახვის ხარჯებს. მაგრამ ეს იქნება ქვედა ზღვარი. ამის შემდეგ, შობადობის მატერიალური სტიმულირების მიზნით, მიზანშეწონილია ერთჯერადი და ყოველთვიური დიფერენცირებული დახმარების დაწესება შეიღების შექმნის რიგითობის მიხედვით. მთავარი ვექტორი მესამე შეიღის ყოლაზე უნდა მიემართოს, რამეთუ, ჩვენს დღევანდელ პირობებში, ოპტიმალურად სამშვილიან ოჯახს ვაღიარებთ. შკალა (ლარებში) დაახლოებით ასეთნაირად წარმომიდგენია:

დახმარების სახეობა	პირველ შეიღზე	მეორე შეიღზე	მესამე შეიღზე	მეოთხე შეიღზე
ერთჯერადი	100	200	300	100
ყოველთვიური დანამატი დასაქმებული ერთ-ერთი მშობლის ხელფასზე	20	30	50	20

მოსაზრებების ურთიერთშეჯერების კვალობაზე, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ამადღების შესაბამისად, ეს სიდიდეები შეიძლება და საჭიროცაა გადაისინჯოს (დაზუსტდეს), მაგრამ მთავარია შევინარჩუნოთ მეორე, განსაკუთრებით კი მესამე, შეიღის ყოლის სტიმულირების პრინციპი.

შობადობის სტიმულირებისთვის დახმარების დაწესებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ოჯახის შემოსავალიც. თუ ოჯახში თითოეულ წევრზე გაანგარიშებით შემოსავალი ნაკლებია ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილ საარსებო მინიმუმზე, მეორე და მესამე შეიღის შექმნისას, ყოველთვიური დახმარების თანხა (ბავშვის დედას ან მამას) უნდა დაუწესდეს ისეთი ოდენობით, რომ

ოჯახის წევრთა შემოსავალი გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. სასურველია ამგვარი წახალისება გაგრძელდეს მანამ, სანამ ეს ახალშობილები 16 წლის ასაკს მიაღწევენ. იმ შემთხვევაში კი, როცა ოჯახის წევრთა შემოსავალი აღემატება საარსებო მინიმუმს, შეიღის შეძენისთვის მატერიალური წახალისება შეიძლება შემოიფარგლოს (ყოველ შემთხვევაში, განვითარების დღევანდელ ეტაპზე) ერთჯერადი დახმარებით.

დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური სტიმულირების საკითხი იმიტომ განვიხილეთ, რომ დღეისათვის შობადობის შემაფერხებელ ფაქტორთა შორის პირველ ადგილზე სწორედ მატერიალური ხელმოკლეობა გვევლინება, მაშინ როდესაც ადრეულ ეტაპებზე (გასული საუკუნის 90-იანი წლებამდე) პირველი ადგილი ფერტილური ასაკის ქალთა ნაწილის ჯანმრთელობის შერყევას ეკავა. ზემოთ დასახელებული 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, კითხვაზე: „თუ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ შეიღები იმაზე ნაკლები ოდენობით, ვინემ გსურთ, რა არის ამის მიზეზები? – რესპონდენტთა 61%-მა მატერიალური ხელმოკლეობა და ბავშვების აღზრდისთვის სათანადო პირობების უქონლობა დაასახელა.

– შობადობაზე უარყოფითად მოქმედ სუბიექტურ ფაქტორთა შორის მომდევნო ადგილზეა, ახალგაზრდა ოჯახების უბინაობა და საცხოვრებელი ფართით დაუკმაყოფილებლობა. აი, რატომ უნდა მიექცეს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, მძიმე საბინაო პირობებში მყოფ ოჯახებს, მათი სურვილის გათვალისწინებით, ბინათმშენებლობისთვის სახელმწიფომ მეორე შეიღის შეძენისას გამოუყოს გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტი, მესამე შეიღის გაჩენის შემთხვევაში სესხის დასაბ-

რუნებლად დარჩენილი ნაწილის 50%-ის გადახდისგან განთავისუფლების პირობით.

ყოველივე ეს უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი კანონმდებლობით და მართებული იქნება შეეხოს როგორც სახელმწიფო და კოოპერაციულ, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს, თითოეული სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების დაწყებამდე ოჯახის შემოსავალს, საცხოვრებელი ფართის მოცულობას, თავისუფალი დროის სიდიდესა და ბავშვთა შობის ინტენსივობას შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობდა, იმიტომ, რომ ცხოვრების რაც უფრო უკეთესი პირობებია, მით უფრო დაბალია მოკვდაობა, უკეთესია ჯანმრთელობა, ხანგრძლივია ქალთა ნაყოფიერების პერიოდი და, ბუნებრივია, შედარებით მაღალია ბავშვთა შობის ინტენსივობა. მდგომარეობა რადიკალურად იცვლება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრების პირობებში, რამდენადაც ოჯახი, ბავშვებზე შეზღუდული მოთხოვნების გათვალისწინებით, გეგმავს შეილთა რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას, რომელიც, როგორც წესი, სტაბილურია. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორები დღევანდელ არაორდინარულ პირობებში, როცა მოსახლეობის 60%-მდე სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებს აქტუალურობას;

- სახელმწიფო საწარმოებში, აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე მანდილოსნებისათვის მეორე და მომდევნო შვილების გაჩენისას იმის უფლების მინიჭება, რომ ისარგებლონ სამწლიანი დეკრეტული შვებულებით, სამუშაო ადგილისა და კუთვნილი (ძირითადი) ხელფასის შენარჩუნებით;

- ოჯახებისთვის, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, კომუნალური მომსახურების გადასახადების 30%-

ით შემცირება მანამ, სანამ ყველაზე უმცროსი შვილი 16 წელს მიაღწევს;

– მესამე შვილის გაჩენისთვის ზემოაღნიშნულ სტიმულირებათა პირველ ეტაპზე იმ რეგიონებში განხორციელება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემებით, ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს;

ქმედითი ზომების მიღება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევარი პირების სპეციალობის მიხედვით დასაქმებისა და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანისათვის, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ახალგაზრდების გარემიგრაციას;

– შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გრაფიკით, შევებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განისაზღვროს შვილების ოდენობის გათვალისწინებით, მიეცეთ შინმუშაობის უფლება და სხვა შესაძლო შეღავათები;

– ქალთა გამონთავისუფლება ორგანიზმისთვის მავნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე, დამისცვლებიდან. სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისთვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობისთვის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

– ქვეყნის თითოეული რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარებისათვის დამახასიათებელი ტენდენციების მაქსიმალური გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითოეული რაი-

ონის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება;

- მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დემოგრაფიული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, ყოველწლიურად პერსპექტიული ახალგაზრდების განსაზღვრული კონტიგენტის საზღვარგარეთ მისავალი ნებლად სათანდო სახსრების გამონახვა;

- პაციენტთა, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა, ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ლაბორატორიები) მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე, სამშობიარო სახლების ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვება, რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამასთან, მოსახლეობის თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღლება, რომელიც, ბევრ სხვა ეთნოსთან შედარებით, რამდენადმე დაბალია ქართველებში;

- შობადობის გადიდებაში გარკვეული დადებითი წვლილის შეტანა შეუძლია ეკლესიასაც, რამეთუ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მას ძალუძს განუმტკიცოს რწმენა ახალგაზრდობას (და არა მარტო მას) იმის თაობაზე, რომ ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის განმტკიცებისთვის აუცილებელია ოჯახის დროული შექმნა (დაქორწინება), ბავშვთაშობის შიგაოჯახური ოპტიმალური რეგულირება და ღირსეული ახალი თაობების აღზრდა;

3. ქმედით დონისძიებათა განხორციელება მოსახლეობის (უწინარეს ყოვლისა, ქართველთა) გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების ლიკვიდაციისთვის. ამის აუცილებლობას აპირობებს:

- ნარკობიზნესის განვითარება და ნარკომანთა რიცხოვნობის ზრდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წლის დასასრულისათვის დაკვირვებაზე იმყოფებოდა ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით

დაავადებული 761 ქალი და 25690 მამაკაცი, ანუ, წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 1.9 და 113.5%-ით მეტი¹. ყოველივე ეს გენოფონდს გადაგვარებით ემუქრება. ცნობილია, რომ ნარკომანებს საერთოდ არ უჩნდებათ შვილები და თუ გაუჩნდებათ – მეტწილად დებილები და გონებრივად განუვითარებლები;

– მეძავეობა, საროსკიპოების ქსელის გაშლა, „სხეულის სარეალიზაციოდ“ საზღვარგარეთის „ბაზრებზე“ გასვლა, ევნერიულ დაავადებათა გახშირება, რაც შიდსის – თანამედროვეობის ამ შავი ჭირის – გავრცელებასაც უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2002 წელს, წინა წელთან შედარებით, გონორეით დაავადებულ ქალთა რიცხოვნობა 31.7%-ით, ხოლო მამაკაცთა 76.8%-ით გაიზარდა. თანაც, გონორეით დაავადებულ ქალთა 79.2% და მამაკაცთა 49.8% 20-დან 29 წლამდე ასაკისაა. ჩვენს ქვეყანაში 1996 წლიდან დღემდე შიდსით გარდაიცვალა 54 ადამიანი. ამ სენით დაავადებულთა ძირითად კონტიგენტს ნარკომანები და შემთხვევითი სქესობრივი კავშირების მქონე პირები შეადგენენ;

– თამბაქოს წვევის მასობრივი ხასიათი, არცთუ იშვიათად, ადრეულ (სკოლის) ასაკშიც, მათ შორის გოგონებში, რაც ძლიერ უარყოფითად მოქმედებს შთამომავლობაზე (ეს ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, უფრო ხშირად კი – მოგვიანებით). 2002 წელს თბილისში მწვეველ მამაკაცთა ხვედრითი წილი 60.8%-ს, ხოლო ქალებისა – 21.8%-ს შეადგენდა;

– განზრახმკვლელობათა, თვითმკვლელობათა და ბანდიტიზმით განპირობებულ მკვლელობათა მოხშირება და, საერთოდ, დაძაბული კრიმინოგენური ვითარების არ-

¹ სოციალური ანომალიების თაობაზე წინამდებარე ნაშრომში 2002 წლის ფაქტობრივი მონაცემები მოტანილია სტატისტიკური კრებულიდან „ქალი და კაცი საქართველოში“. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 9-13.

სებობა. საქართველოში მარტო 2002 წელს თვითმკვლელობის 156 შემთხვევა აღინიშნა, მ.შ. ქალი იყო 26, ხოლო 19 წლამდე ასაკისა – 6 ადამიანი;

– გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების ნიადაგზე როგორც მეომრების, ისე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ა.შ.

დასასრულს, ამ ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. მართალია, ქვეყნის ეკონომიკა, უკანასკნელ ათწლეულში მეტისმეტად დაუძღვრების გამო, ჯერჯერობით ვერ შესძლებს დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად თანხების უხეად გამოყოფას, მაგრამ, პრობლემის უადრესი პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სახსრები გარკვეული ოდენობით მაინც შეიძლება გამოიძებნოს და უნდა გამოიძებნოს კიდევ. მიზანშეწონილია შეიქმნას დემოგრაფიული განვითარების ფონდი, რომლის წყაროები შეიძლება იყოს:

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. ამ დანიშნულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან მისი შემოსავლის თუნდაც 1 პროცენტი რომ გამოიყოს (1 მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში), იგი 10 მლნ ლარს შეადგენს, რაც ფრიად სოლიდური თანხაა;

– უშვილობის გადასახადი 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობიდან ხელფასის 1%-ის ოდენობით, თუ კი ხელფასი აღემატება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უშვილობა შეიძლება გამოწვეული იყოს ობიექტური მიზეზებით (დაუქორწინებლობა, უნაყოფობა და ა.შ.) ვერ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ მოქალაქე განთავისუფლებულ იქნეს უშვილობის გადასახადისგან, რამეთუ, რაღაცნაირი ფორმით ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა თაობათა აღწარმოების ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფაში;

- სატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერების ტარიფზე ფიქსირებული დანამატი 3 ლარის ოდენობით, რაც ქვეყნის მასშტაბით სოლიდურ თანხას შეადგენს;

- ბენზინის, სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელების, კოსმეტიკის საშუალებების, კაზინოების, ლატარიების, სპორტული ღონისძიებების და სხვა ანალოგიური კატეგორიის საქონლისა და მომსახურების საცალო ფასებსა და ტარიფებზე, დანამატი 1%-ის ოდენობით;

- გადასახადი ფირმის მოგებიდან წლიური ბრუნვის 3%-ის ოდენობით;

- იმპორტული საქონლის საბაჟო გადასახადებზე დანამატი ამ საქონლის საბითუმო ფასის 1%-ის ოდენობით;

- დემოგრაფიული ანარიცხები ხელფასიდან, ეს უკანასკნელი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს თუ 4-ჯერ აღემატება 1%-ის ოდენობით, 5-ჯერ - 2%-ის ოდენობით, 6-ჯერ - 3%-ის ოდენობით და ა. შ.

ეს განაკვეთები მიახლოებითია, რომელთა დაკონკრეტება-დაზუსტება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს არ გაუჭირდებათ. მთავარია პრინციპულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა.

აი, ამგვარი მიდგომით შემუშავებულ და მიზანმიმართულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა ძალუძს მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მთელი რიგი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზებაში.

ОСТРАЯ ДЕМОГРАФИЧЕСКАЯ ОБСТАНОВКА И НЕОБХОДИМОСТЬ АКТИВНОЙ ДЕМОЛОГИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ В ГРУЗИИ

РЕФЕРАТ

К началу XXI века процесс воспроизводства населения в Грузии настолько обострен, что демографический кризис налицо. Его основными характеристиками являются: резкое падение рождаемости (суммарный коэффициент рождаемости, в мировом масштабе, самым низким является в Грузии и на Украине), повышение смертности (особенно, смертности детей младенческого возраста) и, как логическое следствие этого, ежегодное превышение численности умерших над численностью рожденных, которое на демографическом языке называют депуляцией; высокий удальный вес как необвенчаных, так и поздно вступивших в брак; интенсивное сокращение показателя брака; демографическое старение населения, со своими негативными тенденциями.

Все это создаст в будущем (хоть и в отдаленной перспективе) грузинскому генофонду опасность исчезновения, что на повестку дня, с учетом региональных особенностей, ставит необходимость проведения разработанной на научном уровне государственной демографической политики.

Среди тех мероприятий, которые должны найти соответствующее отражение в государственной демографической политике, следует отметить: а) формирование в семье потребности имения детей с общественно необходимой или оптимальной численностью и формирование соответствующей установки; б) практическую реализацию сформированной потребности имения детей-желаемого числа детей, в которой решающая роль придается улучшению социально-экономических условий; в) принятие действенных мер по ликвидации социальных аномалий (наркомания, проституция, пьянство, массовый характер курения в раннем возрасте-особенно у девушек, разбой, бандитизм и т.д.), уничтожающих генофонд населения (прежде всего, грузин).

იხ. „დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომები“, ტ. II, თბილისი, 2004.

ძართულ გენოფონდს გადაზენების რეალური საშრობხე ემუძრება

განვითარების დღევანდელ ეტაპზე კაცობრიობის ყველაზე მტკივნეულ გლობალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დემოგრაფიულ პრობლემას უჭირავს. მას ორი ასპექტი აქვს: ა) მოსახლეობის გადამეტწარმოება, რომელსაც „გადამეტწარმოების ბომბად“ მიიჩნევენ; ბ) მოსახლეობის ნაკლწარმოება, ანუ დეპოპულაცია, რომელიც ცნობილია „დეპოპულაციის ბომბის“ სახელწოდებით.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მოსახლეობამ 1 მილიარდს მხოლოდ 1804 წელს მიაღწია, მეორე მილიარდს დასჭირდა სულ 123 წელი, მესამეს – 33, მეოთხეს – 14, მეხუთეს – 13, მეექვსეს – 12. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, XXI საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობა თითქმის ყოველ 11 წელიწადში მოიმატებს თითო მილიარდით და 2050 წელს 9,3 მილიარდს მიაღწევს.

ბუნებრივია, ეს გარემოება მასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, აღელვებს კაცობრიობას.

წინამდებარე სტატიაში შევეხებით დემოგრაფიული პრობლემების მეორე ასპექტს – მოსახლეობის შეკეცილ აღწარმოებას. ფრიად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც თავიანთი გენოფონდის გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრებათ. სხვა სიტყვებით, მას „დეპოპულაციის ნეიტრონულ ბომბს“ უწოდებენ, რომელიც დამოკლეს მახვილივით აქვს დამიზნებული ერის ფიზიკურ უწყვეტობას.

ეს რომ ასეა, ჩანს მისი დღევანდელი მწვავე დემოგრაფიული ვითარებიდან, მოსახლეობის აღწარმოების მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ტენდენციებიდან, რომელმაც უკანასკნელი ხანებში აშკარა დემოგრაფიული კრიზისის ხასიათი მიიღო. მისი ძირითადი მახასიათებლე-

ბია: შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, ყოველწლიურად გარდაცვლილთა რიცხოვნობის გადამეტება დაბადებულთა რიცხოვნობაზე, რომელსაც, დემოგრაფიულ ენაზე, დეპოპულაციას უწოდებენ.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვალი გადავაფლოთ შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკას. საქართველოში მოსახლეობის ყოველ ათას სულზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ 35-დან 40-მდე ბავშვი იბადებოდა, 1913 წელს დაიბადა 28, 1960 წელს – 24.7, 1990 წელს – 17, ხოლო 2000 წელს 8.9. ეს მაჩვენებელი მომდევნო წლებშიც დაახლოებით ამავე დონეზეა.

მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის ჯამური კოეფიციენტი (შვილთა რაოდენობა თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე). ეს მაჩვენებელი საქართველოში 1960 წელს შეადგენდა 2.59-ს, ხოლო ამჟამად 1.40-ს არ აღემატება, ე.ი. ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით, ბავშვთა რაოდენობა 259-დან 140-მდე შემცირდა, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელია არანაკლებ 210 ბავშვისა.

მრავალმხრივ საგულისხმო და დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში 1960 წელს დაიბადა 102.8 ათ., ხოლო 2001 წელს 40 ათ. ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა მაშინ თითქმის 1 მილიონით ნაკლები იყო, ვიდრე XXI საუკუნის დასაწყისისთვის.

დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპებისაგან განსხვავებით, ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 2004 წლის მონაცემებით, საქართველოში

დაბადებულ ბავშვთა 56.7% მოდის პირველი შვილზე, 31.8% - მეორე შვილზე და მხოლოდ 11.5% მესამე და მომდევნო შვილებზე¹, რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს.

როგორც ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, მაგრამ სასურველი - კი. დღესთვის, როდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ვერც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს არა მარტო გაფართოებულ, არამედ მარტივ აღწარმოებასაც.

სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებმა ცხადყო, რომ ოჯახში ბავშვთა სასურველ რაოდენობად მიიჩნევს: 1% - ერთ ბავშვს, 20% - ორს, 52% - სამს და მხოლოდ 27% - სამსა და მეტს. როგორც ჩანს, მოხდა ოჯახში შვილებზე მოთხოვნილების ერთგვარი გაუფასურება (დევალუაცია).

არანაკლებ ყურადღებას იქცევს ის გარემობა, რომ საქართველოში შესამჩნევად მაღალია როგორც საერთოდ დაუქორწინებელ, ისე გვიან დაქორწინებულთა და ადრეულ ასაკში დაქვრივებულთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, XX საუკუნის უკანასკნელი წლების მონაცემებით, არცერთხელ არ ყოფილა დაქორწინებული ფერტილური ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 25%, თანაც, ეს მაჩვენებელი სისტემატურად იზრდება. რაც შეეხება დაქვრივებულებს, მათი ხვედრითი წონა 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის დაახლოებით 10%-ს შეადგენს. ცნობილ გარემოებათა გამო, ეს მაჩვენებელი საშუალოზე უფრო მაღალია აფხაზეთისა

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი 2004, გვ. 43.

და ცხინვალის რეგიონის დევნილ და ლტოლვილ მოსახლეობაში.

დაუქორწინებელთა და დაქვრივებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს როგორც შობადობის, ისე მოსახლეობის აღწარმოების სხვა მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით მოკვდაობაზე. პროფ. მ. ხმალაძე ოჯახური მდგომარეობის მიხედვით მოკვდაობის საკითხის გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ, ჯერ ერთი, დაუქორწინებელი მამაკაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი მამაკაცების მოკვდაობას, მაშინ როცა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში სხვაობა უმნიშვნელოა; და, მეორე, ქვრივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქორწინებაში მყოფი, ისე ქორწინებაში არასოდეს ნამყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო მკვეთრად შეიმჩნევა ისევე მამაკაცებში¹.

როგორც ცნობილია, მოკვდაობა, შობადობასთან ერთად, განსაზღვრავს მოსახლეობის ზრდის ტემპებს. იგი საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო როგორც უშუალოდ მეზობელ სახლემწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. მოკვდაობამ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (6.5%) 1960 წელს მიაღწია. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში სტაბილური იყო ან ოდნავ იზრდებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი არაორდინარული ვითარების, გამო, მკვეთრად გაიზარდა და ამჟამად 11-12%-ს შეადგენს.

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებლს ჩვილ (1 წლამდე ასაკის) ბავშვთა მოკვდაობის

¹ მ. ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაციის აბსტრუქტი. თბილისი, 1995, გვ. 30-31.

კოეფიციენტი წარმოადგენს. იგი საქართველოში 25 პრომილეს აღწევს, მაშინ როდესაც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში (საშუალოდ) 7 პრომილეს, მ.შ. შვედეთში – 2.4, იაპონიაში – 2.8, ფინეთში – 3, საფრანგეთში – 3.6 პრომილეს არ აღემატება. ასეთი მონაცემები საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის შემცირების დიდალი რეზერვების არსებობაზე მიგვანიშნებს.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე, ე.ი. იმის შესახებ, იზრდება მისი რიცხოვნობა, თუ მცირდება. როცა შობადობა სწრაფი ტემპებით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს, ცხადია, მოსახლეობის მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და, საბოლოო ანგარიშით, დემოპულაციაში გადადის. აი, როგორი ტენდენცია შეიმჩნევა ამ მხრივ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო). 1990-2006 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა: აზერბაიჯანში 20.2-დან 11 პრომილემდე და სომხეთში – 16.3-დან 4 პრომილემდე. საქართველოში კი არა მარტო შეწყდა მატება, არამედ არსებითად დემოპულაციის პროცესი დაიწყო.

ანალოგიური ან რამდენადმე უარესი მდგომარეობაა მსოფლიოს მხოლოდ 11 ქვეყანაში – გერმანიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, სლოვაკიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და მოლდოვაში.

საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებაც. ყოველ ათას კაცზე გაანგარშიებით, იგი შეადგენდა: 1960 წელს – 10.6, 1980 წელს – 10.0, ხოლო 2002 წელს – 2.9. ასეთ კონტრასტულ მაჩვენებლებს მთლად დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკანასკნელ პერიოდში ქორწინების რიტუალი არ-

ცთუ იშვიათად მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.

რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართულ მოსახლეობაში. უკანასკნელი წლების მონაცემებით, იგი 0.4 პრომილეს არ აღემატება. სხვათა შორის, ეს მაჩვენებელი ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.5-ჯერ. მით უმეტეს, ეს არის პერიოდი, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მწვავე (სისხლისმღვრელ) ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით, ბიეთნიკური (შერეული) ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა.

თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენციაა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წონის სისტემატური ზრდა. ეს მაჩვენებელი საქართველოში თუ 1980 წელს 4.7%-ს არ აღემატებოდა, 2004 წელს 47.7%-მდე ავიდა¹. როგორც ჩანს, ამჟამად თითქმის ყოველი მეორე ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება.

ყურადღებას იქცევს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მენტალიტეტის შეცვლა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ 18%-მა. 62% გამართლებულად მიიჩნევს, თუმცა სხვადასხვა მოტივაციით.

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2004, გვ. 43.

დემოგრაფიული კრიზისის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია დემოგრაფიული დაბერება, რომელსაც თანამედროვეობის უმინშნელოვანეს დილემად მიიჩნევენ.

საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნად ითვლება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მწვავე სოფილაურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა უკვე 13%-ს აღემატება (1987 წ. იყო 4%), მაშინ როდესაც (გაეროს კლასიფიკაციით) დაბერების ზღვრად 7% ითვლება. 2006 წლის მონაცემებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 13%-ს აღემატება მსოფლიოს 33 ქვეყანაში, მათ შორისაა საქართველოც. ვარაუდობენ, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი 2050 წლისთვის 25%-ს მიაღწევს.

პროგნოზული გათვლებით, პერსპექტივაში (2050 წლისთვის) მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული (გერმანია და ბელგია – 28%, აესტრია და შვეიცარია – 30%, საბერძნეთი – 34, ესპანეთი – 37% და ა.შ.)¹, მაგრამ მდიდარი (მაღალი პენსია, ცხოვრების კომფორტული პირობები), განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა კი – დემოგრაფიულად ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი.

საქართველო ვარდება ამ კონტექსტიდან, რამდენადაც ის უკვე იმყოფება დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და საკმაოდ დიდხანს დარჩება ღარიბ ქვეყნად.

¹ Топылин А. Демографическая ситуация в странах СНГ (к 10-летию образования содружества). Население и общество – Информационный бюллетень центра демографии и экономики человека Института народохозяйственного прогнозирования РАН, № 61, апрель, 2002.

მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს, ბუნებრივია თან სდევს ისეთი სავალალო სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები, როგორცაა:

– მომავალში (თუმც შორეულ პერსპექტივაში) ქართული გენოფონდის გადაშენების საშიშროება. ვაშინგტონში ფუქნციონირებადი მსოფლიოს მოსახლეობის ბიურო მომავალში საქართველოს მოსახლეობის ასეთ დინამიკას ვარაუდობს (მილიონობით): 2006 წ. – 4.4, 2025 წ. – 3.9, 2050 წ. – 3.0². ე.ი. 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება 2006 წელთან შედარებით 1.4, ხოლო 1989 წელთან შედარებით 2.4 მილიონი კაცით.

ასეთი ტემპით მოსახლეობის როცხოვნობის შემცირება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არაა ნავარაუდევი;

– სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (ძირითადად ქართული ეთნოსის) ხვედრითი წონის თანდათან შემცირება. იმის შედეგად, რომ 2006-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდება, ხოლო სომხეთისა 13%-ით და აზერბაიჯანის 36.5%-ით გაიზრდება, აზერბაიჯანის ხვედრითი წონა ამაღლდება 64.4-მდე, სომხეთისა – 18.9%-მდე, საქართველოსი კი შემცირდება 16.7%-მდე, მაშინ როდესაც 1960 წელს ეს სტურქტურა ასე გამოიყურებოდა: აზერბაიჯანი – 39.2%, სომხეთი – 18.5%, საქართველო – 42.2%;

– თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარემიგრაციულ პროცესს, შორეულ პერსპექტივაში ქართველებს თავიანთივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წონის მკვეთრად შემცირების საშიშროებას უქმნის, მთელ რიგ არააბორიგენ ეთნოსებთან შედარებით, მისი დაბალი აღწარმოებრივი მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებით,

² World Population Data sheet – 2006. Population Reference Bureau.

2004 წელს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატება შეადგენდა 10.6 პრომილეს და ქურთებისა – 17.5 პრომილეს, მაშინ როცა ქართველების რიცხოვნობა შემცირდა 0.4 პრომილით;

– მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტიურ მიწოდებას, ისე საქორწინო სუბექტთა შორის დისბალანსს. ასე, მაგალითად, 1897-2005 წლებში საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 22 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისა 9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება და 2050 წლისთვის 15 წლამდელთა ხვედრითი წონა კიდევ 8 პროცენტული პუნქტით დაიკლებს, ხოლო პენსიონერთა – 12 პროცენტული პუნქტით მოიმატებს.

რაც შეეხება სქესობრივ სტრუქტურას, 1897-2002 წლებში მოსახლეობის საერთო რიცხოვნებაში მამაკაცების ხვედრითი წონა შემცირდა 6,1 პროცენტული პუნქტით, ქალებისა კი იმავე ოდენობით გაიზარდა;

– მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით, შრომისუნარიანთა (მათ შორის და განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურდემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის. ასე, მაგალითად, საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი დასაქმებული ათასი კაცის კმაყოფაზე იმყოფებოდა: 1990 წელს 950, ხოლო 2000 წელს – 1980 არაშრომისუნარიანი მოქალაქე;

– შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარემიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური

პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გადიდება.

საქართველოში დემოგრაფიული განვითარების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებსა და უარყოფით შედეგებს საფუძვლად უდევს რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზისა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე ბევრ სხვა ქვეყანაზე (მაგალითად, აზერბაიჯანთან შედარებით მთელი ერთი საუკუნით) ადრე გადასვლა და ბავშვთაშობის შიგაოჯახური რეგულირება ცნობიერად. ძირითადად ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ შობადობის ჯამური კოეფიციენტი აზერბაიჯანში ჯერ კიდევ 2-ს შეადგენს, მაშინ როდესაც საქართველოში 1,4-ს არ აღემატება;

- ენთოკონფლიქტები და მასთან დაკავშირებული მოვლენები, გამწვავებული კრიმინოგენური ვითარება, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანია და სხვ.

ფრიად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გაეროს გენერალური ასაბლეთის სპეციალურ მოსმენაზე საქართველო, პროსტიტუციისა და ჰომოსექსუალიზმის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთ „წამყვან“ ქვეყნად დასახელდა;

- რელიგიური მრწამსი, ადათ-წესები და ტრადიციები, მაგალითად, მუსულმანური მრწამსი მართმადიდებლურზე უკეთ უზრუნველყოფს ჩასახული ნაყოფის შენარჩუნებას. ამიტომაცაა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და მაჰმადიანი (აჭარელი) ქართველების აღწარმოება რამდენადმე მაღალი, ვიდრე სხვა ეთნოსებისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მორწმუნე მართმადიდებელ ქრისტიანებში გაცილებით მაღალია, ვინემ არამორწმუნე მართმადიდებელ ქრისტიანებში;

- მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები:

ა) მოსახლეობის 50%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა;

ბ) მოსახლეობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი ვერ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით;

გ) სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორია საცხოვრებელი ფართით დაუკმაყოფილებლობა;

დ) აღამიანთა ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს კვების პროდუქტების მოხმარების დეფორმირებული სტრუქტურა. მაგალითად, 2000 წელს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება (ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად) კმაყოფილდებოდა: თევზსა და თევზეულზე 12%-ით, ხორცსა და ხორცეულზე – 36%-ით, ბოსტნეულსა და ბალღეულზე – 51-ით, ხილსა და ყურძენზე – 79-ით და ა. შ.

ძირითადად ამიტომაა დიდი სხვაობა ბავშვთა სასურველ (რომელიც თავის მხრივ, ფრიად შემცირებულია) და ფაქტიურად მოსალოდნელ ოდენობას შორის, რომელიც შობადობის გადიდების რეალური რეზერვის არსებობაზე მიგვანიშნებს. ასეთი რეზერვი მსოფლიოს ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში არ არის, იმიტომ რომ, იქ ბავშვთა შენახვა-აღზრდის პრობლემა არ არსებობს და ოჯახი იმდენ შვილს აჩენს, რამდენიც სურს, ანუ რამდენზედაც აქვს მოთხოვნილება.

აღბათ, კამათს არ იწვევს ზემოთ დახასიათებული ნეგატიური დემოგრაფიული მოვლენების სახელმწიფოს დონეზე (რამდენზედაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა¹. მხედველობაში გვაქვს (რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანამიმდევრუ-

¹ ლ.ჩიქავა. მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში. იხ. „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტომი II, გვ. 5-20.

ლი განხორციელება, რაც ხელისუფლების ორგანოების მხრივ ჯერჯერობით რატომღაც უგულებელყოფილია.

იხ. ურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2007, №1.

თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები

დღეისთვის კაცობრიობის მწვავე გლობალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დემოგრაფიული განვითარებისა და მის ნეგატიურ ტენდენციებთან დაკავშირებულ პრობლემებს უჭირავს. მხედველობაში მაქვს: ჯერ ერთი, მოსახლეობის გადამეტწარმოება, რომელსაც სხვანაირად „გადამეტწმოსახლეობის ბომბს“ უწოდებენ; მეორე, მოსახლეობის ბუნებრივი აბსოლუტური კლება, რომელსაც, არცთუ იშვიათად, „დეპოპულაციის ნეიტრონულ ბომბად“ მოიხსენიებენ; და, მესამე, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი სათანადო არგუმენტებისა და ფაქტობრივი მონაცემების მოშველიებით.

როგორც ცნობილია, მხოფლიოს მოსახლეობა თავდაპირველად იმდენად ნელა მატულობდა, რომ მან ერთ მილიარდს მხოლოდ 1804 წელს მიაღწია. მეორე მილიარდის მიღწევას 123 წელი დასჭირდა, მესამისას – 33, მეოთხისას – 14, მეხუთისას – 13, ხოლო მეექვსისას – მხოლოდ 12 წელი.

მსოფლიოს მოსახლეობა უკანასკნელი 6 წლის (2001-2006 წწ.) განმავლობაში თითქმის ნახევარი მილიარდი (488 მლნ) კაცით ანუ 8 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, მარტო პაკისტანში გაიზარდა 15 მილიონით, ბანგლადეშში – 19, ინდოეთში – 120 მილიონი კაცით. მოსახლეობის მატების ყველაზე მაღალი ტემპი (20.3 %) დაფიქსირდა აშშ-ში, მაგრამ ეს ძირითადად, ბუნებრივი კი

არა, მექანიკური ფაქტორით (მოსახლეობის იმიგრაციით) აიხსნება. ამის დასტურია ის, რომ 2006 წელს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ მსოფლიოში საშუალოდ 12.0, მ.შ. აფრიკაში 23.0, აზიაში – 14.0, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში მხოლოდ 6.0 პრომილე შეადგინა.*

გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, მსოფლიოს მოსახლეობა XXI საუკუნის პირველ ნახევარში 58 პროცენტით გაიზრდება და 2050 წელს 9.2 მილიარდს გადააჭარბებს. მაგრამ იგი ყველა რეგიონში თანაბრად კი არ მოიმატებს. 2006-2050 წლებში მოსახლეობის როცხოვნობა გაიზრდება: განვითარებულ რეგიონში მხოლოდ 45 მილიონით, ანუ 3.7 პროცენტით, ხოლო განვითარებადში – 2 მილიარდ 643 მილიონით ანუ 49.5 პროცენტით. კონტინენტების მიხედვით ასეთი ცვლილებებია მოსალოდნელი. მოსახლეობა გაიზრდება: აფრიკაში 2.2-ჯერ (მ.შ. ანგოლაში – 2.6-ჯერ), აზიაში 33.0 პროცენტით (მ.შ. ინდოეთში – 4.5, ბანგლადეშში – 57.0, პაკისტანში – 77.7 %-ით), ჩრდილოეთ ამერიკაში – 39.2 (ძირითადად იმიგრაციის ხარჯზე), ლათინურ ამერიკაში – 40.8 პროცენტით, ევროპაში კი შემცირდება 9.2 პროცენტით. ამის შედეგად შეიცვლება მსოფლიოს მოსახლეობის რეგიონული გაადგილება. აბსოლუტური გამოხატულებით მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, აზიის მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირდება 3.4 პროცენტული პუნქტით და ევროპისა – 4 პროცენტული პუნქტით, ხოლო აფრიკის მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზრდება 7 პროცენტული პუნქტით (ე. ი. მიაღწევს 21.6 %-ს, ნაცვლად 2006 წლის 14.3 %-ისა).

* 2006 წლისა და 2050 წლამდე პერიოდის პროგნოზული მონაცემები აღებულია მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მასალებიდან: „World Population Data Sheet of the Population Reference Bureau. Demographic Data and Estimates for the Countries and Regions of the World“ – 2006.

რითაა განპირობებული მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ მაღალი ტემპები? – იგი განპირობებულია მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ძალით მოქმედი ისეთი ფაქტორებით, როგორცაა:

– შობადობის მაღალი დონე. 2006 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი განვითარებად (განუვითარებელ ანუ „მესამე სამყაროს“) ქვეყნებში (23.0 ‰) განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლს (11.0 ‰) 2,1-ჯერ აღემატებოდა. თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ, იგი შეადგენდა: აფრიკაში 38 (მ.შ. ნიგერიაში – 43, სიერა-ლეონეში – 46, უგანდაში – 47, ანგოლაში – 49, ლიბერიაში – 50), აზიაში – 20 (მ. შ. ინდოეთში – 24, ბანგლადეშში – 30, პაკისტანში – 33, იემენში – 41, ავღანეთში – 48), ლათინურ ამერიკაში – 21, ჩრდილოეთ ამერიკაში – 14, ოკეანიაში – 17, ხოლო ევროპაში – 10 პრომილეს.

ანალოგიურ სურათს იძლევა რეგიონების ურთიერთშედარება შობადობის ჯამური კოეფიციენტის მიხედვითაც, რაც გვიჩვენებს შეილთა რაოდენობას თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე. სპეციალისტთა დასკვნით, იმისთვის, რომ განხორციელდეს მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოება (ე.ი. თაობები განახლდეს უცვლელი რაოდენობით), აუცილებელია ეს კოეფიციენტი იყოს არანაკლებ 2.10-ისა (ანუ ბავშვთა რიცხოვნობა ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე უნდა აღემატებოდეს 210-ს). 2006 წლის მონაცემებით, ფაქტიური მდგომარეობა კი ასეთ სურათს იძლევა: შობადობის ჯამური კოეფიციენტი განვითარებად ქვეყნებში 2.9-ს შეადგენს, რაც განვითარებული ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებლს 1.8-ჯერ აღემატება. მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედვით ვითარება კიდევ უფრო კონტრასტულია. შობადობის ჯამური კოეფიციენტი აფრიკაში 5.1-ს აღწევს, რაც ჩრდილოეთ ამერიკის შესაბამის მაჩვენებლს 2.5-ჯერ, ხოლო ევროპისას – 3.6-ჯერ აღემატება.

მაჩვენებლთა ასეთი კონტრასტულობა, თავის მხრივ, საკმაოდ მყარ საფუძვლებს ემყარება. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, დემოგრაფიული გადასვლის პროცესის დაუმთხვეველობა დროსა და სივრცეში. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, რომელიც გამოირჩევა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებითა და მცირეშვილიანობით, დიდი ხანია, რაც დამკვიდრდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ ძალიან მძიმედ მკვიდრდება სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით აფრიკაში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, არცთუ იშვიათად, ოჯახში ბავშვთა ფაქტიური რიცხოვნობა საგრძნობლად აღემატება ბავშვთა სასურველ რაოდენობას (ოჯახში შვილებზე რეალურად არსებულ მოთხოვნილებას). ამას ხელს უწყობს ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო ცივილიზებული მეთოდების არასრულყოფილი გამოყენება. ასე, მაგალითად, 2006 წელს აფრიკაში დაოჯახებულ ქალთა მხოლოდ 28 პროცენტი იყენებდა კონტრაცეპტივების ყველანაირ საშუალებას, ხოლო 22 პროცენტი – მარტო თანამედროვე მეთოდებს. შესბამისი მაჩვენებლები შეადგენდა: ევროპაში 68 და 53 პროცენტს, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში – 73 და 69 პროცენტს.

ამასთან ერთად, განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ შემორჩენილ შედარებით მაღალშვილიანობას განსაზღვრავს ერთ-ერთი საკმაოდ მყარი ტრადიცია – შვილების მიერ მშობლების უზრუნველყოფა სიბერეში, რაც ზრდის ბავშვთა სოციალურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ ფასეულობას ოჯახში. სერიოზულ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორიც – რწმენა იმისა, რომ ღვთის მიერ ნაბოძები შვილების მიმართ (რა ასაკშიც უნდა იყონ ისინი) ხელის აღმართვა დიდ ცოდვად ეთვლება ადამიანს და ამის თაობაზე მოეკითხება საიქიოში;

– მოკვდაობის შედარებით დაბალი დონე და თანდა-
თანობით შემცირების ტენდენცია. საკმარისია აღინიშნოს,
რომ 2006 წელს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გან-
ვითარებად ქვეყნებში (9.0 ‰) განვითარებული ქვეყნების
საშუალო მაჩვენებელთან (10.0 ‰) შედარებით 10 პროცენ-
ტით დაბალი იყო. შეინიშნება ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის
ზოგადი კოეფიციენტის შემცირებაც. უკანასკნელი რვა
წლის (1999-2006 წწ.) განმავლობაში (ყოველ 1 ათ. ცოც-
ხლადშობილის მიმართ) 64-დან 57-მდე შემცირდა და
დღეისთვის მხოლოდ 9,6 პროცენტით აღემატება მსოფ-
ლიო მასშტაბით შესაბამის საშუალო მაჩვენებელს
(53.0 ‰).

ასეთი პოზიტიური შედეგები აიხსნება მოკვდაობის
ეგზოგენური ფაქტორების (მასობრივი ეპიდემიები და
სხვ.) თავიდან აცილებით, სრულყოფილი მედიკამენტების
გამოყენების კვალობაზე, მკურნალობის თანამედროვე მე-
თოდებზე თანდათანობით გადასვლით, თვითშენახვითი
ქცევის დონის რამდენადმე ამაღლებით და ა.შ.;

– მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის
ზრდა. განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უკანას-
კნელი რვა წლის (1999-2006 წწ.) განმავლობაში 3 პრო-
ცენტით გაიზარდა და ამჟამად 67 წელს აღწევს, რაც მხო-
ლოდ ორი პროცენტით ჩამორჩება მსოფლიოს შესაბამის
საშუალო მაჩვენებელს (67 წ.).

როცა ვმსჯელობთ მოსახლეობის გადამეტწარმოება-
ზე, მხედველობაში გვაქვს მისი არა აბსოლუტური, არა-
მედ შეფარდებითი (სამუშაო ადგილების, საარსებო საშუ-
ალებების მიმართ და ა.შ.) სიჭარბე, რაც მრავალი მწვა-
ვე პრობლემის წყაროდ გვევლინება როგორც თვით „მე-
სამე სამყაროს“ ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობასა და
მათი მუდმივად მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების
დაკმაყოფილებისთვის საჭირო ბაზას შორის დისბალან-

სის არსებობაზე მიგვანიშნებს ასეთი მონაცემები: „მესამე საამყაროს“ ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 74 პროცენტი, მაშინ როდესაც ამ რეგიონზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მხოლოდ 7 პროცენტი¹. 2005 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) განვითარებულ ქვეყნებში (მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით) წარმოებულ იქნა 27,8, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 4,9 ათ. აშშ დოლარის ოდენობით.

ამ მხროვ მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედვით ასეთი ვითარებაა. 1 მცხოვრებზე საშუალოდ იწარმოება: ჩრდილოეთ ამერიკაში 40980, ევროპაში – 21120, აზიაში – 5960, ხოლო აფრიკაში – 2480 დოლარის მეპ (აშშ დოლარებში, მყიდველობითუნარიანობის მიხედვით). როგორც ჩანს, ევროპის მაჩვენებელი აღემატება აზიის შესბამის მაჩვენებელს 3,5-ჯერ, და აფრიკისას – 8,5-ჯერ, ჩრდილოეთ ამერიკისა კი – აზიისას 7-ჯერ და აფრიკისას – 16,5-ჯერ. თანაც, ეს თანაფარდობა, ეკონომიკის ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, არა მარტო არ მცირდება, არამედ მატულობს კიდევ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, განვითარებად რეგიონში, დოვლათის წარმოების გადიდებასთან შედარებით, წინმსწრები ტემპებით იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა. ასეთი ნეგატიური ტენდენციის უცილობელი შედეგია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება და გაღატაკება.

2006 წელს საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დღეში საშუალოდ 2 აშშ დოლარზე ნაკლებს (რაც სიღარიბის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება) ხარჯავდა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 79 პროცენტი (მ.შ. ტანზანიისა – 90 და ზამბიის –

¹ ჯ. კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბილისი, 1997, გვ. 396.

94), ხოლო დასავლეთ აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის – 83 პროცენტი (მ.შ. მალისა – 91 და ნიგერიის – 92%).

კიდევ უფრო მწვავე სოციალურ ვითარებაზე მიგვა-
ნიშნებს სოლიდური რაოდენობა მოსახლეობის იმ ნაწი-
ლისა, რომელსაც თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფი-
ლებისთვის დღეში 1 დოლარზე მეტის დახარჯვა არ ძა-
ლუძს. ასეთი დატაკი მოსახლეობის ხვედრითი წილი
1990-2003 წლებში საშუალოდ შეადგენდა (%-ობით): მალი-
ში – 72.3, ნიგერიაში – 70.2, ცენტრალური აფრიკის რეს-
პუბლიკაში – 66.6, ზამბიაში – 63.7, მადაგასკარში – 61.0,
გვინეასა და გამბიაში – 59.3, ბურუნდში – 58.4, სიერა-
ლეონეში – 57.0, ზიმბაბვეში – 56.1 და ა.შ.

არ შეიძლება კაცობრიობას არ აწუხებდეს ბედი სა-
ზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც კვების პროდუქტე-
ბის ქრონიკულ დეფიციტს განიცდის და ნახევრად-მშიერ
მდგომარეობაში იჯანჯება. 2000-2002 წლებში ასეთი მო-
სახლეობის ხვედრითი წილი შეადგენდა: მთელ მსოფლიო-
ში საშუალოდ 24 პროცენტს, მ.შ. საჰარის სამხრეთით
მდებარე აფრიკის ქვეყნებში – 30, ადამიანისეული პოტენ-
ციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში –
32, ხოლო ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში – 33
პროცენტს. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის
დირექტორის, ამერიკელი ფინანსისტის ჯეიმს მორისის
ინფორმაციით, დღეისთვის ჩვენს პლანეტაზე 850 მილიონ-
ზე მეტი ადამიანი ნახევრადმშიერია. აქედან 50 პროცენტს
ბავშვები შეადგენენ. ინდოეთში შიმშილობს 100 მილიონ-
ამდე ბავშვი, ჩინეთში – თითქმის 50 მლნ, ლათინურ
ამერიკაში – დაახლოებით 30 მილიონამდე ბავშვი. ზანგი
ბავშვების 46 პროცენტი ჯერ კიდევ გასული საუკუნის
80-იანი წლების დასასრულისთვის იმყოფებოდა სიღარი-
ბის ზღვარს მიღმა.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება,
რომ მთელ რიგ ჩამორჩენილ ქვეყნებში გამოუკვებავი (ნა-

ხევრადმშიერი) მოსახლეობის ხვედრითი წილი არამცტუ არ მცირდება, არამედ (მოსახლეობის სწრაფად გამრავლების გამო) მატულობს კიდევ. ასე, მაგალითად, ასეთი მოსახლეობის ხვედრითი წილი 2000-2002 წლებში, 1990-1992 წლებთან შედარებით, გაიზარდა: სიერა-ლეონეში 46-დან 50 პროცენტამდე, სვაზილენდში – 14-დან 19-მდე, გამბიაში – 22-დან 27-მდე, ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში – 37-დან 44-მდე, გვატემალაში – 16-დან 24-მდე, ბოტსვანაში – 23-დან 32-მდე, ბურუნდში – 48-დან 68-მდე, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 32-დან 71 პროცენტამდე¹ და ა.შ.

2002 წლისთვის არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე ხელი არ მიუწვდება მსოფლიოს მოსახლეობის 17 პროცენტს, მ.შ. განვითარებადი ქვეყნების – 21, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მოსახლეობის – 22, ხოლო ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 39 პროცენტს. რაც შეეხება სრულყოფილი კანალიზაციით სარგებლობას, ამ მხრივ ასეთი სურათი იკვეთება: მას მოკლებულია მსოფლიოს მოსახლეობის 42 პროცენტი, მ.შ. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 52 პროცენტი, საჰარიდან სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის 64 და ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის – 65 პროცენტი².

სიღარიბის დაძლევა და ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმით მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილება უაღრესად რთულად გადასაჭრელი ამოცანების კატეგორიას განეკუთვნება. მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, მთელი საზოგადოები-

¹ Доклад о развитии человека - 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. „Весь Мир“, 2005, с. 264-265.

² იქვე.

სა და მისი თითოეული წვერის მოთხოვნებიდან განუსაზღვრელობასა (უკიდევანობასა) და, მეორე მხრივ, მათი დაკმაყოფილებისთვის საჭირო რესურსების შეზღუდულობას შორის არსებული დისბალანსი. როგორც ცნობილია, დედამიწის ზედაპირის ფართობი სულ 510 მლნ კვ. კილომეტრს შეადგენს. აქედან ზღვებსა და ოკეანეებს უჭირავს 70.8 პროცენტი, ხოლო ხმელეთზე მოდის 29.2 პროცენტი. სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება მთელი ხმელეთის მხოლოდ 6.7 პროცენტი. მოსახლეობის 1 სულზე სახნავი მიწის ფართობი მოდის (ჰექტარობით): საფრანგეთში 0.67, აშშ – 0.64, იტალიაში – 0.50, ინგლისში – 0.35, გერმანიაში – 0.21, საქართველოში – 0.16 და ა.შ.

მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი უკვე განიცდის სასმელი წყლის საგრძნობ ნაკლებობას. გერმანია სასმელ წყალს ყიდულობს შვეიცარიისგან, აშშ – კანადისგან, ჰოლანდია – ნორვეგიისგან. თურქეთში ჩვეულებრივი მოვლენაა მომხმარებლისთვის მღვრიე – მოყვითალო ფერის წყლის მიწოდება, რაც უამრავი ავადმყოფობის გავრცელებას უწყობს ხელს. აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის 1 სულზე დღეღამეში მოდის არაუმეტეს 3 ლიტრი წყლისა, რაც მინიმალურ დოზას არ აღემატება.

ინტენსიურად იზრდება წყლის დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნუსხაც. თუ 1944 წელს სასმელ წყალში აღინიშნებოდა შეზიდული 16 ნივთიერების შემცველობა, მან 1960 წელს 70-ს, 1967 წელს – 180-ს და 1973 წელს – 250-ს მიაღწია. ამჟამად კი ასეთ ნივთიერებათა ოდენობა 600-ს აღემატება¹.

ექსპერტთა გათვლებით, მიუხედავად იმისა, რომ სილატაკის დონე (დღეში 1 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით მცხოვრებთა ხვედრითი წილი) მსოფლიოში,

¹ ნ. ჭარბავა, საინტერესო ამბების სკიკერი, ქუთაისი, 1997, გვ. 211-212.

ნაცვლად ამჟამად არსებული 21 პროცენტისა, 2015 წლისთვის, დასახული ამოცანის შესაბამისად, 14 პროცენტამდე უნდა შემცირდეს, ამ დროისთვის დღეში 1 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით იცხოვრებს 800 მლნ ადამიანი, ხოლო 2 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით – 1.7 მლრდ ადამიანი. მკვეთრად შეიცვლება დღეში 1 დოლარის ხარჯზე მცხოვრები ლატაკების ტერიტორიული გაადგილებაც. ასეთი კატეგორიის მოსახლეობაში საქაროდან სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების ხვედრითი წილი თუ ამჟამად 24 პროცენტს შეადგენს, 2015 წლისთვის 41 პროცენტამდე ამაღლდება.

კიდევ უფრო ნაკლები იმედის მომცემია უახლოეს პერიოდში მოსახლეობის გამოუკვებლობის პრობლემის დაძლევა. მართალია, ნახევრადმშვიერთა ხვედრითი წილი, 1990 წლის მაჩვენებელთან (21 %) შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა, მაგრამ, ძირითადად განვითარებად რეგიონში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების შედეგად, გამოუკვებავი მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის უცვლელი დარჩა. წარმოების ზრდის დღევანდელი ტემპების გათვალისწინებით, არც უახლოეს ათწლეულში მოსჩანს მისი საგრძნობლად შეცვლის რეალური შესაძლებლობანი. რაც შეეხება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კანალიზაციის სისტემით სარგებლობას, 2015 წლისთვის მას მოკლებული იქნება 2 მილიარდზე მეტი ადამიანი, რომელთა უდიდესი უმრავლესობა აფრიკის ტერიტორიაზე იცხოვრებს.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის გადამეტწარმოების გლობალური ხასიათი განსაკუთრებით ვლინდება ამ რეგიონიდან (სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტის გამო) შრომითი რესურსების დიდძალი ნაკადების ძირითადად ევროპისა და ამერიკის კონტინენტებისკენ მიგრაციაში. მაგალითად, საფრანგეთში მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა 25 პროცენტს იმიგრანტები შეადგე-

ნენ, საავტომობილო მრეწველობაში კი ამგვარი კონტინგენტის წილი ერთ მესამედს აღწევს. შვეიცარიაში მშენებელთა 40 პროცენტი და ბელგიაში მუშათა 50 პროცენტი იმიგრანტია¹.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დასახელებული სახელმწიფოებისა და საერთოდ მთელი განვითარებული სამყაროს აღმსარებლის საფუძველი უნდა ვეძიოთ იმ პრობლემებში, რომლებსაც დასაქმების მიზნით სამუშაო ძალის ინტენსიური გარე მიგრაცია წარმოშობს. მხედველობაში მაქვს მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შოვნაში კონკურენცია ადგილობრივ კადრებთან, საბინაო და სხვა სოციალური პრობლემების გართულება, კრიმინოგენური ვითარების დაძაბვა, ზნეობრივი, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების წარმოქმნა და ა.შ.

აი, რატომ მიმართავენ შრომითი რესურსების მიმღები ქვეყნები იმიგრანტთა ლიმიტირებას (კეოტის დაწესებას). ლეგალურ მიგრანტთა ლიმიტი წელიწადში ამჟამად 800 ათ. ადამიანს შეადგენს (აშშ – 270 ათ. კაცს), მაგრამ ეს მსურველთა ერთი პროცენტიც არაა. ამიტომ ფართოდაა გავრცელებული არალეგალური მიგრაცია. იტალიის კუნძულ ლამპედუზაზე მეთევზეთა მოტორიან ნაეებს ყოველდამე ჩამოჰყავთ სამუშაოს მაძიებელი აფრიკელები. მარტო 1996 წელს ამ კუნძულზე 3 ათასზე მეტი არალეგალური მიგრანტი ჩამოვიდა. ვინც პირადობის დამადასტურებელ საბუთს უჩვენებდა, იმას უკან აბრუნებდნენ. უსაბუთოებისთვის (მაგრამ ქრთამის სახით სათანადო გასამრჯელოს გამღებთათვის) კი გზა ხსნილი იყო ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ.

თვალსაწიერ მომავალში ამ პრობლემების გადაჭრის პერსპექტივა არ მოსჩანს. ასეთი კატეგორიული დასკვნის

¹ Доклад о развитии человека 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. `Весь Мир`, 2005, с. 49-50.

საფუძველს მაძლევს, ჯერ ერთი, მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება და განვითარებად რეგიონში შრომითი რესურსების ახალი ნაკადების კონცენტრაცია. შრომის საერთაშორისო ბიუროს შეფასებით, 2025 წლისთვის განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 74-დან 83 პროცენტამდე გაიზრდება. ამ თარიღისთვის მხოლოდ აფრიკის ხვედრითი წილი მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 18 პროცენტამდე ამალდება ანუ, 1985 წელთან შედარებით, 1.8-ჯერ გაიზრდება და გადააჭარბებს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წილს.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ვერც ეკონომიკის განვითარების ტემპები იძლევა საკუთარი ძალებით უმუშევრობის პრობლემის დაძლევის იმედებს. სპეციალისტთა გათვლებით, თუ მხედველობაში მივიღებთ 2000-2005 წლებში წარმოების ზრდის ტემპებს, მაგალითად, ინდოეთს 100 წელი მაინც დასჭირდება იმისთვის, რომ მაღალშემოსავლიან ქვეყნებს დაეწიოს. სხვა ქვეყნები და რეგიონები კიდევ უფრო მეტი სირთულეების წინაშე დგანან. თუ ვივარაუდებთ დღეიდან მაღალშემოსავლიან ქვეყნებში წარმოების ზრდის პროცესის შეჩერებას, ხოლო ლათინური ამერიკისა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში ზრდის არსებული ტემპების შენარჩუნებას, მაღალშემოსავლიან ქვეყნებს ლათინური ამერიკა დაეწევა მხოლოდ 2177 წლისთვის, ხოლო აფრიკა – არაუადრეს 2236 წლისა¹.

მოსახლეობის გადამეტწარმოებასთან დაკავშირებული ნეგატიური ტენდენციების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია განვითარებად ქვეყნებში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას.

¹ Доклад о развитии человека 2005 Международное сотрудничество: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. „Весь мир“, 2005, с. 43.

ამის ნათელ მაგალითს იძლევა ჩინეთის გამოცდილება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უკანასკნელი რვა წლის (1999-2006 წწ.) განმავლობაში 5 პრომილით შემცირდა და ამჟამად 12 პრომილეს არ აღემატება, მაშინ როდესაც მსოფლიოს შესაბამისი საშუალო მაჩვენებელი 21 პრომილეა.

როგორც აღენიშნეთ, თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური დემოგრაფიული პრობლემაა დეპოპულაცია – ყოველწლიურად გარდაცვლილთა რიცხოვნობის გადამეტება ახალშობილთა რიცხოვნობაზე. ამ პრობლემის გლობალურ ხასიათზე მიგვანიშნებს, ჯერ ერთი, ის, რომ სისტემატურად მატულობს იმ ქვეყნების რიცხოვნობა (დღეისთვის ასეთია 76 ქვეყანა), რომლებშიც შობადობის ჯამური კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ დონესაც (2.10) ვერ აღწევს; მეორე, ის, რომ, სპეციალისტთა პროგნოზული გათვლებით, მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა აბსოლუტურ ბუნებრივ კლებას დაიწყებს უკვე XXII საუკუნიდან; და, მესამე, ის, რომ დღეისთვის მსოფლიოს 10 ქვეყანაში უკვე ნათლად შეიმჩნევა დეპოპულაცია. როგორც მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მონაცემებიდან ჩანს, 2006 წელს ყოველ ათას მცხოვრებზე მოსახლეობის ბუნებრივი კლება შეადგენდა: უკრაინაში 8, რუსეთსა და ბელორუსია – 6, ლატვიაში – 5, ბულგარეთსა და ლიტვაში – 4, გერმანიაში, რუმინეთსა და ესტონეთში – 2 და მოლდოვაში – 1 ადამიანს. თუ მოკვდაობის არასწორად გაანგარიშებულ ზოგად კოეფიციენტში სათანადო კორექტივს შევიტანთ, საქართველოც ამ ქვეყნების ჯგუფში აღმოჩნდება. ამიტომ წინამდებარე სტატიაში მომდევნო ნაწილი ძირითადად საქართველოში არსებული მწვავე დემოგრაფიული კრიზისისა და მასთან დაკავშირებული ნეგატიური ტენდენციების ანალიზს მიეძღვნება.

დაეიწყოთ მოსახლეობის აღწარმოების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტით, როგორცაა შობადობა. მისი დინამიკა ასეთ სურათს იძლევა: მოსახლეობის ყოველ ათას სულზე აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ 35-დან 40-მდე ბავშვი იბადებოდა, 1913 წელს დაიბადა 28, 1960 წელს – 24.7, 1990 წელს – 17, ხოლო 2006 წელს – 12.

როგორც აღენიშნეთ, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის ჯამური კოეფიციენტი. ეს მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა: 1960 წელს 2.59-ს, 2002 წელს – 1.1-ს, ხოლო 2006 წელს – 1.4-ს*. როგორც ჩანს, ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე გაანგარიშებით, ბავშვთა რაოდენობა 2.59-დან 1.40-მდე (2002 წ. – 1.10-მდე) შემცირდა. დღეისთვის ეს მაჩვენებელი 1.5-ზე დაბალი აქვს მსოფლიოს მხოლოდ 20 ქვეყანას (იაპონია, ჩრდილოეთ კორეა, ლიტვა, ლატვია, ავსტრია, გერმანია, ბელორუსია, ბულგარეთი, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა, სლოვენია, საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, სლოვაკია, ესპანეთი და საქართველო).

საქართველოში 1960 წელს დაიბადა 102.8 ათ. ბავშვი, ხოლო 2004 წელს – 49.6 ათასი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა მაშინ თითქმის ერთი მილიონით ნაკლები იყო, ვინემ 2004 წელს.

დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპებისგან განსხვავებით, ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 2004 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 56.7 პროცენტი მოდის პირველ შვილზე, 31.8 პროცენტი – მეორე შვილზე და მხოლოდ

* 2002 წელთან შედარებით, 2006 წელს ამ მაჩვენებლის ზრდა, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო გაანგარიშებებში დაშვებული უზუსტობით აიხსნება, ვინემ რეალური მდგომარეობით.

11.5 პროცენტი – მესამე და მომდევნო შეილებზე¹, რაც მცირეშეილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს.

როგორც ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, მაგრამ სასურველი – კი. დღეისთვის, ფრიად სამწუხაროდ, ვერც ეს უკანსკენელი უზრუნველყოფს არა მარტო გაფართოებულ, არამედ მარტივ აღწარმოებასაც. როგორც ჩანს, მოხდა ოჯახში შეილებზე მოთხოვნილების ერთგვარი გაუფასურება (დევალვაცია).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, საქართველოში რესპონდენტთა 4 პროცენტი ერთ შეილს მიიჩნევს ოჯახში შეილთა სასურველ რაოდენობად, 52 პროცენტი – ორს და მხოლოდ 35 – სამ შეილს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, არცთუ იშვიათად (მეტწილად ლტოლვილთა და დევნილთა შორის), განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება თვით პირველი შეილის გაჩენისა და შეუღლების აქტისაც კი, რომლის სავალალო შედეგები უფრო მეტად იჩენს თავს მომავალში, კერძოდ, მაშინ, როდესაც ამჟამად ახალშობილი თაობა ფერტილურ ასაკს მიაღწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შესამჩნევად მაღალია როგორც საერთოდ დაუქორწინებელ, ისე გვიან დაქორწინებულთა ხვედრითი წილი. ასე მაგალითად, გასული საუკუნის უკანასკნელი წლების მონაცემებით, არცერთხელ არ ყოფილა დაქორწინებული ფერტილური ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი, თანაც, ეს მაჩვენებელი სისტემატურად იზრდება. ამასთან ერთად, ქვეყნის მასშტაბით დაქვრივებულია 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 10 პროცენტამდე. ეს მაჩვე-

¹ გ. წულაძე, ნ. მადლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2004, თბილისი, 2005, გვ. 42.

ნებელი, ცნობილ გარემოებათა გამო, საშუალოზე უფრო მაღალია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეენილ და ლტოლვილ მოსახლეობაში.

დაუქორწინებლთა და დაქვრივებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს როგორც შობადობის, ისე მოსახლეობის აღწარმოების სხვა მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით მოკვდაობაზე. პროფ. მ. ხმალაძე ოჯახური მდგომარეობის მიხედვით მოკვდაობის საკითხის გამოკვლევაში იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ: ჯერ ერთი, დაუქორწინებელი კაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი კაცების მოკვდაობას, მაშინ როცა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში სხვაობა უმნიშვნელოა; და, მეორე, ქვრივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქორწინებაში მყოფი, ისე ქორწინებაში არსდროს ნამყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო მკვეთრად შეიმჩნევა ისევე კაცებში¹.

როგორც ცნობილია, მოკვდაობა, შობადობასთან ერთად, განსაზღვრავს მოსახლეობის ზრდის ტემპებს. იგი საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. მოკვდაობამ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (6.5 ‰) 1960 წელს მიაღწია. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, სტაბილური იყო ან ოდნავ იზრდებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი არაორდინარული ვითარების გამო, მკვეთრად გაიზარდა და, 2004 წლის მონაცემებით, იგი 11.3 პრომილეს შეადგენს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის შეგნებულად თუ უნებლიედ მოშლის გამო, ხელოვნურად შემცირებულია. სპეციალისტთა გათ-

¹ მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1995, გვ. 30-31.

ვლით, მაგალითად, 1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046 გარდაცვლილი, ხოლო 1996 წელს – 5833.

მოკვდაობის მაჩვენებელზე, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის არასაკმარისი უზრუნველყოფა სასურსათო პროდუქტებით (ცხრ. 1).

რომ არაფერი ვთქვათ გასული საუკუნის 90-იანი წლების მძიმე პერიოდზე, XXI საუკუნის გარიჟრაჟზეც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა: ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე 37, რძესა და რძის პროდუქტებზე – 62.4, თევზსა და თევზპროდუქტებზე – 19, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 50, ხილსა, კენკრასა და ყურძენზე – 80 პროცენტით, სამაგიეროდ, პური-სა და პურპროდუქტების ფაქტიური მოხმარება ფიზიოლოგიურ ნორმას აღემატებოდა 15.6 პროცენტით. ამასთან, 1990-2002 წლებში დღეღამეში ცილების მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე საშუალოდ თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ცხიმებისა კი 2.5-ჯერ. ასევე, საგრძნობლად იკლო მოხმარებული პროდუქტების კალორიულმა შემადგენლობამ და იგი მერყეობს საშუალოდ 1600-1700 კკალორიის ფარგლებში, რაც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ფრიად უარყოფითად მოქმედებს.

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1000 ცოცხლად დაბადებულზე) წარმოადგენს. იგი საქართველოში 2004 წელს 23.8 პრომილეს შეადგენდა, მაშინ როდესაც საფრანგეთში, გერმანიაში, პორტუგალიაში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში 4 პრომილეს, ხოლო იაპონიაში, შვედეთში, სინგაპურში, ფინეთში, სამხრეთ კორეაში 3 პრომილესაც არ აღემატება. ეს დიდძალი რეალური რეზერვის არსებობაზე მიგვანიშნებს, რამეთუ 2004 წელს 1 წლამდე ასაკის 1178 ბავშვი გარდაიცვალა.

კვების პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური
 ნორმები და წლიური ფაქტიური მოხმარება
 მოსახლეობის 1 სულზე (კგ)

ცხრილი 1.

	მოხმარების ფიზიო- ლოგიური ნორმები	1990 წ.		1994 წ.		2002 წ.	
		ფაქტ. მოხმარ.	%	ფაქტ. მოხმარ.	%	ფაქტ. მოხმარ.	%
ხორცი და ხორც- პროდუქტები	130.0	184.6	142.0	152.6	117.4	150.3	115.6
პური და პურპრო- დუქტები	55.0	36.5	66.4	2.4	17.1	20.4	37.0
რძე და რძის პროდუქტები	315.0	311.3	98.7	90.6	56.8	197.0	62.4
თევზი და თევზის პროდუქტები	10.0	8.0	80.0	0.4	4.0	1.9	19.0
მცენარეული ზე- თი	6.0	4.5	75.0	2.4	40.0	6.7	117.0
კვერცხი (ცალი)	150	140.0	93.3	63.2	42.1	123.4	82.2
კარტოფილი	50.0	37.3	75.0	27.0	54.0	47.0	94.0
ბოსტნეული და ბალჩეული	100.0	81.2	81.2	55.4	55.0	50.0	50.0
ხილი, კენკრა, ყურძენი	65.0	483.0	74.1	24.0	37.0	52.0	80.0
შაქარი	15.0	17.0	113.3	4.8	32.0	24.0	158.0

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთი-
 ერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუ-
 ნებრივ მოძრაობაზე, ე.ი. იმის შესახებ, იზრდება იგი თუ
 მცირდება. ჩვენს ქვეყანაში რამდენადაც შობადობა სწრა-

ფი ტემპებით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილური), ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და, საბოლოო ჯამში, დეპოპულაციაში გადადის. ასე მაგალითად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება (ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით) შეადგენდა: 1960 წელს 18.2, 1990 წელს – 8.6. 1995 წელს – 3.8, 2006 წელს – 0.1 (2000 წელს ნაცვლად მატებისა, ადგილი ჰქონდა კლებას და ამ მაჩვენებელმა მინუს 0.2 პრომილე შეადგინა)¹.

დღეისათვის საქართველო მთელი აზიის კონტინენტზე ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც (თუმცა შორეულ პერსპექტივაში) თავისი ავტოქტონური ეთნოსის – ქართველთა გენოფონდის გაქრობის რეალური საშიშროება ემუქრება. აი, როგორია პროგნოზი: საქართველოს მოსახლეობა თუ 1990 წელს 5.4, ხოლო 2005 წელს 4.5 მლნ კაცს შეადგენდა, 2025 წლისთვის 3.1, ხოლო 2050 წლისთვის – 3.2 მლნ-მდე შემცირდება.

დეპოპულაცია ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონში შეიმჩნევა, გამონაკლისი მხოლოდ სამია (აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი). მოსახლეობის როგორც მატების, ისე არც კლების ინტენსივობა ყველა რეგიონში თანაბარზომიერი (ცხრ. 2).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2000 წელს მოსახლეობის ბუნებრივი კლების ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა: მთლიანად საქართველოში 0.2-ს, მათ შორის: რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 3.9-ს, კახეთში – 3.7, გურიაში – 2.7, იმერეთში – 1.4, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1.3, შიგა ქართლში – 0.5, თბილისში, ასევე, მცხეთა-მთიანეთში – 0.3 (მაშინ როდესაც 1990 წელს კლებას

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2001, თბილისი, 2002, გვ. 39.

* როგორც ცნობილია, საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყანაა, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები მას, უწინარეს ყოფლისა, აზიის კონტინენტის ქვეყანად თვლიან.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა საქართველოში
(1990-2000 წწ. ყოველ 1000 მცხოვრებზე)¹

ცხრილი 2.

	საქართველო მთლიანად და მისი რეგიონე- ბი	1990 წ.			2000 წ.		
		ცოცხლად დაბად.	გარდაც- ვლილები	ბუნებრივი მატება(+) კლება(-)	ცოცხლად დაბად.	გარდაც- ვლილები	ბუნებრივი მატება(+) კლება(-)
	საქართველო – სულ	17.3	8.5	+8.8	8.9	9.1	-0.2
1	თბილისი	15.6	8.1	+7.5	8.5	8.8	-0.3
2	იმერეთი	16.7	9.2	+7.5	10.0	11.4	-1.4
3	გურია	17.0	11.4	+5.6	9.8	12.5	-2.7
4	სამეგრელო- ზემო სვანეთი	15.7	9.1	+6.5	7.9	9.2	-1.3
5	რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი	12.9	16.5	-3.6	7.0	10.9	-3.9
6	კახეთი	17.6	10.6	+7.0	7.0	10.7	-3.7
7	მცხეთა-მთიანეთი	16.9	9.1	+7.8	10.1	10.4	-0.3
8	შიდა ქართლი	17.6	9.1	+8.5	9.9	10.4	-0.5
9	აჭარა	18.9	6.7	+12.2	12.3	6.7	+5.6
10	ქვემო ქართლი	21.4	6.1	+15.3	8.0	6.1	+1.9
11	სამცხე-ჯავახეთი	19.5	7.4	+12.1	7.6	7.0	+0.6

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2001, თბილისი, 2002, გვ. 166-170.

მხოლოდ ერთადერთ რეგიონში – რაჭა-ლეჩხუმში ჰქონდა ადგილი). რაც შეეხება ბუნერივი მატების კოეფიციენტს, იგი ასე გამოიყურებოდა: სამცხე-ჯავახეთი 0.6, ქვემო ქართლი – 1.9, აჭარა – 5.6.

ეს ნეგატიური ტენდენცია, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. მაგალითად, 2004 წელს დუშეთში დაიბადა 56 ბავშვი და გარდაიცვალა 82 ადამიანი, ამბროლაურში, შესაბამისად, 35 და 147, ცაგერში – 95 და 129 და ა.შ.

ამ საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს გვიჩენს, რამდენადაც ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვანდ ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენლები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვინემ ქართველები. მაგალითად, 2005 წელს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ბუნებრივმა კლებამ შეადგინა 0.3 პრომილე, ხოლო აზერბაიჯანელების ბუნებრივმა მატებამ 11.7 და ქურთებისა და იეზიდების მატებამ – 17.9 პრომილე¹.

ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ კონტრასტული მაჩვენებლები, მთელი რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დემოგრაფიული განვითარებისა და, მასთან დაკავშირებით, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების სხვადასხვა დონითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა მოხდა საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში – XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან, მუსულმანებში ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების თვალსაზ-

¹ ექსპერტული შეფასებით. იხ. გ. წულაძე, ნ. მაღალფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული – 2006, თბილისი, 2007, გვ. 206.

რისით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს რელიგიური ფაქტორი ასრულებს.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებაც. ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით, იგი შეადგენდა: 1980 წელს 10.0, ხოლო 2004 წელს – 3.5¹. ასეთ კონტრასტულ მაჩვენებლებს მთლად დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკანსკნელ პერიოდში ქორწინების ცერემონიალი არცთუ იშვიათად მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.

რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართულ მოსახლეობაში. 2004 წლის მონაცემებით, იგი 0.4 %-ს არ აღემატება. სხვათაშორის, ეს მაჩვენებელიც ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.2-ჯერ. მით უმეტეს, ეს არის პერიოდი, როდესაც, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მწვავე (სისხლისმღვრელ) ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით, შერეული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა.

თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენციაა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წონის სისტემატური ზრდა. ეს მაჩვენებელი საქართველოში თუ 1980 წელს 4.7 პროცენტს არ აღემატებოდა, 1990 წელს 18.2 პროცენტამდე, ხოლო 2004 წელს 45.9 პროცენტამდე ავიდა². როგორც ჩანს, ამ-

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწდული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 39.

² იქვე, გვ. 41-42.

ჟამად თითქმის ყოველი მეორე ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ქორწინება სამთავრობო ორგანოებში არ რეგისტრირდება, ამიტომ ნორმალურ და შეხმატკბილებულ, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არარეგისტრირებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვების გარკვეული ნაწილიც ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულად ითვლება, რაც ხელოვნურად ზრდის მათ რაოდენობას და რეალურ ვითარებას მრუდედ წარმოგვიდგენს. ამ მომენტის გათვალისწინების შემთხვევაშიც, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რეალური რიცხოვნობა დასაშვებ დონეს მკვეთრად აღემატება და არა ერთ მწვეავე პრობლემას წარმოშობს. მხედველობაში მაქვს მამის (ზოგჯერ დედის) მხრივ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდასა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული სირთულეები და არა მარტო ეს.

ყურადღებას იქცევს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მენტალიტეტის შეცვლაც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ 18 პროცენტმა, 62 პროცენტი გამართლებულად მიიჩნევს, თუმცა სხვადასხვა მოტივაციით.

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ დემოგრაფიულ პრობლემას მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს. საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნად ითვლება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან,

მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი უკვე 13.4 პროცენტს შეადგენს¹, მაშინ როდესაც (გაეროს კლასიფიკაციით) დაბერების ზღვრად 7% ითვლება. როგორც მაჩვენებელთა ურთიერთშედარება ცხადყოფს, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 13 პროცენტს აღემატება მსოფლიოს 209 ქვეყნიდან 24-ში, მათ შორისაა საქართველოც.

შედარებისთვის: 2006 წლის მონაცემებით, დემოგრაფიულად ყველზე უფრო დაბერებული ქვეყნებია იაპონია (20%), იტალია და ლუქსემბურგი (19%), საბერძნეთი (18%). მომდევნო საფეხურზე არიან: ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, შვედეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია (17 %) და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერტილური ასაკის ქალთა დაბერება. საქართველოში ასეთი კონტიგენტის მანდილოსანთა თითქმის ნახევარი 36 წელსაა გადაცილებული, რაც მომავალში ფრიად უარყოფით გავლენას მოახდენს შობადობის ინტენსიურობაზე.

დემოგრაფიული დაბერება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს სოფლად. ასე, მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის დასასრულისთვის 60 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენდა: ქალაქად 15 პროცენტს, ხოლო სოფლად – 20 პროცენტს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, სოფელი თითქმის დაიცალა ახალგაზრდობისგან.

¹ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2005, თბილისი, 2005, გვ. 29.

სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით ვითარება არაერთგვაროვანია რეგიონულ ჭრილშიც. ცნობილი სპეციალისტის როსეტის კლასიფიკაციით, დემოგრაფიული „სიბერის ძლიერ განვითარებული დონე“ ახასიათებთ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს, იმერეთს, გურიასა და კახეთს; „განვითარებული დონე“ – შიგა ქართლს, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს; „საშუალო დონე“ – აფხაზეთს; „სიბერის საწყისი დონე“ – სამცხე-ჯავახეთს. დემოგრაფიული სიბერის ასაკამდე ჯერ არ მიუღწევია მხოლოდ ქვემო ქართლისა და აჭარის სოფლის მოსახლეობას. თუმცა, საქართველოს არცერთ რეგიონში არაა დემოგრაფიულად ახალგაზრდა სოფლის მოსახლეობა.

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას თან სდევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (განსაკუთრებით მისი დასაქმებული ნაწილის) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი ათასი კაცის კმაყოფაზე იმყოფებოდა: 1990 წელს 950, ხოლო 2004 წელს – 1340 არაშრომისუნარიანი ასაკის მოქალაქე. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ უმუშევრობის მაღალ დონეს (რაც რეალური სურათის მისაღებად აუცილებელია), სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა კიდევ უფრო გაიზრდება. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი დასაქმებული ათასი კაცის კმაყოფაზე თუ 1990 წელს 950 კაცი იმყოფებოდა, 2004 წელს ეს დატვირთვა 2760 კაცამდე, ანუ 2.9-ჯერ და უფრო მეტიად გაიზარდა¹, რამდენადაც დასაქმებულთა კმაყოფაზე მყოფთა კატეგორიაში გადაინაცვლა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იმ ნაწილმაც, რომელიც უმუშევარია.

¹ გაანგარიშებულია – „საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული – 2005“, თბილისი, 2005, გვ. 33, 53 – მიხედვით.

ესოდენ მაღალი და თანდათანობით მზარდი სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა არამარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტივის თვალსაზრისით, პროგრესულ მოვლენადაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ მასში შრომის ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წილი ზრდის, ხოლო პენსიონერთა ხვედრითი წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ საწინააღმდეგო, ანუ ნეგატიურ ტენდენციასთან გვაქვს საქმე. სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში კლებულობს შრომის ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წილი და, შესაბამისად, მატულობს შრომის ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წილი. ასე, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ 1990-2002 წლებში ასეთი ცვლილებები განიცადა: 15 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წილი 24.5-დან 18.6 %-მდე შემცირდა, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისა – 9.1-დან 13.2%-მდე გაიზარდა¹.

საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებას, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზდობის) გარე-მიგრაციული პროცესებიც ამძიმებს. აღრიცხვიანობის სირთულეებთან დაკავშირებით, სრულად არაა დადგენილი იმ პირთა რიცხოვნობა, ვინც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან წავიდა საქართველოდან, მით უმეტეს, ზუსტად არ ვიცით მიგრაციის სალდო, მაგრამ, თუ პროფ. მ. ტუხაშვილის მონაცემებს მოვიშველიებთ, ეს უკანასკნელი ერთ მილიონ კაცს შეადგენს², რაც საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის ძალიან დიდი ციფრია.

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადური – 2005, თბილისი, 2005, გვ. 36.

² მიგრაცია, ნაკვეთი I, მ. ტუხაშვილის რედაქციით, თბილისი, 2007, გვ. 5.

მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს. საქართველოში, ბუნებრივია, თან სდევს ისეთი სავალალო სოციალ-ეკონომიკური შედეგები, როგორცაა:

1. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველო იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ძირძველი მოსახლეობის გენოფონდს გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ე.წ. „დეპოპულაციის ჭურვი“ დამოკლეს მახვილივით აქვს დამიზნებული ქართველი ერის ფიზიკურ უწყვეტობას. ამის დასტურია ის, რომ საერთაშორისო ექსპერტთა გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით, 2,2 მლნ კაცით შემცირდება.

ასეთი ტემპით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არაა ნავარაუდევი;

2. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით ქართული ეთნოსის) ხვედრითი წილის თანდათან შემცირება. საქართველო მთელი მოსახლეობის როცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით თუ XIX საუკუნის დასასრულისთვის პირველ ადგილზე იყო, დღეისთვის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე, ხოლო მატების ტემპით მესამე ადგილზეა. სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წილი 1959 წლის 44 პროცენტიდან 2006 წლისთვის 27.7 პროცენტამდე შემცირდა. კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა ქართველთა ხვედრითი წილი და, რაც მთავარია, ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, თანაც ინტენსიურად;

3. ინტენსიური გარე მიგრაციული პროცესის მხედველობაში მიღების გარეშეც, შორეულ პერსპექტივაში ქართველებს თავიანთივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წილის მკვეთრად შემცირების საშიშროებას უქმნის, მთელ რიგ არააბორიგენ ეთ-

ნოსებთან შედარებით, მისი დაბალი აღწარმოებრივი მაჩვენებლები. მაგალითად, 2004 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებიდან, 10 ათას კაცზე გაანგარიშებით, ქართველებს აკლდებათ 4 ადამიანი, ხოლო აზრბაიჯანელებს 106 და ქურთებსა და იეზიდებს 176 ადამიანი ემატებათ.

4. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1959-2005 წლებში საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 17.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისა 8.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამავე პერიოდში სქესობრივი სტრუქტურა კი ასეთნაირად შეიცვალა: ქალების ხვედრითი წილი შემცირდა 1.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო მამაკაცებისა იმავე ოდენობით გაიზარდა¹. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტიურ მიწოდებას, ისე საქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს;

5. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით სრულშრომისუნარიანთა (მათ შორის და განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის;

6. შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარემიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გადიდება.

აღბათ, კამათს არ იწვევს ზემოთ დასახელებული გლობალური ნეგატიური მოვლენების სახელმწიფოს დო-

¹ ე. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადუული - 2005, თბილისი, 2005, გვ. 18, 21, 26, 29.

ნეზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში (თანაც რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება¹.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? – სამწუხაროდ, ქვეყანაში არა მარტო არ ტარდება არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ რიგიანად მოფიქრებულიც არაა იგი. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და 180⁰-ით შემობრუნოს ისინი პოზიტიური მიმართულებით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით შეიძლება გარკვეულწილად დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, რასაც ადასტურებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკა.

ზოგიერთ, საქმეში ჩაუხედავ, პოლიტიკოსს სახელმწიფოს მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკა ჰგონია მრავალშვილიანი დედებისთვის ეპიზოდურად და მიზერული ოდენობით გაცემული დახმარებები. სინამდვილეში, სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა გულისხმობს სამი აუცილებელი კომპონენტის ერთიანობას. ესენია: პირველი, – დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის განსაზღვრა ანუ ნათლად მინიშნება იმისა, მისი ამოცანაა გარემო პირობების შექმნა მოსახლეობის გაფართოებული თუ შეკვეცილი აღწარმოებისთვის, კიდევ

¹ ლ. ჩიქავა, დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. ჟურნ. „მაკრო-მიკროეკონომიკა“, 1998, № 11, გვ. 33-38.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების თუ შემცირებისთვის; მეორე – გონივრულად შემუშავებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემა ანუ შერჩევა ბერკეტების (ინსტრუმენტების) კომპლექსისა, რომლის მიზანსწრაფული გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას სერიოზული წარმატებები დასახული მიზნის მიღწევის მიმართულებით; და, მესამე, – შემუშავებული ღონისძიებების პრაქტიკულად განმახორციელებელი ადრესატის ნათლად მინიშნება და, რაც დღევანდელ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ძირითადად საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ დავახასიათეთ, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, ჩვენთან შექმნილი მწვავე ვითარება გარდუვალად გეკარნახობს პოპულაციონისტური პოლიტიკის განხორციელების მიზნაშეწონილობასა და აუცილებლობას. ამ მიმართულებით დასახული მიზნის მაქსიმუმი შეიძლება იყოს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების უზრუნველყოფა, მინიმუმი კი – დემოგრაფიული განვითარების მიღწეული ღონის სტაბილიზაცია, დეპოპულაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების პრაქტიკულად გამორიცხვა.

ახლა შევჩერდეთ იმ ღონისძიებებზე, რომელთაც ძალუძთ თვალსაჩინო წვლილის შეტანა ამ კეთილშობილური მიზნის ხორცშესხმაში. მხედველობაში მაქვს ხელისუფლების ძალისხმევის წარმართვა სამი ძირთადი მიმართულებით:

1. ოჯახში ოპტიმალური რიცხოვნობის ბავშვთა ყოლის მოთხოვნების ფორმირება და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება. ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა, მაგრამ შედეგი შედარებით მოგვიანებით იჩენს თავს.

ამისთვის მიზანშეწონილია ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში დემოგრაფიული პროფილის შესაბამისი დისციპლინებისა და კარგად შერჩეული დიდაქტიკური მასალების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში შეილთა სასურველი რაოდენობის ფორმირებას და ამ მიმართულებით დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. სასარგებლო ღონისძიებად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე რადიო- და ტელეგადაცემებში, ინტერნეტში, კინოფილმებში, თეატრალურ დადგმებში, რეკლამებში, მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა.

რა აპირობებს ამის აუცილებლობას? – უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ფერტილური ასაკის ქალთა მენტალიტეტში აშკარად შეიმჩნევა მრავალშვილიანი ოჯახების როლისა და მნიშვნელობის გადაფასება და მათი რეპროდუქტიული ნორმების შეცვლა კლების მიმართულებით. აღბათ, სხვანაირ კვალიფიკაციას ვერ მივცემთ იმ ფაქტს, რომ სისტემატურად მცირდება იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მრავალშვილიანი (5 და მეტ-შვილიანი) ოჯახი და შესაბამისად იზრდება იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მცირეშვილიანი (1-2 შვილიანი) ოჯახი.

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების – შეილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენადაც ოჯახში შეილთა რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას (მიუხედავად ამ უკანსკენლის შემცირების ტენდენციისა). როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებიდან ჩანს, ოჯახში შეილთა სასურ-

ველ და რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას შორის სხვაობა დაახლოებით ერთ ბავშვს შეადგენს.

შვილების სასურველ და ფაქტიურად მოსალოდნელ რაოდენობას შორის ესოდენ დიდი სხეობა მიგვანიშნებს ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეალური რეზერვების არსებობაზე*.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც ძალუძთ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია, აღსანიშნავია:

– მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების მატერიალური სტიმულირება, რომელშიც, უწინარეს ყოვლისა, შობადობის გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრივ ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარების დაწესება იგულისხმება.

თუმცა, მატერიალურ სტიმულირებამდე, აუცილებელია ყველგან და ყოველთვის დაეიცვათ პრინციპი: „შვილის შექმნით გამოწვეულმა ხარჯებმა არ უნდა შეამციროს შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე გაანგარიშებით“. ასეთი შედეგის მისაღწევად საჭიროა დახმარების თანხა შესაბამებოდეს ახალშობილის შენახვის ხარჯებს. მაგრამ ეს იქნება ქვედა ზღვარი. ამის შემდეგ, შობადობის მატერიალური სტიმულირების მიზნით, მიზანშეწონილია ერთჯერადი და ყოველთვიური დიფერენცირებული დახმარების დაწესება შვილების შექმნის რიგითობის მიხედვით. მთავარი ექტორი მესამე შვილის ყოლაზე უნდა მივმართოთ, რამეთუ, ჩვენს დღევანდელ პირობებში, ოპტიმალურად სამშვილიან ოჯახს ვაღიარებთ. შკალა (ლარებში) დაახლოებით ასეთნაირად წარმომიდგენია:

* ასეთ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან დემოკრატიათა მორჩეული დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, რამდენადაც იქ ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა არ ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობს ამის განმსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

დახმარების სახეობა კირველ შვილზე მეორე შვილზე მესამე შვილზე მეოთხე შვილზე

ერთჯერადი.	200	400	600	200
ყოველთვიური დანამატი დასაქმებული ერთ-ერთი მშობლის ხელფასზე	25	40	60	25

მოსაზრებების ურთიერთშეჯერების კვალობაზე, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების შესაბამისად, ეს სიდიდეები შეიძლება და საჭიროცაა გადაისინჯოს (დაზუსტდეს), მაგრამ მთავარია შევინარჩუნოთ მეორე, განსაკუთრებით კი მესამე, შვილის ყოლის სტიმულირების პრინციპი.

შობადობის სტიმულირებისთვის დახმარების დაწესებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ოჯახის შემოსავალიც. თუ ოჯახში თითოეულ წევრზე გაანგარიშებით შემოსავალი ნაკლებია ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილ საარსებო მინიმუმზე, მეორე და მესამე შვილის შეძენისას, ყოველთვიური დახმარების თანხა (ბავშვის დედას ან მამას) უნდა დაუწესდეს ისეთი ოდენობით, რომ ოჯახის წევრთა შემოსავალი გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. სასურველია ამგვარი წახალისება გაგრძელდეს მანამ, სანამ ეს ახალშობილები 16 წლის ასაკს მიაღწევენ. იმ შემთხვევაში კი, როცა ოჯახის წევრთა შემოსავალი აღემატება საარსებო მინიმუმს, შვილის შეძენისთვის მატერიალური წახალისება შეიძლება შემოიფარგლოს (ყოველ შემთხვევაში, განვითარების დღევანდელ ეტაპზე) ერთჯერადი დახმარებით.

დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებისკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური სტიმულირების საკითხი იმიტომ განვიხილეთ, რომ დღეისთვის შობადობის შემაფერხებელ ფაქტორთა შორის პირველ ადგილზე სწორედ მატერიალური ხელმოკლეობა გვევლინება, მაშინ როდესაც ადრეულ ეტაპებ-

ზე (გასული საუკუნის 90-იანი წლებამდე) პირველი ადგილი ფერტილური ასაკის ქალთა ნაწილის ჯანმრთელობის შერყევას ეკავა. ზემოთ დასახელებული 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, კითხვაზე: „თუ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ შვილები იმაზე ნაკლები ოდენობით, ვინემ გსურთ, რა არის ამის მიზეზები? – რესპონდენტთა 60 პროცენტზე მეტმა მატერიალური ხელმოკლეობა და ბავშვების აღზრდისთვის სათანადო პირობების უქონლობა დაასახელა.

ამავე გამოკვლევით დადგენლ იქნა, რომ, ოჯახის შენახვისთვის სახსრების უკმარისობის გამო, ყოველი მეორე რესპონდენტი ან მისი ოჯახის წევრი (სულ 54 %) თავს იკავებს დაქორწინებისგან. ამ მხრივ შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ იმათგან, ვინც მატერიალური ხელმოკლეობის გამო იკავებს თავს დაქორწინებისგან, თითქმის ერთი მესამედი 25 წლამდე ასაკშია, რაც, ცხადია, განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ახდენს შობადობის საერთო მაჩვენებელზე;

– შობადობაზე უარყოფითად მოქმედ სუბიექტურ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზეა, აგრეთვე, ახალგაზრდა ოჯახების უბინაობა და საცხოვრებელი ფართით დაუკმაყოფილებლობა. აი, რატომ უნდა მიექცეს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, მძიმე საბინაო პირობებში მყოფ ოჯახებს, მათი სურვილის გაეადისწინებით, ბინათმშენებლობისთვის სახელმწიფომ მეორე შვილის შექმნისას გამოუყოს გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტი, მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში სესხის დასაბრუნებლად დარჩენილი ნაწილის 50 პროცენტის გადახდისგან განთავისუფლების პირობით.

ყოველივე ეს უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი კანონმდებლობით და მართებული იქნება შეეხოს როგორც სა-

ხელმწიფო და კოოპერაციულ, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს, თითოეული სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების დაწვევამდე ოჯახის შემოსავალს, საცხოვრებელი ფართის მოცულობას, თავისუფალი დროის სიდიდესა და ბავშვთა შობის ინტენსივობას შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობდა, იმიტომ, რომ ცხოვრების რაც უფრო უკეთესი პირობებია, მით უფრო დაბალია მოკვდაობა, უკეთესია ჯანმრთელობა, ხანგრძლივია ქალთა ნაყოფიერების პერიოდი და ბუნებრივია, შედარებით მაღალია ბავშვთა შობის ინტენსივობა. მდგომარეობა რადიკალურად იცვლება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრების პირობებში, რამდენადაც ოჯახი, ბავშვებზე შეზღუდული მოთხოვნილების გათვალისწინებით, გეგმავს შეილთა რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას, რომელიც, როგორც წესი, სტაბილურია. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორები დღევანდელ არაორდინარულ პირობებში, როცა მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებს აქტუალურობას;

- სახელმწიფო საწარმოებში, აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე მანდილოსნებისთვის მეორე და მომდევნო შვილების გაჩენისას იმის უფლების მინიჭება, რომ ისარგებლონ სამწლიანი დეკრეტული შვებულებით, სამუშაო ადგილისა და კუთვნილი ძირითადი ხელფასის შენარჩუნებით;

- ოჯახებისთვის, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, კომუნალური მომსახურების გადასახადების 30 პროცენტით შემცირება მანამ, სანამ ყველაზე უმცროსი შვილი 16 წელს მიაღწევს;

- მესამე შვილის გაჩენისთვის ზემოაღნიშნულ სტიმულირებათა პირველ ეტაპზე იმ რეგიონებში განხორციე-

ლება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემებით, ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს;

ქმედითი ზომების მიღება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევარი პირების სპეციალობის მიხედვით დასაქმებისა და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანისთვის, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ახალგაზრდების გარე მიგრაციას;

– შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გრაფიკით, შეებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განისაზღვროს შვილების ოდენობის გათვალისწინებით, მიეცეთ შინამუშაოს უფლება და სხვა შესაძლო შეღავათები;

ქალთა გამონთავისუფლება ორგანიზმისთვის მავნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე, ღამის ცვლებიდან. სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისთვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

ქვეყნის თითოეული რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი ტენდენციების მაქსიმალური გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითოეული რაიონის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება;

– მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დემოგრაფიული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, ყოველწლიურად პერსპექტიული ახალგაზრდების

განსაზღვრული კონტიგენტის საზღვარგარეთ მისაველი-
ნებლად სათანდო სახსრების გამონახვა;

- პაციენტთა, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა, ჯან-
მრთელობისთვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების
(საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები)
მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე, სამშობიარო სახლე-
ბის ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვება,
რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგა-
დოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამას-
თან, მოსახლეობის თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღ-
ლება, რომელიც, ბევრ სხვა ეთნოსთან შედარებით, რამ-
დენადმე დაბალია ქართველებში;

- შობადობის გადიდებაში გარკვეული დადებითი
წვლილის შეტანა შეუძლია ეკლესიასაც, რამეთუ, უწინა-
რეს ყოვლისა, სწორედ მას ძალუძს განუმტკიცოს რწმენა
ახალგაზრდობას (და არა მარტო მას) იმის თაობაზე,
რომ ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნვე-
ლყოფისთვის აუცილებელია ოჯახის დროული შექმნა
(დაქორწინება), ბავშვთაშობის შიგაოჯახური ოპტიმალუ-
რი რეგულირება და ღირსეული ახალი თაობების აღ-
ზრდა;

3. ქმედით ღონისძიებათა განხორციელება მოსახლე-
ობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომა-
ლიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი,
ლოთობა, სიგარეტის წვევა გოგონებში და სხვ.), ნეგატი-
ური ტენდენციების წინააღმდეგ. ამის აუცილებლობას
აპირობებს:

- ნარკობიზნესის განვითარება და ნარკომანთა რიც-
ხოვნობის ზრდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემე-
ბით, 2002 წლის დასასრულისთვის დაკვირვებაზე იმყოფე-
ბოდა ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით და-
ავადებული 761 ქალი და 25630 მამაკაცი, ანუ, წინა წელ-
თან შედარებით, შესაბამისად, 1.9 და 113.5 პროცენტით

მეტი¹. 2002-2004 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა ნარკოტიკების შენახვის, დამზადებისა და გასაღების 5741 და ნარკომანიის სფეროში დანაშაულის 3898 შემთხვევა². დღეისთვის აღრიცხვაზეა 240 ათ. ნარკომანი (აღურიცხავთა ჩათვლით ნახევარ მილიონს ვარაუდობენ). ყოველივე ეს გენოფონდს გადაგვარებით ემუქრება. ცნობილია, რომ ნარკომანებს საერთოდ არ უჩნდებათ შვილები და თუ გაუჩნდათ – მეტწილად დებილეები და გონებრივად განუვითარებლები;

– მეძავეობა, საროსკიპოების ქსელის გაშლა, „სხეულის სარეალიზაციოდ“ საზღვარგარეთის „ბაზრებზე“ გასვლა, ვენერიულ დაავადებათა გახშირება, რაც შიდსის – თანამედროვეობის ამ შავი ჭირის – გავრცელებასაც უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2002 წელს, წინა წელთან შედარებით, გონორეით დაავადებულ ქალთა რიცხოვნობა 31.7 პროცენტით, ხოლო მამაკაცთა 76.8 პროცენტით გაიზარდა. 2003-2004 წლებში დაფიქსირებულ იქნა ათაშანგითა და გონორეით დაავადების 3360 შემთხვევა. თანაც, გონორეით დაავადებულთა დაახლოებით 50 პროცენტი 20-დან 29 წლამდე ასაკისაა.

საქართველოს კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტის მონაცემებით, შემოწმებული 1700 პაციენტიდან, რომლებმაც მას დახმარებისთვის მიმართეს, მამაკაცთა 30 პროცენტი. პომოსექსუალისტი, ხოლო ქალთა 60 პროცენტი მეძავეი (მ.შ. 10 პროცენტი თინეიჯერი) აღმოჩნდა. პროსტიტუციისა და პომოსექსუალიზმის პრობლემების გარშემო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. სპე-

¹ სოცილური ანომალიების თაობაზე წინამდებარე ნაშრომში 2002 წლის ფაქტობრივი მონაცემები მოტანილია სტატისტიკური კრებულიდან „ქალი და კაცი საქართველოში“. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 9-13.

² საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 126, 131, 132.

ციალური მოსმენაც გაიმართა, სადაც საქართველო ერთ-ერთ „წამყვან“ ქვეყნად დასახელდა.

რაც შეეხება შიდსით დაავადების შემთხვევათა გაერცელებას, 1999-2004 წლებში ამ სენით ჩვენს ქვეყანაში 503 კაცი გარდაიცვალა, თანაც, მას მკვეთრი ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, მხოლოდ 2004 წელს, წინა წელთან შედარებით, ამ დაავადებით 7.8-ჯერ მეტი ადამიანი გარდაიცვალა¹. მათ ძირითად კონტინგენტს ნარკომანები და შემთხვევით სქესობრივი კავშირის მქონე პირები შეადგენდნენ;

– თამბაქოს წვეის მასობრივი ხასიათი, არცთუ იშვიათად, ადრეულ (სკოლის) ასაკშიც, მათ შორის გოგონებში, რაც ძლიერ უარყოფითად მოქმედებს შთამომავლობაზე (ეს ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, უფრო ხშირად კი – მოგვიანებით). 2002 წელს თბილისში მწვეველ მამაკაცთა ხვედრითი წილი 60 პროცენტს, ხოლო ქალებისა – 21.8 პროცენტს შეადგენდა;

– განზრახმკვლელობათა და ბანდიტიზმით განპირობებულ მკვლელობათა მოხშირება და, საერთოდ, დაძაბული კრიმინოგენური ვითარების არსებობა. საქართველოში მარტო 2002 წელს თვითმკვლელობის 156 შემთხვევა აღინიშნა, მ.შ. ქალი იყო 26, ხოლო 19 წლამდე ასაკისა – 6 ადამიანი. 2004 წელს დაფიქსირდა განზრახმკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის 538 შემთხვევა;

– გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების ნიადაგზე როგორც მემორების, ისე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ა.შ.

დასასრულს, ამ ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. მართალია, ქვეყნის ეკონომიკა, გასული სა-

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადუული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 127.

უკუნის 90-იანი წლებიდან მეტიმეტად დაუძღურების გამო, ჯერჯერობით ვერ შესძლებს დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად თანხების უხვად გამოყოფას, მაგრამ, პრობლემის უაღრესი პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სახსრები გარკვეული ოდენობით მაინც შეიძლება გამოიძებნოს და უნდა გამოიძებნოს კიდევ. მიზანშეწონილია შეიქმნას დემოგრაფიული განვითარების ფონდი, რომლის წყაროები შეიძლება იყოს:

- სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. ამ დანიშნულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან მისი შემოსავლის თუნდაც 1 პროცენტი რომ გამოიყოს (3 მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში), იგი 30 მლნ ლარს შეადგენს, რაც ფრიად სოლიდური თანხაა;

- უშვილობის გადასახადი 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობიდან ხელფასის 1 პროცენტის ოდენობით, თუკი ხელფასი აღემატება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უშვილობა შეიძლება გამოწვეული იყოს ობიექტური მიზეზებით (დაუქორწინებლობა, უნაყოფობა და ა.შ.) ვერ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ მოქალაქე განთავისუფლებულ იქნეს უშვილობის გადასახადისგან, რამეთუ, რალაცნაირი ფორმით ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა თაობათა აღწარმოების ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფაში;

- ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვისას მათ გადაფორმებაზე დაწესებულ ტარიფზე ფიქსირებული დანამატი 5 ლარის ოდენობით, რაც ქვეყნის მასშტაბით სოლიდური თანხას შეადგენს;

- ბენზინის, სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელების, კოსმეტიკის საშუალებების, კაზინოების, ლატარიების, სპორტული ღონისძიებების და სხვა ანალოგიური კატე-

გორიის საქონლისა და მომსახურების საცალო ფასებსა და ტარიფებზე, დანამატი 1 პროცენტის ოდენობით;

– გადასახადი ფირმის მოგებიდან წლიური ბრუნვის 3 პროცენტის ოდენობით;

– იმპორტული საქონლის საბაჟო გადასახადებზე დანამატი ამ საქონლის საბითუმო ფასის 1 პროცენტის ოდენობით;

– დემოგრაფიული ანარიცხები ხელფასიდან, ეს უკანასკნელი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს თუ 4-ჯერ აღემატება 1 პროცენტის ოდენობით, 5-ჯერ – 2 პროცენტის ოდენობით, 6-ჯერ – 3 პროცენტის ოდენობით და ა. შ.

ეს განაკვეთები მიახლოებითია, რომელთა დაკონკრეტება-დაზუსტება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს არ გაუჭირდებათ. მთავარია პრინციპულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა.

აი, ამგვარი მიდგომით შემუშავებულ და მიზანმიმართულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა ძალუძს მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მთელი რიგი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზებაში.

გადამეტმოსახლეობასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ტენდენციებზე ფრიად საინტერესოა ცნობილი ინგლისელი მეცნიერისა და სასულიერო პირის თომას რობერტ მალთუსის ნაფიქრალ-ნააზრევი, რომელიც გადმოცემულია მის საერთაშორისო მნიშვნელობის ორტომიან დემოლოგიურ ნაწარმოებში – „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“ (1868 წ.).

მარქსიზმმა, რომელიც განასახიერებდა კომუნისტურ იდეოლოგიას, რატომღაც (უმეცრების გამო, თუ შეგნებულად), ტენდენციურად შეაფასა მალთუსის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და ასეთი

გაყალბებული სახით მიაწოდა იგი მკითხველ საზოგადოებას: მოსახლეობა მრავლდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებები იზრდება არითმეტიკული პროგრესიით, ამიტომ აუცილებელია ომები, ეპიდემიები, საყოველთაო შიმშილი და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა ქმედითი საშუალებები, რათა დამყარდეს წონასწორობა მოსახლეობის რიცხოვნობასა და საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს შორის.

მალთუსის შეხედულებების ჭეშმარიტი არსი კი, რაც სულ უფრო ნათლად იკვეთება თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ლიტერატურაში, მდგომარეობს შემდეგში: მოსახლეობის რიცხოვნობა (მისი აღწარმოების დაურეგულირებლობის პირობებში) უფრო სწრაფად იზრდება, ვინემ საარსებო საშუალებები (რესურსების შეზღუდულობისა და მწარმოებლურ ძალთა არაჯეროვან დონეზე განვითარების გამო), რაც მათ შორის წარმოშობს დისბალანსს და გარდაუვალს ხდის მასობრივ სიღატაკეს. მალთუსს ფიზიკურად ჯანსაღი და ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოების შექმნის აუცილებელ პირობად მიაჩნდა მოსახლეობის განუსაზღვრელი (უკონტროლო) გამრავლებისგან ზნეობრივი თავშეკავება და ამ პროცესის გააზრებულად დარეგულირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, ბუნებასა და სოციუმს მისი მოწესრიგება მოუწევთ ისეთი ბარბაროსული საშუალებებით, როგორცაა ომები, ეპიდემიები, მასობრივი შიმშილი და სხვა მანკიერებანი.

როგორც ჩანს, მალთუსმა ჯერ კიდევ 140 წლის წინათ ღრმამეცნიერულად იწინასწარმეტყველა ის, რაც დღეს მეტნაკლები ინტენსივობით პრაქტიკულად ხორციელდება მთელ მსოფლიოში. მხედველობაში მაქვს ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო ცივილიზებული საშუალე-

ბების (კონტრაქტივების) გამოყენების კვალობაზე შობადობის შიგაოჯახური რეგულირება და მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ გადამეტმოსახლეობასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია განვითარებად ქვეყნებში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას.

მცირეოდენი შემოკლებით იხილეთ წიგნში – ლ. ჩიქავა, განვლილი ცხოვრების შტრიხები, თბილისი, 2008, გვ. 157-192.

შინაარსი

წინათქმა	3
I თავი. დემოლოგია და მისი კანონები	6
1.1. „დემოგრაფია“ კი არა, „დემოლოგია“. რას სწავლობს იგი?.....	6
1.2. დემოლოგიური კანონები: არსი, მოქმედების ხასიათი, კლასიფიკაცია	54
II თავი. ზოგადი (საერთო) დემოლოგიური კანონები	60
2.1. ძირითადი დემოლოგიური კანონი	60
2.2. დემოლოგიური გადასელის კანონი.....	68
2.3. მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის კანონი.....	80
2.4. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კანონი.....	97
2.5. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი	118
III თავი. სპეციფიკური დემოლოგიური კანონები	133
3.1. შობადობის კლების კანონი.....	133
3.2. ოჯახებში შვილიანობის გამოთანაბრების კანონი.....	167
3.3. დემოლოგიური დაბერების კანონი.....	175
IV თავი. კერძო დემოლოგიური კანონები	198
4.1. მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონი	198
4.2. მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონი	205
4.3. მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი.....	210
4.4. დემოლოგიური კომპენსაციის კანონი	216
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....	222
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	246
დემოგრაფიული პროცესები: მეცნიერული ანალიზი და დემოგრაფიული პოლიტიკა (რუსულ ენაზე)	274
დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები პოსტსაბჭოთა	

საზოგადოებაში და დემოგრაფიული პოლიტიკა (რუსულ ენაზე)	294
დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში (რუსულ ენაზე)	310
დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (რუსულ ენაზე)	323
დემოგრაფიული მდგომარეობა კავკასიაში	334
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორთა გავლენა მოსახლეობის აღწარმოებაზე	345
დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების ეკოლოგიური ასპექტები საქართველოში	364
მოკვდაობის შემცირების ეკონომიკური ეფექტი	377
დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები	383
დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და დემოგრაფიული პოლიტიკა	407
მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური ტენდენციები საქართველოში და მათი ნორმალიზების ძირითადი მიმართულებანი	424
დემოგრაფიული ვითარება იმერეთში	456
დემოგრაფიული ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში და მისი ნორმალიზების ძირითადი მიმართულებანი	467

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის აღწარმოების რეგიონული თავისებურებანი	478
მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებანი საქართველოსა და აზერბაიჯანში.....	488
მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში.....	499
ქართულ გენოფონდს გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრება.....	525
თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები.....	536
სარჩევი	579
სარჩევი (რუსულ ენაზე)	582

Оглавление

Предисловие	3
Демология и система ее законов (на груз. языке)	
I глава. Демология и ее законы	6
1.1. Не „демография“, а „демология“. Что она изучает?	6
1.2. Демологические законы: сущность, характер действия, классификация	54
II глава. Общие демологические законы.....	60
2.1. Основной демологический закон	60
2.2. Закон демологического перехода	68
2.3. Закон неуклонного роста численности населения	80
2.4. Закон роста ожидаемой продолжительности жизни	97
2.5. Закон количественного соотношения полов	118
III глава. Специфические демологические законы	133
3.1. Закон снижения рождаемости	133
3.2. Закон выравнивания детности.....	167
3.3. Закон демологического старения.....	175
IV глава. Частные демологические законы	198
4.1. Закон расширенного воспроизводства населения	198
4.2. Закон простого воспроизводства населения	205
4.3. Закон суженного воспроизводства населения	210
4.4. Закон демологической компенсации	216
Резюме (на англ. яз.)	222
Резюме	246
Демографические процессы: научный анализ и демографическая политика	274
Тенденции демографического развития в постсоветском обществе и демографическая политика.....	294

Обострение демографической ситуации в Грузии за последнее десятилетие	310
Тенденции и перспективы демографического развития в странах Южного Кавказа.....	323
Демографическая ситуация на Кавказе (на груз. яз.) _____	334
Влияние социально-экономических факторов на воспроизводство населения (на груз. яз.) _____	345
Экологические аспекты оздоровления демографической ситуации (на груз. яз.)	364
Экономический эффект сокращения смертности (на груз. яз.) _____	377
Обострение социально-экономической ситуации в Грузии и его социально-экономические аспекты (на груз. яз.) _____	383
Демографический кризис в Грузии и государственная демографическая политика (на груз. яз.) _____	407
Негативные тенденции воспроизводства населения в Грузии и основные направления их нормализации (на груз. яз.)	424
Демографическая ситуация в Имеретии (на груз. яз.) _____	456
Демографическая ситуация в восточном высокогорье Грузии и основные направления ее нормализации (на груз. яз.)	467
Региональные особенности воспроизводства населения нашей планеты (на груз. яз.)	478
Особенности воспроизводства населения в Грузии и Азербайджане (на груз. яз.) _____	488

Острая демографическая ситуация и необходимость демографической политики в Грузии (на груз. яз.)	499
Грузинскому генофонду угрожает реальная опасность перерождения (на груз. яз.)	525
Актуальные демографические проблемы современности (на груз. яз.)	536
Оглавление (на груз. яз.)	579
Оглавление	582



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. შავაშვილის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge